

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ფილოსოფიის ინსტიტუტი

ირაკლი ბრაჭული (ნაწილი I, II – თავი 1, ნაწილი VI)  
ვალერიან რამიშვილი (ნაწილი II – თავი 2, ნაწილი III)  
ანასტასია ზაქარიაძე (ნაწილი IV)  
დემურ ჯალალონია (ნაწილი V)

# ფილოსოფიის გესავალი

მეოთხე გესავალის გადამუშავებული გამოცემა

გამომცემლობა „მერივიანი“  
თბილითი 2015

„აილოთოაით შეთავალი“ გათვალითწინებულია, როგორც თახელმძღვანელო ივ. ჯავახიშვილით თახელობით თბილითით თახელმწიათ უნივერტიტეტით პუმანიტარულ მეცნიერებათა ააკულტეტით თტუვენტებითათვით. (განხილული ვა მოწონებულია თთუ-თ აილოთოაით მიმართულებით პროაეთორთა თხვომაზე, ოქმი №3, 08.05.09) წიგნით მიზანია შეათრულოთ გზამკვლევით როლი აილოთოაით თამყაროში შეთათვ-ლელავ. იგი ვაეხმარება თტუვენტებთ აილოთოაით თაწყითებით შეთწავლაში.

რევაქტორი: რევაზ ბალანჩივაძე  
აილოთოაით ვოქტორი, პროაეთორი

რეცენზენტები: მამუკა ვოლიძე  
აილოთოაით ვოქტორი, პროაეთორი  
ალექსანდრე ალაგაშვილი  
აილოთოაით ვოქტორი

© ი. ბრაჭული, ა.ზაქარიაძე, ვ. რამიშვილი, ვ. ჯალაძონია.  
© გამომცემლობა „მერივიანი“, 2015

ISBN 978-9941-25-122-1 (მეოთხე გამოცემა)

# ს ა რ ჩ ი ვ ი

წინასიტყვაობა .....	8
<b>დაცილი პირველი. რა არის ფილოსოფია? .....</b>	<b>12</b>
თავი I. ნულოვანი დასაწყისიდან .....	12
§1. ერთი სიტყვა „ფილოსოფია“ .....	12
§2. ჩვენ დამწყები ფილოსოფოსები .....	16
§3. ფილოსოფიის სამი ასაკი .....	20
თავი II. სად ვისწავლოთ ფილოსოფია? .....	25
§1. ფილოსოფიური სკოლები .....	25
§2. სასწავლო საგნები .....	34
§3. ფილოსოფიის ცნების განსაზღვრის სიძნელეები .....	38
თავი III. ვის სჭირდება ფილოსოფია? .....	42
§1. ფილოსოფია და მისი მტრები .....	42
§2. მეფე ლირი მოხუცთა თავშესაფარში .....	43
§3. სოკრატეს გამოძახება .....	45
<b>დაცილი მეორე. მეტაფიზიკა: ყოფილება და შემაცნების ფილოსოფია.....</b>	<b>51</b>
თავი I. მეცნიერება მიუწვდომელზე .....	51
§1. მეტაფიზიკა როგორც ამოცანა და როგორც მეცნიერება .....	51
§2. ყოფიერება: მიზეზები, მიზანი, საზრისი .....	55
თავი II. ონტოლოგია: მოძღვრება ყოფიერებაზე .....	59
§1. ლმერთი .....	59
§2. სამყარო .....	62
§3. ადამიანი .....	66
თავი III. შემეცნების თეორია .....	72
§1. შემეცნება .....	72
§2. ცოდნა .....	82
§3. ცნობიერება .....	96
<b>დაცილი მესამე. ენა და ლოგიკა .....</b>	<b>108</b>
თავი I. ენის ფენომენი .....	108
§1. ენის არსება .....	108
§2. ენის განხილვის სტრატეგიები .....	109
§3. ენის ფუნქციები .....	112
თავი II. ლოგიკის ელემენტები .....	114

§1. რა არის ლოგიკა? .....	114
§2. ლოგიკის ძირითადი კანონები.....	118
§3. ლოგიკური აზროვნების ფორმები: ცნება, მსჯელობა, დასკვნა... <td>121</td>	121
§4. დასკვნის თეორიის ელემენტები .....	121
§5. დარწმუნება დასაბუთების გზით .....	134
<b>ნაილი მეოთხე. ეთიკა .....</b>	<b>144</b>
<b>თავი I. მეტაეთიკა .....</b>	<b>144</b>
§1. რა არის ეთიკა? .....	144
§2. ეთიკური ღირებულებების რაობა .....	151
§3. თავისუფლება.....	156
§4. პასუხისმგებლობა.....	159
<b>თავი II. ნორმატიული ეთიკა .....</b>	<b>162</b>
§1. ნორმატიული პრინციპი და ნორმატიული ეთიკის სტრატეგიები .	162
§2. ეთიკური ეგოიზმი .....	170
§3. ეთიკური ალტრუიზმი.....	173
§4. უტილარიზმის ტიპები .....	173
§5. სარგებლიანობა და პრინციპები .....	176
<b>თავი III. გამოყენებითი ეთიკა .....</b>	<b>179</b>
§1. გამოყენებითი ეთიკის სფეროები .....	179
§2. მედიაეთიკა.....	182
§3. დანაშაული და ჯილდო.....	183
<b>ნაილი მეხუთე პოლიტიკური ფილოსოფია .....</b>	<b>187</b>
<b>თავი I. პოლიტიკურის სფეროს განსაზღვრა .....</b>	<b>187</b>
§1. პოლიტიკის ადამიანური განზომილება- Zoon politicon .....	187
§2. რა არის პოლიტიკა? .....	189
§3. რა არის პოლიტიკური ფილოსოფია? .....	193
§4. პოლიტიკური ფილოსოფია გუშინ და დღეს.....	196
<b>თავი II. სახელმწიფო: ბუნებრივი მდგომარეობიდან საზოგადოებრივი ხელშეკრულებისაკენ .....</b>	<b>198</b>
§1. რა არის სახელმწიფო? საჭიროა თუ არა მისი არსებობა?.....	198
§2. ნინარესახელმწიფოებრივი ანუ ბუნებრივი მდგომარეობა .....	201
§3. ბუნებრივი მდგომარეობიდან საზოგადოებრივი ხელშეკრულებისაკენ .....	203
§4. სახელმწიფოს წარმოშობა .....	205
§5. იდეალური სახელმწიფოს მოდელი .....	210

<b>თავი III. პოლიტიკურის მორფოლოგია -პოლიტიკურის კატეგორიები ..</b>	<b>213</b>
§1. ძალაუფლება და მასთან დაკავშირებული ცნებები .....	213
§2. ლეგიტიმურობა და მდგრადობა; ვინ მართავს – ადამიანი თუ კანონი? .....	217
§3. ძალაუფლების ლეგიტიმაცია და მმართველობის ტიპები .....	221
§4. პოლიტიკური თავისუფლების გამოვლენის თავისებურება .....	224
§5. სამართლიანობის ძირითადი პრინციპები: – რა არის სამართლიანობა? .....	228
§6. თანასწორობის არსი: – რა არის თანასწორობა? .....	233
<b>ნაცილი მემკვეთი. ესთეტიკა .....</b>	<b>239</b>
რა არის ესთეტიკა?.....	239
<b>თავი I. მშვენიერების მეტაფიზიკა .....</b>	<b>242</b>
§1. მშვენიერების იდეა .....	242
§2. ხელოვნების იდეალი.....	243
§3. ხელოვნების აპოლონური და დიონისური საწყისები .....	244
<b>თავი II. ესთეტიკური გემოვნება და ესთეტიკური ლირებულება.....</b>	<b>246</b>
§1. ესთეტიკური მსჯელობის საყოველთაობა .....	246
§2. ფენომენოლოგიური ესთეტიკა .....	248
§3. ხელოვნების სემიოტიკა .....	250
<b>თავი III. მხატვრული ტექსტის ჰერმენევტიკა.....</b>	<b>254</b>
§1. მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია.....	254
§2. ესთეტიკური როგორც ჰერმენევტიკული წრე .....	256
§3. ესთეტიკური კატეგორიები.....	257
<b>ქრესტომათია</b>	
<b>რა არის ფილოსოფია? .....</b>	<b>260</b>
პლატონი – „ფედონი“ .....	260
არისტოტელე – „მეტაფიზიკა“ .....	263
მარტინ ჰაიდეგერი – „რა არის ეს ფილოსოფია?“ .....	268
ლუდვიგ ვიტგენშტაინი – „ფილოსოფიური გამოკვლევები“ .....	275
შალვა ნუცუბიძე – „ფილოსოფია და სიბრძნე“ .....	281

<b>მეტაფიზიკა: ყოფილებისა და შემცვების ფილოსოფია</b>	<b>283</b>
პლატონი – „ფედო“ .....	283
არისტოტელე – „მეტაფიზიკა“ .....	284
იოანე პეტრინი – „ღვთისმეტყველების საფუძვლები“ .....	291
რენე დეკარტე – „მეტაფიზიკური განაზრებანი“ .....	293
ბლეზ პასკალი – „აზრები“ .....	298
იმანუელ კანტი – „წმინდა გონების კრიტიკა“ .....	299
გ.ვ.ფ.ჰეგელი – „ლოგიკის მეცნიერება“ .....	300
ერნსტ კასირერი – „რა არის ადამიანი?“ .....	303
კარლ პოპერი – „რაციონალიზმის საწყისები“ .....	305
<b>ეთიკა</b> .....	<b>308</b>
არისტოტელე – „ნიკომაქეს ეთიკა“ .....	308
იმანუელ კანტი – „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ .....	310
იმანუელ კანტი – „ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება“ .....	312
ჯონ მური – „ეთიკის საფუძვლები“ .....	313
ჯორჯ სტიუარტ მილი – „უტილიტარიზმი“ .....	314
ნორმან გეიიზლერი – ქრისტიანული ეთიკა .....	317
აინ რენდი – „ეგო ეგოიზმის გარეშე“ .....	318
<b>პოლიტიკური ფილოსოფია</b> .....	<b>320</b>
პლატონი – „სახელმწიფო“ .....	320
არისტოტელე – „პოლიტიკა“ .....	326
ნიკოლო მაკიაველი – „მთავარი“ .....	327
თომასი ჰობსი – „ლევიათანი“ .....	329
ჯონ ლოკი – „ორი ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“ .....	331
მაქს ვებერი – „ხარიზმული ბატონობა“ .....	332
ჯონ როულსი – „ძირითადი თავისუფლებები და მათი პრიორიტეტები“ .....	335
<b>ესთეტიკა</b> .....	<b>338</b>
პლატონი – „ნადიმი“ .....	338
არისტოტელე – „პოეტიკა“ (სერგი დანელიას კომენტარები) .....	339
გეორგ. ვ.ფ. ჰეგელი – „ესთეტიკა“ .....	344
არტურ შოპენჰაუერი – მშვენიერების მეტაფიზიკა .....	345
მარტინ ჰაიდეგერი – დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა .....	346

## ავტორები მადლობას უხდიან

პროფესორ რისმაგ გორდეზიანს, აკადემიური მხარდაჭერისათვის, ფასეული რჩევებისათვის და ძველი ბერძნული ფილოსოფიური ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებული შენიშვნებისათვის; პროფესორ ლერი მჭედლიშვილს, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ლოგიკის განყოფილების ვრცელი განხილვის, შენიშვნებისა და სასარგებლო რეკომენდაციებისათვის; პროფესორ კახა კაციტაძეს საყურადღებო მოსაზრებებისათვის ონტოლოგიის ზოგიერთი რთული ცნების მარტივად გამოთქმის თაობაზე; იმ ფილოსოფიური ტექსტების ქართულად მთარგმნელებს, რომლებიც შეტანილია ქრესტომათიულ ნაწილში.

ავტორები მადლიერებით იხსენიებენ მასწავლებლებს, ქართველ ფილოსოფოსებს, რომლებიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მოღვაწეობდნენ და დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

მადლობას მოვახსენებთ პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკლავრიატის სტუდენტებს. მათი რჩევები, ინტერესი სახელმძღვანელოს მიმართ და ფილოსოფიური პრობლემების უკეთ წვდომის სურვილი იქცა იმ პირველ პირობად, რომელმაც ავტორებს მისცა სტიმული ემუშავათ სახელმძღვანელოს მეოთხე, გადამუშავებულ და შესწორებულ გამოცემაზე.

ასევე, მადლობას ვუხდით გამომცემლობა „მერიდიანის“ ხელმძღვანელს ბატონ კახა რუსიძეს.

### სტუდენტებისადმი!

რატომ დაიწერა ეს წიგნი? იმიტომ, რომ დაგეხმაროთ ფილოსოფიის ელემენტარული საფუძვლების, ანუ ფილოსოფიის ელემენტების შესწავლაში. მისი ამოცანაა შესასრულოს გზამკვლევის როლი, რათა გაგიადვილოთ ფილოსოფიის სამყაროში შესვლა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ფილოსოფიის სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება მის ავტორებს საშუალებას აძლევს გაითვალისწინონ ის სიძნელეები, რომლებიც ეღლობება ფილოსოფიის შესწავლის დამწყებს. პრაქტიკამ გვიკარნახა ამ სახელმძღვანელოს აგების პრინციპები, მოცულობა, ფორმა და შინაარსი. იგი დღევანდელ პირველკურსელთა შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული. როცა ფილოსოფიის შესწავლას იწყებ, შენს წინაშე იშლება უცნობი განზომილება, უცნობი ენა, ტერმინოლოგიური და ცნებითი აპარატი. სათანადო მასალა და სწავლების მეთოდიკა საშუალებას იძლევა ურთულესი მოძღვრებები და სისტემები გამარტივდეს იმ ზღურბლამდე, რომ ასათვისებლად იყოს იოლი და ამავე დროს არ დაკარგოს სიღრმე.

ქართული კულტურისათვის უცხო არ არის ფილოსოფია. ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით უკვე მე-4 საუკუნეში, საქართველოში არსებობდა ფაზისის ფილოსოფიური აცადემია. ქართულ ენაზე პროფესიული ტრაქტატები ფილოსოფიაში შეიქმნა XI საუკუნეში, გელათის აკადემიაში, იოანე პეტრინის მიერ. პეტრინის შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის მთელ სპექტრზე. ამის დასტურია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ისტორიული ძნელბედობის გამო, მე-13 საუკუნიდან, საქართველო მოწყდა დასავლური აზროვნების არეალს. XIX საუკუნეში სოლომონ დოდაშვილმა გამოსცა „ფილოსოფიის კურსი, ნაწილი პირველი-ლოგიკა“ (1828 წელი). XX საუკუნის დასაწყისში ქართული აზროვნება კვლავ ბრუნდება ევროპული აზროვნების წიაღში. პირველი „ფილოსოფიის შესავალი“ შექმნა შალვა ნუცუბიძემ (გამოიცა 1920 წელს). იგი დღემდე ინარჩუნებს უდაო ისტორიულ ღირებულებას. მასზე აღიზარდა ქართველ მეცნიერთა არაერთი თაობა. მისი მეშვეობით ახალდაარსებული ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა ეზიარებოდა ფილოსოფიურ პრობლემატიკას.

30-იანი წლებიდან საქართველოში მყარდება „დახურული საზოგადოება“, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ისევ დიდი ხნით მოწყვიტა დასავ-

ლეთის თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნების სივრცეს. მთელი 70 წლის განმავლობაში საქართველოში იძულებით ისნავლებოდა XIX საუკუნის გერმანელი მეცნიერის კარლ მარქსის სისტემა, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტება. ყველა სხვა მოძღვრების და მიმდინარეობის სწავლება დაშვებული იყო მხოლოდ როგორც „მარქსიზმის“ მოსამზადებელი ან დამხმარე მასალა. ცენზურის კონტროლის ქვეშ გამოიცა იდეოლოგიური ტიპის სახელმძღვანელო: „დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლები“, რომელის გაზეპირებას აიძულებდნენ განურჩევლად ყველა სპეციალობისა და მრნამსის ადამიანს. ამან შეაფერხა თავისუფალი ფილოსოფიური აზრის განვითარება საქართველოში. 80-90-იან წლებში ფილოსოფია ცენზურის კონტროლიდან გათავისუფლდა. გამოიცა სხვადასხვა ავტორთა სახელმძღვანელოები. ითარგმნა კემბრიჯის უნივერსიტეტის სახელმძღვანელო – ჯენი თეიჩმანისა და ქეთრინ ევანსის „ფილოსოფია. სახელმძღვანელო დამწყებთათვის“.

„ფილოსოფიის შესავლის“ შექმნის საჭიროება ჩნდება მაშინ, როცა ფილოსოფიას უკვე დიდი გზა აქვს გავლილი და დგება ამ გზის შეჯამების, სასწავლო დარგად ჩამოყალიბების აუცილებლობა. იგი ახალი თაობებისათვის ტრადიციის გადაცემის საშუალებაა. „ფილოსოფიის შესავალი“ იმდენად ფილოსოფიური ძიებების სარბიელი არ არის, რამდენადაც სწავლებისა და განათლების სისტემის კომპონენტია.

„ფილოსოფიის შესავლის“ ამოცანაა ფილოსოფიის შესწავლის დამწყებს გააცნოს ფილოსოფიის ძირითადი ელემენტები, პრობლემები, ცნებები, კატეგორიები, მიმდინარეობები და მეთოდები.

## **მკითხველისადმი, რომელსაც ადრე ფილოსოფიაზე არავითარი წარმოადგენა არ ჰქონდა!**

„ფილოსოფიის შესავლის“ ამოცანა ვერ იქნება მხოლოდ დარგის შესახებ ცოდნის გადაცემა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ფილოსოფიური პრობლემებისადმი ინტერესის გაღვიძება, რაც „შესავლის“ ეფექტური სწავლების ყველაზე პირდაპირი გზა და პირობაა.

ძალზედ ბევრი იქნება იმაზე დამოუკიდებელი, თუ როგორი პოზიციით მიუდგება ფილოსოფიის შემსწავლელი საგანს, როგორი იქნება მისი ამოსავალი პოზიცია და მოტივაცია: მხოლოდ ფილოსოფიის შესახებ ზოგადი ცნობების მიღება უნდა, თუ სურვილი აქვს თვითონაც „იფილოსოფოსოს“? „ფილოსოფიის შესავალი“ ასრულებს მნიშვნელოვან როლს ამ პოზიციის ჩამოყალიბებაში.

„ფილოსოფიის შესავალში“ საჭიროა ზომიერების დაცვა მასალის მოცულობასა და თემატიკაში, მიწოდებული უნდა იქნეს ინფორმაციის

მხოლოდ აუცილებელი მინიმუმი. ეს საშუალებას მოგვცემს აქცენტი გაკეთდეს ფილოსოფიური აზროვნების წესის გაგებასა და გამოცდილებაზე. ამგვარი გამოცდილება მიიღება ფილოსოფოსებთან და ფილოსოფიურ ტექსტებთან ურთიერთობაში, სემინარულ მუშაობაში, ფილოსოფიურ დისპუტებში, დისკუსიებში და რაც მთავარია დიალოგში. ეს უკანასკნელი არის ფილოსოფიური აზროვნების განვითარებული ფორმა. ზოგჯერ მას დიალექტიკასაც უწოდებენ.

## **არაფილოსოფოსი კოლეგებისადმი!**

საქართველოს ინტეგრირება დასავლურ საგანმანათლებლო სივრცეში შეუძლებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და ადგილობრივ ტრადიციებთან ადაპტირებული „ფილოსოფიის შესავალის“ გარეშე. იგი ევროპისა და ამერიკის საუნივერსიტეტო პროგრამების სავალდებულო დისციპლინაა. ჩვენს სახელმძღვანელოში გარკვეული აქცენტები დასმულია ზოგიერთ ისეთ საკითხზეც, რაც აქტუალურია ქართულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მეცნიერებათა „საზღვრითი“ პრობლემების კვლევისა და სწავლების საკითხებს. ამ სფეროში შეინიშნება მოძველებული ან ცალმხრივი კლიშეების ნაკვალევი და ინერცია. სასაზღვრო ცნებები და პრობლემატიკა, აგრეთვე ფილოსოფიის კლასიკოსთა შრომების მცირე ქრესტომათია, რომელიც თან ერთვის ძირითად ტექსტს, ჩვენს სახელმძღვანელოს სასარგებლოს ხდის არა მარტო მათთვის ვინც ფილოსოფიას სწავლობს, არამედ იმათთვისაც ვინც დაინტერესებულია სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებით, ღვთისმეტყველების, ხელოვნებათმცოდნეობის, ფილოსოფიის, კულტურისა და ანთროპოლოგიის საკითხებით.

## **ჩვენი კოლეგებისადმი!**

„ფილოსოფიის შესავალი“ არ უნდა იყოს იმ მოძღვრებაში შესავალი, რომელსაც ავტორი ემხრობა. ე.ი. უნდა იყოს მიუმხრობელი. არ უნდა ქადაგებდეს არც ერთ ცალკე აღებულ მოძღვრებას. ასევე არ უნდა დაემსგავსოს ფილოსოფიურ ტერმინთა ენციკლოპედიას, ლექსიკონს ან ცნობარს. ის არ შეიძლება ისწავლებოდეს, ისე როგორც, მაგალითად, ევკლიდეს გეომეტრია – რომ „სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი უდრის  $2d-ს$ “. სწავლებამ არ უნდა მიიღოს სამუდამოდ დადგენილი ფორმულების გაზეპირების სახე. „ზუსტ-დეფინიციურ“ განსაზღვრებებს თავისი ნაკლი აქვს. ის საკითხის გარკვევის სხვა შესაძლებლობას გამორიცხავს. შევეცადეთ, რამდენადაც შესაძლებელია თავი

აგვერიდებინა ამ ნაკლისათვის. ფილოსოფიის შესავლის ამოცანაა შემ-სწავლელის წინაშე გადაშალოს მრავალი ფილოსოფიური მოძღვრების კონკურენციის პანორამა. უნდა მოხერხდეს დინამიკური და ინტერ-აქტიური კონტაქტი აზროვნების სპეციფიკურ წესთან. თანამედროვე დასავლეთის უნივერსიტეტებში მოქმედი სახელმძღვანელოები განიც-დიან ანგლოამერიკული ანუ „ანალიტიკური“, ან კონტინენტური ანუ „სისტემური“ ტრადიციების გარკვეულ ზეგავლენას.

„ანალიტიკური“ ტრადიციის მიხედვით, ადამიანის აზროვნების საგანია ემპირიული რეალობის, გამოცდილების სამყაროს ენობრივი ველის ანალიზი. ხოლო კონტინენტური ტრადიციის მიხედვით, ფი-ლოსოფიის საგანია არა მარტო არსებული ემპირიული რეალობა, არ-ამედ სხვა, შესაძლებელი, სავარაუდო რეალობა. მათთვის შემეცნების ძირითადი სახეა შემოქმედებითი სინთეზი და სისტემურობა. სახელმძ-ღვანელოში ვცდილობდით ყველგან დაგვეცვა ობიექტურობის პოზი-ცია და თემატური სტანდარტები. სახელმძღვანელოში ცალკე თავებად არის წარმოდგენილი მეტაფიზიკის, ლოგიკის, ეთიკის, პოლიტიკური ფილოსოფიის და ესთეტიკის საკითხები.

გერმანელები, ფრანგები, ესპანელები, იტალიელები, რუსები თა-ვიანთ უნივერსიტეტებში „ფილოსოფიის შესავლის“ ისეთ მოდელებს ნერგავენ, რომლებშიც საკუთარი კულტურული ტრადიციების კონტე-ქსტია გაუდერებული და ამასთან, აქცენტს სვავენ იმ პრობლემებზე, რომლებიც თანამედროვე კაცობრიობის წინაშე დგას. ჩვენს სახელმძ-ღვანელოშიაც პპოვა გამოხმაურება ქართული ფილოსოფიური აზრის გარკვეულმა მოტივებმა. იმედი გვაქვს, ეს წიგნი სტუდენტთა გარკვეუ-ლი წრებისათვის იქნება სტიმული, რათა მათ ფილოსოფიის პროფესი-ული შესწავლა გადაწყვიტონ.

# ნაცილი პირველი

## რა არის ფილოსოფია

### თავი I ნულოვანი დასაწყისიდან

#### §1. ერთი სიტყვა „ფილოსოფია“

რა არის ფილოსოფია? ამ საკითხის შემსწავლელ საგანს მეტაფილოსოფიას ან ფილოსოფიის ფილოსოფიას უწოდებენ. ის ფილოსოფიის ნაწილია, განსხვავებით მაგალითად ხელოვნების ფილოსოფიისაგან, რომელიც არ არის ხელოვნების ნაწილი.

ვიწყებთ ფილოსოფიის ანბანის შესწავლას ნულოვანი დონიდან. იგულისხმება რომ აქამდე არანაირი საქმე არ გვქონია ამ უცნობ საგანთან. ამ „შესავალმა“ უნდა ჩამოგვიყალიბოს ფილოსოფიის ნათლად მოხაზული დიაპაზონი. უფლება გვაქვს ამ წიგნის პირველივე გვერდებიდან მოველოდეთ გაგვაგებინოს რით არის დაკავებული ამ საგნის შემსწავლელი. პირველ რიგში ვიკითხოთ: რამდენად ნულოვანია ჩვენი სასტარტო მდგომარეობა? ამ შეკითხვით, ჩვენ უკვე ვხდებით დამწყები ფილოსოფოსები.

სკოლაში გავიარეთ „ვეფხისტყაოსანი“, შეუძლებელია ხსოვნაში არ ჩაგვრჩენოდა სტროფი:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისაგან სწავლა თქმულსა“

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა“

მაშასადამე ჩვენ, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველებს და მთხობელებს ერთხელ მაინც დაგვიმოწმებია ფილოსოფოსი პლატონი. ე. ი. რაღაც შეხება უკვე გვქონია ფილოსოფიასთან. ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი მწიგნობრული წყაროდან. ცხოვრების ყოველდღიურობაშიც ზოგჯერ გაიუღერებს სიტყვა „ფილოსოფია“. მაგალითად, „რას ფილოსოფოსობ?!“ ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც წინასწარი გაგება უკვე გვაქვს იმის შესახებ თუ რა იგულისხმება ამ სიტყვაში.

მაშასადამე დამწყების გონება არ არის უდაბნო, რომელზეც სახლდებიან ფილოსოფიის ელემენტები; არც ჭადრაკის ცარიელი დაფაა, რომელზეც ფიგურები ჯერ არ დაუღავებიათ და არც ცარიელი სასწავლო დაფაა, რომელზეც მასწავლებელმა უნდა დაწეროს გაკვეთილის ფორმულები. დამწყების ინტელექტუალურ აქტივში მოცემულია გარკვეული შინაგანი წანამძღვები, რომელიც შეიცავს „მოფილოსოფოსე“ პოტენციას. შესაძლოა

ამ „წანამძღვრებს“ უფრო ღრმა კავშირი ჰქონდეს ფილოსოფიის რაობასთან, ვიდრე ყველა ფილოსოფიურ მეცნიერებას.

მოდით ამ „წანამძღვრებზე“ ვთქვათ ცოტა უფრო გასაგებად. ვუნოდოთ მას ცხოვრების მეცნიერებამდელი ან თუნდაც „სტიქიური“ გაგება. სწორედ ცხოვრების ამ წინასწარ გაგებაზეა აშენებული მთელი ჩვენი ყველდღიური ცხოვრება. ამ „წინმსწრებ გაგებას“ ორი წყარო კვებავს:

- ჩვენს მიერ წაკითხული „დიადი წიგნები“, რომლებშიც ლაპარაკია სამყაროსა და ადამიანის რაობაზე. ასეთი წიგნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „წიგნთა წიგნი“ ბიბლია. ის მოგვითხრობს ღმერთის მიერ სამყაროსა და პირველი ადამიანების შექმნაზე. მათ ცოდვითდაცემაზე და სამოთხიდან განდევნაზე. გარდა ამისა უკვე ვიცნობთ ხელოვნების ქმნილებებს, ან შეიძლება უკვე წაკითხული გვაქვს რომელიმე იმ ფილოსოფოსის წიგნიც, რომლებიც საოცრად ადვილად იყითხება, მაგალითად პასკალის „აზრები“ ან ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანი“.
- საკუთარი ცხოვრების გამოცდილება, ის რაც გვიცხოვრია და განგვიცდია. ერთი ფილოსოფოსის საფლავს მისივე სიტყვები აწერია: „ორი რამ აღავსებს სულს სულ უფრო მზარდი განცვიფრებითა და მოწინებით, რაც უფრო ხშირად და დიდხანს ვფიქრობთ მასზე: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონები ჩემში.“

ასეთ გამოცდილებას უშუალოდ უკავშირდება სამყაროსა და თვითონ ჩემი რაობის გაგება. ამგვარად მე ყოველწამიერად შევიცნობ ჩემი ცხოვრების კავშირებს ყველა ხილულ და უხილავ სამყაროებთან. სწორედ ჩემს მიერ განცდილ ამ განცვიფრებასა და მოწინებას ძალუდო მიბიძგონ ძიებისაკენ: რა ხდება? რატომ ხდება? უფრო მოგვიანებით დავიწყო შესაბამისი მეცნიერების შესწავლა, რომელშიც ეს ძიება უკვე მეთოდურად წარმართული სისტემატური კვლევის სახეს იღებს. ეს ის ეტაპია, როცა გვიჩნდება ფილოსოფიასთან როგორც მეცნიერებასთან და სასწავლო საგანთან შეჭიდების სურვილი.

მაშასადამე უკვე ვიცით, რომ ფილოსოფიას ორი წყარო კვებავს: წიგნები და ცხოვრება. რომელი უფრო მნიშვნელოვანია? ილია ჭავჭავაძე გვაძლევს საუკეთესო პასუხს: „არც მთლად უწიგნურობა ვარგა და არც სულ წიგნებიდან ყურება“. ვინც ფილოსოფიური ცოდნის შენობაში აპირებს შესვლას, მან უნდა იცოდეს, რომ ფილოსოფოსობა ვერ დაერქმევა „ტვინის ჭყლეტას“, რომელიც ცხოვრებას უშუალოდ არ აკვირდება, მაგრამ სასაცილო იქნება ყველა, ვინც შესაბამისი წიგნების წაკითხვისა და სასწავლო საგნების ჩაბარების გარეშე „ფილოსოფოსობს“.

ცხოვრებაშიც და წიგნებშიც გვიხდება შეხვედრა სიტყვა „ფილოსოფიასთან“. რას ნიშნავს ეს სიტყვა? სად, როგორ, რატომ წარმოიშვა ეს სიტყვა? პირველად ვინ წარმოთქვა იგი? დავიწყოთ ამ ერთი, ერთადერთი სიტყვის შინაარსის გაგებით. შევჩერდეთ ამ ერთი სიტყვის წინაშე. ამით ჩვენ ფილოსოფიის დაბადების მოწმობას მოვიპოვებთ.

ბიბლიაში წათქვამია: „არ დაკარგვია რჯული მღვდელს, რჩევის უნარი ბრძენკაცს და სიტყვა წინასწარმეტყველს“ (იერ. 18.18.). ძველი ისრაელის ხალხს სამი სახის წინამძღოლი ჰყავდა: მღვდელი, ბრძენკაცი და წინასწარმეტყველი. მღვდელმსახურება (მსვერპლშეწირვა) განწმენდს უწმიდურებისაგან, წინასწარმეტყველი ზეციურის მაცნეა, ბრძენი კი ცხოვრების მასწავლებელია. ის მოწაფეს გონიერებას ასწავლის, როგორ ასცდეს დალუპვის გზას და როგორ გადარჩეს. სიბრძნის საპირისპიროა სისულელე. ისინი თანაარსებობენ ადამიანში, ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი მათ შორის. ძველ ელინებსაც ჰყავდათ მისნები, ჯადოქრები, ქურუმები და შვიდი ბრძენი, ელინური კულტურის შვიდი თავკაცი. არის-ტოტელეს ცნობით, პირველი ფილოსოფოსი თალეს მიღეთელი (დაახლ. 625-547 ძვ.წ.) შვიდ ბრძენთა შორის მოიხსენიება. სიბრძნის ამ სახეობებს ძვ. წ. VI საუკუნეში გამოეყო აზროვნების თავისებური წესი, რომლის აღსანიშნავად იშვა სიტყვა: „ფილოსოფია“.

რა ვიცით ამ სიტყვის შესახებ? ვიცით, რომ ეს სიტყვა ბერძნულია. ის ორი სიტყვის: ბერძნ. თიფია – სიბრძნე ვა Փილია – სიყვარული კომპოზიტია. მაშასადამე სიტყვა-სიტყვით ის სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს. ვინ წარმოთქვა იგი პირველად? არ ვიცით! მაგრამ ვიცით, რომ ბერძენი იყო. ვარაუდით ეს იყო პითაგორა (ან შესაძლოა ჰერაკლიტე ეფესელი). მან ცალ-ცალკე არსებული ეს ორი სიტყვა: თიფია და Փილია შეაერთა, სამარადუამოდ შეაუღდა. ჩვენ არა ვართ ბრძენნი, ჩვენ მხოლოდ სიბრძნის მოყვარენი ვართ – უთხრა მან თავის თანამოაზრებსა და მოწაფეებს.

ეს მოხდა ძვ. წ. VI საუკუნეში. აქვე გავიხსენოთ, რომ სწორედ იქ და მაშინ იშვნენ სიტყვები: გეომეტრია, პოლიტიკა, დემოკრატია, მუსიკა და სხვა. მაშასადამე ბერძნული სიტყვა „ფილოსოფია“ არის ჩვენი, დამწყები ფილოსოფოსების გზის მაჩვენებელი, რომელსაც მივყვებით და იმედი გვაქვს ამ სიტყვის ქარაგმა რამეს გვაპოვნინებს.

ფილოსოფია ბერძნულია არა მარტო თავისი წარმოშობით, არამედ შეკითხვის დასმის წესითაც. აზროვნება კი სხვა არაფერია თუ არა შეკითხვების დასმისა და მათზე პასუხის ძიების უნარი. ფილოსოფია არის აზროვნების თავისებური წესი, რომელიც საბერძნეთში წარმოიშვა.

კითხვა ფილოსოფიის რაობის შესახებ, ყოველთვის ხელახლა განსამარტავი რჩება. სიტყვა „სიბრძნის მოყვარე“ იმ რიგის სიტყვაა, როგორიცაა სიტყვები: პატივმოყვარე, ვერცხლისმოყვარე და ა. შ. ე. ი. ფილოსოფოსი

არის კაცი, რომელსაც სიბრძნე უყვარს, ვინც მასთან მეგობრობს, მასთან თანხმობაში იმყოფება.

სიტყვა „ბრძენი“, ქართულ ენაში „ბერძენს“ უკავშირდება. ქართული სიტყვა „ბრძენი“ გვეუბნება, რომ ბრძენი ბერძენთა წესით მოაზროვნეა. ხოლო ამგვარი აზროვნება არის თვით სიცოცხლის ზეიმი და ცხოვრების აზრი. სამი უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი, – სოკრატე, პლატონი და არისტოტელე ასწავლიდნენ, რომ ფილოსოფია არის მზადება, წვრთნა, ტრეინინგი მარადიული სიცოცხლის ზეიმისათვის. ბერძნებმა სამყაროს პირველმიზეზს მიაწერეს სიცოცხლე და თვითმოძრაობა. ეს შეხედულება გაავრცელეს ზნეობრივ და პოლიტიკურ სფეროზე.

ბერძნებში სამყაროს იდუმალება გაოცებას იწვევდა, მათ შორის გამოირჩენ კაცები, რომლებმაც შეაბიჯეს გაოცებით გახსნილ თვალსაწიერში და შეუდგნენ ძიების ლტოლვით, ეროსით, ეროტიკით შთაგონებულ საქმიანობას.

ჩვენ ვერაფერს გაუგებთ სიტყვა „ფილოსოფიას“ თუ არ გავითვალისწინეთ ძველი საბერძნეთის განმსაზღვრელი ორი ფაქტორი: ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო, პოლისი და მისტერიები, მისნობა, ჯადოქრობა, უკვდავ ოლიმპიელ ღვთაებათა კულტი. პოლისის შესახებ ჩვენ ისტორიიდან ვიცით, რომ ეს იყო მონათმიფლობელური დემოკრატია, თავისუფალ მოქალაქეთა არჩევანზე დამყარებული საჯარო დაწესებულებების მმართველობა. ათენის მოქალაქეთა ყურადღებას იქცევდა ერთ უცნაური კაცი სოკრატე, რომელიც ამბობდა: „მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. ის დადიოდა ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე და ყველას იწვევდა ჭეშმარიტების შესახებ კამათში.

ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ათენის მოქალაქენი დელფოს სამისნოს მიმართავდნენ ხოლმე. სოკრატეს შესახებაც დელფოს მისანს ჰქითხეს: ვინ არის სოკრატეზე ბრძენი? მისანმა ღვთაებათა ჩაგონებით უპასუხა: არავინაა ამ ქვეყნად სოკრატეზე ბრძენი!

არის თუ არა ეს თვით ღვთაება აპოლონის პასუხი? მიუხედავად იმისა, რომ სოკრატეს სწამის უკვდავთა არსებობა, ის მაინც ცდილობს გამოიძიოს პასუხის ჭეშმარიტება. ის ცდილობს იპოვოს თავისზე ბრძენი. ამ ძიებაში მიხვდება, რომ მისნის პასუხი ჭეშმარიტია და ღვთიური სფეროებიდან მომდინარეობს. სოკრატე სხვებზე ბრძენია, იმიტომ, რომ მან არაფერი იცის, მაშინ როდესაც სხვებს ჰგონიათ, რომ რაღაც იციან. მიუხედავად იმისა, რომ სოკრატეს არც ერთი ღვთაება არასოდეს დალაპარაკებია, (შესაძლოა ამიტომაც) საკუთარი და სხვების სიბრძნეს გამოცდას უტარებს ე. ი. ფილოსოფოსობს. და ამ საქმეში წვრთნას სთავაზობს ყველას, ვინც ამას მოისურვებს. სოკრატული გაკვეთილები ტარდება უშუალოდ ქუჩებში, მოედნებზე, ბაზრობებზე, ნადიმებზე, სტადიონებზე. ესაა ფილოსოფოსის მისია. ამ მისიის შესრულება სასიკვდილო საფრთხეს შეიცავს. იმის გაგება, რომ მისი ცოდნა სინამდვილეში არცოდნაა, ბევრ პატივცემულ მოქალაქეს არ სიამოვნებს. მათ სასამართლოში უჩივლეს სოკრატეს.

სოკრატე ათენის სასამართლომ გაასამრთლა ორი მუხლით: უღმერ-თობა და ახალგაზრდობის გარყვნა. სასამართლომ სოკრატე დამნაშავედ ცნო და სიკვდილით დასჯა მიუსაჯა საწამლავის შესმით. 399 წელს 70 წლის სოკრატემ სიკვდილმისჯილთა საკანში საწამლავი დალია.

სოკრატე არ წერდა, არაფერი დაუწერია. ის თვლიდა, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში, კითხვა-პასუხში, დიალოგში, კამათში იბადება ჭეშ-მარიტება. ამიტომ უარი უნდა ვთქვათ ჩლუნგ მონოლოგურობაზე და გა-ვაცნობიეროთ ჩვენი არცდონა. მცოდნე ცოდნის მოსაპოვებლად აღარ იზ-რუნებს.

## §2. ჩვენ დამწყები ფილოსოფოსნი

„ბუნებით ყველა ადამიანი შემეცნებისაკენ ისწრაფვის.“

არისტოტელე

სიტყვა „ფილოსოფიამ“ უკვე რაღაც შეგვატყობინა ჩვენი საგნის შეს-ახებ. ახლა კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ.

როგორც პირველი ფილოსოფოსები გვირჩევდნენ ჩვენ, დამწყებ ფი-ლოსოფოსებს არაფერი გვჭირდება გარდა იმისა, რომ გვქონდეს გაკ-ვირვების უნარი.

ჩვენი ხედვის არეში უკვე შემოსულია ფილოსოფიის პირველი დიდი სამეული: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე. სიტყვა გადავცეთ არისტო-ტელეს.

„ეს მეცნიერება არ არის პრაქტიკული ხასიათის, ამას ცხადჰყოფს იმათი მოძღვრება, რომებმაც პირველად დაიწყეს ფილოსოფოსობა. ადამიანები კი როგორც თავიდან, ისე ახლაც გაკვირვების შედეგად იწყებენ ფილოსოფოსო-ბას... როგორც ჩანს გაკვირვებას იწვევდა ყოველივე ის, რისი მიზეზიც უცნობი იყო, ანდა რაც ვერ იზომებოდა უმცირესი საზომებით.“

(არისტოტელე, მეტაფიზიკა)

ჯერ აკვირვებდათ რაც ხელით შესახებია. ცეცხლში რომ თითი ჩაყო დაგეწვება, მაგრამ რატომ? რა მიზეზით? შემდეგ აკვირვებდათ შორეული საგნები ... „ვარსკვალებით მოქედილი ცა ჩემს ზემოთ“ და მის მიღმაც, შორეთს იქითა შორეთი. ისევ არისტოტელეს მოუსმინოთ:

„ვისაც უკვირდა მან ისიც იცოდა რაც არ იცოდა, ... ამრიგად ფილოსო-ფოსობა დაიწყო უცოდინარობის თავიდან ასაცილებლად და ცხადია ცოდნას ეტანებოდნენ შემეცნების და არა რაიმე სარგებლის გამო.“ (მეტაფიზიკა)

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფილოსოფია არის ადამიანის საქმე ყველა პი-რობასა და ვითარებაში. ადამიანი მოფილოსოფოსე არსებაა.

„ფილოსოფოსობა ადამიანის საქმეა, ე. ი. უფრო მაღალ საფეხურზე იგი აღარ იქნებოდა საჭირო, ხოლო უფრო დაბალ საფეხურზე ჯერ კიდევ არ იქნე-

ბოდა აუცილებელი. ამიტომ ფილოსოფოსობა ეხება და ემთხვევა ადამიანურს. “ (შ. ნუცუბიძე, ფილოსოფია და სიბრძნე)

თავისუფალი მხოლოდ ღმერთები არიან! – ასე სწამდათ ბერძნებს. იმიტომ, რომ მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს ბრძენი, ანუ „თავისთავად ცოდნის“ მქონე, მაშასადამე ფილოსოფია არის თეოლოგია, – ღვთაებრივი მეცნიერება.

არისტოტელე ნათლად ამბობს: „როგორც თავისუფალს ვუწოდებთ ადამიანს, რომელიც არსებობს თავისი თავისათვის და არა სხვისთვის, ასევე ცოდნათა შორის ერთადერთ თავისუფალ ცოდნად ვთვლით მხოლოდ იმას, რომელიც არსებობას თავისთვის. ამიტომ ითვლება მისი მოპოვება არაადამი-ანურ საქმედ ... რადგან ჩვენი აზრით, ღმერთია ყველაფრის მიზეზი და რაღაც საწყისი, ამიტომ ასეთი მეცნიერება ან მხოლოდ ღმერთს, ან ყველაზე უფრო ღმერთს შეიძლება ჰქონდეს“. (არისტოტელე, მეტაფიზიკა)

მაშასადამე ფილოსოფია არის ღმერთების მეცნიერება, განმათავისუ-ფლებელი გზა, და ამიტომ უფრო მეტია, ვიდრე სიმდიდრე, ძალაუფლება და თვით სიცოცხლეც კი. ამით არისტოტელემ აგვისენა ფილოსოფიის რო-გორც გამორჩეული მეცნიერების „ბუნება და მიზანი, რამაც უნდა განსაზ-ღვროს ჩვენი კვლევა-ძიების მიმართულება“

რაც არისტოტელემ გვასწავლა, მევავსოთ მისი დიდი მასწავლებლის, პლატონის სწავლებით. ჩვენ შეიძლება გაგვიგონია ძალზე გავრცელებუ-ლი გამოთქმა „პლატონური სიყვარული.“ ეს არის შემეცნებითი ეროტიკა, სულის ლტოლვა ხორციელის მიღმა მარადიული იდეალური სახეებისაკ-ენ, რომელსაც პლატონი იდეებს (Eidos) უწოდებდა. ეს „ეროსი“ არის აზ-როვნების სტიქია, სიცოცხლის უზენაესი ღვთიური საფეხური. ამგვარად პლატონისებური ფილოსოფია ვეღარ ეტევა თავის საზღვრებში და რელი-გიაში (განწმენდა, ხსნა) და პოლიტიკაში (ქცევა) გადადის.

ჩვენ გვახსოვს პითაგორა, „გეომეტრიის მამა“, რომელიც ფიქრობდა, რომ მსოფლიო ჰარმონია, რიცხვთა თანაფარდობა მუსიკალური მელო-დიის მსგავსია. კოსმიური მუსიკის მოსმენა კი მისტერიაა. პითაგორამ შე-ქმნა დახურული სკოლა, განდობილთა საიდუმლო სექტა, – სადაც მათემა-ტიკა და გეომეტრია გაერთიანდა მისტერიებთან. ჩვენ დაგვჭირდა სიტყვა მისტერია. განვმარტოთ იგი: ბერძნულად ნიმნავს დაფარულს, იდუმალს. ამ სიტყვით აღინიშნებოდა ხელდასმული, რჩეული, განდობილი (ინიცია-ცია), საიდუმლო მოძღვრებათა თანაზიარი. პლატონიც გატაცებული იყო მსოფლიო ჰარმონიის იდეით. ის ოცნებობდა იდეალურ სახელმწიფოზე, სადაც ფილოსოფოსი იქნებოდნენ მმართველნი.

ნამდვილი სოკრატელის გზა არის უწყვეტი ძიება, განწმენდა, თვითა-ნალიზი თავისი თავისა, რათა დაიმორჩილოს ვნებები, გაითავისუფლოს სული (გონება), ამალლდეს გრძნობად სამყაროზე, დაიბრუნოს წმინდა ფორმათა ცნობიერება და ამგვარად მოემზადოს მარადისობაში დასა-ბრუნებლად. სიკვდილის ტრეიინგით („წვრთნა სიკვდილისა“), ხანგრძლი-

ვი არსთაჭვრეტით, მედიტაციით (ფიქრით) აზროვნება ემზადება თავისივე სტიქიაში, წმინდა აზრთა ანუ იდეათა სამეფოში დასაპრუნებლად.

„ჯეშმარიტი ფილოსოფოსნი სიკვდილისათვის ზრუნავენ მხოლოდ და კაც-თა შორის ყველაზე ნაკლებად უფრთხიან მას.“ (პლატონი, ფედონი)

ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთგარდამავალ ხასიათს შეესაბამება პლატონის თხზულებათა სტილი. პლატონის დიალოგები შედგება სამი მხარისაგან: ფილოსოფიური, პოეტური და რელიგიურ-მითოსური. ვინც ამას ჯეროვნად არ გაითვალისწინებს, ის ვერაფერს გაუგებს პლატონს. პლატონი ყვება ორი ენით: ლოგიკურით და მითოსურით და ორივეს პოეტური ფორმით გამოთქვამს. ეს თანხმობაშია ელინურ მისტერიებთან, მისნობა-ჯადოქრობასთან, რაც იმუამად ყვავოდა საბერძნეთში. ფილოსოფოსთა საუბრებში ყველაზე ხშირად გაისმის ფრაზა: „ო, ვფიცავ ზევსს“.

ანტიკურ ეპოქაში ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო სულის უკვდავების დასაბუთება. პლატონის „ფედონი“ გვაცნობს სოკრატეს ცხოვრების უკანასკნელ დღეს. ამბავი მოთხოვობილია თვითმხილველის, ფედონის პირით.

საპყრობილები, სიკვდილის დასჯის მოლოდინში სოკრატე ატარებს ფილოსოფიური მედიტაციის გაკვეთლებს. სული – სოკრატეს მიხედვით – გარედან კი არ იღებს ცნებებს, არამედ იხსენებს შობამდელ არსებობას მარადისობაში. ცოდნა არის მოგონება (ბერძ. ანამნეზისი). რაკი ადამიანის სული შობამდე არსებობდა, მაშასადამე ის იარსებებს სიკვდილის შემდეგაც.

სულის უკვდავების დასაბუთება გონების თანხმობილი იდეების საფუძველზე იძლევა სარწმუნო ცოდნას იმის შესახებ, რომ სიკვდილის შედეგ შესაძლებელია შეხვდე მარადისობის ბინადრებს; განიცადო ნეტარება ან ტანჯვა, იმის მიხედვით, თუ როგორ იცხოვრე სააქაოში – ზრუნავდი სულის სიწმინდეზე ზნეობრივი ქცევებით, თუ სხეულს ემსახურებოდი და ცხოვრობდი თავაშვებული, უზნეო ვნებების კარნახით.

„ფედონში“ სულის უკვდავების სხვა არგუმენტებიც არის მოყვანილი. ზოგიერთი მათგანი ლოგიკური ფიგურების სახით შეიძლება გადმოიცეს.

არგუმენტი 1. ყოველი სუბსტანცია მარადიულია;  
სული არის სუბსტანცია

მაშასადამე სული მარადიულია.

არგუმენტი 2. მარტივი მოუსპობადია (უხრწნელია)  
სული მარტივია (არ არის შედგენილი).

მაშასადამე, სული მოუსპობადია

არგუმენტი 3. უზენაესი ღირებულება მარადიულია.

სული არის უზენაესი ღირებულება

მაშასადამე სული მარადიულია.

სულის უკვდავების არგუმენტები და მოგონების თეორია გონებით მოპოვებული ცოდნაა, მაგრამ აქ თავდება მისი მიჯნა, ამის იქით გონება ვერ წავა და ამიტომ მოითხოვს კოორდინაციას მისტერიების სიბრძნესთან, რომ-ლებიც წინასწარმეტყველთა და პოეტთა გადმოცემით შეიძლება ვიცოდეთ.

სოკრატე მონაფებს უყვება მისი სულის შესაძლო თავგადასავალს სიკვდილის შემდეგ. როგორ გამოვა სული სხეულიდან და აჩრდილოვან არსებობას გააგრძელებს ჰადესში, მიწისქვეშეთში; როგორ მოხდება სულის პერიოდული გარდასახვები (რეინკარნაციები), ახალ-ახალ სხეულთა შემოსვები, და მათგან კვლავ განთავისუფლებები. ძნელია დაადგინო სულთა გარდასახვების შესახებ ამ უძველესი რწმენის სადაურობა. შესაძლოა ის ინდოეთის ან ეგვიპტის ქურუმთა მიერ იქნა ჩამოყალიბებული და შემდეგ გავრცელებული საბერძნეთში. მაგრამ სოკრატე იქვე ამბობს, რომ ეს მითოლოგიური მოთხოვები გონების სამსჯავროსათვის მხოლოდ ვარაუდებია:

„იმის დაქინებით მტკიცება, რომ ყველაფერი ეს მართლაც ასეა როგორც მე დაგიხატეთ, რა თქმა უნდა, არ შეჰქერის გონიერ კაცს. მაგრამ თუ სული მართლაც უკვდავია, მას დიალაც შეჰქერის და მართებს კიდეც ამტკიცოს, რომ ყველაფერი რაც ჩვენ სულებს შეეხება და მათ სავანეთ, მხოლოდ ასე, ან დაახლოებით მაინც ასეა.“ (პლატონი, „ფედონი“)

ჭეშმარიტების ბერძნული გაგება გამოხატული სიტყვა Aleteia-ში, (რაც დაფარულის გამოჩენას ნიშნავს) გულისხმობს სიცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთგახსნილობას, ამგვარ ჭეშმარიტებას შევყავართ სიკვდილ-სიცოცხლის ერთიან პოზიტიუმში. აქვე აღსანიშნავია „სიბრძნის“ თავისებური გაგებაც.

მწერალი გრიგოლ რობაქიძე ფიქრობდა, რომ სიბრძნის (Sofia) ქართული შესატყვისია „კარდუ“. ესაა არამატერიალური თაურმდგენი (გერმ. „ურკებერ“), პირველმდგენი ცოცხალი ღვთაება, კრებული პიროვნება, რომელიც უფრო ღრმად აზროვნებს, ვიდრე ნებისმიერი, თუნდაც გენიალური ადამიანი. ფილოსოფოსობა კი არის „საუბრები კარდუსთან“.

მართლმადიდებელი თეოლოგები ბევრს ფიქრობდნენ „წმინდა სიბრძნეზე“ („აგიო სოფია“). ბიზანტიიში და რუსეთში აგებდნენ წმინდა სიბრძნის სახელობის ტაძრებს. წმინდა სიბრძნე არის ქმნილებასთან ღმერთის დამაკავშირებელი სამყაროს სული. ზოგიერთი განმარტებით მისი სახეა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, სამყაროს დედობრივი მფარველი.

პლატონური ფილოსოფოსობის გზა, გამარტივებული სქემაში ასე გამოიყურება:

- სული თავდაპირველად იმყოფება მშობლიურ სახლში, სამოთხეში, სადაც ის პირისპირ ჭვრეტს არსებულთა წმინდა ფორმებს, სახეებს, მოდელებს, იდეებს.
- ამნეზია. (დავინყება) სული სხეულით იმოსება და

პირველწელისთან მოწყვეტის გამო ავიწყდება სამშობლო, თუმცა ანუხებს ნოსტალგია, ანუ სევდა დაკარგული სამშობლოსადმი.

- ანამნეზისი. გახსენება, მოგონება პირველადი სამშობლოსი ანუ გაღვიძება, ხელახლა შობა უცნობ, ფარულ სამშობლოში. ჩემი ყოველდღიური „მე“ უნდა გადაილახოს, რათა იშვას ჩემი „კოსმიური მე“.

ჩვენ, დამწყებმა ფილოსოფოსებმა უკვე ვიცით, რომ პლატონის აზრით, მხოლოდ ის იმსახურებს ნამდვილი ფილოსოფოსის სახელს, ვინც ამ გზას გაივლის.

### დ3. ფილოსოფიის სამი ასაკი

ჩვენ უკვე გავეცანით, ასე ვთქვათ, ფილოსოფიის დაბადების მოწმობას. ახლა გავეცნოთ მისი ცხოვრების გზას, მოვიხილოთ ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქები. ხშირად ამ „ეპოქებს“ ადარებენ ადამიანის ცხოვრებას სხვადასხვა ასაკში. სახეზე გვაქვს სამი ეპოქა – ასაკი:

- ანტიკა – „ბერძნები-გენიალური ბავშვები“ – ფილოსოფიის ეს „ასაკი“ 1000 წელს გაგრძელდა (ძვ. წ. V – ახ. წ. V. ს. ს.).
- სქოლასტიკა – სასკოლო ასაკი (ახ. წ. VII-XIV).
- განმანათლებლობა – სრულწლოვანების, ზრდასრულობის, სიმწიფის ასაკი (XVII-XVIII ს. ს.). მას წინ უძლოდა რენესანსი, მას „კაცობრიობის სიჭაბუკეს“ უწოდებენ.

არც ერთი ეპოქა არ არის მხოლოდ კარგი ან მხოლოდ ცუდი. ყველას მოექებნება თავისი „ნათელი და ბნელი მხარეები.“

#### არჩევანი გზაგასაყარზე

დასრულდა ანტიკურობა, რომელშიც ათენი იყო ფილოსოფიის მსოფლიო დედაქალაქი. აღზევდა ახალ რელიგიის დაბადების ადგილი, იერუსალიმი, რომელიც გამოხატავს ბიბლიურ წინასწარმეტყველთა სიბრძნის აღზევებას და ზეიმს. წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს უშუალოდ გამოეცხადა და დაელაპარაკა ცოცხალი ღმერთი. ესაა მათი „ახალი სიბრძნის“ წყარო. არც სოკრატეს, არც პლატონს, არც არისტოტელეს ღმერთი არ დალაპარაკებია. ისინი გაკვირვებისგან აღძრული ძიების გზას ადგნენ.

ჩვენ, როგორც დამწყები ფილოსოფოსები, ახლა გზაგასაყარზე აღმოვჩნდით. არჩევანი უნდა გავაკეთოთ ათენსა და იერუსალიმს შორის. მაგრამ ჩვენ ღია ვართ ორივე ქალაქის მიმართ, გვსურს ორივეს თვალი გავუსწოროთ, ორივეს მოვუსმინოთ. მე-5 საუკუნიდან დაიწყო პროცესი, რომელსაც ეწოდება ფილოსოფიის ქრისტიანიზაცია და ქრისტიანობის

ელინიზაცია. პლატონი და არისტოტელე რჩებიან მრავალი ქრისტიანის შთაგონების წყაროდ. ასევე გრძელდება ფილოსოფიური პრობლემების კვლევა და სწავლება.

„თავდაპირველი ბერძნული არსი ფილოსოფიისა თავისი მოღვაწეობის ახალდროინდელ – ევროპულ ეპოქაში ხდება ქრისტიანობის წარმოდგენათაგან დაუფლებული და მათ მიერ წარმართული. ამ წარმოდგენათა გაბატონებას შეუსაუკეთესობა შეუწყვეს ხელი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ფილოსოფია ამის შედეგად ქრისტიანული ხდება, რომ ის გადაიქცევა რწმენად გამოცხადებისა და ეკლესიის ავტორიტეტისადმი.“

(ჰაიდიგერი, რა არის ფილოსოფია)

### ფილოსოფია როგორც პრეთეოლოგია

ქრისტიან თეოლოგთა აზრი ორად გაიყო, ნაწილი ამტკიცებდა, რომ რწმენას არ სჭირდება ფილოსოფიური არგუმენტები, ხოლო მეორე ნაწილის აზრით „გვნამს რათა გავიგოთ“, მათ „ათენისა და იერუსალიმის“ თანხმობა სურდათ. გავრცელდა აზრი, რომ არისტოტელე და პლატონი ისეთივე წინამორბედნი არიან ქრისტესი ბუნების საკითხებში, როგორც იმანე წათლისმცემელი სარწმუნოების საკითხებში. არაბმა სწავლულებ-მაც დაიწყეს მტკიცება, რომ არისტოტელეს წიგნებშიც იგივე სწერია, რაც ყურანში. ბევრი ებრაელი სწავლულიც ფიქრობდა, რომ მოსე წინასწარმ-ეტყველი და პლატონი ერთი და იგივეს ამბობდნენ სხვადასხვა სახით. პლატონიზმი და არისტოტელიზმი გავრცელდა ქრისტიანული, ისლამური და იუდაისტური რელიგიების საფარქვეშ.

გაიმარჯვა აზრმა, რომ ანტიკური ფილოსოფია არის გამოცხადების მოსამზადებელი პრეთეოლოგია. წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი (150-215 წ.წ.) ქმნის თეორიას ქრისტიანული კაცობრიობისათვის ანტიკური ფი-ლოსოფიის მნიშვნელობის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, ფილოსოფიაში მოცემულია ღვთიური ჭეშმარიტების მარცვლები. ელინთა სიბრძნე იყო ღვთის სიბრძნის გადმოღვრა ადამიანის გონებაში (დიანოია). პლატონი და სხვა ელინი მოგზაურები პალესტინაში და ეგვიპტეში ებრაელ რაბინებს შეხვდნენ და მათი წყალობით გაიცნეს ძველი ალთქმის წიგნები. პლატონმა ბევრი რამ იქიდან აიღო ისე, რომ წყარო დამალა, ელინებს რომ უცხო რელიგიის ქადაგება არ დაებრალებინათ. წმ. კლიმენტი ამის გარდა სხვა წყაროზეც მიუთითებს. სიბრძნის მარცვლები ელინებს დაცემულმა ანგელოზებმაც გაუმსილეს, რაც საღვთო ნებას არ დაუბრკოლებია. სოკრატე მართლაც ახსენებს რაღაც შინაგან დემონებს, რომელთა კარნახითაც ფილოსოფია მიმდინარებდა. მაგრამ ელინთა სიბრძნე მაინც არაბიბლიური სიბრძნეა, რომელშიც ჭეშმარიტების მარცვლები შერეულია ცდომილებებთან, ცრუ სიბრძნესთან.

„ფილოსოფია პედაგოგობდა ელინებს ქრისტესკენ, ისე როგორც ებრაე-ლებს მოსეს რჯული და ძველი ალთქმის წინასწარმეტყველთა წიგნები.“ (კლი-მენტი ალექსანდრიელი, სტრომ ატები).

## განმანათლებლობა

### ფილოსოფიის სიმნივების ატესტატი

რენესანსი – „კაცობრიობის სიჭაბუკის ასაკია“. ამ ეპოქის ფილოსოფიას შემორჩენია ჭაბუკური ენთუზიაზმი და მოწინება იდუმალების, ღვთაებრივის წინაშე. მოაზროვნენი ფიქრობენ, რომ ღმერთმა ორი წიგნი დაწერა: ბუნება და ბიბლია. ორივე კარგია, მაშასადამე ჭეშმარიტებაც ორგვარია: ღვთაებრივი, რომელსაც ეკლესია ფლობს, და ბუნებრივი, რომელსაც მეცნიერება ფლობს. ორივე ავტონომიურია, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. შემდეგ დადგა ზრდასრულობის ჟამი – განმანათლებლობა (XVII-XVIII ს. ს.).

1784 წელს იმანუელ კანტის დაუსვეს კითხვა: რა არის განმანათლებლობა? კანტიმა უპასუხა:

„განმანათლებლობა – ესაა ადამიანის გამოსვლა უმწიფობიდან, რომელიც მისივე ბრალია. უმწიფარობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმარო. უმწირფარობა საკუთარი თავის ბრალია მაშინ, როცა მიზეზი საკუთარი განსჯის ნაკლულოვანებაში კი არა, გადაწყვეტილებისა და სიმამაცის არქონაში დევს. *Sapere ude!* გაბედე საკუთარი განსჯის გამოყენება – ესაა განმანათლებლობის ლოზუნგი.“

(ი. კანტი, რა არის განმანათლებლობა?)

გონებამ გადააგდო უმწიფარობის უღელი, გადალახა სიზარმაცე და სილაჩრე, რაც დანაშაულია ადამიანის ბუნების წინააღმდეგ, „კაცობრიობის წმინდა უფლებების ფეხით გათელვა“ და გაბედა თავისუფლება.

ჩვენ უკვე ვიცნობთ ანტიკური ფილოსოფიის დიდ სამეულს – სოკრატეს, პლატონს და არისტოტელეს. ეხლა დროა გავიცნოთ განმანათლებლობის დიდი სამეული: რენე დეკარტე, ფრენსის ფეკონი და იმანუელ კანტი, რომელბიც ახალი ევროპის შემქმნელი სამი ერის – ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენლები არიან.

რენე დეკარტი (1591-1649) შემეცნების ნულოვან საწყისს, აზროვნების თვითდაფუძნების უეჭველ წერტილს ეძიებდა და იპოვა: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“. (Cogito ergo sum). ეს ეპოქის დევიზი გახდა.

ფრენსის ბეკონი (1561-1626) გამოცდილების ფილოსოფიის (ემპირიზმის) ფუძემდებელია. ადამიანის გონება არის სუფთა დაფა (tabula rasa), რომელზეც გამოცდილება (ექსპერიმენტი და დაკვირვება) წერს ცოდნას. ასეთი „ცოდნა ძალაა“. ეს განმანათლებლობის მეორე ეპოქალური დევიზია. ბუნების მეცნიერული ცოდნა საშუალებას გვაძლევს ჩავერიოთ ბუნებაში, ბუნების ძალები იარაღად, მანქანად, ტექნიკად ვაქციოთ. ასეთ ტექნიკად იქცა ორთქლის, ელექტრონის, ატომის, გენომის ძალები. „ატომის საუკუნე“ ადგილს უთმობს გენეტიკისა და ტექნოლოგიების, სიცოცხლის ნებისმიერი მოდელირების საუკუნეს.

იმანუელ კანტმა (1720-1804) მოახდინა „კოპერნიკისებური გადატრიალება“, ალმოაჩინა, რომ სამყარო კი არ უწესებს აზროვნებას კანონებს,

არამედ პირიქით, კანონმდებელი თვითონ გონებაა. ამ აღმოჩენით გან-  
მანათლებლობა ხდება ჰუმანიზმი. ეს ორი სიტყვა ამიერიდან განუყრელია.  
ჰუმანიზმი არის ადამიანის ძალაუფლების გავრცელება მთელ ბუნებაზე,  
გონების ყოვლისშემძლეობის რწმენა.

განმანათლებლობა „დიადი გარდაქმნაა“, შეიცვალა ფილოსოფიის  
საწყისი, – გაოცება. გაოცება ბავშვს ახასიათებს, ძველი ბერძნები „გე-  
ნიალური ბავშვები“ იყვნენ. ბავშვი არმცოდნეა და გულუბყვრილო. ზრ-  
დასრულს კი აღარაფერი აოცებს, რადგან ის უკვე მცოდნეა – ახალმა  
მეცნიერებამ ხომ ბუნების კანონები აღმოაჩინა, რომლებიც ბერძნებმა არ  
იცოდნენ, მათ არც ტელესკოპი ჰქონდათ, არც ქვემეხი, არც ორთქლის  
მანქანა, არც სტამბა, არც ენციკლოპედიები, რომლის 28 ტომი გამოიცა  
საფრანგეთში 1751-1772 წლებში. – ასე ფიქრობდნენ განმანათლებლობის  
ფილოსოსფოსები. მთავარი, რაც ამ ეპოქაზე გავიგეთ ისაა, რომ აზროვნე-  
ბა აღარ არის გაოცებით შთაგონებული. მე-18 საუკუნეში გავრცელდა  
ტერმინი „ევროპული კაცობრიობა“, როგორც კაცობრიობის განვითარების  
ნიმუში, იდეალი, უმაღლესი და უკანასკნელი საფეხური. 1790 წელს კანტ-  
მა დაწერა ტრაქტატი „მარადიული მშვიდობის შესახებ“, საღაც გონების  
წესრიგი გავრცელა პოლიტიკაზე. ისტორია მთავრდება საერთაშორისო  
შეერთებული შტატების შექმნით.

„ძველმა აღმოსავლეთელებმა ჯერი კიდევ არ იციან, რომ გონი, ანუ ადა-  
მიანი თავისითავად, თავისუფალია... ამით მათ მხოლოდ ის იციან, რომ ერთი  
ადამიანი თავისუფალია. ის ერთი კაცი, რომელიც თავისუფალია, ამით მარ-  
ტოოდენ დესპოტია და არა თავისუფალი კაცი... ბერძნებშილა ამოანათა თა-  
ვისუფლების ცნობიერებამ და ამიტომაც ისინი თავისუფალნი იყვნენ. მაგრამ  
მათაც, რომელთა მსგავსად, მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ზოგიერთნი თავისუ-  
ფალნი არიან, და არა ის, რომ თავისუფალია ადამიანი, როგორც ასეთი. ამი-  
ტომაც იყო, რომ მონები ჰყავდათ... მხოლოდ გერმანელმა ერებმა მიაღწიეს  
ქრისტიანობის წიაღში შესულებმა იმის ცნობიერებას, რომ ადამიანი თავი-  
სუფალია, როგორც ადამიანი. მსოფლიო მდგომარეობის გამსჭვალვა ამ პრინ-  
ციპით და მისი ჩამოყალიბება ამ უკანასკნელის საფუძველზე ის გრძელი პრო-  
ცესი გახლავთ, რომელსაც თვით ისტორია შეადგენს.“ (გ. ჰეგელი, ისტორიის  
ფილოსოფია)

ჰეგელის მიხედვით, ამგვარად დამთავრდა მსოფლიო ისტორია. ასევე  
დამთავრდა ფილოსოფიის ისტორიაც. ის სიბრძნის სიყვარულიდან იქცა  
მეცნიერების სისტემად ანუ სიბრძნედ. ჰეგელმა მსოფლიო ისტორიისა და  
ფილოსოფიის დასარული გამოაცხადა 1830 წელს. ამის შემდეგ წამოიჭრა  
მტანჯველი კითხვები: ჩვენ რა ვენათ ვინც დასასრულის შემდეგ დავიბა-  
დეთ? ჩვენ, 21-ე საუკუნის ადამიანები ვკითხულობთ: სად ვიმყოფებით,  
განმანათლებლობის რომელ მონაკვეთში? ხომ არ ჩავარდა განმანათლე-  
ბლობის პროექტი?

1784 წლის 24 სექტემბერს კანტს დაუსვეს კითხვა: ვცხოვრობთ თუ  
არა ჩვენ განათლებულ საუკუნეში? კანტმა უპასუხა: „არა! მაგრამ ჩვენ

ვცხოვრობთ განმანათლებლობის ეპოქაში. ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია იქამდე, ... მაგრამ თუმც უმნიფარობიდან გამოსვლის ველი გაიხსნა“. შეგვიძლია ჩვენც, იგივე ვთქვათ დღსაც? განმანათლებლობა დაუსრულებელი პროექტია?

### **ფილოსოფიის დასასრული**

მთელი ფილოსოფიური ტრადიცია მე-19 საუკუნეში ფრიდრიხ ნიც-შემ შეაჯამა საგანგაშო სიტყვაში „ლმერთი მოკვდა“. მან გამოამუდავნა განმანათლებლობის ორაზროვნება და ჩრდილოვანი მხარეები, გამოხატა იმედგაცრუება, რომელიც მოჰყვა გონების ბატონობას. ნიც-შემ განმანათლებლობის დიდ ფილოსოფოსებს „დიდი მატყუარები“ უწოდა. მათ ისეთი ჯინი ამოუშვეს ბოთლიდან, რომლის მართვა მას უკვე აღარ შეუძლია. კაცობრიობა უკვე უძლურია საკუთარი ტექნიკური განვითარების წინაშე. ნიც-შემ იწინასწარმეტყველა ტექნოლოგიების ეპოქა, როცა ადამიანს გადალახავს ჯერ კიდევ უცნობი არსება, – ზეკაცი, ისევე როგორც თავის დროზე მაიმუნი გადალახა ადამიანმა. მანვე იწინასწარმერტყველა მე-20 საუკუნეში ტექნიკის ბობოქრობა, მსოფლიო ომები, მასების აღზევება, დიდი რევოლუციები, ტოტალიტარული სისტემები და ნიჭილიზმი, – ყველა ღირებულებათა გადაფასება.

ნიც-შემ შეიძლა, სიცოცხლე სულიერად დაავადებულებთა საავადმყოფოში დაასრულა, როგორც თვითონ ამბობდა, ვერ გაუძლო თავისივე აღმოჩენების სიმძიმეს.

### **დასასრულის შემდეგ**

გამოცხადებული დასასრულის შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ დამთავრდა არა საერთოდ ფილოსოფია, არამედ კლასიკური ფილოსოფია ანუ სისტემების პერიოდი. მე-19 საუკუნეში გავრცელებული ცნობა ფილოსოფიის დასასრულის შესახებ ჰქონდა შოუს ამბავს, რომელმაც ერთხელ გაზითში წაიკითხა რაღაც გაუგებრობის წყალობით პრესაში მოხვედრილი საკუთარი ნეკროლოგი. მწერალმა გაზეთის რედაქციას მისწერა: „ცნობა ჩემი გარდაცვალების შესახებ, ცოტათი გადაჭარბებულია.“

მხოლოდ უნივერსალური სისტემების აგების შემდეგ გამოჩნდა, გამოვლინდა აზროვნების ისეთი მხარეები, რომლებიც მანამდე არ ჩანდნენ. მე-20 საუკუნეში წარმოიშვა მრავალი ფილოსოფიური მიმდინარეობა, „ფილოსოფიური სკოლა“. ახლა შევეცადოთ გავიგოთ რა არის „ფილოსოფიური სკოლა“

# თავი II.

## სად ვისწავლოთ ფილოსოფია

### Homo academicus

#### §1. ფილოსოფიური სკოლები

##### **ტრადიცია და ინტერტექსტი**

დღიდი ფილოსოფიები საკუთარ ნაწარმოებებს ათეული წლების სწავლებისა და ფიქრის (მედიტაციის) შედეგად ქმნიან. მაგალითად ისიც იკმარებდა, რომ პლატონი მთელი ცხოვრება სოკრატეს მოწაფედ თვლიდა თავს, არისტოტელე 20 წელი სწავლობდა პლატონის აკადემიაში. ფილოსოფოსი მხოლოდ ფილოსოფიურ სკოლაში ყალიბდება.

რა არის ფილოსოფიური სკოლა?

ეს არის ტრადიცია, თაობათა ესტაფეტა, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. ყოველი ფილოსოფოსი წინამორბედის მხრებზე იდგა. ყოველ თაობას შეეძლო ეთქვა: ჩვენ ვართ გიგანტების მხრებზე შემდგარი ჯუჯები, რომელებიც სწორედ ამიტომაც უფრო შორს ვხედავთ, ვიდრე გიგანტები.

„ფილოსოფიის ისტორია გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა სახით მოვლენილი ფილოსოფიური მოძღვრებანი, წანილობრივ მხოლოდ ერთი ფილოსოფიაა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, წანილობრივ კი ის განსაკუთრებული პრინციპები, რომელთაგან თითოეული რომელიმე სისტემას საფუძვლად უდევს, მხოლოდ ერთი და იმავეს მთელის განშტოებები არიან. დროის მიხედვით უკანასკნელი ფილოსოფია ყველა წინამორბედი ფილოსოფიების შედეგია და ამიტომ ყველას პრინციპებს უნდა ძეიცავდეს, ამიტომ, თუკი იგი ყველაზე უფრო განვითარებულია, ყველაზე უფრო მდიდარია და ყველაზე კონკრეტული.“

(გ. ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება)

სხვანაირად, ტრადიცია არის „ინტერტექსტი“. წინამორბედთა და თანამოღვანეთა მიერ შეთხზული ტექსტები// თხზულებები მარტო ცოდნის პირველწყაროებსა და მისაბაძ ნიმუშებს კი არ წარმოადგენენ და მხოლოდ ურთიერთგავლენებთან და ურთიერთზემოქმედებასთან კი არ გვაქვს საქმე, არა! აქ რაღაც უფრო მეტია. აქ ტექსტთა ურთიერთშექმნა, ურთიერთშეთხვა ხდება, ამას ეწოდება ინტერტექსტი. როლან ბარტის აზრით:

„ყოველი ტექსტი ინტერტექსტია: მასში სხვა ტექსტები არსებობს სხვადასხვა დონეზე მეტად თუ ნაკელბად შესაცნობი ფორმით ტექსტებად წინარე კულტურისა და ტექსტებად გარემომცველი კულტურისა: თითოეული ტექსტი ახლებული ქსოვილია მოქსოვილი ძველი ციტატებისაგან“.

ერთი ფილოსოფოსის მიერ შეთხზული თხზულება საჭიროებს გაგებას, განმარტებას, განახლებას, გაცოცხლებას. ტექსტები განმმარტებელთა ხელში განიცდიან მუტაციებს, მეტამორფოზებს. ერთი ცნობილი შენიშვნით: მთელი დასავლური ფილოსოფია არის პლატონის ხელნაწერების არშიებზე მიწერილი სქოლიოები.

ცნობილია პითაგორას სკოლა, პლატონის აკადემია, არისტოტელეს ლიცეუმი. ელინიზმის ეპოქაში იქმნება „კასრის“, „ბალის“, „თაღის“ ფილოსოფირუი სკოლები. ზოგიერთი მათგანი 500, 600 ან 1000 წელსაც კი აგრძელებდა არსებობას. 451 წელს კეისრის ბრძანებით დახურეს ათენის ფილოსოფიური სკოლა. სკოლები უკვე მონასტრებთან განაგრძობენ არსებობას. ახ. ნ. VI საუკუნიდან ფილოსოფია გახდა აკადემიური შესწავლის საგანი და სასწავლო დისციპლინა.

XII საუკუნიდან შეიქმნა უნივერსიტეტები და აკადემიები ბიზანტიაში, იტალიაში და შემდეგ გავრცელდნენ ჩრდილოეთ ევროპაში. XI საუკუნეში გელათში შეიქმნა ფილოსოფიური აკადემია.

ბოეციუსმა V საუკუნეში დაწერა წიგნი მრავალმნიშვნელოვანი სათაურით „ნუგეში ფილოსოფიისაგან“. თუ გინდა მიიღო ნუგეში ფილოსოფიისაგან წადი სკოლაში. ეძებე თავშესაფარი სავანეში. სად ვეძებო? ეძებე კასრში, თაღეცეშ, ბალში, აკადემიაში, ლიცეუმში, უნივერსიტეტში. სკოლები ბევრია! სულ უფრო მკაფიოდ გაისმის ხმა: სკოლები ბევრია, მაგრამ სსნა მხოლოდ ეკლესიაშია.

ფილოსოფიას 600 წლის ტრადიცია ჰქონდა, როდესაც სამყაროში შემოვიდა შემოქმედი და განკაცდა. უფლის გამოცხადება, ქრისტესშობა, ჯვარცმა და აღდგომა მსოფლიოში გაავრცელეს თვითმხილველებმა, ქრისტეს მონაფეებმა, მოციქულებმა და შექმნეს ეკლესია.

პავლე მოციქული იყო ებრაელი, სახელად სავლე, მოსეს რჯულის აღმსარებელი და ელინური ფილოსოფიის მცოდნე რომაელი მოქალაქე, რომელიც თავიდან ქრისტიანებს დევნიდა, ვიდრე დამასკოს გზაზე არ მიიღო ზებუნებრივი გამოცხადება, ვიდრე საკუთარი სინდისის ხმით არ დაელეაპარაკა ქრისტე: საულ, საულ, რატომ მდევნი?“ ქრისტეს გამოცხადებამ შეცვალა სავლეს ცხოვრება. სავლე მოინათლა, ქრისტიანობის მგზენაპრე აღმსარებელი, ქადაგი და მოციქული გახდა. ეს ცვლილება გამოხატა სახელის შეცვლაში: იყო სავლე და გახდა პავლე.

„სავლეს შეეძლო პალვედ ქცეულიყო თავის განმარტოებული რელიგიურ ექსტაზში, მაგრამ მისი პავლედ დარჩენა მხოლოდ ქრისტიანული თემის კონტექსტში იყო შესაძლებელი, რომელიც პავლედ სცნობდა და ადასტურებდა მის „ახალ ყოფიერებას.“

(პიტერ ლუკმანი, თომას ბერგერი, „სინამდვილის სოციალური კონსტრუირება“).

პავლე მოციქულმა ახალი რელიგია იქადაგა ათენში – ფილოსოფიის ათასწლოვან მსოფლიო დედაქალაქში. იქ შექმნა პირველი ქრისტიანული

თემი – ეკლესია. მალე ეკლესიები შეიქმნა მთელ ელინურ სამყაროში: რომ ში, თესალონიკში, ეფესოში..... ამიერიდან პარალელურად არსებობდნენ ეკლესიები და ფილოსოფიური სკოლები.

ეკლესია არის ქრისტეს მისტიური სხეული, ქრისტეს სისხლისა და ხორცის თანამოზიარეთა საძმო, თანამეგობრობა (ევეკარისტული კომუნა), რომლის წიაღშიც ადამიანისა და ღმერთის თანამშრომლობით, ორი ნების, ორი ენერგიის შეერთებით ანუ სინერგიით ხდება ადამიანის განლმრთობა (თეოზისი).

### **დასავლური და აღმოსავლური სიბრძნის სკოლები**

ფილოსოფიური სკოლები იყო „ელინური სიბრძნის“ მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლეგიუმი, თემი, კომუნა. შეიძლება ვთქვათ, რომ ფილოსოფოსები იყვნენ ძველ ინდოელ ბრაჟმანთა და გურუთა (სიბრძნის მოძღვართა) თანაგვარი კასტა ევროპაში.

აზიაში დახურული კასტური წყობილება არსებობდა ათასწლეულთა განმავლობაში, რომელიც საბერძნეთში ფილოსოფიის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა და თითქმის ჩვენს დრომდე მოაღწია. ერთ-ერთ უმაღლეს კასტას შეადგენდნენ ბრაჟმანები, ქურუმები, რომელიც წმინდა სინრძნის წიგნებს კითხულობდნენ და ღვთიური სიბრძნის მფლობელებად ითვლებოდნენ. მხოლოდ მათი რჩევითა და კურთხევით განაგებდა ქვეყანას მმართველთა (შატრია) კასტა. ბუდამ და ბუდისტურმა სკოლებმა დაარღვიეს კასტური კარჩაკეტილობა აზიაში. ბუდამ დატოვა სიბრძნის მიღწევის ტექნინგა. ამ სკოლებში ნეოფიტები განჭვრეტას (მედიტაციას) ეძლეოდნენ, შეეძლოთ საკუთარი თავის სულიერი განწმედნა, გარდაქმნა, ზნეობრივი მოწიფულობიას საფეხურების (ინიციაციების ხარისხთა) გავლა; მორჩილების, ასკეტობის, სულიერი ვარჯიშებისა და ლოცვის გზით ცხოვრებისეული სატანჯველისაგან განთავისუფლება, შინაგანი გასხივოსნება და სრულ უშფერველობაში – ნირვანაში დავანება. ამიერიდან ყველას შეეძლო მიახლოებოდა უზენაეს სიბრძნეს, რომელსაც ბუდამ, ღვთიურმა მოძღვარმა მიაღწია და დაესრულებინა ან გონივრულად წარემართა სულიერ გარდასახვათა (ინკარნაციათა) ციკლი.

მიუხედავად მსგავსებისა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს დიდი განსხვავება სიბრძნის აღმოსავლურ და დასავლურ ანუ ელინურ სკოლებს შორის. აღმოსავლური სიბრძნე მაინც ეზოთერულ, ფარულ და გონებამიუწვდომელ იდუმალებაშია დავანებული. ბრაჟმანი, გურუ ამ იდუმალების მოციული, ნახევრად ღმერთი, კრიტიკისათვის შეუვალი ეზოთერიკი, (იდუმალებათ განდობილი), „გასხივოსნებული მასწავლებელი“, რაღაც უცხოპლანეტელის მსგავსი არსებაა.

დასავლური ტიპის ფილოსოფიურ სკოლაში კი მასწავლებლის პატივისცემა არ გადადის თაყვანისცემაში (კულტში). საპატიმროში სოკრატეს ჯალათმა შხამით სავსე თასი მიაწოდა. მოწაფეები კი არ ეშვებიან:

„სოკრატე, შენ გვტოვებ, ჩვენ რა გვეშველება უშენოდ, სადღა ვიპოვით შენნაირ სირბძნის ჯადოქარს?“

„საბერძნეთი დიდია, კებეს, – მიუგო სოკრატემ, – და, ალბათ, ასეთი ჯადო-ქებიც მოეძებნებიან მას. ეგეც არ იყოს, იცი რამდენი უცხო თესლი არსებობს ქვეყნად? და თქვენ გმართებთ ყველას ეწვიოთ, ყველგან გამოიკითხოთ, ყველ-გან ეძიოთ ეგ ჯადოქარი, ეძიოთ ძალ-ლონისა და სახსრების დაუზოგავად, რადგან უკეთესს რას მოახმართ სიმდიდრეს თქვენსას? და მერე, თვით თქვენ-შიც უნდა ეძიოთ იგი.“

(პლატონი, ფედონი)

დამფუძნებელთა ანუ „აზრის გიგანტების“ ავტორიტეტი ფილოსოფიურ სკოლებში ძალიან დიდია, მათ ქანდაკებას უდგამენ, მაგრამ მონაფები მათ არ უყურებენ როგორც მესიას. ყველამ იცოდა, რომ „აზროვნების მასწავლებელს იმით მივაგებთ პატივს, რომ ჩვენ თვითონ ვიაზროვნებთ.“ სიბრძნის კარი ღიაა ყველა მაძიებლისათვის, ეს იმას ნიშნავს რომ ღიაა თავისუფლების კარი.

„ველბერძნულ ფილოსოფიაში უნიკალური ფენომენია მოცემული, რო-მელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მის განსაცვიფრებელ თავისუფლებასა და შემოქმედებით ენერგიასთან. როგორ შეიძლება ამ ფენომენის ახსნა? ის, რაც უნდა ავხსნათ, არის ტრადიციის წარმოშობა. სწორედ ტრადიცია იწვევს და აქეზებს კრიტიკულ დისკუსიებს სხვადასხვა სკოლებს შორის. და რაც კიდევ უფრო მეტად განსაცვიფრებელია, ერთი სკოლის შიგნითაც კი არსად, პითაგორას სკოლის გარდა, არ გვხვდება სკოლა, რომელიც თავგანნირულად ცდილობდეს რაიმე დოქტრინის უცვლელად შენარჩუნებას. ამის ნაცვლად ვხე-დავთ ცვლილებებს, ახალ იდეებს, მოდიფიკაციებს და მასწავლებლის აშკარა კრიტიკას.“ (კ. პოპერი, რაციონალიზმის საწყისები)

მასწავლებლისა და მონაფის ურთიერთობის ფორმულა მოგვცა არის-ტოტელემ: „მიყვარს პლატონი, მაგრამ უფრო მეტად მიყვარს ჭეშმარიტე-ბა“. ყველა თაობის ფილოსოფოსებმაც, მათ შორის დამწყებმა ფილოსო-ფოსებმაც იციან, რომ „შეცდომა ადამიანური თვისებაა“. „გიგანტებს“ მოსწონდათ დამწყებთა კრიტიკული პათოსი და თვითონაც აღვივებდნენ მათში ამ სულისკვეთებას. ამ სკოლებში არ არსებობდა მხოლოდ მოძ-ლვარი და მხოლოდ დასამოძლვრი. ეს იყო თანასწორ თანამოსაუბრეთა თანამეგობრობა, მოძლვართა და დასამოძლვართა კოლეგიუმი. აზრთა ამგვარი წყობა და სიბრძნის მაძიებელთა ასეთი კოლეგიები, სწორედ ფი-ლოსოფიურ სკოლებში წარმოიშვა და განვითარდა. ის თვით ფილოსოფიის ბუნებიდან გამომდინარეობდა.

შევაჯამოთ რაც გავიგეთ სიბრძნის სკოლებზე. უკვე ვიცით რომ არსე-ბობს სამი განსხვავებული სახის სიბრძნის სკოლა: აღმოსავლური სკოლე-ბი, ელინური სკოლები და ეკლესია.

აღმოსავლური სკოლები თვითსრულყოფის საფეხურებრივი ტექნიკა, გასხვისაწება, ნირვანაში გაუჩინარება	ელინური (ფილოსოფიური) სკოლები იდეათა (Eidos) მჭვრეტელობა, გნოზისი//განბრძნობა	ეკლესია მადლისმიერი განლმრთობა// თეოზისი, ცდისული შეერთება პიროვნულ ლმერთთან
--	--	---

### პლატონის აკადემია

პლატონი სირაკუზის ტირანის მიწვევით მასთან მრჩევლად მუშაობდა, მაგრამ ტირანისა და ფილოსოფოსის მეგობრბობა არ შედგა. ტირანმა პლატონი დილეგში ჩააგდო და მონად გაყიდა. მონათა ბაზარზე ის შემთხვევით იცნო ერთმა ათენელმა მოქალაქემ და დიდი თანხა გაიღო მისი გამოსყიდვისათვის. მოგვიანებით პლატონის მოწაფეებმა და მეგობრებმა შეაგროვეს ფული რათა დაებრუნებინათ იმ კაცისათვის, მაგრამ მან უარი თქვა, ფული პლატონს გადასცა.

386 წელს, ამ თანხით პლატონმა ათენის გარეუბანში, აკადემოსის სახელობის ბაღში იყიდა სახლი და იქ გახსნა სკოლა, რომელსაც აკადემია ეწოდა. თვითონ პლატონი 30 წელზე მეტ ხანს იყო აკადემიის ხელმძღვანელი ანუ სკოლარქი. მოხუცებულობის უამს მემკვიდრედ შეარჩია თავისი დისწული სპეციაპე (დაახ. ძვ. წ. 409-339), რომელიც რვა წელიწადი იყო სკოლარქი. მისი გარდაცვალების შემდეგ აკადემიის მესამე სკოლარქი გახდა ქსენოფანე ქალკედონელი (395-314 ძვ. წ.). ეს გამოჩენილი პლატონიკოსი 25 წელი ედგა სკოლას სათავეში.

აკადემიაში სწავლება უფასო იყო, როგორც ეს სოკრატემ უანდერძა პლატონს. სოკრატე თვლიდა, რომ ფილოსოფოსობა მოწოდებაა და მასში ფულის აღება არ შეიძლება, ამიტომ ის ამხელდა სოფისტების, მოხეტიალე სიბრძნის მასწავლებლებს, რომლებიც თავიანთ საქმეში დიდ გასამრჯელოს იღებდნენ. პლატონი თავის მოძღვრებას მოწაფეებთან დიალოგში აყალიბებდა. პლატონი მოხუცებულობაში 70 წლისა გარდაიცვალა „კალმით ხელში“. მისი სიკვდილის შემდეგ მოწაფეებმა გააგრძელეს პლატონიზმის, „პლატონური ფილოსოფიის“ პრინციპების კვლევა. პლატონის აკადემიამ 900 წელი იარსება და ახ. წ. 529 წელს დაიხურა კეისარ იუსტინიანეს დეკრეტით.

### არისტოტელეს ლიცეუმი

აკადემიკოსების სკოლას გამოეყო პლატონის დიდი მოწაფე, არისტოტელე. ის 20 წელი სწავლობდა პლატონის აკადემიაში. პლატონმა მას მეტსახელად „მკითხველი“ შეარქვა, რადგან უმეტეს დროს თავაუღებელ კითხვაში ატარებდა. 17 წლის რისტოტელე ჩავიდა ათენში, შევიდა პლა-

ტონის აკადემიაში და პლატონის სიკვდილამდე იქ დარჩა, სწავლობდა და მონაწილეობდა მასწავლებლის დიალოგებში.

არისტოტელე მცირე ხნით მაკედონიაში გადასახლდა მეფე ფილიპეს მოწვევით. იქ მის შვილს, ალექსანდრე მაკედონელს ასწავლიდა, როცა ალექსანდრე თავის დიდ აღმოსავლურ ლაშქრობაში გაემგზავრა, 50 წლის არისტოტელე დაბრუნდა ათენში, მის გარეუბანში, აპოლონ ლიკიელის ტაძრის სიახლოვეს გახსნა სკოლა, რომელსაც წინ ჰქონდა ხეივანი. ამ ხეივანში ნელი სიარულით უკითხავდა არისტოტელე სტუდენტებს ლექციებს. ათენელებმა სკოლას ლიცეუმი, ხოლო მის ბინადრებს პერიპატეტიკოსები ანუ მოსეირნენი შეარქვეს. სკოლას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა და გიმნაზიუმი, ფიზკულტურის სავარჯიშო დარბაზი. მონაფეებს კარგი პირობები ჰქონდათ კვლევისა და სწავლისათვის.

ალექსანდრე მაკედონელის მოულოდნელმა სიკვდილმა ათენში ამბოხი და მისი მომხრების დევნა გამოიწვია. არისტოტელე უცხოეთში გადაიხვენა. როგორც თვითონ ამბობდა „ამით ხელი შეუშალა ათენელებს ფილოსოფიის წინაშე მეორე ცოდვის ჩადენაში“. პირველი ცოდვა, მათ სოკრატეს მოკვლით ჩაიდინეს. ერთი წლის შემდეგ ის 62 წლისა გარდაიცვალა.

ათენის ორი ფილოსოფიური სკოლა განლაგებული იყო ერთმანეთის საპირისპიროდ. პერიპატეტიკოსთა სკოლა მდებარეობდა ათენის აღმოსავლეთ გარეუბანში, ხოლო აკადემიკოსთა სკოლა ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში. ისინი განსხვავებულ თვალსაზრისთა დიალოგში ავსებდნენ და სრულყოფდნენ ერთმანეთს და ელინთა აზროვნებას იცავდნენ ჩლუნგი ცალმხრივობიდან.

ორივე სკოლაში მიმდინარეობდა ერთმანეთის კრიტიკული განხილვა. ისიც ხდებოდა, რომ აკადემიკოსთა ნაწილი პერიპატეტიკოსი ხდებოდა ან პირიქით. არისტოტელეს ნაშრომების დიდი ნაწილი სალექციო კურსების სახით უნდა მომზადებულიყო, რაც სტუდენტებს სასემინაროდ მოსამზადებლად ეძლეოდათ. მათ ევალებოდათ არა მარტო გაეზეპირებინათ და გადმოეცათ მიღებული მასალის ძირითადი შინაარსი, არამედ კრიტიკული შენიშვნები მიეწოდებინათ სკოლის მოძღვრისათვის. მოძღვარი იბარებდა სტუდენტების შენიშვნებით ავსებულ თავის სალექციო მასალას, და მათი შენიშვნების გათვალისწინებით გადაამუშავებდა და ასე აძლევდა დასრულებული ნაშრომის სახეს. პერიპატეტიკოსთა სკოლა ღია საზოგადოებრივი სასწავლებელი იყო. არისტოტელე სკოლის მონაფეებსა და მსმენელებს, თანამშრომლებსა და მეგობრებს უწოდებდა. ეს იყო სწავლულთა კოლეგიუმი, თანამეგობრობა. სკოლის მთელი ქონება საერთო საკუთრება იყო.

არისტოტელემ თავის მემკვიდრედ დატოვა თეოკრიტე, მას ჩააპარა სკოლაც და საკუთარი თხზულებებიც. თვითონ თეოკრიტე თავის ანდერძში პერიპატეტიკოსებს ავალებს მოუარონ სკოლას და ხეივანს, როგორც წმიდა ალაგს, არაფერი გაასხვისონ, იცხოვრონ მეგობრულად. „ყველა

ნაგებობას ვუტოვებ მეგობრებს, რომლებიც მოისურვებენ კვლავაც აქ იმეცადინონ ფილოსოფიასა და მეცნიერებაში“. ტაძარში, მუზების ქანდაკების გვერდით დადგეს არისტოტელეს ქანდაკება. არისტოტელეს ნაწერები სარდაფში ინახებოდა, ვიდრე ის პერიპატეტიკოსების მე-11 სქოლარქმა, ანდრონიკე როდსელმა გადაწერა და გაავრცელა ძვ. წ. 43 წელს. პერიპატეტიკოსთა სკოლამ ახ. წ. II საუკუნემდე იარსება.

### ბალის ფილოსოფოსები

ამ სკოლის ფუძემდებელი ეპიკურე (ძვ. წ. 342-270) ათენში პლატონურ აკადემიაში სწავლობდა, შემდეგ დაშორდა პლატონის პრინციპებს და ათენშივე დაარსა საკუთარი სკოლა, რომელიც ბალში მდებარეობდა. მათ „ეპიკურელთა ბალი“ შეარქვეს. ხოლო იქ მოღვაწეებს „ბალის ფილოსოფოსები“. სკოლას ძმური კავშირის, თემის სახე ჰქონდა. ეს არ იყო პითაგორელთა მსგავსი დახურული სექტა. ის იყო ლია სასწავლო-კვლევითი დაწესებულება. სკოლის ფრონტონზე ეწერა: „მგზავრო შეჩერდი, შენ აქ თავს კარგად იგრძნობ, აქ არის უმაღლესი სიკეთე და სიამოვნება.“

ეპიკურეს ზნეობრივი მოძღვრების მიხედვით, ფილოსოფია არის ბედნიერების მიღწევის გზა. ამისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა სიკვდილისა და ღმერთების შიშისგან განთავისუფლება. ბუნება უმცირესი ნაწილებისაგან, ატომებისაგან შედგება. სულის უკვდავების რწმენა მხოლოდ ვარაუდია. უკვდავი ღმერთები არსებობენ თავიანთ უზრუნველ ნეტარებაში, განრინდებული ბუნების საქმეში ჩარევისაგან. სიკვდილი ჩვენთვის არარაა, სანამ ჩვენ ვართ, ის არ არის, ხოლო როცა ის მოვა, ჩვენ ალარ ვიქნებით. ამიტომ უგუნურებაა მისი გვეშინოდეს..„ადამიანო ნუ გეშინია სიკვდილის!“ ესაა ეპიკურეს და ეპიკურელთა მთავარი აზრი, რომელსაც ჩვენ გავსწავლიდა, მისი სტუდენტები რომ გავმხდარიყით. სიკვდილის შიში ყველა სხვა შიშის სათავეა, ჩვენ უნდა ვცხოვრობდეთ უშიშრად, უშფოთველად; სტიქიების, ღმერთების, ბედისწერის, განგების, უცნობი მომავლის წინაშე შფოთვის გარეშე. ასეთია გონივრული პასუხები კითხვებზე სულ რომ გვაშფოთებენ, ამ პასუხებს თუ მოვიპვებთ სიკვდილი ვარდისფერ გზად გადაიქცევა.

### თალის ფილოსოფოსები

ეს სკოლა ათენში თაღოვან დარბაზში გახსნა ძენონმა ძვ. წ. IV ს. ბოლოს. ამიტომ მათ „თალის ფილოსოფოსებს“ ანუ სტოელებს უწოდებდნენ. („სტოა“ თაღს ნიშნავს). მოგვიანებით სტოელი გახდა რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი. მათი უპირველესი პრინციპია: იცხოვრე ბუნებრივ (კოსმიური) წესრიგთან თანხმობაში, აუმღვრეველი სიმშვიდის (ataraxia) კონდიციაში. უნდა განთავისუფლდე აფექტებისაგან და მიაღწიო უშფოთველობას (აპათია). აპათია არის ცხოვრების მიზანი – სულის ამაღლება ნეტარებამდე, ღვთაების მდგომარეობამდე.

## **კასრის ფილოსოფოსები**

საბერძნეთში გამოჩენილი უცნაური გარეგნობისა და ქცევის სიბრძნის მაძიებელი, რომელთაც კინიკოსებს, ან კასრის ფილოსოფოსებს უწოდებენ იმის გამო, რომ ერთ-ერთი მათი წარმომადგენელი, დიოგენე კასრში ცხოვრობდა. მათი მიზანი იყო ცხოვრების ამაობათაგან განრიდება, არაფილოსოფიური სამყაროდან გამიჯვნა, რასაც ჩაცმულობასა და ცხოვრების წესში გამოხატავდნენ, იცვამდნენ ამოჭრილ ტომარას, თმა-წვერს არ იკრეჭდნენ. მათი იდეალი უმფოთველობა და სამყაროსეული წესრიგის წმინდა ჭვრეტა იყო. ასეთ ბრძენზე თქვარუსთველმა:

„თუ სადმეა ბრძენი ვინმე მაღალი და მაღალია მხედი

არც თუ ჭირი ჭირად უჩნდეს, არც თუ ლხინი ზედა ზედი“

გადმოცემის მიხედვით, როცა ალექსანდრე მაკედონელმა საბერძნეთი დაიპყრო, დიოგენეს ნახვა მოისურვა. მან განდეგილს ჰკითხა: „ნუთუ არაფერი გაქვს სათხოვარი, რაც გინდა მთხოვეთო“. იოგენეს უპასუხია: „ხელმწიფეო, გთხოვ მზეს ნუ მიჩრდილავ, კასრს მოშორდე“. ეს პასუხი მსოფლიოს დამპყრობს ისე მოწონებია, რომ უთქვამს: „მე რომ ალექსანდრე არ ვიყო, დიოგენობას ვისურვებდიო“.

## **გელათის აკადემია**

დავით ალმაშენებელმა და მისმა გუნდმა ჩაიფიქრა გელათში გაეხსნა აკადემია, რომელიც იქნებოდა „ყოვლისა აღმოსავლისა მეორე იერუსალიმად, სხუად ათინად“, ანუ ისეთი სკოლა, რომელიც ღვთის გამოცხადების თვალსაზრისით იქნებოდა „მეორე იერუსალიმი“, ხოლო ელინური სიბრძნის თვალსაზრისით „სხვა ათენი“ – მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების ცენტრი. სკოლის ხელმძღვანელად მიიწვიეს სახელგანთქმული ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრინი, რომელიც ბიზანტიაში მოღვაწეობდა.

გელათი იყო ის ცენტრი, სადაც განხორციელდა მთელი ეპოქის იდეალი. ეს იდეალი ისახებოდა და ხორციელდებოდა ბიზანტიაშიც, იტალიაშიც, საფრანგეთშიც ნეოპლატონურ აკადემიებში და თანდათან გადაიზარდა უნივერსიტეტების საერთო ევროპულ ქართველში. ბიბლიური სიბრძნე დაუკავშირდა, შეუერთდა ანტიკურ, წარმართულ სიბრძნეს.

იოანე პეტრინმა ააღმორდინა არა მარტო ანტიკური ფილოსოფია, პლატონის აკადემიის, პერიპატეტიკოსთა, სტოელთა, ეპიკურელთა გამოცდილება, არამედ მისტერიათა სიბრძნეც, ქალადელური ორაკულები, ორფიზმი, იუდეველთა წინასწარმეტყველებანი და სხვა. პეტრინისათვის რომ გვეკითხა: რას ნიშნავს ეს? გვეტყოდა, რომ არსებობდა რაღაც დასაბამიერი სიბრძნე, რომელიც კი არ უნდა უკუვაგდოთ, არამედ სახარების შუქზე განმარტოთ და შევქმნათ სოფიოლოგია (სიბრძნის მოძღვრება). ეს მაშინ მოხდება თუ ყველა სხვა სიბრძნე დაემყარება ქრისტიანულ გად-

მოცემას, სახარების სიბრძნის დედაბოძს, როგორც ყველა წინამორბედი ცოდნის გამერთიანებელს. გელათი „ახალი ათინა“, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის კერად იქცა.

ამ „ახალი ათენის“ რექტორს, „მოძღვართ მოძღვარსა“ და სქოლარქს, იოანე პეტრინს სჯეროდა, რომ ვინაიდან ქრისტე იყო ღმერთკაცი („სრული კაცი და სრული ღმერთი“), სრული ქრისტიანობა გულისხმობს ღვთიურ და ადამიანურ აზროვნებათა წესების შეერთებას, ცხადია მათი შერევის, მათ შორის სიღრმისეული განსხვავების წაშლის გარეშე. ამ მიზანს ემსახურებოდა აკადემიის სასწავლო პროგრამაც.

როგორც იმჟამინდელი ბიზანტიისა და ევროპის აკადემიებში, გელათშიც ისწავლებოდა აუცილებელ საგანთა შვიდეული, რომელიც შედგებოდა „ტრივიუმისა“ (სამეულის) და „კვადრიუმის“ (ოთხეულისაგან). სამეული არის: გეომეტრია, მათემატიკა და მუსიკა. ხოლო ოთხეული: გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა და ასტრონომია.

იოანე პეტრინმა ბერძნულიდან ქართლად თარგმნა პლატონური ფილოსოფიის ყველაზე სრულყოფილი ენციკლოპედია, პიროკლე დიადოხოსის „კავშირი ღვთისმეტყველებითი“. ამ წიგნის წინასიტყვაობაში მთარგმნელი გვეუბნება: სიბრძნის გოდოლნი მრავალია: ქალდეური, ორფიკული, იუდეველთა, ელინთა პლატონური სიბრძნე. მათ კრავს ქრისტეს მოციქული პავლე – „ჩემი ორფეოსი“, რომელიც წარგვმართავს ღმერთისკენ, ყოვლისპირველი და ერთი დასაბამისაკენ, „სატრფოდ ზესთავ ზესთათავ ერთი და პირველი ერთი“.

პეტრინი ასწავლიდა, რომ ქვეყნიერება შედგება მწყობრი შრეებისაგან, რომლებიც ერთდროულად არიან გამგონეც და გასაგონიც, შემმეცნებელნიც და შესამეცნებელნიც, არსნი ერთმანეთს ცნობენ, ერთმანეთს გადასცემენ და იღებენ, ერთმანეთს ეძახიან და გამოეპასუხებიან, უგონებენ, ერთმანეთისა ესმით, უგებენ ერთმანეთს, უყვართ ერთმანეთი, სუფევს სიკეთისა და სიყვარულის მონიზმი, რაც პეტრინის დიდმა მოწაფემ შოთა რუსთაველმა გამოთქვა აფორიზმში:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

### უნივერსიტეტები

უკვე რვა საუკუნეა ფილოსოფიის სკოლა უნივერსიტეტშია. უნივერსიტეტი არის პროფესორთა და სტუდენტთა ავტონომიური (თვითმმართველი) კოლეგიუმი, უნივერსუმის ცოდნის ტაძარი, მედიუმი სამყაროსა და საზოგადოებას შორის. უნივერსიტეტის ავტონომია (თვითმმართველობა) ანუ დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან და ეკლესიისაგან ემყარება გონების ავტონომიურობას.

სახელმწიფო არის სახალხო ნების (სუვერენიტეტის) გამომხატველი და განმმარტებელი; ხოლო ეკლესია ღმერთის ნების გამომხატველი და განმმართებელი, მედიუმი ღმერთსა და მის ქმნილებას შორის. სახელმწიფო,

ეკლესია და უნივერსიტეტი, რომლებიც იდეაში ხალხის ნებას, ღმერთის ნებას და გონიერებას გამოხატავენ, საზოგადოების სამ მთავარ პურჯს წარმოადგენს. მათ ჰარმონიულ თანაარსებობაზეა დამოკიდებული მთელი საზოგადოების კეთილდღეობა.

საქართველო ისტორიული ძნელბედობების გამო მთელი ეპოქით ჩამორჩა ამ პროცესს. გელათის აკადემიის დახურვის შემდეგ, თითქმის შვიდსაუკუნოვანი წყვეტილის შემდეგ, 1918 წელს თითქმის ერთდროულად აღდგა სახელმწიფო დამოუკიდებლობა, ეკლესის ავტოკეფალია და საუნივერსიტეტო განათლება. 1918 წლის 29 იანვარს, დავით ალმაშენებლის ხსენებს დღეს, გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, პირველი ფაკულტეტი, სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტი. უნივერსიტეტი აკურთხა კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II.

## §2. სასწავლო საგნები

### ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილები

ფილოსოფია განიხილავს ერთი რიგის და ხასიათის, მაგრამ რამდენადმე განსხვავებულ პრობლემებს. ესენია: ყოფიერების, შემეცნების და ზნეობის პრობლემები. ამიტომ ფილოსოფია იყოფა რამდენიმე დარგად, დისციპლინად. ტრადიციულად შემდეგი სახის დაყოფაა მიღებული: მეტა-ფიზიკა, ეთიკა, პოლიტიკური ფილოსოფია, ესთეტიკა, ლოგიკა. ისინი ქმნიან ფილოსოფიის საბაზო ელემენტებს. არსებობენ აგრეთვე დარგობრივი ფილოსოფიური დისციპლინები: რელიგიის, მედიცინის, სამართლის, ენის, ომის, საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის და სხვა. ამათ გარდა, ვითარდებიან ფილოსოფიური კვლევის მიმართულებები, რომლებიც დამოუკიდებელ სამეცნიერო და სასწავლო დარგებად ყალიბდებიან, მაგალითად, კულტურის ფილოსოფია, მეცნიერების ფილოსოფია, ბიოეთიკა და სხვა, მაგრამ ისინი უნდა განვასხვავოთ ფილოსოფიის საბაზო ელემენტებისაგან.

### მეტაფიზიკა

„მეტაფიზიკა“ ფილოსოფიის მთავარი დარგის სახელია. იყო დრო როცა მეტაფიზიკა მეცნიერებათა დედოფლად ითვლებოდა.

ჩვენ გვაინტერესებს რა არის ნამდვილი და არანამდვილი. მთა არის, ადამიანი არის, მაგრამ რა არის თვითონ ეს „არის!“? საგანთა და მოვლენათა უსასრულობაში ერთიანობა რას შეაქვს? აქვს თუ არა არსებობას რაიმე აზრი, მიზანი? არისტოტელე ფიქრობდა, რომ რაც არსებობს, არსებობს რამე მიზეზითა და მიზნით. იმიტომ წვიმს, რომ მცენარეებმა იხარონ. ხოლო მცენარეები იმიტომ ხარობენ, რომ ადამიანები გამოკვებონ. ბიბლიაც ამბობს: „აღმოაცენებ ბალას პირუტყვთათვის და მცენარეულს

ადამიანთა დასაპურებლად ... მზემ იცის თავისი თავისი ასავალ-დასავალი (ფს. 104).

ბუნების მიზეზების ცოდნას ეწოდება ფიზიკა, ხოლო საერთოდ ყოფნის მიზეზ/მიზნისა და პირველმამოძრავებლის ცოდნას – მეტაფიზიკა. „მეტა“ არსებულზე მეტს, აღმატებულს აღნიშნავს. „მეტაფიზიკას“ შეიძლება ეწოდოს პირველცოდნა, თაურცოდნა, დასაბამიერი ცოდნა.

პლატონმა „მეტა“-ს შესახებ მოძღვრება თვალსაჩინოდ წარმოადგინა „სახელმწიფოს“ VII წიგნში მოთხრობილი გამოქვაბულის მითის თუ თქმულების სახით. თქმულება მოგვითხრობს უბედურ ტუსაღებზე, რომლებიც ბინადრობენ ბნელ მღვიმეში, ქვაბულში, სადაც არასოდეს აღწევს მზის შუქი. კისერზე ხუნდებდადებული ტუსაღები გასასვლელისგან ზურგ-შექცევით სხედან და მხოლოდ კედელზე გამოსახულ აჩრდილთა როკვას ხედავენ. ჩამოქვაბულის გუმბათი ცის თაღს განასახიერებს. ხოლო ხოლო მღვიმე დედამინას, რომელიც ტუსაღებს სამყარო, მყარი, ნამდვილი ჰგონიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, უშუალოდ გარემოს ტყვეობაშია.

ბორკილაყრილი პატიმარი უკან მოიხედავს, მოპრუნდება და გასასვლელისაკენ გზას გაიგნებს. საგანგებო გარჯით ხდება გამოსვლა მღვიმიდან მზის სინათლეზე. თიფია//სიბრძნე აჩრდილთა შორის გზის გაგნებაა, ესაა ფილოსოფია, რასაც მოგვიანებით უწოდეს „მეტაფიზიკა“.

მაგრამ თქმულება ამით არ თავდება. მზის მხილველი ისევ ჯურლმულში ბრუნდება, რათა თანამოძმებს აუნყოს, რომ მათი ცოდნა სინამდვილეში არ ცოდნაა და აჩრდილთა მღვიმიდან გასასვლელის ძიებისკენ მოუწოდოს. ეს საშიშია! შეიძლება ტუსაღებმა მოკლან იგი, როგორც სოკრატე მოკლეს. მაგრამ მას მაინც ჯურლმულში მიუწევს გული, რათა ადამიანურ-ში და ადამიანთა შორის გაისარჯოს. ფილოსოფოსი კაცად ყოფნას არჩევს.

### ეთიკა და ათი მცნება

ეთიკა არის ფიქრი ორი სიტყვის შესახებ. ეს სიტყვებია: „ცუდი“ და „კარგი“, სხვანაირად – „კეთილი“ და „ბოროტი“. რა უნდა ვაკეთო? როგორ მოვიქცე, რომ ვიყო კარგი, კეთილი და არა ცუდი, ბოროტი? მორალური კანონები, არსებობენ თუ ისინი გამოიგონეს, თუნდაც იმისთვის, რომ ერთმანეთი არ დავჭამოთ? ერთმა ცინიკოსმა იხუმრა: მორალური კანონები იმიტომ გამოიგონეს, რომ მშობლები, მასწავლებლები და მღვდლები უსაქმოდ არ დარჩენილიყვნენო. თუმცა ბავშვები და ფილოსოფოსები მათ მუდმივად აწუხებენ კითხვებით: საიდან? რატომ?

თუ მორალი საღმრთო რჯულია, რომელიც 10 მცნების სახით ღმერთმა მისცა ნინასწარმეტყველ მოსეს სინას მთაზე, მაშინ კანონი დაურღვეველია, განაჩენი საზოგადოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მაგრამ რამდენი ბოროტება ჩაუდენიათ კანონის სახელით. განა 10 მცნების სახელით ცოცხლად არ სწვავდნენ ადამიანებს ინკვიზიტორები? თვითონ კანონებს, მცნებებს შორისაც ხომ არ არის კონფლიქტი? ქრისტეს მი-

უყვანეს მრუში დედაკაცი, რომელმაც მე-7 მცნება – არა იმრუშო!- დაარღვია და ჩაქოლვას იმსახურებდა, მაგრამ ასე ხომ მე-6 მცნებას – არა კაც ჰკლას, – დავარღვევდით? იქნებ ზნეობის განმსაზღვრელი კანონი კი არა, სიტუაციაა? იქნებ ორივეზე უპირატესია სიყვარული? საკითხთა ამ წესს სწავლობს ეთიკა

### **ლოგიკა და მოლა ნასრედინი**

ათენის მოქალაქენი ხშირად კამათობდნენ. ამიტომ აინტერესებდათ როგორ გავიგოთ რომელია მართალი? სწორი მსჯელობა ყველასათვის სწორია, იქნება ის ათენელი, ბარბაროსი, უცხოპლანეტელი თუ ურჩეული. რატომ ხართ ასე დარწმუნებულნი? – ეკითხებოდნენ ეჭვიანები. იმიტომ, რომ ასეთია ლოგიკის კანონები! ლოგიკურია არაწინააღმდეგობრივი, გამართული, წანამძღვრებიდან გამომდინარე დასკვნები. არისტოტელემ ჩამოაყალიბა სწორი დასკვნის გამოტანის ფორმალური პირობები და კანონები. ამიტომ მას „ლოგიკის მამა“ უწოდეს.

ლოგიკის არსს გვაგებინებს აღმოსავლეთში პოპულარული თქმულება მოლა ნასრედინზე.

თანასოფლელმა მეზობელს უჩივლა მოლა ნასრედინთან. ჩემს მიწაზე გაატარა ცხვრები, მათ მიერ მიყენებული ზარალი ამინაზღაუროსო? შენ მართალი ხარო – უთხრა მოლამ. მეზობელმა თავი იმართლა: წყაროსკენ გზა მაგის მიწაზე გადის და რა უნდა მექნაო? შენც მართალი ხარო – იმასაც უთხრა მოლამ. ეს რომ მოლას მოახლემ გაიგონა, ვერ მოითმინა და წამოიძახა: „როგორ შეიძლება ორივე მართალი იყოს?“ მოლამ იმასაც უთხრა: „შენც მართალი ხარო“. მოახლემ, ისე რომ თვითონაც არ იცოდა, გააპროტესტა არისტოტელეს ლოგიკის, – სწორი აზროვნების თეორიის ძირითადი კანონის დარღვევა და ლოგიკური შეცდომა აღმოაჩინა. „მეტა-ფიზიკაში“ არისტოტელე ასე აყალიბებს ამ კანონს:

„შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე, ერთსა და იმავე დროს მიეწერებოდეს და არც მიეწერებოდეს ერთსა და იმავეს, ერთი და იგივე მიმართებით ... ორი ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობა არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ჭეშმარიტი იყოს“.

### **პოლიტიკური ფილოსოფია**

ყოფიერება რაღაც წესრიგია. არის თუ არა პოლიტიკური წესრიგი ყოფიერების წესრიგის გამოხატულება? თვითონ წესრიგი ბატონობასა და მორჩილებას ხომ არ ნიშნავს? რატომ უნდა დაემორჩილოს ადამიანი ადამიანს ან დანსებულებას? ვინ მიანიჭა სახელმწიფოს მოქალაქეებზე ბატონობის უფლება? მისი კანონიერების წყარო ბუნებრივია თუ ზებუნებრივი? ღვთიური ნებაა კანონმდებელი თუ მამის ავტორიტეტი და თემის საერთო ნება, როგორც ეს არის წარმოდგენილი ალ.ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“. სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის გარკვე-

ვა ყოფიერების არსის გარკვევას ითხოვს. დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ან ევროკავშირის მართვა-გამგეობის შექმნას წინ უსწრებდა პოლიტიკური ფილოსოფიის ფუძემდებლური იდეები, რომლებიც ჩამოაყალიბეს ჯონ ლოკმა, უან-უაკ რუსომ, იმანუელ კანტმა და სხვებმა. საკითხთა ამ წრეს სწავლობს პოლიტიკური ფილოსოფია.

## ესთეტიკა

ჩვენ ხშირად ვამბობთ: „რა მშვენიერია“. მშვენიერი შეიძლება ყველაფერი იყოს: სიცოცხლეც, სიკვდილიც, ღმერთიც ... დოსტოევსკიმ თქვა: „მშვენიერება იხსნის კაცობრიობას“. მშვენიერების საკუთრივი ასპარეზი ხელოვნებაა: პოეზია, მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, არიქტექტურა. პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, არტისტები ხელოვნების ქურუმები, ღვთისმსახურნი არიან. როგორ გავიგოთ რას ემსახურებიან ისინი? როგორ გავიგოთ რა არის ეს „ხელოვნება“? გავეცნოთ ხელოვნების ქმნილებებს, შევადაროთ ერთმანეთს და შევკრიბოთ მათი საერთო ნიშნები? მაგრამ მანამდე ხომ უნდა ვიცოდეთ რას ვეძებთ, ჭეშმარიტი და ყალბი ნაწარმოებები ერთმანეთისგან რით გავარჩიოთ? რატომაა, რომ ფიროსმანის ნახატი „ფასდადუდებელია“, ხოლო მის ასლებს არავითარი ფასი არა აქვთ? „ვარდი ლამაზია“ – ამ წინადადების წყობა ასეთია „ვარდი“ სუბიექტი, ხოლო ლამაზი მასზე მიწერილი ნიშანი (პრედიკატი). წინადადების წყობა ასახავს ნამდვილი ვარდის წყობას, თუ „ლამაზი ვარდი“ მხოლოდ წინადადების წყობაში არსებობს? აյ რაღაც მოჯადოებული წრესავითაა, რაღაც გამოცანაა, რომლის გამოცნობის ინტერესი გვიბიძგებს დავიწყოთ ფილოსოფიური აზროვნება ხელოვნებაზე, მშვენიერების არსზე. საკითხთა ამ წრეს სწავლობს ფილოსოფიის დარგი, რომელსაც „ესთეტიკა“ ეწოდება.

## ფილოსოფიის შემადგენელი სხვა ნაილები

„ფილოსოფიის შესავალში“ ზოგჯერ ცალკე თავები ეთმობა ყველა იმ საგანს, რომელიც ფილოსოფიის სპეციალობის კურიკულუმებშია შეტანილი. მათი პრობლემატიკა ფილოსოფიის ტრადიციული დარგების ფარგლებში მოვაქციეთ. რაც შეეხება, მათემატიკის, სამართლის, ბიზნესის, ომის, მედიცინის და გამოყენებითი ფილოსოფიის სხვა დარგებს, ვფიქრობთი ისინი თითოეული ამ დარგის სპეციალისტის სასწავლო საგანი უნდა იყოს „ფილოსოფიის შესავლის“ შესწავლის შემდეგ.

### **§3. ფილოსოფიის ცნების განსაზღვრის სიძნელეები**

როცა „ფილოსოფიის შესავლის“ შესწავლას ვიწყებთ საჭირო ხდება მივიღოთ ფილოსოფიის გარკვეული განსაზღვრება, რომელიც მეტ-ნაკლებად გამოდგება ყველა ეპოქისა და მიმართულების ფილოსოფიური აზ-როვნების ძირითადი შტრიხების აღსანიშნავად. ეს არ არის ადვილი შემ-დეგ გარემოებათა გამო:

ფილოსოფია იცვლებოდა ისოტრიული ეპოქების მიხედვით. მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ანტიკური, შუა საუკუნეების, აღორძინების, ახალი და უახლესი ეპოქის ფილოსოფიები. იცვლებოდა ფილოსოფიური პრობლემატიკაც. ანტიკურობაში ფილოსოფიის მთავარი საგანი იყო სა-მყარო, შუა საუკუნეებში – ღმერთი, ხოლო ახალი დროიდან – ადამიანი. თანამედროვე ეპოქაში, ჩვენს დროში პიროვნება და მისი თავისუფლება.

ფილოსოფია იქმნებოდა განსხვავებულ ენობრივ-კულტურულ სივრცეებში. იგი წარმოიშვა ძველი ბერძნული ენისა და კულტურის წიაღში. გვიან ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში მისი ენა გახდა ლათინური. მოგვიანებით, როცა ბერძნული და ლათინური მკვდარ ენებად გადაიქცნენ, ფილოსოფია ხელახლა იშვა გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენებისა და ახალი ეპოქის კულტურის წიაღში. ეს გარკვეულ სირთულეებს ქმნის ფილოსოფიური ცნებითი აპარატის ერთმნიშვნელოვანი გაგებისათვის.

ფილოსოფიის ერთიანი ცნების შემუშავებას აძნელებს მუდმივი ბრძოლა სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობასა და თვალსაზრისებს შორის.

#### **თოხი განსაზღვრება**

- მას შემდეგ, რაც მეცნიერება (განსაკუთრებით მათემატიკა) ცოდნის იდეალი გახდა, არ წყდება კამათები იმის თაობაზე, ფილოსოფია არის თუ არა „მენციერება ბუნების, აზროვნებისა და საზოგადოების უზოგადესი კანონების შესახებ.“
- XX საუკუნის 70-იან წლებში ამ სახელმძღვანელოს ავტორებს აიძულებდნენ კითხვაზე: რა არის ფილოსოფია? ეპასუხებინათ: იდეოლოგია, გაბატონებული კლასის ცნობიერება; საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის ზედაშენი, რომელიც თავისი ბაზისის განმტკიცებას ემსახურება. ამიტომაც ფილოსოფია ანტიკურობაში იყო მონათმფლობელური, შუა საუკუნეებში ფეოდალური, ახალ დროში ბურჟუაზიული.
- 80-იან წლებში, როცა საბჭოთა სისტემა ჩამოიშალა, სიტყვა „იდეოლოგია“ ჩაანაცვლა სიტყვამ „მსოფლმხედველობა“.
- XX საუკუნის მუნიკურულსა და XXI საუკუნის დამდეგს ცდილობენ ფილოსოფია დაყვანილი იქნეს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების ტექინკამდე.

ამ ოთხი განსაზღვრებიდან პირველი სამეული (მეცნიერება, იდეოლოგია და მსოფლმხედველობა) მართალია ზოგიერთი პროფესორის თავში და წიგნებში ისევ განაგრძობენ არსებობას, ასე ვთქვათ, ძველი ინერციის ძალით, მაგრამ ჩამორჩენილობისა და ძველმოდურობის შარმით. ამჟამად ზეობს მეოთხე გაგება: კრიტიკული აზროვნების ტექნიკა! რომელიც ოფიციალური განათლების პოლიტიკის, ასე ვთქვათ, „ფეხის ხმას არის აყოლილი.“

ფილოსოფია შეიძლება იდეოლოგიად გამოიყენო (გამოუყენებიათ კიდეც), მაგრამ იმდენად გაცალმხრივება დასჭირდება, რომ ის დაკარგავს თავის არსს. სახელმწიფო, სახალხო უზენაესობა (სუვერენიტეტი) თუ აღიარებს ვისიმე აზრებს, მაშინ მას იურიდიული კანონის სახეს ანიჭებს. ეს კი შეუთავსებელია ფილოსოფიის ბუნებასთან. შეუძლებელია აზრი, რომელიც მასებს დაეუფლება, ფილოსოფიად დარჩეს.

„მსოფლმხედველობა“ არაერთმნიშვნელოვანი და ბუნდოვანი სიტყვაა. ის მე-18 საუკუნეში გერმანელებმა შეთხზეს (Weltanschauung) და შემდეგ გავრცელდა. საქართველოში რუსეთიდან ჩამოსულმა „თერგდალეულებმა“ შექმნეს მისი ქართული ორეული. ამ სიტყვით ისეთი რამის გამოთქმა სურთ, რაც თითქოს ერთდროულად არის სამყაროს სურათიცა და შეფასებაც. ასეთი რამ კი ცხოვრების საფუძველში და ენაშივეა მოცემული სტიქიურად, მანამდე, ვიდრე ცნობიერება შევა ფილოსოფიის ტრადიციაში და ინტერტექსტში. ფილოსოფია რომ მსოფლმხედველობას დაემთხვეს, მაშინ ის უნდა გადაიქცეს მისტიურ ექსტაზად. ამას ცდილობდნენ ახალი და ძველი გნოსტიკოსები, თეოსოფია, ანთროპოსოფები.

თუ ფილოსოფია უნარ-ჩვევების ტექნიკამდე დავიყვანეთ, იგივე საფრთხე დაემუქრება, რაც იდეოლოგიის შემთხვევაში. ტრადიციის რაღაც „ნარჩენი“ იმდენად იქნება დაცილებული ფილოსოფიის განმანათვისუფლებელ (ემანსიპაციურ) და განმნენდელ (კათარზისულ) მოტივებს, რომ შეიძლება სულ სხვა რამ იყოს, მაგრამ არა ფილოსოფია.

მეცნიერების გაგებაში ბევრი რამ შეიცვალა. მეცნიერება დღეს აღარ არის მხოლოდ მათემატიკის თარგზე გამოჭრილი თეორიის სახელი. მე-19 საუკუნეში განასხვავეს ახსნითი და გაგებითი მეცნიერებები; მე-20 საუკუნეში კი ფაქტისმეცნიერებანი და არსისმეცნიერებანი. ფილოსოფია ვერ იქნება ფაქტისმეცნიერება, მისი დებულებანი ვერ იქნება საყოველთაო და აუცილებელი ყველა გონიერი არსებისათვის, როგორც  $2 \times 2 = 4$ . მისი საგანი ვერ იქნება გამოთვლილ-გაზომილი; მაგრამ ის შეიძლება იყოს არსისჭვრეტის მეცნიერება.

ფილოსოფიის საქმედ რჩება გაიგოს როგორ აზროვნებს აზროვნება, ის აზროვნებაზე აზროვნებაა. „ვიდრე კვლევას დავიწყებდეთ, ჯერ თვითონ შემეცნების უნარი უნდა იქნეს გამოკვლეული, შეუძლია თუ არა მას ამგვარი რამის გამოკვლევა. ჯერ ინსტრუმენტს უნდა გავეცნოთ ვიდრე სამუშაოს შეუდგებოდეთ“ (გ. ჰეგელი).

## ფილოსოფიის საერთო ნიშნები

მიუხედავად ამ სიძნელებისა, მაინც შეიძლება გამოიყოს ფილოსოფიის საერთო ნიშნები. კანტის მიხედვით, ფილოსოფიის ძირითადი საკითხებია: რა შემიძლია ვიცოდე? რა უნდა ვაკეთო? რისი იმედი შეიძლება მქონდეს? რა ვარ მე, როგორც ადამიანი? აქედან გამომდინარე, ფილოსოფია ერთ-დროულად არის თეორია, კომუნიკაცია და რეფლექსია.

- რა შემიძლია ვიცოდე? როგორ განვჭრიტო, ალვწერო და აცხსნა გარესამყარო, რომელშიაც ვცხოვრობ? როგორ მივიღო სურათი, რომელშიც გამომჟღავნდება, გამომზეურდება უნივერსუმის საიდუმლოება? ესაა თეორიულ-შემეცნებითი მხარე, რაც თავის მხრივ გულისხმობს: დესკრიფციას – ალწერას, სურათს, სპეკულაციას – შესაძლო სამყაროების დაშვებას.
- რა უნდა ვაკეთო? ესაა ფილოსოფიის პრაქტიკული, კომუნიკაციური მხარე ეთიკურისა და პოლიტიკურის ჩათვლით. ფილოსოფია ამ მხრივ არის სამყაროში ადამიანის ყოფნის სტრატეგია, მოძღვრება სამყაროში ადამიანის ადგილისა და სხვა ადამიანებთან მიმართების, პრინციპებისა და გზების შესახებ.
- ფილოსოფიის განვითარების გზაზე გამოიკვეთა მისი მესამე მხარე, რომელსაც რეფლექსიას უწოდებენ. ესაა თვითცნობიერებამდე და კრიტიკულ თვითშემეცნებამდე მისულია აზროვნება, რომელიც საგნად აქცევს საკუთარ აზროვნების წესს. ფილოსოფია არის კულტურის თვითცნობიერება, ეპოქის კრიტიკა, განგაში იმ საფრთხეების გამო, რომელიც სამყაროში ადამიანის ყოფნას ემუქრება.

არ შეიძლება ფილოსოფიად ჩაითვალოს დაკანონებული დოქტრინა. ერთხელ და სამუდამოდ ყველასათვის ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილად თუ მივიჩნევთ ფილოსოფიურ პრობლემებს, მაშინ ფილოსოფიის თავისებურებებზე უარის თქმა მოგვიწევს. როცა ფილოსოფოსი არ ეძებს ჭეშმარიტებას, ის თავის თავს კარგავს.

უნდა უარვყოთ რომელიმე ფილოსოფოსის ან ფილოსოფიური სკოლის შესაძლებლობა გამოთქვას აპსოლუტური ჭეშმარიტება და დაიკავოს საყოველთაო მნიშვნელობის პოზიცია. არც ერთი ფილოსოფიური კონცეპტი არ შეიძლება იყოს გამონაკლისი ანუ „კანონიკური“. არაფილოსოფიური ვიქნებით, ფილოსოფიის ერთადერთი და საბოლოო განმარტების პრეტენზიას თუ განვაცხადებთ.

ფილოსოფიის თვითგანსაზღვრება ხორციელდება ყველა ადამიანის მიერ, რომლებიც ისტორიაში ფილოსოფოსობდნენ. ფილოსოფოსის თვით-დეფინირების ცდები გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება. ჩვენ შეგვიძლია და გვევალება კიდეც განვსაზღვროთ აზროვნების ფილოსოფიურობის განსმაზღვრელი კოორდინატები.

## **ყოველთვის თავიდან დაწყება**

ფილოსოფია ფესვგადგმულია ადამიანური ყოფის წესში და ამდენად ყველა ადამიანი პოტენციურად ფილოსოფოსია. ეს „პოტენცია“ თანმობილი, თანდაყოლილი და მოუცილებელია ადამიანისათვის. ის რაღაც სახით ვლინდება ცხოვრების ყველა მხარეში: რელიგიაში, ზნეობაში, ხელოვნებაში. მისი ჩანასახები მოცემულია ბავშვებში, ძველ ბერძნებს ხომ „გენიალურ ბავშვებს“ უწოდებდნენ. ფილოსოფიური განწყობა და ბავშვის განწყობა იმით ენათესავებიან ერთმანეთს, რომ განწმენდილი არიან ყოველგვარი წინასწარდადგენილი ცოდნის ტკირთისაგან. ესაა უდოგმობის განწყობა.

განსაზღვრებათა მუდმივად ხელახლა დაწყება რომელიმე მოაზროვნის პირადი ახირება კი არ არის, არამედ ნიმუშია ყველა დამწყები ფილოსოფოსისა საერთოდ. ჩვენ, როგორც დამწყები ფილოსოფოსები, გარკვეული აზრით, მუდმივ დამწყებებად უნდა დავრჩეთ. ასე ფიქრობდნენ ძველი, ახალი და უახლესი ფილოსოფიის ფუძემდებლები: სოკრატე, დეკარტე და ედმუნდ ჰუსერლი. ყველაფრის თავიდან დაწყების ამოცანა თუ არ შესრულდა, შეუძლებელი იქნება ადამიანისა და სამყაროს შინაგანი სიცხოცხლის ახალი, მანამდე უცნობი მხარეების გამომჟღავნება, აღწერა და გაგება.

ახლა უკვე ცხადია, რომ კითხვა – რა არის ფილოსოფია? – ჯერ კიდევ კითხვად რჩება. ჯერ კიდევ არ არსებობს ფილოსოფიაზე საბოლოო განაჩენი.

# თავი III

## ვის სჭირდება ფილოსოფია?

### §1. ფილოსოფია და მისი მტრები

ფილოსოფიას, როგორც აზროვნების განსაკუთრებულ წესს, ჰყავს თავისი მეგობრებიც და მტრებიც. ტირანები ყოველთვის კრძალავდნენ თავისუფალ ფილოსოფიურ აზროვნებას. რატომ? არისტოტელეს ან ჰეგელის წიგნებში უზოგადესი კატეგორიების ანალიზი წარმოებს აბსტრაქციული აზროვნების უმაღლეს დონეზე, რატომ უნდა დააწესოს კონტროლი მათ კითხვაზე როგორიმე მთავრობამ? ჩვენ ვიცით, რომ აზროვნების ფილოსოფიური წესი უშუალოდ არის დაკავშირებული ცხოვრების წესსთან. პასუხი კითხვაზე: „რა არის უნივერსუმი?“, გულისხმობს გარკვეულ პასუხს კითხვაზე: „როგორ უნდა მოვიქცე?“ და ეს პასუხი შეიძლება იყოს ტირანისათვის არასასურველი და საშიშიც კი. ამიტომ გასაგებია, რომ ტირანებს და მის მოხელე „კარის ფილოსოფოსებს“ არასოდეს ჰყვარებიათ ჭეშმარიტი ფილოსოფია. ხელისუფლების (ან მისთვის მებრძოლთა) ოფიციალურ ფილოსოფიას იდეოლოგია ეწოდება. იდეოლოგია იდეების სისტემაა, როგორიც მხარდაჭერილია ცენზურით, რეპრესიული აპარატით და სხვა სახელისუფლებო დაწესებულებების მიერ. იდეოლოგია და ფილოსოფია ვერასოდეს შეეწყობიან ერთმანეთს.

მარტო ტირანი და მისი სასახლის იდეოლოგია არ არის ფილოსოფიის მტერი. მას კიდევ სხვა ტიპის მტრებიც ჰყავს.

ანტიფილოსოფიური პოზიცია ფილოსოფიის წარმოშობისთანავე ჩამოყალიბდა, იმ შეხედულების სახით, რომ ის ფუჭი, უვარგისი, უსაქმურთა საქმიანობაა; არ არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების სასიცოცხლო ამოცანებთან. ამ პოზიციიდან დასცინეს უკვე პირკველ ფილოსოფოსს. როგორც ვიცით, ისტორიული გადმოცემით, ეს იყო თალეს მიღეთელი (ჩვ.ნ.აღ-მდე VI ს.)

თალესი იმდენად იყო გართული ციურ მნათობთა გამოკვლევით, რომ ჭაში ჩავარდა. ამის შემსწრე მრეცხავმა ქალებმა მას ზემოდან სიცილი დააყარეს და უთხრეს: „როგორ გაიგებ რა ხდება ზეცაში, როცა იმასაც კი ვერ ხედავ, რომ შენს ცხვირზინ ჭაა“. თალესმა მათ უპასუხა: „თქვენ არასოდეს ჩავარდებით ჭაში, რადგან მუდმივად იქ ბინადრობთ“. შემდეგ პლატონმაც ბნელი გამოქვაბულის ტუსალებს შეადარა ისინი, ვინც არ არის ფილოსოფიას ნაზიარები. ერთი ისტორიკოსის ფიგურალური თქმით: ფილოსოფიის უარმყოფელი მრეცხავი ქალების ხარხარი აღარასოდეს შენწყვეტილა, იგი დღესაც გაისმის სამყაროში. თალესის თავგადასავალი არ იყო კერძო შემთხვევა. იქ ფილოსოფოსმა და ფილოსოფიის უარმყოფელებმა ერთმანეთს „მარადიული არგუმენტები“ წარუდგინეს.

არიან კიდევ ფილოსოფიის „ნაწილობრივ“ უარმყოფელნი. მათ პოზიტივისტები ენოდებათ. ისინი თვლიან, რომ ფილოსოფია „მეფე ლირის მდგომარეობაში აღმოჩნდა“. შექსპირის პერსონაჟმა – მეფე ლირმა თავისი სამეფო ქალიშვილებს გაუნანილა, თვითონ კი სამკვიდროს გარეშე დარჩა. ასევე დაემართა ფილოსოფიასაც, რადგან მთელი სინამდვილე კერძო („პოზიტიურმა“) მეცნიერებებმა გაიყვეს. ფილოსოფიას ისლა დარჩენია მათ ემსახუროს, მათი მონაპოვრები განაზოგადოს. ასე ფიქრობენ პოზიტივისტები.

ადამიანი ცხენით უფრო სწრაფად მოძრაობს ვიდრე ფეხით, ცხენზე უფრო სწრაფად ავტომობილით, ავატომობილზე სწრაფად თვითმფრინავით, – ეს პროგრესია. ხდება თუ არა ნინსვლა, პროგრესი ფილოსოფიაში? – თუ იქ მუდმივად ერთ მანკიერ წრეში ტრიალებენ? ფილოსოფიურ პრობლემებს „მარადიული პრობლემებიც“ ენოდებათ, რადგან მათზე თავს იმტკრევდნენ ყველა ეპოქის დიდი ფილოსოფოსები, მაგრამ ვერ მივიდნენ რამე მეტ-ნაკლებად ყველასათვის მისაღებ და დასაბუთებულ შედეგებამდე. მაშ რა აზრი აქვს უსარგებლო და უსასრულო კამათს იმის შესახებ, სული უკვდავია, თუ მოკვდავია? ღმერთი არსებობს თუ არ არსებობს?, სამყაროს პირველსაწყისი მატერიალურია თუ იდეალური?

ფილოსოფიისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები ხშირად ყვებიან ერთ ამბავს. ალყაშემორტყმულ კონსტანტინეპოლში ფილოსოფი დაუსრულებლად კამათობდნენ: რამდენი ანგელოზი დაეტევა ნემსის წვერზე? ისე გაერთნენ ამ საქმით, რომ ვერც კი შენიშნეს როგორ შემოჭრნენ თურქები და როგორ დააჭრეს ყველას თავები. ამაზე ასე პასუხობენ ხოლმე: ფილოსოფია აზროვნების განვითარებადი და დაუსრულებელი თავგადასავლებისაგან შედგება, მაგრამ თითოეული ეს თავგადასავალი შეიცავს „ჭეშმარიტების მარცვალს“. ამ „მარცვლების“ გარეშე შეუძლებელია აზროვნების ახალი შენობების აგება.

## §2. მეფე ლირი მოხუცთა თავშესაფარში

ფილოსოფოსის პროფესია, ავად თუ კარგად, ჯერ კიდევ არსებობს. სასწავლო საგნის სახით, ის შეტანილია სასწავლო კურიკულუმებში. ყველა უნივერსიტეტს ჰყავს ფილოსოფიის პროფესორები. კანტის შემდეგ ყველა ფილოსოფოსი პროფესორია. რა როლს ასრულებენ ისინი თანამედროვე ცხოვრების სამყაროში?

როგორც უკვე შევიტყვეთ დღევანდელ ფილოსოფიას შექსპირის პერსონაჟს, – მეფე ლირს ადარებენ. როდესაც მეფე ლირმა იგრძნო, რომ „მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია“, თავისი სამეფო ორ ნაწილად გაუყო თავის ორ ქალიშვილს. თვითონ კი ფიქრობდა, ხან ერთთან იცხოვრებდა, ხან მეორესთან. მაგრამ ქალიშვილებმა მამა აღარ

მიიღეს. მეფე სამკვიდროს გარეშე დარჩა. ფილოსოფია მთელ ცოდნას მოიცავდა. შემდეგ თანდათან დაიწყო კერძო მეცნიერებების გამოყოფის პროცესი, ბოლოს მთელი სინამდვილე მათ გაინაწილეს, ფილოსოფიას საკუთარი კვლევის საგანი აღარ დაუტოვეს. ასე დარჩა ყველასგან მიტოვებული, დარდისაგან ნახევრად შეშლილი ბერიკაცი მარტოდმარტო.

XIX საუკუნიდან ვრცელდება შეხედულება, რომ ფილოსოფიის შემოქმედებითი ეპოქები უკვე დასრულებულია, რომ ჰეგელის სისტემის შექმნის შემდეგ ახალი არაფერი მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს. ის თავის თავს ველარ ინახავს და გახდა შენახვის, მოვლისა და დოტაციის საგანი. როგორც თანამედროვე ევროპაშია მიღებული, ხანდაზმულ მშობლებს მოხუცებულთა თავშესაფარში „მიაბარებენ“ ხოლმე, და ეს ისეთივე ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, როგორც შვილების „მიბარება“ სკოლებში.

მაშასადამე 21-ე საუკუნის დამდეგს ფილოსოფია შეიძლება შევადაროთ მეფე ლირს, რომელიც მოხუცებულთა თავშესაფარში, პანსიონში ცხოვრობს. ის იქცა აგდებული მონიშების საგნად, რომელიც ქველმოქმედების წყალობით არსებობს. იქ მისი არსებობა ულიმდამო ბანალურობა და შემგუებლობაა. ფილოსოფიას მუდმივად აწუხებს შიში გაბატონებული მეცნიერებისა და მზარდი ტექნოლოგიების წინაშე. იმის შიშით, რომ არამეცნიერულად გამოიყურება, ცდილობს როგორმე მიემსგავსოს ან გარეგნულად მაინც მიბაძოს მეცნიერებას, თუმცა იცის, რომ ვერაფერს შესთავაზებს თანამედროვე მსოფლიო წესრიგს, ისეთს, რაც, მაგალითად გაუტოლდებოდა 1990 წელს გენომის აღმოჩენას. ამ აღმოჩენის პრეზენტაციაზე აშშ-ს პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ ახალი ეპოქა იწყება კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

ყოფილი ცხოვრების მასწავლებელი ჩამორჩა ცხოვრებას. ცხოვრება შორს წავიდა, „ბერიკაცი“ კი დაშორდა, გაუუცხოვდა ცხოვრებას, გადაიქცა რაღაც ხელოვნური კონსტრუქციების ამგებად, რომელიც გაუგებარი და ზედმეტია ცხოვრებისათვის.

რა უნდა აკეთოს მოხუცთა თავშესაფარში სამსახურიდან გადამდგარ-მა, უსაქმოდ დარჩენილმა ფილოსოფიამ XXI საუკუნეში?

- მემუარები წეროს, მოიგონოს თავისი თავგადასავალი, ახალ თაობას მოუთხროს ძველი, გარდასული ამბები, როგორც ბუხართან მჯდომი მოხუცი პაპები უამბობენ ხოლმე, უივილ-ხივილით გარშემოხვეულ შვილიშვილებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფია დაიყვანება ფილოსოფიის ისტორიამდე.
- ფილოსოფიას ანუგეშებენ: შენი ქალიშვილები (მეცნიერებები) ისეთი უმადურნი არ აღმოჩნდნენ, როგორც მეფე ლირის ქალიშვილები. მათ სჭირდებათ ფილოსოფია, რომელმაც უნდა განაზოგადოს სწრაფგანვითარებადი მეცნიერების ახალ-ახალი მიღწევები და მონაცემები.
- კასანდრას როლი შეასრულოს. კასანდრა იყო მომავალი უბედურების ნათელმხილველი, მაგრამ მისი თავიდან აცილების უნარსმოკლებული

ტროას წინასწარიმეტყველი, მისანი. მან იწინასწარმეტყველა, რომ „ტროას ცხენი“ უბედურებას მოუტანდა მის ქალაქს. ტროელებმა არ შეისმინეს მისი. ცხენი ქალაქში შეიტანეს და ტროა დაემხო. ფილოსოფიას მოგანგაშე და მოწუწუნე ბერიკაცის როლი დაუთმეს, რომელსაც აღარავინ უსმენს.

რატომ არ აძლევენ ნობელის პრემიას ფილოსოფიაში? ეს ნათლად აჩვენებს მის მდგომარეობას. ფილოსოფოსები: ბერგსონი, სარტრი და კა-მიუ, ნობელიანტები გახდნენ არაფილოსოფიურ ნომინაციებში. მათ პრემია მიენიჭათ ლიტერატურის დარგში. ფილოსოფიას უარს ეუბნებიან თანამე-დროვე კაცობრიობის ინტელექტუალურ ელიტაში ადგილზე. ელიტა ეწო-დება იმ ჯგუფს, ვის ხელშიც თავმოყრილია კაცობრიობის ფინანსური ინ-ტელექტუალური და პოლიტიკური რესურსების მაქსიმუმი.

თვითონ ფილოსოფოსთა შორის გამოჩენენ ე. წ. „ანტიფილოსოფოსები“, რომლებიც ტრადიციულ ქედმაღლურ პროფესიულ თვითკმაყოფილებას აკრიტიკებენ. ისინი დასკინიან „სისტემურ მსოფლმხედველობას“.

თანამედროვე ფილოსოფიური დისკურსის წარმომადგენელი არის „კრიტიკული კომენტატორი“. რითი იზომება დღევანდელი ფილოსოფოსის ქმედითი მასშტაბი? მედიაცნობადობის რეიტინგით თუ ციტირების ინდე-ქსით. ამ ინდექსით და კიდევ სხვა მონაცემების მიხედვით, ფილოსოფოსთა პირველ ათეულში (ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით) მოხვდნენ მიშელ ფუკო, პიერ ბურდიე, იურგენ ჰაპერმასი, უაკ დერიდა და სხვები.

იურგენ ჰაპერმასს მიანიჭეს პრემია „კაცი, რომელმაც შეცვალა სა-მყარო“. ეს პრემია აგრეთვე მიანიჭეს მიხეილ გორბაჩივს, ინტერნეტის გამოგონებლებს და სხვა. იუნესკოს დაწესებული აქვს ფილოსოფოსის საერთაშორისო დღე, რომელიც ყოველწლიურად ნოემბრის მესამე ოთხშა-ბათს აღინიშნება.

### დანართის გამოძახება

XX საუკუნე იწურებოდა, როდესაც საპატრიარქო სასახლეში მიიწვიეს ქართველი ფილოსოფოსები ძალიან სასიამოვნო და კეთილგანწყობილ სემინარ/ვახშამზე.

პატრიარქი: ამბობენ რომ, დღეს ფილოსოფოსები აღარ არიან, არიან მხოლოდ კრიტიკოსები. თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ფილოსოფიის აღორძინებას?

ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი: ამისათვის სოკრატეა საჭირო, სოკრატეს გამოძახება მოგვიწევს.

სასახლის ფილოსოფოსი: სოკრატეს გამოძახება ძვირი დაგვიჯდება.  
ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი: პატარ-პატარა სოკრატების მაინც, ეს მათი საქმეა.

## **კომიკური ეფექტი**

ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პროფესორები ტომ კატკარტი და დენ კლეინი, ფილოსოფიის ხუმრობით სწავლებას გვირჩევენ. ისინი კითხვაზე „როგორ გავფილოსოფოსდეთ?“ პასუხობენ: „ჩაყვინთეთ საგანთა არსებაში, ოღონდ ისე, რომ იქ არ დაიხრჩოთ.“

გენიალურ რუს მწერალს, ფერორ დოსტოევსკის აწუხებდა ერთი თემა: რა მოხდება ქრისტე, რომ მოვიდეს დღეს თანამედროვე სინამდვილეში, ისევე, როგორც 2000 წლის წინ მოვიდა პალესტინაში? ევროვიზია, სი-ენ-ენი, ბი-ბი-სი და სხვა მედიასაშუალებები როგორ გააშუქებდნენ ამ ამბავს? თვით დოსტოევსკის ფანტაზიით, ქრისტე XVI საუკუნეში რომ მოსულიყო, ინკვიზიცია დააპატიმრებდა და ერეტიკოსობაში ბრალდებით გაასამართლებდა.

რა მოხდება სოკრატე, პლატონი და არისტოტელე რომ „გამოვიძახოთ“ თუნდაც დღევანდელ ათენში? არ მისცემენ ნობელის პრემიას? სავარაუდოდ სოკრატეს „ადამიანის უფლებათა დაცვის“ დარგში მიანიჭებენ, პლატონს ლიტერატურის დარგში, არისტოტელეს ფიზიკაში. სოკრატე ალბათ უარს იტყოდა, ქუჩაში ფილოსოფოსობას არჩევდა, მაგრამ სადღაა „ქუჩა?“! ქუჩა დღეს სოციალური ქსელებია. სოკრატე კომპიუტერს უნდა მიუჯდეს და ინტერნეტში იღვანოს. სხვა სარბიელი მას არ ექნება. პლატონი და არისტოტელე შეუდგებიან სალექციო ტურნეს მსოფლიოს 100 წამყვან უნივერსიტეტში, ფილოსოფოსთა მსოფლიო კონგრესზეც გამოვლენ, რომელიც 2018 წელს შანხაიში უნდა გაიმართოს...

მაგრამ მოვეშვათ მოცლილი ფანტაზიით თამაშს. ისევ მოხუცთა თავშესაფარში ვეწვიოთ ფილოსოფიას. ჩვენ, დამწყები ფილოსოფოსები, იქ შევხდეთ XX საუკუნის ფილოსოფიის მეფეებს, ცენტრალურ ფიგურებს: ბერტრან რასელს და ედმუნდ პუსერლს. ვკითხოთ მათ, რაა არის ფილოსოფია?

**რასელი:** ფილოსოფია არის ენობრივი თამაში!

**პუსერლი:** არა, ფილოსოფია ჭვრეტაა!

**კითხვა:** რას აკეთებს ფილოსოფია მოხუცთა თავშესაფარში?

**რასელი:** მართავს ენობრივ თამაშებს. ესაა მისი საქმე. ვისაც ენობრივ თამაშთა მრვალფეროვნება არ უდგას თვალწინ, ის ვერ გაიგებს ფილოსოფოსობის აზრს.

**კითხვა:** არსებობს თუ არა სანტა-კლაუსი?

**პასუხი:** გააჩნია რას გულისხმობი იმაში, რასაც ჩვენ „ყოფნას“ ან „არყოფნას“ ვუწოდებთ. ამას ეწოდება „ენობრივი თამაშის პარადიგმა.“

ფილოსოფია უკვე წარმოშობისთანავე იყო წილნაყარი თამაშთან. ბერძნული ფილოსოფია ელინთათვის დამახასიათებელი თამაშებრივი სულისაგან წარმოიშვა. ათენის მოქალაქისათვის ენობრივი თამაშები არანაკლებ საინტერესო იყო, ვიდრე ოღიმპიური სპორტული თამაშობანი. ამას მოწმობს რიტორიკის მასწავლებლების – სოფისტების დიდი პონორარე-

ბი. სოფისტ გორგიას კამათისა და დასაბუთების ხელობაში უფრო მეტი გადაუხადეს, ვიდრე მოქანდაკე ფიდიასს. მან მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი, ოლიმპიული ზევსის ქანდაკება შექმნა, რომელიც ათენის პაროვნობში დაბრძანეს.

ბლეზ პასკლამაც ფილოსოფია აზარტულ თამაშად წარმოიდგინა: „არ-სებობს თუ არა ღმერთი? ჩვენსა და ღმერთს შორის უსასრულო ქაოსია. ამ უსასრულო სივრცის კიდეზე გაჩაღებულია თამაში. ჩვენ კენჭს ვუყრით; რა ამოვგივა: თეთრი თუ შავი.“

დღევანდელი ანალიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები ამბობენ: ჩვენ გვსურს ენის გამოყენების შესახებ ჩვენს ცოდნაში წესრიგი დავამყაროთ; წესრიგი განსაზღვრული მიზნისათვის; ერთი ბევრ სხვა შესაძლებელ წესრიგთაგანი, და არა ერთადერთი წესრიგი. არა ისეთი წესრიგი, როგორც ოსვენციმის სოლოვეცკის ან გუანტა-ნამას საკონცენტრაციო ბანაკებში დამყარდა. ეს ფილოსოფიის თვითმკვლელობა იქნებოდა, რადგან სრულიად გაქრებოდნენ ფილოსოფიური პრობლემები. არსებობს ფოლოსოფოსობის არა ერთი, არამედ მრავალი მეთოდი, სხვადასხვა თერაპიების მსგავსად.

„მაგალითი: როდესაც ამბობენ: „მოსე არ არსებობდა“, ეს შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს. ეს შეიძლება ნიშნავდეს: ებრაელებს არ ჰყოლიათ ერთი ბელადი, რომელმაც ისინი ეგვიპტიდან გამოიყვანა. – ან: მათ ბელადს არ ერქვა მოსე – ან: არ არსებობდა ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა ყოველივე ის, რასაც ბიბლია გვეუბნევა მოსეს შესახებ – და ა.შ. რასელის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ: სახელი „მოსე“ შეიძლება სხვადასხვა აღწერების საშუალებით გაისაზღვროს. მაგალითად, როგორც „კაცი, რომელიც ებრაელებს უდაბნოში მიუძღვებოდა,“ „კაცი, რომელიც ამ დროსა და ამ ადგილას ცხოვრობდა და რომელსაც მაშინ „მოსე“ ერქვა“, კაცი, რომელიც ბავშვობისას ფარაონის ქალიშვილმა ამოიყვანა ნილოსიდან“ და ა.შ. და იმის მიხედვით, მივიღებთ ერთ თუ მეორე განსაზღვრებას, წინადადება „მოსე არსებობდა“ სხვადასხვა საზრისს იღებს. და ასევე – ყველა სხვა წინადადება, რომელიც მოსეს ეხება. – და როცა გვეუბნებიან: „არ არსებობდა“, ჩვენც ვეკითხებით „რას გულისხმობ? იმის თქმა გინდა, რომ. ., თუ იმის, რომ. . ., და ა.შ.?“

ლ. ვიტგენშტაინი, ფილოსოფიური გამოკვლევები

კითხვა: ფილოსოფიას ენობრივი თამაშების წესების მხოლოდ აღწერა ევალება, თუ შეცვლაც, რეფორმაც?

I პასუხი: მხოლოდ აღწერა! ფილოსოფიამ არანაირად არ უნდა ხელყოს ენის ფაქტობრივი გამოყენება. ან მხოლოდ ის წესები უნდა გახადოს მოხილვადი. /რასელი/

II პასუხი: ენობრივი თამაშების მოთამაშე ძალიან კრეატიული უნდა იყოს. „მოლაპარაკე სუბიექტს უნარი აქვს ახალ გამოცდილებაზე შეტყობინება გადასცეს ახალი, მანამდე არ არსებული

წესებით. მეტიც, აზროვნება წესების შემცვლელი კრეატიულობაა, შეუძლია კითხვის ქვეშ დააყენოს თვითონ მეტყველების ველის კოდირების ზოგადი წესებიც“. (უმბერტო ეკო, „მკითხველის როლი“).

კითხვა: შეიძლება კი „ენობრივი თამაშები“ მნიშვნელობით გაუტოლოს პირტკა, მედიას, კულტურის ინდუსტრიას, ძალაუფლების მიკრო და მაკრო ქსელებს?

პასუხი: ფილოსოფია გვანთავისუფლებს ენის გამოყენების ერთი წესის ტირანიისაგან! იგი ენიდან მეტაენაში გადასვლაა.

### **მარადიული სიჭაბუკის ელექსირი**

შეკითხვა ედმუნდ ჰუსერლს, რომელსაც XX საუკუნის სოკრატეს უწოდებენ.

კითხვა: ამბობენ და უკვე ყველა სკოლაში ასწავლიან, რომ თანამე-დროვე სამყაროში მოხდა: დიდი ნარატივების სიკვდილი, ავტორის სიკვდილი, რადგან ფილოსოფოსებს აღარაფერი აქვთ სათქმელი.

პასუხი: დიახ, ჩვენ ყველამ რაღაც ვიცით ამის შესახებ. მეც ვიგრძენი რომ, არაფერი მაქვს სათქმელი, ამიტომაც დავუპირისპირდი ტრადიციას. მე დავინახე, რომ ერთ დღეს მთელი ჩვენი ცოდნის შენობა თავზე დაგვენგრევა და ჩვენი გონების ყოფილი დიდების ტაძრის ნანგრევებში აღმოვჩნდებით.

კითხვა: რა გავლენა აქვს ფილოსოფიას ცხოვრებაზე?

პასუხი: ფილოსოფია ჭვრეტის სკოლაა. ის არსთა მჭვრეტელობაა, პლატონის ტერმინით, წმინდა ეიდოსთა (eidos) მჭვრეტელობაა. „ისევე როგორც ინდივიდუალური, ემპირიული მჭრეტელობისათვის მოცემულია ინდივიდუალური საგანი, ასევე არსთა ჭვრეტისათვის მოცემულია შინაარსი. აქ ადგილი აქვს არა მარტო გარეგნულ ანალოგიას, არამედ რადიკალურ დამთხვევას. არსისჭვრეტაც, რა თქმა უნდა მჭრეტელობაა, ისევე როგორც ეიდეტური საგანიც საგანია... ნამდვილი მჭვრეტელობა, ანუ მჭვრეტელობა თავისი არსების მიხედვით, არის სწორედ არსის მჭვრეტელობა. ეს მსგავსება ჩვეულებრივ მზერა-ჭვრეტასა და არსთაჭვრეტას შორის, იმაზე მიუთითებს, რომ არ შეიძლება მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა.“

შეკითხვა: არ შეიძლება ცხოვრების სამყაროდან ფილოსოფიის მოწყვეტა?

პასუხი: დიახ! ეს არ არის ისეთი საკითხები, რომელთა ასეთი თუ ის-ეთი გადაწყვეტა, ან საერთოდ არ გადაწყვეტა ცხოვრებაში არაფერს ცვლიდეს... მაშასადამე, გაფილოსოფოსება სიცოცხლის სამყაროში დაბრუნებაა, მისი განცდის ახალ-ახალი ჰორ-

იზონტების გახსნის ტექნიკაა. გაფილოსოფოსება მარადიული სიჭაბუკის ელექსირის მოპოვებას ნიშნავს.

კითხვა: შეგვიძლია განვსაზღვროთ ფილოსოფიის რაობა, არსება?

პასუხი: ესაა მზაობა, უფრო ზუსტად დაუძლეველი მოთხოვნილება მიხვიდე ყოველივეს სათავეებთან, საწყისებთან, ფესვებთან.

### **ფილოსოფიური დისკურსის მატრიცა**

ჩვენი კურსის ამოცანაა აზროვნების ფილოსოფიური წესის შეჯამება, მოკლედ და ადვილად გასაგებად ჩაწერა, „შეკუმშვა“, შემოკლება, გამარტივება. ხელიდან რომ არ გაგვიქრება ის უშუალო ზემოქმედების მადლი, რაც ქმნის აზროვნების ფილოსოფიურობას. მთელ დისკურსს (აზრთა წყობას) თავისუფალი თამაშის ქარაგმა (ენიგმა) წარმართავს.

ფილოსოფიური „თამაში“ თავისებურ შეთანხმებას, წესების დაცვას გულისხმობს (თუმცა მათი დარღვევის შემთხვევებიც ხშირია). თვითონ დისკურსის შიგნით ხდება იმ წესების ჩამოყალიბება, რომლებიც შემდგომ მთელ სფეროს განსაზღვრავს.

ფილოსოფიური მეტყველებისათვის აუცილებელია ველი, ფილოსოფიური ნაწარმოების აგების ველი, რომელიც ფილოსოფოსთა თაობების ესტაფეტის სახით არსებობს. თაობათა თანმიმდევრობის ესტაფეტის მიღება სავალდებულოა ყველასათვის, ვისაც სურს მიეკუთვნებოდეს ამ „ველს“.

რისგან შედგება ეს მემკვიდრეობა? კლასიკოების მიერ დაწერილი წიგნების, სტატიებისა და დისერტაციებისაგან. ესაა კაპიტალი, საუნჯე, საგანძურო, ლირებულება. მათი კომენტირება/განმარტებისათვის უწყვეტი დისკუსია მიმდინარეობს მემკვიდრეობის უფლებისათვის. ამ კაპიტალის მოპოვებისა და გადანაწილებისათვის ბრძოლა გვეძლევა კულტურის სამყაროს სახით, რომელსაც ფილოსოფია ეწოდება.

ვისაც ამ აკადემიურ სფეროში შესვლა გადაუწყვეტია, მან უნდა დააკმაყოფილოს სფეროსადმი კუთვნილების პირობები. პირობები არასტაბილურია, მაგრამ მათი სრული უგულებელყოფა არასოდეს მოხდება.

ვისაც აქვს ფილოსოფოსის შინაგანი მოწოდება და სურვილი, რომ ის გამოხატოს პრობლემების კვლევაში და პედაგოგიურ საქმიანობაში, ფილოსოფიის შესავალი მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნება. ჯერ-ჯერობით შეგვიძლია შევქმნათ, კარგი:

- მოხსენება სტუდენტური კონფერენციისათვის
- რეფერატი სემინარული აქტივობისათვის
- ესსე (სტატია) სტუდენტური სამეცნიერო კრებულისათვის
- მოვიფიქროთ არგუმენტები დისკუსიაში მონაწილეობისათვის.

რაც ფილოსოფიის შესახებ შევიტყვეთ, შეიძლება ასე შევაჯამოთ: «ფილოსოფია იმ საწყისთა წვდომისა და შემეცნების პროცესია, რომლის

შედეგადაც იმედი გვაქვს გავხდებით უფრო ჭკვიანნი ვიდრე, მანამდე ვიყავით, უფრო კეთილნი ვიდრე ვიყავით; ჩვენ ვიმსახურებთ ფილოსოფოსის სახელს თუ ცოდნის ძიების შედეგები უკეთესს გაგვხდიდა». (ბოლცანო, რა არის ფილოსოფია?)

კითხვა: ვის სჭირდება ფილოსოფია?  
პასუხი: ყველას, ვინც აზროვნებს!

**მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ:**

- ჩამოთვალეთ ფილოსოფიის უარმყოფელთა არგუმენტები.
- ჩამოთვალეთ ფილოსოფიის არსებობის გამამართლებელი არგუმენტები:
- შეადარეთ ერთმანეთს მეტოქე არგუმენტები და გამოიტანეთ დასკვნები.

# ნაცილი მეორე მეტაფიზიკა: ყოველის და შემაცნების ფილოსოფია

## თავი I მეცნიერება მიუწვდომელზე

### §1 მეტაფიზიკა როგორც ამოცანა და როგორც მეცნიერება

#### სიტყვა მეტაფიზიკა

სიტყვა „მეტაფიზიკა“ სიტყვა „ფილოსოფიის“ სინონიმია. ეს სიტყვა მოიფიქრა არისტოტელეს შრომების რედაქტორმა ანდრონიკე როდოსელმა (ჩვ. წ. I ს.). მან არისტოტელეს ერთ უსათაურო წიგნს, რომელიც „ფიზიკის“ შემდეგ იდო, წაანიჭრა: მეტა თა ფუსიკა, რაც ქართულად ნიშნავს „ის რაც ფიზიკის შემდეგაა“. ფიქრობენ რომ ეს ვრცელი წიგნი ყოფიერებისა და შემეცნების გამოკვლევათა კრებულია, რომელსაც ავტორი პირველ ფილოსოფიას (პრიმაფილოსოფია) უწოდებდა. დროთა განმავლობაში ეს შემთხვევით შემოღებული სიტყვა, არსისა და აზრის შესახებ მოძღვრების აღმნიშვნელ ტერმინად იქცა, ფილოსოფიის ფუძემდებლურ დარგებს დაერქვა. თუ ჩვენ ვიკითხავთ: რა არის მეტაფიზიკა? ამით ჩვენ ვკითხულობთ ფილოსოფიის არსების, საძირკველის შესახებ.

სიტყვა „მეტაფიზიკა“ ჩვენთვის, დამწყები, ფილოსოფოსებისათვის, შეიცავს გადამწყვეტი მნიშვნელობის შეტყობინებას. ეს სიტყვა გვასწავლის, რომ არსისა და აზრის, ყოფიერებისა და შემეცნების საწყისთა ძიება ჩვენი ხელობისათვის მუდამ იქნება პირველი, „პრიმა“, ფუძემდებლური საქმე; და კიდევ გვაგებინებს, რომ ყოფიერების ძიებანი და შემეცნების ბუნების ძიებანი ერთი მეცნიერებაა, ერთი მედლის ორი მხარეა. ყოფიერების ძიებას მოგვიანებით ონტოლოგია ეწოდა, ხოლო შემეცნბის ბუნების ძიებას – გნოსეოლოგია.

დიადი სიტყვები ყოველთვის სხვადასხვა მნიშვნელობებს იძენენ ხოლმე. ასეთ სიტყვებს ბერძნები უწოდებდნენ „პოლიონიმოს“, მრავალსახელიანი სიტყვები. სიტყვა „მეტაფიზიკა“ კიდევ ერთი აზრითაც იხმარება: თუ ეძებ იმას, რაც ფიზიკის მიღმაა, ხარ მეტაფიზიკოსი, ხოლო თუ მიგაჩნია, რომ ფიზიკა და ის, რაც მის მიღმაა, სინამდვილეში განუყრელ ერთიანობაშია, ხარ დიალექტიკოსი (ბერძ. „დია“ – ორი), ანუ ის, ვინც ყველაფერში ხედავს უძრავისა და მოძრავის, პლიუსისა და მინუსის, სიკვდილს და სიცოცხლის ანუ დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის გამოვლენას. „დი-

ალექტიკის მამა“ ჰერაკილტე ეფესელი (535-475 ძვ. წ.), რომელსაც თავისი მოძღვრების სირთულის გამო „ჰერაკილტე ბნელი“ შეარქევს, ამბობდა რომ ყოველივეს განაგებს დასაბამიერი დავა, ომი დაპირისპირებულ მხარეთა შორის, მათი ურთიერთგადასვლა, ერთიანობა, ერთიანი მდინარება. „ბრძოლა ყველაფრის მამა, ყველაფრის მეფე, ერთნი მან ღვთაებებად განაწესა, მეორენი ადამიანებად, ერთნი მონებად, მეორენი ბატონებად“. ყოველივე მიმდინარეობს („პანტა რეი“), ერთსადამიავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ. კოსმოსი არის ცეცხლი, რომელიც მარადიულად ინთება და ქრება. ცეცხლი აალდება და ერთმანეთთან კრავს და აშორებს კიდეც ნათელსა და ბნელს, წარმოშობასა და მოსპობას.

სიტყვა „დიალექტიკას“ სხვა მნიშვნელობაც აქვს. დიალექტიკოსს ბერძნები ორატორული ხელოვნების იმ ოსტატებს უწოდებდნენ, ვისაც შეეძლო ლოგიკის კანონების მანიპულირებით ნებისმიერი მოსაზრება გაემართლებინა. მაგალითად, ძენონი (ძვ.წ. 490-430) ასაბუთებდა, რომ გაფრენილი ისარი დგას და კუს ვერ დაეწევა აქილევსი. არისტოტელემ ძენონს „დიალექტიკის გამომგონებელი“ უწოდა. კანტი დიალექტიკას უწოდებდა ცრუმეცნიერებას, ცრულოგიკას. ჰეგელის მოძღვრებაში დიალექტიკა არის ღვთაებრივი, (აბსოლუტური) გონების თვითმოძრაობისა და სიცოცხლის წესი. წმ იოანე დამასკელმა VII საუკუნეში შექმნა ეკლესიის დოგმატიკის სახელმძღვანელო „წყარო ცოდნისა“, სადაც „დიალექტიკა“ ეწოდება არისტოტელეს მეტაფიზიკისა და ლოგიკის პრინციპების გამოყენებით, ეკლესიის მრწამსის დასაბუთებას.

ჩვენთვის ახალი ამ სიტყვების გაგებასა და დამახსოვრებაში მოგვეხმარება ილია ჭავჭავაძის „მგზავრი წერილები“ და გალაკტიონ ტაბიძის გენიალური ლექსი.

ჰეტერბურგიდან დაბრუნებული ილია გვიამბობს დარიალის ხეობაზე, სადაც მარადისობაში გარინდებული მყინვარის სიდიადე დაპირისპირებულია თერგის სიცოცხლით სავსე, „გიუმაჟ“ დინებასთან. მყინვარი მეტაფიზიკას ჰეგელის მიერ ცეცხლი – დიალექტიკას.

გალაქტიონს არ ეხერხებოდა აზრების მეცნიერულად ან პროზად გამოთქმა. ის ყველაფერს ლექსად გამოთქვამდა. ლექსად გამოთქვა ჰეგელის დიალექტიკური მოძღვრებაც.

„წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი,  
წმინდა სინათლის დიად ბადეში,  
ისე ცოტაა გასაგებელი,  
როგორც რომ, წმინდა სიწყვდიადეში.... .  
მეორე სიტყვა არსით არსეობს, და  
შეგნებამდე მიჰყავს მთელივე,  
რომ ყოველივე მიმდინარეობს  
და ამავე დროს, დგას ყოველივე“.

## აუცილებელი მეცნიერება

ადამიანის გონებას აწუხებს ფიქრი მიუწვდომელზე, იმაზე, რაც ცდის მიღმაა, ძირითადად ასეთი სამი კითხვაა:

- არსებობს თუ არა ღმერთი?
- მოკვდავია თუ უკვდავი სული?
- რა არის სამყაროს საწყისი?

ამ მთავარი საკითხების შემსწავლელი მეცნიერება უნდა გახდეს ყველა ცოდნისა და მეცნიერების საფუძველი. მეტაფიზიკა აუცილებელი და უპირატესი მეცნიერებაა მიუწვდომლის შესახებ. არისტოტელე „მეტაფიზიკაში“ მიუთითებს, რომ ცოდნაში ორი მხარე უნდა გავარჩიოთ: ნამდვილი და შესაძლებელი. გონება, რამდენადაც ის მიმართულია განუსაზღვრელის და უსასარულოსადმი, თვითონაც განუსაზღვრელია; ამ მრივ მეტაფიზიკა არის ადამიანის მიერ ღვთაებათა (წმინდა ფორმათა) შემეცნების სურვილი და შესაძლებლობა, როგორც ამოცანა, მიზანი, იდეალი.

პირველფილოსოფია ანუ მეტაფიზიკა მოიცავს ონტოლოგიას (ბერძნ. ოντიς არსებული და λόγος – მოძღვრება); აგრეთვე შემეცნების – (გნოსეოლოგია ბერძნ. γνῶσις – შემეცნება) და ცოდნის (ეპისტემოლოგია ბერძნ. επιπιστήμη – ცოდნა) თეორიებს. რისი შემეცნება შეუძლია ადამიანის გონებას? რა არის ცოდნის წყარო და კრიტერიუმი? ტრადიციულად ყოფიერების ზოგად თეორიას უწოდებენ „მეტაფიზიკა გენერალის“. იგი იშლება სამ ქვედისციპლინად – „მეტაფიზიკა სპეციალის“ – ბუნების, ღმერთის და ადამიანის შემსწავლელ დარგებად. თითოეული დარგი მოწოდებულია უპასუხოს ერთ-ერთს სამი ფუნდამენტური მეტაფიზიკური კითხვიდან და ეს პასუხები უნდა იყოს გაცემული არა რელიგიური რწმენის საფუძველზე, არამედ გონებით, რაციონალურად (ლათ. „ratio“ – გონება) დასაბუთებული.

მთავარი მეტაფიზიკური კითხვებია:

- არსებობს თუ არ არსებობს ღმერთი? ამ საკითხის შემსწავლელ დისციპლინას ეწოდება „რაციონალური თეოლოგია“ („θεός – ღმერთი, „λόγος“ – მოძღვრება).
- სული უკვდავია თუ მოკვდავი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ევალებოდა „რაციონალურ ფილოლოგიას“ (ბერძ. „ψυχής“ – სული).
- რა არის სამყაროს პირველსაწყისი, დასაბამი, (ბერძნ. ἀρχή). ამ საკითხს „რაციონალური კოსმოლოგია“ (ბერძ. „κόσμος“ – სამყარო) შეისწავლიდა.

## ბუნებრივი მიღრეკილება

მეტაფიზიკა მართალია ადამიანის გონებისათვის „აუცილებელი მეცნიერებაა“, მაგრამ ის ხომ მიუწვდომელის შესახებ მეცნიერებაა, ანუ ცოდნაა იმის მიღმა, რაც ადამიანის გამოცდილებისათვის შეიძლება მისაწვდომი გახდეს. მაშ საკითხი ასე უნდა დაისვას: შესაძლებელია თუ არა

მეტაფიზიკა როგორც მეცნიერება?

უნდა ვაღიაროთ, რომ მეტაფიზიკის არსებობა ფაქტია, ისევე, როგორც ფაქტია ბუნებისმეტყველების არსებობა. როგორ შევუწყოთ ხელი ადამიანური გონებისათვის ამ აუცილებელი მეცნიერების ზრდასა და განვითარებას? მეტაფიზიკის მეცნიერების ყალიბში მოვაქცევა ვცადოთ? თუ უარვყოთ მისი მეცნიერული პრეტენზიები, მაგრამ ვაღიაროთ მისი, როგორც ამოცანისა და იდეალის მნიშვნელობა. მეტაფიზიკის ცნებები – ღმერთი, სამყარო და სული, – სინამდვილეში ცნებები კი არ არიან, არამედ იდეალები, გონების იდეალები, რომლებსაც შემეცნებითი ფუნქცია არა აქვთ. მეტაფიზიკის ძირითადი ცნებები შეიძლება შევადაროთ მანათობელ ვარსკვლავებს, რომელიც ორიენტირს გვაძლევენ, მაგრამ იმდენად შორეულნი არიან, რომ მანამდე მანძილს ვერასოდს დავფარავთ.

„ადამიანის გონებას განსაკუთრებული ბედი დაჲყოლია მისი ცოდნის ერთ გვარუობაში: მას ანუხებს საკითხები, რომელთა მოცილება არ ძალუდს, რადგან ისინი თვით გონების ბუნებას მოუხვევია თავს, მაგრამ არც პასუხის გაცემა შეუძლია, ვინაიდან ისინი აღემატებიან ადამიანის გონების ყველა უნარს“ (ი. კანტი). ამიტომ მეტაფიზიკა დაუსრულებელი კამათისა და დავის ასპარეზს წარმოადგენს. კატმა მეტაფიზიკა შეადარა მძლავრ ბერმუხას, რომლის „ყოველი ახლადამოყრილი ყლორტი და ღერო შეიძლება მოიკვეთოს, მაგრამ ფესვის მოკვეთა შეუძლებელია“.

ადამიანის გონება მიისწრაფვის ისეთი შორეული და მიუწვდომელი თვალსაწინისაკენ, სადამდეც გზა და მანძილი ყველთვის დაუძლეველი დარჩება. ამიტომ საკუთარი შესაძლებლობების ზღურბლზე, გონება თავს აფარებს რაღაც ეჭვშეუვალ დებულებებს, რომელთა ბრმად მიღება უხდება. ამის გამო სიძნლებსა და წინააღმდეგობაში ვარდება. ახალ დროში მოდად იქცა ამ ყოფილი „მეცნიერებათა დედოფლის“ აბუჩად აგდება. მეტაფიზიკა სიძულვილის საგნაც იქცა, რადგან უნდოდათ მისგან გაერჩიათ ფიზიკა და ბუნებისმეცნიერებანი. მხოლოდ ბუნების მექანიზმის ცოდნა გამოცხადდა მეცნიერებად.

თუმცა შეუძლებელია გულგრილი დარჩე მეტაფიზიკისადმი, საკუთარი გონების ბუნება არ მოგცემს ამის საშუალებას. „როგორც კი აზროვნებას იწყებენ, მაშინვე მეტაფიზიკურ პრობლემებს უბრუნდებიან“ (კანტი). მეტაფიზიკის უარისმყოფელი ყველაზე ცრუმეტაფიზიკის ცრუმეტყველებას უვარდებიან ხელში.

ყველა მცდელობა მეტაფიზიკა ექციათ მეცნიერებად, წარუმატებლად მთავრდება, ამიტომ კითხვა „როგორ არის შესაძლებელი მეტაფიზიკა როგორც მეცნიერება?“ უნდა შეიცვალოს კითხვით, – როგორ არის შესაძლებელი მეტაფიზიკა როგორც ადამიანის გონების ბუნებრივი მიღრეკილება?

## ჯ 2 ყოფიერება: მიზეზი, მიზანი, საზრისი

### იდეა და „ნივთი თავისთავად“

ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიწყებთ ფილოსოფოსობას, როცა მკაფიოდ და ნათლად შევიგნებთ განსხვავებას „ყოფიერებასა“ და მყოფებს, არსებულებს შორის. ამის შესახებ პლატონის „სოფისტი“ მიგვითითებს: „აშკარაა თქვენ დიდი ხანია იცით, თუ რას გულისხმობთ, როცა ხმარობთ გამოთქმა „მყოფი“. ადრე ჩვენც გვწამდა, რომ რაღაც გვესმოდა. ახლა კი გასაჭირში ჩავ-ვარდით. მოგვეპოვება კი პასუხი კითხვებზე თუ რას ვგულისხმობთ საკუთრივ სიტყვაში „მყოფი“? არასგ ზით!“ ამრიგად, „ყოფიერება“ ყურადღების ფოკუსშია და ჩვენ ვხდებით ონტოლოგები.

პლატონი და კანტი, ორი ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, ორი ბურჯი, რომელზეც დგას ძველი და ახალი ფილოსოფია, ღრმა ნათესაობას ამ-უღლებენ ყოფიერების გაგების საკითხში. პლატონი ფიქრობდა, რომ ნამდვილი ყოფიერება არის იდეა (Eidos), ხოლო მისი არანამდვილი, აჩრდილი და ანარეკლებია ერთეული საგნები. კანტის მიხედვით საგნებს ორი მხარე აქვთ: მოვლენათა სახე, ანუ საგნების ჩვენთვის მისაწვდომი მხარე და ჩვენთვის მიუწვდომელი „ნივთი თავისთავად“ (Ding an sich). პლატონის იდეა არის გრძნობადი საგნების მიღმიერი, იდეალური პირველი მუში. „ნივთი თავისთავად“ არის ყოველი წარმოდგენისგან მიუწვდომელი „ნოუ-მენთა“ სამყარო, სადაც არც ბუნების კანონები მომედებენ და არც დრო და სივრცე არსებობს.

პლატონის იდეა და კანტის „ნივთი თავისთავად“ საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდნენ კამათის, და აღფრთვოვანების საგანს.

პლატონის მოძღვრება იდეებზე გვასწავლის, რომ ცდის ველში შემოსულ საგნებს არა აქვთ ნამდვილობა, არ არიან „ნამდვილმყოფნი“, წარმოშობა – მოსპობის მდინარებაში გაქრებიან, ჩაინთქმებიან, ხოლო იდეები წარუვალნი, უხრწნელი და მარად მყოფნი არიან. მარად თავის თავთან იგივეობაა მათი ძირითადი ნიშანი. ამიტომ წარმავალი ნივთების პირველხატი, პირველი მუში არის იდეა. შესაძლოა სიტყვა იდეა ზეა ამ აზრით, პირველად თვითონ პლატონმა იხმარა.

პლატონური იდეები, რომ შევადაროთ კანტის „ნივთს თავის თავად“, ბევრ საერთოს აღმოვაჩინთ. მთავარი ისაა, რომ მკაფიოდ არის განსხვავებული „თვითონ ყოფიერება“ და ყოფიერნი, არსებულნი ანუ „ნივთები ჩემთვის“. ნივთები მისაწვდომი სახით არიან ფენომენები, მოვლინები. ჩევენ მხოლოდ ის ვიცით თუ როგორია „სამყარო ჩემთვის“, მაგრამ არ ვიცით თუ როგორია „სამყარო თავისთავად“.

„ნივთი თვისთავად“ და „იდეა“ – ესაა დროისა და სივრცის მიღმური, ნივთიერისგან შეუვალი და ხელთუქმნელი ყოფიერება. ხოლო ის სფერო, რომელსაც მიზეზობრივობა განსაზღვრავს, არიან მოვლენის სახით გამოჩენილი საგნები. აი ეს არის კანტისა და პლატონის მოძღვრებების მთა-

ვარი აზრი და შინაარსი.

სანამ ჩვენ აღქმაში ვართ ჩაძირულნი, ჩვენ ვემსგავსებით პნელი მღვიმის ტუსალებს, რომლებიც კედელზე საგანთა აჩრდილების, სილუეტების მეტს ვერაფერს ხედავენ.

კანტი და პლატონი თვლიან, რომ ადამიანი ორი სამყაროს – ფიზიკურის და მეტაფიზიკურის – მოქალაქეა. მისი ამოცანაა გადასვლა ფიზიკური აუცილებლობის სამეფოდან მეტაფიზიკური თავისუფლების სამეფოში.

კანტისა და პლატონის მოძღვრებათა მსგავსებაზე რომ ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მათ შორის არსებითი განსხვავებაც. პლატონიზმი იდეის რეალიზმს ქადაგებს. ადამიანი საერთოდაც რომ გაქრეს, იდეათა მარადიულ სიმყუდროვეში არაფერი შეიცვლება. კანტის თეორიაში „იდეები“ სხვა არაფერია თუ არა აზრის წმინდა ფორმები, ადამიანური გონების საყოველთაო და აუცილებელი ფორმები. ახალი დროის ფილოსოფიაში ადამიანური გონება აქტიური მშენებელია იმისა, რასაც იმეცნებს.

კარგად რომ გავიგოთ განსხვავება ფენომენსა და ნოუმენს შორის, უნდა დავიმახსოვროთ კიდევ ორი ტემინი. კანტი ფიქრობდა, რომ აზროვნების და ჭვრეტის ფორმები ჩამარხულია გონების წიაღში ყოველგვარ ცდამდე და ყოველგვარი ცდისგან დამოუკიდებლად. ამას ეწოება *a priori*, ხოლო ცდის შემდეგს – *a posteriori*. დავიმახსოვროთ ეს ახალი ტერმინები.

დრო და სივრცე და კატეგორიათა ცხრილი მოცემულია *priori*. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გვიკეთია სათვალე, რომელსაც ვერასოდეს მოვიხსნით, ხოლო ნივთები უჩინმაჩინის ქუდით, რომელსაც ვერასოდეს მოიხდიან არიან ნოუმნენი.

### მიზეზი და მიზანი

არსებულია წინასწარგანსაზღვრულობა (დეტერმინაცია) ორი სახისა: მიზნობრივი ანუ ტელელოგიური (ბერძ. Telos–მიზანი) და მიზეზობრივი ანუ კაუზალური (ლათ. causa–მიზეზი).

არისტოტელემ მოგვცა ტელეოლოგიური აზროვნების კლასიკური ნიმუში. არსებობას განსაზღვრავს ჩანაფიქრების მიზანშეწონილობა, საბოლოო მიზან/მიზეზი, რომლისკენაც მიისწრაფვის ყველა საგანი.

არისტოტელემ ოთხი სახის მიზეზი დაასახელა. მარმარილოს ლოდისა-გან შემნილი ქანდაკების მოქმედი მიზეზი – მარმარილო; ფორმალური მიზეზი – გამოკვეთილი ფორმა; მიზნობრივი მიზეზი – მოქანდაკის ჩანაფირის მიზანშეწონილობა.

თითოეულისა და ყველას არსებობას განსაზღვრავს მონატრება და მოძრაობა საბოლოო ყოვლისგანმსაზღვრელი ერთი მიზან/მიზეზისაკენ.

მაშასადამე ძველი ონტოლოგია შეკითხვაზე: რა არის ყოფირება? პა-

სუხობდა: არსებულთა საბოლოო (ფინალური) მიზან/მიზეზი ანუ ღმერთი. ღმერთი არ გადადის სამყაროში, მაგრამ სამყაროს არ შეუძლია არ ელტ-ვოდეს და არ ეტრფობოდეს მას, რადგან ფინალური მიზეზი, ამავდროულად არის მისაბაძი ნიმუში.

არისტოტელეს მოძღვრება ყოფიერებაზე გაბატონებული იყო ახალ დრომდე. მას ქრისტიანი თეოლოგები იყენებდნენ ღმერთის არსებობის დასაბუთებისათვის. ახალ დროში მეცნიერებაში თანდათან გაბატონდა მიზეზობრივობის პრინციპი და გამოდევნა მიზნობრივობის პრინციპი. ტელეოლოგია მეცნიერებასთან შეუთავსებლად გამოცხადდა. დამკვიდრდა კითხვა – რატომ? რა მიზეზით? გაუჩინარდა კითხვა – რისთვის? რა მიზნით?

### საზრისი: ონტოლოგიის ახალი გზები

განმანათლებლობის ჩრდილოვანი მხარეების გამომუდავნების შემ-დეგ, XX საუკუნეში, ფოლოსოფიამ უარი თქვა „ყოფიერება“ გაეგო, როგორც ერთი, ყოვლისმომცველი და ყოვლისგანმსაზღვრელი მიზნობრივი ან მიზეზობრივი ტოტალობა, რომელიც საეჭვოდ ჰგავდა ფიურერს, ხოლო თავის თავთან დაურღვეველი იგივეობის მქონე არსთა (ssencia) მსოფლწერიგი, საკონცენტრაციო ბანაკების წესრიგთან ასოცირდებოდა.

საკითხი ასე დაისვა: რა არის ის, რაც არ ექვემდებარება „არის!“ – ის ტოტალობას. საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილმა პატიმარმა ემანუელ ლევინასმა ძიების საგანად აქცია: „სხვა ვიდრე ყოფიერება!“

ონტოლოგია ეძიებდა ახალ გზებს და ამ ძიებამ მიიყვანა ახალ ორი-ენტაციამდე, ყოფიერების საკითხის განახლებამდე, ახლებურად დაყენებამდე. რაშია ყოფიერების საზრისი? ყოფიერების გამოცანა იხსნება საზრისში.

ალბერ კამიუმ საყოველთაო სულისკვეთება გამოხატა: „არსებობს ერთადერთი ნამდვილად სერიოზული ფილოსოფიური პრობლემა: თვით-მკვლელობა. გადაწყვიტო ღირს თუ არა ცხოვრება, იგივეა ფილოსოფიის ძირითად კითხვას გასცე პასუხი“. სხვა ყველაფერმა ფილოსოფიური სერიოზულობა დაკარგა. მთავარია ყოფიერების საზრისის პოვნა.

### მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ:

- უპასუხეთ კითხვას: მეტაფიზიკა აუცილებელი მეცნიერებაა? მოიყვანეთ ამ დებულების გამამართლებელი და გამამტყუნებელი არგუმენტები.
- მეტაფიზიკა შეუძლებელია როგორც მეცნიერება, ის მხოლოდ გონების ბუნებრივი მიღრეკილებაა. მოძებნეთ ამ დებულების გამამართლებელი და გამამტყუნებელი არგუმენტები.
- შეადარეთ სამი თეზისი:

- ყოფიერება არის მიზეზი
  - ყოფიერება არის მიზანი
  - ყოფიერება არის საზრისი
- გამოარჩიეთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები
- შეადარეთ პლატონის „იდეა“ და კანტის „ნივთი თავისთავად“. გამოკვეთეთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

## თავი II

### ონტოლოგია – მოძღვრება ყოფიერებაზე

არისტოტელე „მეტაფიზიკაში“ წერდა: „არის ასეთი მეცნიერება, რომელიც განიხილავს არსებულს, როგორც ასეთს დ იმას, რაც მას თავისთავად აქვს. იგი არ არის არც ერთი კერძო მეცნიერების იგივეობრივი, არცერთი სხვა მეცნიერება არ იკვლევს არსებულის, როგორც ასეთის ზოგად ბუნებას.“

პირველად 1712 წელს ქრისტიან ვოლფმა ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში შეიტანა ფორმულა: „პირველი ფილოსოფია ანუ ონტოლოგია“.

ჩვენ, როგორც დამწყებმა „ონტოლოგებმა“, უკვე ვიცით, რომ უნდა გავარკვიოთ „საკითხთა საკითხი“ – ყოფიერება. მაგრამ ამ სიტყვას იშვიათად ხმარობენ. გავრცელებულია სიტყვა „სამყარო“ („ქვეყნიერება“). ეს სიტყვა განუყრელია სიტყვისაგან „ლმერთი“. „ლმერთო ჩემო!“ – ეს შეძახილი ყველა ადამიანს აღმოხდენია, როცა სამყაროზე უფიქრია. ამ ორ მეტაფიზიკურ სიტყვას უნდა დავუმატოთ მესამეც – „ადამიანი“. ადამიანი არც ლმერთია, არც სამყარო, უფრო მათ „შუაშია“, ურო ხიდია მათ შორის. ბიბლიაშიც ხმა ლმერთმა ადამიანი სამყაროს შემნის შემდეგ შექმნა თავის „ხატად და მსგავსად“.

#### §1. ლმერთი

ფილოსოფოსები მუდამ კამათობდნენ იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ლმერთის არსებობის დასაბუთება? თუ საკმარისია მისი აღიარება მხოლოდ რწმენით? ლმერთისა და სამყაროს მიმართების საკითხზე მრავალსაუკუნოვანი კამათის შედეგად ჩამოყალიბდა საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტი: **თეიზმი** (მე მნამს რომ ლმერთი არსებობს), **ათეიზმი** (მე მნამს რომ ლმერთი არარასებობს), **აგნოსტიციზმი** (მე არ ვარ დარწმებული, რომ ლმერთი არსებობს და არც იმაში, რომ ლმერთი არ არსებობა), **დეიზმი** (ლმერთმა შექმნა სამყარო, მაგრამ შემდეგ აღარ ერევა მის არსებობაში), **პანთეიზმი** (ლმერთი ყველაფერშია).

მესამე საუკუნის რელიგიურმა მოაზროვნემ ტერტულიანემ გამოთქვა დებულება: „მნამს რადგან აბსურდია“. მას ბევრი ფილოსოფოსი იზიარებს. მათი აზრით, რწმენა და ცოდნა შეუთავსებელია ერთმანეთთან. რწმენის საფუძველია ლმერთის ზებუნებრივი გამოცხადება და სასწაულები, რაც ცოდნის ლოგიკით არის პარადოქსი – (ლათ. para – გარეთ, doxa – ცოდნა). ცოდნას და რწმენას აქვთ თავ-თავიანთი სფეროები და მათი აღრევა დაუშვებელია.

მე-13 საუკუნის მოაზროვნე თომა აქვინელი, რომელიც რომის კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, ფიქრობდა, რომ მხოლოდ რწმენა არა თუ საკმარისი არ არის, არამედ დაუშვებელია, მხოლოდ რწმენის ანაბარად ყოფნა. რადგან ეს იქნებოდა საიქიოს პასიური მოლოდინი, სა-

დაც ცდისეულად დამტკიცდებოდა ღმერთის არსებობა ან არარსებობა. ამ ქვეყნად არა მარტო რწმენით, არამედ გონების მეშვეობითაც უნდა შევიცნოთ ღმერთი, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა დავასაბუთოთ დებულება: „ღმერთი არსებობს“ – deus est. ეს დებულება მანამ ვერ იქნება თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება, ვიდრე ფიზიკურ სამყაროში, წუთისოფელში ვცხოვრობთ, ადამიანს ესაჭიროება პასუხი კითხვაზე: „ღმერთი არსებობს, თუ არ არსებობს?“ მაშასადამე, ადამიანის გონების მთავარი ამოცანა მოიძიოს მტკიცებულებანი, არგუმენტები.

ფილოსოფიის ისტორიაში მრავალი ასეთი არგუმენტი და კონტრარგუმენტი იქნა შემუშავებული. ფილოსოფიის შესავალში მათ ვრცლად ვერ განვიხილავთ. ისინი შეიძლება დავიყვანოთ რამდენიმე უმთავრეს მტკიცებულებამდე. ესენია: პირველმიზეზის, ონტოლოგიური, მიზანშენონილების და მორალური არგუმენტები.

### ონტოლოგიური არგუმენტი

ონტოლოგიური არგუმენტი ჩამოაყალიბა XI საუკუნეში კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა ანსელმმა (1033 – 1109). იგი ე.ნ. სქოლასტიკური (Scholasticos – ლათ. სასკოლო) ფილოსოფიის წარმომადგენელია.

ანსელმ კენტერბერიელის მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტის არსი მოკლედ შეიძლება ასე გადმოვცეთ: ღმერთი არის უზენაესი ყოვლადსრულყოფილი არსება. მისი აბსოლუტური სრულყოფილება უკვე გულისხმობს მის არსებობას. ამ დებულების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი მცდელობა შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას. თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ იგი არ არის სრულყოფილი. ამრიგად, ღმერთის როგორც სრულყოფილი არსების ცნებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს მისი არსებობა. ანსელმი თვლის, რომ ეს არის ლოგიკურად ჭეშმარიტი დებულება, რომლის უარყოფა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია. ღმერთის ონტოლოგიური დასაბუთების თავისებურება იმაშია, რომ იგი ღმერთის ცნების ანალიზის საფუძველზე ასაბუთებს მის უეჭველ არსებობას

ანსელმი თავისი არგუმენტის აგებას იწყებს მე-13 ფსალმუნის ცნობილი სტროფის ანალიზით: „თქვა უგუნურმა თავის გულში: „არ არის ღმერთი“: რატომ არის უგუნურება დებულება: „ღმერთი არ არის“? რატომ ენინააღმდეგება იგი გონების ლოგიკა? სწორედ ესმის თუ არა „უგუნურს“ ღმერთის ცნება, მისი იდეა? ღმერთის იდეა, – ამბობს ანსელმი – არის ყოვლადძლიერი, ყოვლისმცოდნე, დაუსაბამო, უზენაესი და ყოვლადსრულყოფილი არსების იდეა, მისი ცნება. ახლა ჩვენ უკვე ვიცით რა არის ღმერთის ცნება. მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაქვს ამ ცნების შესატყვისი რეალობის დასაბუთება, ჯერ არ ვიცით არსებობს თუ არა იგი?

რაიმე შეიძლება არსებობდეს აზრში, იდეალურად და შეიძლება არსებობდეს რეალურად. მხოლოდ აზრში არსებული, არის ნაკლებ სრულყოფილი, ვიდრე რეალურად არსებული. ღმერთი, რომ მხოლოდ აზრში არსებულიყო, მაშინ ის იქნებოდა ნაკლოვანი არსება და არსებული მასზე მაღალი რანგის არსებად უნდა წარმოგვედგინა. ღმერთის იდეა გულისხ-

მობს, რომ ის ერთდროულად უნდა იყოს აზრშიც და რალურად არსებულიც.

ანსელმი აუცილებლობის იდეას აკავშირებს ღმერთს იდეასთან. აუცილებლობა უპირატესია, ვიდრე შემთხვევითობა. ღმერთი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი, რადგან მაშინ მასზე სრულყოფილი, აუცილებელი არსებობა უნდა მოგვეაზრებინა. ეს კი შეუძლებელია. ღმერთი არსებობს აუცილებლად. ღმერთი არსებობდა, არსებობს და ყოველთვის იარსებებს, რადგან შეუძლებელია, რომ არ არსებობდეს, – დასკვნის ანსელმი.

ონტოლოგიური არგუმენტი ბევრჯერ გააკრიტიკეს. ანსელმის თანამედროვე ბერმა გაუნილომ ანსელმის არგუმენტი გააკრიტიკა თავის ნაშრომში „ნიგნი უგუნურების დასაცავად“, იგულისხმება უგუნური, რომელმაც ფსალმუნის მიხედვით „თქვა თავის გულში არ არის ღმერთი“.

გაუნილოს კონტრარგუმენტის არსი შემდეგში მდგომარეობს: ცნებაში არ შედის არსებობა. ჩვენ შეიძლება მოვიაზროთ კუნძული, სადაც ისე ცხოვრობენ ადამიანები, როგორც სამოთხეში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ნამდვილად არსებობს. იგივე არგუმენტი გაიმეორეს თომა აქვინელმა და იმანუელ კანტმა. კანტი ასე მსჯელობდა: მე შეიძლება გონებაში მქონდეს ასი ტალერი და არც ერთი ტალერი არ მქონდეს ჯიბეში.

ანსელმმა წამოაყენა მორიგი არგუმენტი, მისი დებულების მიმართ წამოყენებული კონტრარგუმენტების გასაბათილებლად. მისი აზრით, ოპონენტები ვერ ითვალისწინებენ პრინციპული მნიშვნელობის განსხვავებას, რომელიც არსებობს ერთეული საგნის ცნებასა და აბსოლუტის ცნებას შორის. აბსოლუტის ცნების მოაზრება „არსებობის“ პრედიკატის გარეშე შეუძლებელია. ხოლო სხვა ყველაფრისა კი შესაძლებელია. მაგალითად, კუნძული ან ასი მონეტა რეალურადაც რომ არსებულიყვნენ, მაინც შემთხვევითი არსებული იქნებოდნენ და არა მარადიული და აუცილებელი. ისინი შეიძლება არც არსებულიყვნენ, ან დროებითი არსებობის შემდეგ აღარ იარსებებენ.

### პირველმიზეზის არგუმენტი

ამ არგუმენტის ავტორებად მიჩნევენ არისტოტელეს და თომა აქვინელს.

არგუმენტის შინაარსი ასეთია: ყველაფერს რაც არსებობს, აქვს თავისი მიზეზი, შემდეგ იმასაც აქვს მიზეზი და ასე მიზეზი ჯაჭვი ან უნდა იყოს უსასრულო, ან მასში უნდა იყოს უკანასკნელი რგოლი, რომელსაც აღარ დაჭირდება მიზეზი, რადგან თვითონ იქნება თავისი თავისი მიზეზი – ასეთი პირველმიზეზი არის ღმერთი.

ღმერთის არსებობის დასასაბუთებლად. თვით თომა აქვინელმა ჩამოაყალიბა 5 ასეთი არგუმენტი:

პირველი: მოძრაობის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ არსებობს მისი პირველმიზეზი; მეორე: საგანთა თვითმყოფობა, მათი მიზეზის თვითმყოფობას მოწმობს; მესამე: საგანთა შემთხვევითობა აუცილებელ არსებას გულისხმობს; მეოთხე: საგანთა მეტ-ნაკლები საყოველთაობა იმის მაუნ-

ყებელია, რომ არსებობს ყოვლადსრულყოფილი არსი; მეხუთე: ბუნებისა და ბუნებრივი საგნების მიზანშეწონილება უზენაესი მიზანშეწონილების – უზენაესი გონივრული და ნებელობითი არსების მტკიცებულებაა.

თომა აქვინელი ფიქრობდა, რომ შეუძლებელია მატერია არსებულიყო მარადიულად. მას ჰყავს თავისი შემოქმედი, რომელიც არსებობს მარადიულად. აქვინელის არგუმენტის კონტრარგუმენტი შემდეგი სახით იქნა ჩამოყალიბებული. თუ შესაძლებელია მარადიულად არსებული დაუსაბამო ღმერთის ცნება, მაშინ ასევე შეიძლება დაუშვათ მარადიული, დაუსაბამო სამყაროს არსებობაც.

### **ჩანაფიქრის არგუმენტი**

ამ არგუმენტის არსი შემდეგში მდგომარეობს: სამყაროში ყველაფერი ისეთი წესრიგითა და ჰარმონიით არის მოწყობილი და ორგანიზებული, რომ იგი ჰყავს ხელოვნების გენიალურ ნაწარმოებს, ან დიდოსტატის მიერ შექმნილ მექანიზმს. სამყაროში არაფერი არ არის შემთხვევითი, ყველაფერი ექვემდებარება რაღაც გეგმას, პროექტს, ჩანაფიქრს. ასეთი სამყარო ვერ წარმოიშობოდა შემთხვევით, ნინასწარ გააზრებული ჩანაფიქრის (პრესტაბილური ჰარმონიის) გარეშე.

უილიამ პელის ასეთი არგუმენტი მოჰყავს: ჩვენ, რომ უდაბნოს ქვიშაში ვიპოვოთ მექანიკური საათი, გავაკეთებთ უეჭველ დასკვნას – საათი შეიქმნა ვიღაც გონიერი არსების, ოსტატის მიერ. სამყარო არის მექანიზმი, მანანა, რომელსაც არ შეიძლება არ ჰყავდეს შემქნელი, ოსტატი ანუ ღმერთი.

ეს არგუმენტი გააკრიტიკა დევიდ ჰიუმმა. მან რამდენიმე კონტრარგუმენტი წამოაყენა. თუ ერთი ოსტატის მიერ არის შექმნილი სამყარო, მაშინ რატომ არსებობენ სხვადასხვა რელიგიები? სამყარო მექანიკურ საათზე უფრო მცენარეს ჰყავს, ხოლო მცენარეს არ ჰყავს თავისი ოსტატი.

ჰიუმი სვამს კითხვას: შეიძლებოდა თუ არა სამყაროს არსებობა შემოქმედის გარეშე? შეიძლება სამყარო დაიწყო როგორც მოწესრიგებული ქაოსი და მდგრადობას მიაღწია გარკვეული დროით, რომლის შემდეგ იგი შეიძლება ისევ ქაოსს დაუბრუნდეს.

## **§2. სამყარო**

**„ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“**

**ვაჟა-ფშაველა**

აუდიტორია უნივერსიტეტშია, უნივერსიტეტი თბილისშია, თბილისი დედამიწაზეა, დედამიწა გალაქტიკაშია, გალაქტიკა მეგაგალაქტიკაშია... ყველაერი სამყაროშია, მაგრამ თვითონ სამყარო სადღაა? ჩვენ გვაინტერესებს სამყაროს, როგორც მთელის, რაობა. დაუსაბამოა ეს მთელი თუ დასაბამი აქვს? იქნებ ასეთი „მთელი“ არც არსებობს და მხოლოდ არსებულ-

თა ლანდშაფტია? – დაახლოებით ისეთი, ფორმობალი რომ ავაფეთქოთ. ამ აფეთქების მომენტს და ფორმობალის ნაფლეთებად მიმოფანტვას ფოტოსურათი გადავუღოთ. სხვათა შორის, მხატვრული ფოტოგრაფიის ოსტატები ხშირად იღებენ ასეთ სურათებს. ფიზიკოსებიც ფიქრობენ, რომ 7,5 მილიარდი წლის წინ რაღაც ზეძლიერ შეკუმშული ნივთის „დიდი აფეთქების“ წყალობით შეიქმნა კოსმოსი, დრო, სივრცე და მატერია. დაახლოებით 5-7 მილიარდი წლის შემდეგ მისი ყველა „ნაფლეთი“ დაკარგავს მოძრაობის ძალას, ყველა ვარსკვლავი ჩაიძირება და იქ სადაც სამყარო იყო, წყვდიადი დაისადგურებს.

### დასაბამი თუ დაუსაბამო?

ძველი ბერძნული აზრი მყარად იდგა პრინციპზე: ex nihilo nihil hit – „არარასაგან არაფერი წარმოიშვება“. რომაელი პოეტი ვირგილიუსი წერდა: „არარასაგან თავად ღმერთიც ვერაფერს შექმნის“. პლატონი და არისტოტელე ვარაუდობდნენ რომ ღმერთმა შექმნა სამყარო რაღაც ქაოსური მასალისგან.

ანტიკურ ხანაშივე დაიწყო და ქრისტიანული ერაში უფრო ფართო მასშტაბით გაიშალა ფილოსოფოსთა კამათი ღმერთის არსებობის დასაბუთების შესახებ. ღმერთის არსებობის ერთ-ერთ მთავარ ფილოსოფიურ არგუმენტს ეწოდება ონტოლოგიური არგუმენტი.

ფილოსოფიის წარმოშობიდან დღემდე ფილოსოფოსები კამათობენ იმის შესახებ, თუ რა არის სამყაროს დასაბამი? – ძველი ბერძნული ფილოსოფიის ტერმინით არხე (ბერძნ. ἀρχή) – ის, რისგანაც ყოველივე წარმოიშობა, სიტყვასიტყვით, პირველმყოფი და პირველმმართველი, პირველმმწესრიგებელი. ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ანტიკური საბერძნეთის პირველმა ფილოსოფოსებმა ეს პრობლემა აქციეს აზროვნების უმთავრეს საკითხად. თალეს მიღეთელის მოძღვრების მიხედვით, არხე ანუ ის ძირი, რისგანაც ყოველივე არსებული როგორც არსებული წარმოსდგება, არის წყალი; ანაქსიმანდრეს მიხედვით აპეირონი (ბერძ. ἄπειρον) რაც განუსაზღვრელს ნიშნავს; პითაგორას მიხედვით რიცხვთა განზომილება, ჰერაკლიტეს მიხედვით – სამყაროული აზრი, ლოგოსი (λόγος); დემოკრიტეს მიხედვით – ატომები (ბერძ. ἀτομίς) განუყოფელი ნაწილაკები, ემპედოკლეს მიხედვით ოთხი ელემენტი – წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მინა. პლატონის მიხედვით ყოფიერების პირველადი ფორმებია იდეები (ειδοίς), ხოლო გრძნობადი სამყარო მათი აჩრდილი და ანარეკლია; არისტოტელეს მიხედვით, არსებული შედგება ფორმისა და მასალის ანუ მატერიისაგან – საბერძნეთის პირველი ფილოსოფოსების აზრების გაგება არ არის ადვილი თანამდეროვე ადამიანისათვის, ჩვენ შეიძლება მათგან განსხვავებულ შინაარს ვგულისხმობდეთ ისეთ სიტყვებში, როგორიცაა „ღმერთი“, „კოსმოსი“, „ლოგოსი“ და ა.შ. შეიძლება სიტყვა „ყოფიერება“ გვესმოდეს ბიბლიური ღმერთის ანალოგიურად, რომ ის არის დაუსაბამო, უქმნელი, შეუცნობელი არსება, რომელმაც შექმნა სამყარო და ადამიანი და წარმართავს

მათ არსებობას. შუა საუკუნეებში „ყოფიერების“ შესახებ კამათმა ღმერთის არსებობის დასაბუთების სახე მიიღო. ღმერთის არსებობის ერთ-ერთ მთავარ ფილოსოფიურ არგუმენტს ეწოდება ონტოლოგიური არგუმენტი.

გვიან შუა საუკუნეებში და რენესანსის ეპოქაში მეტაფიზიკურ კვლევებში წამყვან ადგილს იკავებს **სუბსტანციის** ცნება, რაც ლათინურად ნიშნავს ქვემდებარეს, ანუ იმას რაც საფუძვლად უდევს არსებულთა მრავალგვარობას. ესაა არსებულთა ზღვრული ძირი, ფორმა, რომელზეც დამოკიდებულია არსებობის სხვა ფორმები.

გარდა სუბსტანციისა, ყოფიერების ცნების სინონიმებად იხმარებოდა ისეთი კატეგორიები, როგორიცა – უნივერსუმი, აბსოლუტი, მატერია.

აქვე უნდა განიმარტოს თუ რა არის ფილოსოფიური კატეგორია. ფილოსოფიური კატეგორია ეწოდება უზოგადეს ცნებებს, რომლებიც ფილოსოფისებმა შეიმუშავეს ყოფიერების ძირითადი მახასიათებლების აღსანიშნად.

არისტოტელემ ჩამოაყალიბა 10 კატეგორიისაგან შედგენილი სისტემა. ესენია: არსება, სუბსტანცია, თვისებრიობა, რაოდენობა, მიმართება, ადგილი, დრო, მდგომარეობა, ქონება, მოქმედება. მე-18 საუკუნეში ი. კანტმა ჩამოაყალიბა 12 კატეგორიისაგან შედგენილი ცხრილი. კანტის მიხედვით, ისინი არიან ადამიანური განსჯის ცდამდელი, აპრიორული ფორმები და პრინციპები. ამ კატეგორიათა სქემით ხდება გრძნობადი მასალის გაფორმება. ჰეგელმა კატეგორიები აბსოლუტის უნივერსალურ შინაგან კანონზომიერებად გამოაცხადა.

სუბსტანცია არის ორგვარი: სამყაროს სუბსტანცია და ინდივიდუალური სუბსტანცია ანუ ის, რაც ცალკეული არსებულის არსებაა.

ტრადიციული ონტოლოგიის ფუძემდებლური ცნება სუბსტანცია აღნიშნავს, ყოველი არსებულის (ყოფიერის) ქვემდებარე (საფუძვლად მდებარე) ყოფიერებას (არსს). სუბსტანცია არის არსებათა არსება, რომელსაც თავის თავში აქვს საკუთარი არსებობის მიზეზი – ლათ. *causa sui*, ანუ ის რაც არის ყოველივეს პირველმიზეზი და პირველმამოძრავებელი.

რენესანსის პერიოდში (XV-XVII სს.) და ახალ დროში (XVII-XIX სს.) ხდება „ყოფიერების“ ცნების გაწმენდა რელიგიური, მხატვრული, მითოსური დანაშრევებისაგან და მისი განმარტება მათემატიკისა და მექანიკის კანონების მიხედვით. ბუნება, სამყარო განიმარტება როგორც თავისთავად არსებული უნივერსალური მექანიზმი, მანქანა. ასეთ გაგებას ხელი შეუწყო გალილეო გალილეის და ისააკ ნიუტონის მეცნიერულმა გამოკლევებმა ფიზიკისა და ასტრონომიის დარგში. ისინი ყოველგვარი ცოდნის ერთადერთ ნიმუშად იქნა მიჩნეული.

სუბსტანცია გაგებულია როგორც ყოფიერების უცვლელი, მუდმივი სუბსტრატი და ზღვრული საფუძველი, რომელსაც ახასიათებს აქციდენციები, ატრიბუტები, თვისებები. ეს თვალსაზრისი შეაჯამა ბენეფიქტე სპინოზამ თავის ცნობილ თეზისში: სუბსტანცია არის „ღმერთი ანუ ბუნება“ – *Deus sive Natura*.

ყოფიერების ცნებისადმი სუბსტანციური მიდგომა გერმანულ კლასი-

კურ იდეალიზმში (კანტი, ფიხტე, შელინგი, პეგელი), XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე, შეიცვალ სუბიექტის პრინციპით. სუბსტანცია იყო პასიური პრინციპი, რომლითაც შეუძლებელია აიხსნას სამყაროს წარმოშობა. სუბიექტის პრინციპის მიხედვით სამყარო იმით არის განსაზღვრული, რომ მისი დასაბამია სუბიექტი – აქტიური, შემოქმედი, თვითცნობიერების მქონე გონება.

### ყველაზე უკეთესი სამყარო

XVII საუკუნეში გერმანელმა რაციონალისტმა, მათემატიკოსმა და ლოგიკოსმა გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცმა წარმოთქვა ცნობილი ფრაზა: „ჩვენი სამყარო ყველაზე უკეთესი სამყაროა ყველა შესაძლო სამყაროთა შორის“. ლაიბნიცი ამის გამო ვოლტერის მნარე დაცინვის საგანი გახდა. ვოლტერმა დაწერა სატირა „კანდიდი“, რომლის მთავარი პერსონაჟი პროფესორი პანგლოსი ლაიბნიცის აზრს გამოთქვამს, თუმცა ცხოვრება უფრო საპირისპიროს კარნახობს – ჩვენი სამყარო ყველაზე უკეთესი კი არა, შესაძლოა ყველაზე უარესი იყოს, ყველა შესაძლო სამყაროებს შორის.

მაგრამ ლაიბნიცი თავის თეზისამდე მივიდა ლოგიკური დასაბუთების გზით: ყოვლისშემძლე და ყოვლაძლიერი ღმერთის მიერ ყველა შესაძლო ვარიანტებს შორის შეუცდომელად არის გამოვლილი და შერჩეული ყველაზე უკეთესი ვარიანტი. სხვა ვარიანტებში ბოროტება მეტი იქნებოდა.

### შეუზღუდვავი და შეზღუდული დეტერმინიზმი

მეცნიერები ჩვენს დრომდე ფიქრობდნენ, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება. ყველაფერი მიზეზობრივად არის განპირობებული და წინასწარგანსაზღვრული. ამას ეწოდება კაუზალური დეტერმინიზმი. მიზეზობრიობა უნივერსალური კანონზომიერებაა. ამის გამოხატულებად მიაჩნდათ მსოფლიო მიზიდულობის (გრავიტაციის) კანონი, რომელიც ნიუტონმა აღმოაჩინა. პიერ ლაპლასი (1749-1827) ამტკიცებდა, რომ სამყაროს ერთიანობა ბუნების კანონთა ერთგვარობაშია. ერთგვარობა აუცილებლობაა. არისტოტოლეს განმარტებით, აუცილებელია, რაც მხოლოდ ამგვარად ხდება და არ შეიძლება სხვაგვარად მოხდეს.

თანამედროვე ფილოსოფოსებმა აღმოჩინეს კვანტური მექანიკა, მიკრონანილაკების სამყარო, რომლებმაც დაანგრია ძველი წარმოდგენები. სამყაროს წესრიგი ფარდობითი და განუსაზღვრელია. აქედან ზოგი უარყოფს დეტერმინიზმს და შემთხვევითობის ასპარეზს ხედავს ბუნებაში. ზოგი მეცნიერი უფრო შორს მიდის, კვანტების სამყაროში ღმერთის გამოვლენას, თავისუფალი ნების ნიშნებს ხედავს.

ალბერტ აინშტაინს პკითხეს: შეიძლება ნების თავისუფლება დავინახოთ მიკოსამყაროს განუსაზღვრელობაში? მან უპასუხა: აბსოლუტური სისულელა! მე არც იმის მჯერა, რომ ღმერთი კამათლებს აგორებდეს. შეუზღუდვავი დეტერმინიზმი შეცდომაა, მაგრამ უნდა გალიაროთ შეზღუდული დეტერმინიზმის არსებობა ბუნებაში.

## სამყარო და გარემო

სამყაროს მეცნიერული მოდელის ნაკლი გამომჟღავნდა XIX საუკუნე-შივე. ხოლო XX საუკუნეში ამან განგაშის სახე მიიღო. ფიზიკალიზმისა და ნატურალიზმის ცალმხრივობა შეიძლება უბედურებად გვექცეს. საკითხი ასე დაისვა: „სად და ვინ დაამტკიცა, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სხვა ჭეშმარიტება, გარდა მეცნიერულისა, რაზეა დაფუძვნებული დარწმუნებულობა, რომ მეცნიერულად აღწერილი სმყარო რეალურია?“ (ე. ჰუსერლი).

მეცნიერულ სფეოში აღწერილია საგნის ზომა, წონა, გამოთვლადი პარამეტრები. მაგრამ „საზრისი“ ამ სურათზე საერთოდ არ ჩანს. მაშასა-დამე, უნდა განვასხვაოთ ბუნება (Natura) და სამყარო. „ქვა უსამყაროა, არც მცენარეს, არც ცხოველს სამყარო არ აქვს. ისინი იმ გარემოს კუთვნილი არიან, რომლებშიც ისე არიან მორგებულნი, როგორც ჭანჭიკი არის ჩახრახნილი მერქანში. ადამიანის სამყაროში ყოფნით სამყარო სამყაროობს. იგი უფრო მყოფია, ვიდრე ფიზიკურად ხელშესახები საგნები“ (მ. ჰაიდეგერი).

სამყარო, როგორც მთელი, არ აღინერება ფიზიკისა და მათემატიკის ცნებებით. მეცნიერება „სამყაროს“ სურათს ვერ გადაუღებს.

ცხოველს აქვს გარემო, ხოლო ადამიანს სამყარო ე. ი. უნდა განვასხვავოთ სამყარო და გარემო. სამყაროს სამყაროობა მხოლოდ იქ და მაშინ შეიძლება განხორციელდეს, რაღაც და როდესაც ყოფიერების ფარული საზრისი გამომჟღავნდება. ესაა ენის გაზომილება. ამ ვითარებას გამოთქვამს მარტინ ჰაიდეგერი: „ენა არის ყოფიერების სახლი“. მაგრამ როგორია ეს ყოფიერებას ენა? ვის შეუძლია ლაპარაკი ამ ენაზე?

## §3. ადამიანი

გარკვეული აზრით, ფილოსოფიის ყველა ცენტრალური პრობლემა შეიძლება დავიყვანოთ კითხვაზე: „რა არის ადამიანი და რა მეტაფიზიკური ადგილი უკავია მას ყოფიერთა მთელში, სამყაროს და ღმერთის მთლიანობაში?“ ამ სიტყვების ავტორი, მაქს შელერი (1874-1929), აგრძელებს ანტიკური ფილოსოფიიდან მომდინარე ტრადიციას, რომელმაც ადამიანი განსაზღვრა როგორც მიკროკოსმოსი. ჯერ კიდევ პროტაგორამ (ძვ.წ. V ს.) წამოაყენა პრინციპი: „ყველაფრის საზომი – არსებულთა როგორც არსებულთა, და არარსებულთა როგორც არარსებულთა, არის ადამიანი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანში კონცენტრირებულია ყოფიერების ყველა შრე, ყველა ფენა, ყველა განზომილება. ამდენად, ის არის ცენტრი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ღმერთს და სამყაროს.

მ. შელერი ხაზს უსვამს ადამიანის არსების, ადამიანის რაობის, ბუნების განსაზღვრის სიძნელეს – განათლებულ ევროპელს რომ ჰკითხოთ: „რა არის ადამიანი?“ მას ერთდროულად სამი ერთმანეთისაგან განსხვავებუ-

ლი იდეა გაახსენდება.

პირველი არის ბიბლიური იდეა – ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად. ამ იდეის მიხედვით, ადამიანი არ არის თავის თავის დედანი, იგი მხოლოდ ასლია მასზე მაღლა მდგომი ღვთაებრივი არსებისა. მისი დანიშნულებაა იმ უზენაესი არსების მიბაძვა. ამ თვალსაზრისს შეიძლება ენოდოს „ანთროპოლოგია ზემოდან“ (ბერძნ. Ανθρωποσ – ადამიანი).

მეორე, ადამიანის ფილოსოფიური იდეაა. ამ იდეის მიხედვით, ადამიანი არის „გონებით დაჯილდოებული ცოცხალი არსება“ – animal rationale. ადამიანი განსხვავდება ცხოველისაგან გონებით. თვით სამყაროც მოწყობილია კოსმიური გონების, ლოგოსის პრინციპებით. ეს განაპირობებს ადამიანის განსაკუთრებულ ადგილს სამყაროში.

მესამე იდეა არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ტრადიციაში შემუშავებული იდეა, რომლის მიხედვით, ადამიანი წარმოიშვა ბუნების ევოლუციის გარკვეულ საფეხურზე და არის განვითარებული ცხოველი. ადამიანში და ცხოველში ერთი და იგივე ბუნებრივი ელემენტები, ძალები და კანონები მოქმდებს, ოღონდ ადამიანი არის ცხოველის განსაკუთრებული სახეობა. იგი არის „იარაღის მკეთებელი ცხოველი“ და „მწარმოებელი ადამიანი“, omo aber. ცხოველსა და ადამიანს შორის არის მხოლოდ ხარისხობრივი და არა პრინციპული, არსებითი განსხვავება. ამ გზას ეწოდება „ანთროპოლოგია ქვევიდან“. მას ადამიანი დაჰყავს მასზე დაბლა მდგომ არსებებზე და მერე ცდილობს მისი ბუნების შეცნობას.

ადამიანის არსების თანამედროვე გაგება კრიზისშია. დაიკარგა ადამიანის გამაერთიანებელი იდეა. რაც უფრო სწრაფად ვითარდებიან ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მით უფრო მეტი ბუნდოვანება შეაქვთ საკითხში, ვიდრე სინათლე. ადამიანი არასოდეს არ ყოფილა ისეთი პრობლემური, როგორც დღეს არის. ეს აზრები გამოთქვა მაქს შელერმა 1928 წელს გამოცემულ ნაშრომში „ადამიანის ადგილი კოსმოსში“.

ადამიანის ორი ყველაზე გავლენიანი მკვლევარი XX საუკუნეში – მარტინ ჰაიდეგერი და მაქს შელერი, რადიკალურად აკრიტიკებენ დებულებებს: „ადამიანი არის ბუნების ევოლუციის პროდუქტი“, „განვითარებული ცხოველი“ – „იარაღის მკეთებელი ცხოველი“. მათი აზრით, თუ ადამიანზე ვთქვით, რომ ის „ცხოველია“, შემდეგ რაც არ უნდა პრედიკატი დავუმატოთ, „იარაღის მკეთებლობა“, გონიერება (sapiens, ratio) და სხვა, არსს ვეღარ შევცვლით. ადამიანი დარჩება ცხოველად. მათი აზრით ნაკლის მქონეა ადამიანის კლასიკური დეფინიცია „animal rationale“.

ადამიანსა და ცხოველს შორის პრინციპული განსხვავების აღმნიშვნელ ცნებად შელერი თვლის პიროვნებას (persona), პიროვნება მარადისობის ელემენტია ადამიანში, ხოლო ჰაიდეგერისათვის ექსისტენცი არის ადამიანური არსებობის სპეციფიკური წესი.

ლათინური სიტყვა „პერსონა“ მომდინარეობს ბერძნული პრόσიპ-ის-საგან, რაც აღნიშნავს თეატრის მსახიობის ნილაბს, როლს და სახეს. ბერძნულ ტრაგედიასა და კომედიაში ნილაბაფარებული მსახიო-

ბი ახმიანებდა თავის ნიღაბს. „პერსონის“ თეატრალური მნიშვნელობა შუა საუკუნეებში შეიცვალა თეოლოგიური მნიშვნელობით. აქ ის უკვე აღნიშნავდა ღმერთის, როგორც სამების სამ პირს – მამას, ძეს და სულინმიდას. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მრნამსის მიხედვით ღმერთი არის ერთი არსი (ანუ სუბსტანცია) და სამი პერსონა. ბერძნული ეკლესია ამჯობინებდა ტერმინს: პიპოსტას. ბერძენ და ლათინ თეოლოგებს შორის იმართებოდა მწვავე დისკუსიები ამ ტერმინთა შესახებ.

ცნობილია ბოეციუსის განმარტება – *persona est natura rationalis individualia Substancia* (პიროვნება არის გონითი ბუნების დაუნაწევრებელი სუბსტანცია). „პერსონა“ იურიდიული და ეთიკური მნიშვნელობით არის უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის მქონე თავისუფალი არსება, რომელიც თავის თავს უქვემდებარებს მორალურ კანონს. ასეთი არსება ყოველთვის არის ბუნებისა და სამყაროს საბოლოო მიზანი და არასდროს მხოლოდ საშუალება (ი. კანტი).

თანამედროვე მეცნიერება არ გააჩნია სხვა უფრო ადექვატური ცნება ადამიანის არსის გამოსათქმელად ვიდრე „პერსონა“, და „ექსისტენცი“. ზოგი მკვლევარი ამ ორ ცნებას აერთიანებს და ერთიდაიგივე ფენომენის, – „ექსისტენციალური პიროვნების“ ორ არსებით ასპექტად წარმოადგენს. ამგვარად, ადამიანი განიმარტება, როგორც „დროულობისა და მარადიულობის ერთიანობის პარადოქსი“. (კ. იასპერსი)

რას გულისხმობენ, როდესაც ამბობენ, რომ ადამიანი, იმდენად არის ადამიანი, რამდენადაც ის არის ექსისტენციალური პიროვნება?

ამ საკითხის გარშემო მიმდინარეობს დისკუსია ანგლოსაქსური (ემ-პირისტული) და კონტინენტური (მეტაფიზიკური) ტრადიციების მიმდევარ ფილოსოფოსებს შორის. კონტინენტური ტრადიციის მიხედვით, პერსონა მეტაფიზიკური კატეგორიაა. იგი არის *ordo amoris* (სიყვარულის წესრიგის) საწყისი.

ამ პოზიციას ეწოდება პერსონალიზმი. პიროვნება არის ღვთიური ელემენტი ადამიანში. იგი არ არის ნივთი, საგანი, ცხოველი. ცხოველს აქვს გარემო, პიროვნებას აქვს სამყარო. თვით სამყაროს შემოქმედი – ღმერთი არის აბსოლუტური პიროვნება. პიროვნება არის ღვთის ხატი ადამიანში. ადამიანის არსის პრობლემა იღებს პირველსახის და მისი შექმნილი ხატის ურთიერთობის სახეს. პერსონა არის „ფანჯარა აბსოლუტში“. ის არ შეიძლება იყოს სამყაროს ნაწილი, სიცოცხლის ნაწილი – ის არის „სიცოცხლის ასკეტი“, ანუ მასზე ამაღლებული. ადამიანში ყოველთვის არის რაღაც, რაც მეტია, ვიდრე თვით ადამიანი. ეს ვითარება გამოითქმის ფორმულით „*nos extra nos*“ – მარადის საკუთარ თავზე მაღლა.

*persona* (რომლის ქართული შესატყვისია „პიროვნება“) არის გონითი აქტების ცენტრი – „განცდათა უშუალოდ თანაგანცდილი ერთიანობა“, რომლის საფუძველია უმაღლესი გონითი ყოფიერება – ღმერთი. პერსონა გონითი (ეთიკური, რელიგიური, ესთეტიკური) აქტების გზით გადააბიჯებს ბუნების მიღმა, ბუნებრივი სიცოცხლის მიღმა მარადისობაში. ყოველი პერსონული აქტი არის „ლოცვა საკუთარი თვისა და სიცოცხლის მიღმა“.

ამას ეწოდება ტრანსცენდირება (ლათ. *transcendere* – გადაბიჯება). სწორედ ეს აჩენს უფსკრულს ადამიანსა და ცხოველს შორის, რამელიც ვერასოდეს გადაბიჯებს ამ „უფსკრულს“. სხვა მხრივ ადამიანსა და ცხოველს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს. „შიმპანზესა და ცნობილ ამერიკელ ელექტრომექანიკოსსა და გამომგონებელ თომას ედისონს შორის – ირონიულად შენიშვნავს შელერი – თუ ამ უკანასკნელს განვიხილავთ როგორც ტექნიკოსს, არსებობს მხოლოდ ხარისხობრივი განსხვავება, მაგრამ არა არსებითი“. ედისორმა მრავალი ტექნიკური ხელსაწყო გამოიგონა, მაგრამ ეს არსებითად არ განსხვავდება შიმპანზეს ქმედებისაგან., რომელმაც ჯოხის დახმარებით ბანანი მოიპოვა.

პიროვნების არსის გაგებაში ემპირიული მიმართულების ფუძემდებლად ითვლება ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი. იგი თავის ცნობილ ტრაქტატში „ადამიანის ბუნების შესახებ“ ანვითარებს თეზისს, რომლის მიხედვითაც ადამიანი არის ცხოველის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც აქვს გონება, ცნობიერება. სწორედ ეს ქმნის ადამიანის, როგორც პიროვნების არს. პერსონის ბირთვია მეხსიერება, რომელშიც ფიქ-სირდება საკუთარ თავთან იდენტობის ცნობიერება. ეს არის უცვლელი კვანძი ცვალებად განცდათა და ორგანულ პროცესთა ნაკადში.

**მაგალითავ,** სოკრატე იყო ცოცხალი არსება, რომელსაც ჰქონდა მეხსიერება – იდენტობის ცნობიერება (ათენის მოქალაქე, ქსანტიპას ქმარი და ა.შ.). რამდენადაც უკვე გამქრალია მისი ორგანიული არსებობა, ისმება კითხვა: მასთან ერთად გამქრალია თუ არა სოკრატეს პიროვნებაც?

**მეორე მაგალითი:** პეტრემ ჩაიდინა მკვლელობა. მან 20 წელი გაატარა საპატიმროში და მოინანია დანაშაული. ისმება კითხვა: ის პეტრე, რომელმაც ჩაიდინა მკვლელობა და ის პეტრე, რომელმაც მოინანია, არის თუ არა ერთიდაიგივე პიროვნება?

**მაგალითი მეთამე:** ფსიქიკურად ავადმყოფ პეტრეს აქვს იდენტობა ნაპოლეონ ბონაპარტესთან; მკაფიო მეხსიერება, რომ არის საფრანგეთის იმპერატორი, უოზეფინას ქმარი და ა.შ. ამას ჰქვია მცდარი მეხსიერების მაგალითი.

**მაგალითი მეოთხე:** ამნეზიით დაავადებულის მაგალითი. ამნეზია ნიშნავს მეხსიერების ნანილობრივ ან სრულ დაკარგვას. ამნეზიით იყო დაავადებული აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი. ისმება კითხვა: იყო თუ არა მეხსიერება დაკარგული ცოცხალი არსება იდენტური აშშ-ს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის პერსონისა?

ამ პრობლემის გადაჭრაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. შეიძლება თუ არა ყველა „ადამიანური არსება“ ჩაითვალოს პიროვნებად? მაგალითად, შეიძლება ჩაითვალონ ჩვილი ბავშვები, ფსიქიკურად დაავადებულნი, და ა.შ. პიროვნებად?

ბიბლიური ეკლესიასტე ამბობდა: „ნათესავი მოვალს და ნათესავი წავალს და ქვეყანა ჰგიებს უკუნისამდე“ (ეკლ.4.) ადამიანის ცხოვრება-

ში ყოველივე წარმავალია, ამიტომ ცხოვრება არის „ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა“ (ეკლ.2.) ძველი რომაული სენტენცია ამბობს: „დრონი იცვლებიან და იცვლება ადამიანიც“. მაშ რა არის ადამიანში უცვლელი, რა ქმნის მის „მე“-ს, მის იდენტობას თავის თავთან, მის პიროვნებას?

ფილოსოფოსებმა შენიშნეს, რომ ადამიანური ცხოველი (ლათ. *Homo anima*) და პიროვნება (*persona*) არ არის ერთი და იგივე. პიროვნებას შეუძლია დისტანციირდეს, გამოვიდეს თავისი თავიდან და გარედან შეხედოს მას და სამყაროს. ეს არც ერთ სხვა არსებას არ შეუძლია. პიროვნების ფენომენი ჯერაც იდუმალებითაა მოცული.

„მე“ (*ego*) – პიროვნება არ არის ნივთი, დახურული ატომი – ადამიანი, როგორც ბიოლოგიური სახეობის ინდივიდუმი (*legzempliari*) მხოლოდ პოტენციაშია პიროვნება. იგი შეიძლება შედგეს, შეიძლება არა. იგი უნდა გაიხსნას მეორე პიროვნებასთან პირისპირ ყოფნის მიმართებაში. XX საუკუნის გამოჩენილი ანთროპოლოგი ტეიიარ დე შარდენი ამბობდა: „ღმერთო გამიხსენი მე სხვის ცხოვრებაში შენი სახის ბრწყინვავლება“. პიროვნება არის ეთიკური კატეგორია. ეთიკის საკითხებს სახელმძღვანელოს მე-2 ნაწილში განვიხილავთ.

შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული. შევეცადოთ ვუპასუხოთ მთავარ კითხვებს: რა არის ადამიანის ბუნება (*Human Nature*)? აქვს თუ არა ადამიანს „ბუნება“ იმ აზრით, რა აზრითაც ბუნების (*Natura*) მოვლენებს? შესაძლებელია თუ არა ადამიანის დეფინიცია (*ცნება*), რომელიც გამოთქვამს ადამიანის არსის ნორმატიულ იმპლიკაციებს? შესაძლოა თუ არა, რომ გადაილახოს ადამიანის ბუნება? შესაძლოა თუ არა ზეკაცი? შესაძლოა თუ არა ადამიანის ბუნების გაუმჯობესება – მისი ხელახალი მოდელირება?

ადამიანები ვართ ბიოლოგიური არსებანი, ვცხოვრობთ განსაზღვრულ ფიზიკურ და სოციალურ გარემოში, განსაზღვრულ დროში და სივრცეში გვიკავია ადგილი, და ამავე დროს ვართ თავისუფალი არსებანი – პიროვნებები, ჩვენი ქცევები დამოკიდებულია ავტონომიურ არჩევანზე – აქედან შეიძლება გაკეთდეს განსხვავებული დასკვნები ადამიანის ბუნების შესახებ.

მოდით ჩავთვალოთ, რომ ბიო-სოციალური აგრესია არის ადამიანის ბუნება (*Homo Homini Lupus est – ადამიანი ადამიანისთვის მგელია*). მაშინ საზოგადოებრივი წესრიგის პრინციპი უნდა იყოს მაქსიმალური კონტროლი თითოეული ინდივიდის ცხოველურ ინსტიქტებზე – ადამიანების დაცვა ერთმანეთისაგან, ე.ი. ადამიანის ბუნების შეზღუდვა.

ამის ალტერნატული დაშვება გვეუბნება, რომ (*Homo homini deus est – ადამიანი ადამიანისთვის ღმერთია*) ადამიანის ბუნება არის გონიერი და სოლიდარული. მისი ქცევა დამოკიდებულია ძალზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სამოქალაქო და მეტაფიზიკურ ვალდებულებებზე. ამ შემთხვევაში საზოგადოების პრინციპი იქნება – თითოეული ინდივიდუმისაგან მოვალეობების მაქსიმალური შესრულება, საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. ადამიანის ბუნებას უნდა მინებდეს, რომ თავისი თავი

თავისუფლად გამოავლინოს.

მესამე დაშვება გვეუბნევა, რომ ადამიანის „ბუნება“ არ არსებობს იმ სახით, რა სახითაც არსებობენ ბუნების (Natura) საგნები და მოვლენები. ადამიანს არ ახასიათებს მარტივი იდენტობა თავის არსებასთან. ადამიანი არის საპირისპირო საწყისთა რთული კონკრეტული ერთიანობა – მიკრო-კოსმოსი. ამდენად შეუძლებელია მისი „გადალახვა“ ან „გაუმჯობესება“. დოსტოევსკი ადამიანის არსს (ბუნებას) წარმოიდგენდა ბრძოლის ველის სახით, სადაც ყოველწამიერად იბრძვიან ქრისტე და სატანა, თუმცა ეს ბრძოლა არ არის მარადიული, იგი დამთავრდება ისე, როგორც სახარება გვაუწყებს.

#### **მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ:**

- შეადარეთ ერთმანეთს ონტოლოგიის დიდი სამეული:
  - ღმერთი
  - სამყარო
  - ადამიანი
- სამივე შეადარეთ ონტოლოგიის მთავარ ცნებას – „ყოფიერება“. გამოავლინეთ მათ შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

## თავი II

### შემეცნების თეორია

#### § 1 შემეცნება

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადამიანები თავისი ბუნებიდან გამომდინარე ესწრაფვიან ცოდნისაკენ. (არისტოტელე, მეტაფიზიკა) არცერთ ცოცხალ არსებას არ ახასიათებს სურვილი მოიპვოს ცოდნა. მათვის საკმარისია ის, რითაც ისინი ბუნებამ შეამკო-ინსტინქტები. ცოდნა არ სჭირდება ყოვლისმცოდნე არსებას (ლმერთი) და იმას, რომელმაც არაფერი არ იცის (ცხოველი). ადამიანს სხვა არსებულთაგან განასხვავებს შემეცნების, ცოდნის მოპოვების უნარი, შესაძლებლობა და სურვილი. ცოდნა დამახასიათებელია ადამიანისათვის, რომელიც იმყოფება არცოდნასა და ყოვლისმცოდნეობას შორის. როგორია პირველი ნაბიჯი ცოდნისაკენ? ცოდნა იწყება არცოდნის გაცნობიერებით, მიხვედრით, რომ რაღაც არ იცი. მან შეიძლება მიიღოს გაკვირვების თუ შეცდომის ხასიათი.

#### აზროვნება, შემეცნება და გაგება.

ქართულ ენას აქვს მრავალი სიტყვა გონითი აქტივობების გამოსახატ-ავად: მე შევიმეცნებ, მე ვაზროვნებ, მე გავიგე, მე განვსჯი, შევიგრძნობ, აღვიქვამ, წარმოვიდგენ, დავასკვნი, მე ვიცი (ეპისტემე), ჩემი შეხედულებით (დოქსა), მე ვფიქრობ. ყველა ეს სიტყვა ცოდნის მოპოვების წესის და ცოდნის განსხვავებულ სახეზე მიუთითებს. ბერძნებმა გონების არსი სწორედ აზროვნებაში დაინახეს, რომელიც ადამიანური გონების განსაკუთრებული აქტივობაა. მხოლოდ აზროვნება არის სიბრძნის სიყვარული. ფილოსოფიური აზროვნება არის ღრმააზროვნება, მათი აზრით, აზროვნების არსს ყველაზე უკეთ გამოხატავდა ფილოსოფია. ასეთი აზროვნების მიზანია პირველ მიზეზების და საბოლოო მიზნების განსაზღვრა. ასეთი აზროვნების უმთავრესი ნიშანია კითხვის დასმის წესი, როდესაც კითხვას სვამენ ისეთ რამეზე, რაზეც ჩვეულებრივ ადამიანს მიაჩნია, რომ კითხვის დასმა უკვე ზედმეტია, უსაფუძვლოა. აზროვნება ისეთივე ნიჭია, როგორც მუსიკოსობა, ფერმწერობა. გონება ყველას აქვს, მაგრამ აზროვნების ნიჭი არა, რადგან „ჭკვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“. უნდა იცოდე საკუთარი გონების გამოყენება, აზროვნების წესი.

**აზროვნება არის –** ადამიანის გონების არსი უნარი შექმნას ახალი აზრები, იდეები, რომლებიც ხასიათდება მრავალფეროვნებით და არა სიზუსტით და სიმკაცრით. მოახდინოს მის მიერ შექმნილი იდეებით ცნებებით, წანამძღვრებით ოპერირება, რომელიც ლოგიკურ აუცილებლობას ექვემდებარება.

არისტოტელეს აინტერესებს ცოდნის რომელი სახეობა უფრო სრულად

გამოხატავს ადამიანის არსა. ცოდნის პირველი სახეა **დოქტა**, როგორც შეხედულებათა სისტემა, რომელსაც ადამიანი იძენს ცხოვრების განმავლობაში ემპირიული დაკვირვებით. იგი შეიძლება წარმოსდგეს როგორც ცხოვრებისეული, პრაქტიკული სიბრძნე, ანდა ჯანსაღი აზრის სახით. ეს ცოდნა თაობიდან თაობაზე გადაეცემა ტრადიციის სახით. მისგან განსხვავდება **ეპისტემე**, რასაც დღეს მეცნიერულ ცოდნას უწოდებენ. ცოდნა, რომელსაც უწოდებს ტექნის და აუცილებელია ადამიანის ბუნებრივი არსებობის შენარჩუნებისათვის. იგი პრაქტიკულად სასარგებლო ცოდნაა. **სოფია** არის ცოდნა, რომელიც პრაქტიკულად „უსასარგებლოა“. ეს არის უკანასკნელი მიზნების და პირველსაწყისების ცოდნა. მას მეტაფიზიკურ ცოდნას უწოდებენ. ადამიანის უნარი და სურვილი მოპოვოს და ქონდეს ფილოსოფიური ცოდნა არის ადამიანურობის ყველაზე ორმა გამოხატულება. ეს ცოდნა სპეციფიკურ ადამიანური ცოდნაა.

**შემეცნება** არის ადამიანის გონების (ცნობიერება) მიერ განხორციელებული მოქმედებების და პროცედურების ერთობლიობა, რომლის მიზანი და შედეგია სინამდვილის, მისი მოვლენების და კანონზომიერების შესახებ ცოდნის მოპოვება. ი. კანტმა ადამიანის გონების უნარებში განასხვავა შემეცნება და აზროვნება. შემეცნება უწოდა ბუნების მეცნიერებას, ხოლო აზროვნება კი არის მეტაფიზიკურის, არსებულის, სამყაროს პირველსაწყისებზე და უკანასკნელ მიზნებზე აზროვნება. შემეცნება გულისხმობს გონების, ცნობიერების აქტივობას, რომლის საგანია ემპირიული რეალობა, ბუნების კანონების დადგენა. შემეცნება არის ბუნებისმეცნიერების არსი.

**გაგება** არის ადამიანის სულიერების, ადამიანური სამყაროს გამოხატულებების წვდომის წესი. მას შემდეგ, რაც ადამიანური რეალობა მიჩნეული იქნა განსაკუთრებული სახის სინამდვილედ, რომელიც შემეცნების საკუთარ წესს მოითხოვს, გამოყოფილი იქნა ადამიანური გონების მესამე უნარი – გაგება. ჰაიდეგერთან გაგება ონტოლოგიური შემეცნების ძირითად ხერხად გადაიქცა.

**შემეცნების ფილოსოფიური პრობლემა** შემეცნების პროცესს მრავალი მეცნიერება იკვლევს. ფიზიოლოგია იკვლევს ადამიანის ტვინში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის შემეცნებით აქტივობასთან. ფსიქოლოგიას აინტერესებს თუ როგორ ახდენს ადამიანის ფსიქიკა გარედან შემოსული ინფორმაციის აღქმისა და გადამუშავებას. ფსიქიკა არის სწორედ გარედან შემოსული ინფორმაციის გონებრივი აღქმისა და გადამუშავების უნარი.

ადამიანის შემეცნების პროცესს იკვლევს ფილოსოფიური დისციპლინა გნოსეოლოგია. მისი მიზანია უპირველესად დაადგინოს გონების არსი, რა არის გონება, როგორც ადამიანური შემეცნების იარაღი, და გონების რა ელემენტებისაგან შედგება მონაწილეობენ შემეცნების პროცესში.

ადამიანის ცნობიერება ცოდნას ორი გზით მიიღებს: ერთია მზა, ის-

ტორიულად დაგროვილი ცოდნის ათვისება აღზრდითა და განათლებით. ცოდნის მიღების ასეთი გზით – განათლების და პედაგოგიკის პრობლემაა. სრულიად განსხვავებულია ახალი ცოდნის მოპოვების, აღმოჩენის საკითხი. როგორ აღმოცენდება ადამიანის ცნობიერებაში ახალი ცოდნა? ცოდნა, რომელსაც აქვს პრეტენზია ჭეშმარიტებაზე. სწორედ ეს არის ფილოსოფიური პრობლემა. ტერმინი „გნოსეოლოგია“ შემოტანილი იქნა მე-18 საუკუნეში, გერმანიაში. გნოსეოლოგია ცდილობს დაადგინოს ცოდნის მოპოვების პროცესის თავისებურება და სვამს საკითხს ცოდნის მოპოვების წესებისა და მეთოდების შესახებ.

ცოდნის ფენომენით დაკავებულია კიდევ ერთი ფილოსოფიური დისციპლინა „ეპისტემოლოგია“. ტერმინი „ეპისტემოლოგია“ გავრცელდა მე-20 საუკუნეში. იგი უმეტესად გამოიყენება ანგლო-ამერიკულ ფილოსოფიაში. მისი კვლევის საგანს არ წარმოადგენს შემეცნების პროცესის ანალიზი, იგი არ სვამს საკითხს ცოდნის მოპოვების წესებისა და მეთოდების შესახებ. მისი ანალიზის საგანია შემეცნების შედეგი-ცოდნა. მან უნდა დაადგინოს ცოდნის ჭეშმარიტების პირობები. ეპისტემოლოგია იკვლევს: რა პირობებს უნდა აკმაყოფლებდეს ცოდნა, რომ იგი მივიჩნიოთ ჭეშმარიტ ცოდნად. ეპისტემოლოგია თვლის, რომ არამარტო შემეცნების პროცესია პრობლემა და ახსნას მოითხოვს, არამედ ცოდნის ფენომენიც პრობლემატურია და უნდა ახსნილი იქნეს ჭეშმარიტი ცოდნის შესაძლებლობის პირობები და ნიშნები. ადამიანის ცნობიერებაში უამრავი აზრი, წარმოდგენა, შთაბეჭდილება და იდეაა მოცემული. როგორ უნდა განვასხვავოთ, თუ რომელია ჭეშმარიტი ცოდნა და რომელი მხოლოდ შეხედულება ან ცხოვრებისეული გამოცდილება.

ადამიანის შემეცნებითი მიმართება არის სპეციფიკურ-ადამიანური დამოკიდებულება სამყაროსთან, რომელიც ყველა სხვა (პრაქტიკული, შრომითი, ესთეტური, შეფასებითი მიმართება) მიმართების განმსაზღვრელია. შემეცნების მიზანია აღწეროს, დაადგინოს რა არის სამყარო, რითი არის სახითათო და რაში შეიძლება მისი გამოყენება საკუთარი არსებობის უზრუნველყოფისათვის, ადამიანს ასევე აინტერესებს რა არის სამყარო თავისთავად ისე, როგორც ის არის ადამიანის ინტერესის, სურვილის და მიღრეკილებებისაგან დამოუკიდებლად. ადამიანის სინამდვილესთან შემცნებითი დამოკიდებულების შედეგია ცოდნა.

შემეცნების და ცოდნის ფენომენების ნათელყოფა გულისხმობს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფილოსოფიური პრობლემის განხილვას:

- შესაძლებელია თუ არა სინამდვილის შემეცნება (რა შემიძლია ვიცოდე, როგორც ადამიანმა?)
- როგორ ხორციელდება შემეცნების პროცესი,
- შემეცნება როგორც მეტაფიზიკური პრობლემა
- ცნობიერება როგორც უნარი.
- ცნობიერება როგორც შინაარსი
- ცნობიერება როგორც შინაარსის ზრდა

- რა არის ცოდნა (რა არის ჭეშმარიტება)?
- ენა და ცნობიერება

### **შემეცნება როგორც მეტაფიზიკური პრობლემა**

ფილოსოფიამ უპირველესად უნდა ახსნას, დაასაბუთოს ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობა. ფილოსოფიაში არსებობს შემეცნების შესაძლებლობის საკითხის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტი:

**1. დოგმატური ოპტიმიზმი** – მიიჩნევს, რომ ადამიანისათვის სინამდვილის შემეცნება პრინციპულად შესაძლებელია. ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნება მუდმივ განვითარებას განიცდის და იგი უსასრულო პროცესია.

**2. აგნოსტიციზმი** – (ბერძნ. – აγνωστიς შეუმეცნებადი) მიიჩნევს, რომ ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნება პრინციპში შეუძლებელია. ადამიანის მიერ მოპოვებული მონაცემები არ ასახავენ რეალობას. აგნოსტიციზმი ცოდნად აღიარებს მხოლოდ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და თუ აბსოლუტური ჭეშმარიტების მოპოვება შეუძლებელია, რადგან ადამიანის ცოდნა ცვალებადი, შეფარდებითია, რაც მიუთითებს, რომ ჭეშმარიტი მარადიული ცოდნის მოპოვება შეუძლებელია. გამოცდილებას (ცდას) და ობიექტურ რეალობას შორის შეუძლებელია ადექვატურობის დადგნა, ემპირიულ შემეცნებას არ შეუძლია გავიდეს გამოცდილების საზღვრებს გარეთ, ამიტომ არ შეიძლება დადგინდეს როგორია კავშირი ცდასა და რეალობას შორის (ჰიუმი). XX საუკუნეში აღიარებული იქნა ე. წ. ფარდობითი აგნოსტიციზმი (კ. პოპერი), რომლის თანახმად ადამიანის შემეცნება მუდამ ესწრაფვის აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და მეცნიერება არის თანდათანობითი მიახლოვება აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, მაგრამ ვერასოდეს მიაღწევს მას. აბსოლუტური ჭეშმარიტება მიუღწეველია. იგი არის ადამიანის შემეცნების რეგულატური იდეა.

**3. სკეპტიციზმი** – (ბერძ. skeptikos სკეფსისი—კვლევა განხილვა) სკეპტიციზმისათვის დაეჭვება აზროვნების პრინციპია. სკეპტიციზმი არ უარყოფს ობიექტური რეალობის შემეცნების შესაძლებლობას, მაგრამ თავს იკავებს გამოთქვას საბოლოო შეხედულება, თვალსაზრისი რეალობის ბუნების შესახებ. რადგან შეუძლებელია დაიძლიოს ყველა ეჭვი, რაც ცოდნის მიმართ შეიძლება წამოიქრას. ადამიანი ვერ ახერხებს ყველა ეჭვის დაძლევას. ადამიანის გონების უნარების ნაკლოვანი ხასიათი კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვს ადამიანის მიერ მოპოვებული ცოდნის შესახებ. რ. დეკარტემ სკეპტიციზმი, მეთოდოლოგიური სკეპტიციზმის სახით, აქცია უტყუარი ცოდნის მოპოვების საშუალებად. ამ შემთხვევაში ეჭვი არის მეთოდური გზა უეჭველი ცოდნის მოსაპოვებლად.

ისინი, ვინც აღიარებენ ადამიანის მიერ რეალობის შესახებ ცოდნის მოპოვების შესაძლებლობას იყოფიან განსხვავებულ მიმდინარეობად, იმის მიხედვით თუ როგორია ამ ცოდნის წარმოშობისა და მოცემულობის ხასათი. კაცობრიობამ მისი არსებობის მანძილზე აღიარა ცოდნა

## წარმოშობის რამდენიმე გზა:

- თანშობილი ცოდნა,
- შეძენილი ცოდნა,
- გამოცხადებით გადმოცემული ცოდნა.

პლატონიდან მომდინარეობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად ჭეშმარიტი ცოდნა ობიექტური რეალობის შესახებ არის თანშობილი ცოდნა და მზა სახით არის მოცემული ადამიანის უკვდავ სულში, ამ ცოდნას ადამიანის სული ზიარებულია მარადიულ სამყაროში ყოფნისას და ადამიანური შემეცნება არის მხოლოდ მოგონება.

ყოველი ცოდნა, მოძრაობა ცოდნისაკენ მოითხოვს ცოდნის საგნის წინასწარ ცოდნას. „მენონში“ სოკრატე ამბობს: „მცოდნე არ დაიწყებს ძებნას, რადგან ვინ ეძებს იმას, რაც უკვე იცის? მაგრამ არც არმცოდე შეიწუხებს თავს ძიებით, რადგან მან ისიც კი არ იცის, რაც უნდა ეძიოს.“ პრობლემა არის სწორედ ამ წინასწარი ცოდნის არსებობის და წარმოშობის საკითხი. პლატონი პრობლემის გადაწყვეტას ხედავს სულის უკვდავების და თანშობილი ცოდნის აღიარებაში.

სოკრატე: „ადამიანის სული უკვდავია, და თუმცა ის ხან წყვეტს არსებობას (სწორედ ამას ვუწოდებთ სიკვდილს), ხან კი ხელახლა იბადება არსებობისათვის, მაგრამ არასოდეს არ იღუპება და მასთან ხელი არ აქვს სიკვდილს. რაკი ადამიანის სული უკვდავია, ამიტომ მრავალგზის იბადება; მას ყველაფერი უნახავს როგორც აქ, ისე საიქიონშიც და ყველაფერი იცის. ჰოდა რა გასაკვირია, თუ მას შეუძლია გაიხსენოს, რა არის სიქველე, ან თუ გნებავს, ყოველივე ის, რაც ოდითგანვე ცნობილია მისთვის. რაკი სული ყოვლის მცოდნეა, ამიტომ მას, ვინც რაიმეს იხსენებს (ჩვენ ამას შემეცნებას ვეძახით) თავისუფლად შეუძლია მიაკვლიოს სხვა დანარჩენსაც, თუკი მხერი და სიმამაცე არ უღალატებს ძიების გზაზე და მართლაც ძიება და შემეცნება სხვა არაფერია თუ არა მოგონება.“

ამის დასამტკიცებლად პლატონი მონის ცნობილ მაგალითს აღწერს. სოკრატე: „დაუძახე ვინმეს შენს მრავალრიცხოვან მონათაგან, რათა მის მაგალითზე გიჩვენო, რომ მართალს ვამბობ. ახლა კი ყურადღებით გვისმინე და ნახავ-თვითონ მოიგონებს თუ ჩემგან ისწავლის რასმე.“ მაგრამ მოგონება არ არის მარტივი და უბრალო პროცესი, არამედ დიდი ძალისხმევა სჭირდება. მოგონების პროცესი რამდენიმე საფეხურისაგან შედგება. მოგონების პირველ დონეზე ადამიანი ადვილად იგონებს და ჰერინა, რომ ყველაფრის სწრაფად მოგონებას შეძლებს. მაგრამ როგორც კი წააწყდება სიძნელეს მისი მოგონების პროცესი მეორე სტადიაზე გადადის, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს გაოგნება, რომ ვერ შეძლო სწრაფად მოგონება.

სოკრატე: „ხომ ხედავ მენონ, სანამდე ეყო მოგონების უნარი უნინ, ისევე როგორც ახლა, ეგონა რომ იცის და ისე დაბეჯითებით გვპასუხობდა, თითქოს მართლა იცოდა ეს, რომ ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ

შეიძლებოდა რაიმე სიძნელეს წასწყდომოდა. ახლა კი დარწმუნდა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მის ძალლონეს აღემატება და თუ არ იცის, არც ჰქონია, რომ იცის. როგორ გგონია, სანამ ეგონა ვიციო, დაიწყებდა პასუხის ძებნას? თუ პირიქით, სიძნელემ გააოგნა და გადაწყვიტა ეძიოს სწორი პასუხი? მაშასადამე, გაოგნებამ კარგი სამსახური გაუწია მას.“ აქ სიძნელე იჩენს თავს: „ეს წუთია ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ მან არაფერი არ იცის.“ ამ დროს „კაცს, რომელმაც რაიმე არ იცის, სწორი აზრი მაინც აქვს იმის შესახებ, რაც არ იცის?“ იმის ცოდნა რაც არ იცი არის მოგონების მეორე ეტაპზე გადასვლის საფუძველი. ეს მოგონების პირველი ეტაპის შედეგია. სოკრატე: „ამასთან ის ყველაფერს ისწავლის, თუმცა მას კი არ ასწავლიან, არამედ მხოლოდ კითხვას მისცემენ; ცოდნას კი თვითონ დაეუფლება: თავის თავში იპოვის.“

მას შემდეგ რაც ადამიანში აღმოჩენილი იქნა ცოდნა უნდა გაირკვეს მისი წარმოშობის საკითხი: უკვდავი სულიც ერთხელ ოდესლაც მოიპოვებს ცოდნას, რომელიც მას შემდეგ მარადიულად აქვს, ან სულის არსებობის წესია მცოდნედ ყოფნა, ცოდნა მარად ქონდა თავიდანვე. ადამიანი ცოდნას თავის თავში ნახულობს. „მაგრამ რას ნიშნავს ცოდნის თავის თავშივე პოვნა, თუ არა მოგონებას.“ „თავისი ახლანდელი ცოდნა მან ან ოდესლაც შეიძინა, ან ყოველთვის თან ახლდა მას? თუ ყოველთვის თან ახლდა მას, ესე იგი იგი ყოველთვის მცოდნე იყო, ხოლო თუ ოდესლაც შეიძინა ყოველ შემთხვევაში არა ამ ცხოვრებაში.“ ეს მოხდა „არა ახლანდელ ცხოვრებაში, არამედ უნინდელ დროს, როდესაც ყველაფერი შეიცნო და შეიმეცნა.“ ამ შემეცნებას ახორციელებს არა ადამიანი, როგორც სულისა და სხეულის მთლიანობა, როგორც კაცი, არამედ „მაშინ როცა ჯერ კიდევ არ იყო კაცი.“ ცოდნა სულის თვისებაა და არა ადამიანის, როგორც ამქვეყნიურის, სული კი უკვდავია. „განკაცებამდე და განკაცების შემდეგაც მასში ყოველთვის ცოცხლობდა და ცოცხლობს სწორი აზრი, რომელსაც თუკი შეკითხვით გამოაღვიძებ, შეუძლია ცოდნად იქცეს. რაკი სიმართლე არსთა შესახებ ყოველთვის ცოცხლობს ჩვენს სულში, და რაკი სული უკვდავია, როგორ გგონია; გვმართებს თუ არა გაბედულად შევუდგეთ ძიებას და მოვიგონოთ ის, რაც ამჟამად არ ვიცით ან უკეთ რომ ვთქვათ, რაც ამჟამად არ გვახსოვს.“

პლატონი გამოქვაბულის მითში ამტკიცებს, რომ არსებობს თანმიმდევრის სახე, რომელიც მხოლოდ მოგონების განსაკუთრებული უნარისათვის არის მიღწევადი და მისი სხვისთვის გაზიარებაც კი პრობლემატურია.

ახალი დროში, ბუნების მეცნიერების განვითარების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ადამიანი ცოდნას იღებს გარედან და ადამიანის გონების გარეთ იმყოფება შემეცნების საგანიც. ადამიანის შემეცნების საგანია ბუნება, რაც ადამიანის გონების გარეთ არსებობს. ადამიანი თვითონ მოიპოვებს ცოდნას, როგორც ადამიანის შემეცნებითი მოქმედების შედეგს. პლატონის

თანშობილი ცოდნის თეორია უკუგდებული იქნა და აუცილებელი გახდა დასაბუთებულიყო ადამიანის მიერ გონების გარეთ არსებული სინამდვილის შესახებ ცოდნის მოპოვების შესაძლებლობა. შემეცნების საგანი იმყოფება შემეცნების, გონების გარეთ, მისადმი მეტაფიზიკურია. პრობლემა არის იმის ახსნა თუ როგორ გადის გონება საკუთარი თავის გარეთ და იმეცნებს საგანს.

ემპირიზმის თანახმად, ადამიანის გონება დაბადებისას არის სუფთა დაფა (tabula rasa) და ცოდნა არის ადამიანის შემოქმედებითი აქტივობის შედეგად შეძენილი. მთელი ცოდნა რაც ადამიანს გააჩნია თვითონ მოიპოვებს მთელი სიცოცოხლის განმავლობაში. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს არა თანშობილი ცოდნა, არამედ თანშობილი უნარები ნიჭისა და ტალანტის სახით.

### **დაკვირვებადობის პრობლემა**

ასეთი შემეცნების შესაძლებლობის დასაბუთება პრობლემურია, რადგან შემეცნება და მისი საგანი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული რეალობებია. ისინი განსხვავდებიან თავისი არსებობის წესითაც. შემეცნების მეტაფიზიკამ უნდა დაადგინოს:

- შემეცნების საგანი, სინამდვილე იმყოფება ჩვენი გონების გარეთ, (სხვაგვარად ვერ ავიცილებთ პლატონის ცოდნის თანშობილობის იდეას), ანუ ჩვენი გონებისათვის მეტაფიზიკურია.
- ადამიანის გონებას შეუძლია შეიმეცნოს მისგან განსხვავებული, ცნობიერებასაგან დამოუკიდებელი და მის გარეთ არსებული საგანი.

გამოცხადებით მიღებული ცოდნა არის უმაღლესი არსების, ღმერთის მიერ ადამიანისათვის გადაცემული ცოდნა. გამოცხადება არის ღმერთის უშუალო, პირდაპირი კავშირი ადამიანთან, რომლის დროსაც ადამიანი მიიღებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას პირდაპირ ღმერთისაგან. ასეთი გზით ადამიანს გადაეცემა მარადიული ჭეშმარიტებები და ზნეობრივი მცნებები. მეცნიერების განვითარებამ (კვანტური ფიზიკა) ახლებურად დასვა დაკვირვებადობის საკითხი, როგორც ტექნიკური საკითხი. აქვს კი ადამიანს ისეთი ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიკროსამყაროს დაკვირვების და ალწერის ობიექტურობას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ვ. ჰაინრიხერგის განუზღვრელობის პრინციპი და 6. ბორის დამატებითობის პრინციპი.

### **ემპირიზმი და რაციონალიზმი**

ადამიანს შემეცნების პროცესის განსახორციელებლად აქვს გონების ორი უნარი: გონება და გამოცდილება (ცდა). შემეცნების პროცესში მონაწილეობს და თანამშრომლობს როგორც გრძნობა, ისე გონება. იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანს ანიჭებენ უპირატესობას შემეცნების პროცესში, განასხვავებენ ემპირიზმსა (ცდა) და რაციონალიზმს (გონება). ემპირიზმის ძირითადი დებულება ასე ულერს: „გონებაში არაფერია ისეთი, რაც მანამდე არ ყოფილიყო ჩვენს შეგრძნებებში“ (ჯ. ლოკი) აქედან გამომდინარეობს,

რომ შემეცნება იწყება შეგრძნებებით და ჩვენი გონების მთელი შინაარსი მიღებულია ცდიდან. ამიტომ ცდა, შეგრძნებები, აღქმა მთავარია ცოდნის მოპოვების პროცესში და მეტიც, სწორედ ცდაში შეიძლება მოპოვებული ცოდნის ჭეშმარიტების შემოწმება.

ემპირიზმის საპირისპიროდ, რაციონალიზმის ძირითადი დებულება ასე ჟღერს: „გონებაში არაფერია ისეთი, რაც მანამდე არ ყოფილიყოს ჩვენს შეგრძნებებში, გარდა თვითონ გონებისა“ (ლაიბნიცი). რაციონალიზმი მიუთითებს გონების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ადამიანური შემეცნების პროცესში. მართალია შემეცნების შინაარსი მიღებულია შეგრძნებების, ცდის მეშვეობით, მაგრამ მხოლოდ გონებას შეუძლია დაძლიოს ცდის შეზღუდულობა და დაინახოს მოვლენის, საგნის არსებითი, ფარული, შინაგანი კანონზომიერება, რომელიც არ მოგვეცემა გრძნობებში.

ემპირიზმი და რაციონალიზმი განსხვავდებიან არა მარტო შემეცნების უნარების, არამედ შემეცნების საგნების შერჩევითაც. ემპირიზმი მიიჩნევს, რომ შემეცნების საგანი ერთეული ემპირული საგანია, რომელიც ჩვენ მოგვეცემა შეგრძნებებში, ცდაში. საგნის ცალკეული თვისებებს შევიმეცნებთ ცდის, აღქმის მეშვეობით.

რაციონალიზმი მიიჩნევს, რომ გონებას შეუძლია შეიმეცნოს უშუალოდ რეალობა. ამიტომ შემეცნების ძირითადი საგანია არა ცალკეული, ერთეული, ემპირული ნიშან-თვისებები, არამედ საგანთა სიმრავლის საერთო, ზოგადი არსება. ზოგადი არ მოგვეცემა შეგრძნებებში. იგი მიიწვდომება მხოლოდ გონებით. ემპირიზმის მიხედვით, ჩვენ ვიცით მაშინ, თუ ვიცით აი ეს კონკრეტული ემპირული საგანი. რაციონალიზმის მიხედვით ჩვენ ვიცით საგანი თუ ვიცით მისი შინაგანი, არსებითი, ზოგადი არსი, რომელიც საგანთა ამ კლასის ყველა წევრს ახასიათებს.

ემპირიზმისა და რაციონალიზმის დაუსრულებელმა კამათმა ფილოსოფია ჩიხში შეიყვანა. კანტმა სცადა ამ ჩიხიდან მისი გამოყვანა და უფრო დეტალურად დაედგინა გონების როლი შემეცნების პროცესში, გამოეკვლია გონების შინაგანი სტრუქტურა. კანტის მიხედვით, ცნობიერება აპრიორული (ლათ. აპრიორი – წინმსწრები, ცდამდელი) სინთეზის უნარია. მისი სინთეზურობა ორი დონისაა. ცნობიერება, რომელიც ქმნის შემეცნების საგანს, როგორც სინთეზი თავისი ხასიათით არაცნობიერია. მეორე ეტაპზე ჩვენი გონება ახორციელებს მის მიერვე შექმნილი შემეცნების საგნის შემეცნებას. გონება არა მარტო გნოსეოლოგიურად, არამედ ონტოლოგიურად აქტიურია. კანტისათვის საგნის შემეცნება უდრის საგნის შექმნას. კანტს აპრიორული ცოდნის ცნებაში ესმოდა საყოველთაო და აუცილებელ ცოდნა, რომელიც დამოუკიდებელია ცდისაგან. ხოლო აპოსტერიორული (ლათ. აპოსტერიორი – შემდგომი) ცოდნის ცნებაში გულისხმობდა ცდის მეშვეობით მიღებულ ცოდნას, რომელიც შემთხვევითი და ერთეული ხასიათისაა.

### **შემეცნების საფეხურები**

განასხვავებენ ემპირული შემეცნების ფორმებს: შეგრძნება, აღქმა (და-

კვირვება, ცდა, ექსპერიმენტი) და წარმოდგენა. თეორიულ შემეცნების საფეხურებს: ცნება, მსჯელობა, დასკვნა.

შეგრძნება არის ჩვენი ცოდნის პირველწყარო, შეგრძნებების მეშვეობით მოგვეცემა არა საგნები, არამედ საგნის თვისებები. შეგრძნება არის ადამიანის პირდაპირი და უშუალო კავშირი სინამდვილესთან, ამიტომ შეგრძნებისათვის აუცილებელია სივრცობრივი, უშუალო კონტაქტი საგანთან. ადამიანი ყველაზე მეტს ინფორმაციას იღებს მხედველობისა და შეხების შეგრძნებებიდან. შეგრძნებებით მოგვეცემა საგანი, როგორც თვისებების ქაოსი, საგანს აკლია გარკვეულობა და მთლიანობა. შეგრძნებების სიცხადე და ინფორმაციულობა დამოკიდებულია გამლიზიანებელის ინტესიურობაზე და შეგრძნების ორგანოს მდგომარეობაზე, რაც განაპირობებს შეგრძნებათა მონაცემების სუბიექტურობასა და დამახინჯებას.

ამიტომ ადამიანის გონება გადადის გრძნობადი შემეცნების მეორე საფეხურზე. ეს არის აღქმა. აღქმის მეშვეობით ადამიანს მიეცემა მთლიანი საგანი და არა ცალკეული თვისებები. აღქმის დონეზე ხდება შეგრძნებათა მონაცემების სინთეზირება ერთ მთლიანობად. ადამიანი აღიქვამს მთელ საგანს, მაგარამ აღქმის ნაკლი იმაშია, რომ იგი შეზღუდულია დროისა და სივრცის ჩარჩოებით. ადამიანს მხოლოდ იმის აღქმა შეუძლია რაც მის თვალწინ იმყოფება აქ და ეხლა. ჩვენ არ შეგვიძლია აღვიქვათ საგანი, რომელიც ჩვენს თვალწინ არ არის.

ადამიანის გონება გადადის შემდეგ საფეხურზე – ეს არის წარმოდგენა. წარმოდგენის დონეზე ადამიანს ეძლევა საშუალება დაშორდეს დრო-სივრცით ჩარჩოებით შეზღუდულ რეალობას, აღქმის დროით – სივრცობრივ შეზღუდულობას. ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს ის, რაც მის თვალწინ არ იმყოფება. მთელი ადამიანური კულტურა (ლიტერატურა, ხელოვნება, მეტაფიზიკა), საერთოდ ადამიანურობა წარმოდგენის უნარს ეყრდნობა. ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს სხვისი მონათხობი, ისე რომ თვითონ არ ჰქონდეს ნანახი. ადამიანმა შეიძინა სხვისი ცოდნის ათვისების უნარი. წარმოდგენამ უსასრულოდ გააფართოვა ადამიანის სამყარო.

ადამიანის გარეშემო კი უამრავი განსხვავებული არსებობის წესის და ფორმის საგანი არსებობს. ამ მრავალფეროვან სამყაროში ორიენტაციისათვის შემეცნების ემპირული ფორმები საკმარისი არ არის. შემეცნების ემპირულ დონეზე, შემეცნების საგანია ერთეული საგანი. ადამიანის გონების მოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია ეკონომიურობა და ეფექტურობა. გონებამ საგანთა უსასრულო სიმრავლის გააზრება უნდა მოახერხოს შეძლებისდაგვარად ეკონომიკურად და ეფექტურად. ადამიანის გონება ამას ახერხებს შემეცნების აბსტრაქტული, თეორიული უნარების მეშვეობით.

აზროვნება არის შემეცნების მეორე საფეხური. გრძნობად-ემპირიული შემეცნება გვაძლევს ცოდნას ერთეული საგნისა და მისი თვისებების შეს-

ახებ. ასეთი ცოდნა არადამაკმაყოფილებელია. ადამიანს სურს განაზოგადოს მის მიერ მოპოვებული ცოდნა ერთეული საგნის შესახებ, ჩაწვდეს საგანთა არსს, კანონზომიერებას. ამისათვის ადამიანი იყენებს აბსტრაქციას, აბსტრაქტულ აზროვნებას. აბსტრაქცია არის „განყენება“. განყენების პროცედურის მეშვეობით ჩვენ ვახდენთ საგანთა გარკვეული თვისებების განყენებას და გამოვყოფთ სხვა ჩვენთვის საინტერესო თვისებებს. ეს აბსტრაქტული ნიშნები ახასიათებს მრავალ ერთნაირ საგანს. აბსტრაქციის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გავიაზროთ მრავალი საგანი ერთდროულად. ეს არის ადამიანური შემეცნების აბსტრაქტული, თეორიული დონე.

ადამიანი ქმნის საგნის ცნებას. ცნება არის საგანთა გარკვეული სიმრავლის საყოველთაო, აუცილებელი და არსებით ნიშანთა ერთობლიობა. ცნების შექმნა იწყება საგნის თვისებათა ანალიზით. საგნის უამრავი თვისებებიდან გამოიყოფა აუცილებელი და არსებითი თვისებები, რომელთა გარეშეც ამ საგნის წარმოდგენა შეუძლებელია. შემდეგ ხდება ამ თვისებების ურთიერთშეთანხმება და გაერთიანება, სინთეზი და იქმნება საგნის ნიშან-თვისებათა ახალი მთლიანობა. რასაც მოჰყვება სინთეზით მიღებული მთლიანობის განზოგადება ყველა მსგავსი საგნის მიმართ, ცნებაში შესული თვისებები საყოველთაო ხასიათს იღებს. მაგალითად სკამის ცნებით მე შემიძლია მოვიცვა ყველა ის სკამი, რომელიც არსებობდა, არსებობს და იარსებებს მომავალში. ცნების მეშვეობით გადაჭრილ იქნა სამყაროს მრავალფეროვნების გაზრების პრობლემა. ადამიანის გონება განუზომელად ეფექტური და ეკონომიური გახდა. მაგრამ ცნებებით აღწერილი სამყარო არ არის სრული. იგი წარმოგვიდგება საგანთა სიმრავლედ, რომელთა შორის არავითარი მიმართება, წესრიგი არ არსებობს. ეს არის სამყაროს აღწერის მარტივი დონე. ადამიანი გადადის მსჯელობის ეტაპზე.

მსჯელობა არის მარტივი თხრობითი ნინადადება, რომელშიც მტკიცდება ან უარიყოფა რაიმე სინამდვილის შესახებ. ამიტომ მსჯელობა შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. სამყარო უკვე წარმოდგენილია, როგორც გარკვეული წესრიგის მქონე მთლიანობა, სადაც საგნებისა და მოვლენების შორის გარკვეული, კანონზომიერი კავშირია დაფიქსირებული. სამყარო აღწერილია მსჯელობების მეშვეობით. მსჯელობის კავშირი ქმნის დასკვნას. დასკვნა არის გარკვეული წესით აგებული მსჯელობათა კავშირი. დასკვნას აქვს ორი წანამდლვარი, საიდანაც გამომდინარეობს ლოგიკური აუცილებლობით მესამე მსჯელობა – ეს არის დასკვნა. დასკვნით სრულდება შემეცნებს ხანგრძლივი პროცესი. დასკვნა არის ახალი ცოდნის მიღების წესი.

**შემეცნების სახეები:** მითოსური, არამეცნიერული, ფილოსოფიური, მეცნიერული შემეცნება. დღეს მეცნიერული შემეცნება მიჩნეულია ადამიანური შემეცნების უნარის ყველაზე სრულ გამოხატულებად.

## **მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ:**

ერთმანეთისაგან განასხვავეთ სამყაროს წვდომის სახეები და მათი კვლევის სფეროები:

- შემეცნება – გნოსეოლოგია
- ცოდნა – ეპისტემოლოგია
- ცნობიერება – ფენომენოლოგია

განასხვავეთ:

- აზროვნება
- შემეცნება
- გაგება

დააწყვილეთ ისინი ონტოლოგიის ცნებებთან: მიზეზი, მიზანი, საზრისი.

## **§2. ცოდნა**

**რა არის ცოდნა** რას ნიშნავს, როდესაც ადამიანი ამბობს „მე ვიცი“ ან „მე არ ვიცი“. ცნობილია, რომ სოკრატე ამბობდა: „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ და მიუხედვავად ამისა იგი აღიარებული იყო ყველაზე დიდ ბრძენად ადამიანთა შორის. რა არის ცოდნა, როგორ იძენს ადამიანი ცოდნას და რა ფორმებით არსებობს იგი.

განასხვავებენ იმას, რისი ცოდნაც დროებით შეუძლებელია და ის, რისი ცოდნაც ადამიანისათვის ყოველთვის შეუძლებელი იქნება.

ცოდნის ადგილად ტრადიციულად ითვლებოდა ადამიანის გონება. ადამიანი სპეციალური მოქმედებების შედეგად, რომელსაც შემეცნებით მოქმედებას უწოდებს იღებს გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც გროვდება ცნობიერებაში. ადამიანის ცნობიერებაში უამრავი აზრი, წარმოდგენა, შეხედულება, მოსაზრება, თვალსაზრისი, ცრურნმენა, არის წარმოდგენილი. როგორ უნდა გამოვარჩიოთ მათგან ჭეშმარიტი ცოდნა. ინფორმაცია, ობიექტური სინამდვილის სუბიექტური ხატი, რომ ვაღიაროთ ცოდნად, ეს ინფორმაცია უნდა იყოს ჭეშმარიტი. ჭეშმარიტია ცოდნა, როდესაც იგი სწორედ გადმოვცემს, გვიჩვენებს რეალობის მდგომარეობას, არსს. ცოდნის აუცილებელი ელემენტია თვითცნობიერება. მე არა უბრალოდ ვფლობ ინფორმაციას საგნის შესახებ, არამედ მე ვიცი, რომ ვფლობ ასეთი სახის ცოდნას. ადამიანი ცოდნის საფუძველზე დამოკიდებულება რეალობასთან ამყარებს თავისუფალ, აქტიურ და შემოქმედებით მიმართებას. რა ნიშანს უნდა ფლობდეს ჩემს მიერ მოპოვებული ინფორმაცია, რომ მას ცოდნა ვუწოდოთ და როგორია მისი ჭეშმარიტების პირობები. ამით დაკავებულია სწორედ ეპისტემოლოგია. ადამიანის ცნობიერებაში ცოდნა იღებს ცნებების, მსჯელობების, დასკვნების, თეორიის სახე. ჩემი ცნობიერების შინაარსი, რომ მივიჩიოთ ცოდნად აუცილებელია:

- ჩემს ცნობიერებაში არსებული თეორია უნდა იყოს დასაბუთებული;
- შეიძლებოდეს არგუმენტების მოყვანა მისი ჭეშმარიტების დასამტკიცებლად;
- უნდა ასახავდეს იმ რეალობას, რომლის შესახებაც იგი არის;
- უნდა იყოს უტყუარი.

ტრადიციული ფილოსოფიის თანახმად ცოდნა არის შემეცნებითი აქტის დასრულების შემდეგ მიღებული დასრულებული შედეგი. თანამე-დროვე ეპისტემოლოგია მიიჩნევს, რომ ცოდნა არის პროცესი. ეს ნიშნავს, რომ იგი მუდმივ ცვალებადობასა და დაზუსტების პროცესშია. ყოველი კონკრეტული ხასიათის ცოდნა არის ჭეშმარიტების და მცდარობის ელე-მენტებისაგან შემდგარი. მაგალითად, ი. ნიუტონის „ფიზიკა“ თავის დროზე მიიჩნეული იყო სრულ 100% ჭეშმარიტებად. მაგრამ ა. აინშტაინის ფარ-დობითობის თეორიამ ცხადყო, რომ ნიუტონის ფიზიკა იყო ცოდნისა და მცდარობის მთლიანობა, ამ მთლიანობაში ცოდნისა და მცდარობის თანა-ფარდობა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ა. აინშტაინმა უჩვენა, რომ ი. ნიუტონის ფიზიკა 40% ჭეშმარიტი ყოფილა და 60% მცდარი, ანუ ცოდნის ზრდის პროცესი ნიშნავს თეორიაში მცდარობის ოდენობის შემცირებას. ა. აინშტაინის მიზანია შეამციროს მცდარობის ოდენობა და გაზარდოს ჭეშ-მარიტების ზომა მეცნიერულ თეორიაში. ცოდნად მიიჩნევა არა ყოველი ინფორმაცია, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელსაც პრეტენზია აქვს ჭეშ-მარიტებაზე, რომ მართებულად გადმოსცა რეალობის კანონზომიერება, წესრიგი. ამრიგად სანამ ვიტყით „მე ვიცი“ საკმაოდ უნდა დავთიქრდეთ. ცოდნა შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ნიშნით:

- ცოდნა ადამიანის შემეცნებითი აქტივობის შედეგი და ამ შედეგის არსებობის და მოწესრიგების ფორმა,
- ცოდნით ადამიანი ახდენს თავისი მოქმედების და არსებობის გონივრულად წარმართვას,
- ცოდნა არის რეალობის ანაბეჭდი, ასლი, ასახვა ადამიანის გონებაში,
- ცოდნა არის ჭეშმარიტება, რადგან არის სწორი მონაცემი, ინფორმაცია საგნის შესახებ,
- ცოდნა არის ადამიანის გონებაში არსებული ჭეშმარიტი ინფორმაცია, ანაბეჭდი, ასლი არსებულის შესახებ,
- დღეს ცოდნა განისაზღვრება თვითონ თეორიის ფარგლებში, ანუ თეორია განსაზღვრავს თუ როგორ ესმის მას ცოდნა და ჭეშმარიტება.

**ცოდნის როლი ადამიანის ყოფიერებაში.** ცოდნა უდიდეს როლს თა-მაშობს ადამიანის ყოფიერებაში. ყოველი ადამიანური მოქმედება, ქცევა ცოდნის ნიშნით წარიმართება. ადამიანმა არა მარტო იცის რაიმე, არამედ მას აქვს ცოდნა ამ ცოდნის შესახებ. ცოდნა არის ადამიანური ზნეობის, თავისუფლებისა და პასუხისმგებელის საფუძველი. ადამიანი იმიტომ არის პასუხისმგებელი, რომ მან იცის რა არის სამართლიანობა, სიკეთე, ბოროტება. ადამიანის კლასიკური განმარტება ამბობს „ადამიანი არის გონიერი ცხოველი“. ცოდნა ადამიანის ადამიანურობის საფუძველია. ცოდ-

ნა ადამიანს არ ახასიათებს, როგორც თავისთავად მოცემული ბუნებრივი ნიშანი, როგორც ინსტინქტი. ადამიანი უდიდეს ენერგიას და დროს ხარჯავს ცოდნის შეძენაზე და ჯიუტად ესწრაფვის და აქვს პრეტენზია იცოდეს აბსოლუტური ჭეშმარიტება. მაგრამ ადამიანს არ აქვს უნარი იცოდეს ყველაფერი, ფლობდეს აბსოლუტურ, მარადიულ ჭეშმარიტებას. ამიტომ უკვე პითაგორა, სოკრატე, ძველი ბერძნები მიხვდნენ, რომ ისინი არიან არა სოფოსები (ბრძენი), არამედ ფილოსოფოსები (სიბრძნის მოყვარულნი). აბსოლუტური ცოდნის მოპოვების პრეტენზიას თანამედროვეობაც კრიტიკულად ეკიდება და მას გონების ავადმყოფობას უწოდებს.

**ცოდნა ადამიანის ყოფიერების პარადოქსული ფენომენია.** ადამიანი ყოველთვის ესწრაფვის მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ცოდნა. მაგრამ ადამიანის მისწრაფება აბსოლუტური, სრულყოფილი ცოდნისაკენ ყოველთვის ისჯებოდა. ღმერთები ინარჩუნებდნენ განსხვავებას ადამიანურ და ღვთაებრივ ცოდნას შორის. მითოლოგიაში არსებობს საკრალური, აკრძალული ცოდნის თემა. პრომეთემ ღმერთებისგან მოპარული ცეცხლი ადამიანებს გადასცა, ასწავლა მისი მოვლა და ხელოსნობა. სამაგიეროდ ადამიანს წაერთვა მომავლის ხედვის, საკუთარი ყოფიერების მთლიანობაში ხედვის უნარი. ოიდიპოსი იყო ბრძენი, რომელმაც ამოხსნა სფინქსის გამოცანა – ადამიანური ყოფიერების საიდუმლოება, რაც მისი სიამაყის საფუძველი იყო. ღმერთებმა მოუვლინეს განსაცდელი, დაანახეს, რომ მან არა მარტო ის არ იცის თუ ვინ არის ადამიანი, არამედ ისიც კი არ იცის თუ ვინ არის თვითონ იგი. ბიბლიის თანახმად, ღმერთმა ადამი გააფრთხილა, რომ არ მიკარებოდა ცნობადის ხეს. ადამმა დაარღვია ეს მოთხოვნა და შეიძინა სიკეთისა და ბოროტების გარჩევის ცოდნა. ამის გამო, იგი გაძევებული იქნა სამოთხიდან და მოკვდავი გახდა.

**ცოდნის ფენომენის მეორე პარადოქსი** იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავს ცოდნის შესაძენად, მაგრამ ცოდნა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დავიწყებულია. ადამიანის სიკვდილთან ერთად მისი ცხოვრების მანძილზე შეძენილი ცოდნა ქრება და ახლი თაობა ხელახლა, თავიდან იწყებს ყველაფრის შესწავლას.

**ცოდნის ფენომენის მესამე პარადოქსი** იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ახალი ცოდნა არის ადამიანის ზნეოპრივი ბუნების გამოცდა. შეუძლია თუ არა ადამიანს სიკეთის სამსახურში ჩააყენოს ცოდნა? ერთის მხრივ ადამიანი ცოდნას გამოიყენებს იდეალური საზოგადოების, პერპეტუმ მობილეს და სხვა პროექტების განსახორციელებლად, მეორეს მხრივ, ადამიანის ცოდნის შედეგია ატომური იარაღი, ეკოლოგიური პრობლემები, კლონირება. ცოდნა ადამიანური პროგრესის საფუძველია და ამავე დროს სწორედ ცოდნა ქმნის პრობლემებს.

მაგრამ დღეს ამბობენ, რომ ადამიანი აღარ აზროვნებს. ადამიანი აღარ აზროვნებს ღმერთის, ყოფიერების შესახებ. მისი აზროვნება ტექნიკურია, რაც ნიშნავს, რომ მისი აზროვნება დაკავებულია მხოლოდ

ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესებით.

### **ცოდნის სახეების და ფუნქციის ევოლუცია**

ძენონი იყო პირველი, ვინც გააცნობიერა რეალობის თეორიულად აღ-ნერის, სინამდვილის ცოდნის ფორმით გადმოცემის სიძნელეები. სოკრა-ტემ ახალი ცოდნის მოპოვებისა და ახსნის სირთულე რეფლექსის სა-გნად აქცია. იგი შეეცადა პასუხი გაეცა კითხვებზე რას ნიშნავს ცოდნა? რა შემიძლია ვიცოდე? სოკრატეს პასუხი ასე უდერდა: „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“. მიუხედავად ამისა სოკრატე ერთერთ უდიდეს ბრძენად იქნა აღიარებული. სოკრატეს პასუხი გამოხატავდა რაღაც ზოგად ადამი-ანურს. რასაკვირველია ადამიანმა რაღაცა იცის. მან იცის ეს კერძო სა-განი, რომელიც აქ-ეხლა, მის თვალწინ დგას. რა თქმა უნდა ჩემს წინაშე მდგომი ქალიშვილი მშვენიერია. ის მეორე ქალიშვილიც მშვენიერია. მა-გრამ ისინი არ გვანან ერთმანეთს. მაშინ რის საფუძველზე ვამბობთ, რომ ორივენი მშვენიერნი არიან? რას ნიშნავს მშვენიერება, რომელიც ორივე ქალიშვილშია განხორციელებული? მე შემიძლია ვთქვა, რომ ეს ქალიშ-ვილი მშვენიერია თუკი მე ვიცი რას ნიშნავს მშვენიერება თავისთავად? ეს არის ზოგადად მშვენიერება, ეს არის ისეთი მშვენიერება, რომელიც ყოველნაირ მშვენიერებას მოიცავს თავის თავში და ის არის ყოველ მშვე-ნიერ ნივთში. ასეთი მშვენიერება არ ექვემდებარება დროისა და სივრცის გავლენას. იგი ყოველთვის, ყველგან და ყველასათვის მშვენიერია. ასეთი მშვენიერება, როგორც ზოგადი, არის მარადიული. ადამიანმა თუ არ იცის მარადიული სიკეთე, მშვენიერება, ჭეშმარიტება მაშინ მან არ იცის ჭეშ-მარიტად. სოკრატეს აზრით, თუ მე არ ვიცი მარადიული, აბსოლუტური, მე არ შემიძლია ვთქვა: „მე ვიცი ეს კონკრეტული საგანი“. სოკრატემ გამიჯნა მარადიულის, ზოგადის ცოდნა და აი ამ, ჩემს წინაშე მყოფი, ერ-თეული საგნის ცოდნა.

ცოდნის ნამდვილი საგანია მარადისობა და მის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნაც მარადიულია. სოკრატეს აზრით, ცოდნის საგნის ხასიათი განსაზ-ლვრავს ცოდნის ხასიათს. მარადიულის ცოდნა არ მოგვეცემა პირდაპირ და უშუალოდ, ან როგორც ტრადიცია ან როგორც რწმენა. ამიტომ ცოდ-ნა არის დასაბუთებული ცოდნა. პლატონი დათანხმა სოკრატეს. მანაც გააცნობიერა ახალი ცოდნის მოპოვების, ახსნის სირთულე. ადამიანს არ შეუძლია შეიმეცნოს მარადიული, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანმა იცის რა არის მშვენიერება, სიკეთე, ჭეშმარიტება. სხვაგვარად იგი ამქვეყნად ვერ განასხვავებდა მშვენიერებასა და სიმახინჯეს, კეთილსა და ბოროტს. პლა-ტონის აზრით, ადამიანს მარადიულის შესახებ ცოდნა თანმობილი აქვს, სხვაგვარად მარადისობის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის, მისი შემეცნების ახსნა შეუძლებელია. ადამიანური შემეცნება არის მოგონება – „ანამნე-ზისი“. მოგონება არ იყო საკმარისი ამ ცოდნის ადამიანური, ამქვეყნიური ნიშანი იყო დასაბუთებადობა. მარადიული ცოდნა დასაბუთებადი ცოდნა იყო. ცოდნა განისაზღვრა როგორც მეტაფიზიკურის, ზოგადის, მარადიულის

**დასაბუთებული ცოდნას.** შუა საუკუნეების ადამიანის ცოდნის საგანი იყო ღმერთი, მარადიული, მეტაფიზიკური რეალობა და ცოდნა სწორედ მათ ცოდნას გულისხმობდა.

ი. კანტმა (1724-1804) ახლებურად განსაზღვრა ცოდნის ბუნება. კანტს სურს დაადგინოს: რა შემიძლია ვიცოდე მისი აზრით, მეტაფიზიკა, როგორც ტრანსცენდენციური (მიღმური) სინამდვილის მეცნიერული ცოდნა, შეუძლებელია? კანტმა უკუაგდო მარადიულის, მეტაფიზიკურის ცოდნის შესაძლებლობა და ცოდნა განსაზღვრა როგორც თეორიული ცოდნა. ცოდნის საგანის სინამდვილე, ბუნება და ადამიანის თეორიული ინტერესი გულისხმობს დაადგინოს რეალობა როგორც ის არის თავისთავად, ჩემი ცნობიერებისაგან და ინტერესებისაგან დამოუკიდებლად. **ეს არის თეორიული ცოდნა.**

კანტი შეეცადა უკუეგდო თანშობილი ცოდნის პლატონისეული თეორია. ჩვენ გვაქვს არა თანშობილი ცოდნა, როგორც თანშობილი შინაარსი, არამედ გვაქვს სინამდვილის გააზრების აპრიორული ფორმები. ეს ადამიანის გონების არსობრივი მახასიათებელია და არ არის გამოცდილების შედეგი.

**მეცნიერული ცოდნა** მეცნიერული ცოდნა არის ექსპერიმენტული ცოდნა. ექსპერიმენტი არის ძალადობა ბუნებაზე, რომ მან გამოავლინოს თავისი ფარული არსი. მეცნიერება ღრმად იჭრება ბუნების სიღრმეში. ამ ცოდნის მიზანი არა იმის დაადგენა თუ რა არის ბუნება თავისთავად, არამედ თუ რა არის ბუნება ადამიანის ინტერესებთან და მოთხოვნილებებთან მიმართებაში. ეს არის ექსპერიმენტალური ცოდნა, რომელიც მიიღება ექსპერიმენტის მეშვეობით და მისი მიზანია ბუნებაზე გაბატონება და მართვა. მეცნიერული ცოდნის და მისი ჭეშმარიტების დაფუძნების კრიტერიუმებია: ვერიფიკაცია და ფალსიფიკაცია. პოზიტივიზმმა წამოაყენა ე. წ. ვერიფიკაციის (ემპირიული შემოწმება) პრინციპი. მხოლოდ ის ცოდნა არის მეცნიერული, რომლის ვერიფიკაცია, ემპირული შემოწმება შესაძლებელია. კ. პოპერმა შემოტანა ახალი კრიტერიუმი-ფალსიფიკაცია (დარღვევადობა), იგი გულისხმობს რომ მეცნიერული დებულება პრინციპულად დარღვევადია. ამაში მდგომარეობს მეცნიერული დებულების, ცოდნის განსხვავება ფილოსოფიური დებულებისაგან და მეტაფიზიკისაგან. წინადადება (დებულება) არის მეცნიერული ცოდნა თუკი შეიძლება იგი კონფლიქტში მოვიდეს მოაზრებად დაკვირვებასთან და გამტყუნებულ იქნეს. მისი აზრით, მეცნიერება ვითარდება პიპოთეტურ-დედუქციური გზით.

პოპერის აზრით, ცოდნა არის დინამიური, ცვალებადი მდგომარეობა და არა მყარად დაფიქსირებული, დადგენილი შედეგი. ცოდნის ზრდა არ არის არც კუმულაციური პროცესი და არც დაკვირვებათა კოლექციონირება, არამედ ცოდნის განვითარება (და არა ზრდა) ნიშნავს ცოდნის დაზუსტებას, გაღრმავებას და არა ახალი ცოდნის მოპოვებას, რაც ხდება

თეორიათა დარღვევის გზით და მათი უკეთესი თეორიებით შეცვლით. ისინი უკეთესია რადგან გაუძლეს შემოწმების პროცესს. კ. პოპერი ახორციელებს თეორიათა „ბუნებრივ ეპისტემოლოგიურ შერჩევას“. ამიტომ ცოდნის ზრდის პროცესი ხდება ცდისა და შეცდომების მონაცვლეობის წესით, რომელსაც აპრკოლებენ ავტორიტარიზმი, დოგმატიზმი, არა თვითკრიტიკული აზროვნება. კ. პოპერმა განსაზღვრა ცოდნის ზრდის სამი პირობა:

- ახალი თეორია უნდა ამოდიოდეს ახალი გამაერთიანებელი და შედეგიანი იდეიდან,
- ახალი თეორია უნდა იყოს დამოუკიდებლად შემოწმებადი და უფრო ეფექტური, როგორც შემოწმების ინსტრუმენტი,
- ახალმა თეორიამ უნდა გაუძლოს უფრო მკაცრ შემოწმებას. ჩვენ გვჭირდება არა მარტო წარმატებული დარღვევა, არამედ ასევე პოზიტიური შედეგები, რაც ადასტურებს ცოდნის ზრდას.

დღეს ცოდნა მიჩნეულია არა შემეცნების დასრულებულ შედეგად, არამედ ცოდნა განიხილება როგორც პროცესი, ცოდნის ზრდის პროცესი ვერასოდეს ვერ მიდის საბოლოო ჭეშმარიტებასთან, არამედ არის აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან უსასრულო მიახლოების პროცესი, რომელიც არასოდეს არ იქნება მიღწეული. ამაში მდგომარეობს პოპერისათვის დამახასიათებელი აგნოსტიციზმი. ადამიანის მიერ აბსოლუტური ჭეშმარიტება მიუწვდომელია, მაგრამ ადამიანური შემეცნება არის მუდმივი მიახლოვება ამ ჭეშმარიტებასთან. რადგან თუ მარადიული ჭეშმარიტება მიღწევადია მაშინ ადამიანის შემეცნებითი საქმიანობა დასრულდება და სამყარო ბოლომდე შემეცნებადი ყოფილა ადამიანის გონებისათვის. კ. პოპერის აზრით, ასეთი დაშვება უსაფუძვლოა

განსაკუთრებით დიდია ცოდნის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში. ცოდნა მიჩნეულია ამ საზოგადოების საფუძვლად. ამ საზოგადოების ფუნქციონირება დამოკიდებულია შემდეგ პირობებზე: 1. ცოდნის წარმოება (ინდუსტრია) 2. ცოდნის გავრცელების დონე, 3. ცოდნის, ინფორმაციის გადაცემის სისწრაფე, 4. ცოდნის, ინფორმაციის მოხმარების სისწრაფე 5. ცოდნის, ინფორმაციის მისაწვდომობა. დღეს ცოდნა აღარ არის მხოლოდ ჩემი პიროვნულობის საფუძველი, არამედ ცოდნა არის ყოველდღიურობის ფენომენი, პროდუქტი და ინსტრუმენტი, ცოდნა როგორც, პროდუქტი ყიდვა-გაყიდვის საგანია. ცოდნის არსებობის ამ წესებზეა დამოკიდებული ადამიანის, კომპანიის თუ სახელმწიფოს წარამატება ეკონომიკასა და პოლიტიკაში.

ვინ ანარმოებს ცოდნას – ბრძენები, წინასწარმეტყველები აღარ არიან, არც ფილოსოფსები და იდეოლოგები არიან, ავტორი მოკვდა. საზოგადოებას არ უყვარს ჭკუას რომ ასწავლიან. (სოკრატე, ქრისტე, ილია) ხალხმა ყველაფერი იცის, მაშასადამე ცოდნას ანარმოებს ყველა და არავინ თუ მასმედია? იგი ქმნის ახალ ცოდნას და საზოგადოებრივ აზრს. იქნებ ყველაფერი ნებადართულია. ცოდნასთან მიმართებაში თანამედროვეობის ერთერთი ფუნდამენტური საკითხია ცოდნის არსებობის საკითხი: შესა-

ძლებელი, რომ იყოს ადამიანის მიერ მოპოვებული ცოდნის შენახვა და გადაცემა, მზა სახით ჩანერგვა სხვა ადამიანის ცნობიერებაში.

### რა არის ჭეშმარიტება?

ზოგადად შემეცნების მიზანია აბსოლუტური, უცვლელი და მარადიული ჭეშმარიტების ფლობა. მაგრამ შეუძლია თუ არა ადამიანს მოიპოვოს მარადიული, აბსოლუტური ჭეშმარიტება?

ჭეშმარიტება არის ცოდნის ნიშანი. შემეცნების მიზანია არა უბრალოდ ინფორმაციის მიღება, არამედ ჭეშმარიტი ცოდნის მოპოვება, რადგან სწორედ ჭეშმარიტი ცოდნა იმსახურებს ცოდნის სახელს. არსებობს ცოდნის ჭეშმარიტების დადგენის ორი გზა: ცოდნა უნდა დადასტურდეს რეალობით, ანდა უნდა შემოწმდეს მსჯელობის ლოგიკური სისწორე და შინაგანი დაპირისპირების არ არსებობა დებულებებს შორის. რეალურად, ადამიანურ ცოდნას ყოველთვის შეფარდებითი და ისტორიული ხასიათი აქვს.

**ჭეშმარიტების კლასიკური კონცეფცია** ჭეშმარიტება აზრის, მსჯელობის თვისობრივი მახასიათებელია. ჭეშმარიტება გულისხმობს, რომ აზრი (გამოთქმა) და სინამდვილე (საგანი) შესაბამისობაშია. ჭეშმარიტია ცოდნა, რომელიც ადექვატურად ასახვას სინამდვილეს. სინამდვილე კი განიხილება როგორც ობიექტური რეალობა, რომელიც ჩემი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ობიექტური რეალობის ქვეშ გაიგებდნენ იმას, რაც მოგვეცემა ჭვრეტასა და შეგრძნებებში.

გამოთქმული დებულება, აზრი, მსჯელობა მხოლოდ მისი ჭეშმარიტად აღიარების შემთხვევაში ითვლება ცოდნად. ცოდნა ჭეშმარიტია იმას ნიშნავს, რომ ცოდნა, აზრი, დებულება სწორედ ასახვს რეალობას, მის კანონზომიერებას, მაგრამ თუ ცოდნა, აზრი, დებულება არასწორედ ასახავს რეალობას, მაშინ იგი ითვლება მცდარად. ცოდნისაგან უნდა განვასხვავოთ ვარაუდი, რომელის ჭეშმარიტება ან მცდარობა ჯერ არ არის დამტკიცებული.

ჭეშმარიტება არის ჩემი ცნობიერებისათვის უტყუარად მოცემული აზრი. ჭეშმარიტება არის ცხადი და უტყუარი წარმოდგენა. ჭეშმარიტების ვერიფიკაციული კონცეფცია მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტია ის რაც დასტურდება ცდით (მ. შლიკი). მათთვის ჭეშმარიტება არის დებულების შესაბამისობა თეორიული და პრაქტიკული შემოწმებადობის (ვერიფიკაცია) კრიტერიუმთან. ეს გულისხმობს თეორიული დებულების დასაბუთებას, ცდისეულ (ემპირიულ) მონაცემებთან მისი შედარების გზით. ჭეშმარიტების ამ ზოგადი პირობების გარდა ჰქონისტარულმა, სოციალურმა, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურმა მეცნიერებებმა ჭეშმარიტების დადგენის განსხვავებული პირობები შეიმუშავეს.

**ჭეშმარიტების სახეები** ცოდნა შეიძლება დახასიათდეს არა მარტო როგორც ჭეშმარიტი ან მცდარი, არამედ ჭეშმარიტების ხარისხის მიხედვითაც. ცოდნა შეიძლება იყოს არა უბრალოდ ჭეშმარიტი, არამედ აბსოლუ-

ტურად, ან ფარდობითად, კონკრეტული ან ზოგადად ჭეშმარიტი.

აბსოლუტურ ჭეშმარიტება – ეს არის სრული, ამომწურავი ცოდნა სინამდვილის შესახებ, რომელიც უეჭველი, უცვლელი და მარადიულია.

შეფარდებითი ჭეშმარიტება -ადამიანისათვის აბსოლუტური ჭეშმარიტება მიუწვდომელია. მას აქვს არასრული, ჭეშმარიტი ცოდნა საგნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში იგი ფლობს შეფარდებით ჭეშმარიტებას, რომელიც ექვემდებარება შემდგომ ცვლილებას და სრულყოფას.

კონკრეტული ჭეშმარიტება – შემეცნების შედეგად მიღწეული ცოდნა საგნის შესახებ დამოკიდებულია ცოდნის არსებობისა და განვითარების ადგილზე, დროზე და სხვა პირობებზე. ჭეშმარიტების კონკრეტულობა განპირობებულია შემეცნების საგანის – რეალობის სწრაფად ცვალებადი, განვითარებადი ხასიათით. იგი შეფარდებითი ჭეშმარიტების ერთერთი სახეა.

ობიექტური ჭეშმარიტება – მიუთითებს, რომ ჩვენი ცოდნის შინაარსი დამოუკიდებელია სუბიექტის ნებისაგან, ინტერესისაგან. ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება გულისხმობს სინამდვილის პრინციპულად გონივრული ხასიათის აღიარებას.

### **ჭეშმარიტების არაკლასიკური კონცეფციები**

საუკუნის დასასრულიდან კლასიკური ონტოლოგიის ფუნდამენტური დებულება სინამდვილის პრინციპულად გონივრული ხასიათის შესახებ უკუგდებულია, რომლის ბოლომდე რაციონალურად გაგება შეუძლებელია. ამან გამოიწვია ჭეშმარიტების კლასიკური კონცეფციის ცვლილება.

ყველი მეცნიერული თეორია იძლევა ჭეშმარიტების საკუთარ რეალურ განსაზღვრებას და ადგენს სიტყვის „ჭეშმარიტება“ გამოყენების პირობებს. კონვენციონალისტური თეორია მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტება არის შეთანხმების შედეგი (თ. კუნი), ჭეშმარიტების კოპერენტული თეორია მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტება არის არანინაალმდეგობრივი შეტყობინების მახასიათებელი (რ. ავენარიუსი, ე. მახი), ხოლო ჭეშმარიტების პრაგმატისტული თეორია მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტება არის ცოდნის ეფექტურობის, სარგებლიანობის დონე. ჭეშმარიტია ის შეტყობინება, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ წარმატებას (ჩ. პირსი).

ცოდნა და ძალაუფლება.

ადამიანის შემეცნების მიზანი არ აღმოჩნდა მხოლოდ ჭეშმარიტება. რა არის ცოდნა და რას ემსახურება იგი თუკი არ ესწრაფვის აბსოლუტურ ჭეშმარიტებას? მით უფრო, რომ ადამიანი აღარ აზროვნებს (ჰაიდეგერი). ადამიანის აზროვნების არს წარმოადგენს აზროვნება სიკეთეზე, სამართლიანობაზე, მშვენიერებაზე, ღმერთზე, ყოფიერებაზე. როცა შემეცნების საგანი არ არის ღმერთი, ყოფიერება, მეტაფიზიკური, როდესაც შემეცნების მიზანი არ არის ჭეშმარიტება, რა არის ცოდნა, თუკი მარადიული ჭეშმარიტება მიუღწეველია, რა როლს თამაშობს ცოდნა საზოგადოების ყოფიერებაში? რა არის ცოდნა –თუ მას განვიხილავთ ჭეშმარიტება-მცდ-

არობის მიღმა? როდესაც შემეცნების მიზანი არ არის ჭეშმარიტება, მაშინ მისი მიზანია ძალაუფლება. ცოდნა იქცა ძალაუფლების იარაღად და ფორმად. ასე განხილული ნება ცოდნისაკენ არის ნება ძალაუფლებისაკენ. ცოდნა წარმოსდგება როგორც ბატონობის იარაღი. ცოდნას თუ არ აქვს მეტაფიზიკური მიზანი, მაშინ იგი ხდება „ნება ძალაუფლებისაკენ. რაც მეტია ცოდნა მით მეტია ძალაუფლება. მისწრაფება ცოდნისაკენ ძალაუფლებას ხდის ტოტალურს (პანოპტიკური). ვიცოდე ყველაფერი=ყველაფერს ვაკონტროლობდე=ყველაფერს ვხედავდე.

ცოდნა ქმნის სიმდიდრეს, იარაღს -ბატონობის მატერიალურ საშუალებებს და ბატონობის იდეოლოგიურ საშუალებებს- წარმართავს რა დისკურსთა ბრძოლას გაბატონებისათვის. ცოდნა ძალაა, ბუნებაზე ბატონობის იარაღია – წერდა ახალი დროის წარმომადგენლები. ახლა ბატონობა უპირველესად მიმართულია მეორე ადამიანისაკენ. ამიტომ დღეს მნიშვნელოვანია თუ ცოდნის რა სახე წარმართავს საზოგადოებას: მითოსური, ფილოსოფიური, მეცნიერული თუ ნარატიული ცოდნა?

**ცოდნა და რწმენა** რწმენის აუცილებლობა ადამიანის სასრულობით, მისი დასჯით არის განპირობებული. ადამიანს სწამს ის, რისი ცოდნაც მას არ შეუძლია. ჰლატონის მიხედვით, ადამიანის უკვდავმა სულმა იცის მარადისობა, მაგრამ დაბადებისას ივინყებს მას და შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობს მის მოგონებას და მაინც ვერ იბრუნებს იმ ცოდნას, რადგან არ ცხოვრობს ისე, რომ დაიმსახუროს მარადისობის ცოდნის ხელახალი ფლობა ამქვეყნად. ეს არის მისი სასრულობის გამოხატულება.

ქრისტიანობის მიხედვით, ადამმა იცოდა ღმერთი რადგან მასთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდა. მაგრამ ცოდვით დაცემის შემდეგ ადამმა სამოთხეში დაკარგა ღმერთის უტყუარი ცოდნა და დარჩა მხოლოდ რწმენის უნარი და ნიჭი. რწმენა ცოდნის თავისებური სახეა. მარადისობა ადამიანის ცოდნისათვის მიუწვდომელი გახდა. ადამიანს შეუძლია გაზარდოს თავისი ცოდნის მარაგი, მაგრამ მარადისობა მაინც მიუწვდომელია. ცოდნისაგან განსხვავებით რწმენის ბუნება უცვლელია. რწმენა რაოდენობრივ ზრდას არ განიცდის. რწმენა ან არის, ან არ არის. ეს ნიშნავს, რომ რწმენა როგორც ცოდნის სპეციფიკური სახე განსხვავდება ჩვეულებრივი ცოდნისაგან. იგი არ არის ყველასათვის მისაწვდომი, მაშინ როდესაც ცოდნის მოპოვება და ცოდნის ზრდა ყველა ადამიანისათვის მისაწვდომია. ცოდნა და რწმენა განსხვავდება თავისი საგნითა, შინაარსითა და არსებობის ფორმით. რელიგიური რწმენის საგანია მარადიული, მეტაფიზიკური, ცოდნის საგანია ამქვეყნიური, ემპირიული.

ქრისტიანობამ ცოდნისა და რწმენის მიმართებაში უპირატესობა მიანიჭა რწმენას. რწმენის საგანია ღმერთი. ადამიანი რწმენით ცხოვრობს როგორც ამქვეყნად, ასევე რწმენა არის მიღმურ, მარადიულ სამყაროსთან მიმართების წესიც. თანამედროვე ადამიანი ცოდნას და რწმენას კვლავ ურთიერთ დაპირისპირებულ უნარებად აღიქვამს, თუმცა ცდილობს ცოდ-

ნისა და რწმენის სინერგეტიკული თანამშრომლობის უზრუნველყოფას. ცოდნისა და რწმენის ახალი მიმართების გარკვევისათვის აუცილებელია რაციონალურობისა და ცოდნის ახლებური გაგება.

**მეთოდის პრობლემა.** შემეცნების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემეცნების სწორი მეთოდის შერჩევას. მეთოდმა უნდა უზრუნველყოს შემეცნების პროცესის ნარმატებით განხორციელება, უტყუარი ცოდნის მოპოვება და მეორეც უზრუნველყოს მეტი ცოდნის მოპოვება დროისა და ენერგიის მინიმალური დანახარჯებით. შემეცნების ფილოსოფიური მეთოდის თავისებურება იმაშია, რომ ის არის ზოგადი მეთოდი სინამდვილის ნებისმიერი სფეროს ანალიზისათვის.

ფილოსოფიას როგორც მეცნიერებას აქვს თავისი მეთოდი და ფილოსოფოსობა როგორც აზროვნების სპეციფიკური წესი თვითონ მოითხოვს მეთოდს თუ როგორ უნდა ფილოსოფოსობდე. იგი გულისხმობს ფილოსოფიური კითხვების და პრობლემების დასმისა და ფილოსოფიური არგუმენტების მოყვანისა და დასაბუთების წესების დაცვას. ფილოსოფიური კითხვები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, რათა ადვილი იყოს მისი იდენტნოფიცირება როგორც ფილოსოფიური პრობლემისა. ამასთან ფილოსოფიურ აზროვნებას, როგორც პროცესს, თავისი მეთოდოლოგია აქვს, რომლის ელემენტებია:

1. მეთოდოლოგიური სკეპტიციზმი-იგი გულისხმობს სისტემატური ეჭვის მდგომარეობაში ყოფნას რაიმე დებულების ჭეშმარიტების მიმართ.

2. შემდგომი ნაბიჯია არგუმენტირება – ფილოსოფიური არგუმენტი და დასაბუთება არის ფილოსოფიური მეთოდის მნიშვნელოვანი მომენტი. ფილოსოფოსი არის ის, ვისაც შეუძლია პრობლემის გადასაწყვეტად მრავალი შესაბამისი არგუმენტის მოყვანა. ფილოსოფოსობა არის არგუმენტების ძიებისა და გადმოცემის პროცესი. კარგი ფილოსოფიური არგუმენტი არის ნათელი, ლოგიკურად გამართული მტკიცებულება ან საფუძველი, რომელსაც შეუძლია გაგვიურნოს იმ თავდაპირველი ეჭვისაგან, რის გამოც ჩვენ ვიწყებთ ფილოსოფოსობას.

3. დიალექტიკურობა- გულისხმობს ფილოსოფიურ კრიტიციზმს. მიღებული გადაწყვეტილების საპირისპირო არგუმენტების მოძიებას და საკუთარი გადაწყვეტილების კრიტიკულ შემოწმებას. ფილოსოფოსები გვთავაზობენ დეფინიციებსა და განმარტებებს პრობლემის გადასაწყვეტად. სხვანი საპირისპირო არგუმენტებს უკეთესი გადაწყვეტილებისათვის. განსხვავებულ პოზიციებზე მდგომი ადამიანების ფილოსოფოსი და მასთან მოკამათე ადამიანიც ესწრაფვიან პრობლემის გადაწყვეტას. მათ მოჰყავთ, პრო და კონტრ არგუმენტები, ფილოსოფოსი ცდილობს პრობლემის უფრო ღრმად გაგებას. ფილოსოფოსობა არის დასკვნისაკენ ანუ პრობლემის ფილოსოფიური გადაწყვეტისაკენ მოგზაურობის პროცესი. ადამიანს სურს მეტი გონივრულობა და გასაგებადობა. პრობლემის

ფილოსოფიური გადაწყვეტა ნიშნავს, რომ ადამიანმა შეძლო რაციონალურად, მისაღებად აქესნა იგი. ამით ადამიანი თავისუფლდება იმ ეჭვისაგან, რის დაძლევისათვის დაიწყო მან აზროვნება.

**დიალექტიკური მეთოდი** არის სამყაროს ფილოსოფიური შემეცნების მეთოდი, რომლის თანახმად სამყარო უნდა განვიხილოთ როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა. მისი მიზანია საგანის ყოველმხრივ ანალიზი დაყრდნობით რაციონალურად გადაჭრას ფილოსოფიური პრობლემები. მატერიალიზმი თვლის, რომ დიალექტიკა არის, არა მარტო შემეცნების, არამედ მატერიალური სინამდვილის არსებობისა და განვითარების კანონი. დიალექტიკა არის გნოსეოლოგიური მეთოდი, რომელიც ხორციელდება „თეზისი-ანტითეზისი-სინთეზის „ სქემით. შემეცნების საგანზე გამოთქმული დებულება იღებს თეზისის სახეს, შემდეგ შემეცნების პროცესის გაგრძელების კვალობაზე ყალიბდება ანტითეზისი, რომლის შინაარსი უპირისპირდება თეზისში გამოთქმულ აზრს. ამ დაპირისპირების მოხსნისა და შენახვის საფუძველზე მივიღებთ სინთეზს. მასში მოიხსნება თეზისის და ანტითეზისის დაპირისპირება და ვწვდებით ჭეშმარიტებას. ეს მოითხოვს შემეცნების საგანი განხილული იქნეს განვითარებასა და დაპირისპირებაში.

**დიალექტიკის კანონებია:** 1. რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივ ცვლილებებში და პირუკუ გადასვლის კანონი. 2. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი. 3. უარყოფის უარყოფის კანონი. დიალექტიკური მეთოდის მიხედვით სამყარო განიხილება როგორც დინამიკური სისტემა, ამიტომ იგი უპირატესობას აძლევს „პროცესის“ და „მიმართების“ ცნებას „საგნის“ ცნებასთან შედარებით.

**ფენომენოლოგიური მეთოდი.** ფენომენოლოგიის ფუძემდებლის, პუსერლის აზრით, ფენომენოლოგიური მეთოდის მიზანია მოვიპოვოთ სინამდვილესთან უშუალო მისასვლელი. სინამდვილე კი ჩვენ მოგვეცემა ცნობიერებით. მაგრამ საგნი ცნობიერებაში მოცემულია დამახინჯებული სახით, ამიტომ ჩვენი მიზანია საგნის წმინდა სახით მოცემულობის აღდგენა. ეს არის ფენომენი.

ეს მეთოდი არის ცნობიერების პირველადი გამოცდილების მონაცემების – ფენომენის – არსობრივი კვლევის პრინციპებისა და პროცედურების ერთიანობა. ამ მეთოდის განხორციელება მოითხოვს თავისებური თეორიული პოზიციის „ფენომენოლოგიური განწყობის“ მიღებას. ამის შემდეგ მეთოდი იწყებს მუშაობას. მისი ელემენტებია: ეპოქე, რედუქცია, იდეაცია და არსის ჭვრეტა.

ბუნებრივ განწყობაში ჩვენ ამოვდივართ სამყაროს არსებობის ცხადი დებულებიდან და ჩვენი მასთან მიმართება წარიმართება ინტერესით. ჩვენ ვამჩნევთ, რომ სამყაროს ჩვენეული აღქმა არ არის ჭეშმარიტი, რაც პრობლემებს გვიქმნის. სამყაროს აღქმაზე გავლენას ახდენს ენა თავისი ტრადიციით და უშუალოდ განცდილ სინამდვილეს ამახინჯებს. ჩვენ,

ფენომენოლოგიური განწყობით და თავშეკავებით, ვთავისუფლდებით ყოველგვარი ინტერესისაგან, ცრურწმენისაგან, თვით საგნის არსებობის მიმართ ინტერესისგანაც, რომ დავინახოთ ცნობიერებაში მოცემული სა-განი წმინდა სახით. ამ პროცედურების თანმიმდევრობით განხორციელებით პირველ ეტაპზე ჩვენ მივაღწევთ რეალობის განსაკუთრებულ განზო-მილებას – წმინდა ცნობიერების შინაგანი გამოცდილების სფეროს. ამით ჩვენ დავინახავთ თუ როგორია საგნის ცნობიერებაში მოცემულობის წმინ-და სახე, რომელიც ყოველგვარი დამახინჯებისაგან თავისუფალია.

ფენომენოლოგიური მეთოდის მეორე ეტაპზე, რედუქციის პროცე-დურის განხორციელებით ხდება ამ სფეროს შემდგომი განმენდა, რომლის შემდეგ მივაღწევთ ყოველივე ნამდვილის აბსოლუტურ ფუნდამენტს, არ-სის ჭვრეტით მივიღებთ გამოცდილების საგნის „წმინდა არსა“. ეს „წმინ-და არსა“ მოცემულია დესკრიფიულად. წმინდა დესკრიფიულია შეუძლე-ბელია, რადგან ენა დამძიმებულია ტრადიციული მნიშვნელობებით და ახდენს უშუალოდ განცდილი სინამდვილის გაშუალებას და დამახინჯებას. ამ მეთოდით მიიღწევა კვლევის საწყისი პოზიცია. ხდება უკუდაბრუნება არსებულიდან ყოფიერებისაკენ. ამის შემდეგ ხორციელდება ყოფიერების სტრუქტურის ფენომენოლოგიური კონსტრუირება.

**ჰერმენევტიკული მეთოდი.** ჰერმენევტიკული მეთოდი არის საგნის, მოვლენის მთლიანობაში დანახვის მეთოდი. აღმოჩნდა, რომ არსებობს რე-ალობის ისეთი სფეროები: ხელოვნება, კულტურა, ისტორია, საზოგადოება, ადამიანის სულიერი სამყარო, რომელთა ახსნა ლოგიკური დანაწილების და ანალიზით შეუძლებელია. იგი გაგებული უნდა იქნეს მთლიანობაში და როგორც მთელი. ეს შესაძლებელია თუ ყოველ ნაწილში დავინახავთ მთელს და ყოველ მთელში ნაწილს. სწორედ ასეთია შემეცნების ჰერმენევ-ტიკული მეთოდი.

კულტურა წარმოსდგება საფუძველმდებარე ტექსტების მთლიანობად. ჰერმენევტიკული მეთოდის ძირითადი ამოცანაა იმისი ჩვენება თუ როგორ არის შესაძლებელი ამ ტექსტების გაგება. ეს მეთოდი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ჰერმენევტიკული წრე, წინარე გაგების აუცილებლობა, ინ-ტერპრეტაციის უსასრულობა და ცნობიერების ინტენციონალობა. ჰერ-მენევტიკული წრე არის ტექსტის გაგების პრინციპი, რომელიც ემყარე-ბა მთელისა და ნაწილის დიალექტიკას. მთელის გაგება შეიძლება მისი ნაწილების გაგებით, მაგრამ ნაწილების გაგებისათვის აუცილებელია მთე-ლის წინასწარი ცოდნა. ჩვენ ერთ შემეცნებით აქტში, ჰერმენევტიკული მეთოდით, ვწვდებით მოვლენის არსს. ამას ჰერმენევტიკული გაგება ეწო-დება. ჰერმენევტიკული გაგება განსხვავდება ლოგიკური ახსნის პრინციპ-ისაგან.

**სტრუქტურალიზმი.** სტრუქტურალიზმი მიიჩნევს, რომ საგნის, მოვლე-ნის გაგება ნიშნავს მისი სტრუქტურის გაგებას. საგნის, მოვლენის უნდა დავინახოთ სტრუქტურა.

საგნის სტრუქტურა არ არის საგნის არსის იგივეობრივი, რომელიც საგნის უცვლელ, მყარ ბირთვის ქმნის. იგი არ არის არც საგნის შემედგენელი ელემენტების ერთობლიობა სტრუქტურალისტურ მეთოდს ყურადღება ელემენტებიდან და მათი „ბუნებიდან“, თვისებებიდან გადააქვს ამ ელემენტების მიმართებაზე და მათ სისტემის შემქმნელ თვისებებზე. ეს ნიშნავს სტრუქტურაში ელემენტებს შორის მიმართება უპირატესია და უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე თვითონ ელემენტი.

სტრუქტურა არის ობიექტის არა მარტო მდგრადი „ჩონჩხი „, არამედ იმ წესების ერთობლიობა, რომელთა მიხედვით ამ ობიექტიდან მისი ელემენტების ხელახალი გადაადგილებით შეიძლება მივიღოთ მეორე, მესამე და ა. შ. ობიექტი. ეს ავლენს ობიექტთა გარკვეული სიმრავლის ერთგვარ სტრუქტურულ კანონზომიერებას.

სტრუქტურალისტური მეთოდის შესწავლის ძირითადი სფეროა კულტურა როგორც ნიშნების ერთობლიობა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ენა, რომელიც მოიცავს მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას, მითოლოგიას, ტრადიციას, მოდას, რეკლამას და ა. შ. მათში ამ მეთოდით აღმოვაჩინთ ფარულ კანონზომიერებას, რომელსაც ადამიანი არაცნობიერად ემორჩილება. ეს კანონზომიერება შეადგენს კულტურის სიღრმისეულ ფენას. (ამ ფენას სტრუქტურალისტები გამოხატავენ სხვადასხვა ცნებებით: ფუკოს – „ეპისტემე“, დერიდასა და ბარტის --- „წერილი“, ლევი-სტროსის -- „მენტალური სტრუქტურა“ ლაკანი -- „არაცნობიერიც სტრუქტურირებულია როგორც ენა“).

#### სტრუქტურალისტური მეთოდის ძირითადი პროცედურებია:

- ობიექტთა პირველადი სიმრავლის გამოყოფა, რომლებშიც შეიძლება ვივარაუდოთ ერთგვარი სტრუქტურის არსებობა. (მაგალითად, ერთი ისტორიული ეპოქის ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება, კულტურა). ჯერ განვიხილავთ სინქრონიულ ასპექტში როგორც ერთ ეპოქაში თანაარსებულთ და შემდეგ დაქრონიულში ანუ ისტორიულ განვითარებაში.
- ობიექტების (ტექსტი) დანაწილება ელემენტარულ სეგმენტებად, რომლებშიც ტიპიური, განმეორებადი მიმართებები აკავშირებენ განსხვავებული ელემენტების წყვილს. შემდეგ მათში გამოვავლენთ ამ მიმართებისათვის დამახასიათებელ რელაციურ (მიმართებით) თვისებებს.
- უნდა გამოვლინდეს სეგმენტებს შორის გარდაქმნის მიმართება, მოხდეს მათი სისტემატიზაცია და აგებული იქნეს აბსტრაქტული სტრუქტურა უშუალო სინთეზირებით, ფორმალურ-ლოგიკური და მათემატიკური მოდელირებით. შემდეგ ხდება ამ აბსტრაქტული სტრუქტურიდან ყველა თეორიულად შესაძლებელი შედეგების გამოყვანა და მათი შემოწმება პრაქტიკაში.

დეკონსტრუქციის მეთოდი შემუშავებული იქნა ჟ. დერიდას მიერ. იგი ემყარებოდა ჰაიდეგერისეულ დესტრუქციის მეთოდს, რაც გულისხმობს

რაიმეს ტრადიციული ინტერპრეტაციის უკუგდებას ფარული საზრისის გამოვლენის მიზნით. დეკონსტრუქციის საგნია ტექსტი, კულტურა, მეტა-ფიზიკა, გონება დასავლური კულტურის და მეტაფიზიკის ფუნდამენტური ცნებები. მათი გაგება ყოველთვის ექვემდებარება გარკვეული ტრადიციული ინსტანციების ზემოქმედებას. ეს არის ჩემი აზროვნების თავისუფლების შეზღუდვა, რადგან ტრადიციული ინსტანციები ახდენენ რეპრესიას ჩემს გონებაზე, აზროვნების პროცესზე. ეს შეუძლებელს ხდის მათ ახლებურ, სხვაგვარ წაკითხვას და გაგებას.

დეკონსტრუქციის მეთოდი გულისხმობს მოვლენის გაგებას სტერეოტიპის დარღვევისა და მისი ახალ კონტექსტში ჩართვის საშუალებით. ტექსტის ლოგიკური ანალიზისაგან განსხვავებით დეკონსტრუქციული ანალიზი აღმოაჩენს წინააღმდეგობებს, რომელიც ლოგიკური ანალიზისათვის მიუწვდომელია. ეს დაპირისპირებანი უფრო ღრმა და ფარულია.

ჟ. დერიდა თვლის, რომ ტექსტის საზრისი კონსტრუირდება ტექსტის კითხვის პროცესში. მაგრამ ტექსტის საზრისის ჩვეული წარმოდგენები მოკლებულია სიღრმეს ან თავს მოხვეულია ავტორის რეპრესიული ინსტანციის მიერ. ამისაგან რომ განვთავისუფლდეთ აუცილებელია პროვოკაცია და ტექსტის ფარული საზრისის გათავისუფლება, რომელიც ვერ კონსტროლირდება ავტორის მიერ.

დეკონსტრუქციის მიზანია ტრადიციული ფილოსოფიის ლოგოცენტრიზმის სისტემური უკუგდება. რაც გულისხმობს ყოველივეს უკან გონების, ყოფიერების და მეტაფიზიკის მოცემულობას. დასწრებულობის ლოგოცენტრისტული იდეალი ქმნის დასავლური მეტაფიზიკის პარადიგმას. დასწრებულობის მეტაფიზიკა ადამიანის გვერდით გულისხმობს ტრანსცენდენტალურ რეალობას. ამ რეპრესიულ ინტენციას დასავლურ კულტურაში დერიდა უწოდებს ლოგოცენტრიზმს. დეკონსტრუქციის მიზანი არ არის ყოფიერების ფუნდამენტური გამოცდილების ნათელყოფა, არამედ ყოფიერების ცნების ნეგაცია, რადგან პრინციპულად შეუძლებელია ყოფიერების შინაარსობლივი ექსპლიკაცია.

დეკონსტრუქცია ახორციელებს ფილოსოფიური ენის სტრუქტურულ ფსიქოანალიზს და აჩვენებს, რომ ენა ენინააღმდეგება ნებისმიერ ფილოსოფიურ (მეტაფიზიკურ) პროექტს. ენა თავისუფალია მეტაფიზიკისა-გან. დეკონსტრუქციის მიზანია ტექსტში მოცემული მეტაფიზიკური საზრისების დაძლევა.

დეკონსტრუქცია ანადგურებს ისტორიული და კულტურული ტრადიციით ლეგიტიმირებულ, შემორჩენილ საზრისებს. როგორც ვხედავთ მეთოდის ძირითადი მიზანია „დასწრებულობის მეტაფიზიკის „უკუგდება. ამისათვის ტექსტი უნდა გავიგოთ როგორც თვითიდენტიფიკაციური ფენომენი. ტექსტის ავტორის დასწრებულობა არ უნდა მივიჩნიოთ საზრისის წყაროდ. ტექსტი ჰყვება საკუთარ ისტორიას, რომელიც არაა დაკავშირებული ავტორთან და ადრესატთან. ტექსტის ქვეშ შეიძლება გავიგოთ

ნებისმიერი რამ. თუმცა უ. დერიდა აღიარებს, რომ შეუძლებელია აპსო-ლუტურად დეკონსტრუირებული, ნებისმიერი მეტაფიზიკისაგან გაწმენდი-ლი ტექსტის შექმნა.

### მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ:

- ❖ ცოდნის პარადოქსები შეადარეთ რწმენის პარადოქსებს;
- ❖ ცოდნის სახეები და ჭეშმარიტების სახეები;
- ❖ ცოდნის მოპოვების ფილოსოფიური მეთოდები.

## § 2 ცნობიერება

ცნობიერება სპეციფიკურ-ადამიანური ნიშანია. უნდა განსხვავებუ-ლი იქნეს: ცნობიერება როგორც შინაარსი და ცნობიერება როგორც უნარი. ცნობიერება არის ადამიანის უნარი იდეალური ფორმების მეშვეო-ბით აითვისოს გარე სამყარო, იქონიოს მასზე წარმოდგენა. ცნობიერება არის საგნის ადამიანისათვის მოცემულობის ფორმა. ცნობიერება არ არის უბრალოდ წარმოდგენა რეალობაზე, ცნობიერებამ არა მარტო იცის რაიმე ამ საგანზე, არამედ მან იცის, რომ იცის ამ საგნის შესახებ. მაშასადამე ცნობიერება არ არის უბრალოდ ინტენციონალობა, იდეალური მიმართე-ბა, საგანთან, არამედ იგი არის თვითცნობიერი ინტენციონალობა. ცნო-ბიერება უნდა განსხვავოთ აზროვნებისაგან. ცნობიერება არის სინამდ-ვილესთან, მიმართების უნარი, უნარი იცოდე საკუთარი მდგომარეობის, მოქმედებებისა და სამყაროში ადგილის შესახებ, გამოჰყო საკუთარი თავი სინამდვილიდან და დაუპირისპირდე მას.

ცნობიერებას მრავალი მეცნიერება იკვლევს. ემპირიული ცნობიერების ფუნქციონირების ფიზიოლოგიურ საფუძველს იკვლევს უმაღლესი ნერ-ვული მოქმედების ფიზიოლოგია. ცნობიერებაში მიმდინარე შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებს იკვლევს კოგნიტური ფსიქოლოგია. აქ ცნობიერება განიხილება როგორც ადამიანის ფსიქიკის უნარი გააკონტროლოს, გააც-ნობიეროს საკუთარი მდგომარეობა განსხვავებით არაცნობიერისაგან. მეორეს მხრივ, ცნობიერება განიხილება როგორც ნორმალური მდგო-მარეობა, როდესაც ადამიანს შეუძლია ადექვატურად აღიქვას და გააკონ-ტროლოს თავისი თავი. ცნობიერ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი გან-სხვავდება არაცნობიერი მდგომარეობისა, ცნობიერების დაკარგვისა და ჭკუასუსტობისაგან. სოციოლოგია იკვლევს ცნობიერების შინაარსისა და ცნობიერი მოქმედების სოციალურ განსაზღვრულობას. ფილოსოფია კი იკვლევს ე. წ. წმინდა ცნობიერებას, იმ ინვარიანტულს, ინტერსუბიექ-ტურს, რაც ქმნის ცნობიერების არსს, ადამიანის შემეცნებისა და მოქ-მედების განხორციელების უნარს.

ცნობიერება ავტონომიური უნარია, რომელიც არ არის დამოკიდებული ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ მოვლენებზე. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ცნობიერების ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური პროცესები, მაგრამ ცნობიერების შინაარსი მათი მეშვეობით არ აიხსნება, ცნობიერება არ დაიყვანება ტვინში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. ორი ადამიანის თავში შეიძლება ერთნაირი ფიზიოლოგიური პროცესები მიმდინარეობდეს, მაგრამ ამ დროს მათ ცნობიერებაში აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსი იყოს. ამაშია ცნობიერების დამოუკიდებლობა და მისი არსებობის პარადოქსი.

ცნობიერების ავტონომიურობის მეორე ნიშანი უკავშირდება ცნობიერების წარმოშობის საკითხს. ვისგან აქვს ადამიანს მინიჭებული ეს უნარი? ის ღმერთის მიერ არის ნაბოძები თუ ბუნების საჩუქარია, თუ ბიოლოგიური მუტაციების შემთხვევითი შედეგია? ცნობიერება და სინამდვილე უნივერსუმის მთლიანობის ორი შემადგენელი ელემენტია.

**დუალიზმი** – მიიჩნევს, რომ ცნობიერება და რეალობა სამყაროს თანაბარმნიშვნელოვანი საწყისია.

**იდეალიზმი** – მიიჩნევს, რომ უპირველესი არსებული არის ცნობიერება და ემპირიული საგნის არსებობა ცნობიერებაზეა დამოკიდებული. ადამიანის ცნობიერება არის მარადიული აბსოლუტური გონის ნაპერნკალი. გონება არის ის, რისგანაც ყველაფერი გამომდინარეობს. იდეალიზმის პრობლემას წარმოადგენს იმისი ახსნა თუ როგორ გამომდინარეობს ცნობიერებიდან ფიზიკური რეალობა? როგორ ხდება ცნობიერების შინაარსის განხორციელება, რეალობად ქცევა? სკამის იდეა როგორ იქცევა რეალურ სკამად? მხოლოდ ღმერთისათვის არის შესაძლებელი აზრისა და რეალობის ერთიანობა.

**მატერიალიზმი** – მიიჩნევს, რომ ცნობიერება სამყაროს ევოლუციური განვითარების შედეგია. პირველადი არსებული არის ფიზიკური რეალობა. ცნობიერება კი არის ადამიანის ტვინის ფუნქცია. მატერიალიზმის პრობლემაა იმისი ახსნა თუ როგორ და ევოლუციის რომელ საფეხურზე წარმოიშვება ბუნებრივში, მატერიალურ რეალობაში მისგან პრინციპულად განსხვავებული იდეალური.

ადამიანს დღესაც არ შეუძლია თქვას, თუ როგორ და რატომ წარმოიშვა ცნობიერება. რა არის ადამიანისათვის ცნობიერების უნარი: წყევლა თუ დალოცვა?

**ცნობიერების გამოვლინება ადამიანის ცხოვრებაში** ცნობიერება ადამიანის განსაკუთრებულობის საფუძველია. ადამიანი არის შეგნებული, მიზნისდამსახველი არსება, რომელიც პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე. ცნობიერება არის ადამიანის სპეციფიკური აქტივობის საფუძველი. ასევე ცნობიერება არის სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულობის სპეციფიკის გამომხატველი. რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა იცის სინამდვილე და არა უბრალოდ მიმართებაშია მასთან. ეს მიმართება

იდეალური ხასიათისაა.

სპეციფიკურია ადამიანის ყოველდღიურობაში ცნობიერების გამოვლენის ფორმაცი. ის არის მოცემული ფიზიკური ნიშნის სახით, ცნობიერების ფენომენს არ ახასიათებს საგნობრივი ყოფიერება, რომელიც ლოკალიზებულია დროსა და სივრცეში. ცნობიერება თავისი ბუნებით ფარულია და მის გამოსავლენად საჭიროა პროვოცირება, პრობლემა. ცნობიერების არსებობა ცხადი ხდება მისი აქტივობისას. ცნობიერების გამოვლენის საფუძველია პრობლემა, არცოდნა. ცნობიერების გამოვლენის პიროვნული და პირველადი ფორმა არის ყურადღება.

მაგალითად, ქუჩაში სეირნობისას ჩვენი თვალი უამრავ მოვლენას აფიქსირებს, მაგრამ რას იმახსოვრებს ჩვენი ცნობიერება? მისი არჩევითი ხასიათი იმ დროს წამოჭრილი პრობლემითა განპირობებული. ადამიანი აღმოჩნდება რა პრობლემურ სიტუაციაში, პირველად ცნობიერება ახდენს სიტუაციის შეფასებას, შემდეგ ადამიანი აფიქსირებს რეალობასთან დამოკიდებულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი აფიქსირებს თავის განსხვავებას სიტუაციისაგან და თავის თავს როგორც აქტიურ საწყის-სუბიექტს. ეს ადამიანს საშუალებას აძლევს თვითონ იყოს სიტუაციაში და საკუთარ თავს უყუროს გარედან როგორც ამ სიტუაციაში მყოფს. ეს აძლევს ადამიანს ცხოველისაგან განსხვავებით პრინციპულ უპირატესობას – მიიღოს სიტუაციაში ახლებურად, სხვაგვარად მოქმედების გადაწყვეტილება. ამიტომ ადამიანი არის არა ინსტიქტური, არამედ ცნობიერი არსება. ზოგჯერ ცხოველი ავლენს უნიკალურ უნარს, რომელიც ადამიანისათვის მიუწვდომელია. ის ცხოველს აქვს ინსტინქტის სახით, რომელსაც იგი იყენებს გარემოში ორიენტირებისათვის. ინსტიქტის ჩამოყალიბებას ათასწლეულები სჭირდება და იგი გადაეცემა გენეტიკურად მზა ცოდნის სახით. ადამიანს აქვს უნარი სწრაფად შეისწავლოს შეცვლილი სიტუაცია და მიიღოს ახლებურად მოქმედების გადაწყვეტილება. ეს არის ცნობიერება. იგი შესაძლებელს ხდის ცოდნის, გამოცდილების გადაცემის სხვა ფორმას, ვიდრე გამოცდილების გენეტიკური გზით გადაცემაა. აქ ვლინდება ასევე ცნობიერების შემდეგი თვისება-ცნობიერებას ახასიათებს სინამდვილის გაორების უნარი. ცნობიერებას შეუძლია აღწეროს როგორია სიტუაცია და შეუძლია წარმოიდგინოს როგორი უნდა იყოს სიტუაცია. ეს ნიშნავს, რომ ცნობიერების ხედვა ყოველთვის გარკვეული პოზიციიდან ხედვაა. შენი საკუთარი მიზნებით, ინტერესებითა და მსოფლმხედველობით განისაზღვრება ის, თუ რას დაინახავ სიტუაციაში.

ცნობიერების შედგომი არსებითი ნიშანია ის, რომ იგი არის ბრძანების გამცემი ინსტანცია. იგი იღებს გადაწყვეტილებას და იძლევა განკარგულებას. ცნობიერება ახდენს ყველა არსებული რესურსის და ინფორმაციის მობილიზაციას და მართვას.

ცნობიერება არის ადამიანის თავისუფალ და მორალურ არსებად ყოფნის საფუძველი, რადგან იგი ხდის შესაძლებელს სიკეთისა და ბოროტების

განსხვავებასა და არჩევანის განხორციელებას.

ცნობიერება არის ადამიანის საზოგადოებრივი ყოფიერების შესაძლებლობის საფუძველი. იგი ქმნის გაგების საერთო ველს, რაც ურთიერთგაგების და თანაარსებობის საფუძველია. ცნობიერება იძლევა საშუალებას იცოდე საკუთარი თავი, საკუთარი თავი განასხვავო სხვისაგან, გაუგოსხვას და გაგებული იქნე სხვის მიერ.

**ცნობიერება როგორც უნარი** ფილოსოფიას ცნობიერების ფენომენი აინტერესებს უპირველესად როგორც შემეცნების უნარი და როგორც ადამიანის მიერ მოპოვებული, შეძენილი შინაარსის მთლიანობა. ახალი ისტორიული და ფილოსოფიური ეპოქა იწყება ცოგიტო-ს (მე ვაზროვნებ) პრინციპის აღმოჩენით. აზროვნებამ, გონიერად ღმერთის ადგილი დაიკავა. გაიზარდა ცოდნის მნიშვნელობა ადამიანის ყოფიერებაში.

ცნობიერება არსებობს როგორც უნარი და როგორც შინაარსი. ერთი ფილოსოფიური პოზიცია მიიჩნევს, რომ ცნობიერებას აქვს საკუთარი შინაარსი. ეს შინაარსი თანშობილია. მეორე ფილოსოფიური პოზიცია მიიჩნევს, რომ ცნობიერება არის მხოლოდ უნარი და „სუფთა დაფა“, ცნობიერების მთელი შინაარსი გარედან არის მიღებული. ის ყოველგვარ თანშობილ იდეებს და შინაარსის არსებობას უარყოფს.

ამ საკითხის დადგენისათვის ბუნებრივი, ყოველდღიური ცნობიერებიდან მიიღებენ ე. წ. „წმინდა ცნობიერებას“. იგი გაწმენდილია ყოველგვარი ემპირიული შინაარსისაგან. ფილოსოფიაში შემუშავებულია წმინდა ცნობიერების მიღების სპეციალური ტექნიკა. „წმინდა ცნობიერება“ არის აბსტრაქცია. რაც ნებისმიერი ცნობიერების ინვარიანტულ, ინტერსუბიექტურ და შინაგან არსებას ქმნის. მაგრამ რა არის „წმინდა ცნობიერება“ – ცნობიერების წმინდა შინაარსი, თუ წმინდა უნარი შინაარსის შექმნისა.

**წმინდა ცნობიერება** ახალი დროში ფილოსოფიური ანალიზის მთავარი თემა იყო წმინდა ცნობიერების, როგორც შემეცნების წმინდა უნარის ანალიზი. გონების თვითშემეცნება ნიშნავდა ცნობიერების, როგორც შემეცნების უნარის, შემეცნებას. ჩვეულებრივი ადამიანის ცნობიერება სავსეა განსხვავებული აზრებით, შეხედულებებით, ცრურ-წმენებით და ასე შემდეგ, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის შემეცნების პროცესზე და შემეცნების შედეგებზე.

ფილოსოფიას აინტერესებდა როგორ აღმოცენდება ადამიანის გონებაში ახალი აზრი და რა როლს თამაშობს ამ პროცესში გონების უნარები. ეს ნიშნავს: ცნობიერების, როგორც შემეცნების მთავარი ინსტრუმენტის, შემეცნების პროცესისა და შემეცნების მეთოდების კვლევას. აუცილებელი იყო ცნობიერება წმინდა ყოფილიყო ყოველგვარი მინარევისაგან, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა შემეცნების პროცესზე. ცნობიერების გაწმენდა იყო უმნიშვნელოვანესი პროცედურა. ცნობიერების გაწმენდის მიზანი იყო წმინდა ცნობიერების მიღება, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი შინაარსისაგან, ყოველი ნაკლისაგან,

რაც ხელს უშლიდა შემეცნების განხორციელებას. წმინდა ცნობიერება წარმოსდგება როგორც უნარი. ეს შესაძლებელს ხდიდა ცნობიერების, როგორც შემეცნების უნარის, შესწავლას.

ცნობიერების განმენდის და წმინდა ცნობიერების მიღების პროცე-  
დურები შეიმუშავეს ფ. ბეკონმა და რ. დეკარტემ. დეკარტემ ცნობიერების, როგორც წმინდა აქტივობის, ბუნება დაინახა აზროვნებაში – *cogito ergo sum*-ში. *Cogito*-ს (მე ვაზროვნებ) პრინციპმა რევოლუცია მოახდინა აზ-  
როვნებაში. შუა საუკუნეებში ადამიანისა და აზროვნებისათვის ყველაზე უეჭველი იყო ღმერთის არსებობა, ღმერთი იყო ადამიანის არსებობის გა-  
რანტიც.

დეკარტეს ეპოქა ეჭვით იყო დაავადებული. ეს იყო ეჭვი ღმერთის არსე-  
ბობაში, განგებისა და მადლის განაწილების სამართლიანობაში. ყველაფერი საეჭვო გახდა: საეჭვოა ხსნა, ბედი, ცხოვრებისეული წარმატება. ადამიანს უეჭველობა და გარკვეულობა სჭირდებოდა. დეკარტემ ეს ეჭვი გამოიყენა ღმერთის უეჭველობისა და საერთოდ უტყუარი საფუძვლებისა და ცოდ-  
ნის მოსაპოვებლად, რომ დაედგინა ადამიანისათვის ყველაზე უეჭველის არსებობის ფაქტი. მან ეჭვი მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე. იგი აბ-  
სოლუტურად აქცია და მეთოდად გამოიყენა. ეჭვი აღმოჩნდა სამყაროს ახალი უეჭველი საწყისის აღმოჩნის საფუძველი. ადამიანმა ეჭვი შეი-  
ტანა თვით ღმერთის არსებობაში, არის კი რაიმე, რაშიც ეჭვის შეტანა არ შეიძლება? ასეთი აღმოჩნდა *cogito* (მე ვაზროვნებ), წმინდა ცნობიერება. ღმერთის, როგორც უეჭველი საწყისის, ადგილს იკავებს *cogito* – ადამია-  
ნის აზროვნება აღმოჩნდა უეჭველი, რომლის არსებობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო, რადგან თვითონ ეჭვის არსებობა, როგორც აზროვნების ერთერთი ფორმა, ადასტურებდა ადამიანის აზროვნების არსებობას. ადა-  
მიანის არსებობა მის ცნობიერებაზე გახდა დამოკიდებული. იგი არსე-  
ბობს, რამდენადაც იგი აზროვნებს. ახალ დროში ადამიანმა ყველაზე უეჭველად აღიარა ადამიანის აზროვნების ფაქტი. ცნობიერება არის უპ-  
ირველესი არსებული, რომლის უტყუარობაში მე დარწმუნებული ვარ. ამის შემდეგ ყოველი არსებულის არსებობის საფუძველია ჩემი აზროვნების დასტური, რომ ეს არსებული არსებობს. სწორედ ეს აზროვნება გახდა ადამიანის ყოფიერების საფუძველი. ადამიანი ყველაზე უფრო ენდობა სა-  
კუთარ აზროვნებას და ის არის მისი იმედი და იარაღი ცხოვრებაში. ყველა არსებულმა ადამიანის აზროვნების წინაშე უნდა გაიმართლოს თავი და დაასაბუთოს საკუთარი არსებობის ფაქტი, უფლება და კანონიერება. ეს ახალი დასაწყისი იყო. ამიტომ არის დეკარტე ახალი ეპოქის დასაწყისი. მაგრამ დეკარტეს მეთოდოლოგიური სკეპტიციზმით მიღებული წმინდა ცნობიერება არ აღმოჩნდა სრულიად სუფთა. დეკარტემ *cogito*-ს გვერდით აღიარა თანდაყოლილი იდეების არსებობა – ღმერთის იდეისა და მათემა-  
ტიკური აქსიომების სახით.

ფ. ბეკონის აზრით, უნდა მოხდეს ცნობიერების ხელისშემშლელი

იდოლების უკუგდება და შემეცნების მეთოდების სრულყოფა. ეს იდოლები იყო:

- გამოქვაბულის იდოლა
- თეატრის იდოლა
- მოედნის იდოლა
- გვარის იდოლა

გამოქვაბულის იდოლა დაკავშირებულია ადამიანის ინდივიდუალურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან. თეატრის იდოლა კი გულისხმობს რწმენას ავტორიტეტისადმი, რაც ადამიანს ხელს უშლის სამყაროს სწორედ დანახვაში. რაც შეეხება მოედნის იდოლას, იგი განპირობებულია ენის თავისებურებებით, საერთო ენითა და ადამიანური ურთიერთობებით. ეს არის წინა თაობების ცრურწმენები, რომლებიც ენის მეშვეობით გადმოგვეცემა. ყველაზე სახიფათოა გვარის იდოლა, რადგან მისგან გათავისუფლება ყველაზე ძნელია. ეს იდოლა თვითონ ადამიანის ბუნების და გონების თავისებურებას ეფუძნება. ფ. ბეკონი ერთის მხრივ ეძებს შემეცნების ახალ მეთოდს და მეორეს მხრივ ცდილობს ცნობიერების გაწმენდას იდოლებისაგან.

შემდეგ ფილოსოფიამ წმინდა ცნობიერებაში განასხვავა ცნობიერების დონები: განსჯა-გონება-გონი. მეორეს მხრივ, განასხვავებს ემპირიულ, წმინდა და აბსოლუტურ ცნობიერებას. ემპირიული ცნობიერება არის ერთეული ადამიანის ცნობიერება. აბსოლუტურ ცნობიერებაში გაიგება ყოვლად ძლიერი გონება, რომლისთვისაც არ არსებობს შეუმეცნებელი მოვლენა. ადამიანის მიერ ადამიანის ცნობიერების არსის ძიება უფრო აქტუალური გახდა ხელოვნური ინტელექტის გაჩენის შემდეგ.

### ცნობიერების არსებობის წესი

დეკარტესთან წმინდა ცნობიერება არსებობს წმინდა აზროვნების სახით. კანტისათვის ცნობიერების, როგორც წმინდა აქტივობის, ბუნება ვლინდება სინთეზში. იგი ახდენს გარედან შემოსულ შეგრძნებების ქაოსის მოწესრიგებას. სინთეზი არის აზროვნების სიმარტივის და ეკონომიის პრინციპის გამოხატულება. მაგრამ ეს არის მეორე რიგის სინთეზი. პირველადია ჩემი გონების სიღრმეში არსებული წარმოსახვის თამაში, რომელიც საგნის სახეს იღებს. საგნის შექმნა მისი შემეცნების საფუძველია. ერთი-დაიგივე გონება ჯერ არაცნობიერად ქმნის მოწესრიგებულ სინამდვილეს და შემდეგ ცნობიერად შეიმეცნებს მას. სინთეზი არის ცნობიერების ერთიანობის საფუძველი. მაგრამ ეს მყისიერი ერთიანობაა. ამიტომ დაისმის ცნობიერების მთლიანობის პრობლემა. როგორ ხდება გადასვლა ერთი სინთეზიდან მეორე სინთეზზე და რით არის შევსებული მათ შორის არსებული მონაკვეთები?

ჰეგელმა აღმოაჩინა ცნობიერების არსებობის ონტოლოგიური პრინციპი: აქტივობა, აბსოლუტურობა, უსასრულობა და თვითშემეცნება. გონ-

ება არის თვითშემეცნებისაკენ მოძრავი, აქტიური, უსასრულო და აბსოლუტური საწყისი, რომელიც ესწრაფვის ყველაფერში აღმოაჩინოს თავისი თავი და იქცეს აბსოლუტურ თვითცნობიერებად.

ჰუსერლთან ცნობიერების არსებობის წესად იქცა ნაკადი, უსასრულო მდინარება. ცნობიერება არსებობს როგორც იდეების, აზრების, წარმოდგენების ნაკადი. მან ცნობიერების ბუნება დაინახა ინტენციონალობაში. ჰუსერლის ფენომენოლოგიაში ცნობიერება კვლევის ობიექტიც არის და აღწერის საშუალებაც. ჰეგელისაგან განსხვავებით გონება გზა თავის თავისკენ არ არის დიალექტიკური. რომელმაც უნდა გავიდეს სხვაში და შემდეგ დაუბრუნდეს საკუთარ თავს. გონება აღარ ეძებს თავისთავს გარეთ, არამედ ეძებს საკუთარ თავში. რადგან ცნობიერება არის ფენომენი, ის რაც თავის თავს თავის თავში აჩვენებს.

ფენომენოლოგია არის თვითშემეცნება. მას სურს ცნობიერების ნაკადის აღწერა სუფთა სახით თავის ყოველდღიურობაში. ჰუსერლისათვის ცნობიერება არის ერთდროულად ნაკადიცა და ყურადღების აქტიც. ყურადღება არის ინტენციის ინტენცია. ცნობიერების ნაკადს ახასიათებს უწყვეტობა, ანონიმურობა უშუალობა, მაგრამ რეფლექსური ყურადღებით იგი ხდება გაშუალებული, წყვეტილი, გაცნობიერებული და ინდივიდუალიზებული. ცნობიერების წმინდა სუბიექტურობა ვლინდება თავისუფალ ინტენციონალობაში – ეს არის ყურადღება. ის ნაკადს წყვეტილ და გარკვეულ ხასიათს ანიჭებს და ქმნის მიჯნას „აქამდე“ და „ამის შემდეგს“ შორის.

ჰუსერლთან უარყოფილია ასეთი დამკვირვებელის არსებობა. ყველა დამკვირვებელი თანაბარი მნიშვნელობისაა. ამიტომ დრო იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ცნობიერების ისე საგნის მთლიანობისა და გარკვეულობის შენარჩუნების საქმეში. ერთიანი მარადიული ანონიმური დამკვირვებელის ადგილი დაიკავა დრომ. ცნობიერების, როგორც სინთეზის, დრო არის მყისიერება როგორც წარსული-აწმყო-მომავლის სინთეზი. ცნობიერებისათვის, როგორც ნაკადისათვის, დრო არის „ახლათა“ უსასრულობა. ყურადღება არის ამ უსასრულობის წყვეტელობა.

ცნობიერების ყოველი არსებობის წესი დროის გარკვეულ გაგებას ემყარება. ცნობიერება როგორც სინთეზი არსებობის დროა მყისიერება. ცნობიერება როგორც ნაკადი არსებობის დროა წარსულისა და აწმყოს მთლიანობა. მისი ძირითადი მახასიათებელია ინტენციონალობა, როგორც მიმართება. ცნობიერება არსებობს მხოლოდ მიმართებაში. ინტენციონალობა როგორც ყურადღების აქტი ცნობიერების ნაკადს ყოფს და გარკვეულობას ანიჭებს. ცნობიერება როგორც ჰორიზონტი არსებობის დროა დრო როგორც წარსული-აწმყო-მომავლის ჰორიზონტი. ცნობიერება როგორც კომუნიკაციის არსებობის დროა აწმყო, რომელშიც ხორციელდება კომუნიკაცია. კომუნიკაციის ძირითადი ნიშანია სხვასთან ყოფნა. ცნობიერება არსებობს მხოლოდ ასეთი წესით. ანუ ცნობიერება არსებობს მეორე ცნო-

ბიერებასთან კომუნიკაციის დროსა და ამ კომუნიკაციის საფუძველზე.

**ცნობიერება როგორც შინაარსი.** ცნობიერება არის არა მარტო უნარი, არამედ ასევე შინაარსი. ადამიანის ცნობიერება არის აზრების, შეხედულებების, წარმოდგენების, ცრურნმენების, ცოდნის, განწყობილებების, მისწრაფებების, ტრადიციების, ნორმების, ზნეობრივი და ესთეტიური იდეალების ერთობლიობა, მაგრამ ეს არ არის ქაოსი, არამედ მთლიანობა, რომელიც ონტოლოგიური და აქსიოლოგიური პრინციპების საფუძველზე არის გაერთიანებული. შინაარსის მიხედვით, ცნობიერება იყოფა საგნის ცნობიერებად და თვითცნობიერებად.

**ცნობიერება როგორც თვითცნობიერება** ცნობიერებას ახასიათებს საკუთარი თავისაკენ შემობრუნების უნარი – რეფლექსია. ადამიანის მიერ საკუთარი თავის, საკუთარი არსებობისა და თავისებურებების ცოდნა არის თვითცნობიერება. თვითცნობიერების უმარტივესი დონე ვლინდება თვითშეგრძნებაში, როდესაც ადამიანი განცდის დონეზე აფიქსირებს საკუთარ ინდივიდუალობას. შემდეგ საფეხურზე ადამიანი ახდენს საკუთარი თავის გაიგოვებას ვინმესთან. ეს არის იდენტურობის ცნობიერება. ჩვენ საკუთარ თავს მივაკუთვნებთ გარკვეულ ჯგუფს, საზოგადოებას, ერს ან კულტურას. თვითცნობიერების შემდგომ საფეხურზე ადამიანი ადგენს საკუთარ განუმეორებალობას. ეს არის ადამიანის პიროვნულობის ბირთვი. ეს თვითცნობიერება ადამიანის თავისუფლების საფუძველია. იგი პასუხისმგებელია საკუთარ თავზე.

ადამიანის თვითცნობიერება აღმოჩნდა საკუთარი თავის ცოდნის, თვითკონტროლის, თვითილუზის და თვითშეფასების პროცესების ერთობლიობა. ადამიანის თვითცნობიერება სტიქიურად ყალიბდება, ზოგჯერ კი შეგნებული რეფლექსის შედეგია, როდესაც ადამიანი იყურება საკუთარი სულის სიღრმეში და ეძებს თავისი პიროვნების ბირთვს. მაგრამ ადამიანს მთელი მისი არსება არ მოეცემა რეფლექსიაში. ადამიანი თავის თავს ავლენს მოქმედებაში, ამიტომ ადამიანი საკუთარ თავზე წარმოდგენებს შეიმუშავებს საკუთარ მოქმედებაზე, ქცევაზე, შინაგან სამყაროზე დაკვირვებით.

ადამიანის თვითცნობიერების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს საზოგადოება, მეორე ადამიანი. მათ მიერ ჩვენი პიროვნების შეფასება ჩვენთვის მნიშვნელოვანია და გავლენას ახდენს ჩვენს თვითშეფასებაზე. ადამიანი ხშირად უყურებს საკუთარ თავს „სხვისი თვალით“.

ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობის მქონეა თვითშეფასება. ამიტომ თვითშეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სულიერი კრიზისი, პიროვნების გაორება. თვითშეფასება ყოველთვის ძალზედ მტკიცნეული და სახიფათო პროცესია, რადგან ის იწვევს ცხოვრების წარმართველ ღირებულებათა სისტემისა და მსოფლმხედველობის რღვევას, ანდა მათ ხელახალ „დაფუძნებას“.

ცნობიერება იყო ბატონი საკუთარ თავში, მაგრამ აღმოჩნდა რომ,

ცნობირებას არ შეუძლია მოიცვას მთელი შინაგანი სამყარო. ზ. ფრონიდის მიერ დარღვეულ იქნა ახალი ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი დებულება – ადამიანი არის თვითცნობიერება. ადამიანის შინაგანი სამყაროში არის რაღაც, რაც არ არის თვითცნობიერების შინაარსი. ცნობიერება არ ამოინურება საგნის ცნობიერებით და თვითცნობიერებით, არამედ ადამიანის შინაგანი სამყარო შეიცავს არაცნობიერის სფეროსაც. ფილოსოფიაში არაცნობიერის ცნება ზ. ფრონიდამდეც იყო დაფიქსირებული, მაგრამ არაცნობიერის ხასიათი არ იყო კონკრეტული განსაზღვრულობის მქონე. ფრონიდმა არაცნობიერში დაინახა სექსუალური და დესტრუქციული ლტოლვების ერთობლიობა. მეორეც ცნობიერებასა და არაცნობიერს შორის არ იყო ისეთი არსებითი და ადამიანისათვის ასე მნიშვნელოვანი კავშირი. არაცნობიერი არის კომპლექსების ერთობლიობა, რომლებშიც განმსაზღვრელია ეროტიკული და დესტრუქციული ლტოლვები. ისინი ძლიერი ენერგეტიკული მუხტის მქონე არიან და გავლენას ახდენენ, ხშირად განსაზღვრავენ ადამიანის მოქმედებას. აღმოჩნდა, რომ ცნობიერება არ არის ბატონი საკუთარ სახლში. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს არ შეუძლია ბოლომდე და სრულად იცოდეს საკუთარი თავი, ანუ ჰქონდეს სრული თვითცნობიერება. არაცნობიერი არ იხსნება რეფლექსისას. შემოღებული იქნა რეფლექსის ახალი სახეობა – ფსიქოანალიზი.

ცნობიერების სტრუქტურა ახლებურად იქნა გაგებული. იგი შედგება არაცნობიერის-ცნობიერებისა და ზეცნობიერისაგან.

**არაცნობიერი** არის უზარმაზარი საცავი კომპლექსების, შიშების ინსტიქტების, სურვილების, ფანტაზიების, ლტოლვების. მათში განმსაზღვრელია სექსუალური და დესტრუქციული ლტოლვები.

ზეცნობიერი არის საზოგადოების მიერ აღიარებული და დადგენილი წესები, ნორმები და ღირებულებები.

ცნობიერება არის მიჯნა არაცნობიერსა და ზეცნობიერს შორის. იგი განიცდის ორმხრივ ზემოქმედებას. ცნობიერების ფუნქციაა წარმართოს ადამიანის ყოფიერება.

არაცნობიერის პრობლემა შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით: არაცნობიერის გავლენა ცნობიერებაზე. ამ ასპექტით ძირითადად დაკავებული იყო ზ. ფრონიდი. არაცნობიერის ცნობიერებაზე გავლენის ფორმებია: ნევროზი, სიზმარი, სურვილები, სიზმრები. ხოლო ცნობიერების არაცნობიერზე გავლენის ფორმებს ძირითადად იკვლევდა კ. იუნგი. ადამიანს აქვს არაცნობიერთან დამოკიდებულების რამდენიმე მეთოდი:

- ადამიანს შეუძლია განახორციელოს არაცნობიერი სურვილი.
- არაცნობიერი ლტოლვა შეიძლება გამოვლინდეს სიზმარში, უნებლიერ სურვილებსა და გამოთქმებში. ადამიანს უნდა ერთი და ამბობს მეორეს, მაგრამ ადამიანს წამოცდება ხოლმე ნამდვილი ზრახვა.
- არაცნობიერი და მისი ენერგია შეიძლება გარდაიქმნას მხატვრული შემოქმედების ენერგიად. ეს არის სუბლიმაცია. არაცნობიერი არის მეხსიერების, გამოცდილების და სინამდვილის აღქმის ისეთი ფორმა,

რაც ცნობიერებისათვის მიუწვდომელია. ამიტომ იგი მხატვრულ შემოქმედებას უფრო მდიდარს ხდის.

- ცნობიერებას შეუძლია მოიშოროს ის სურვილი, მისწრაფება, რაც ადამიანისათვის მიუღებელია. ეს არის გაძევების ფენომენი.

ზ. ფრონიდმა შეიმუშავა არაცნობიერის ფსიქოლოგია. იგი აღიარებდა მხოლოდ ინდივიდუალურ, პიროვნულ არაცნობიერს, რაც იყო პირადი ცხოვრების მანძილზე გაძევებული განცდებისა და ლტოლვების ერთობლიობა. ზ. ფრონიდის მოწაფემ კ. გ. იუნგმა შექმნა სიღრმის ფსიქოლოგია. მისი აზრით, არსებობს არა მარტო ინდივიდუალური არაცნობიერი, არამედ კოლექტიური არაცნობიერიც, რომელიც პიროვნულ ცნობიერებაზე უფრო ღრმად არსებობს. ეს არის არქეტიპი. იგი სამყაროს ახსნისა და გაგების უძველესი მეთოდია. არქეტიპი უშუალოდ ვერასოდეს აღწევს ცნობიერების დონეს, არამედ მხოლოდ გაშუალებულად, სიმბოლოების სახით, მოეცემა ცნობიერებას. ამიტომ ნორმალურ პირობებში კოლექტიური არაცნობიერი არ ექვემდებარება გაცნობიერებას. არავითარ ანალიტიკურ ტექნიკას არ შეუძლია მისი მოგონება. პიროვნული არაცნობიერისაგან განსხვავებით იგი არ არის გაძევებული ან დავიწყებული ინდივიდის მიერ. არქეტიპი არის მითიური სიმბოლო, შედეგი ნინაპართა თაობების უზარმაზარი ტიპური გამოცდილების შეჯამება-განზოგადებისა. ისინი ადამიანს დაბადებისთანავე გადაეცემა. მიჩნეულია, რომ არქეტიპი არ არის თანშობილი წარმოდგენა, არამედ თანშობილი შესაძლებლობები წარმოდგენისა, რომლებიც საზღვარს უწესებენ ყველაზე გაბედულ ფანტაზიასაც. არქეტიპს აქვს ადამიანზე ნუმინოზური (მომნუსხველი) ზემოქმედება. არქეტიპის გამოვლენის ადექვატური ფორმაა სიზმარი. მაგრამ ადამიანები დღეს ვეღარ გრძნობენ, ვერ გებულობენ არქეტიპის ენას. მოწყვეტილი არიან თავიანთ სიღრმისეულ ფესვებს, დაკარგეს მათთან მაცოცხლებელი კავშირი.

**საგნის ცნობიერება** ადამიანის ცნობიერება მიმართულია არა მარტო საკუთარი თავისაკენ, შინაგანი სამყაროსაკენ, არამედ უპირველესად მიმართულია გარეთ საგანთა სამყაროსაკენ. პიროვნულადაც და ისტორიულადაც ადამიანი საკუთარი თავით თეორიულად დაინტერესდა მოგვიანებით. საგანი, გარე სამყარო ადამიანის ცნობიერებაში წარმოსდგება სხვადასხვა სახით. ღმერთი, სამყარო, ბუნება საგნები, საზოგადოება და საზოგადოებრივი მოვლენები, მეორე ადამიანი -- ადამიანი მათ განიცდის როგორც მისი ცნობიერების გარეთ არსებულს. ისინი განსხვავდებიან თავის არსებობის წესით. ერთნი არსებობენ მეტაფიზიკურად (ღმერთი, ყოფიერება), მეორენი ბუნებრივი წესით (ბუნება და ბუნების საგნები და მოვლენები), მესამენი იდეალურად (აზრი, ფერი, მუსიკა, სიტყვა). ცნობიერებამ უნდა შეძლოს თითოეული მათგანის თავისთავადობის ნათელყოფა და მასთან შესაბამისი დამოკიდებულების დამყარება.

**ცნობიერება და კომპიუტერი.** გონების არსებობის წესად მიჩნეული იყო

ადამიანის ბიოლოგიური სახე, ამიტომ ადამიანის კლასიკური განმარტება ამბობდა ადამიანი არის გონიერი ცხოველი. მაგრამ კომპიუტერმა გონების არსებობის სხვა შესაძლებელი ფორმის საკითხი დასვა--ხელოვნური ინტელექტი. ამ პროცესმა მოითხოვა ადამიანის გონების თავისებურების ახალი ნიშნების გამოვლენა. გონების ფორმალური რაციონალური გაგება ნაკლოვანია. კომპიუტერმა ცნობიერების რიგი ფუნქციები აიღო თავისთავზე: მეხსიერება, კალკულაცია, წარმოსახვა. ადრე ადამიანის ცნობიერებაში იყო ადგილი, სადაც მიმდინარეობდა აზროვნება, ცოდნის შექმნა, შემუშავება, შენახვა, დამახსოვრება და გადაცემა მეტყველებისა და დამწერლობის სახით. ადამიანის ცნობიერების შინაარს, ცოდნის ობიექტივაცია ხდებოდა მეტყველებისა და დამწერლობის სახით. მეხსიერების კომპიუტერისათვის გადაცემით და მასალის სწრაფი მოძიებით დაძლეული იქნა დავიწყება. შემეცნების პროცესი გადაიქცა მეცნიერებად, კოლექტიურ საქმიანობად. მეცნიერებამ მოითხოვა შემეცნების ორგანიზაცია დაწესებულების სახით. მეცნიერული წარმოება წარიმართება უმკაცრესი ეკონომიკის პრინციპით. მეცნიერული ცოდნის მოპოვებისათვის უნდა დაიხარჯოს რაც შეიძლება ნაკლები ენერგია, ფინანსური და და მოგვცეს შეძლებისდაგვარად მეტი ეფექტურობა და ფინანსური მოგება. დღეს შემეცნება გადაიქცა კომპიუტერის ინტერსუბიექტურ თავში მიმდინარე საწარმოო პროცესად. იგი შეიძლება მიმდინარეობდეს ინტერნეტ ქსელში. მისი წარმოებისათვის ადამიანების ერთ ადგილზე მობილიზაციაც აღარ არის საჭირო. შესაძლებელია თუ არა ხელოვნური ინტელექტის მიერ ადამიანის ბუნებრივი ინტელექტის ჩანაცვლება და რა შედეგის მქონე იქნება ეს ფაქტი ადამიანის არსებობისათვის? -ეს არის თანამედროვე აზროვნების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

### **მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ:**

განიხილეთ ცნობიერების განწმენდის და „წმინდა ცნობიერების“ მოპოვების პროცედურები.

- წარმოსახვითი ოპერაციით ბეკონის ოთხი იდოლა „მოკვეთეთ“ ცნობიერების ფენომებს. იმსჯელეთ მიღებულ შედეგზე.
- დეკარტეს მეთოდოლოგიური ეჭვით აღმოაჩინეთ უეჭველი Cogito („მე ვაზროვნებ“);
- შეადარეთ ერთმანეთს ბეკონისა და დეკარტეს მეთოდები და მათი მეშვეობით განწმენდილი ცნობიერება. გამოარჩიეთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.
- განასხვავეთ ცნობიერება როგორც უნარი და როგორც შინაარსი. რაშია წმინდა ცნობიერების რაობა? როგორია მისი არსებობის წესი?

- ცნობიერება როგორც უნარი განიხილეთ სხვადასხვარა კუთხით:

წმინდა აზროვნება Cogito (დეკარტი)  
 წარმოსახვის ძალა და სინთეზის უნარი (კანტი)  
 აქტივობა, უსასრულობა, თვითშემეცნება (ჰეგელი)  
 ნაკადი, ინტეციონალობა, გაგების პორიზონტი (პუსერლი)

შეადარეთ ერთმანეთს, გამოკვეთეთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

- განიხილეთ ცნობიერება და კომპიუტერი, როგორც ხელოვნური ინტელექტი. შეადარეთ მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები:
- უპასუხეთ კითხვებს:
  - შეიძლება თუ არაა დამიანისა და ხელოვნურ ინტელექტს შორის ტოლობის დასმა?
  - რა განსხვავებაა ბუნებრივ ინტელექტსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის? რა უპირატესობა აქვს ერთს მეორესთან შედარებით?
  - შეძლებს თუ არა კომპიუტერი თვითპროგრამებას?
  - შესაძლოა თუ არა ადამიანის ინტელექტი ჩაანაცვლოს ხელოვნურმა ინტელექტმა? შესაძლოა თუ არაადამიანი შეცვალოს რობოტმა?

# ნაცილი მასამა ენა და ლოგიკა

## თავი I ენის ფენომენი

### §1. ენის არსება

არისტოტელე წერდა, რომ ადამიანი არის „ძოონ ლოგონ ეხონ“ – ცოცხალი მეტყველი გონება. ენა და გონიერება ადამიანის ფუნდამენტური ნიშნებია, რაც განაპირობებს მათ შორის არსობრივ მიმართებას. ენის კავშირი ადამიანად ყოფნასთან და აზროვნებსთან ადამიანის და მოაზროვნების დიდ ინტერესს იწვევდა. ენა ცნობიერების პრობლემის არსებითი ელემენტია, რადგან ენა ყველაზე ახლოა ცნობიერებასთან, მის შინაარსთან. ენა არის ცნობიერების გამოვლენის, მოცემულობის საშუალება და ადამიანისთვის დამახასიათებელი გამოხატვის ყველაზე მომცველი და დიფერენცირებული საშუალება. ენა არის გონების გამოვლენის უმაღლესი ფორმა, გონების, ცოდნის, ადამიანის შინაგანი სამყაროს ობიექტივაციის ფორმა. ენა არსებობს დამწერლობისა (წინადადება) და მეტყველების (სიტყვა) ფორმით. ენა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას გათავისუფლდეს აქ და ახლა-ს ჩარჩოში კოგნიტური ჩაკეტილობიდან.

XX საუკუნის ფილოსოფიაში და ცნობიერების ანალიზის ადგილს იკავებს ენის ანალიზი, ენა დამოუკიდებელი საწყისი გახდა. ენა და მეტყველება თამაშობს გადამწყვეტ როლს ცნობიერების სტრუქტურის კვლევის, აზროვნების და ცოდნის დაფიქსირების პროცესში, ცოდნის ბუნების გაგებაში. ეს მოითხოვს ენის ფენომენის ახლებურ გააზრებას და მის სრულყოფას, რომ უკეთ შეესრულებინა მისი როლი შემეცნების და ცოდნის განხორციელების საქმეში. ამ ამოცანის წარამტებით განხორციელებისათვის ადამიანის ბუნებრივი ენა ნაკლოვანად იყო მიჩნეული და აუცილებელი იყო ბუნებრივი ენის სრულყოფა და შემეცნებისა და მეცნიერებისათვის იდეალური ენის შექმნა. ასე უფრო წარმატებული იქნებოდა შემეცნება და მისი შედეგები.

ბუნებრივი ენა და იდეალური ენა. ენის ფილოსოფია იკვლევს ენის ბუნებას, მის ფუნქციებს და მის როლს ცოდნის, ცნობიერების, ფუნქციონირებაში. ენა ადამიანის ყოფიერების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ადამიანი ენას გამოიყენებს აზროვნების, ურთიერთობისა და გაგებისათვის. ადამიანი ენის მეშვეობით აღწერს რეალობას, ცნობიერების შინაარს და აზროვნების პროცესს. ენის მეშვეობით გადის აწმყოს გარეთ და იხ-

სენებს წარსულსა და წარმოიდგენს მომავალს. ენის მეშვეობით გამოხატავს ადამიანი თავის გრძნობებს, აზრებს, წარმოდგენებს. ენა საზოგადოების მთლიანობის ერთერთი საშუალებაა, რადგან შესაძლებელს ხდის ურთიერთობას ადამიანებს შორის.

ენის მეშვეობით გამოვხატავთ აზროვნების შედგებს, მაგრამ ენა შეიძლება იყოს ჩვენი აზროვნების და ცოდნის დამახინჯების მიზეზიც. ენის ნაკლი ადრევე იქნა აღნიშნული და ეს წარმოშობდა იდეალური ენის შექმნის იდეას. იდეალური ენა უნდა ყოფილიყო ლოგიკურად და სემანტიკურად გამჭვირვალე და ერთმნიშვნელოვანი.

ფილოსოფოსების ამოცანას წარმოადგენდა ენის სრულყოფა, რომ მას უკეთ შეესრულებინა საკუთარი ფუნქცია. ბუნებრივი ენა ყალიბდება ისტორიის მანძილზე. ბუნებრივი ენის ნაკლია: სიტყვების ბუნდოვანება და ორაზროვანი საზრისი. მეტაფორის, სიმბოლოს, ალეგორიის გამოყენება სიტყვას ბუნდოვანს ხდის. მას ახასიათებს მრავალმნიშვნელიანობა, ამიტომ ენა ვერ უზრუნველყოფს ლოგიკურ სიზუსტეს და სიმკაცრეს, რაც შეუძლებელს ხდის ენის ფორმალიზებას (გრამატიკული გამონაკლისები), ბუნებრივი ენა შეიცავს არა მარტო ოპერეტების გამთქმებს (სახელებს), არამედ სახელის სახელებს. ენის მეცნიერებაში გამოყენება მოითხოვდა ენის მეტ სიზუსტეს და სიმკაცრეს. ყოველ სიტყვას უნდა ქონდეს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა და აღნიშნავდეს მხოლოდ ერთ საგანს. ბუნებრივი ენის მეორე ნაკლად მიჩნეულია მისი მეტაფორული ხასიათი, როდესაც სიტყვაში იგულისხმება სრულიად სხვა მნიშვნელობა ვიდრე სიტყვის პირველადი მნიშვნელობა გვეუბნება. ენის ეს თვისებაც შეუძლებელს ხდიდა ენის მეცნიერულ განვითარებას, ენის რეპერეზენტაციული ფუნქციის განხორციელებას. ამიტომ ცდილობდნენ შეექმნათ იდეალური ენა, რომელიც იქნებოდა ლოგიკურად სრულყოფილი ენა. ამ ენის ყოველ სიტყვას აქვს საკუთარი მნიშვნელობა და საზრისი.

## §2. ენის განხილვის სტრატეგიები

ჯ. ლოკი თვლიდა, რომ ლმერთმა ადამიანს მისცა ხმის არტიკულაციის უნარი, იდეები სიტყვებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, სიტყვა ემსახურება მხოლოდ იდეის გადაადგილებას. ჯ. ლოკი ინტერესდებოდა ინდივიდუალური სიტყვებით და ხაზს უსვამდა ფსიქოლოგიის მნიშვნელობას. ენის ფილოსოფია განასხვავებს იდეას და სიტყვას. თუ ცნობიერებას წარმოვიდგენთ იდეების და ცნებების, კონცეპტების საცავად, რომელიც ენას წინ უსწრებს და ენისაგან დამოუკიდებელია, მაშინ ენის ფუნქცია ყოფილა ამ იდეების და კონცეპტების გამოთქმა, გასაჯაროება, მეორე ადამიანისათვის განთქმა. არისტოტელე ამბობდა, რომ „გამოთქმული სიტყვა არის კონცეპტის ნიშანი“.

გ. ფრეგე სწორედ ამ პოზიციის წინააღმდეგ გამოდის. იგი ითვლება

თანამედროვე ენის ფილოსოფიის დამწყებად. მისი მიზანია ლოგიკური პირობითი ნიშნების დადგენა მათემატიკური მსჯელობის ფორმალიზებისათვის. ამ მცდელობის განხორციელებისას მან შექმნა არა მარტო თანამედროვე მათემატიკური ლოგიკა, არამედ ასევე საზრისის ფილოსოფიური თეორიაც. გ. ფრეგეს უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას წარმოადგენს ის, რომ მან წინადადება განიხილა როგორც სახელი. სახელში კი განასხვავა საზრისი და მნიშვნელობა. სახელის საზრისი არის ის ინფორმაცია, რაც ამ სახელით არის მოცემული, ხოლო სახელის მნიშვნელობა არის ის საგანი, რომელსაც ეს სახელი ასახელებს. ყოველი წინადადება უნდა ასახელებდეს არსებულ საგანს რეალობაში. ამის მიხედვით შეიძლება განსხვავებული იყოს ჭეშმარიტი, მცდარი და უსაზრისო წინადადებები.

გ. ფრეგეს მოსაზრებები საფუძვლად დაედო ენის სრულყოფის მეთოდს ენის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით (ლ. ვიტგენშტაინი, ბ. რასელი, გ. ფრეგე) ენის უპირველესი დანიშნულება იყო მეცნიერული ცოდნის სწორედ გადმოცემა. ისინი ცდილობდნენ ისეთი ენის შექმნას, რომელიც დაუმახინჯებლად შეძლებდა ცოდნის დაფიქსირებას და გადაცემას. ასეთი ენა იქნება იდეალური ენა და ეს არის მეცნიერული ენა. იდეალური ენა გამორიცხავს უსაზრისო წინადადებების არსებობის შესაძლებლობას. იდეალური ენის პროექტი გამოყენებული იქნა მეტაფიზიკის დასაძლევად, რომელიც ოპერირებდა უსაზრისო წინადადებებით. მათი აზრით, ფილოსოფიის პრობლემები ენის ლოგიკის მცდარ გააზრებას ეფუძნება.

ვიტგენშტაინს სურს განსაზღვროს აზროვნების საზღვრები, რაც ჩვენი ენის საზღვრებით განისაზღვრება. თუ კანტი სვამდა კითხვას: რა შემიძლია ვიცოდე? ვიტგენშტაინი სვამს კითხვას: რა შემიძლია გამოვთქვა მეცნიერულად? ეს კანტის კრიტიციზმის გაგრძელებაა. მას სურს აზროვნების საზღვრების დადგენა აზროვნების ენის საზღვრების დადგენის სახით. მისთვის აზროვნება მეცნიერულ აზროვნებას ნიშნავს და მეტაფიზიკის პრობლემა არის ენის პრობლემა. ძენონი იყო პირველი, რომელმაც გააცნობიერა აზრის, ცოდნის ენის მეშვეობით გადმოცემის სირთულე.

ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის, რომ ენის პრობლემა არის ენის ლოგიკურობის პრობლემა. რაც უფრო შორს არის ენა ლოგიკისაგან, მით უფრო ნაკლებად გამოსადეგია იგი მეცნიერებაში. მეცნიერებას საქმე აქვს რეალობასთან და ენასთან, ხოლო ფილოსოფიის მხოლოდ ენასთან, ენობრივ გამოსახულებებთან. ფილოსოფიის მთავარი საკითხი არის ენის კვლევა, თუ რა არის ენის არსი და მისი პრობლემა. ენის პრობლემა: ნაკლები ლოგიკურობა, მრავალნაირი ენის არსებობა, (ბუნებრივი ენა, მეცნიერების ენა, ფილოსოფიის ენა) მათგან უნდა შეიქმნას ერთიანი მეცნიერების ენა. სულისა და სხეულის, სამყაროს ერთიანობის და სხვა პრობლემები არის არა რეალობის, არამედ განსხვავებული ენების ერთიანობის პრობლემა. უნდა დადგინდეს მეცნიერების ერთიანი ენა, რის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას აზროვნების ერთიანი ენა.

**ჰაიდეგერი** ენას ყოფიერების სახლს უწოდებს. მისი აზრით, ენა არ ექვემდებარება ლოგიკას, ენა არის თხზვა. ეს არის ენის შინაგანი ბუნება და ადამიანისათვის ენის მინიჭების საფუძველი. ენა რომ არ იყოს თხზვა, იგი არ მიეცემოდა ადამიანს და არც ადამიანს დასჭირდებოდა იგი. ადა-მიანი როგორც მეტყველი არის თხზვის უნარის მქონე. ამიტომ ადამიანი როგორც ენის მქონე არის მეტაფიზიკოსი.

ენას როგორც ნიშანთა სისტემის თეორია დამუშავებული იქნა ფ. დე სოსიურის მიერ (1857-1913). მისი ძირითადი იდეები ჩამოყალიბებულია ნაშრომ ში „შრომ ები ენათმეცნიერებაში“. ფ. სოსიური ენას განიხილავს როგორც ნიშანთა უნივერსალურ სისტემას, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული სტრუქტურა. ნიშანი არის აღმნიშვნელის (სიტყვის აკუსტიკური ხატი) და აღნიშნულის (ცნება, საზრისი) მთლიანობა, ისინი განუყოფელი არიან.

ენა კოლექტიური და კომუნიკაციური ხასიათისაა. ფ. სოსიურს სურს აღწეროს ენა და ამავე დროს გვიჩვენოს როგორ არის ენა აგებული და თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ნიშნები. სოსიურმა შემოიტანა სისტემის ცნება ენის დასახასიათებლად. რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ენის შესწავლა აქ და ახლა. მან ენის შესწავლას საფუძვლად დაუდო ნიშნის და აღნიშნულის მიმართების კვლევა. ნიშანი არის აღნიშნულის და აღმნიშვნელის ერთიანობა. აღნიშნულის სახით წარმოსდგება ცნება, ხოლო აღმნიშვნელის სახით აკუსტიკური ხატი. აინტერესებდა ენა როგორც ნიშანთა სისტემა. იგი ნეიტრალურია მის მიერ გადმოცემული შინაარსის მიმართ. სოსიური გაყოფს ენას, როგორც აბსტრაქტულ ფენომენსს და მეტყველებას, როგორც ენის პრაქტიკულ, ყოველდღიურობის არსებობის წესი და აინტერესებდა ენა როგორც ნიშანთა სისტემა.

სტრუქტურალიზმის ინტერესის საგანია ტექსტს და არა ენა. მისი აზრით ენა არის სტრუქტურა და ენის სტრუქტურას ექვემდებარება ყველაფერი რაც ენის მეშვებობით არის დაფიქსირებული. ენა არის პირველადი და ბაზისური სტრუქტურა და მისი ანალიზის მეშვეობით ცდილობენ გამოიკვლიონ ცნობიერების, ფსიქიკის, აზროვნების, ენის, ადამიანური ქცევის სტრუქტურა. სტრუქტურის ერთერთი ნიშანია „აღმნიშვნელის“ და „აღნიშნულის“ არსებობა და აინტერესებს მათ შორის არსებული მიმართება, თუმცა მათ განსხვავებული ონტოლოგიური სტატუსი აქვთ.

სტრუქტურალიზმი მიიჩნევს, რომ ლაპარაკობს არა სუბიექტი, როგორც დამოუკიდებელი საწყისი, არამედ ენა, არაცნობიერი, კულტურა, როგორც სტრუქტურა. რადგან „ნიშნებით გაცვლა, რომელიც დაფიქსირებულია და დაზუსტებულია ადათ წესებსა და მიღების ქცევის წესებში და როდესაც თქვენ თანამოსაუბრეს ეუბნებით გარკვეულ ფრაზას, იგი გპასუხობთ ასევე განსაზღვრული ფრაზით.“

დეკონსტრუქცია მიჩნეულია ტექსტის გამოკვლევის ძირითად პრინციპად. დეკონსტრუქცია როგორც ლიტერატურული (და არა მეცნიერუ-

ლი, პოლიტიკური) ტექსტის ანალიზის მეთოდის მიზანია ტექსტის შინაგანი წინააღმდეგობების აღმოჩენა, მათში ფარული, შეუმჩნეველი ე. წ. „მიძინებული“, „ნარჩენი საზრისის“ აღმოჩენა, რომელიც მიუწვდომელია არა მარტო გამოუცდელი მკითხველისათვის, არამედ თვითონ ავტორი-სათვის, რომელიც მიღებული და შეთვისებულია წარსულის დისკურსული და მეტყველებითი პრაქტიკებიდან და ჩაბეჭდილია ენაში გაუცნობიერებული აზრობრივი სტერეოტიპების სახით, რომლებიც არაცნობიერად და ავტორის განზრახვისაგან დამოუკიდებლად ზემოქმედებას ახდენენ მასზე ენობრივი კლიშეების, იდეების, გამოხატვის საშუალებების მეშვეობით, რომ ლების გაბატონებულია ეპოქაში.

დეკონსტრუქციული ანალიზისაგან განსხვავებით ჰერმენევტიკის მიზანია ტექსტი შინაარსის, საზრისის გაგება და მისი გაგების მეთოდების დადგენა, ხოლო დეკონსტრუქციის მიზანია არა გაგება, არამედ ტექსტის ფარული წინააღმდეგობების აღმოჩენა. მისთვის ტექსტის გაგება მეორეხ-არისხოვანია.

### § 3 ენის ფუნქციები

**ენის რეპრეზანტიული ფუნქცია** ლოგიკური პოზიტივიზმი ახორციელებდა ენის რეპრეზანტიული ფუნქციის აბსოლუტიზაციას. მათ აინტერესებდათ ენა, როგორც საგანთა წარმომადგენელი და პრობლემას წარმოადგენდა იმის გარკვევა თუ რამდენად სწორედ წარმოადგენდა ენა რეფერენტს, საგანს, ობიექტს. ენა არის აღწერის საშუალება, მაგრამ რამდენად სწორედ აღწერს ენა რეალობას. სიტყვის „ მნიშვნელობისა და საზრისის“ განსხვავებით გაირკვა ენის ონტოლოგიური და ინფორმაციული ასპექტები. ენა როგორც სახელი ასახელებს თუ არა საგანს რეალობაში და ენა როგორც სახელი გვაძლევს თუ არა ჭეშმარიტ ცოდნას ამ საგნის შესახებ.

ლოგიკურმა პოზიტივიზმმა გააგრძელა ენის შემდგომი დამუშავება, როგორც ჭეშმარიტების გადმოცემის საშუალებისა და გადადგა შემდეგი ნაბიჯები იდეალური ენის შემუშავებისაკენ. მათი ამოცანა იყო ენის გაუმჯობესება პროტოკოლური წინადადებები და ვერიფიკაცია მიწნეულია ენის მიერ ჭეშმარიტების გადმოცემის შემოწმების საშუალებად. მათთან მოხდა ენის ლოგიკური ანალიზის და ემპირიზმის გაერთიანება. მაგრამ პროტოკოლური წინადადებებით აღწერილი სამყარო არ ჰგავს რეალურ სამყაროს, მისი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ ბუნების მეცნიერებაში და ისიც შესაბამისი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

**ენის კომუნიკაციური ფუნქცია** ენის გაუმჯობესების პროექტი უკუგდებულია. ეხლა მიზანია განსხვავებული ენების აღწერა და მათი ყოველ-დღიური ფუნქციონირების აღწერა. (სტრუქტურალიზმი, ჰერმენევტიკა, ლინგვისტური ფილოსოფია). ისინი ყურადღებას ამახვილებენ გამოთქმის

კონტექსტზე და წანამძღვარზე, აინტერესებთ სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ენის ობიექტური სტრუქტურები. ლ. ვიტგენშტაინმა გაითვალისწინა ლოგიკური პოზიციიზმის შედეგები და თავისი მოღვაწეობის მეორე ეტაპზე ყურადღება მიაქცია ენის კომუნიკაციურ ფუნქციას. ერთია აღნერო რეალობა (მეცნიერება) და მეორეა გადასცე რეალობის აღმნერი ინფორმაცია მეორე ადამიანს. ენის ლოგიკური ანალიზის ნაცვლად, რომელიც კარნაპთან იქცა მეტაფიზიკის უკუგდების საშუალებად, მან შემოიტანა ენის როგორც თამაშის თეორია.

**ენის პრაგმატული (ზემოქმედების) ფუნქცია** ენა გამოიყენება არა მარტო კომუნიკიის საშუალებად, არა მარტო შემეცნების, ცოდნის დაფიქ-სირების საშუალებად, არამედ საზოგადოებაში ენის გამოყენება ხდება მეორე ადამიანზე ინტელექტუალური, ემოციონალური და ნებელობითი ზემოქმედებისათვის. ენის პრაგმატულმა ფუნქციამ ყურადღება მიიქცია XX საუკუნეში (ბ. მალინოვსკი, ლ. ბლუმფილდი). ბორის მალინოვსკი წიგნში „მნიშვნელობის პრობლემა პრიმიტიულ ენებში“ (1926) ენის პრაგმატულ ფუნქციას მიიჩნევს ენის მთავარ ფუნქციად თანამედროვე საზოგადოებაში, ხოლო პრიმიტიულ საზოგადოებებში იგი თამაშობს პირველად როლს. ამიტომ „ენა უპირველესად უნდა განხილული იყოს როგორც მოქმედების წესი და არა როგორც აზრის გადაცემის საშუალება.“ ენა ადამიანს ეხმარება მსმენელში გამოიწვიოს გარკვეული სახის მოქმედება. ენის პრაგმატული ფუნქცია ადამიანს ეხმარება სხვას შეასრულებინოს მისი სამუშაო, რომელსაც იგი აღწევს ენის გამოყენებით – გასცემს ბრძანებას, რომელსაც მსმენელი ასრულებს. ენის პრაგმატული ფუნქცია ახასიათებს სიტყვიდან საქმეზე გადასვლის პროცესს, ამიტომ უნდა გაირკვეს ამგვარი გადასვლის პირობები. რადგან ენის პრაგმატული ფუნქციის სწორი გამოყენება მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც გასცემენ ბრძანებას და ამ ბრძანების შესრულებაზეა დამოკიდებული მრავალი ადამიანის სიცოცხლე. ამ დროს სიტყვა მიმართულია რეალობის შეცვლისაკენ, გარდაქმნისაკენ.

### **მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ**

- რაშია ენის არსება?
- შეადარეთ ერთმანეთს ბუნებრივი, იდეალური და მეტაენები.
- აღნიშნეთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.
- ჩამოაყალიბეთ ენის ფუნქციები

# თავი II

## ლოგიკის ელემენტები

### § 1 რა არის ლოგიკა?

ლოგიკის სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ლო- გოს“, „ლეგე“ და სიტყვას, მეტყველებას ნიმნავს. ლოგიკის მეცნიერების შემქმნელი არისტოტელე შეეცადა ადამიანის სულში აზრის დაბადება წარ- მოეფინა, როგორც პროცესი და ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერა იგი. ასე შეიქმნა ლოგიკა. მაშასადამე ლოგიკა აღწერს ადამიანის გონიერებაში მიმდინარე პრო- ცესს, რომლის შედეგია ახალი ცოდნის მიღება. მან თავის ნაშრომში „ორ- განონი“ ჩამოაყალიბა აზროვნების ძირითადი კანონები, აღწერა უმთავრე- სი ლოგიკური ოპერაციები, გამოიკვლია დედუქციური დასკვნის ბუნება. მის მიერ შექმნილ ლოგიკას ფორმალურ ლოგიკას უნიდებენ, რადგან იგი დაკავებულია აზროვნების ფორმით და არა შინაარსით. მან აღმოაჩინა, რომ ჩვენი აზროვნების სისწორეზე გავლენას ახდენს აზროვნების ფორ- მაც. მნიშვნელოვანია არა მარტო მსჯელობის, დებულების შინაარსი, არ- ამედ ისიც, როგორ გადმოვცემთ ამ აზრს.

ადამიანი ცოდნას გარე სინამდვილის საგნების შესახებ უპირველესად უშუალოდ საგნებისაგან ხედვის, სმენის და სხვა შეგრძნებების მეშვეობით იღებს. მაგრამ თანამედროვე ადამიანი ცოდნის უმეტეს ნაწილს დაწერ- ილი სახით ღებულობს, როგორც სიტყვების, ცნებების, მსჯელობების, დასკვნების ერთობლიობას. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი ჭეშ- მარიტების უშუალო შემოწმება და დამტკიცება გრძნობადი ცდით ან ექს- პერიმენტით რთულია. მაშინ როგორ უნდა დავადგინოთ მათი ჭეშმარიტე- ბა? აღმოჩნდა, რომ აზრს ახასიათებს როგორც შინაარსი, ასევე ფორმა. აზრების ერთმანეთთან დაკავშირება გარკვეულ წესებს ემორჩილება. თუ ადამიანს ჭეშმარიტების მიღწევა სურს, მას არ შეუძლია თვითნებურად წარმართოს აზროვნების პროცესი. აზროვნების ჭეშმარიტება შეიძლება დადგინდეს არა მარტო შინაარსით, არამედ აზროვნების ფორმითაც. არ- ისტოტელემ აღმოაჩინა, რომ გონებას და ცოდნას აქვს უნარი თვითონ წარმოშვას ახალი ცოდნა. აზროვნება გულისხმობს საკუთარი აზრის სწო- რად ჩამოყალიბებას და გამოთქმას და სხვისი აზრის სწორად გაგებას. ეს მიუთითებს ლოგიკის დიდ მნიშვნელობას ადამიანისათვის, მეცნიერებისათ- ვის. ადამიანს ბუნებით ახასიათებს აზროვნების ლოგიკურობა. ადამიანი ემორჩილება ლოგიკის კანონებს, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა ლოგი- კის კანონები. ადამიანს შეუძლია ლოგიკურად, მართებულად იაზროვნოს, ისევე როგორც გამართულად ლაპარაკობს, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა გრამატიკის წესები. მაგრამ თუ ადამიანი შეგნებულად გამოიყენებს ლოგიკას და თავის აზროვნებას უფრო ლოგიკურს გახდის, ეს შესაძლე-

ბლობას მისცემს მიიღოს ახალი ცოდნა, შეამოწმოს შემეცნების პროცესის სისწორე (ლოგიკურობა) და შემეცნების პროცესის შედეგები. ლოგიკის კანონების ცოდნა ამაღლებს აზროვნების კულტურას, ავითარებს კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას. ლოგიკა ადამიანს აჩვევს იაზროვნოს ზუსტად და თანმიმდევრულად, აიცილოს შეცდომები და წინააღმდეგობები საკუთარ მსჯელობაში და მოახდინოს თავისი აზრების ნათელი არტიკულაცია და არგუმენტირება.

გარდა საკუთარი აზრის ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბებისა მნიშვნელოვანია აზროვნების თანმიმდევრობა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრებს შორის არსებობს გარკვეული, ლოგიკური, ანუ აუცილებელი კავშირი. ეს ნიშნავს, რომ როდესაც ჩვენ გამოვთქვამთ გარკვეული აზრს, იდეას, შემდეგი აზრის გამოთქმა უკვე მხოლოდ ჩვენს ნებაზე არაა დამოკიდებული, არამედ ემორჩილება გარკვეულ წესრიგს, აუცილებლობას. სწორად ამ წესრიგს ეწოდება ლოგიკურობა. სწორად ეს ლოგიკურობა განასხვავებს მეცნიერულ, თეორიულ ტექსტს სხვა სახის ტექსტისაგან. თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ ჩვენი მსჯელობა ატარებს ლოგიკურ, მეცნიერულ ხასიათს, მაშინ ჩვენს აზრებს შორის უნდა იყოს მყაცრი, ლოგიკური, აუცილებელი კავშირი. ჩვენ შეგვიძლია განვასხვაოთ პოეტური, ლიტერატურული (თხრობითი) და თეორიული ტექსტი. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ თეორიულ, მეცნიერულ ტექსტს საქმე აქვს ჭეშმარიტების ძიებასა და დადგენასთან.

აზროვნების კანონის ცნება – ადამიანისათვის ცოდნის უდიდესი ნაწილი მოცემულია წიგნებში დაფიქსირებული მსჯელობების სახით, რომლის შინაარსის უშუალო ცდისეული შემოწმება შეუძლებელია. როგორ შეიძლება დავადგინოთ ამ ცოდნის ჭეშმარიტება? აღმოჩნდა, რომ ეს შესაძლებელია, რადგან მსჯელობებს შორის არსებობს შინაგანი კავშირი. აზროვნება, როგორც მსჯელობათა თანმიმდევრობა, გარკვეულ წესრიგსა და კანონებს ექვემდებარება. ეს არის აზროვნების კანონები. ადამიანის აზროვნება არ არის თვითნებური, შემთხვევით პროცესი, არამედ ადამიანის აზროვნებას საკუთარი კანონები აქვს და მიმდინარეობს ლოგიკური კანონების მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ უნდა განვასხვაოთ აზრის ჭეშმარიტების საკითხი და მსჯელობის პროცესის ლოგიკური სისწორე. აზრი არის ჭეშმარიტი, თუკი მასში გამოთქმული შინაარსი შეესაბამება სინამდვილეს და არის მცდარი, თუკი არ შეესაბამება სინამდვილეს. მაშასადამე დებულების, მსჯელობის ჭეშმარიტება დგინდება უპირველსად მისი შინაარსით, მაგრამ დებულების ჭეშმარიტება შეიძლება დადგინდეს მსჯელობის პროცესის ლოგიკური სისწორის შემოწმების მეშვეობითაც. თუკი მსჯელობის პროცესში ლოგიკური კანონები და ლოგიკური თანმიმდევრობა არ არის დაცული, მაშინ ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან შეიძლება მივიღოთ მცდარი დასკვნა. ეს ნათელს ხდის აზროვნების ლოგიკური წესების დაცვის მნიშვნელობას. მაშასადამე აზროვნების კანონი, ანუ ლოგიკური კანონი არის მსჯელობის პროცესში

აზრებს შორის აუცილებელი და არსებითი კავშირი. მსჯელობის შედეგად მივიღებთ ჭეშმარიტ მსჯელობას, თუ დავიცავთ რამდენიმე პირობას: დებულებები, რომლისგანაც შედგება მსჯელობა ჭეშმარიტია და მსჯელობის პროცესი უნდა წარიმართოს ლოგიკურად სწორად.

აზროვნება, როგორც ადამიანური შემეცნების თეორიული და აბსტრაქტული ფორმა, სინამდვილის შემეცნებას განახორციელებს გაშუალებული და განზოგადებული წესით, რომელიც გამოიხატება ენის მეშვეობით. ადამიანის გონებაში წარმოშობილი ნებისმიერი აზრი სიტყვების მეშვეობით გამოითქმება. ენის მეშვეობით შეიძლება მიღებული ცოდნის გავრცელება და გაზიარება.

უნდა განვასხვაოთ მსჯელობების შინაარსის ჭეშმარიტება და მსჯელობის პროცესის ლოგიკური სისწორე. მსჯელობა ჭეშმარიტია, თუ მასში გამოთქმული აზრი შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო თუ არ შეესაბამება, მაშინ იგი მცდარია. ამრიგად, აზროვნების ჭეშმარიტება განისაზღვრება მისი შინაარსით. მაგრამ აზროვნების ჭეშმარიტების მეორე პირობას წარმოადგენს მსჯელობის ლოგიკური სისწორე. ლოგიკა გამოხატავს აზროვნების პროცესში აუცილებელ და არსებით კავშირს აზრებს შორის. ლოგიკა არა მარტო ახალი ცოდნის მიღების, შემეცნების საშუალებაა, არამედ ცოდნის ჭეშმარიტების შემოწმების საშუალებაც.

### ლოგიკის ენა და სიმბოლოები

აზროვნების აუცილებელი პირობაა ენა. ენა არის ნიშანთა სისტემა, რომელიც ასრულებს ადამიანთა შორის ურთიერთობისა და შემეცნების პროცესში ინფორმაციის შექმნის, შენახვისა და გადაცემის ფუნქციას. წარმოშობის მიხედვით არსებობენ ბუნებრივი და ხელოვნური ენები. ბუნებრივი ენები ჩამოყალიბდა ისტორიულად არსებულ საზოგადოებებში. ისინი ინახავენ ერის ისტორიულ და კულტურულ გამოცდილებას და გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, მეტაფორულობით. სიტყვის მეტაფორულობა, მრავალმნიშვნელიანობა შეიძლება იყოს ადამიანთა შორის გაუგებრობის საფუძველი და მიზეზი. ამიტომ აზროვნებამ და მეცნიერების განვითარებამ მოითხოვა სიტყვების ერთმნიშვნელიანობის დადგენა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზუსტ მეცნიერებებში და სამართალში. ადამიანმა ბუნებრივი ენის საფუძველზე შექმნა ახალი ენა, რომელსაც უწოდებენ ხელოვნურ ენას. მეცნიერული და სხვა ინფორმაციის ზუსტი და ეკონომიკური გადაცემისათვის. იგი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მეცნიერებაში. მას ახასიათებს ერთმნიშვნელიანობა. ამით აცილებულია ბუნებრივი ენის მეტაფორულობა და მრავალმნიშვნელიანობა. ეს შესაძლებელს ხდის თავიდან იქნეს აცილებული აზრის შინაარსის დამახინჯება, არასწორი გაგება. ლოგიკასაც საკუთარი ენა აქვს. იგი გამოიყენებს სიმბოლოებს აზრების, მსჯელობებისა და დასკვნის ჩასაწერად.

მაგ. p, q, r სიმბოლოები გამოიყენება წინადადებების ალსანიშნავად,

მათ პროპოზიციულ ცვლადებს უწოდებენ. საწინადადებო მაკავშირებლებია:

კონიუნქცია – ∧ – ნიშნავს „და“

კონიუნქცია – & – ნიშნავს „და“

დისუნქცია – ∨ – ნიშნავს „ან“

იმპლიკაცია – → – ნიშნავს „თუ მაშინ“

ეკვივალენცია – ≡ ნიშნავს „ტოლია, იგივეობრივია“

უარყოფა – ㄱ – ნიშნავს „არა, არ არის სწორი“

საწინადადებო მაკავშირებლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსჯელობის ხასიათის დადგენაში და ასევე მსჯელობის შინაარსის გაგებაში. ამ და სხვა საწინადადებო მაკავშირებლებით იქმნება რთული მსჯელობები. საწინადადებო მაკავშირებლებს შეუძლიათ შეცვალონ მსჯელობის ჭეშმარიტების პირობები. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ მათი სწორი გამოყენება.

საწინადადებო მაკავშირებლები და მსჯელობა. ჩვეულებრივ ცოდნა გამოიხატება მსჯელობების სახით. დასაბუთების პროცესი შედგება მსჯელობათა თანმიმდევრობისაგან. სადაც მოცემულია არა მარტო მარტივი, არამედ რთული წინადადებების სახით მოცემული მსჯელობები. მარტივი წინადადება თავის თავში ნაწილის სახით არ შეიცავს სხვა წინადადებას. რთული წინადადება კი თავის თავში, ნაწილის სახით, შეიცავს სხვა წინადადებას, რომელიც ყალიბდება მარტივი წინადადებებისა და საწინადადებო მაკავშირებლების მეშვეობით. მარტივი წინადადებების გარდაქმნა რთულ წინადადებად ხდება საწინადადებო მაკავშირებლების მეშვეობით. საწინადადებო მაკავშირებლები არის სპეციალური სიტყვები ან ფრაზები, რომელთა მეშვეობით მარტივი წინადადებები უკავშირდებიან ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ საწინადადებო მაკავშირებლებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მსჯელობის ჭეშმარიტებასა და მცდარობაზე.

არსებობს ინტენსიური და ექსტენსიური საწინადადებო მაკავშირებლები. ექსტენსიური მაკავშირებელი ეწოდება ისეთ მაკავშირებელს, რომლის გამოყენებით აგებული რთული წინადადების ჭეშმარიტების მნიშვნელობის განსაზღვრისათვის საკმარისი არა მისი შემადგენელი მარტივი წინადადების ჭეშმარიტების მნიშვნელობები. ეს მაკავშირებლებია: „და“, „თუ მაშინ“, „ან-ან“, „არა“ და ასე შემდეგ. საწინადადებო მაკავშირებლები ლოგიკური საზრისის მატარებელია და ამიტომ წინადადების შინაარსთან ერთად ქმნიან ახალი, რთული წინადადების შინაარსს და განსაზღვრავენ მისი ჭეშმარიტების პირობებს. მაგალითად, ვნახოთ, როგორ ცვლის მაკავშირებელი წინადადების შინაარსსა და ჭეშმარიტების პირობებს. „დღეს

წავალ ლექციაზე ან დღეს წავალ თეატრში” (დისუნქცია). ეს წინადადება ჭეშმარიტია, თუკი მე განვახორციელებ ერთ-ერთ ვარიანტს მაინც. მაგრამ თუ მე ვამბობ – „დღეს წავალ ლექციაზე და დღესვე საღამოს წავალ თეატრში” (კონიუნქცია). ეს წინადადება ჭეშმარიტია, თუკი მე განვახორციელებ ორივე ვარიანტს. ე. ი. „და“ კავშირი ჭეშმარიტების უფრო მკაცრ პირობებს აყენებს, ვიდრე „ან-ან“ კავშირი. თუ მე ვამბობ – „თუ დღეს წავალ ლექციაზე, მაშინ დღეს საღამოს გესტურები“ (იმპლიკაცია). ეს წინადადება ჭეშმარიტია, თუკი მე განვახორციელებ დანაპირებს, მიუხედავად ვითარებისა.

მაგალითად, ავილოთ ორი მარტივი წინადადება: „მე დღეს დილით ვიყავი ლექციაზე“ და „მე დღეს საღამოს სტუმრად ვიყავი დავითთან“. იმის მიხედვით, თუ რომელი საწინადადებო მაკავშირებელი იქნა გამოყენებული რთული წინადადების შესაქმნელად, განსხვავებულია ამ წინადადების ჭეშმარიტების პირობები. კონიუნქციური წინადადება იქნება ასეთი სახის: „მე დღეს დილით ვიყავი ლექციაზე და დღეს საღამოს სტუმრად ვიყავი დავითთან“. დისუნქციური წინადადება ასე გამოიყურება: „მე დღეს დილით ვიქნები ლექციაზე, ან დღეს საღამოს სტუმრად ვიქნები დავითთან“. მკაცრი დისუნქციური (ალტერნატიული) წინადადება ასე გამოიყურება: „ან მე დღეს დილით ვიქნები ლექციაზე, ან დღეს საღამოს სტუმრად ვიქნები დავითთან“. პირობითი წინადადება ასე გამოიყურება: „თუ მე დილით ვიქნები ლექციაზე, მაშინ დღეს საღამოს სტუმრად ვიქნები დავითთან“. უარყოფითი წინადადება ასე გამოითქმება: „არ არის სწორი, რომ მე დღეს დილით ვიყავი ლექციაზე“.

## § 2. ლოგიკის ძირითადი კანონები

აზროვნების ძირითადი კანონები არა მარტო აზროვნების, არამედ არსებობის კანონებიცაა, რადგან მის მიხედვით არის მოწესრიგებული ადამიანის გარემო რეალობა.

**იგივეობის კანონი** – იგი ჩამოაყალიბა არისტოტელემ თავის მეტაფიზიკაში – იაზროვნო (ილაპარაკო) ყველაფერზე ნიშნავს არ იაზროვნო (არ ილაპარაკო) არაფერზე. ეს კანონი მოითხოვს აზროვნების კონკრეტულობას. ყოველი აზრი, ცნება, მსჯელობა უნდა იყოს თავის თავის იგივეობრივი და არ უნდა იცვლებოდეს მსჯელობის განმავლობაში. აზრი უნდა იყოს ნათელი, მარტივი, გარკვეული და არა ორაზროვანი. მაგალითად, როდესაც ერთ სიტყვაში დებენ განსხვავებულ აზრს, ანდა როდესაც მსჯელობის პროცესში ცვლიან მსჯელობის თემას. იგივეობის კანონის დარღვევა იწვევს მსჯელობის შინაარსის დამახინჯებას. როდესაც უნებლიერ ირლვევა იგივეობის კანონი, მაშინ ადგილი აქვს ლოგიკურ შეცდომას, მაგრამ თუ ხდება მისი შეგნებული დარღვევა მოპარეს დაბნევისათვის, მაშინ ადგილი გვაქვს სოფიზმთან. სოფიზმის მაგალითია შემდეგი მსჯ-

ელობა:

პირველი შეკითხვა: თანახმა ხარ, რომ ის, რაც დაგიკარგავს, ის არ გაქვს? – რასაკვირველია.

მეორე შეკითხვა: თანახმა ხარ, რომ ის, რაც არ დაგიკარგავს, ის გაქვს? – რასაკვირველია.

მესამე შეკითხვა: დღეს რქები ხომ არ დაგიკარგავს? არა, მაშასადამე შენ გაქვს რქები.

აქ ხდება იგივეობის კანონის დარღვევა, რადგან ადგილი აქვს სიტყვის ორაზროვნების და მსჯელობის თემის შეცვლას.

წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი – აზროვნების ეს კანონი ამბობს, რომ შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საგანზე და ერთსა და იმავე მიმართებაში გამოთქმული ორი ურთიერთგამომრიცხველი (კონტრადიქტორული) მსჯელობა იყოს ერთდროულად ჭეშმარიტი. მაგალითად, ორი დებულება „სოკრატე მაღალია“ და „სოკრატე არ არის მაღალი“ გამოთქმულია ერთი და იგივე ადამიანზე, სოკრატეზე-პლატონის მასწავლებელზე, შეუძლებელია იყოს ერთდროულად ჭეშმარიტი. მოკლედ, ეს კანონი კრძალავს, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საგანზე, ერთსა და იმავე მიმართებაში ამტკიცო და უარყო ერთი და იგივე. შეუძლებელია საგანს ჰქონდეს რაიმე ნიშან-თვისება და ამავე დროს არც ჰქონდეს იგი. არცერთი წინადადება არ შეიძლება ერთდროულად იყოს მცდარიცა და ჭეშმარიტიც. თუ რაიმეს ვამტკიცებთ, ამავდროულად არ უნდა ვამტკიცოთ მისი გამომრიცხველიც. ეს ადვილი შესამჩნევია, როდესაც დაპირისპირება კონტაქტურია, ანუ ერთი მსჯელობა ამტკიცებს რაიმეს და მეორე მსჯელობა მაშინვე უარყოფს წინა დებულებას. მისი აღმოჩენა ძნელია დისტანციური წინააღმდეგობისას, როდესაც მსჯელობებს შორის დიდი ინტერვალია და ტექსტის დიდი მონაკვეთია.

გამორიცხული მესამის კანონი მსჯელობები არა მარტო ურთიერთგამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ უპირისპირდებიან ერთმანეთს. მაგალითად, მსჯელობები: „სოკრატე მაღალია“ და „სოკრატე არ არის მაღალი“ ურთიერთგამომრიცხავი (კონტრადიქტორული) დებულებებია. მაშინ როდესაც მსჯელობები: „სოკრატე მაღალია“ და „სოკრატე დაბალია“ ერთმანეთს უპირისპირდებიან (კონტრარული). ურთიერთგამომრიცხავი (კონტრადიქტორული) და ურთიერთდაპირისპირებული (კონტრარული) მსჯელობები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ კონტრარული მსჯელობები გულისხმობენ გადაწყვეტის მესამე ვარიანტს. მაგალითად, სოკრატე შეიძლება იყოს არც დაბალი და არც მაღალი, არამედ საშუალო სიმაღლის. რადგან არსებობს მესამე ვარიანტი, ამიტომ დაპირისპირებული მსჯელობებიდან ორივე შეიძლება იყოს მცდარი, ანუ სოკრატე შეიძლება იყოს საშუალო სიმაღლის. „სოკრატე მაღალია“ და „სოკრატე დაბალია“ – ორივე მცდარია. ხოლო ურთიერთგამომრიცხავი (კონტრადიქტორული) დებულებები გამორიცხავენ მესამე შესაძლებელ ვარიანტს. „სოკრატე მა-

ღალია“ და „სოკრატე არ არის მაღალი“ – მათ შორის მესამე ვარიანტი გა-მორიცხულია. „სოკრატე არ არის მაღალი“ თავის თავში არ გულისხმობს, რომ იგი დაბალია ან საშუალო სიმაღლის. ეს ნიშნავს, რომ კონტრადი-ქტორული მსჯელობის ჭეშმარიტება–მცდარობის საკითხის გასარკვევად საკმარისი არაა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის გამოყენება. ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობების მიმართების გარკვევისათვის არ-სებობს გამორიცხული მესამის კანონი, რომელიც ამბობს: ორი ურთიერ-თგამომრიცხავი მსჯელობა ერთსა და იმავე საგანზე, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართებაში შეუძლებელია ერთდროულად იყოს ან ჭეშმარიტი, ან მცდარი. ერთი დებულების ჭეშმარიტება აუცილებლობით გულისხმობს მეორე დებულების მცდარობას და პირიქით. გამორიცხულია, რომ ორივე ერთდროულად იყოს ჭეშმარიტი და პირიქით – ერთდროულად იყოს მცდარი. თუ ერთი მსჯელობა ჭეშმარიტია, მაშინ მეორე მცდარია, რადგან მესამე შემთხვევა გამორიცხულია. ურთიერთგამომრიცხველი მს-ჯელობების მიმართების გარკვევისათვის არსებობს გამორიცხული მესა-მის კანონი, რომელიც ამბობს: ორი ურთიერთგამომრიცხველი მსჯელობა ერთი და იგივე საგანზე, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე მიმართე-ბაში შეუძლებელია ერთდროულად იყოს ან ჭეშმარიტი, ან მცდარი. ერთი დებულების ჭეშმარიტება აუცილებლად გულისხმობს მეორე დებულების მცდარობას და პირიქით.

საკმაო საფუძვლის კანონი. ეს კანონი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი დე-ბულება უნდა იყოს დასაბუთებული არგუმენტებით (საფუძვლით), რათა ჰქონდეს ლოგიკური ძალა. ეს არგუმენტები უნდა იყოს საკმარისი საწყ-ისი დებულების დასაბუთებისათვის, ანუ თეზისი აუცილებლობით უნდა გამომდინარეობდეს საფუძვლიდან. მაგალითად, „ეს საგანი ატარებს ელე-ქტროობას (თეზისი), რადგან იგი არის ლითონი (საფუძველი).“ ამ შემ-თხვევაში დაცულია კანონის მოთხოვნა. რადგან საფუძლიდან თეზისი ჭეშმარიტად გამომდინარეობს. მეორე მაგალითში: „ნუ დამიწერთ დაბალ ნიშანს, კიდევ შემეკითხეთ (თეზისი), მე სახელმძღვანელო მთლიანად წავი-კითხე და სხვა საკითხზე გიპასუხებთ (საფუძველი).“ აქ დარღვეულია საკ-მაო საფუძვლის კანონის მოთხოვნა. საფუძვლიდან – „მე სახელმძღვანე-ლო მთლიანად წავიკითხე“ – არ გამომდინარეობს აუცილებლობით, რომ შეგიძლია უპასუხო, რადგან შეიძლება ვერ ისწავლო, დაგავიწყდეს, ან ვერ გაიგო. ეს კანონი მოითხოვს, რომ ნებისმიერ მსჯელობას უნდა ჰქონდეს მტკიცებულების ძალა და ყოველი თეზისი უნდა იყოს დასაბუთებული. ასე შეიძლება ავიცილოთ დაუსაბუთებელი და ნაჩქარევი დასკვნები.

### **§ 3. ლოგიკური აზროვნების ფორმები: ცნება, მსჯელობა, დასკვნა**

**ცნება და სიტყვა** – ცნება ყოველთვის იღებს სიტყვის ფორმას. ცნება გამოიხატება და არსებობს სიტყვის სახით. მაგრამ არ შეიძლება სიტყვისა და ცნების გაიგივება. რადგან სიტყვას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა. მაგალითად, სიტყვა „და“ არის საწინადადებო მაკავშირებელი და ამავე დროს აღნიშნავს ადამიანის სისხლით ნათესავს. ცნება არის აზროვნების ფორმა, რომელშიც ასახულია საგნის არსებითი, აუცილებელი და საყოველთაო ნიშნების ერთობლიობა. აუცილებელია ის თვისება, რომლის გარეშე საგნის წარმოდგენა შეუძლებელია. საყოველთაო თვისება, რომელიც ახასიათებს ამ ცნების სიმრავლეში შემავალ ყველა საგანს და არსებითია თვისება, რომელიც საგნის შინაგან ბუნებას გამოხატავს.

ცნების ჩამოყალიბება. ცნების შექმნა ხანგრძლივი პროცესია. იგი იწყება საგნის თვისებათა ანალიზით. საგნის უამრავი თვისებებიდან გამოიყოფა აუცილებელი და არსებითი, ერთეული და საზოგადო თვისებები, რომელთა გარეშეც ამ საგნის წარმოდგენა შეუძლებელია. ერთეულია თვისება, რომელიც მხოლოდ ერთ საგანს ახასიათებს. ხოლო ზოგადია თვისება, რომელიც ახასიათებს საგანთა გარკვეულ სიმრავლეს. მაგალითად, ყოველ ადამიანს აქვს უამრავი ნიშან-თვისება. მათგან ზოგიერთი, მხოლოდ ერთ ადამიანს ახასიათებს. ესენია სუბიექტური თვისებები. მათგან განსხვავდება ისეთი თვისებები, როგორიცაა: ეროვნება, განათლება, სოციალური მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს ადამიანთა დიდ ჯგუფებს. ბოლოს არსებობს ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ყველა ადამიანს. სწორედ ეს ნიშნები შევა ადამიანის ცნებაში. შემდეგ კი სინთეზის მეშვეობით ხდება ამ გამოყოფილი თვისებების ურთიერთშეთანხმება და გაერთიანება, იქმნება საგნის ნიშან-თვისებათა ახალი მთლიანობა. ეს არის ადამიანის ცნება. მასში შედის ცნობიერება, მეტყველების უნარი და შრომის უნარი. რასაც მოჰყვება სინთეზით მიღებული მთლიანობის განზოგადება ყველა მსგავსი საგნის მიმართ. ცნება-ში შესული თვისებები საყოველთაო ხასიათს იღებს. მაგალითად, სკამის ცნებით მე შემიძლია მოვიცვა ყველა ის სკამი, რომელიც არსებობდა, არსებობს და იარსებებს მომავალში. ცნების მეშვეობით გადაიჭრა სამყაროს მრავალფეროვნების გააზრების პრობლემა. ადამიანის გონება განუზომელად ეფექტური და ეკონომიური გახდა.

**ცნების შინაარსი და მოცულობა** – ცნებაში მოაზრებულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას ცნების შინაარსი ეწოდება. ცნების შინაარსი განსაზღვრავს მის მოცულობას. ცნების მოცულობა ეწოდება იმ საგანთა ერთობლიობას, რომელიც მოიაზრება ამ ცნების მეშვეობით. ცნების შინაარსსა და ცნების მოცულობას შორის არსებობს შებრუნებული მიმართება. ეს ნიშნავს, რომ ცნების შინაარსის გაზრდა, გამდიდრება კიდევ ერთი ნიშნით

იწვევს ცნების მოცულობის შემცირებას და პირიქით – ცნების შინაარსის შემცირება, ერთი ნიშის გამოკლება იწვევს ცნების მოცულობის ზრდას. მაგალითად, დედამინაზე მცხოვრები ადამიანის, როგორც ასეთის, ცნების მოცულობაში შედის ყველა ადამიანი – დაახლოებით ექვსი მილიარდზე მეტი. ეს არის უნივერსალური კლასი. მაგრამ თუ ადამიანის ცნებას დავუმატებთ ერთ ნიშანს – თეთრკანიანობას, მაშინ ასეთ ადამიანთა რიცხვი შემცირდება და იქნება დაახლოებით სამი მილიარდი. შემდეგ ადამიანის ცნებას ვუმატებთ კიდევ ერთ ნიშანს – ქართველობას. ჩვენი ცნების მოცულობა კიდევ უფრო შემცირდა და იგი მოიცავს მხოლოდ რამდენიმე მილიონს. შემდეგ მას ვუმატებთ კიდევ ერთ ნიშანს – თბილისის მცხოვრები. ცნების მოცულობა ხდება ერთი მილიონი. შემდეგ დაემატა ნიშნები: მამაკაცი და თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი. ცნების მოცულობა რამდენიმე ასეულით შემოიფარგლება. ბოლოს კიდევ რამდენიმე ნიშნის დამატებით ცნების მოცულობა შეიძლება გახდეს ერთი ადამიანი (ერთეული სიმრავლე) ანდა საერთოდ არავინ. ასეთ სიმრავლეს ცარიელ, ნულოვან სიმრავლეს უწოდებენ.

**ცნების სახეები** – არსებობს ცნებათა მრავალი ფორმა: ერთეული და ზოგადი, აბსტრაქტული და კონკრეტული, დადებითი და უარყოფითი და სხვა სახის ცნებები. ერთეული ცნებაა „თბილისი“. რადგან იგი მოიაზრებს მხოლოდ ერთ საგანს. ზოგადია ცნება, რომლის მეშვეობით მოიაზრება მრავალი საგანი. მაგალითად, „დედაქალაქის“ ცნება. კონკრეტული ცნებით მოიაზრება საგანი ან საგანთა კლასი. ცნება აბსტრაქტულია, თუ მისით მოიაზრება საგნის თვისება. მაგალითად, „სითეთრე“, „მშვენიერება“ და ასე შემდეგ. დადებითი ხასიათის ცნებაში მიცემულია ის თვისებები, რომლებიც ახასიათებს საგანს. ხოლო უარყოფითია ცნება, რომლის შინაარსში მითითებულია, რომ რაღაც ნიშნები არ აქვს საგანს. „წესრიგი“, „სილამაზე“, „განათლებული“ დადებითია, ხოლო „უწესრიგობა“, „ულამაზო“, „გაუნათლებელი“ უარყოფითი ცნებებია.

**მსჯელობა** – ცნებებით აღნერილი სამყარო არ არის სრული. იგი წარმოგვიდგება საგანთა სიმრავლედ, რომელთა შორის არავითარი მიმართება, წესრიგი არ არსებობს. ეს არის სამყაროს აღნერის მარტივი დონე. ადამიანი სინამდვილის შემეცნების მეშვეობით ხედავს კავშირს საგნებს, თვისებებს შორის. იგი აისახება მსჯელობაში. ადამიანი გადადის მსჯელობის ეტაპზე. მსჯელობა არის ცნებათა კავშირი. მსჯელობის გამოხატვის ენობრივი ფორმაა წინადადება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წინადადება და მსჯელობა იგივეობრივი მოვლენებია. ყოველი მსჯელობა გამოიხატება წინადადების მეშვეობით, მაგრამ ყოველი წინადადება არ გამოხატავს მსჯელობას. გარეგნულად წინადადება და მსჯელობა ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ თუ ჩვენ განვიხილავთ სუბიექტსა და პრედიკატს შორის გამომდინარეობის, ლოგიკურ, აუცილებელ კავშირს, რამდენად სწორად ახასიათებს პრედიკატი სუბიექტს, მაშინ ლაპარაკია მსჯელობაზე და მის ლოგი-

კურ ანალიზზე. მაგრამ თუ წინადადების წევრებს შორის გრამატიკული კავშირის სისწორეზეა ლაპარაკი, რამდენად არის დაცული გრამატიკული ბრუნვის, თანდებულების, წინდებულების გამოყენება, მაშინ ლაპარაკია წინადადების გრამატიკულ ანალიზზე. მსჯელობა არის მარტივი თხრობითი წინადადება, რომელშიც დასტურდება ან უარიყოფა საგნობრივი ვითარება. თუ მსჯელობაში გამოთქმული აზრი ასახავს, გამოხატავს რეალობას – მსჯელობა ჭეშმარიტია, ხოლო თუ არ გამოხატავს რეალობას, მაშინ მსჯელობა მცდარია. ამიტომ მსჯელობა შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. თხრობითი წინადადების გარდა არსებობს კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები. მაგალითად, შეკითხვა – „ვინ არის პეტრე?“ ან ბრძანება – „პეტრე გამომყევი ლექციაზე!“ არც ერთი არ არის მსჯელობა, რადგან მათი მიზანია არა ინფორმაციის გადაცემა, არამედ მოწოდება, ბრძანება. ისინი არც უარყოფენ და არც ადასტურებენ რაიმეს. ამიტომ იგი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. მსჯელობა არ არის წინადადება, სადაც მოცემულია შეფასებითი დამოკიდებულება რეალობისადმი. მაგალითად, წინადადება: „ფანჯრის წინ ნაძვის ხე დგას“ – არის მსჯელობა. მაგრამ „მომწონს ფანჯრის წინ მდგომი ნაძვის ხე“ – არ არის მსჯელობა, რადგან მასში მოცემულია სუბიექტური დამოკიდებულება რეალობისადმი. მსჯელობების მეშვეობით აღნერილი სამყარო უკვე წარმოდგენილია, როგორც გარკვეული წესრიგის მქონე მთლიანობა, სადაც საგნებსა და მოვლენებს შორის გარკვეული, კანონზომიერი კავშირია დაფიქსირებული. მსჯელობა შედგება სუბიექტისაგან, რომელზეც რაიმე გამოითქმება. ეს არის მსჯელობის საგანი. მსჯელობის მეორე ელემენტია პრედიკატი. იგი გამოხატავს საგნის ნიშანს. მსჯელობის მესამე ელემენტია კავშირი. იგი აკავშირებს მსჯელობის ორივე ელემენტს. ეს არის კოპულა. სქემატურად მსჯელობა ასე გამოიხატება: S K P.

ამრიგად, მსჯელობა არის აზროვნების ფორმა, რომელშიც დასტურდება ან უარიყოფა კავშირი საგანსა და ნიშანს შორის, მიმართება საგანთა შორის, ანდა საგნის არსებობის ფაქტი. მსჯელობა არის მარტივი თხრობითი წინადადება, რომელშიც დასტურდება ან უარიყოფა საგნობრივი ვითარება. თუ მსჯელობაში გამოთქმული აზრი ასახავს, გამოხატავს რეალობას – მსჯელობა ჭეშმარიტია, ხოლო თუ არ გამოხატავს რეალობას, მაშინ მსჯელობა მცდარია. წინადადების გრამატიკული ანალიზი განსხვავდება მსჯელობის ლოგიკური ანალიზისაგან.

### **მარტივი მსჯელობის სახეები**

არსებობს მარტივი და რთული მსჯელობა. მსჯელობა შეიძლება იყოს: განსაზღვრებითი (ატრიბუტული), მიმართებითი და ექსისტენციალური.

განსაზღვრებით მსჯელობაში გამოითქმება კავშირი საგანსა და ნიშანს შორის, ეს კავშირი მათ შორის ან დასტურდება ან უარიყოფა. მაგალითად, „არცერთ მოსამართლეს (S) არ აქვს უფლება უარი თქვას გადაწყვეტილების

მიღებაზე “ (P). „საქართველო (S) არის სუვერენული სახელმწიფო (P).

მიმართებითი მსჯელობები გამოხატავენ მიმართებას საგნებს შორის. მაგალითად, „პეტრე არის ივანეს მამა“. სქემატურად იგი ასე გამოიხატება – x R y.

არსებობის მსჯელობა გამოხატავს მსჯელობის საგნის არსებობის ან არარსებობის ფაქტს. მაგალითად, „ბუნებაში აღარ არსებობს ცხოველთა მრავალი სახეობა“.

მსჯელობები შეიძლება გაიყოს თვისობრიობის და რაოდენობის მიხედვით. თვისობრიობის მიხედვით განარჩევენ დადებით და უარყოფით მსჯელობებს. დადებითია მსჯელობა, რომელშიც საგანს მიენერება რაიმე ნიშანი. უარყოფითია მსჯელობა, რომელშიც საგანს არ მიენერება რაიმე ნიშანი. მაგალითად, „პეტრე არ არის მაღალი“ და „ელენე არის ლამაზი“.

რაოდენობის მიხედვით არსებობს: ერთეული, კერძო და ზოგადი მსჯელობები. ნინადადებების რაოდენობრივ მახასიათებლებს კვანტორები ეწოდება. ზოგადობის კვანტორი გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: ყველა, თითოეული, ნებისმიერი, ყოველთვის. არსებობის კვანტორი გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: ზოგიერთი, ზოგჯერ, არსებობს.

ერთეულ მსჯელობაში რაიმე დასტურდება ან უარიყოფა ერთი საგნის შესახებ. მაგალითად, „სოკრატე არის ფილოსოფოსი“ და „სოკრატე არ არის ტირანი“.

კერძო მსჯელობაში რაიმე დასტურდება ან უარიყოფა რომელიმე კლასის საგანთა ნაწილის შესახებ. ასეთი მსჯელობის შემადგენლობაში შედის შემდეგი სიტყვები: რამდენიმე, ზოგიერთი, ნაწილი, უმცირესობა. მაგალითად, „ზოგიერთი სტუდენტი ფრიადოსანია“, „ბევრმა ადამიანმა არ იცის ცურვა“.

ზოგად მსჯელობაში რაიმე დასტურდება ან უარიყოფა რომელიმე კლასის ყველა საგნის შესახებ. მაგალითად, „ყველა სტუდენტი სწავლობს ფილოსოფიას“. ასეთი მსჯელობები იწარმოება შემდეგი სიტყვების დახმარებით: ყველა, არცერთი, თითოეული.

ერთეული მსჯელობის ფორმით გამოითქმება ცოდნა ერთეული საგნის შესახებ, ხოლო ზოგადი მსჯელობის ფორმით გამოითქმება ცოდნა გარკვეული კლასის ყველა საგნის შესახებ. ასეთ ცოდნას ახასიათებს სისრულე და საყოველთაობა. ეს მსჯელობები გამოხატავენ კანონებს, სამართლებრივ ნორმებს. ზოგადი მსჯელობების შექმნას წინ უძლვის დიდი შემეცნებითი მუშაობა.

### არაკლასიკური ლოგიკა

არაკლასიკური ლოგიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მოდალური ლოგიკა. მეცნიერების, ტექნიკის განვითარებამ და ადამიანის ცხოვრების ფორმების გართულებამ აუცილებელი გახადა ლოგიკის ახალი ფორმების აღმოცენება. XIX საუკუნის ბოლოს ლოგიკაში დიდი ცვ-

ლილებები მოხდა. ჩამოყალიბდა „კლასიკური ლოგიკა“. მას საფუძველი ჩაუყარეს გ. ფრეგემ, ჩ. პირსმა, ბ. რასელმა და ა. უაიტჰედმა. კლასიკური ლოგიკა არაკლასიკური ლოგიკებისაგან განსხვავებით მოითხოვს საგნობრივი სფეროს (ინტერპრეტაციის სივრცე) სიმრავლე არ უნდა იყოს ცარიელი. XX საუკუნის 50-იან წლებში კლასიკური ლოგიკა კრიტიკის ქვეშ მოექცა და ნარმოიშვა „არაკლასიკური ლოგიკა“. ამ ლოგიკის მთავარი განსხვავება კლასიკური ლოგიკისა იმაში მდგომარეობს, რომ გამოირჩევა მიმდინარეობათა მრავალფეროვნებით და ერთი, გამაერთიანებელი თეორიის არ არსებობით. არაკლასიკური ლოგიკის მიმდინარეობებია: მრავალნიშნა ლოგიკა, ინტუიციური ლოგიკა, რელევანტური ლოგიკა, მოდალური ლოგიკის ახალი სახეები. ადამიანისათვის ცხადი გახდა, რომ ფორმალური ლოგიკით შეუძლებელია ადამიანის აზროვნების და საქმიანობის მრავალფეროვნების მოცვა. აზროვნების პროცესში მონაწილეობენ ინტუიცია, ემოცია, ხატოვანი ნარმოდგენა და სხვა. ამ შემთხვევაში ისევ დაისმის ლოგიკური შეკითხვა: როგორ გამომდინარეობს ერთი დებულებიდან მეორე დებულება. ფორმალური ლოგიკისაგან განსხვავებით, რომელიც დაკავებული იყო მხოლოდ მსჯელობის ფორმით, ახალი ლოგიკური თეორიები აღიარებენ აზროვნების პროცესში სხვა ფაქტორების გავლენას. მათი აზრით, აზროვნების პროცესი და სამყარო იმდენად რთულია, რომ მისი შემცნება და აღწერა მხოლოდ ფორმალური ლოგიკით შეუძლებელია.

**მოდალური მსჯელობა.** მოდალურობა არის სემანტიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას მის მიერ გამოთქმული მსჯელობის შინაარსის მიმართ. მოდალურობა ბუნებრივი ენის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა. მოდალური მსჯელობა, როგორც აზროვნების ფორმა, შეიცავს ორგვარ ინფორმაციას – ძირითადს და დამატებითს. ძირითადი ინფორმაცია მოცემულია სუბიექტისა და პრედიკატის კავშირით. დამატებითი ინფორმაცია იძლევა მსჯელობის სტატუსის ლოგიკურ ან ფაქტორივ დახასიათებას. მოდალურობა არის ცხადად ან ფარულად გამოხატული დამატებითი ინფორმაცია მსჯელობის ლოგიკური ან ფაქტორივი სტატუსი და სხვა მახასიათებლების შესახებ. ასეთ ინფორმაციას მსჯელობის მოდალობა ეწოდება. განსხვავებულია მოდალური მსჯელობების ჭეშმარიტების პირობები. მოდალური არის ისეთი მსჯელობა, სადაც თხრობითი წინადადების სახით გამოთქმულ მსჯელობას თან ერთვის ისეთი ფრაზები, რომლებიც გამოხატავენ დამოკიდებულებას მსჯელობის ძირითადი წანილის შინაარსის მიმართ.

– ამ საწინადადებო მაკავშირებლებს მოდალობა ეწოდება. მოდალობის სახეობები როგორიცაა:

- ალეთიკური მოდალობა;
- აუცილებელია;
- შესაძლებელია;

- შემთხვევითია.

ამ მოდალობების მიხედვით ხასიათდება და გამოითქმება გამომთქმელის დამოკიდებულება მის მიერ გამოთქმულ დებულების ჭეშმარიტების მიმართ.

#### **დეონტიკური(დეონტოს-სავალდებულო) მოდალობებია:**

- სავალდებულოა;
- ნებადართულია;
- აკრძალულია.

მსგავს მსჯელობაში გამოითქმება გამომთქმელის დამოკიდებულება საქციელის ხასიათის მიმართ ღირებულებათა და ნორმათა გარკვეული სისტემიდან გამომდინარე. დასაბუთება: დასკვნის გამოტანის ხელოვნება.

#### **აქსიოლოგიური (ბერძ. აქსიოს – შეფასება) მოდალობებია:**

- კარგია;
- ცუდია;
- ნეიტრალურია.

#### **ეპისტემიკური (ბერძ. ეპისტემე – ცოდნა) მოდალობებია:**

- ცოდნა;
- ვარაუდი;
- არცოდნა.

ეს მოდალობა განსაზღვრავს, თუ რის საფუძველზე იყო მიღებული დებულება: ცოდნის თუ რწმენის საფუძველზე. რწმენა ეს არის სხვათა როგორც ჭეშმარიტი, ასევე მცდარი დებულებების მიღება დასაბუთების გარეშე. ცოდნა ეს არის როგორც ჭეშმარიტი, ასევე მცდარი დებულებების მიღება დასაბუთების საფუძველზე, რომლისაგანაც ეს დებულება გამომდინარეობს.

#### **დროითი მოდალობებია:**

- წარსული;
- აწმყო;
- მომავალი.

#### **სივრცითი მოდალობებია:**

- იქ;
- აქ;
- არსად.

**ალეთიკური მოდალობა.** (ბერძ. ალეთეა – ჭეშმარიტება) ალეთიკური მოდალური მსჯელობა ეწოდება შემდეგი საწინადადებო მაკავშირებლებით შექმნილ მსჯელობებს, როგორიცაა:

- „აუცილებელია, რომ“,
- „შესაძლებელია, რომ“,
- „შეუძლებელია, რომ“
- „შემთხვევითია, რომ“.

ამგვარ მსჯელობებში გადმოცემულია არა უბრალოდ ფაქტობრივი ვითარება, არამედ მათში მოცემულია ამ წინადადებაში შემავალი წინადადების ჭეშმარიტებისა თუ მცდარობის კვალიფიკაცია. ასეთ მსჯელობაში არა უბრალოდ მტკიცდება რაიმე რეალობის შესახებ, არამედ მასში მტკიცდება საგნობრივი ვითარების განხორციელების ან არ განხორციელების აუცილებლობა, შემთხვევითობა თუ შესაძლებლობა, ანუ რამდენად აუცილებელი, შესაძლებელი თუ შემთხვევითია დებულებაში გამოთქმული ჭეშმარიტება. ეს წინადადება აუცილებლობით ან შემთხვევით არის ჭეშმარიტი. იმის მიხედვით, ლოგიკურად თუ ფაქტობრივად არის დეტერმინირებული მსჯელობა, განასხვავებენ ლოგიკურ და ფაქტობრივ მოდალობას.

ლოგიკურად ალეთიკური მსჯელობა არის ლოგიკურად დეტერმინირებული მსჯელობა, როდესაც მსჯელობის ჭეშმარიტება ან მცდარობა განისაზღვრება მსჯელობის ფორმით ან სტრუქტურით. ლოგიკურად ჭეშმარიტი მსჯელობა არის ის, რომელიც გამოხატავს ლოგიკის კანონებს. ხოლო ლოგიკურად მცდარია მსჯელობა, რომელიც შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. ფაქტობრივი მოდალურობა დაკავშირებულია მსჯელობის ობიექტურ ან ფიზიკურ დეტერმინირებულობასთან. ამ დროს მსჯელობის ჭეშმარიტება ან მცდარობა განისაზღვრება რეალური სინამდვილის ფაქტობრივი მდგომარეობით. მაგალითად, „ტრაფალგარის მოედანი მდებარეობს ლონდონში“ არის ფაქტობრივად ჭეშმარიტი. ფაქტობრივად მცდარია მსჯელობა, რომელშიც კავშირი ტერმინებს შორის არ შეესაბამება სინამდვილეს. რამდენად აუცილებელი ან შემთხვევითია ასეთი ფაქტობრივად ჭეშმარიტი მსჯელობები? ფაქტობრივად აუცილებელია ისეთი მსჯელობის ჭეშმარიტება, რომელიც გამოხატავს ბუნების კანონს. მაგალითად, „ჟანგბადის არსებობა აუცილებელია სიცოცხლისათვის“. მაგრამ ფაქტობრივად მცდარია მსჯელობა – „წყალი არ დუღს 100 გრადუსს ცელსიუსზე, ნორმალურ პირობებში“. ფაქტობრივად მცდარია მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ინფორმაციას ბუნების კანონების შესახებ და მათი ჭეშმარიტება ან მცდარობა განისაზღვრება კონკრეტული ემპირიული ვითარებით. მაგალითად, „გოეთე დაიბადა 1749 წლის 28 აგვისტოს“. ეს ჭეშმარიტება ფაქტობრივად შემთხვევითია, რადგან იგი შეიძლება დაბადებულიყო ერთი ან ორი დღის ადრე ან გვიან. შემთხვევით ჭეშმარიტია ყველა მსჯელობა, რომელიც აუცილებლობით არ არის ჭეშმარიტი. მსჯელობის ჭეშმარიტება ფაქტობრივად შესაძლებელია, თუკი იგი იძლევა ინფორმაციას ორ პრინციპულად შეთავსებად მოვლენას შესახებ. მაგალითად, „თბილისის „დინამომ“ შეიძლება მოუგოს „ბარსელონას“. ეს მსჯელობა არ გამორიცხავს საპირისპირო შედეგს. იგი სიმბოლურად ასე გამოიხატება: შეიძლება იყოს (ან შეიძლება არ იყოს). ფაქტობრივად შეუძლებელია ისეთი მსჯელობის ჭეშმარიტება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ორ პრინციპულად შეუთავსებად მოვლენას შესახებ.

დეონტიკური მოდალობა. დეონტიკური მოდალური მსჯელობა არის

რჩევის, სურვილის ან ბრძანების სახით გამოთქმული მოწოდება ადამიანისადმი კონკრეტული მოქმედების ჩადენისკენ. მაგალითად, „ყოველი ადამიანი ვალდებულია დაიცვას კანონები“. „აკრძალულია ქუჩის გადაკვეთა წითელ შუქზე“. დეონტიკურ გამოთქმებს მოეკუთვნება სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმები. ეს არის ოფიციალურად ხელისუფლების მიერ ან საზოგადოებაში ისტორიის განმავლობაში შემუშავებული ქცევის წესები, რომებიც ანესრიგებენ ზნეობრივ და სამართლებრივ ურთიერთობებს საზოგადოებაში და მათი შეუსრულებლობა სანქციას ან გაკიცხვას იმსახურებს. ასეთ მსჯელობებს ნორმატული მსჯელობები ეწოდება. მათში ცხადდება საგნობრივი ვითარების ან ქმედების განხორციელების სავალდებულობა, ნებადართულობა თუ აკრძალვა. ეს მსჯელობები ემყარება ჯერარსს, ჯერარსისეულ მოთხოვნებს და მისგან გამომდინარე ხდება ფაქტობრივი ვითარების შეფასება და მისი განხორციელების სასურველობა თუ არასასურველობა. დეონტიკური მოდალობის მსჯელობა მიიღება მტკიცებით მსჯელობისათვის შესაბამისი საწინადადებო მაკავშირებლების დამატებით: „სავალდებულოა, რომ“, „ნებადართულია, რომ“, „აკრძალულია, რომ“. დეონტიკური მსჯელობა ანესრიგებს უფლებისა და მოვალეობების მიმართებას. დეონტიკური ოპერატორებია:

ვალდებულია-○

აკრძალულია – F

ნებადართულია – P

რეგულირებული მოქმედება – d

დეონტიკური მიმართების სუბიექტები – x, y, z სიმბოლურად დამავალდებული დეონტიკური მსჯელობა ასე გამოიხატება – ○ (დ), რომელიც ასე შეიძლება იქნეს წაკითხული – „მოქმედება d-ს შესრულება სავალდებულოა“. სიმბოლურად ამკრძალავი დეონტიკური მსჯელობა ასე გამოიხატება – F (d), რომელიც შეიძლება იქნეს წაკითხული, როგორც – „მოქმედება d-ს შესრულება აკრძალულია“. სიმბოლურად ნების დამრთველი დეონტიკური მსჯელობა ასე გამოიხატება – (d), რომელიც ასე შეიძლება იქნეს წაკითხული – „მოქმედება დ-ს შესრულება ნებადართულია“. ასეთი მსჯელობა ყალიბდება შემდეგი ფრაზებით: „ნებადართულია“, „აქვს უფლება“, „შეუძლია განახორციელოს“. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს დეონტიკური მსჯელობა სამართლებრივ-ნორმატიული სისტემების შექმნაში. ასეთი სისტემები უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ დეონტიკურ მოთხოვნებს, როგორიცაა: არაწინააღმდეგობრიობა, დაბალანსება, სისრულე.

ცოდნისა და რწმენის ლოგიკა მოდალური ლოგიკის ერთერთი სახეობაა, რომელსაც საქმე აქვს გამოთქმებთან ცოდნის და მისი მდგრამარეობის შესახებ. ამ თემის პირველი სისტემატიკური კვლევა დაიწყო კ. ლუისმა 1912 წელს, ხოლო თანამედროვე ფორმა მისცეს ს. კრიპკემ, გ. ვრიგტმა და იაკონ ჰინტიკამ 1960-იან წლებში. ეპისტემიკური ლოგიკა

დაკავებულია ისეთი წინადადებების ლოგიკური ანალიზით და მათი ჭეშ-მარიტების პირობებით, რომლებშიც გამოყენებულია მოდალური სიტყვა: ვიცი, მჯერა, მნამს, ვვარაუდობ, ვეჭვობ. მაგალითად, „ბრუნოს სჯეროდა, რომ დედამინა ბრუნავს მზის გარშემო“, ხოლო „გაღილეიმ იცოდა, რომ დედამინა ბრუნავს მზის გარეშემო“. ასეთი წინადადებები გამოხატავენ მიმართებას გამომთქმელსა და გამოთქმულ აზრს შორის. მათ ეწოდება ეპისტემიკური განწყობა. ეპისტემიკური ლოგიკის საგანია ცოდნისადმი განწყობის გამოთქმის ლოგიკური ანალიზი. მისგან განსხვავდება დოქსა-სიური ლოგიკა (ბერძ. დოქსა – შეხედულება), რომელიც დაკავებულია შეხედულების, რწმენის განწყობის გამოთქმის ლოგიკური ანალიზით. დას-აბუთება: დასკვნის გამოტანის ხელოვნება შემეცნებით განწყობას (პოზი-ციას) აქვს ასეთი სახე: „მე ვიცი, რომ A“ (სიმბოლურად – ), „ხოლო მე მჯერა, რომ“ (სიმბოლურად – B).

გ. ვრიგტიმა და ი. ჰინტიკამ შემეცნებითი განწყობა (პოზიცია) განიხ-ილეს როგორც მოდალობა. ეპისტემიკური მოდალურობისადმი ორი მიდ-გომა არსებობს. ერთი თვლის, რომ ეპისტემიკური მოდალობების ანალ-იზისათვის აუცილებლად უნდა მოხდეს განყენება ემპირიული აგენტის რეალური შეზღუდულობისაგან – სრულად წარმოიდგინოს დედუქციური კავშირები დებულებებს შორის და იგი განვიხილოთ როგორც იდეალური პირი, რომელიც მოკლებულია ყველა ინდივიდუალურ თვისებებს (ე.წ. შემ-მეცნებელი სუბიექტი).

ი. ჰინტიკა, თავის წიგნში „ცოდნა და შეხედულება“ (1962), ცოდნას გა-ნიხილავს როგორც გაცნობიერებულ ცოდნას. ამიტომ მოითხოვდა ცოდ-ნის მოდალობების განხილვას, რაშიც გამოიხატება ადამიანის მიერ სა-კუთარი ცოდნის გაცნობიერების ხასიათი და დონე. ი. ჰინტიკა მიიჩნევს, რომ მათემატიკური და ლოგიკური ჭეშმარიტებები შეიცავენ ინფორმაციას რეალური სამყაროს შესახებ. იგი არის ცოდნისადმი ინსტრუმენტალური მიდგომის მკაცრი კრიტიკოსი. მან შეიმუშავა მოდალური სიმრავლეების მეთოდი და დისტრიბუციული ნორმალური ფორმების მეთოდი, რაც არის ეფექტური საშუალება ლოგიკური სისტემების სისრულის დასაბუთებისათ-ვის. მან შეიმუშავა ლოგიკის თეორიული-თამაშისეული ინტერპრეტაცია მეთოდი. იგი გულისხმობდა ლოგიკური კვანტორების ახალ გაგებას, რაც ეფუძნებოდა სუბიექტისა და რეალობის ურთიერთქმედების ცნებას. მან შეიმუშავა შესაძლო სამყაროების სემანტიკა არაკლასიკური ლოგიკისათ-ვის, ეპისტემიკური და შეკითხვის ლოგიკისათვის.

**შესაძლო სამყაროთა ლოგიკა** ეპისტემიკური მოდალობის კვლევის ერთერთი წარმატებული მეთოდია შესაძლო სამყაროების სემანტიკა. სტანდარტულ შესაძლო სამყაროში ყველი ატომარული (მსჯელობა, რო-მელიც არ შეიცავს ლოგიკურ ოპერატორებს) მტკიცება ან ჭეშმარიტია ან მცდარი და არ შეიძლება ერთდროულად იყოს ჭეშმარიტი და მცდარი. ეს თავისებურება ადვილად ვრცელდება ყველა მტკიცებულებაზე, რომელიც

არ შეიცავს ეპისტემიკურ მოდალობებს. მაგრამ მტკიცებულება KaA (BaA) (მე ვიცი, რომ ) და მე მნამს, რომ ) ჭეშმარიტია სამყაროში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ჭეშმარიტია ყველა სამყაროში. ეპისტემიკური მსჯელობის ჭეშმარიტება დამოკიდებულია შესაძლო სამყაროების არა ცარიელ სიმრავლეზე. ეს ნიშნავს, რომ იგი ჭეშმარიტი უნდა იყოს შესაძლო სამყაროებში. ეს გულისხმობს, რომ მოდალური ოპერატორი მიუთითებს, რომ ეს დებულება პრინციპულად დასაბუთებადია ანდა პოტენციურად შემეცნებადია. ამ მიდგომის ნაკლი იმაშია, რომ იგი მსჯელობის გამომთქმელს (ეპისტემიკური განწყობის პირს) ნარმოიდგენს, როგორც ყველა შესაძლო ცოდნის მფლობელს, როგორც უნივერსალურ გონებას. მაგრამ რეალური პირი შეზღუდული ცოდნის ჰორიზონტის მფლობელია, ამიტომ მის მიერ გამოყენებული ეპისტემიკური მოდალობები ფარდობითია. ახალი სემანტიკა აიგება შესაძლო სამყაროების ცნებაზე, რაც გულისხმობს აღნერილი მდგომარეობების სიმრავლეს. „შესაძლო სამყარო“ არის საქმის ვითარება, რომელიც აღნერილია ენის მეშვეობით. ეს ნიშნავს, რომ „შესაძლო სამყარო“ არის ენის მიერ აგებული სამყარო, ენობრივი სამყარო. გამოთქმა „A შესაძლებელია“ სემანტიკურად ნიშნავს, რომ A ჭეშმარიტია თუნდაც ერთ-ერთ აღნერილ მდგომარეობაში (შესაძლო სამყაროში), ხოლო გამოთქმა „A აუცილებელია“ სემანტიკურად ნიშნავს, რომ A ჭეშმარიტია ყველა აღნერილ მდგომარეობაში (შესაძლო სამყაროში). შემდეგ ს. კრიპკემ უარი თქვა ვალდებულებაზე შესაძლო სამყარო ნარმოიდგინოს აღნერილი მდგომარეობის სახით, რომელიც დამოკიდებულია ენის ლოგიკურ სტრუქტურაზე. მისი აზრით, „შესაძლო სამყარო“ არის არაცარიელი სიმრავლის (შესაძლო სამყაროს) ელემენტია. ამასთან დაშვებულია ასეთი სიმრავლის იზოლირებული ელემენტების არსებობა.

ს. კრიპკემ შემოიტანა მისაწვდომობის მიმართება. თუ BB ორი სამყაროა, მაშინ ეს სამყაროები დაკავშირებული უნდა იყოს და ერთი სამყაროდან მეორე სამყაროს წვდომა შეიძლებოდეს. სხვა შემთხვევაში მათი არსებობა შეუძლებელია. სამყაროების მიმართება რეფლექსური და დასაბუთება: დასკვნის გამოტანის ხელოვნება 120 ტრანზიტულია. ასევე არსებობს შესაძლო სამყაროების სიმეტრიულობა, რაც გულისხმობს, რომ ყოველი შესაძლო სამყაროდან მისაწვდომია ნებისმიერი სამყარო. ეს შესაძლო სამყაროთა შორის განსაკუთრებული მიმართების აუცილებლობას უარყოფს. სემანტიკა თეორიულად მრავალია. თითოეული „შესაძლო სამყარო“ არის რამე სხვა სიმრავლის შინაგან სტრუქტურას მოკლებული ელემენტი. სამყაროს ამ ელემენტს აქვს კიდევ ერთი სიმრავლე – ესაა ამ სამყაროში არსებული ინდივიდების სიმრავლე, რომელიც მისაწვდომია ამ სამყაროში.

## § 4. დასკვნის თეორიის ელემენტები

ხშირად ადამიანები არგუმენტების, საბუთების ნაცვლად გვთავაზობენ ახსნა-განმარტებას და მას წარმოადგენენ როგორც მსჯელობას. მაგალითად, როდესაც გეუბნებიან, რომ „დავითი ბრაზობს გიორგიზე, რადგან მან დაუმტვრია მანქანა“ – ეს უფრო საქმის ვითარების ახსნაა, ვიდრე არგუმენტი. თქვენ აგიხსნეს, თუ რატომ არის დავითი გაბრაზებული. მაგრამ თქვენი მეგობარი არც კი ცდილობს დაგარწმუნოს, რომ ეს არის არგუმენტი, რომლის გამოც იგი ასევე გაბრაზებული იქნებოდა. მისი არგუმენტი ასე უნდა ჟღერდეს: „დავითი სავსებით მართალია, რომ გაბრაზებულია გიორგიზე, რადგან მან დაუმტვრია მანქანა.“ ამ შემთხვევაში „რადგან“ მიუთითებს, რომ ეს არის დასკვნა.

ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას. თუ ავტორი ვარაუდობს, რომ დანასკვი არის ჭეშმარიტი, მაგრამ ავტორი ცდილობს გააუმჯობესოს დანასკვი, მაშინ მას მოჰყავს არგუმენტი. ამიტომ უნდა დავაკვირდეთ, როდესაც ვინმე წარმოგვიდგენს რაიმეს, როგორც არგუმენტს, სინამდვილეში იგი შეიძლება იყოს მხოლოდ ახსნა-განმარტება, სადაც აღწერილია ერთეული შემთხვევა. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ არა დანასკვზე, არამედ შედეგზე. ავტორი გულისხმობს, რომ ის, რასაც იგი ამბობს, ჭეშმარიტია და ან უბრალოდ აფიქსირებს ამას, ან ზოგ შემთხვევაში ცდილობს ახსნას, თუ რატომ. თუმცა ახსნა-განმარტებას შეიძლება ჰქონდეს არგუმენტის, საბუთის ფუნქციაც.

**დასკვნა როგორც აზროვნების ფორმა.** ლოგიკის მიზანია მსჯელობათა შორის გამომდინარეობის სისწორის პირობებისა და შედეგების გარკვევა. მსჯელობათა კავშირი ქმნის დასკვნას. დასკვნა, როგორც აზროვნების ფორმა, არის გარკვეული წესით აგებული მსჯელობათა კავშირი. დასკვნას აქვს ორი წარმატებული მსჯელობა, საიდანაც ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს მესამე მსჯელობა – ეს არის დანასკვი. დასკვნით სრულდება შემეცნების ხანგრძლივი პროცესი. დასკვნა არის ახალი ცოდნის მიღების წესი. წანამდლვრებსა და დანასკვს შორის ლოგიკური გამომდინარეობის მიმართება გულისხმობს მათ შორის შინაარსობრივი კავშირის არსებობას. თუ წანამდლვრებს შორის არ არის შინაარსობრივი კავშირი, მაშინ დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მსჯელობის შედეგად შეიძლება მივიღოთ ახალი ცოდნა, თუკი:

- წანამდლვრებს შორის არის შინაარსობრივი კავშირი,
- წანამდლვრები არის ჭეშმარიტი დებულებები,
- მსჯელობის პროცესში დაცულია ლოგიკური გამომდინარეობის წესები.

სიმკაცრის მიხედვით განასხვავებენ დემონსტრაციულ (აუცილებელ) და არადემონსტრაციულ (მართლზომიერ) დასკვნებს. დემონსტრაციული დასკვნის სახეს ახასიათებს ის, რომ დანასკვი აუცილებლობით გამომ-

**დინარეობს** წანამძღვრებიდან, რადგან აქ ლოგიკური გამომდინარეობა წარმოადგენს ლოგიკურ კანონს. არადემონსტრაციულ დასკვნაში გამომდინარეობა წესი უზრუნველყოფს მხოლოდ წანამძღვრებიდან დანასკვის ალბათურ გამომდინარეობას. ლოგიკური გამომდინარეობის მიმართულების მიხედვით განასხვავებენ სამი სახის გამომდინარეობას:

**დედუქციურ დასკვნა** (ზოგადი ცოდნიდან – კერძოსაკენ), ზოგადი ხასიათის მსჯელობიდან ვაკეთებთ დასკვნას ერთეული მოვლენის შესახებ. ასეთ გამომდინარეობას ეწოდება დედუქცია.

**ინდუქციურ დასკვნა** (კერძო ცოდნიდან – ზოგადისაკენ), ერთეული ხასიათის მსჯელობიდან ვაკეთებთ დასკვნას, ზოგადად მოვლენათა მთელი კლასის, ანუ მრავალი საგნის შესახებ. ასეთ გამომდინარეობას ეწოდება ინდუქცია.

**დასკვნა ანალოგით** (კერძო ცოდნიდან – კერძოსაკენ). ერთეული ხასიათის მსჯელობიდან ვაკეთებთ დასკვნას მეორე მოვლენაზე მათი მსგავსების საფუძველზე.

ტრადიციული ლოგიკის მტკიცებით, ყოველგვარი სჯა ან მარტივი და უშუალო, ან სილოგისტურია. ის გულისხმობს, რომ ნებისმიერი დასკვნა, რომელიც სილოგიზმზე რთულად გამოიყურება, შეიძლება დავიყვანოთ სილოგიზმზე ან სილოგიზმების ჯაჭვზე.

ბერძნული სიტყვა „სილოგიზმი“ (ძვ. ბერძ. συλλογισμός) ნიშნავს გამართულ არგუმენტს. მაგრამ მან უკვე დიდი ხანია შეიძინა განსხვავებული მნიშვნელობა. ლოგიკოსებისათვის ამ სიტყვის მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ბერძნული სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობაზე უფრო ვიწროა, ხოლო მეორე მხრივ, უფრო ფართო. ის უფრო ვიწროა, რამდენადაც სილოგიზმები უმთავრესად ესმით, როგორც მხოლოდ დასკვნები ან არგუმენტები, რომლებიც გარკვეულ ზოგად ფორმას პასუხობენ. ეს ფორმაა: ორი წანამძღვარი და დანასკვი. ის უფრო ფართოა, რამდენადაც სილოგიზმებად თვლიან არა მხოლოდ ზემოაღნიშნული ფორმის გამართულ არგუმენტებს. სილოგიზმის ფორმა მარტივი ჩანს, სინამდვილეში კი ის უშვებს მრავალგვარ ვარიაციებს. სილოგიზმი შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს.

ყოველი ადამიანი მოკვდავია.

სოკრატე ადამიანია.

მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია.

ამ შემთხვევაში სილოგიზმი გამართულია, რამდენადაც თუ მისი წანამძღვარები ჭეშმარიტია, მაშინ დანასკვი შეუძლებელია არ იყოს ჭეშმარიტი. ის შესაძლოა ასეც გამოიყურებოდეს.

არც ერთი ყვავი არ არის თეთრი.

ზოგიერთ ყვავს აქვს ალბინიზმის გენები.

მაშასადამე, ზოგიერთი რაიმე ალბინიზმის გენებით არ არის თეთრი

თუ ეს სილოგიზმი გამართულია, წინამძღვრების ჭეშმარიტების შემთხვევაში დანასკვიც ხომ ჭეშმარიტი უნდა იყოს?

ზოგიერთი ცხოველი ირემია.

ზოგიერთი ცხოველი ხორცის მჭამელია.

მაშასადამე, ზოგიერთი ირემი ხორცის მჭამელია.

ცხადია, რომ ეს სილოგიზმი გამართული არ არის. მისი წანამძღვარები ხომ ჭეშმარიტია, დანასკვი კი – მცდარი.

ზოგიერთ დასკვნას მხოლოდ ერთი წანამძღვარი აქვს. მათ უწოდებენ მარტივებს, ანუ უშუალოებს. მოვიყვანოთ მაგალითი: ყველა გედი თეთრია (წანამძღვარი), მაშასადამე, ზოგიერთი თეთრი საგანი გედია (დანასკვი).

სწორი დასკვნის გამოტანა არის დასაბუთება. რაიმე დებულების გა-მართლებას დასაბუთება ეწოდება. დებულება, რომელიც საბუთდება, თეზისს წარმოადგენს, ხოლო დებულებები, რომ ლებითაც თეზისი საბუთ-დება, საფუძვლად – არგუმენტებად იწოდება.

დებულებას (დებულებებს), რომლისგანაც გამომდინარეობს ახალი დებულება, წანამძღვარი (წინადადებები) ეწოდება, დებულება, რომელიც გამომდინარეობს, არის დანასკვი. გამომდინარეობის მთელი ეს პროცესი არის დასკვნა.

შეკითხვის სწორი დასმა. დასაბუთება გულისხმობს არა მარტო არ-გუმენტების მოყვანას, არამედ კითხვების დასმასაც, რომელთა მიზანია საქმის ვითრების გარკვევა. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების აუცილებელი ელემენტია კითხვის სწორი დასმა. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, როგორი კითხვები არსებობს და ვიცოდეთ შესაბამისი კითხვის სწორი დასმა, ასევე უნდა ვიცოდეთ, რას უნდა ველოდოთ დასმული კითხვისგან. სწორი და სწორად დასმული შეკითხვა მნიშვნელოვანია სწორი პასუხის მისაღებად, მართებული დანასკვის გასაკეთებლად. არსებობს შეკითხვის მრავალი ფორმა:

**მარტივი შეკითხვა.** მარტივია ისეთი კითხვა, რომელზეც გვინდა მივი-ღოთ კონკრეტული, დამატებითი, მაგრამ არა გადამწყვეტი მნიშვნელობის ინფორმაცია. მარტივი კითხვის მაგალითია: სად შემიძლია ვიყიდო ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა? მარტივი შეკითხვა ლიად არის დასმული და მასზე პასუხის გაცემა ადვილია.

**რთულია შეკითხვა,** რომელიც მრავალ ასპექტიანია და მოითხოვს გად-ამწყვეტი მნიშვნელობის ინფორმაციას და მასზე პასუხის გაცემა არ არის ადვილი.

**დამაზუსტებელი შეკითხვა** – ეს კითხვა ჩვეულებრივ იწყება შემდე-გნაირად: „ანუ შენ ამბობ, ამტკიცებ, გულისხმობ, რომ ...? თუ მე სწო-რად გავიგე?“ ასეთი შეკითხვების მიზანია ინფორმაციის დაზუსტება, რო-მელიც მიიღეთ თანამოსაუბრისაგან. ზოგჯერ დამაზუსტებელი შეკითხვა დაისმის იმისათვის, რომ მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც გამოტოვებული იყო მსჯელობისას, მაგრამ იგულისხმებოდა. „თუ მე სწო-რად გავიგე, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისრტური წერილები ახლახან შეი-ძინე ამ წიგნის მაღაზიაში?“

**ინტერპრეტაციული შეკითხვა** – ეს არის ე. წ. ამხსნელი შეკითხვის სახეობა. ასეთი შეკითხვა, როგორც წესი, ასე ინყება: „რატომ?“ ეს გვაძლევს შესაძლებლობას ახლებურად შევხედოთ პრობლემას, მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო საკითხზე და მეტიც, გავიგოთ ადამიანთა ქცევის წარმმართველი ჩვენთვის უცნობი მოტივები. „რატომ მერიდება ვითხოვო ილია ჭავჭავაძის წერილები მეგობრისაგან?“ „რატომ უნდა ვიყიდო ან ვითხოვო ილია ჭავჭავაძის წერილები, როცა შემიძლია ინტერნეტში მოვიძიო?“

**შემოქმედებითი შეკითხვა.** ამ ტიპის შეკითხვაში მოცემულია ვარაუდი, პროგნოზი, პირობა. ეს კითხვა შეიძლება დაუსვათ როგორც სხვას, ასევე საკუთარ თავს, როდესაც გჭირდება ახალი იდეა. მაგალითად, „იქნებ ასე სჯობდა?“ „რა მოხდება (რა ვენა) ილია ჭავჭავაძის წერილები რომ ვერ ვიყიდო?“ ვფიქრობ, ილიას ორტომეულის ყიდვა ხომ არ აჯობებდა?“

**შემფასებელი შეკითხვა** – ასეთი შეკითხვა გვეხმარება სწორად შევაფასოთ მოვლენა, ფაქტი და პრობლემა. ასეთი კითხვა გვეხმარება საუკეთესო ალტერნატივების შერჩევაში, რადგან შეფასებულია თითოეული ალტერნატივის ნაკლი და უპირატესობა. მაგალითად, „რით სჯობია ილიას ორტომეული ილიას წერილების კრებულს?“ „რა სჯობია, ვიყიდო თუ ვითხოვო წიგნი?“

**პრაქტიკული შეკითხვა** – ასეთი შეკითხვა ადგენს კავშირს თეორიასა და პრაქტიკას შორის. იგი შესაძლებლობას გვაძლევს ფხიზლად შევაფასოთ ჩვენი გეგმების რეალობა და დავინახოთ მისი განხორციელების გზაზე მდგომი წინააღმდეგობები. მაგალითად, „რას იზამდა იგი ჩემს ადგილზე?“ „ამიხსენი, პრაქტიკულად როგორ უნდა ფუნქციონირებდეს იგი?“

**რიტორიკული შეკითხვა.** რიტორიკულია შეკითხვა, რომელზეც პასუხი წინასწარ ცნობილია მისი თავისთავადი სიცხადის გამო, ანდა ეს არის შეკითხვა, რაზეც პასუხს სცემს თვითონ შემკითხველი. რიტორიკული შეკითხვა არის რაიმეს მტკიცება გამოთქმული შეკითხვის ფორმით.

## § 5. დარწმუნება დასაბუთების გზით

ლოგიკა მართლაც ეხმარება ადამიანს, უკეთ გაუგოს სხვას და უკეთ გააგებინოს სხვას საკუთარი აზრი. მაგრამ ხშირად მსჯელობის ლოგიკური ანალიზი არ არის საკმარისი მეორე ადამიანის შეხედულებების გასაგებად. ადამიანის აზროვნება ბევრად უფრო მდიდარია და ვერ ეტევა მხოლოდ ლოგიკის ჩარჩოებში. ცდილობენ გააფართოონ ლოგიკის გაგება და ხშირად ლაპარაკობენ „გულის ლოგიკაზე“ და „აზროვნების ლოგიკაზე“.

მსჯელობისას ადამიანის მიერ მოყვანილი არგუმენტები შეიცავენ ფარულ, არალოგიკურ ელემენტებს და მათი გაგების და გათვალისწინების გარეშე თანამოსაუბრის აზრი ჩვენთვის გაუგებარი ხდება. მსჯელობის გასაგებად ასევე მნიშვნელოვანია, თუ სად, რა ვითარებაში და როგორ არის

ნათქვამი. ამიტომ კიდევ ერთხელ უნდა გავარკვიოთ მსჯელობის საფუძვლისა და დანასკვის რაობა. ხშირად ცდილობენ დაგვარწმუნონ გარკვეულ მოსაზრებაში და წარმოგვიდგენენ გარკვეულ საფუძველს იმისათვის, რომ დავეთანხმოთ. ამას ეწოდება „დასაბუთება“, ანუ „არგუმენტის წარმოდგენა“. ზოგჯერ ადვილია დაინახო, თუ რა დასაბუთება არის წარმოდგენილი, მაგრამ ზოგჯერ ეს სრულიადაც არაა ადვილი. ასევე, როცა ჩვენ თვითონ წარმოვადგენთ მოსაზრების მაგალითს, ზოგჯერ შეიძლება გასაგები იყოს სხვისთვის, რას ვამბობთ, ზოგჯერ – არა. ამისათვის კი უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები:

- როგორარის შესაძლებელი იმის დადგენა, თუ ჩვენი დარწმუნებისათვის რა სახის დასაბუთებას გვთავაზობენ.

- როგორ გავხადოთ წარმოდგენილი დასაბუთება ჩვენთვის ნათელი?

დასაბუთების პროცესი კომუნიკაციური ქმედებაა. იურგენ ჰაბერმასის მიხედვით, კომუნიკაციური ქმედების საყოველთაო წანამდლვრებია:

მსჯელობის სიცხადე, რათა შესაძლო გახდეს მისი გაგება, ხომ არ არის გაუგებარი. არის თუ არა საკმარისად ინტერსუბიექტური.

მსჯელობის ჭეშმარიტება, გამოხატავს თუ არა საქმის ვითარებას, ხომ არ არის ყალბი. არის თუ არა საკმარისი ობიექტური.

მსჯელობის სისწორე, რათა შესაძლო გახდეს მისი გაზიარება, მიღება, დათანხმება. არის თუ არა მსჯელობა მიღებული ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისი.

მსჯელობის გულწრფელობა, რათა შესაძლო გახდეს მისდამი ნდობა. ამ წანამდლვარებიდან თუ რომელიმე დარღვეულია, მაშინ საქმე გვაქვს გამრუდებულ კომუნიკაციასთან და შეუძლებელი იქნება ურთიერთგაგება, კონსენსუსი, ნაყოფიერი დიალოგი.

ამ შემთხვევაში, ცხადია, გვჭირდება ანალიტიკური აზროვნების ძირითადი უნარების: დასაბუთების, არგუმენტირების თუ დისკუსიის გამოყენება მოცემული რეალური სიტუაციის შესაფასებლად. არ უნდა გქონდეთ იმედი, რომ სწორად შეაფასებთ შემთხვევას, რომელიც წარმოდგენილია რაიმე მოსაზრების ან გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, ვიდრე თავად არ იქნებით ნათლად გარკვეული, თუ რას წარმოადგენს ეს შემთხვევა.

ჩვენ ვცდილობთ ვინმე დავარწმუნოთ ჩვენი თვალსაზრისის სისწორეში, ვყვებით რაიმე მოვლენის შესახებ, აღვწერთ საგნებს, ვყვებით ამბავს, ვხუმრობთ, ვპირდებით ვინმეს რაიმეს და ასე შემდეგ. ხშირად, ჩვენ გვიჭირს გავიგოთ მოსაუბრის ლაპარაკიდან, თუ რა არის არგუმენტი და რა დანასკვი. ამიტომ ყოველთვის არ არის ადვილი თქვა, მოცემულია თუ არა დასაბუთება. მაგრამ ზოგადად, ჩვენი ენასთან სიახლოვე, რომელიც გამოყენებულია მრავალ განსხვავებულ კონტექსტში, გვაძლევს შესაძლებლობას ვთქვათ, თუ რა ხდება. მოდით, დავიწყოთ ჩვენი ინტუიციის გამოყენებით, რათა მოყვანილ მაგალითებში ვთქვათ, თუ რომელი მათგანი

შეიცავს დასაბუთებას და რომელი არა.

### კამათის წესები

ახლა უნდა განვიხილოთ პრაქტიკულად როგორ უნდა იყოს ორგანიზებული ღია თეორიული დისკუსია. მისი ცოდნა მნიშვნელოვანია დასაბუთების, დისკუსიის და არგუმენტაციის უნარების ჩამოყალიბებისათვის. მსჯელობის დამტკიცება არის დასაბუთების ლოგიკური ოპერაცია სხვა ჭეშმარიტი დებულებების მეშვეობით, რომლებიც მასთან ლოგიკურ კავშირშია. დამტკიცება არგუმენტაციის პროცესის ერთი სახეა, რომელიც ადგენს დასასაბუთებელი მსჯელობის ჭეშმარიტებას სხვა ჭეშმარიტი დებულებების საფუძველზე.

დასაბუთების სტრუქტურა. მეცნიერების განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია მეცნიერული დისკუსია. დისკუსიის ლოგიკური საფუძველია დასაბუთების პროცესის სწორი წარმართვა. რაც გულისხმობს შესაბამისი არგუმენტების მოყვანას და აუდიტორიაზე ეფექტურ ზემოქმედებას.

**დისკუსიის სუბიექტებია:** პროპონენტი, ოპონენტი და აუდიტორია. პროპონენტი არის დისკუსიის პროცესის წამყვანი ფიგურა. იგი წამოყენებს თეზისს და ახდენს მის დასაბუთებას. ოპონენტი არის დისკუსიის მეორე მონაწილე. იგი არ ეთანხმება პროპონენტის მიერ წამოყენებულ თეზისს. იგი შეიძლება უშუალოდ ესწრებოდეს დისკუსიას. არსებობს ე. წ. ფარული ოპონენტი. ასევე პროპონენტს შეუძლია გამოიყენოს წარმოსახვითი ოპონენტი და შემოიყვანოს დისკუსიაში სიტყვებით: „ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ პოზიციას არ ეთანხმება“.

ოპონენტის დაპირისპირება შეიძლება განსხვავებული ხარისხის იყოს. ესაა: სკეპტიციზმი – როდესაც ოპონენტი არ ეთანხმება გამოთქმულ თეზისს.

**დესტრუქციული უთანხმოება** – როდესაც ოპონენტი ახორციელებს პროპონენტის პოზიციის კრიტიკულ ანალიზს. დაპირისპირების ასეთ ფორმას ეწოდება დესტრუქციული კრიტიკა, ანუ ნეგატიური ოპოზიცია.

კონსტრუქციული უთანხმოება – როდესაც ოპონენტი წამოაყენებს საკუთარი თეზისს და ახდენს მის დასაბუთებას. ეს არის კონსტრუქციული კრიტიკა, ანუ კონსტრუქციული ოპოზიცია.

**აუდიტორია** – აუდიტორია არის დისკუსიის პროცესის მესამე, კოლექტიური სუბიექტი. აუდიტორია არ არის პასიური მასა, არამედ მას აქვს საკუთარი პოზიცია, თვალსაზრისი და არის დისკუსიის აქტიური ელემენტი. მით უფრო, რომ დისკუსიის მონაწილეების ძირითადი მიზანია სწორად აუდიტორის მხარდაჭერის მოპოვება. მასში მონაწილე სუბიექტების რაოდენობის მიხედვით არსებობს ორმხრივი და მრავალმხრივი დისკუსია.

**დასაბუთების სტრუქტურა.** დასაბუთება შედგება თეზისის, არგუმენტებისა და არგუმენტების დემონსტრაციის პროცესისაგან. პროპონენტის მიერ წამოყენებულ მსჯელობას, რომლის დასაბუთებასაც იგი ცდილობს დისკუსიის პროცესში თეზისი ეწოდება. თეზისის სახით შეიძლება

გამოვიდეს ნებისმიერი მეცნიერული დებულება.

**არგუმენტი** ეწოდება თეორიული და ფაქტობრივი ხასიათის დებულებას, რომლის მეშვეობით ხდება თეზისის დასაბუთება. არგუმენტი დასაბუთების ფუნდამენტია. არგუმენტად შეიძლება გამოყენებული იქნას თეორიული და ემპირიული განზოგადებები, ფაქტები, აქსიომები და დეფინიციები. თეზისა და არგუმენტებს შორის ლოგიკური კავშირის ჩვენებას არგუმენტების დემონსტრაცია ეწოდება. დემონსტრაციის მიზანია უჩვენოს, რომ თეზისი ლოგიკურად გამომდინარეობს არგუმენტებიდან, დასაბუთების ლოგიკური წესების თანახმად. თეზისის დასაბუთება ხდება, როგორც პირდაპირ – დამამტკიცებელი არგუმენტების მოყვანით, ასევე არაპირდაპირი გზით, როდესაც თეზისის პირდაპირი დასაბუთება შეუძლებელია. ამ დროს თეზისის დამტკიცება ხდება ანტითეზისის მცდარობის დამტკიცებით. ამას დასაბუთების აპაგოგიკურ მეთოდს უწოდებენ.

**კრიტიკა.** კრიტიკა არის ლოგიკური ოპერაცია, რომლის მიზანია არგუმენტაციის პროცესის დარღვევა. თეზისის კრიტიკა შესაძლებელია აშკარა და ფარული სახით.

**ფარული კრიტიკა** არის პროპონენტის პოზიციის სკეპტიკური შეფასება ოპონენტის მიერ პროპონენტის თეზისის კონკრეტული ანალიზისა და მისი არგუმენტაციის სისუსტის ჩვენების გარეშე.

**აშკარა კრიტიკა** არის პროპონენტის პოზიციის დეტალური ანალიზი და არგუმენტაციის სისუსტის ჩვენება. აშკარა კრიტიკა თავის მხრივ იყოფა სამ სახედ: დესტრუქციული კრიტიკა, კონსტრუქციულ კრიტიკა და კრიტიკის შერეული ფორმა.

**დესტრუქციული კრიტიკა** – დესტრუქციული კრიტიკის მიზანია დასაბუთების მთელი პროცესის დარღვევა, თეზისის, არგუმენტაციისა და დემონსტრაციის პროცესის კრიტიკით.

**თეზისის კრიტიკის** მიზანია უჩვენოს თეზისის მცდარობა ან შეცდომა. მას თეზისის უკუგდება ეწოდება. თეზისი თავიდანვე მიჩნეულია მცდარად. თეზისის უკუგდება ხდება „აბსურდამდე დაყვანით“. არგუმენტაცია ხორციელდება შემდეგი სახით. დასაწყისში, აპაგოგიკური მეთოდის თანახმად, დაშვებულია პროპონენტის თეზისის ჭეშმარიტება და შემდეგ უჩვენებენ, რომ მისგან გამომდინარეობს აბსურდული შედეგები. ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა თეზისის მცდარობის შესახებ. რადგან მცდარი დანასკვი ყოველთვის მიუთითებს მცდარ საფუძველზე. დასაბუთების თეზისის ასეთი უკუგდება ცხადყოფს კრიტიკის დესტრუქციულ ხასიათს, რადგან სანაცვლოდ არ ხდება ახალი თეზისის წამოყენება.

**არგუმენტების კრიტიკის** მიზანია უჩვენოს დასაბუთების არგუმენტების მცდარობა ან საეჭვობა. ამის შედეგად სუსტდება პროპონენტის პოზიცია, რადგან აჩვენებს თეზისის დაუსაბუთებულობას. არგუმენტების კრიტიკა გამოიხატება იმაში, რომ ოპონენტი მიუთითებს ფაქტების დამახინჯებაზე, განზოგადოების ორაზროვნებაზე, ექსპერტის არაკომპეტენტურო-

ბაზე. არგუმენტების მცდარობის დადგენის შემთხვევაში თეზისი ითვლება დაუსაბუთებლად და საჭიროა ახალი დასაბუთება.

დემონსტრაციის პროცესის კრიტიკის მიზანია უჩვენოს, რომ პრო-პონენტის მსჯელობაში არ არის ლოგიკური კავშირი თეზისა და არგუ-მენტებს შორის. ისინი უჩვენებენ იმ შეცდომებს, რომლებიც მოცემულია დედუქციური და ინდუქციური დასკვნის პროცესებში. ეს კი ანგრევს არ-გუმენტაციის სისტემას და უჩვენებს თეზისის დაუსაბუთებულობას.

**კონსტრუქციული კრიტიკა.** კონსტრუქციული ეწოდება კრიტიკას, როდესაც ოპონენტის მიერ ხდება საკუთარი თეზისის წამოყენება პრო-პონენტის თეზისის უკუგდების მიზნით. ამ დროს ოპონენტი არაა და-კავებული მხოლოდ პროპონენტის თეზისის, არგუმენტაციის და დემონ-სტრაციის პროცესის კრიტიკით, არამედ წამოყენებს საკუთარ თეზისს და მისი ძირითადი მიზანია საკუთარი თეზისის დასაბუთება. იგი ცდი-ლობს დაასაბუთოს, რომ მისი თეზისი უპირისპირდება პროპონენტის თეზ-ისს როგორც ალტერნატიული. კონსტრუქციული კრიტიკა აუდიტორიას სთავაზობს არჩევანს ორ თეზისს შორის.

**არგუმენტაციის ველი.** დასაბუთების პროცესის სუბიექტები: პრო-პონენტი, ოპონენტი და აუდიტორია დისკუსიისას თეზისის, არგუმენტა-ციისა და დემონსტრაციის თაობაზე განსხვავებულ პოზიციაზე დგანან. დისკუსიის მონაწილეთა თითოეულ პოზიციას არგუმენტაციის ველი ეწო-დება. განსხვავებულია მათი შეხედულებები იმის თაობაზე, თუ როგორია ლოგიკურად სწორი დასაბუთება თეზისის ჭეშმარიტებისა, როგორ უნდა წარიმართოს არგუმენტირება და რომელი არგუმენტები უნდა იყოს გამოყ-ენებული. ყოველი მხარე თავის პოზიციას მიიჩნევს სწორად. დისკუსიის ამ სამი სუბიექტის არგუმენტაციის ველი შეიძლება სრულიად დაემთხ-ვას, ან სრულიად არ დაემთხვას, ან ნაწილობრივ დაემთხვას ერთმანეთს. როცა პროპონენტის, ოპონენტის და აუდიტორიის არგუმენტაციის ველი სრულიად არ ემთხვევა ერთმანეთს, ანუ მათ სრულიად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ თეზისის, არგუმენტაციისა და დემონსტრაციის თაო-ბაზე, ამ შემთხვევაში დისკუსიის გამართვა შეუძლებელია. როცა არგუ-მენტაციის ველი სრულიად ემთხვევა, ანუ პროპონენტს, ოპონენტს და აუდიტორიას ერთნაირი წარმოდგენა აქვთ თეზისის, არგუმენტაციისა და დემონსტრაციის თაობაზე. ამ შემთხვევაშიც დისკუსიის გამართვა შეუ-ძლებელია, რადგან მათ შორის არც დაპირისპირებაა და არც განსხვავე-ბა. როცა არგუმენტაციის ველი სრულიად ან ნაწილობრივ ემთხვევა, ანუ პროპონენტის, ოპონენტის და აუდიტორიის წარმოდგენა თეზისის, არ-გუმენტაციისა და დემონსტრაციის თაობაზე ნაწილობრივ ემთხვევა, ამ შემთხვევაშიც დისკუსიის გამართვა შესაძლებელია. ამისათვის საჭიროა დისკუსიის სუბიექტებმა შეათანხმონ დისკუსიის არგუმენტაციის ველი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ფი-ლოსოფია, იდეოლოგია, პოლიტიკა. აქ არგუმენტაციის ველის შეთანხმება

გულისხმობს კომპრომისული დოქტრინების შექმნას. ისინი ხშირად შინაგანად წინააღმდეგობრივია და შეუძლებელს ხდის დისკუსიას, მოლაპარაკებას, შეთანხმებას. ამიტომ გამოსავალს ეძებენ ზოგადადამიანურ და საკაცობრიო პრინციპებში, ანდა ჯანსაღი აზრის პოზიციაში. ეს შესაძლებელს ხდის დაპირისპირებულ პოზიციებზე მდგომი მხარეების მოლაპარაკებას.

**არგუმენტაციის წესები.** დასაბუთებაში არგუმენტების გამოყენება გარკვეულ წესებს ემორჩილება. დასაბუთების ლოგიკური ხასიათი მოითხოვს თეზისის მიმართ ორი წესის დაცვას:

თეზისი უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად ჩამოყალიბებული.

თეზისი უნდა დარჩეს უცვლელი დასაბუთების მთელი პროცესის მანძილზე.

თეზისში შემავალი ყოველი ახალი, უცნობი ცნება უნდა იქნას განმარტებული. უნდა განისაზღვროს:

მსჯელობის რაოდენობრივი მახასიათებელია: ერთეული და ზოგადი მსჯელობა.

**თეზისი.** უნდა გაირკვეს მსჯელობის მოდალობა, პროპონენტი თეზისს ასაბუთებს, როგორც უტყუარ, ან როგორც პრობლემატურ დებულებას.

რაც შეეხება თეზისის უცვლელობის წესს, მისი დარღვევის რამდენიმე ფორმა არსებობს. თეზისის დაკარგვა ნიშნავს, რომ დასაბუთების პროცესში პროპონენტი ივიწყებს თეზისს და გადადის სხვა, მსგავსი თეზისის დასაბუთებაზე. თეზისის შეცვლა ნიშნავს, რომ დასაბუთების პროცესში პროპონენტი გადადის სხვა თეზისის დასაბუთებაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც თეზისი არ არის ნათლად და კონკრეტულად ჩამოყალიბებული და მისი დადგენა ხდება თვითონ დასაბუთების პროცესში. თეზისის შეცვლის ერთ-ერთი სახეა ადამიანურობის არგუმენტი (*argumentum ad personam*). ამ დროს პიროვნების თეორიული მოსაზრების განხილვიდან გადადიან თვითონ პიროვნების ხასიათისა და პიროვნული თვისებების განხილვაზე. თეზისის შეცვლის ერთ-ერთი სახეა ე. წ. „ლოგიკური დივერსია“. როცა პროპონენტი გრძნობს, რომ ვერ ასაბუთებს თეზისს და გადადის შეგნებულად სხვა თეზისის დასაბუთებაზე, როგორც არანაკლებ ან უფრო მნიშვნელოვანზე.

დასაბუთების პროცესის შემდეგი ელემენტია არგუმენტი. არგუმენტი უნდა იყოს ჭეშმარიტი და დასაბუთებადი. როდესაც მცდარი არგუმენტი გამოყენებულია როგორც ჭეშმარიტი, ადგილი აქვს ძირითად შეცდომას (*error fundamentalis*). ამ დროს არგუმენტად გამოიყენება არარსებული ფაქტი, არარსებული თვითმხილველი და ა. შ. იგი არის ძირითადი შეცდომა, რადგან არღვევს თვითონ დასაბუთების მიზანს, თეზისის ჭეშმარიტება დაფუძნებული უნდა იყოს ჭეშმარიტ და უტყუარ არგუმენტებზე.

შეცდომის შემდეგი სახეა (*petitio principii*), როდესაც დასაბუთებისას არგუმენტის სახით გამოიყენება არაადექვატური, დაუმტკიცებელი, თვითნებურად აღებული დებულება, რომელიც ემყარება გავრცელებულ

შეხედულებებს, ჭორებს და იყენებენ თეზისის დასაბუთებისათვის. ფაქტობრივად კი ამ არგუმენტების სანდოობა წინასწარ ივარაუდება და არაა დადგენილი როგორც უეჭველი.

შეცდომის ერთ-ერთი სახეა – წრე დემონსტრაციაში (*circulus in demonstrando*). თეზისის დასაბუთებისათვის არგუმენტების გამოყენებამდე უნდა შემოწმდეს არგუმენტების სანდოობა, ანუ არგუმენტები ავტონომიურად უნდა იყოს დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ თეზისის მეშვეობით ვასაბუთებთ არგუმენტებს, მაშინ როცა არგუმენტებით უნდა დავასაბუთოთ თეზისი. დასაბუთებისას უნდა გამოვიყენოთ არანინააღმდეგობრივი არგუმენტები, რადგან დაპირისპირებულობიდან ფორმალურად გამომდინარეობს ყველანაირი შედეგი.

შემდეგი მოთხოვნაა – არგუმენტების საკმაობის პრინციპი – „რაც უფრო მეტია არგუმენტი, მით უკეთესია“, არ არის სწორი. მართლაც, როცა პროპონენტი ცდილობს ნებისმიერი საშუალებებით და ნებისმიერ ფასად თეზისის დასაბუთებას – ეს ეჭვს იწვევს და უშვებს ე. წ. „ჭარბი დასაბუთების“ შეცდომას. პროპონენტი თავისდა უნებურად იყენებს დაპირისპირებულ არგუმენტებს და არგუმენტაციის პროცესი ალოგიკური, ჭარბი ხდება. ასეთი დასაბუთება უშედეგოა, რადგან „ვინც ბევრს ასაბუთებს, იგი არაფერს არ ასაბუთებს“. მთავარია, არა ბევრი არგუმენტი, არამედ ძლიერი არგუმენტის გამოყენება.

დემონსტრაციის პროცესის წესები და შეცდომები. დასაბუთების დემონსტრაციის მიზანია აჩვენოს ლოგიკური კავშირი არგუმენტებსა და თეზისს შორის. ეს დემონტრაცია მიმდინარეობს დედუქციური, ინდუქციური და ანალოგის მიხედვით დასკვნების მეშვეობით. არგუმენტაციის დედუქციური წესი გულისხმობს რიგი მოთხოვნების დაცვას:

1. ზუსტად უნდა იქნეს აღნერილი და განსაზღვრული დიდი წანამდლვრის ამოსავალი დებულება. ეს შესაძლებელს ხდის საკუთარი თეორიული პოზიციის დამაჯერებელ დემონსტრაციას.

2. ზუსტად და ნათლად უნდა იქნეს აღნერილი ის კონკრეტული ხდომილება, რომელიც მოცემულია მცირე წანამდლვარში. ამის გარეშე დედუქციური მსჯელობა ორაზროვანი და ბუნდოვანი იქნება. არგუმენტაციის ინდუქციური წესი იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ამოსავალია ფაქტობრივი მონაცემები. არგუმენტაციის ინდუქციური წესი მოითხოვს ფაქტობრივი ხდომილების დეტალურ ლოგიკურ ანალიზს, რათა მათში აღმოჩენილი იქნეს არსებითი და კანონზომიერი ნიშნები. ამ შემთხვევაში იცვლება ფაქტების ლოგიკური ფუნქცია. ფაქტები დამაჯერებელი არგუმენტების მნიშვნელობას იძენენ.

დემონსტრაციის პროცესის ძირითადი შეცდომაა ლოგიკური კავშირის არარსებობა არგუმენტებსა და თეზისს შორის. ეს იღებს ე. წ. „მოჩვენებითი გამომდინარეობის“ შეცდომის სახეს. ამ დროს ლოგიკურად სუსტი არგუმენტებიდან გამომდინარე ცდილობენ დასაბუთონ ლოგიკურად უფრო

ძლიერი თეზისი. მაგალითად, როდესაც არგუმენტში აღწერილია მოვლენათა ერთი სახის თვისებები, ხოლო თეზისში ლაპარაკია მოვლენათა ყველა სახეზე, როცა პროპონენტი იყენებს არგუმენტს, რომელიც ითვლება ჭეშმარიტად განსაზღვრულ პირობებში და მის საფუძველზე თეზისში რამე მტკიცდება, როგორც უპირობოდ ჭეშმარიტი. „მოჩვენებითი გამომდინარეობის“ შეცდომას მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც თეზისის დასასაბუთებლად გამოყენებულია თეზისთან ლოგიკურად დაუკავშირებელი არგუმენტები. ასეთი არგუმენტების მაგალითებია:

ძალისადმი მიმართვის არგუმენტი (*argumentum ad baculum*), როდესაც თეზისის ლოგიკურად დასაბუთების ნაცვლად არგუმენტად მოჰყავთ ალოგიკური, ფიზიკური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, მორალურ-პოლიტიკური სახის იძულება.

არცოდნისადმი მიმართვის არგუმენტი (*ad ignoratiam*), როდესაც ოპონენტის, აუდიტორიის უცოდინრობა გამოიყენება მათთვის საკუთარი აზრის თავზე მოსახვევად, რომელიც არაა ჭეშმარიტი.

სარგებლიანობის არგუმენტი (*ad crumenam*). თეზისის ლოგიკური დასაბუთების ნაცვლად, ხდება იმის აგიტაცია, რომ ამ თეზისის მიღება სასარგებლოა მორალური ან პოლიტიკური თვალსაზრისით.

ჯანსაღი აზრისადმი მიმართვის არგუმენტი (ად ჯუდიციუმ). ამ დროს თეზისის ლოგიკური დასაბუთების ნაცვლად, ხდება აპელირება ჰუმანურობისადმი, თანაგრძნობისადმი. ამ არგუმენტს ხშირად მიმართავენ მაშინ, როდესაც ლაპარაკია ადამიანის დადანაშაულებაზე.

თანაგრძნობის არგუმენტი (*ad misericordiam*). ამ დროს თეზისის ლოგიკური დასაბუთების ნაცვლად, ხდება აპელირება ჰუმანურობისადმი, თანაგრძნობისადმი. ამ არგუმენტს ხშირად მიმართავენ მაშინ, როდესაც უტყუარი საფუძველისადმი.

ერთგულების არგუმენტი (*ad tuto*). ამ დროს თეზისის ლოგიკური დასაბუთების ნაცვლად, მოუწოდებენ მისი აღიარებისაკენ ერთგულების, მოწინების საფუძველზე.

ავტორიტეტისადმი მიმართვის არგუმენტი (*ipse dixit*). ამ დროს თეზისის ლოგიკური დასაბუთების ნაცვლად, არგუმენტად გამოიყენება ავტორიტეტისადმი მიმართვა, როგორც თეზისის ჭეშმარიტების აღიარების უტყუარი საფუძველისადმი.

როგორც ვხედავთ, დასაბუთება რთული პროცესია და იგი ლოგიკუ-

რად გამართული უნდა იყოს, რათა მივიღოთ ჭეშმარიტი შედეგი.

### **დასაბუთების საზღვრები**

ძეველ საბერძნეთში აღმოაჩინეს, რომ ლოგიკური აზროვნება იხლართება გამოუვალ შინაგან წინააღმდეგობებში, რომ წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი აზროვნების (ლოგიკის) სფერო შეზღუდულია. დასაბუთებაში თავი იჩინა რთულმა წინააღმდეგობებმა: პარადოქსებმა, აპორიებმა, ანტინომიებმა, დილემებმა. ძენობ ელეელს (490-430 ძვ. წ.) ეკუთვნის ცნობილი აპორეა, რომლის მიხედვითაც ფეხმარდი აქილევსი ვერ დაეწევა

წინასულ კუს, რადგან მანამდე უნდა დაფაროს ის მანძილი, რომელიც კუსგან აშორებს. ამასობაში კი, კუს, მანძილის ახალი მონაკვეთი ექნება გავლილი და ასე დაუსრულებლად. მანძილი თანდათან მცირდება, მაგრამ არასოდეს ქრება.

რატომ ვარდება აზროვნება წინააღმდეგობაში? იმიტომ, რომ სინამდვილე არ არის თავისუფალი წინააღმდეგობისაგან. ის საწინააღმდეგო მხარეთა ერთიანობაა. ამას როგორც ადრე ავლნიშნეთ „დიალექტიკა“ უწოდეს. და ამ სიტყვით განასხვავეს „ფორმალური ლოგიკისაგან“. გავიხსენოთ „დიალექტიკის მამა“ ჰერკილტე ეფესელი (535-475 ძვ. წ.), რომელსაც თავისი მოძღვრების სირთულის გამო „ჰერაკლიტე ბნელი“ შეარქვეს, ამბობდა რომ ყოველივეს განაგებს დასაბამიერი დავა, ომი და-პირისპირებულ მხარეთა შორის, მათი ურთიერთგადასვლა, ერთიანობა, ერთიანი მდინარება. „ბრძოლა ყველაფრის მამა, ყველაფრის მეფე, ერთნი მან ღვთაებებად განაწესა, მეორენი ადამიანებად, ერთნი მონებად, მეორენი ბატონებად“. ყოველივე მიმდინარეობს („პანტა რეი“), „ერთსადაიმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“.

### **სოფისტური მსჯელობის ნიმუშები**

იმის დამადასტურებლად, რომ ლოგიკური აზროვნება თვითონ ვარდება შინაგან წინააღმდეგობაში, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

**მაგალითი 1.** სოფისტმა პროტაგორამ აიყვანა მოწაფე. გასამრჯელოს თაობაზე წინასწარვე დადეს შეთანხმება – თუ მოწაფე გაიმარჯვებდა პირველ საქმეში, პირველ სასამართლო პროცესში, მასწავლებლის გასამრჯელო უნდა მიეღო. როდესაც მოწაფემ სწავლა დაასრულა, გასამრჯელოს გადახდაზე უარი თქვა და ასეთი არგუმენტი წამოაყენა: თუ სასამართლოზე მე გამოტყუნდები, მაშასადამე მე წაგებული მექნება პირველი დავა და შეთანხმების მიხედვით არაფერი მაქვს გადასახდელი; თუ პირიქით, მე გამამართლებს სასამართლო, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით არ მეკუთვნის გადასახადი.

პროტაგორას მოწაფეს პასუხზე გაელიმა და უპასუხა, ორივე შემთხვევაში გასამრჯელოს გადახდა შენ მოგიწევსო, უთხრა მან მოწაფეს. „თუ სასამართლომ დაადგინა, რომ მე მეკუთვნის საფასური, დადგენილების ძალით გადამიხდი, თუ სასამართლო მე გამამტყუნებს, მაშინ შენ მოგებული გექნება პირველი საქმე და ჩვენი პირობის თანახმად უნდა მივიღო გასამრჯელო....“

**მაგალითი 2.** ათენელი დედა არწმუნებს ვაჟს: „თუ ილაპარაკებ სიმართლეს, შეგიძულებენ ადამიანები, ხოლო თუ არ ილაპარაკებ სიმართლეს, შეგიძულებენ ღმერთები“. მაშასადამე, ვიღაცა აუცილებლად შეგიძულებს. თავის მხრივ ვაჟი ცდილობს ეს დილემა ისევ დილემით უკუაგდოს, თუ სიმართლეს ვიღაპარაკებ, შემიყვარებენ ღმერთები, ხოლო თუ სიმართლეს არ ვიღაპარაკებ, შემიყვარებენ ადამიანები. მაშასადამე, ვინმეს აუცილე-

**ბლად ვეყვარები.**

ეს ისეთი სააზროვნო სიტუაციებია, რომლებიდანაც ლოგიკური აზ-როვნება გამოსავალს ვერ პოულობს. განსაკუთრებით რთულდება ვითა-რება, როდესაც აზროვნება ეთიკურ დილემებში იხლართება.

**მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ  
გაიხსენეთ ღმერთის არსებობის არგუმენტები  
(ნაწილი მეორე, თავი I, გ1)**

- კოსმოლოგიური
- პირველმიზეზის
- ჩანაფიქრის

რომელი არგუმენტი წარმოადგენს ინდუქციურ დასკვნას, დედუქციურ დასკვნას, დასკვნას ანალოგით?

გაიხსენეთ სოფისტური მსჯელობის ნიმუშები. ლოგიკის 4 კანონი. რომელი კანონის დარღვევის შედეგად ხდება შესაძლებელი სოფისტური მსჯელობები.

# ნაცილი გაოთხე ეთიკა

## თავი I მეტაეთიკა

### §1. რა არის ეთიკა?

საგანის დეფინიცია-სიძნელეები-გამოწვევები-საკითხის ისტორიისათვის ეთიკა ფილოსოფიის დარგია, იგი მიზნად ისახავს იმ ბაზისური პრინციპების დადგენას, რომელთა მიხედვითაც უნდა ვიმსჯელოთ ადამიანის ქცევების მორალურ სისწორესა, თუ მცდარობაზე. ეთიკა ნორმატული სწავლებაა და მისი ამოცანა პრაქტიკული, მორალური პრობლემების რაციონალური არგუმენტაციის საშუალებით გადაწყვეტაა.

ეთიკა ფოკუსირებულია: შინაგან და აბსოლუტურ ღირებულება-თა საკითხებზე, მათ ობიექტურ ინტერპრეტაციაზე და დასაბუთებული სტრატეგიების დადგენაზე.

ფილოსოფიის განვითარების 26 საუკუნის მანძილზე არსებობს ეთიკისა და ეთიკურის მრავალი დეფინიცია. სოკრატე ერთ-ერთი პირველი მოაზროვნეა, რომელმაც გაიაზრა ეთიკურის ფენომენი. სოკრატეს მიხედვით, ეთიკის ამოცანაა ზნეობის ბუნების სისტემური გაგების დაფუძნება. მან უნდა გაეცეს პასუხი ადამიანის ცხოვრების ძირითად კითხვას: „როგორ უნდა ვიცხოვოთ?“

#### ეთიკური და მორალური

ზოგადყულტურულ ლექსიკაში სიტყვები. ეთიკა, მორალი, ზნეობა ურთიერთჩანაცვლებადნი არიან. სინამდვილეში ეს ტერმინები განსხვავდებიან ეთიკის ფილოსოფიური ცოდნის ველზე ისინი შემდეგი მნიშვნელობებით ივსებიან:

**ეთიკა** – განიმარტება, როგორც სწავლება მორალის შესახებ, უფრო ფართედ თუ ვიტყვით, ეთიკის საქმეა მორალის დინჯი, ანონ-დაწონილი მოაზრება, მორალურ ღირებულებათა კვლევა, არსებული მორალური ღირებულებების მოხელთება, კრიტიკულად გააზრება და სისტემატიზება. ეთიკა ფილოსოფიური ცოდნის მოპოვების ერთი-ერთი დარგია.

**მორალი** – ეთიკის შესწავლის საგანია. მისი ინტერესი ადამიანთა ქცევის ნორმათა შესწავლაა. სიტყვა „მორალი“ გამოიყენება იმ ღირებულებების აღსანერად, რომელიც ასე ვთქვათ „ხელთ გვაქვს“. როდესაც ვლაპარაკობთ „მორალურზე“, ან „მორალზე“ ვგულისხმობთ, რომ ამ ველზე არსებული ღირებულებები ფიქსირებულია; მათი კითხვის ქვეშ დაყ-

ენება გამორიცხულია.

**ზეობა** – ერთეული ინდივიდის მიერ ქცევის სუბიექტური შეფასებაა და გამომდინარე აქედან, მისი ყოველდღიური ქცევის ნორმებია.

**ეტიკეტი/მანერები** – მიუხედავად იმისა, რომ ეტიკეტი დაკავშირებულია ადამიანის მართებულ ქცევასთან, იგი არ წარმოადგენს ეთიკის ინტერესის საგანს. ეტიკეტს საქმე აქვს გემოვნებასთან დაკავშირებულ სოციალური ქცევის გარკვეულ ტიპთან, ეთიკას-მორალურ ქცევებთან.

### ეთიკის სეგმენტები და ინტერესის სფეროები.

ეთიკის ინტერესთა სფერო მოიცავს სამ ძირითად სეგმენტს: მეტაე-თიკას, ნორმატულ ეთიკასა და გამოყენებით ეთიკას.

მეტაეთიკის ინტერესია ეთიკური პრინციპების რაობისა და გენეზისის კვლევა. მეტაეთიკური პასუხები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ორიენტირს ირჩევს ფილოსოფოსი, რაზე ახდენს ფოკუსირებას: უნივერსალურ ჭეშმარიტებაზე, გონების როლზე ეთიკურ მსჯელობებში, უზენაესის განგებულებაზე, თუ უშუალოდ ეთიკურ ტერმინთა მნიშვნელობაზე.

ნორმატიულ ეთიკას უპირატესად პრაქტიკული მიზანი აქვს – იმ მორალური სტანდარტების დადგენა, რომლებითაც შესაძლებელი იქნება ქცევათა რეგულირება. მაგალითად, სანიმუშო უნარ-ჩვევების არტიკულირების ნორმები, მოვალეობანი, რომელთაც უნდა მივდიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქცევის შესაძლო შედეგები საზოგადოებასა და გარემოს მიმართ უარყოფითი იქნება.

გამოყენებითი ეთიკა ინტერესდება სხვადასხვა სპეციფიკური პრობლებებით. მაგალითად, მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის ეთიკური ასპექტებით, კონტრიბუციონიზმისა (სიკვდილით დასჯის) და სიუციდის (თვითმკვლელობის) საკითხებით, ცხოველთა უფლებების დაცვით. გამოყენებით ეთიკაში არსებული პრობლემებისა და საკითხების გადაჭრა მეტაეთიკისა და ნორმატული ეთიკის კონცეპტუალური იარაღის საშუალებით ხორციელდება. გამოყენებითი ეთიკა ცდილობს გადაჭრას დილემური სიტუაციები.

ეთიკის ამ სამ არსობრივ სეგმენტს – მეტაეთიკას, ნორმატულ ეთიკასა და გამოყენებით ეთიკას შორის საზღვრები მკაცრად არ არის დადგენილი.

მაგალითად, სიკვდილით დასჯა გამოყენებითი ეთიკის ერთ-ერთი თემაა, მაგრამ მასზე მსჯელობისას ზოგადი ნორმატული პრინციპებიც უნდა გამოვიყენოთ, რადგანაც იგი ემყარება ისეთ ნორმატულ პრინციპებს, როგორიცაა თვითრეგულირებისა და სიცოცხლის უფლება. ეს პრინციპები ლაკმუსის ქაღალდის როლს ასრულებენ ამ ქმედების ზნეობრიობის დასადგენად. საკითხი მეტაეთიკურ ასპექტსაც შეიცავს, კერძოდ – რა, თუ ვინ არის ადამიანი? საიდან მოდიან კანონები? ვის და რა სახის უფლებები აქვს?

## **მეტაეთიკის ინტერესის სფეროები**

ჩვენ უკვე ვიცით რას ნიშნავს მეტაფიზიკა. გავიხსენოთ, რომ ტერმინი „მეტა“ ნიშნავს „იქეთ არსებულს“, „მიღმურს“. მეტაეთიკა შეისწავლის ეთიკურ ცნებათა წარმოშობასა და მნიშვნელობას. მეტაეთიკის სივრცეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ორი საკითხის:

### **ა)საიდან მოდის მორალი?**

**ბ)ვინ არის მორალის სუბიექტი?/ ვის, თუ რას შეიძლება მივუყენოთ მორალი?**

### **ა)საიდან მოდის მორალი?**

ფილოსოფიის ისტორიაში არსებობს უამრავი სპეკულაცია იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან მოდის მორალური, ან ეთიკური. იყო თუ არა იგი ყოველთვის სამყაროს განუყოფელი ნაწილი, ზებუნებრივი არსების მიერ არის ნაკარნახევი, თავად ბუნებაშია ჩაბეჭდილი, თუ ადამიანური გონების მიერაა შექმნილი? რადგანაც ეთიკას და მორალურს საქმე აქვს იმ ღირებულებებთან, რომელიც სიკეთეს, მართებულს, სწორს აფასებენ-მთავარი კითხვა ამგვარადაა ფორმულირებული: არიან ეს ღირებულებები ტოტალურად ობიექტური ბუნებისანი, ანუ ადამიანური ბუნებისაგან „გარეთ მდგარნი“? თუ ტოტალურად სუბიექტურნი, ადამიანის „შიგნით“ არსებულნი? მოდი ვცადოთ ამ შესაძლებლობების ანალიზი.

**ამ საკითხის** გადაჭრისას ობიექტივიზმისა და რელატივიზმის სახელით ცნობილი ორი მიდგომა იკვეთება.

### **ღირებულებები ტოტალურად ობიექტურნი არიან**

ეთიკოსთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ მორალური ღირებულებები ობიექტურნი არიან იმ აზრით, რომ ისინი არსებობენ სუბიექტური, ადამიანური გამონაგონის მიღმა. თავისი ბუნებით ეთიკური ღირებულებები არიან აბსოლუტურნი, მარადიულნი, უცვლელნი, უნივერსალურნი. ისინი არსებობენ ნებისმიერ საზოგადოებაში მუდმივად და უცვლელად, გეო-გრაფიული და ეპოქალური მიკუთვნების გარეშე. მაგალითად, ზებუნებრივი თეორიის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ეს ღირებულებები მოდის უზენაესი არსების/ არსებათა, ან უმაღლესი პრინციპიდან: სიკეთე (პლატონთან), ღვთაებები (ბერძნულ-რომაულ რწმენაში); ღმერთი (ქრისტიანობაში), ალაპი(მუსლიმანობაში), ბრაჟმა (ინდუიზმში). მათ სწამთ, რომ ისინი უმაღლეს სიკეთეს თავად განასახიერებენ, ადამიანებს უმუდავნებენ იმას, თუ რა არის კარგი და ცუდი, მართებული და მცდარი. თუ ადამიანს სურს იყოს მორალური, მან უნდა მისდიოს უმაღლეს პრინციპებს, ან ზებუნებრივი არსების სწავლებას.

როდესაც ჩვენ ვუყურებთ რიცხვებსა და მათემატიკურ განტოლებებს, ამბობს პლატონი, ისინი დროის მიღმა არსებულ ცნებებად წარ-

მოგვიდგებიან. ისინი არასდროს შეიცვლებიან და ყველგან, ნებისმიერი ადამიანისათვის ერთნაირად გასაგები არიან. ადამიანებს არ გამოუგონიათ რიცხვები და არც მათი შეცვლა შეუძლიათ. მორალური ღირებულებები, მსგავსად მათემატიკური ცნებებისა, აბსოლუტურ ჭეშმარიტებებს წარმოადგენენ. შუასაუკუნეების ფილოსოფოსები ყველა მორალურ პრინციპს ჩვეულებრივ “მარადიული კანონს” უწოდებენ. მორალურ პრინციპთა მეტაფიზიკური სტატუსი, როგორც უფლისგან მომდინარე ღვთაებრივი ბრძანებებისა, დგინდება ქრისტიანულ ეთიკაში. უფლის ნებისგან მომდინარეობს ყოველივე არსებული, მათ შორის მორალური პრინციპებიც. ამ თვალსაზრისს ეყრდნობა შუასაუკუნეების ფილოსოფოსი უილიამ ოკამი. ეს ხედვა ვოლუნტარიზმის სახელითაა ცნობილი.

ბუნებითი კანონის თეორიის მომხრეებს მიაჩინიათ, რომ მორალი ბუნებაშია, რომ არსებობენ „ბუნებითი კანონები“, რომელთაც ადამიანმა უნდა მისდიოს, თუ სურს, რომ იყოს მორალური არსება. სქოლასტიკოსი თეოლოგი თომა აქვინელი (1225-1274) თვლიდა, რომ მორალის საფუძველი ზებუნებრივ არსებასთან ერთად ბუნებაშია.

### **ღირებულებები ტოტალურად სუბიექტურნი არიან**

მეორე და უფრო მეტად გავრცელებული მიდგომა მორალური რელატივიზმის სახელითაა ცნობილი. ამ მიდგომის მომხრეებს მიაჩინიათ, რომ მორალი უშუალოდ ადამიანიდან იღებს სათავეს. თუ არ იარსებებს ადამიანი, არც მორალური ღირებულებების არსებობა საჭირო. იგი სათავეს სკეპტიკიზმის ტრადიციაში იღებს. ბერძენი ფილოსოფოსი სექსტ ემპირიკოსი უარყოფს მორალურ პრინციპები სტატუსსა და მორალურ ღირებულებათა ობიექტურ არსებობას. სკეპტიკოსები ერთი შეხედვით თითქოს არ უარყოფენ თავად მორალურ ღირებულებებს, უარყოფენ მხოლოდ მათ ობიექტურ ბუნებას. მორალური ღირებულებანი ადამიანთა გამოგონილად მიაჩინიათ. არსებობს მორალური რელატივიზმის ორი ფორმა: ინდივიდუალური რელატივიზმი და კულტურული რელატივიზმი. ინდივიდუალური რელატივიზმი, ამტკიცებს, რომ ინდივიდი ქმნის საკუთარ მორალურ სტანდარტს. მაგალითად, ნიცშე ამტკიცებდა, რომ ზეკაცი აგებს საკუთარ მორალს მონური ღირებულებითი სისტემის საპირისპიროდ. კულტურული რელატივიზმი (სექსტ ემპირიკოსი, მიშელ მონტენი, უილიამ სამნერი, რუთ ბენედიქტი) თვლის, რომ მორალურ პრინციპებს ქმნის საზოგადოება. ამ ხედვაში მორალური პრინციპების აბსოლუტური და უნივერსალური ბუნება უარიყოფა. ისინი იცვლებიან დროში, სოციალურ და კულტურულ სივრცეებში. ამ პოზიციის განსამტკიცებლად მათ მოაქვთ მაგალითები სხვადასხვა კულტურების შეგნით არსებულ ღირებულებათა განსახვავების შესახებ. ვთქვათ, დამოკიდებულებანი პოლიგამიის, პომ-სექსუალიზმის, ადამიანთა მსხვერპლშენირვის მიმართ.

ნებისმიერი მცდელობა ერთმნიშვნელოვნად გავცეთ პასუხი ზემოთ

დასმულ პრობლემას ვერ გაექცევა სპეცულაციებს.

### ბ) ვინ არის მორალის სუბიექტი? /ვის, ან რას შეიძლება მივუყენოთ მორალი?

ამ საკითხის განხილვისას გამოიყოფა ოთხი ასპექტი: რელიგიური მორალი, მორალი და ბუნება, ინდივიდუალური მორალი და სოციალური მორალი. რელიგიურ მორალს საქმე აქვს ადამიანისა და ზებუნებრივი არსების ურთიერთობასთან. ქრისტიანულ ტრადიციაში დეკალოგის პირველი სამი მცნება ამ სახის მორალს გამოხატავს. ეს მცნებები არეგულირებენ პიროვნების მიმართებას მხოლოდ და მხოლოდ ღმერთან და სხვასთან არავისთან. ეთიკის ამ განსაკუთრებული კოდექსის დარღვევა გამოიწვევს პიროვნების ამორალურ ქცევას მხოლოდ ღმერთის მიმართ და არა რომელიმე ადამიანის მიმართ. მორალი და ბუნება მიმართულია გახსნას ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა. ყველა პრიმიტულ კულტურაში პრევალირებს ბუნებითი მორალი. ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“ არაჩვეულებრივად ასახავს ამ სახის ურთიერთობას. ინდივიდუალური მორალი გულისხმობს ადამიანის რელაციას საკუთარ თავთან და მორალის ინდივიდუალურ კოდექსთან, რომელიც შესაძლოა არც იყოს სანქციონირებული საზოგადოების, ანდა რელიგიის მიერ. „უმაღლესი მორალი“ უმაღლიდივიდში არსებობს, ვიდრე ზებუნებრივ, მიღმურ სამყაროში. პიროვნება განახორციელებს განსაკუთრებულ ქმედებას არა საზოგადოების, კანონის, ან რელიგიის მოთხოვნების პასუხად, არამედ იმიტომ, რომ იგი თავად, საკუთარი სინდისის თანახმად თვლის, რომ მისი ქცევა არის სწორი. დეკალოგის მეცხრე და მეათე მცნებები ინდივიდუალურ მორალურობაზე ამახვილებენ ყურადღებას.

სოციალური მორალი გულისხმობს ადამიანების რელაციას სხვა ადამიანებთან. იგი ერთეურთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ამიტომაც, ეთიკურ სისტემათა უმრავლესობაში, უპირველესად მას ვხვდებით. უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი რობინზონ კრუზო უძლურია მორალის სუბიექტი გახდეს. ზნეობრივი, ან უზნეო ქცევა მას შეუძლია საკუთარი თავის, ან ბუნების მიმართ ჩაიდინოს. რაც თავისთავად აბსურდული ქცევა იქნება ეთიკურ სივრცეში. ეთიკოსთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მორალური კოლიზიები და დილემები წარმოიშობა სოციალურ ჯგუფებებში. დეკალოგის ათი მცნებიდან შვიდი მიმართულია ადამიანებს შორის ურთიერთობების დარეგულირებისაკენ. ბუდიზმში და კონფუციონალიზმში მთელს მორალს სოციალური ასპექტი წარმოადგენს, ისინი ზებუნებრივ, რელიგიურ ასპექტს თითქმის არ ეხებიან. არარელიგიურ ეთიკურ სისტემებშიც ფოკუსი უმეტესად სოციალურ ასპექტზეა მიმართული. მაგალითად, უტილიტარიზმის ყველა ფორმა საზს უსვავს, რომ სიკეთეა ის, რაც „კარგია უმრავლესობისათვის“, ანუ სოციუმისათვის.

როგორ გამოვიყენოთ ეს ასპექტები? რომელია უპირატესი? სინ-

თეზირების გამოყენება ამ შემთხვევაში სწორედაც რომ უპრიანი იქნება. ეს მეთოდი საშუალებას მოგვცემს ყველა ეს ასპექტი მოვიაზროთ ერთობაში. პირველი სამი ასპექტით შეარაღებულები სოციალურ ასპექტს დავეხმარებით გადაჭრას მორალური პრობლემები და კონფლიქტები იქ, სადაც ყველზე მეტად იყრიან ისინი თავს – სოციუმში.

### **რატომ უნდა იყოს ადამიანი მორალური არსება?**

ეთიკას აინტერესებს შეკითხვის ფორმულირება არა ერთეულ ინდივიდზე მიმართვით – რატომ უნდა ვიყო მორალური? არამედ ზოგადად ადამიანურ არსებაზე მიმართვით – რატომ უნდა იყოს ადამიანი მორალური არსება? ეს ორი სხვადასხვა კითხვაა. მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა როტულია ნათელი მეტაეთიკური ცოდნის გარეშე.

სხვაგვარად ეს პრობლემა ამგვარად ჟღერს: არსებობს თუნდაც ერთი მიზეზი, რის გამოც ადამიანი უნდა იყოს კარგი და არა ცუდი, უნდა მოიქცეს მართებულად და არა უმართებულოდ, ცუდად?

არსებობს რამოდენიმე მიზეზი, რის გამოც ადამიანი მორალურად იქცევა. ეს შესაძლებელია იყოს რელიგიური რწმენის შედეგი, თუმცა ამ შემთხვევაში ქცევის საფუძვლები თავისი ბუნებით უფრო ფსიქოლოგიური იქნება, ვიდრე ლოგიკურ-რაციონალური. მორალურობის მიზეზი შეიძლება იყოს სიღრმისეულად გაცნობიერებული საკუთარი ინტერესი. ეს პოზიცია გამოთქმულია ფორმულით – არასდროს უსურვო სხვას ის, რაც შენთვის არ გინდა. ანდა შესაძლოა ადამიანი მორალური იყოს ტრადიციიდან გამომდინარე, რადგანაც ამას მოითხოვს ის კანონები, რომლითაც იმართება მისი თანადროული საზოგადოება. ნებისმიერი ჩვენთაგანი გაიხსენებს, რომ მისთვის არაერთგზის უთქვავთ – არ გააკეთო ეს – ეს არ შეესაბამება ჩვენს ადათ-წესებს, ანდა ეს ჩვენს ოჯახს არ ეკადრება, ან ესე მოიქცი – ეს შენს ინტერესშია! ყველა მოყვანილ არგუმენტს თავისი პრო და კონტრა აქვს.

ადამიანის ბუნების, მისი არსობრივი მდგომარეობის თანამედროვე კვლევები გვიჩვენებს, რომ ადამიანებს უამრავი რამ აქვთ საერთო, ყველას სჭირდება სიყვარული, ბედნიერება, მეგობრობა, თანაგრძნობა, მშვიდობა და თავისუფლება, სტაბილურობა. ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადამიანებს სჭირდებათ მორალური პრინციპები და ლირებულების მიყოლა.

ფილოსოფიის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ეთიკის დისციპლინის პოპულარობა იცვლებოდა. მიუხედავად ამისა, იგი მუდმივად იყო ადამიანური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ასპექტი. მართლაცდა, რა არის იმაზე მნიშვნელოვანი – ვიცოდეთ რას ნიშნავს მორალური ცხოვრება და ვისწავლოთ ცხოვრების დონის თვისებრივად და ხარისხობრივად ამაღლება. როგორც ალბერტ აინშტაინი ამბობდა: „ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური ძალისხმევა მორალური ქცევების სკენაა მიმართული. მხოლოდ მორალური ქცევა ანიჭებს ცხოვრებას მშვე-

ნიერებასა და ლირსებას.“

### **პაზისური მეტაეთიკური ცნებები-სიკეთე, სინდისი, მოვალეობა**

სიკეთე ცენტრალური ეთიკური კონცეპტია. იგი დადებითი მორალური ღირებულებების მახასიათებელია და ადამიანის მიერ კეთილმოსილებათა შექმნის დაუინტერესებელ, გულწრფელ სწრაფვას გამოხატავს. ეს ტერ-მინი გამოიყენება იმის მიმართ, რაც ასოცირდება ბედნიერებასთან, სიხა-რულთან, სიყვარულთან, სიამოვნებასა და წარმატებასთან, რაც დადებით შეფასებას იწვევს. იგი ჰარმონიული არსებობისაკენ მიუძლვის ადამიანს. სიტყვა „სიკეთე“ რელევანტურია სიტყვისა „კარგი“ სიკეთე, მხოლოდ თა-ვისუფალი ნების მიერ შეიძლება განხორციელდეს. მისი მთავარი მახასი-ათებელი დაუინტერესებულობაა.

სინდისი ეს ტერმინი იმდენად ხშირად იხმარება ყოველდღიურ ცხოვრე-ბაში, რომ ბევრისთვის მას მნიშვნელობაც კი დაუკარგავს. აქვს კი ყველას სინდისი? დაბადებით დაჲყვება იგი ადამიანს, თუ მისი ფორმირება ხდება ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების ზემოქმედების შედეგად? ყველა ადამიანს ერთნაირი სინდისი აქვს? ეს მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გაირკევს, ვიდრე სინდისს ეთიკურის ველზე საიმედო გზამკვლევის როლს დავაკისრებთ. ამჯერად, მოკლე და ეთიკის სივრცეში ზოგადად მიღებულ თვალსაზრისს შემოგთავაზებთ. სინდისი ზნეობრივი მოვალეო-ბების დამოუკიდებლად ფორმულირების, საკუთარი ქცევების შეფასებისა და ზნეობრივი თვითკონტროლის რეალიზების უნარია. სინდისი მორალ-ური თვითცნობიერების ერთერთი გამოხატულებაა. სინდისის გამოვლენა ხდება როგორც რაციონალურად, ისე ემოციური განცდების ფორმით. იგი ერთად კრავს გონებას და ემოციას.

საგულისხმოა, რომ ანტიკურ ფილოსოფიაში არ არსებობს სინდისის აღმნიშვნელი სიტყვა. სოკრატეს შინაგანი დაიმონი აფასებს ქცევებს, მა-გრამ ეს არ ატარებს მორალური შეფასების ხასიათს. იგი უფრო მისანის წინასწარმეტყველებას გვაგონებს, ვიდრე სინდისის ხმას. მხოლოდ ქრის-ტიანობაში ფუძნდება სწავლება სინდისის შესახებ. მოციქული პავლეს ეპისტოლეებში ვხვდებით შეხედულებას სინდისის საფეხურებისა და ზრ-დის შესახებ. ამ თემას აღრმავებენ ეკლესიის მამები – იოანე ოქროპირი, ნეტარი ავგუსტინე, მოგვიანებით ევროპულ რეფორმაციაში თომა აქვინე-ლი, ანტონი ფლორენციელი, ბლეზ პასკალი, ფრანგი და გერმანელი გან-მანათლებლები. თანამედროვე ფილოსოფიაში ნიცშე საერთოდ უარყოფს სინდისის ტრადიციულ გაგებას და შემოყავს ორმაგი სინდის ცნება.

მოვალეობა გარკვეული ქმედების ალსრულების აუცილებლობაა. ადამიანის ქცევითი აქტივობაა, რომელიც განპირობებულია მორალური ღირებულების გატარების აუცილებლობით. მოვალეობის ალსრულების დროს ადამიანის თავისუფალი ნება შეზღუდულია ეთიკური პრინციპის შესრულების აუცილებლობით. სხვა სიტყვით, ადამიანის შინაგანი თავი-სუფლება იზღუდება გარედან სანქციონირებული იძულების წესით.

ამ კონცეპტებს ჩვენ უფრო ვრცლად კიდევ შევხვდებით მომდევნო თავში.

## §2. ეთიკური ლირებულების რაობა

ვიდრე უშუალოდ ეთიკური ლირებულებების ანალიზს შევუდგებოდეთ, უნდა გავარკვიოთ რას ვგულისხმობთ ზოგადად ლირებულების ტერმინის ქვეშ?

ადამიანისათვის ლირებულების მატარებელია მრავალი რამ: სიმართლისმოყვარეობა, სამართლიანობა, პატიოსნება, ახლობლების, სამშობლოსა და ზოგადად მსოფლიოს კეთილდღეობა. ასევე ლირებულია ბავშვები და მოხუცები, შვილები და მშობლები, კარგი სამეზობლო, ძველი მეგობრები, კარგი მუსიკა, იუმორი და მრავალი სხვა რამ, რაც არაა მორალური ლირებულების მქონე. აქ არ ვგულისხმობთ ამორალურს, არამედ უბრალოდ იმას, რასაც არ აქვს კავშირი ეთიკურთან, მორალურთან. ეთიკურ, მორალურ ლირებულებებთან.

ჭეშმარიტება, სიკეთე, სიწმინდე, სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერება, მშვენიერება – ყოველივე ეს, ფართო გაგებით აღებული, „ლირებულებაა“. ისინი ჩვენთვის მნიშვნელობენ, ჩვენთვის არიან ლირებულებითი ფასულობების მატარებლები, თუმცა არაფერს გვეუბნებიან თავად ლირებულების შესახებ. ფილოსოფობის იკითხავდა: რა აქვთ მათ საერთო, რა აქცევს მათ „ლირებულებათა“ მაგალითებად? ვიდრე, პასუხს გავცემთ, ჯერ „ლირებულების“ სამუშაო ცნება უნდა ვიპოვნოთ. ფილოსოფიაში ერთერთი გავრცელებული განმარტებით: ლირებულება არის ის, რაც არასებობს, მაგრამ მნიშვნელობს.

ჩვეულებრივ ლირებულებების კლასიფიკაცია ხდება ტიპებად. ესთეტიკურ ლირებულებებს საქმე აქვს ხელოვნებასთან, მშვენიერებასთან, ამაღლებულთან. მეცნიერულ ლირებულებებს საქმე აქვს ცოდნასთან, ჭეშმარიტებასთან, ექსპერიმენტთან და ა.შ. ეკონომიკურ ლირებულებებს საქმე აქვს წარმოებასთან, საქონელთან, საპაზრო ფასებთან. ინსტრუმენტალურ ლირებულებებს საქმე აქვს ტექნოლოგიების ეფექტურობასთან, სამუშაო ხელსაწყო-იარაღების სარგებლიანობასთან. ლირებულებების სხვა ტიპებიც არსებობს.

ეთიკური ლირებულებების სისტემაში ერთიანდება: სამართლიანობა, თანასწორობა, სათნოება, ლირსება, პატიოსნება, ზრდილობა, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა, ვალდებულება, გულმოწყალება, სიმართლისმოყვარეობა, გულკეთილობა, კეთილმოსურნეობა. ეთიკური ლირებულებები გვაკავშირებენ სამყაროსთან, არეგულირებდენ ადამიანის ურთიერთობას მაკრო და მიკრო კოსმოსთან.

ზემოთ ჩამოთვლილი ლირებულებების ტიპებისაგან გამოვყოთ ეთი-

კური ლირებულებები; მათი განსაკუთრებულობა ვლინდება იმაში, რომ მათ საქმე აქვთ ადამიანის არსობრივ მოთხოვნილებებთან, პიროვნულ ადამიანურ და ზოგადად ადამიანის ლეგიტიმურ მოღოდინებთან.

ეთიკური ლირებულებები ნაწილობრივად ემოციურ ხასიათს ატარებენ, ნაწილობრივად კი ფაქტებს ემყარებიან. მორალური ემოციები ჩვენი თვითობის ნაწილია, აუცილებელია მათი გათვალისწინება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ და ჩვენი ლირებულებები ფრაგმენტულად წარმოჩნდებიან. რამდენი არამორალური რეზულტატი მოყოლია მორალურ ფიქრს, მსჯელობასა და არჩევანს ემოციების აყოლის გამო.

შესაძლებელია მოხდეს ლირებულებების კოლიზია, შეჯახება. ქვემოთ ვიმსჯელებთ ლირებულებათა კონფლიქტების გადაჭრის სტრატეგიებზე.

### **ვიმსჯელოთ, მოვირგოთ ფილოსოფოსის როლი**

- რა არის ფილოსოფია, ეპისტემოლოგია, მეტაფიზიკა, ლოგიკა, ესთეტიკა? და რა აქვთ მათ საერთო ეთიკასთან და რითი განსხვავდება ეთიკა მათგან?
- რა არის მეტაეთიკა? რით განსხვავდება იგი ნორმატული ეთიკისაგან?
- როგორ ფიქრობ, ნებისმიერ ვითარებაში ზნეობრივად უნდა მოიქცე? დაასაბუთე შენი მოსაზრება. როგორ გგონია ადამიანი მორალური არსება?
- ეთანხმები თუ არა, რომ ეთიკური უეჭველად უნდა დაეფუძნოს სამართალს?
- მოყვანეთ მაგალითები თუ რაში ემთხვევა სამართალი ეთიკურს?

### **რას ნიშნავს ეთიკური მსჯელობა?**

**კითხვა:** რას ვუწოდებთ ლირებულების გამომხატველ წინადადებას?

**დეფინიცია:** წინადადებას, რომელიც გამოხატავს მორალურ ლირებულებით მსჯელობას და ახდენს მორალურ შეფასებს ნორმატული წინადება ეწოდება.

ეთიკური მსჯელობის დროს შესაძლოა ადგილი ქონდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. მოკლედ გავეცნოთ მათ.

**ობიექტივისტური versus სუბიექტივისტური ინტერპრეტაციები.** ობიექტივისტური ინტერპრეტაციის მიხედვით ნორმატული მსჯელობა „X კარგი კაცია“ გულისხმობს, რომ X-ს ახასიათებს ისეთი თვისებები, რომელიც ამ აზრის გამომთქმელის პიროვნული პრეფერენციების მიღმაა, ანუ არ არის დამოკიდებული მის სურვილზე, ან შეხედულებაზე. სუბიექტივისტური ინტერპრეტაცია ამის საპირისპიროდ გულისხმობს, რომ ეს მთქმელის პერსონული სურვილია, და იგი უპირატესობას ანიჭებს X-ს.

**შინაგანი versus ინსტრუმენტალური ღირებულებები.** ის რაც თავისთავად ღირებულია, ანუ ღირებულებას საკუთარ თავში ატარებს ეწოდება შინაგანად ღირებული, მაგალითად, სიკეთე, ბედნიერება, ღირსება, თავისუფლება, ჰარმონია, პატივი, მეგობრობა, პატრიოტიზმი, ტოლერანტობა, სიამოვნება, (მათი საპირისპირო ნეგატიურია – ბოროტება, ტკივილი, ტერორი, ზიზღი, ფრუსტრაცია, მარტობა, მტრობა, მონობა) ის, რაც სასურველია, როგორც სხვა რაღაცის მისაღწევად საჭირო რამ, ინსტრუმენტულად ღირებულად იწოდება. მაგალითებად მოვიყვანთ – ფულს, კრეატულობას, შესაძლებლობას, ცოდნას, უნარებს (მათი საპირისპირო ნეგატიურია – საღატაკე, გაუნათლებლობა, სისუსტე, არაკომპეტენტურობა, ეჭვიანობა). ზოგი რამ, მაგალითად ჯანმრთელობა, მშვიდობა, სიბრძნე ხშირად მიიჩნევა როგორც შინაგანად, ისე ინსტრუმენტალურად ღირებულად.

**აბსოლუტური versus რელატიური ღირებულებები.** როდესაც რაიმე, სოციალური შეთანხმების გამო, ინსტრუმენტალურად ღირებულია, მას რელატიურ ღირებულება ეწოდება. მაგალითად, მოწევის აკრძალვა ბარში, ან რესტორანში; სლენგით, ან ბარბარიზმებით საუბრის აკრძალვა საჯარო დაწესებულებებში, საღამოს დადგენილი საათის შემდეგ ხმაურის აკრძალვა, რაიმენაირი მოვლენის აღმნიშვნელი ღონისძიებისათვის დადგენილი საათების დაწესება და ა.შ. ისინი ინსტრუმენტულად ემსახურებიან საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, პირადი საკუთრებისა და საზოგადოების პატივისცემას. როდესაც რამე ღირებულია თავისთავად, ამა თუ იმ საზოგადოებაში მიღებული წესებისაგან დამოუკიდებლად, აბსოლუტური ღირებულება ეწოდება. უსაფრთხოება, მშვიდობა, სიყვარული, პატივისცემა, პერსონული თავისუფლება, და ა.შ. აბსოლუტური ღირებულებებად უნდა მივიჩნიოთ.

**გამართლება versus სინანული.** ზოგჯერ ადამიანი ცდილობს გაამართლოს საკუთარი ქცევა, ასაბუთებს მას, როგორც სასიკეთოს. მაგრამ თუ ადამიანი აცნობიერებს, რომ არ მოიქცა ზნეობრივად, რომ მისი საქციელი მცდარი იყო, იგი ნანობს მას და ბოდიშის იხდის.

### **ორი ტიპის - „არის“და „უნდა“-ს შემცველი მსჯელობები**

თავდაპირველად შეგახსენებთ, რომ დესკრიპტულ მტკიცებულებას საქმე აქვს აღწერასთან, ანუ იმასთან რაც „არის“; მაგ. გიორგიმ ბევრი „შპარგალეკა“ მოამზადა კოლოკვიუმისათვის.

არსებობს მეორე ტიპის მტკიცებულება – პრესკრიპტული. მას საქმე აქვს ღირებულებით შეფასებებთან. ის გვეუბნება რა „უნდა იყოს“. მაგ., გიორგიმ არ უნდა გადაიწეროს კოლოკვიუმზე.

ეთიკაში მტკიცებულებები უმტესად პრესკრიპტულ ხასიათის ატარე-

**ბენ. დესკრიპტული მტკიცებულებანი დამხმარე როლს ასრულებენ.**

მხოლოდ მორალური ღირებულებება დამავალდებულებელნი, მხოლოდ ისინი არიან დატვირთული მოთხოვნით - „უნდა!“ მორალური ღირებულებები თავისი ბუნებით მოითხოვენ, რომ ყველა სხვა ღირებულებასთან შედარებით უპირატესობა სწორედ მათ მიენიჭოთ. მორალური გადაწყვეტილების მიღებისას, დესკრიპტული მტკიცებულებით გამოხხატავთ აზრს სამყაროს, ადამიანის, გარემოს შესახებ; ამასთან ერთად პრესკრიპტულ მტკიცებულებებით ხდება შეფასება მორალური ღირებულებების მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გზა დესკრიპტული მსჯელობიდან პრესკრიპტულისკენ არ არის პირდაპირი, ანუ მტკიცებულება „არის“ არ შეიძლება პირდაპირ გარდავქმნათ „უნდად“. მორალური ღირებულებები: „არ იცრუო“, „არ ავნო“, „იყავი გულმოწყალე“ და სხვ. აუცილებლად უნდა მოვიხმოთ, როდესაც გვსურს მართებულად მოვიქცეთ. როდესაც ინდივდი ცდება, მორალურად არ იქცევა, ვერ, ან არ აკეთებს სწორ მორალურ არჩევიანს და შემდეგში ამაზე ნანობს. ეს მორალური ტრაგედიაა.

ეთიკური არგუმენტების გაცნობიერება, ზოგადად, მორალური ცოდნა ეხმარება ადამიანს თავიდან აიცილოს მორალური შეცდომები. ეთიკური არგუმენტები შესაძლოა განსხვავებული სახის მტკიცებულებებს შეიცვალნენ. მათი ჭეშმარიტება/ მცდარობა შესაძლოა ეფუძნებოდეს მეცნიერულ დაკვირვებასა და გრძნობებზე დაფუძნებულ ემპირიულ ფაქტებს, ტერმინის ლექსიკურ დეფინიციას. ასეთი მტკიცებულებები დესკრიპტულია. განსხვავებულია წინადადებები, რომლებიც მორალური ჭეშმარიტების მომცველ მტკიცებულებებს გამოხხატავენ. წინადადება – „ცუდია სხვა ადამიანების შეწუხება, საკუთარი გართობის ხარჯზე“ – პრესკრიპტულია, ანუ მორალური მტკიცებულების მაგალითია. სხვადასხვა წინადადებებმა შესაძლოა ერთიდაიგივე მტკიცებულება გამოხხატონ. მაგალითად, წინადადებები- „ბოროტებაა ბავშვების წამება“ და „torturing children is wrong“ ერთიდაიგივე სახის მტკიცებულებაა, რადგან ერთიდაიგივე ღირებულებით შეფასებას გამოხხატავს, თუმცა სხვადასხვა ენაზე. იგი შესაძლოა რიტორიკული შეკითხის ფორმითაც გამოჩნდეს.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ერთ წინადადებაში შესაძლოა შეგვხვდეთ სხვადასხვა სახის მტკიცებულებანი. მაგალითად, რენე დეკარტეს ცნობილ cogito-ს არგუმენტი, ერთ წინადადებაში: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ – გამოითქვა ორი მტკიცებულებით: „ვაზროვნებ“ და „ვარსებობ.“

### **რას ნიშნავს ეთიკური ქცევა?**

ბევრი ეთიკოსი მიიჩნევს რომ ეთიკური მსჯელობა მორალურ ქცევასთან არის კორელაციაში. ზოგი კი პირიქით, თვლის, რომ მათ შორის არ არსებობს არანაირი კორელაცია. ეს კვლევები გვაფიქრებინებს, რომ ეთიკური მსჯელობა არ არის ერთადერთი დეტერმინანტი, ან კომპონენტი მორალური ქცევისა. ეთიკურ მსჯელობაში დახელოვნება თავისთავად არ არის გარანტია იმისა, რომ ადამიანი მორალურად მოიქცევა. ადამიანი ყოვ-

ელთვის ლოგიკური გონებით არ ხელმძღვანელობს, და ხშირად გვერდზე დებს მორალურ პრინციპებს. ეთიკური ქცევა კომპლექსური ფენომენია და ერთი მახასიათებლით მისი წარმოდგენა არ იქნება მართებული. შეიძლება გამოყოფით მისი ამგები სამი კომპონენტი: თავისუფალი ნება, მორალური მოტივაცია და ავტონომიური ეთიკური მსჯელობა. ეთიკურად შეიძლება ჩაითვალოს ქცევა, რომლიც ემყარება ადამიანის მიერ ავტონომიური ეთიკური მსჯელობის შედეგად მოტივთა შორის განხორციელებულ თავისუფალ არჩევანს.

მნიშვნელოვანი მომენტია ასევე პიროვნების ე.წ. მორალური სენსიტიურობა, ანუ ის თუ როგორ არის ადამიანში განვითარებული თანაგრძნობის უნარი. მორალურად სენსიტური ადამიანები ყოველთვის მზად არიან დაეხმარონ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს, ზოგადად ცოცხალ არსებებს, ბუნებას. ყოველგვარი პირადი სარგებლის გარეშე დახმარების ხელი გაუწიოდონ უსახლკარო, სოციალურ იზოლაციაში მყოფ, ღატაკ ადამიანებს. მაგალითად, დედა ტერეზა სხვათა ტანჯვისა და გაჭირვების მიმართ მაღალი დონის სენსიტივობით ანუ თანაგრძნობით გამოირჩეოდა. 2015 წლის 13 ივნისს თბილისის ტრაგედიის (წყალდიდობის) დროს გამოჩნდა უამრავი მაღალი თანაგრძნობის მატარებელი ადამიანი.

ეთიკური ქცევის აგებისას ყველა კომპონენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეთიკური ქცევა ვერ შედგება თუ ერთერთი კომონენტი უგულვებელყოფილია. სხვა სიტყვით, ეს კომპონენტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობენ.

### ვიმსჯელოთ, მოვირგოთ ფილოსოფოსის როლი:

1. ეთიკური სუბიექტივიზმი არაპროფესიონალ ფილოსოფოსებს შორის ყველაზე პოპულარული თეორიაა. თუ მორალი მხოლოდ პერსონული გრძნობის საქმეა, მაშინ გამოდის, რომ ადამიანი, რომელიც მორალურად არ არის სენსიტური, ნაკლები მორალური ვალდებულების მატარებელი იქნება, ვიდრე ის, ვისაც განვითარებული აქვს თანაგრძნობის უნარი. ეთანხმებით ამ თვალსაზრისს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.
2. მორალური გადაწყვეტილების მიღებისას რომელი კომპონენტი იქნება ყველაზე გადამწყვეტი? რომელია ყველაზე ძლიერი, და რომელი სუსტი?
3. ჩამოთვალეთ ის ღირებულებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია თქვენთვის, რომელია ნაკლებად ფასეული? რატომ? როგორ მოქმედებენ ისინი თქვენს მორალურ მოტივაციაზე?
4. პლატონი თვლიდა, რომ რადგანაც ადამიანი ბუნებით გონიერი არსებაა, გონება საკმარისი პირობაა იმისათვის, რომ ადამიანს მიაწოდოს მოტივაცია აკეთოს სიკეთე – მოიქცეს კარგად. თუ ადამიანმა იცის რა არის კარგი, იგი იქნება კარგი. პლატონს სწამდა, რომ

ცუდი ქცევა მხოლოდ უცოდინრობის შედეგია. ამის საპირისპიროდ დევიდ ჰიუმი, თვლიდა, რომ ეთიკურის აგებაში უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გრძნობები.

5. რატომ იქცევით მორალურად? თქვენი პასუხის იღუსტრაციას ეცადეთ მაგალითებით საკუთარი გამოცდილებიდან.
6. თქვენი აზრით არსებობენ თუ არა დღეს გმირები? რა ნიშნებით დაახასიათებდით მათ? უბრალოდ გმირი, თუ მორალური გმირი?
7. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტები აიძულებდნენ ებრაელებს ეტარებინათ დავითის ყვითელი ვარსკვლავი. დანის მეფემ გამოაცხადა, რომ იგი პირველი დაიმაგრებს ამ ვარსკვლავს. დანიელებმა მყისიერად მიბაძეს მეფეს. დანიიდან ებრაელების დეპორატაცია შეუძლებელი გახდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია მმართველი პიროვნების როლი მორალურად სწორი არჩევანის გაკეთებაში?

### §3. თავისუფლება

**კითხვა:** კაუზალობის აღიარების შემთხვევაში, როგორ გავამართოთ და მორალურ ქცევაში თავისუფალი არჩევანის არსებობას?

**დოლება:** ეს პრობლემური საკითხია. თუ ადამიანი არ არის თავისუფალი, მას ვერ მოვთხოვთ პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედების გამო. მაგრამ თუ თავისუფალი არჩევანი უმიზებო მოვლენაა, მაშინ კაუზალობის უნივერსალური პრინციპი, რომელსაც მეცნიერება ემყარება, არ ყოფილა ჭეშმარიტი.

თავისუფლებისა და კაუზალობის პრობლემა არ არის მორალის პრობლემა. იგი მეტაფიზიკურია. მაგრამ, იმდენად რამდენადაც საკითხი ეხება მორალური ქცევის აგებაში თავისუფალ არჩევანის როლს, მიზანშენონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ მას.

ამ საკითხის განხილვისას ძირითადად ორი – დეტერმინიზმისა და ანტიდეტერმინიზმის/ ლიბერტარიანიზმის სახელით ცნობილი სტრატეგია გამოიყოფა.

გავიხსენოთ რას ნიშნავს დეტერმინიზმი?-ესაა უნივერსალური კაუზალობა, ანუ იმის აღიარება, რომ ყველაფერს, რაც ხდება აქვს თავისი მიზეზი. ეთიკური ეგოიზმის თეორია დეტერმინიზმს უფუძნება. არსებობს სხვადასხვა ტიპები დეტერმინიზმისა. მათ შორის ჩვენი კონტექსტისათვის გამოყოფთ: ფატალიზმს, მკაცრი დეტერმინიზმისა და სუსტ დეტერმინიზმს.

ფატალიზმს სწავლის, რომ ყველა მოვლენა უპირობოდ და შეუქცევადად ფიქსირებული და წინასწარგანპირობებულია. ადამიანს არ ძალუდს მათი შეცვლა. ზოგჯერ მოვლენები კონტროლს არ ექვემდებარება, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის იმის საფუძველი, რომ მოვიქცეთ, ისე თითქოსდა

ყველაფერი კონტროლს გარეთაა. ფილოსოფოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს უვარებისი თეორიაა და სინამდვილეში ძალიან ცოტა ადამიანი იზიარებს მას. ქვემარიტი ფატალისტი არასდროს დაიცავს მოძრაობის წესებს, დაუფიქრებლად ითამაშებს „რუსულ რულეტს“ – ყველაფერი, ხომ წინასწარ განსაზღვრულია. ვერავინ და ვერაფერი შეცვლის იმას, რაც უნდა მოხდეს.

მკაცრი დეტერმინიზმი ამტკიცებს, რომ რადგანაც ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, თავისუფლება შეუთავსებელია დეტერმინიზმთან. ადამიანის არჩევანს თავისი მიზეზი აქვს. ამდენად, ისინი არასდროს არ არიან თავისუფალნი. უგუნურებაა დავაკისროთ პასუხისმგებლობა ადამიანს ქცევით აქტივობებზე, რადგანაც იგი არ არის თავისუფალი. ამდენად, ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს კონცეპტებით: ქცევის მოდიფიკაცია და პირობითობა.

კლასიკური ფორმის სუსტი დეტერმინიზმი ხაზს უსვავს ნების თავისუფლებას და ასევე იძულებისაგან თავისუფლებას. ამ თეორიის თანამედროვე წაკითხვა გულისხმობს თავისუფლებას, რაციონალური და არაიძულებითი არჩევანის აზრით. ამ თეორიის მომხრები მართალია აღიარებენ, რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ ამავდროულად უშვებენ ადამიანური არჩევანის არსებობასაც. ადამიანის არჩევანი ზოგჯერ, მაგრამ არა ყოველთვის, არის თავისუფალი. ეს არჩევანი ახსნადია და გათვლადიც. ამდენად, გონივრულია ამ სახის არჩევანისთვის მორალური პასუხისმგებლობა დავაკისროთ ადამიანს.

ანტიდეტერმინიზმი მიიჩნევს, რომ სამყაროში ყველაფერი არ ექვემდებარება კაუზალობის პრინციპს, რომ არსებობს შანსი და თავისუფლება. ამერიკული პრაგმატიული ფილოსოფიის ფუძემდებელი უილიამ ჯემსი ამბობს, რომ იგი ისურვებდა სიახლესა და სპონტანურობას სამყაროში, რომ სწორედ ეს ხდის ადამიანს ქვემარიტად თავისუფალ და შემომქმედ არსებად. ადამიანის მისწრაფება სიკეთისაკენ, ბოროტი საქმეების მიუღებლობა ნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს თავისუფალი. ადამიანის თავისუფალი აქტი გამოცდილების, ჩვევის, ტემპერამენტის, სურვილების, წინარე გამოცდილების, ცოდნის ნაყოფია. ყოველივე ეს ერთად შეკრული აფორმებს ადამიანის პერსონულობას, ანუ ხასიათს. თავისუფალი აქტები ნების პროდუქტია. სხვა სიტყვით ნების აქტებია.

### **პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლება**

ფილოსოფოსები ხშირად ხმარობენ ფრაზებს: „პოზიტიური თავისუფლება“ და „ნეგატიური თავისუფლება“, როდესაც დაობენ, მსჯელობენ პერსონული თავისუფლებებისა ან იძულების საკითხებზე. ტრადიციულად „ნეგატიური თავისუფლება“ განიმარტება, როგორც იძულებითი დასაზღვრულობისაგან თავის-უფლება, უფრო ფართოდ თუ ვიტყვით, იძულებით მდგომარეობაში არ ყოფნა. „პოზიტიური თავისუფლება“ ხშირად ხასიათება, როგორც საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების გატარება.

პოზიტიური თავისუფლების თანამედროვე კვლევები მას რაციონალური არსების მთავარ მახასიათებლად მიიჩნევენ, პრაქტიკაში იგი ითარგმნება, როგორც სხვების, განსაკუთრებით მთავრობის უფლებების ლიმიტაცია.

მეტაეთიკის სეგმენტში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ავტონომიის ცნების განმარტება თავისუფლებასთან მიმართებაში.

## ავტონომია

**კითხვა:** რა სპეციფიკური პირობებია საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს ავტონომიურ არსებად?

**პირობა:** ავტონომია არის იძულების გარეშე რაციონალურად ქმედება.

**ავტონომიისათვის საჭირო პირველი პირობა არის რაციონალური გადაწყვეტილების მიღება.**

გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია იყოს რაციონალური, თუ იგი გარკვეულ უცილებელ პროცედურულ ნაბიჯებს არ მიყვება. ესენია:

1. მიზნებისა და ამოცანების გამოყოფა და მათი დაჯგუფება პრიორიტეტულობის მიხედვით;
2. იმ ალტერნატული საშუალებების იდენტიფიცირება, რომლებიც მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება;
3. გარკვეულ გონივრულ დონემდე, ყველა შესაძლო მოსალოდნელი და მოულოდნელი შედეგების გათვალისწინება;
4. ამ შედეგების შეფასება;
5. იმ საშუალებების შერჩევა, რომელიც დაგვეხმარება მიზნის მიღწევაში და თავიდან აგვაცილებს მოულოდნელ შედეგებს;
6. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დამატებითი ალტერნატივების მოძიება;
7. გადაწყვეტილების შედეგად მიღებული რეზულტატის შეფასება, იმისათვის რომ მომავალში უკეთესი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.

გადაწყვეტილების მიღებას ვერ ვუწოდებთ რაციონალურს, ვიდრე ზემოთ მოყვანილი პროცესი არ იქნება დაცული ხელისშემშლელი შინაგანი და გარეგანი ფაქტორებისაგან. ამგვარ შინაგან ფაქტორებს მიეკუთვნება: გადაჭარბებული ემოციონალიზმი, უყურადღებობა, ცრურწმენები, ინტერესის ნაკლებობა, დაბნეულობა, გულმავინყობა რელევანტური შესაძლებელი მონაცემების არცოდნა, მენტალური სიზარმაცე, კრეატიულობის ნაკლებობა, ნორმატული მსჯელობის შესრულების უნარის არ ქონა. გარეგანი ფაქტორებია: სხვადასხვა გასართობები, რელევანტური მომაცემების მიმართ მოურგებლობა, სრული უმეცრება, ან განათლებისა და წვრთნის უარყოფა, არაზუსტი ინფორმაციის მიღება, დროისა და ენერგიის არასრულყოფილად გამოყენება.

**ავტონომიისათვის საჭირო მეორე პირობა არის იძულების გარეშე**

## **გადაწყვეტილების მიღება.**

- გადაწყვეტილებას ვერ ვუწოდებთ იძულების გარეშე მიღებულს თუ:
1. არსებობს საკმაო რესურსი, რომლის გარეშეც სპეციფიკური ალტერნატივები ვერ განხორციელდება. იგულისხმება: დრო, ადამიანური რესურსი, შანსი, კომუნიკაციები და ა.შ.
  2. არ არსებობს ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და ა.შ ბარიერები;
  3. არ არსებობს ბუნებრივი, ან შემთხვევის გამოისობით გამოწვეული უუნარობა. იგულისხმება გონებრივი ჩამორჩენა და მსგავსი მენტალური დაავადებები, სისუსტე, ავადობა, ნარკომანია, ან ალკოჰოლიზმია და სხვ.

## **§4. პასუხისმგებლობა**

**კითხვა:** რა კონცეპტუალური კავშირია პასუხისმგებლობასა და ავტონომიას შორის?

**თეზისი:** თუ თავისუფლების მორალური გაგება შეუზღუდავ, რაციონალურ არჩევანს გულისხმობს, მაშინ პიროვნების ავტონომიური ქცევა მორალური პასუხისმგებელობითაა დატვირთული.

ქცევის სუბიექტიდან გამომდინარე, განასხვავებენ – ინდივიდუალურ და ჯგუფურ, კოლექტიურ პასუხისმგებლობას.

ხოლო მიყენებული სანქციების რაგვარობიდან გამომდინარე, განასხვავებენ მორალურ, პოლიტიკურ, სოციალურ, იურიდიულ, და ა.შ. პასუხისმგებლობებს.

მორალური პასუხისმგებლობის გაგება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გვესმის თავისუფლება. მაგალითად, დეტერმინიზმში პასუხისმგებლობის შესაძლებლობაც კი გამორიცხულია. თავისუფლება პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პირობაა, ხოლო პასუხისმგებლობა, – თავისუფლების ერთ-ერთი, კერძოდ, ავტონომიის გამოვლენაა. ადამიანს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება და მოიქცეს საკუთარი შეხედულებებისა და სურვილების შესაბამისად, მაგრამ იგი ვალდებულია პასუხი აგოს ქცევის შედეგებზე, ხოლო საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგებით გამოწვეული ნეგატიური რეზულტატებისათვის სხვა არ უნდა დაადანაშაულოს. მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელესთან ვერ ვიპოვნით სპეციალურ ტერმინს „პასუხისმგებლობა“, იგი საკმაოდ სრულად ხსნის პასუხისმგებლობის ფენომენს. ადამიანს, არისტოტელეს მიხედვით, ხელენიფება ჩაიდინოს როგორც ამაღლებული, ისე სამარცხვინო საქციელი; მასზეა დამოკიდებული რა ხასიათის ქცევას აირჩევს, რას მოიმოქმედებს. შესაბამისად მას ან სჯიან, ან ხოტბას ასხავენ – იმის მიხედვით თუ როგორ მოიქცევა.

პასუხისმგებლობა ვარაუდობს ადამიანის ინფორმირებულობას ქცევის პირობებსა და იმ მოთხოვნებზე, რომელიც მას წაეყენება. მაგრამ

უცოდინრობაც, რაზეც ასევე მიუთითებს არისტოტელე, შესაძლებელია მას ბრალეულობაში ჩაეთვალოს.

პოტენციურად ადამიანის პასუხისმგებლობა უსაზღვროა.

ექსისტენციალიზმში იგი „მთელს კაცობრიობაზე ვრცელდება“ (ჟ.-პ. სარტრი); მოქმედებს რა გარკვეული სახის ქცევით, ადამიანი ირჩევს საკუთარ თავში ადამიანს, რომელიც ისწრაფვის ბოლომდე აღასრულოს დაკისრებული მოვალეობა, ან გამოვლინდეს როგორც სრულიად თავისუფალი ადამიანი.

შეიძლება ცნებების – „პასუხისმგებლობა“ და „ვალდებულება“ ურთიერთჩანაცვლება?

ამ ცნებების ნიველირება შეცდომა იქნება. ქართული ენაში არაჩვეულებრივად არის გახსნილი ამ ორი ცნების შინაარსი. სიტყვა „ვალდებულება“ სხვისთვის ვალის გადახდაზე, გარეგან ფაქტორზე, კონტრაქტულ განზომილებაზე მიუთითებს; ხოლო „პასუხისმგებლობა“ – მიგვანიშნებს იმაზე, რომ შინაგან სამყაროში მიმდინარეობს სინდისის სამსჯავრო, კითხვა-პასუხის უხილავი დიალოგი, რომელშიც იბადება პიროვნება – ზნეობრივი სუბიექტი.

რაც შეეხება „ვალდებულებას“, იგი ფართე გაგებით მოვალეობის სინონიმია.

### **არგუმენტი - ავტონომია მოიცავს პასუხისმგებლობას.**

გამონათქვამი, რომ არჩევანი არის თავისუფალი, ნიშნავს, რომ იგი რაციონალურია და ზენოლის გარეშე მიიღება. ნებისმიერი ქცევა, რომელიც რაციონალურია და შეუზღუდავი, დეფინიციის მიხედვით, ავტონომიურია. უმართებულოა მორალური პასუხისმგებლობის დაკისრება, თუკი ადამიანის არჩევანი თავისუფალი არაა. ამგვარად, თუკი ადამიანი ავტონომიურად მოქმედებს, იგი პასუხისმგებლობასაც ატარებს საკუთარი ქცევის გამო.

ამ კონცეფციას რადიკალურად უარყოფს მაქს შელერის მეტაფიზიკური ეთიკა. მას მორალის წყაროდ მიაჩნია სპონტანური შემოქმედებითი ემოციის a priori, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია გონების a priori-საგან და სოციალური ფორმებისაგან. მორალური აქტი არის დიადი პლასტიკური სკულპტორი, რომელიც ქმნის უნიკალურ ღირებულებით ქვალიტეტებს (თვისებრიობებს). ამ თემას შევეხეთ მეტაფიზიკაში (იხ. ნაწ. II, თავი II, ჭ 3).

### **მკაცრი დეტერმინიზმი versus ანტიდეტერმინიზმი**

მკაცრი დეტერმინიზმის პოზიციის ადვოკატმა შესაძლოა თქვას: „გამოთქმული დებულება მოიცავს იმგვარ პირობებს, რომლებიც მეტისმეტად მკაცრია. შეუძლებელია არსებობდეს იმგვარი ვითარება, სადაც ვინმე შესძლებს დააკმაყოფილოს ორივე პირობა – რაღვანაც კაუზალობას ვერავინ გაექცევა. ადამიანი მხოლოდ იმგვარად იქცევა, როგორც სინამდ-

ვილეში მოიქცეოდა ნებისმიერი სხვა.“

ანტიდეტერმინისტს საწინააღმდეგო არგუმენტი: გამოთქმული დებულება მეტისმეტად სუსტია. მოქმედებამ შესაძლოა დააკმაყოფილოს ორივე პირობა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყოს რეალურად თავისუფალი, ანუ არაკაუზალური. (უმიზეზო). პიროვნება არ არის მორალურად პასუხისმგებელი არათავისუფალი ქცევის გამო, იმ შემთხვევაშიც, თუ ავტონომიურობა დამაკმაყოფილებელია.

**არგუმენტი – ავტონომია არ მოიცავს პასუხისმგებლობას.**

პიროვნებას შეუძლია იყოს რაციონალური და შეუძლია გადადგას ნაბიჯები, რომ გახდეს უფრო მეტად რაციონალური. პიროვნებას ასევე შეუძლია პრობლემის გამოყოფა და პოტენციური შემაფერხებლების გვერდის ავლით რაციონალური გადაწყვეტილების პოვნა. ამგვარად, პიროვნების პასუხისმგებლობაა ავტონომიურობის მოპოვება და შენარჩუნება. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ პიროვნების ქცევა არ არის ავტონომიური, ეს მას არ ათავისუფლებს მორალური პასუხისმგებლობიდან.

თუ ეს არგუმენტი ლოგიკურად გამართულია, ხოლო მსჯელობის წინაპირობები ჭეშმარიტი, მაშინ ადამიანებს უნდა დავაკისროთ პასუხისმგებლობა, იმის გამო, რომ ვერ მიაღწიეს ცხოვრებისეულ წარმატებებს, რაციონალურად ვერ გამოიყენეს შესაძლებლობები.

თუ ეთიკა არსებობს, მაშინ პერსონული პასუხისმგებლობაც უნდა არსებობდეს, და თუ პერსონული პასუხმგებლობა იარსებებს, მაშინ ადამიანმა უნდა შესძლოს აღიაროს თავისუფალი არჩევანის ნება, როგორც მიზეზი საკუთარი ქცევისა.

### **მოვირგოთ ფილოსოფოსის როლი და ვიმსჯელოთ:**

1. როგორ დაიცავთ თეზისს – ავტონომია მოიცავს პასუხისმგებლობას კრიტიკული თავდასხმებისგან? ეცადეთ მოიფიქროთ კიდევ სხვა საწინააღმდეგო არგუმენტი.
2. წარმოიდგინე რომ მკაცრი დეტერმინისტი ხარ და უპასუხე კითხვას: საჭიროა თუ არა მოტივთა დამოწმება, როდესაც ქცევას ვაანალიზებთ? იმსჯელეთ იმავე საკითხებზე ანტიდეტერმინიზმის პოზიციიდან.
3. აქვს თუ არა მთავრობას უფლება შეზღუდოს მოქალაქეთა თავისუფლება: ინფორმაციის შეზღუდვით, არჩევანის იძულების წესით მიღებით? სცადეთ დაასაბუთოთ პოზიცია.

## თავი 2

### ნორმატიული ეთიკა

#### §1 ნორმატიული პრინციპი და ნორმატიული ეთიკის სტრატეგიები

ფილოსოფოსთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მორალი შედგება მორალური ღირებულების მატარებელი ზუსტად განსაზღვრული ქცევის წესების, ნორმების, ანუ ფორმულების ერთობლიობისაგან, როგორიცაა „არ იცრუ“, „არ მოკლა“, „არ მოიპარო“ და სხვ. ეს ნორმები ჩვეულებრივ გარკვეულ სისტემას ქმნიან. ნორმატიული ეთიკა ადამიანისაგან მოითხოვს ქცევის ნორმების სისტემურ ცოდნას და საკუთარი ქცევების მათდამი დამორჩილებას.

ნორმატიულ ეთიკას საქმე აქვს მორალურ სტანდრტებთან, რომელნიც არეგულირებენ სწორ და მცდარ ქცევებს. გარკვეული აზრით, ეს ვითარება შეიძლება შევადაროთ გასაღების ძიებას იმ ტესტის ამოსახსნელად, რომელიც ზუსტ არჩევანს გაგვაკეთებინებს და ზნეობრივად გამართულ, სწორ ქცევას აგვარჩევინებს.

ნორმატიული პრინციპის მაგალითია ოქროს წესი: „მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა რომ მოგექცენ შენ“. ვთქვათ, თუ არ მინდა, რომ მანქანა მომპარონ, მეც არ უნდა მოვპარო სხვას. თუ მინდა, რომ დამაპურონ, დახმარების ხელი გამომიწოდონ გაჭირვებაში, უნდა დავეხმარო გაჭირვებულს, მშიერი დავაპურო, მწყურვალს წყალი მივაწოდო. მსჯელობის ამ ფორმულის გამოყენებით შესაძლებელია თეორიულად განვსაზღვროთ, თუ რამდენადა ესა თუ ის ქცევა სწორი, ან მცდარი. ოქროს წესის მიხედვით მოტყუება, მკვლელობა, დასმენა, წამება, ცილისწამება მცდარი ქცევებია.

არსებობენ იმგვარი ნორმატიულ თეორიები, რომელნიც აღიარებენ, რომ მორალური მსჯელობა უნდა აიგოს ერთადერთი აბსოლუტური პრინციპით; მან უნდა განსაჯოს ყველა ქცევა. სხვა სახის ნორმატიული თეორიები აღიარებენ ორი, ან მრავალი მორალური ღირებულებების მატარებელი პრინციპის, ან მორალური ნორმის ერთობლიობას.

თეორიას, რომელიც გადმოსცემს ღირებულებით მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, ეწოდება ნორმატიული.

#### ნორმატიული ეთიკის თეორიული სტრატეგიები

ნორმატიული ეთიკის სამი ძირითადი სტრატეგია არსებობს; ისინი სათხოებათა, მოვალეობისა და ტელეოლოგიურ თეორიებში ვლინდება.

## სათნოებათა თეორიები

კითხვა: რას ნიშნავს „კარგი ცხოვრება“ და როგორ მივაღწიო მას?

სათნოებათა თეორიას არ აქმაყოფილებს იმგვარი მიდგომები, სადაც ეთიკური შეფასება ინდივიდუალურ ქცევებზეა მიმართული. მას მიაჩინა, რომ ეთიკა ტოტალურად უნდა დაკავდეს ადამიანის ცხოვრებით, ხოლო მოქმედებებისა და გადაწყვეტილების მიღების ანალიზი მისი საქმე არაა. ამ თეორიის მიმდევრებისათვის ცენტრალური თემაა „კარგი ცხოვრებაა“. აქ ათვლა იწყება ფორმალური დონიდან. ამ დონეზე ცენტრალური ღირსება ინტეგრაციაა. რაც ნიშნავს დაბალანსებული და ჰარმონიული ცხოვრების წესით ცხოვრებას.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ყურადღების მიმართვა დადებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალებება-განვითარებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ადა-მიანმა ასე ვთქვათ, „გემო გაუგოს“ მაგალითად, მოწყალების მოტივით განხორციელებულ ქცევას, და ის უცილობელ ჩვევად ჩამოუყალიბდება.

სათნოებათა თეორია ყველაზე ტრადიციულ სტრატეგიად ითვლება. ბერძნული ცივილიზაციის ეთიკური ხედვის ღერძი მას ეფუძნება. პლა-ტონი გამოყოფს 4 სათნოებას, რომელთაც მოგვიანებით ძირითადი სათ-ნოებები ეწოდა. ესენია: სიბრძნე, სამართლიანობა, სიმამაცე, თავშეკავება. ასე ვთქვათ, მეორე რიგის სათნოებანია: სიუხვე, მხნეობა, გულწრფელობა, თავდაჭერა, სიმშვიდე. პლატონი ხაზს უსვავს ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელობას. მას მიაჩინა, რომ სათნოებები ყმაწვილკაცობიდანვე უნდა იქნენ ჩანერგილი.

ამ სტრატეგიამ თავის მწვერვალს არისტოტელეს ეთიკურ მოძღვრებაში მიაღწია. მისი ეთიკის ძირითადი ნაწილი სათნოებათა შესახებ მოძღვრებას უკავია. არისტოტელეს მიხედვით, არსებობს ორგვარი სათნოება: დიანოე-თიკური და ეთიკური. პირველი სახის სათნოება წარმოიშობა და ხარისხის იმატებს სწავლის შედეგად. ეთიკური სათნოება ჩვეულების საფუძველზე წარმოიშობა და სახელწოდებაც აქედანვე აქვს მიღებული. სათნოება სულის შეძენილი თვისებაა და არა ბუნებით თანდაყოლილი. ადამიანებს შეუძლიათ მათი განუწყვეტელი სრულყოფა. არისტოტელეს მიხედვით, სათნოება ორ უკიდურესობას, ნაკლა და გადაჭარბებას შორისაა. მაგ-ალითად, გონიერება მდებარეობს თავაშვებულობასა და უგრძნობლობას შორის, სიმშვიდე – მრისხანებასა და სრულ ინდიფერენტულობას შორის, ხელგაშლილობა – მფლანგველობასა და სიძუნნეს შორის, სინდისი-მორცხვობასა და ურცხვობას შორის, მეგობრობა-მფრობასა და მლიქვნელობას შორის, სიმართლე-გაზვიადებასა და დამცირებას შორის, სიმამაცე-თავზეხელადებულობასა და სილაჩრეს შორის. შუალედის მიღწევა, ისევე რთულია, ამბობს არისტოტელე, როგორც წრის შუაგულის მიღწევა. სათ-ნოება იმ საქმის კარგად წარმართვის თვისებაა, რის სათნოებაც ის არის. არსებობს სულიერი და სხეულებრივი სათნოებები. სულიერს განეკუთვნება

გონიერება, სიბრძნე, სიამოვნება, სხვ. სხეულებრივია სილამაზე, ჯანმრთელობა, სიმდიდრე, ძალაუფლება, პატივი, სხვ. სათნოება გვხვდება ყველა კატეგორიაში: მაგალითად, არსების კატეგორიაში, ის არის გონება და ღმერთი, თვისების კატეგორიაში-სიკეთე, რაოდენობაში-ზომა, მიმართებაში-სარგებელი და ა. შ. არისტოტელე სათნოებას მჭიდროდ უკავშირებს მშვენიერს. მისი ტერმინი „კალოკაგათია“ ნიშნავს კეთილსა და მშვენიერს.

ზოგი სათნოება ყველასათვის მოსაწონია, ზოგი – არა. მაგალითად, სამართლიანობა მოსწონს ყველას, ხოლო სიმდიდრე, ძალაუფლება და სხვა ამგვარი, ყველას არ მოსწონს. სათნოება განსხვავდება როგორც მიზანი და საშუალება. მაგალითად, მიზანია ჯანმრთელობა, ხოლო საშუალება – წამალი, რომელსაც ვიყენებთ მის მისაღწევად. არისტოტელესათვის მიუღებელია პითაგორას შეხედულება სათნოების რიცხვზე დაყვანის გამო. იგი ასევე არ ეთანხმება სოკრატეს, რომლისთვისაც სათნოება ცოდნასთანაა გაიგივებული. არისტოტელე თვლის, რომ ამით სოკრატე სპოს სულის ალოგიკურ ნაწილს. მისი აზრით, კაცი შეიძლება იცნობდეს სამართლიანობის იდეას, მაგრამ არ იყოს სამართლიანი.

შუასაუკუნეების თეოლოგია იზიარებს სათნოებათა თეორიის სტრატეგიას. სათნოებათა ანტიკურ ჩამონათვალს ეს ეპოქა ამატებს რწმენის, იმედისა და მოწყალების სათნოებებს, მათ ამ ნუსხაში პირველი პოზიციები ენიჭებათ. ეს სტრატეგია დომინირებს ვიდრე XIX საუკუნემდე. XX საუკუნეში თავს იჩენენ ალტერნატული მიდგომები და ხედვები. თანამედროვე ფილოსოფიაში ინტერესს ამ სტრატეგიის მიმართ ვხვდებით ა. მაკკინტაირის ეთიკურ კონცეფციაში. მას მიაჩნია, რომ სათნოებანი სოციალური ტრადიციებით არის ნასაზრდოები და სოციალურ ცდაში იჩენს თავს.

## მოვალეობის თეორიები

მოვალეობის თეორიები მორალს აფუძნებენ ვალდებულების სპეციფიკურ, ფუნდამენტურ პრინციპზე. ამ თეორიებს ტრადიციულად **დეონტოლოგიურს** უწოდებენ. ეთიკურის თანამედროვე კვლევებში გვხვდება სახელწოდება-არაკონსიქვენციონალისტური. ადამიანთა უმრავლესობა გრძნობს, რომ მათ აკისრიათ სრულიად ნათელი რიგი ვალდებულებებისა. ვთქვათ, ზრუნვა მოხუცებულ მშობლებზე, მცირენლოვან შვილებზე, ობლად დარჩენილ ნათესავებზე ა.შ. დეონტოლოგიური სტრატეგიის მიხედვით, პრინციპები, რომელთაც ეფუძნება მორალი არ არიან დამოკიდებული გარემოებებზე. მისი ამოსავალი დებულება ფორმულირებულია შემდეგნაირად: „**ქცევა არ განისაზღვრება მისი შედეგით.**“

არსებობს ორი ძირითადი თეორია, რომელიც დეონტოლოგიურ სტრატეგიას აფუძნებს. მოკლედ გავეცნოთ თითოეულ მათგანს.

## **უფლებები და მოვალეობები**

**კითხვა:** რაში მდგომარეობს, ჩემი, როგორც პიროვნების, უფლებები და რა მოვალეობები მაკისრია?

**მტკიცებულება:** იმისათვის, რომ შევაფასოთ, რომელი ქცევაა მორალურად კარგი და რომელი ცუდი, მხედველობაში უნდა მივიღოთ ადამიანის ბუნებითი და კონვენციური უფლებები და მოვალეობები.

ამ მტკიცებულებაზე დაფუძნებულ დეონტოლოგიურ სტრატეგიას ეწოდება **უფლებათა თეორია**. ამ თეორიის მომხრეები თვლიან, რომ ადამიანს, როგორც პიროვნებას აქვს გარკვეული მორალური უფლებები, მაგალითად ისეთი, როგორიცაა სიცოცხლის და პიროვნული თავისუფლების უფლება. ისინი ბუნებითი არიან, ეს კი ნიშნავს, რომ მათი არსებობა დამოუკიდებელია სახელმწიფოს ნება-სურვილისა, თუ სოციალური შეთანხმებისგან. ეს უფლებები ბაზისურნი და ფუნდამენტალურნი არიან.

ადამიანს, როგორც სოციალურ არსებას ასევე აქვს უფლებები, რომელიც კანონისა და საზოგადოების მიერაა მიღებული, მაგალითად, უფასო საშუალო განათლების მიღების, კონტრაქტების დადების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიღების, სამეწარმეო ფირმის გახსნის, რიგიანი სამუშაოს მიღების და ა.შ. უფლებები. მათ კონვენციურს უწოდებენ. კონვენციური (მიღებული, შეპირობებული) და დაკავშირებულია იმასთან, თუ რა როლს ითამაშებს ადამიანი მოცემულ საზოგადოებაში. ამ ტიპის კანონები არ არიან უცვლელნი, მუდმივნი, აბსოლუტურნი, უნივერსალურნი.

ბუნებითი უფლებების შეცვლა, გვერდზე გადადება, ან დათმობა არ შეიძლება. როდესაც ადამიანი იყენებს თავის უფლებას, მისი ქცევა მორალურია, ხოლო როდესაც იგი სხვის უფლებებს არღვევს, მისი ქცევა ამორალურია.

როგორც წესი, **უფლებები და მოვალეობები** იმგვარად არიან ურთიერთდაკავშირებულნი, რომ ერთი პიროვნების უფლებები მოიცავს მეორის მოვალეობებს. მაგალითად, თუ მე მეკისრება უფლება მივიღო დავითისაგან ინტერნეტის გადასახადი 40 ლარის ოდენობით, მას აქვს მოვალეობა გადამიხადოს 40 ლარი. ამას უფლება-მოვალეობების კორელაციას უწოდებენ. არსებობს ე.წ. ჩაურევლობის კორელატური მოვალეობა. იგი დაკავშირებულია ყველა ბუნებით უფლებასთან.

ყველაზე პოპულარული და გავლენიანი გახლავთ XVII საუკუნის ბრიტანელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის უფლებათა თეორია. იგი ამტკიცებდა, რომ ბუნების კანონები გვავალდებულებს არ ხელვყოთ სხვა ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება. ლოკისათვის ეს ადამიანთა ბუნებითი უფლებებია, რომელიც უფლისმიერაა ნაბოძები. ლოკიანურ თვალსაზრისს ეფუძნება ამერიკული განმანათლებლობის მთავარი დოკუმენტი – ადამიანთა უფლებების ბილი, რომელიც საფუძვლად

დაედო შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციას. იგი თომას ჯეფერსონს ეკუთვნის. ჯეფერსონი სამ ფუნდამენტურ უფლებას აღიარებს. ესენია: სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ჯეფერსონი და ამ სტრატეგიის სხვა თეორეტიკოსები თვლიან, რომ ყველა სხვა სპეციფიკური უფლება: საკუთრების, აზრის გამოთქმის, დემონსტრაციის ჩატარების, რელიგიური სულისკვეთების გამოხატვისა და ა.შ. დაიყვანება ზემოთ მოყვანილ სამ ბაზისურ უფლებაზე.

ამგვარად, ამ სტრატეგიის ფარგლებში ადამიანის მორალური უფლებები ოთხი თავისებით ხასიათდებიან:

ა) ისინი ბუნებითი არიან, ანუ არ არიან ცალკეული ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის და ხელისუფლების მიერ შექმნილი და დაშვებული. ბ) ისინი არიან უნივერსალურნი, ანუ უცვლელი სახით გვხვდებიან მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. გ) ისინი არიან ერთნაირად მისაღები ყველა ადამიანისათვის: სქესის, რასისა და სოციალური სტატუსის მიუხედავად. დ) ისინი განუყოფელი არიან ადამიანისაგან, ანუ ცალკეული ადამიანის ბუნებითი ნაწილს წარმოადგენენ. ამის გამო, ადამიანს არ შეუძლია თავისი უფლებები გადააბაროს სხვას.

### კატეგორიული იმპერატივები

**კითხვა:** შესაძლებელია, რომ მორალური ქცევა, ვითარებისაგან დამოუკიდებლად იყოს თავისთავად კარგი?

**თეზისი:** ინდივიდის ქცევის მორალურობა განსაზღვრულია არა იმით, თუ რამდენად წარმატებულია მისი შედეგი, არამედ ქცევის ეთიკური შინაარსით.

მოვალეობაზე დაფუძნებული მეორე სტრატეგიის მთავარი არგუმენტი ამგვარად ულერს: ადამიანს აქვს უპირობო მორალური მოვალეობები! ადამიანის მორალური მოვალეობაა მოიქცეს უპირობო მორალური მოვალეობების შესაბამისად და თავი შეიკავოს ყველა იმ ქმედებისგან, რომელიც მორალურად მცდარია.

არსებობენ მოვალეობები, რომლებიც ა)სოციალური, ან სამართლებროვი შეთანხმების საფუძველზე აღმოცენდებიან, მაგალითად, ჩემი მოვალეობაა გადავუხადო ბანეს კრედიტი; ანდა ბ) გარკვეული მიზნის ან დასახული ამოცანის მისაღწევად, ჩემი მოვალეობაა მაგალითად, ვისწავლო და დავაგროვო 250 კრედიტი, იმისათვის რომ მივიღო ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ამ ტიპის მოვალეობებს ჰიპოთეტურ იმპერატივებს უწოდებენ. ისინი იქცნენ მოვალეობებად, რადგანაც რეზულტატის მიღწევის ინსტრუმენტად გვევლინებიან. მაგრამ მორალი არის კონცენტრირებული არა ჰიპოთეტურ, არამედ კატეგორიულ იმპერატივებზე. კატეგორიული იმპერატივები უპირობო ეთიკურ მოვალეობებს აგებენ, რათა ყველა შესაძლო ვითარებაში, ჩვენი მიზნების და ქცევის შედეგების მიუხედავად,

მოხდეს მათი გამოყენება.

ეს სტრატეგია დახვეწილ, სრულყოფილ ფორმას იძენს გერმანულ გამანათლებლობაში იმანუელ კანტის (1724-1804) ეთიკაში. მან გამოქვა კატეგორიული იმპერატივის სამი ალტერნატული ფორმულირება.

1. მიიღე გადაწყვეტილება საკუთარი ქცევების შესახებ, ისე თითქოს იმ წარმოსახვითი სამეფოს – მორალური კომუნის – კანონმდებელი ხარ, სადაც ადამიანები საკუთარ თავში მიზნისა და შინაგანი ღირებულების მატარებელნი არიან.
2. მოიქეცი ისე, რომ კაცობრიობა როგორც შენი სახით, ისე ყოველი ადამიანის სახით მიგაჩნდეს მიზნად და არასდროს საშუალებად.
3. მოიქეცი მხოლოდ იმ პრინციპების მიხედვით, რომელსაც ისურვებდი, რომ გამხდარიყო საყოველთაო კანონი.

უანგარო, დაუინტერესებელ, უმაღლესი ტიპის მორალს გონების მიერ დაფუძებული ნება ქმნის. რომლის მეოხებითაც იგება მოვალეობის აპსოლუტური/უნივერსალური პრინციპი. იგი ერთადერთი ფუნდამენტური და თვითკმარი პრინციპია, რომელსაც უნდა მისდიოს ადამიანმა. ყველაფერი ის, რასაც ჩვეულებრივ ვუწოდებთ “კარგს”, კანტის ტერმონოლოგით, კარგია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კეთილ ნებას უკავშირდება. სწორედ კეთილი ნება მიმართავს ადამიანს მოიქცეს ესე, როგორც უნდა მოიქცეს, და არა საკუთარი სიამოვნების, სურვილის, ან საკუთარ ინტერესის დასაკმაყოფილებლად. ბედნიერება სასურველია, მაგრამ გონება ვერასდროს მიაღწევს ბედნიერებას, მას მხოლოდ კეთილი ნების დაფუძნება შეუძლია.

და მაინც, რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს მორალურად სასარგებლო შედეგის მომტანი ქცევა? ამ გამოწვევას კანტი უმკლავდება მიზანსა და საშუალებას შორის განსხვავების მონახვით.

თუ ქცევა კარგია მიზნის მისაღწევად – ის სასარგებლოა, თუ ის კარგია თავისთავად – ის ზნეობრივია. ქცევის მორალური პრინციპი განსაზღვრავს შედეგს და არა პირიქით.

კანტის მიხედვით არსებობს მაქსიმათა, ანუ დაურღვეველ პრინციპთა რიგი; ესენია:

- იყავი მართალი
- იყავი პატიოსანი
- იყავი კეთილშობილი
- ფუჭად არ გაფანტო ნიჭი
- არ მოიკლა თავი
- იყავი მზად დასაჯო ყველა, ვინც სასჯელს იმსახურებს
- იყავი კეთილი ცხოველების მიმართ.

ამ სტრატეგიის მიხედვით მორალურ წესს გამონაკლისი არა აქვს.

იგი უნივერსალური და აბსოლუტურია. ყველა უნდა იყოს ზნეობრივი. ასეთია თვითონეული ადამიანის მოვალეობა. ყველა ვალდებულია იყოს მართალი და პატიოსანი. გარემოებებს არა აქვს მნიშვნელობა.

### ღვთაებრივ მცნებათა თეორია

როდესაც მოვალეობის, იგივე დეონტოლოგიურ (არაკონსიკვენციალ-ისტურ) თეორიებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ყურადღება შევაჩეროთ ღვთაებრივ მცნებათა თეორიებზე.

**კითხვა:** ვინ შეიძლება იყოს ისეთი მორალური მითითებების, ბრძანებების ავტორი, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნება?

**მსჯელობა:** ღვთაებრივი არსების ბრძანებებს აბსოლუტური და უნივერსალური ბუნება აქვთ. მორალური აქტი შედგება, თუ ადამიანი შეასრულებს ამ ბრძნებებს.

ღვთაებრივ მცნებათა თეორიის მიხედვით, მორალის დასაბამი: არც კაუზალობაში, არც საკუთარი, თუ სხვათა ინტერესების შესრულებაში არ უნდა ვეძებოთ. საფუძველი მორალის უფრო „მაღალი“ სტანდარტშია, ვიდრე უბრალოდ ამქვეყნიური მოვლენები, არასრულყოფილი ადამიანური ბუნება, თუ ზოგადად მატერიალური სამყარო. იგი დაფუძნებულია ყოვლად კეთილი, ყოვლად ბრძენი ზებუნებრივი არსების ნებაზე. იგი ესაუბრება ადამიანებს და უთითებს მორალური ქცევის აუცილებელ პირობებზე, იმაზე თუ რა უნდა გააკეთონ და არა, იმისათვის, რომ ქცევა იყოს ზნეობრივი, ადამიანი უნდა მიჰყვეს ბრძანებებს და აკრძალვებს, რომელთაც უფალი უწესებს, ისე, რომ ქცევის შედეგებზე, საკუთარ ინტერესებზე და სხვ. არ დაფიქრდეს.

მორალის ერთადერთ საფუძვლად, ამ თეორიის მომხრეები თვლიან უზენაესი არსების მიერ ნაკარნახევ წესებს, ქცევის შედეგებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. წესები პირადაპირ მორალურ ბრძანებებს წარმოადგენენ. ქცევა, რომელიც დაფუძნებულია მათ აღსრულებაზე არის მორალური, და არა ის, თუ რა მოხდება, როდესაც წესები აღსრულდება. ამ თეორიის მომხრე იტყვის, რომ ადამიანმა უბრალოდ უნდა მიიღოს ნებისმიერი შედეგი, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს მის ქცევას.

ქრისტიანული ეთიკა მკაცრად ფილოსოფიურ ანალიზს ემყარება. გამოცხადებასთან იგი დაკავშირებულია იმდენად, რამდენადაც ემყარება და სრულად იღებს გამოცხადების მორალურ პარადიგმას, რომელიც დეკალოგშია გადმოცემული. „გიყვარდეს მტერი შენი!“ არის ის ფორმულა, რომელიც ქრისტიანულმა ეთიკამ შემოიტანა დასავლურ აზროვნებაში. ამასთან ისეთი ღირებულებები, როგორიცაა თანაგრძნობა, უშურველობა, სამართლიანობა, თავმდაბლობა და მორჩილება აგებს ქრისტიანული ეთიკის ჰორიზონტს.

## **ტელეოლოგიური თეორიები**

ტელეოლოგიურად (telos ლათ. მიზანი, საბოლოო, რეზულტატი) ორიენტირებული ნორმატული თეორიების მიხედვით მორალური ქცევა დეტერმინირებულია მხოლოდ ქცევის შედეგით. მორალურად ის ქცევა მიიჩნევა, რომლის მოსალოდნელი შედეგი ზნეობრივია. ტელეოლოგიური ნორმატული პრინციპები მოითხოვენ, რომ ქცევები პირველყოფლისა დაჯგუფდეს ქცევის მოსალოდნელი შედეგების ავ-კარგიანობის მიხედვით, შემდეგ უნდა გაითვალოს, თუ რამდენად გადასწონის კარგი შედეგები ცუდს; თუ კარგი შედეგების რაოდენობა მეტია, ქცევა მიიჩნევა მორალურად გამართლებულად. ამ თეორიებს ეთიკის თანამედროვე მკვლევარები **კონსიქვენციალისტურს** (consequence-შედეგი, რეზულტატი) უწოდებენ. ქცევის საბოლოო შედეგი არის მისი მორალურობის ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ეს თეორიები ძალზე პოპულარული იყვნენ XVIII საუკუნეში.

ამ სტრატეგიის შიგნით შეიძლება გამოიყოს სამი ქვეჯგუფი:

**ეთიკური ეგოიზმი:** ქცევა მორალურია, თუ მისი შედეგი მისაღებია მოქმედი სუბიექტისათვის.

**ეთიკური ალტრუიზმი:** ქცევა მორალურია, თუ თუ მისი შედეგი დადებითია ყველათვის, გარდა მოქმედი სუბიექტისა.

**უტილიტარიზმი:** ქცევა მორალურია, თუ მისი შედეგი ყველასათვის მისაღებია. არსებობს ამ სტრატეგიის უფრო გართულებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მიუხედავად წარუმატებელი შედეგისა, მცდელობაც კარგია, რადგან მას კარგი ზეგავლენა ექნება საზოგადოებაზე, ხალხი შეიტყობს ამ ქცევის შესახებ და სურვილი გაუჩინდება მსგავს სიტუაციაში ასევე მოიქცეს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტელეოლოგიური თეორია ფოკუსირდება ადამიანთა განსხვავებული ჯგუფების ქცევათა შედეგებზე.

ნამოვიდგინოთ სიტუაცია – მანქანით მიმავალი ქალი შეესწრო ავტოავარიას. მის თვალწინ მანქანა გადავიდა სავალი ნაწილიდან და რამოდენიმეჯერ ამოტრიალდა. შეწუხებულმა ქალმა თხოვა მძღოლს, გავჩერდეთ, ვნახოთ რითი შეგვიძლია დახმარებაო. ამ სიტუაციას შესაძლოა ქონდეს სხვადასხვა გაგრძელება.

- I. ვარიანტი: მძღოლი არ შეჩერდა და გზა განაგრძო. იგი ქალის უბნება  
– „თუ გავჩერდებით, შარია! საავარიო სიტუაციაზე პოლიცია მე დამადანაშაულებს.“ თუ ქალი ეთიკური ეგოიზმის პოზიციაზეა, მას ეს პასუხი დააკმაყოფილებს და იგი სრულად გაიზიარებს მძღოლის არგუმენტს. გადაწყვეტილება გზის გაგრძელების შესახებ, ამ ქალისათვის მორალურად სწორი არჩევანია.
- II. ვარიანტი: მძღოლის მიერ ქალის წინადადების გაზიარების შემთხვევაში, საქმე გვექნება ეთიკური ალტრუიზმის პოზიციასთან. ამ ვარიანტში პოლიციისაგან სავარაუდო საფრთხეების მიუხედავად, დაშავებულის ინტერესები იქნება გათვალისწინებული, მანქანის

გაჩერება და დახმარების აღმოჩენა მძლოლისა და ქალისთვის მორალურად სწორი არჩევანია.

- III. ვარიანტი: ამ სიტუაციაში მოსალოდნელი შედეგები ნათლად არ ჩანს. თუ ქალი დაიწყებს გათვლას, ასე ვთქვათ კალკულაციას, თუ როგორი ქცევა მოიტანს საუკეთესო შედეგს, რომელი იქნება მეტად მომგებიანი მისთვის, ან ორივე მხარისათვის, საქმე გვექნება უტილიტარიზმის პოზიციასთან. მორალური ამ შემთხვევაში არის გათვლილი, სასიკეთო შედეგზე ორიენტირებული ქცევა.

## §2. ეთიკური ეგოიზმი

**კითხვა:** შეიძლება ქცევის სახელმძღვანელო პრინციპად ჩაითვალოს თვით-ინტერესი?

**დაშვება:** ადამიანი ყოველთვის აკეთებს იმას, რაც უნდა. ეთიკური თეორია, რომელიც ამ მოცემულობას უარყოფს, უარყოფს ადამიანურ ბუნებას.

ეთიკური ეგოიზმი, როგორც ყველა ნორმატული ეთიკური თეორია, მოწოდებულია განმარტოს თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი. ამ თეორიის მიხედვით ადამიანმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ მისი პერსონული კეთილდღეობა და ინტერესი მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს.

ეთიკური ეგოიზმი სამი ფორმით იჩენს თავს:

1. ინდივიდუალური ფორმა-ყველა უნდა მოიქცეს ჩემი თვით-ინტერესის მიხედვით.
2. პერსონული ფორმა-მე უნდა მოვიქცე საკუთარი თვით-ინტერესის მიხედვით, ყურადღება არ ექცევა რა უნდა გააკეთოს სხვამ.
3. უნივერსალური ფორმა-ყველა ყოველთვის უნდა მოიქცეს საკუთარი თვით-ინტერესის მიხედვით.

ეს უკანასკნელი ყველაზე გავცელებული ვერსიაა ეთიკური ეგოიზმისა.

**არგუმენტები ეთიკური ეგოიზმის დასაცავად და მის სანინაალმდეგოდ**

ეთიკური ეგოიზმის ადვოკატი გვეტყვის, რომ ადამიანის ნებისმიერი ქცევა მოტივირებულია საკუთარი ინტერესებით და ეს ერთადერთი მოტივია, რომელიც ადამიანის ქცევას ამოძრავებს. რადგანაც, ეთიკური პოზიციები უნდა დაფუძნდეს იმაზე, თუ ფაქტობრივად რას აკეთებს ადამიანი, თვით – ინტერესზე დაფუძნებული ქცევა იქნება ბრძნული და მორალურად სწორი.

ამ თვალსაზრისის მოწინაალმდეგე ბუნებრივად უპასუხებს-ეთიკური ეგოიზმი, როგორც ნორმატული თეორია, უარყოფით ღირებულებით მსჯელობას მოიცავს. იგი თავკერძობისა და ადამიანის უმდაბლესი იმწუთიერი

ცხოველური სურვილების წამახალისტებელია. ეთიკურ ეგოისტად გატარებული ცხოვრება ადამიანს ჭეშმარიტად აუტანელად აქცევს. ამასთან, ხომ არსებობს ისეთი რამ, რაც გვსურს, მაგრამ მას შესაძლოა თვით-დესტრუქცია მოყვეს?! სულაც არ არის ბრძნული მოიქცე ისე, რაც საკუთრივ შენ მოგანიჭებს სიამოვნებას.

კამათს გააგრძელებს ადვოკატი: თვით-ინტერესი არ არის აუცილებლობით გაცნობიერებული აქტი. აზრიანი ადამიანი აღმოაჩენს გაცილებით უფრო დახვეწილ გზებს თვით – ინტერესის დაკმაყოფილებისათვის და მაგალითად, ისეთი ადამინური სათნობების ჩართვით, როგორიცაა თვით-კონტროლი და მოთმინება, იგი მიაღწევს მიზანს. მავანის გაცნობიერებული თვით-ინტერესში შესაძლოა მოექცეს მეგობრობის დამყარება, ახლობელთა კეთილგანწყობის მოპოვება. გაცნობიერებული თვით – ინტერესზე დაფუძნებული ქცევები ვერ იქნება თვით-დესტრუქციული სურვილების ასრულების წამახალისტებელი.

მაგრამ, განა შეიძლება ასეთი ადამიანი თანამშრომლობით პროცესში ჩაერთოს? იყოს კარგი მეგობარი? კარგი პარტნიორი? საიმედო თანამშრომელი? თანაც, ადამიანები ყოველთვის არ იქცევიან საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ხომ არსებობს ალტრუისტული მოტივებიც?

ადვოკატი – ადამიანი უბრალოდ ვერ მოიქცევა თვითინტერესის მოტივაციის გარეშე. თავის განირვაც და ალტრუიზმიც, რეალურად თვით ინტერესის გამო ჩადენილი ქცევებია. ფსიქოლოგიური შეუძლებლობაა ადამიანისათვის სხვაგვარად ქცევა. მაგალითად, ისტორიულად საზოგადოების გაჩენის წინაპირობად პრომიტული ადამიანების თვით-ინტერესი უნდა ჩაითვალოს. ბავშვების ქცევებს, თუ დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ მათ მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილება ამოძრავებთ. ამგვარად, სოციალურადაც და ინდივიდუალურ დონეზეც, ქცევის ძირებს თვით-ინტერესით მოტივირებულ აქტებში ვიპოვნით.

კრიტიკოს ოპოზიციონერს თავისი არგუმენტები ექნება. მათ შორის, განსაკუთრებით წონადია სოციალური და ინდივიდუალური ტრანსფორმაციების შესაძლებლობის უგულვებელყოფის არგუმენტი.

ეს დავა ფილოსოფიის ისტორიაში საინტერესო ფორმებს იღებს. ეთიკის ისტორიაში ცნობილია რამოდენიმე დიდი ფილოსოფოსი, რომელნიც აგებენ ეთიკური ეგოიზმის მწყობრ თეორიას. მაგალითად, ევროპულ აზროვნებაში თომას ჰობსი (1588-1679) მაკიაველის შემდეგ პირველი მოაზროვნეა, რომელიც სრულად წარმოადგენს ადამინური ბენების ინდივიდუალისტურ სურათს. იგი თვლის, რომ ადამიანი თავის საფუძველში ბუნებით ეგოისტია და შესაბამისად, ყველა ჩვენი ქცევა ეგოისტურადაა მოტივირებული. ბუნებით ეგოისტ ადამიანს, ერთხელ მაინც თუ ჩაუვარდება ხელში შემთხვევა, საკუთარი ინტერესისა და სურვილის დაკმაყოფილებისათვის, იქურდებს, მოკლავს, იცრუებს; ამდენად, ნებისმიერი ადამიანი შესაძლოა მეორე ადამიანის ეგოისტური კაპრიზების მსხვერპლად იქცეს. წმინდად

ეგოისტურად მოტივირებული ადამიანები, იღებენ მორალურ კანონებს და მასზე დაფუძნებულ სამართლებრივ კანონთა სისტემას. მათ ურჩევნიათ იცხოვრონ იმ საზოგადოებაში, რომელიც მორალურ-სამართლებრივი კანონებით იმართება. ეს კანონები მოიცავენ ისეთი ქცევების, როგორიცაა ქურდობა, მკვლელობა, ცილისწამება, შეცდომაში შეყვანა და სხვ. წინააღმდეგ მიმართულ აკრძალვებს. კანონთა სისტემა ცივილიზებულ საზოგადოებაში მოქალაქისათვის უსაფრთხოების გარანტია.

ჰობსი თვლის, რომ მხოლოდ ეგოისტური მიზნების გამო შეიქმნა სახელმწიფო თავისი სადამსჯელო ინსტიტუციებით, რომელიც სჯის ადამიანებს კანონების დარღვევისათვის. ჰობსის ეთიკური ეგოიზმის ვარიაცია „სოციალური კონტრაქტის“ თეორიის სახელითაა ცნობილი.

ჰობსის პოზიციას გონივრულ ეგოიზმისაც უწოდებენ. ამ ხედვას ვხვდებით ცნობილი თანამედროვე ამერიკელ ფილოსოფოსებთან დ. როულზთან და ა. რენდთან. გონივრული ეგოიზმის ფარგლებში მოქმედებს ურთიერთსარგებლიანობის პრინციპი. ამ პოზიციას იზიარებს ის ინდივიდი, რომელიც ჩართულია საერთო უფლებებისა და მოვალეობების სისტემაში, ანუ საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში.

ჩგონივრული ეგოიზმის მოტივთა საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ე.წ. „უბილეთო მგზავრის“ მაგალითს. რატომ არის უბილეთო მგზავრობა გასაკიცხი?

- კოლექტიური მოქმედების პირობებში, ერთი ადამიანის („უბილეთო მგზავრის“) ჩაურთველობა წარმოების პროცესში შეუმჩნეველია.
- კოლექტიური უმოქმედობის პირობებში, ერთი ადამიანის ძალისხმევა რეზულტატის მომტანი არ არის.
- კოლექტიურ საქმიანობაში ადამიანთა მცირე რაოდენობით ჩაურთველობა, მართალია საქმეს უშუალოდ ვერ გააფუჭებს, მაგრამ ურთიერთთანაბრძობის კლიმატს შეარყევს.

გონივრული ეგოიზმის იდეები, როგორც ზნეობრივად პრაგმატული ორიენტაცია, გავრცელებულია ადამიანთა ყოფით ცნობიერებაში.

ეთიკური ეგოისტი ამტკიცებს, რომ ადამიანი უკლებლივ ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ თვით-ინტერესის საფუძველზე მოქმედებს. ეს თეორია ემყარება მოტივების ანალიზს, რომლითაც მოქმედებს ადამიანი და არა იმას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი. ამგვარად, რამდენადაც ესაა თეორია ადამიანის მიმდინარე მოტივაციური პროცესების შესახებ, იგი ეთიკის მეცნიერული ინტერესის სფეროდან გადის. ლირებულებითი მსჯელობები ფაქტუალურ ვაკუუმში არ წარმოიშობა, მაგრამ რა დონეზე შეიძლება ჩაითვალოს ფაქტები რელევანტურად ლირებულებითი მსჯელობისათვის?

### §3. ეთიკური ალტრუიზმი

**კითხვა:** შეუძლია თუ არა ადამიანს მოიქცეს აბსოლუტურად უშურველად?

**მტკიცებულება:** „ცხადია, რომ ადამიანის ბუნებაში ჩადებულია განსაკუთრებული კანონები. ისინი აიძულებენ მას დაინტერესდეს სხვა ადამიანების ბედ-იღბლით, საკუთარი თავისთვის აუცილებელ რამედ, მხოლოდ მათი ბედნიერება მიაჩნდეს, თან არაფერს იღებდეს ამისგან, გარდა სიამოვნებისა, რომელსაც ანიჭებს მათი ბედნიერება“

ადამ სმითი. „მორალურ გრძნობათა თეორია“

ალტრუიზმი (ლათ. alter სხვა, სხვები) პირადი სარგებლისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი მოტივით განსაზღვრული ერთიკაა. ამ ცნებით აღინიშნება სხვების კეთილდღეობისათვის უშურველი, დაუინტერესებელი ზრუნვა. სხვათა ინტერესებისათვის საკუთარი სარგებლის, თვით-ინტერესის უგულვებელყოფა.

ეს ტერმინიცა და ცნებაც შემოიტანა ფრანგმა ფილოსოფოსმა ოგიუსტ კონტიმა (1798-1857). ალტრუიზმის პრინციპი კონტის მიხედვით არის „იცოცხლე სხვებისათვის!“ ამ ტიპის სტრატეგია დაინტერესებულია იმგვარი ქცევით და ადამიანის იმ აქტივობით, რომლის შედეგს მოაქვს სხვა ადამიანებისათვის სარგებელი. ესაა სუბიექტის მიერ თავისუფალი, საკუთარი ნებით განხორციელებული ქცევა. რელიგიური ფილოსოფოსი ვლად-იმერ სოლოვიოვისათვის, ალტრუიზმი ადამიანური ბუნების ერთადერთი გამოხატულებაა. თანაგრძნობაზე დაფუძნებული ალტრუიზმი, პიროვნების ზნეობრივი სოლიდარობაა სხვა ადამიანებთან („სიკეთის გამართლება“). ალტრუისტული ხედვა სოციალური პასუხსმგებლობის ნორმად გვევლინება იმ გაგებით, რომ იგი მოითხოვს ადამიანისაგან დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ნებისმიერ ადამიანს ყოველგვარი სარგებლის გარეშე. ალტრუისტული ქცევები საზოგადოების მიერ განსაკუთრებულად დადებითად ფასდება. ისინი მორალურ ჯილდოს საკუთარ თავში ატარებენ.

### §4. უტილიტარიზმის ტიპები

**კითხვა:** როგორ მოვიპოვოთ ობიექტური არგუმენტი ეთიკურ საკითხებზე მსჯელობისას?

**დაშვება:** ქცევა, რომლიც უდიდესი რაოდენობის ადამიანებისათვის უდიდესი სიკეთის მომტანია, უნდა ჩაითვალოს სხვა ქცევებთან შედარებით საუკეთესოდ.

უტილიტარიზმი ერთერთი უმინშვნელოვანესი ტელეოლოგიური ნორმატული თეორიაა. იგი სათავეს იღებს სიტყვიდან „utility“, რაც ნიშნავს

„სასარგებლოს“. უტილიტარიზმის მიხედვით, ქცევის მორალური ღირებულება განსაზღვრულია მისი რეზულტატით. მისი კლასიკური ფორმა ამტკიცებს, რომ ყოველთვის ისე უნდა მოვიქცეთ, რომ შედეგად დიდი რაოდენობის ადამიანებმა მიიღონ რაც შეიძლება მეტი სიკეთე. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ქცევა ემორჩილება სარგებლიანობის პრინციპს. კლასიკური უტილიტარიზმის მთავარი მიზანია, დაადგინოს ობიექტური საფუძველი, რომელიც რაციონალიზმის ფარგლებში გადაწყვეტს ღირებულებით საკითხს.

### **არგუმენტი უტილიტარიზმის დასაცავად.**

უტილიტარიზმის ადვოკატი საკუთარი პოზიციის დასაცავად იტყვის, რომ ზოგიერთი ვითარება უპრალოდ სჯობს სხვებს, ამას ნებისმიერი ადამიანი დაადასტურებს. ასევე იმასაც, რომ ამ ვითარებას ქმნის ქცევის რაგვარობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქცევის გათვლასთან. და რომ შესაძლებელი რაოდენობის კეთილი ქცევა ყოველთვის სჯობს ცუდს. და რაც უფრო მეტი ადამიანი მიიღებს სარგებელს ქცევის ამ რეზულტატიდან, გაცილებით უკეთესი იქნება ეს ქცევა სხვა ალტერნატულ ქცევებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, ადამიანი ყოველთვის უნდა მოიქცეს ისე, რომ მისი ქცევის შედეგად დიდი რაოდენობით ადამიანებმა მიიღონ სიკეთე.

ოპონენტი იკითხავს – სად არის ობიექტური კრიტერიუმი, რომელიც დაადგენს გარკვეული ვითარების უპირატესობას.

რაზეც ადვოკატი უპასუხებს, რომ ამგვარი კრიტერიუმი ადამიანის ცნობიერების შინაგანი ღირებულებებია – ე.წ. ღირებულებებში თავისთვის; მაგალითად, ბედნიერება და სიამოვნება სიკეთეა, მაშინ როდესაც უბედურება და ტკივილი ცუდია.

ოპონენტი – მაგრამ განა სიამოვნება და ბედნიერება ერთიდაიგივეა? რომელია უპირატესი? ცნობიერების რომელი მდგომარეობაა უმჯობესი?

ადვოკატი – უტილიტარიზმისათვის არჩევანისას ინდივიდუალური ავტონომია არის გადამწყვეტი. ზოგს რა ანიჭებს სიამოვნება, ზოგს-რა. ნებისმიერი ადამიანი თავისუფალია გადაწყვიტოს ცნობიერების რა მდგომარეობაა მისთვის უკეთესი. როდესაც ვლაპარაკობთ „სიკეთის უდიდეს რაოდენობაზე“ ვგულისხმობთ, რომ მორალური ღირებულებები უნდა დახარისხდეს და გაიზომოს, ზუსტად ისე, როგორც ეს ხდება კომერციაში, ინდუსტრიასა, თუ ადამიანური საქმიანობის მსგავს სფეროებში. უნდა შედგეს შეთანხმება სტანდარტებთან დაკავშირებით და ნათელიყოს გაზომვის პროცედურები.

ოპონენტი: როგორაა შესაძლებელი ინტენსივობის, ან უდაოს კალკულაცია? როგორ გავზომოთ ერთი ადამიანის მწერალება და როგორ შევადაროთ იგი მეორე ადამიანის სიხარულს? ხომ შესაძლებელია, რომ ჩვენი ძალისხმევისა და კეთილი ზრახვების მიუხედავად, ქცევის შედეგი არ

დადგეს, ისე, როგორც ეს იყო კალკულირებული/გათვლილი? რაზე გვეკისრება პასუხისმგებლობა: რაც რეალურად მოხდა, თუ რაც გავთვალეთ, მაგრამ არ მოხდა, ისე როგორც გავთვალეთ? გამოდის, რომ თუ რეზულტატი ცუდია, რა კეთილი განზრახვაც არ უნდა გვამოძრავებდეს, ჩვენ უზნეოდ მოვქცეულვართ?

უტილიტარიზმის ერთ-ერთი კლასიკური ვერსია იერემია ბენთამის (1748-1832) სახელთანაა დაკავშირებული. იგი უტილიტარიზმის არქიტექტორადაა მონათლული. ბენთამი ფიქრობს, რომ ადამიანი მუდმივად ითვლის ნებისმიერი ქცევის შესაძლო შედეგებს და შემთხვევიდან შემთხვევამდე ადგენს რომელი ქცევაა ზნეობრივად სწორი და რომელი მცდარი. ყოველი ეთიკური ქცევა განისჯება მისი შედეგების მიხედვით. ბენთამის თეორიის ეს ასპექტი ცნობილია აქტ-უტილიტარიზმის სახელით.

ბენთამი ასევე ამტკიცებს, რომ ადამიანი მუდმივად ზომავს ჩვენი ქცევების შედეგად მიღებულ სიამოვნებასა და ტკივილს. ბენთამის მიხედვით ბუნებამ კაცი ორი ბატონის ძალაუფლების ქვეშ მოაქცია – ესაა სიამოვნება და ტკივილი. ყველაფერი მართლდება იმით, თუ რას მოაქვს უფრო მეტი სიამოვნება, ვიდრე ტკივილი. ბენთამის თეორიის ამ ასპექტს ჰედონისტური უტილიტარიზმი ეწოდება. აქტ-უტილიტარიზმის მიხედვით, მორალურად მცდარია დროის უქმად ფლანგვა, მაგალითად განურჩევლად ყველა ტელეგადაცემის ყურება. ადამიანმა დრო უნდა დახარჯოს იმაზე, რასაც უფრო მეტი სოციალური სარგებელი მოჰყვება, ვთქვათ ქველმოქმედებაზე.

პრაქტიკულად იგივე პოზიციის ვარიაციაა ე. წ. წეს-უტილიტარიზმი, რომლის მიხედვით ქცევის ნორმა, ან წესი მორალურად სწორია, თუ ამ წესის დაურღვევლობა უფრო კარგ შედეგს გამოიღებს, ვიდრე შედეგები, რომლებიც წესის დარღვევას მოსდევს. აქტ-უტილიტარისტები, რომლებიც წონიან ყოველი ერთეული ქცევის შედეგებს, განსხვავდებიან წეს-უტილიტარისტებისაგან, რომლებიც გვთავაზობენ, რომ წესები არასდროს არ უნდა დაირღვეს, რადგანაც თავად დარღვევაა მცდარი. კაცობრიობა გამოცდილებით სწავლობს ქცევათა ტენდენციას. არსებობს საერთო მორალური წესები და ნორმები, რომლებიც წარმართავენ ადამიანის არჩევანს საზოგადოების სიკეთის მაქსიმალიზაციისაკენ, მაგრამ არცერთი წესი არ არის უნივერსალური, ყოველი წესი შეიძლება დაირღვეს უტილიტარისტული პრინციპის გამო, როდესაც გაცილებით დიდი სიკეთეა საფრთხეში.

წეს-უტილიტარისტული ვერსიის ავტორია ჯონ სტუარტ მილი (1806-1873). იგი ცდილობს შეაჯეროს ზემოთმოტანილი პოზიციები. ეს თვალსაზრისი იდეალური უტილიტარიზმის სახელითაა ცნობილი. იგი აღიარებს ეთიკური წესებისა და ნორმების არსებობას, მაგრამ ისინი თავისი ბუნებით უფრო ჰიპოთეტურნი არიან. ეთიკურ კანონს აქვს არა მეცნიერული კანონის, არამედ მეცნიერული პროგნოზის ბუნება. ეს უკანასკნელი ყოველთ-

ვის ნაკლებადაა შესაძლო. მაგალითად, მკვლელობა არ შეიძლება აღი-არებულ იქნეს უნივერსალურად მცდარ ქმედებად, ვინაიდან მკვლელობის საერთო უსარგებლობა შესაძლოა დამტკიცდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანთა უმრავლესობა მტკიცედ იდგება იმ აზრზე, რომ სიცოცხლე აზრიანია. არ არსებობს ქცევათა სახეები, რომლებიც უნივერსალურად მცდარია, არსებობს მხოლოდ ზოგადად მცდარი საგნები, რომლებიც პიროვნებამ, უტილიტარულ მიზეზთა გამო, ყოველნაირად უნდა აიცილოს თავიდან.

## § 5. სარგებლიანობა და პრინციპები

როგორც ზემოთ აღინიშნა ეთიკაში ერთმანეთს ებრძვის ორი პრინციპულად განსხვავებულ ეთიკურ პოზიცია – **ტელეოლოგიურ/ კონსიქვენციალისტური და მოვალეობის/დეონტოლოგიური.**

პირველი ემყარებიან ქცევის შედეგს. თვლიან, რომ მორალურობას განაპირობებს ქცევის სარგებელიანი რეზულტატი. პრინციპი უმნიშვნელო, ან სულაც არაანაირ როლს არ თამაშობს ზნეობრივი აქტის აგებაში. მათი საწინააღმდეგო, ე.წ. დეონტოლოგიური თეორიები, ხაზს უსვამენ მოტივის, მოვალეობის, უფლებებისა და პრინციპების უპირველეს მნიშვნელობას. ერთადერთი აბსოლუტური მორალური ღირებულება-კეთილი ნებაა. იგი არის სურვილი და გადაწყვეტილება, თავისუფალი არჩევანი მოიქცე სწორად, ანუ განახორციელო გარკვეული პრინციპები. ეს პრინციპები გონივრულია და ყველას შეუძლია მისდიოს მას. უფრო მეტიც, ეს თითოეული ადამიანის ეთიკური მოვალეობაა ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

როგორ განვსაზღვროთ ამ ორი პოზიციიდან რომელია მართალი? კონკრეტული ეთიკური სიტუაციების ანალიზის საფუძველზე ვნახოთ თუ როგორი არჩევანის, რა სახის რეკომენდაციის მოცემა შეუძლია თითოეულ მათგანს.

**მაგალითი პირველი,** რუმინეთში ცნობილი ქართველი მოღვაწე ან-თიმოზ ივერიელი შეიძყრეს იანიჩარებმა და მიჰყავდათ გადასახლებაში. გზად მათ მიიღეს ახალი ბრძანება, აღმოჩნდა, რომ არცერთმა არ იცოდა კითხვა და ანთიმოზ ივერიელს სთხოვეს წაეკითხა ბრძანება, რომელშიც ეწერა, რომ ანთიმოზისათვის თავი უნდა მოეკვეთათ და მდინარეში გადაე-გდოთ. რას ურჩევდა უტილიტარისტი? იგი ურჩევდა წერილის შინაარსი გადმოეცა მისთვის სასარგებლო კუთხით.

მაგრამ, ანთიმოზ ივერიელმა არ დამალა სიმართლე და იანიჩარებს გააცნო თავისი სასიკვდილო განაჩენი. ამ შემთხვევაში იგი მოიქცა დეონტოლოგიური ეთიკის თანახმად. არ დაარღვია პრინციპი: „იყავ მართალი, იყავ პატიოსანი, არ იცრუ“.

**მაგალითი მეორე.** ძია ვანომ, სიკვდილის წინ, თავის ძმისწულს, სან-

დროს ანდერძად დაუბარა თავისი ქონება 100 000 ლარი შესწიროს პრო-  
ვინციულ მუზეუმს. სანდრო ფიქრობს შეასრულოს თუ არა ბიძისათვის  
მიცემული პირობა. სანდრო ფიქრობს, რომ თანხის მითვისება ამორალური  
იქნება, მაგრამ ასევე ამორალური იქნება თუკი ბიძის მიერ დატოვებულ  
თანხას არ გადასცემს უპოვართა თავშესაფარს. ტელეოლოგიური ეთიკის  
მომხრე იტყვის: თუ უფრო სასარგებლოა სანდროს ვარიანტი, მაშინ მან  
არ უნდა შეასრულოს ბიძის ანდერძი, რადგანაც საავადმყოფოსათვის ფუ-  
ლის შეწირვა უფრო მეტ ბედნიერებას მოუტონს უფრო მეტი რაოდენობის  
ადამიანს და თანაც ბავშვს. დეონტოლოგიური ეთიკის მომხრე იტყვის:  
დანაპირების შესრულება ის პრინციპია, რომელიც უნდა შესრულდეს, რო-  
მელიც უნდა შესრულდეს ყველა შემთხვევაში მოატყუო მომაკვდავი ნიშ-  
ნავს ჩაიდინო საშინლად უზნეო საქციელი.

**მესამე მაგალითი.** ნარკომაფიას ქვეყანაში შემოაქვს ჰეროინის დიდი  
პარტია, რომელიც ბევრ ახალგაზრდას დაღუპავს. მაფიის ერთერთი წევრი  
პოლიციასთან დებს შეთანხმებას, რომ დასმენის სანაცვლოდ გათავი-  
სუფლებული იქნება პასუხისმგებლობისაგან და მოითხოვს შეწყალებას.  
ტელეოლოგიური ეთიკის მომხრე იტყვის: ასეთი შეთანხმება მორალურია,  
რადგან ამორალური იქნება მრავალი ახალგაზრდის ნარკოტიკით დაღუპ-  
ვა. დეონტოლოგიური ეთიკის მომხრე იტყვის: დამსმენი უნდა დაისაჯოს  
წარსულში ჩადენილი დანაშაულისათვის. მათი ლოზუნგია: „გაუმარჯოს  
პრინციპებს, თუნდაც დაინგრეს ქვეყნიერება!“

როგორც აღინიშნა, ადამიანის ზნეობრივი ყოფიერების სფეროს ახა-  
სიათებს დილემურობა. რეალურ ეთიკურ სიტუაციაში ადამიანი ყოველთ-  
ვის დგება რთული არჩევანის წინაშე. შესაძლებელია ზოგი ეთიკური  
გადაწყვეტილება ძნელი მისაღებია იმიტომ, რომ დეონტოლოგისტის და ტე-  
ლეოლოგისტის არგუმენტები თანაბარი ძალისაა. ეს არ ნიშნავს, რომ ეთი-  
კური დილემა არის გამოუვალი მდგომარეობა და გადაუწყვეტელი პრობ-  
ლემა. მისი გადაწყვეტის გზა ნაჩვენებია სახარებაში. ქრისტესთან მივდნენ  
ფარისეველნი და შეეცადნენ ეთიკური დილემის წინაშე დაეყენებინათ. ფარი-  
სევლებმა მოიყვანეს მრუშობაში წასწრებული დედაკაცი, რომელიც მოსეს  
სჯულის მიხედვით ჩაქოლვას იმსახურებდა. თუ დედაკაცი ჩაიქოლებოდა  
დაირღვეოდა „არა კაც კლას“ პრინციპი, ხოლო თუ არ დაისჯებოდა, მაშინ  
დაირღვოდა „არა იმრუშოს“ პრინციპი. ქრისტემ თქვა: უცოდველმა ესრო-  
ლოს პირველი ქვა, ბრძო მაშინვე გაიფანტა. დილემა მოიხსნა.

## ვიმსჯელოთ, მოვირგოთ ფილოსოფოსის როლი

1. დღეს სხვადასხვა საქმიანობაში ჩართულ ადამიანთა ჯგუფებს კორპორატული ეთიკური კოდექსი აქვთ. რა სახის მორალური ღირებულებები უნდა იყოს წარმოდგენილი ამ კოდექსში? რა საერთო შეიძლება ქონდეთ მათ? შესაძლებელია რომ ეთიკურ კოდში ჩართული იყოს მხოლოდ გარკვეული სახის მორალური ღირებულებები?
2. რაციონალური კომპრომისი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ღირებულებების რეალიზაცია ნაწილობრივია. მაგრამ ზოგი ღირებულების მიმართ კომპრომისი შეუძლებელია. რამდენად გამართლებულია კომპრომისების სტრატეგია?
3. ალან პაკულას გახმაურებულ ფილმში “სოფის არჩევანი” საკონცენტრაციო ბანაკში მყოფ მთავარ გმირს ნაცისტი ოფიცერი სთავაზობს არჩევანს ორი შვილიდან ერთიერთი იხსნას სიკვდილისგან. იმსჯელეთ აქვს თუ არა ამ სიტუაციაში ადგილი მორალურ დილემას?
4. უპასუხეთ კატეგორიული იმპერატივის კრიტიკოს: რამდენად შეიძლება ჩაითვალოს უპირობო მორალურ მოვალეობად, სოციალური შეთანხმების შედეგად აღმოცენებული მოვალეობები?
5. რატომ გონია კანტს, რომ ადამიანი უნდა მოიქცეს მოვალეობის გრძნობის და არა განწყობების მიხედვით? ახსენით მოვალეობასა და განწყობას შორის განსხვავება.

## თავი III

### გამოყენებითი ეთიკის სფეროები

#### § 1. გამოყენებითი ეთიკის სფეროები

გამოყენებითი ეთიკა ზოგადი ეთიკის ნაწილია. მისი ამოცანაა კონკრეტულ დარგობრივ სიტუაციებში წარმოშობილი სპეციფიკური, საკამათო, დაპირისპირებული მორალური საკითხების ანალიზი. გამოყენებითი ეთიკა ფართოდ იყენებს მეტაეთიკური და ნორმატიული ეთიკის მიდგომებს, მაგრამ ახდენს მათ თვისებრივად ახალ, სპეციფიკურ ინფორმაციად გარდაქმნას კონკრეტული დარგობრივი სიტუაციის საჭიროებისათვის. იგი ასევე ითვალისწინებს სოციოლოგიურ, პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კვლევის შედეგებსა და მიდგომებს.

გამოყენებითი ეთიკის ველზე არსებული საკითხები სპეციალიზირებულია და უფრო პრაგმატულად ორიენტირებული.

**გამოყენებითი ეთიკის სივრცეში გამოიყოფა:** ბიოეთიკა, სიტუაციური ეთიკა, საქმიან ურთიერთობათა ეთიკა და ე.წ. პროფესიული ეთიკები: სამედიცინო ეთიკა, ეკონომიკა, მედია ეთიკა, პოლიტიკური მორალის ფილოსოფია, მასწავლებლის ეთიკა, სამართლის ეთიკა, და ა.შ.

1. ბიოეთიკა განიხილავს ნორმებს ცოცხალი სამყაროს მიმართ.
2. სიტუაციური ეთიკა გამოიმუშავებს პრაქტიკულ რეკომენდაციებს კონკრეტული სიტუაციებისა და სფეროების მიმართ. ამ სფეროში შემოდის ეტიკეტი.
3. ბიზნეს ეთიკა მიზნად ისახავს გახსნას ბიზნეს საქმინობის ეთიკური და პოლიტიკური პრობლემები. იგი აერთიანებს ბიზნეს კულტურის, ბიზნეს ეთიკის და პოლიტიკურის მიმართების თეორიებს. მას აინტერესებს დამსაქმებელსა და დასაქმებულის მიმართების ეთიკური ასპექტები. თუ რა როლს უნდა თამაშობდეს სამართლიან საზოგადოებაში ბიზნესი და პოლიტიკა. რას უნდა ველოდიო ბიზნესისაგან, თუკი იგი გარემოსდაცვითი პრობლემებით და პუმანური ღირებულებებით დაინტერესდება.
4. ეკონომიკის პრობლემატიკა მოიცავს თანამედროვე დისკუსიებს, რომელიც ეხებიან ადამიანის ურთიერთობას ბუნებასთან და გარემოს ეკოლოგიურ კრიზისს. ცხოველთა უფლებები, ბიოცენტრიზმი, ეკოლოგია, ეკოფერმინიზმი, ბიორეგიონალიზმი, სოციალური ეკოლოგია და უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება-პრობლემათა ის რიგია, რომელიც აინტერესებს ეკოეთიკას. ეს დისციპლინა განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ეთიკური სამეტყველო ენის აგებაზე, იმ მიზნით, რომ პიროვნებამ შექლოს ადამიანისა და სხვა-ადამიანის გარეთ მდგარი სამყაროს ადექვატური

ინტერპრეტირება. იგი მიზნად ისახავს მაქსიმალურად გაარკვიოს საზოგადოება თანამედროვე ეკოლოგიის ზნეობრივ დილემებსა და კოლიზიებში, რომელნიც ბუნებისდაცვითი პრობლემების თანმდევი პროცესია.

5. მედია ეთიკის ამოცანაა თანამედროვე საინფორმაციო სივრცეში ადამიანის საქმიანობის ეთიკური პრინციპების, პრობლემებისა და დილემების შესწავლა. ასევე ინფორმაციის მიღება-გაცემაზე ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და მოვალეობების ცოდნა. ინფორმაციაზე ეთიკური კონტროლის ძირითადი ფორმების, მექანიზმებისა და მიმართულებების ანალიზი.
6. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის მიზანია: განათლების ფილოსოფიის ძირითადი პრინციპების კვლევა პედაგოგიური მოღვაწეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, პედაგოგის ზნეობრივი პრინციპების, ნორმებისა და ქცევის წესების, პედაგოგის საკუთარ საქმიანობასთან დამოკიდებულების ანალიზი. მას აინტერესებს პედაგოგის პასუხისმგებლობის საკითხი პედაგოგიური მოღვაწეობის პოლიფუნქციონალურ ხასიათთან მიმართებაში, პედაგოგის პიროვნული კონსერვატიზმის პრობლემა განიხილება მორალური ღირებულებების სპეციფიკისა და ზნეობრივი პროცესის კანონზომიერებათა ფონზე. პრაქტიკული ეთიკის ამ დარგს აინტერესებს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომელნიც გავლენას ახდენენ პედაგოგიური მოღვაწეობის მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე.
7. პოლიტიკური ეთიკა მიზნად ისახავს დემოკრატული სამოქალაქო საზოგადოების მორალური ბაზისის, როგორც ზნეობრივი დისკურსის პრინციპულად განსხვავებული ტიპის შესწავლას. ამ მიზნით ხდება მორალის ფილოსოფიაში დომინანტური სისტემური თეორიების უტილიტარისტული პარადიგმის სახით წარმოჩენა და საზოგადოებრივი თანხმობის ტრადიციული თეორიების კომპარატივისტული გახსნა. ყველა ეს იდეა პოლიტიკური მორალის ფილოსოფიაში განზოგადდება და ორგანიზდება ფართო სქემის სახით, თანამედროვე ალტერნატულ კონცეფციებზე აქცენტით.
8. საქმიან ურთიერთობათა ეთიკა, იგივე ბიზნესის ეთიკაა. იგი მოიცავს ნორმატივულ და სიტუაციურ ეთიკას. ის შესაძლოა სხვა პროფესიული ეთიკების შემადგენელი ნაწილიც იყოს.

ზოგადად პროფესიული ეთიკა წარმოადგენს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტის მორალური ნორმებისა და წესების სისტემას მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. ეს ნორმები ჩვეულებრივ ერთიანდება ე.წ. პროფესიული კოდების სახით, რომლებსაც სამართლებრივი დოკუმენტის ძალა აქვთ. პროფესიული ეთიკა ნებისმიერი დარგის სპეციალისტის მომზადების განუყოფელი ნაწილია.

**რის საფუძველზე შეიძლება მივაკუთვნოთ მოვლენა გამოყენებითი ეთიკის სფეროს?**

I. საკითხი უნდა იყოს საკამათო, მისი გადაწყვეტისათვის უნდა არ-სებობდეს დაპირისპირებული მიღების მიღები. მაგალითად, იარაღის პირად სა-კუთრებაში ფლობის საკითხი, აბორტის, სიკვდილით დასჯის, ომში მონაწ-ილეობის საკითხი და მსგავსი საკითხები.

II. საკითხი გამოკვეთილად მორალურის სფეროს უნდა ეკუთვნოდეს. საკითხთა უმრავლესობის მიმართ არსებობს საპირისპირო მოსაზრებები, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი თავისი ბუნებით ეთიკურნი არიან. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორ მაგალითს: ბევრი ადამიანი თვ-ლის, რომ ცოლ-ქმრული ლალატი ამორალურია, მაგრამ არავის მოსდის აზრად მოითხოვოს სოციალური პოლიტიკის დონეზე მისი გადაწყვეტა, მოთხოვოს კანონი, რომელიც მოაწესრიგებდა სექსუალურ ქცევებს. ზოგ რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ აკრძალულია სასო-ფლო-სამეურნეო ნაწარმის ადგილებზე გაყიდვა. ამ ქცევაში თავისთავად არაფერია არც ამორალური, არც მორალური. იმისათვის, რომ საკითხი გამოყენებითი ეთიკის სფეროში შემოვიდეს არ არის საკმარისი იგი სო-ციალურის სფეროს მივაკუთვნოთ, საკითხი მორალური პარამეტრებით უნდა იყოს განხილული.

გამოყენებითი ეთიკის სფეროში საკითხის გადაწყვეტა ხდება ნორ-მატული ეთიკის ზემოთ განხილული რომელიმე მოდელის ფარგლებში. იმ ნორმატულ პრინციპებს შორის, რომელნიც ყველაზე ხშირად გვხვდე-ბა დისკუსიებში, სადაც გამოყენებითი ეთიკის პრობლემებზეა საუბარი გამოვყოფა შემდეგს:

- პერსონული სარგებელი – აღიარებს ინდივიდისათვის სარგებლიან შედეგზე ორიენტირებულ ქცევას.
- სოციალური სარგებელი – აღიარებს საზოგადოებისათვის სარგე-ბლიან შედეგზე ორიენტირებულ ქცევას.
- პატერნალიზმის პრინციპი – დახმარების გაწევა იმისთვის, ვინც ვერ ახერხებს საკუთარი ინტერესების განხორციელებას.
- ქველმოქმედების პრინციპი – გაჭირვებაში მყოფთა დახმარება.
- პატიოსნების პრინციპი – არ მოატყუო სხვა
- კანონმორჩილების პრინციპი – წინ არ აღუდგე კანონს
- ავტონომიის პრინციპი – პიროვნებისთვის უფლების უპირატესად დასახვა.
- სამართალის პრინციპი – აღიარებს პიროვნების უფლებას, მიიღოს ის რასაც იმსახურებს.
- სხვადასხვაუფლებები-ცნობს პიროვნების უფლებებს სიცოცხლეზე, პირად ცხოვრებაზე, საკუთრებაზე, უსაფრთხოებაზე, თავისუფალი აზრის გამოთქმაზე, ინფორმაციის მიღებაზე.

ზემოთ მოტანილი პრინციპები ასახავენ ტრადიციული ნორმატიული პრინციპების სპექტრს და ჯგუფდება ორი: მოვალეობის ეთიკისა და ტე-ლეოლოგიური (კონსიქვანციალისტური) ეთიკის ხედვის ფარგლებში.

## გ2. მედია ეთიკა

მედიამ XX და XXI საუკუნეში კაცობრიობის ისტორიაში არნახული შემოტევა განახორციელა ადამიანურ ყოფიერებაზე ყველა მიმართულებით. თანამედროვე სამყაროში განსაკუთრებული სახისა და ოდენობის ეთიკურმა დილემებმა იჩინა თავი. ამიტომაც, ვფიქრობთ გამოყენებითი ეთიკის რაობის საილუსტრაციოდ გავაანალიზოთ იგი.

უპირველესად მოკლედ განვსაზღვროთ რა ნიშნავს „მედია“?

არსებობს ორი ტიპის მედია: 1) ბეჭდვითი, რომელიც მოიცავს ბეჭდვით უურნალიზმს გაზეთებისა და უურნალების სახით. აქ შემოდის ფოტოურნალიზმი, ან ფოტოგრაფია, რომელსაც შესაძლოა ტექსტუალური ტიპის ინფორმაციაც მოსდევდეს. 2) ელექტრონული მედია, რომელის წარმოდგენილია რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტის სხვადასხვა სოციალური ქსელებით.

მედია, იმდენად დიდ ძალას ფლობს, რომ ბევრ მოვლენას დღეს „მედიის მიერ აგორებულს“ ვუწოდებთ. იგი ცოცხლად ფლობს „ცხელ-ცხელ“ ინფორმაციებს და დროს არ კარგავს მათ სააშკარაოზე გამოსაფენად.

**კითხვა:** რა წარმოადგენს უურნალისტიკის იდეალს?

**დეფინიცია:** უურნალისტიკის იდეალი არის სიმართლის კომუნიკაცია.

მასმედიის მთავარი ამოცანაა: ჭეშმარიტების ძიება და პოვნა, აღმოჩენა იმისი, თუ სად არის სიცრუე, და სად სინამდვილე. მასმედია უპირატესად ემყარება ტელეოლოგიურ ეთიკურ ხედვას. აქ მთავარია სარგებლიანად გაიყიდოს ამბავი და ფოტო მასალა, ვიდრე სინამდვილის ძიება და ჭეშმარიტი ფაქტების მიტანა საზოგადოებისათვის.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეთიკური საკითხი მედია სივრცეში ეხება საზოგადოების უფლებას, მოთხოვნასა და სურვილს ქონდეს ინფორმაცია და მედიას უფლებას გადასცეს ინფორმაცია. ამ ვითარებასთან კოლიზიაში მოდის ინდივიდის პრივატული ცხოვრების უფლება. ბევრი ცნობადი სახე, ცნობილი ადამიანი-პოლიტიკოსი, სპორტსმენი, მსახიობი ამის გამო კონფრონტაციაშია მასმედიის წარმომადგენლებთან. ფართოდ გახმაურებული ფაქტი პრინციპებისა დიანასა და დოდი ალ ფაიდის ავტოვარიაში დაღუპვისა, ბრალად პაპარაცებს ედებათ.

ისმის ლეგიტიმური შეკითხვა: რა უფლება აქვთ პრივატულ ცხოვრებაზე საზოგადოებრივ პირებს? წარმატებული და დიდების ზენიტში მყოფი ადამიანები, საკუთარი პოზიციიდან, ან საქმიანობიდან გამომდინარე ხდებიან ცნობადნი და საზოგადოებაში განსაკუთრებულად მნიშვნელად ადგილს იკავებენ. ამ ფენის ადამიანები უნდა ელოდენ მედიის წარმომადგენელთა შემოტევას: „წარმომადგენელი არ არის ადამიანი“ ინტერვიუებზე, ფოტოსესიებზე და სხვ. ყველას ახსოვს არჩევნების წინა პერიოდში პრივატული სატელეფონო

საუბრებისა და ვიდეო კადრების საქართველოს ტელევიზიების პირდა-პირ ეთერში გადმოცემა. მთელი დღის განმავლობაში მოსახლეობა მედიის მიერ მოწყობილი გადაჭარბებული ზეწოლის სუბიექტებად იყო ქცეული.

მედია საშუალებები, რომლებიც ძალადობის, სიკვდილის დასჯისა და მუქარის შემცველი მიმართვების გამოქვეყნებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, თავიანთ გადაწყვეტილებას რამდენიმე მოტივით ხსნიან: მათი მოსაზრებით, შემაძრნუნებელი, სისასტიკის ამსახველი კადრების ტირა-ჟირებით ისინი ტერორისტების გამხმიანებლები ხდებიან.

მაგალითად მოვიყანთ ისლამური სახელმწიფოს ქმედებების აქტიურ მედია გაშუქებას. ქართული გამოცემების ნაწილი მყისიერად, სოციალურ ქსელებში გავრცლებისთანავე აქვეყნებს ისლამური სახელმწიფოს მიერ გავრცელებულ ფაქტებს, სადაც ძალადობა და ადამიანების სიკვდილით დასჯის სცენებია ნაჩვენები. უფრო ფრთხილია ტელემედია, სიკვდილით დასჯის კადრები, ჯერ-ჯერობით, არც ერთ ქართულ ტელევიზიას არ უჩვენებია.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მსგავსი თემების გაშუქები-სას ამოსავალი წერტილი მსხვერპლთა ღირსებით წარმოჩენაა – ამიტომ არაა აუცილებელი მედიამ თავი აარიდოს ტერორიზმის გაშუქებას, მთავარია, იპოვოს საკითხის ეთიკურად გადაწყვეტის გზა. თუ მედია გადაწყვეტს თავი აარიდოს ჩამოხრჩობის, თავის კვეთის და სხვა ძალადობრივი ვიდეო-მასალის ეთერში გაშვებას, მას უნდა ესმოდეს, რომ ეს არა თვითცენზურა, არამედ საკითხის რაციონალური გადაწყვეტაა.

სხვა პროფესიონალთა მსგავსად, უურნალისტთა უმრავლესობა ზნეობრივადაა ორიენტირებული. მაგრამ, მედია ექსპერტები ფიქრობენ, რომ საჭიროა საერთო კოდექსის შემუშავება, რომელსაც ყველა უურნალისტი უნდა დაემორჩილოს. უურნალისტის ეთიკა უნდა დაემყაროს ზოგად მეტაეთიკურ პრინციპებს: თუ ახალი ამბები, ან ზოგადად ინფორმაცია აგებული იქნება ეთიკური მსჯელობაზე, საჭიროა გარკვეული ეთიკური ლირებულებების, ზნეობრივი ქცევის ელემენტების ხაზგასმა. ფილიპ პატერსონი და ლი უილკინსი კვლევაში: “მედია ეთიკა: საკითხები და ქეისები” გვანვდიან მათ კონკრეტულ ჩამონათვალს:

- ღირსება – სუბიექტისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში, ღირსების შენარჩუნება.
- თანაზიარობა – მოეპყარით სხვას ისე, როგორც გსურთ, რომ თქვენ მოგექცნენ.
- ზომიერება – ადექვატური წყაროების განაწილება მნიშვნელოვანი საკითხებისათვის.
- აკურატობა – ფაქტების მოპოვება კორექტულად, საჭირო სიტყვების პოვნა, საკითხების კონტექსტში ჩასმა.
- შეუპოვრობა – როდესაც ამბავი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, დამატებითი პერსონული და ინსტიტუციონალური ძალისხმევის მოხმობა.

- მიუკერძოებლობა – ურთიერთგამომრიცხავ საკითხებში სამართლიანობის ძიება; ყველა წყაროსა და სუბიექტის მიმართ თანაბრი მოპყრობა.
- მრავალფეროვნება – აუდიტორიის ყველა სეგმენტის მოცვა ადექვატურად და მიუდგომლად.
- თემი – სოციალური ერთობის და ინდივიდის რეპუტაციის თანაბრად დაფასება.

### **წ 3. დანაშაული და ჯილდო**

**კითხვა:** როდის არის მისაღები ჯილდო და როდის უნდა გამოვიყენოთ სასჯელი?

**დანასკვი:** ჯილდო და დანაშაული ზოგადად, მაგრამ არა განსაკუთრებულ შემთხვევებში, უნდა იყოს დაკავშირებული მორალურ პასუხისმგებლობასთან.

ეს საკითხი შესაძლებელია სხვადასხვა ეთიკური ხედვის პოზიციიდან შეფასდეს:

#### **არგუმენტი სათნოებათა ეთიკის სასარგებლოდ**

ეს არგუმენტი ეფუძნება პიროვნების, როგორც შინაგანი ღირებულებების მატარებელი არსების გაგებას. ადამიანები იღებენ იმას, რასაც იმსახურებენ. კარგი ქცევების განმახორციელებელი ადამიანები იმსახურებენ ჯილდოს, ხოლო ისინი, ვისაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ ცუდ ქცევაზე-დასჯას. ამგვარად, დასჯა და ჯილდო დიფერენცირდება იმ მოთხოვნების ჭრილში, რომელიც დაკავშირებულია შინაგანი ღირებულებების მატარებელი პიროვნების ქცევით გადაწყვეტილებასთან.

ამ არგუმენტს ემყარება დასჯის რეტრიბუციონისტული თეორია. ამ თეორიის მიხედვით დასჯა შინაგანად სწორი ქმედებაა, მისი გამომწვევი მიზეზების გათვალისწინების გარეშე.

#### **არგუმენტი ტელეოლოგიური ეთიკის სასარგებლოდ**

ეს არგუმენტი ემყარება ქცევის გამომწვევი მიზეზების აღიარებას.

დაჯილდოება არის წახალისების ფორმა; ჯილდო განმეორებით სასურველ ქმედებისაკენ უბიძებებს ადამიანს. დამნაშავეთა დასჯა გამოიწვევს მათ მიერ საკუთარი კრიმინალური ქმედებების გადახედვას და მომავალში ისინი აღარ შეეცდებიან ამ გზით სიარულს. დაჯილდოებისა და დასჯის პოლიტიკის ცოდნა საზოგადოების წევრებს გაუძლვება აკეთონ ისეთი საქმეები, რომ დაიმსახურონ ჯილდო და არა სასჯელი.

ეს არგუმენტი ეხმარება დასჯის პრევენციული თეორიის დაფუძნებას. ამ თეორიის მიხედვით დასჯის სხვადასხვა ფორმები საზოგადოების უსაფრთხოდ ყოფნის გარანტია. ტელეოლოგიური/კონსიქვენციალისტური მიდგომა ასევე ამართლებს და აფუძნებს დასჯის რეაბილიტაციურ თეორიას. მისი ამოცანაა დამნაშავის გამოსწორება და მისი სრულფასოვან

წევრად დაბრუნება სოციუმში.

**სიკვდილით დასჯა.** ეთიკურ თეორიათა ნაწილი, ეყრდნობა რა საკუთარი ხედვის პრინციპებს, ზოგ შემთხვევაში უარყოფს სიკვდილით დასჯას, ხან იცავს დასჯის ამ ფორმას. სხვადასხვა თეორიათა მაგალითზე გვაანალიზოთ ეს თემა.

**ქრისტიანული ეთიკა** – სიცოცხლე ადამიანს ეძლევა ღმერთისაგან და არავის აქვს მისი წართმევის უფლება. სიკვდილით დასჯა დიდი ცოდვად ითვლება, რადგან ამით ბოროტება კი არ ისპობა, არამედ მრავლდება. წმ. ბასილი დიდი ამბობს: „ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ, მას მხოლოდ სიკეთით შეგიძლია უწამლო“. თუ დამნაშავე ისჯება სხვისი მკვლელობის გამო, მაშინ რა უფლება აქვს სასჯელის აღმსრულებელს ჩაიდინოს იგივე ქმედება?!“

**მფვალეობის ეთიკა** – ამართლებს სიკვდილით დასჯას. იმ ადამიანის სიცოცხლე სამყაროში, რომელიც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენს, ღირებულებას კარგავს. „ადამიანი, ვინც მკვლელობას ჩაიდენს, ვინც არ უნდა იყოს იგი, უნდა დაისაჯოს სიკვდილით“, წერს კანტი.

**სათნოებათა ეთიკა** – ემხრობა რეაბილიციონიზმს. ამ ხედვის მიხედვით განათლებული ადამიანი არასდროს ჩაიდენს ისეთ დანაშაულს, რომელიც დასჯის უმაღლეს ფორმას იმსახურებს. მსჯავრდებულისათვის საკმარისი იქნება სამუდამო პატიმრობის მუხლის შეფარდება. გარშემომყოფთა ვალდებულებაა სათნოებები შთაუნერგონ ამგვარ ადამიანებს.

**ეთიკური ეგოიზმი** – თვით-ინტერესის დამთხვევისას ზოგი ეგოისტი ამართლებს სიკვდილით დასჯის მუხლს. მოტივი შესაძლოა იყოს სხვადასხვა. მაგალითად, პრევენციული-კრიმინალებისაგან მომავალში დაცულად იგრძნოს თავი. იმ შემთხვევაში თუ კრიმინალი მისი ახლობლების საქმეშია ბრალდებული, იგი მოითხოვს რეტრიბუციულ სამართალს. უმაღლესი ზომის მხარდასაჭერ არგუმენტად შესაძლებელია იქცეს დიდი გადასახადის საფრთხე, რომელიც დაეკისრება მას, როგორც მოქალაქეს კრიმინალის სამუდამო პატიმრობის შემთხვევაში.

**უტილიტარიზმი** – მხარს დაუჭრს სიკვდილით დასჯას, თუ კალკულაციის შედეგად დადგინდება, რომ უდიდესი რაოდენობის ადამიანებისათვის დასჯის ამ ფორმას დიდი რაოდენობით სიკეთე ექნება მოტანილი.

### მოვირგოთ ფილოსოფოსის როლი და ვიმსჯელოთ:

1. იზიარებთ, თუ არა სიკვდილით დასჯის შესახებ სხვადასხვა ეთიკური პოზიციების მიერ მოტანილ არგუმენტებს? ეცადეთ თქვენი პასუხები დეტალურად აღჭურვოთ თქვენეული არგუმენტებით.
2. საქართველოს კანონმდებლობაში უმაღლესი სასჯელის ზომად დაკანონებულია სამუდამო პატიმრობა. იზიარებთ, თუ არა საქართველოს პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას. რა მორალური

- არგუმენტებით შეგიძლიათ დაასაბუთოთ თქვენი თვალსაზრისი?
3. გაანალიზეთ ქართველ ფოტოგრაფთა გახმაურებული საქმე. იმსჯელეთ მორალურად რამდენად მართებული იყო მათ მიერ ფოტოების გადაცემა საჯარო მედიისათვის? დაირღვა თუ არა უურნალისტის ეთიკის კოდი? რა პუნქტში?
  4. არღვევს თუ არა მედია ეთიკის პრინციპებს პირაპირი ეთერის ჩართვა 2015 წლის 13 მაისს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის ერთერთ მსხვერპლის პანაშვიდიდან? თუ კი-რომელს?
  5. ცნობილმა ევროპელმა ფოტოურნალისტმა შესძლო უნიკალური კადრის დაფიქსირება: შიმშილისგან მომაკვდავ აფრიკელ ბავშვს დასაკორტნად თავს დასტრიალებს ძერა. ფეისბუქში განთავსებულმა ფოტომ მსოფლიო მოიარება მოუტანა „ფოტო ხელოვანს.“ ამ ისტორიას ამგვარი დასასრული აქვს-ბავშვი დაიღუპა, ფოტოგრაფმა თავი მოიკლა. ეცადეთ გამოიყენოთ მსჯელობის სხვადასხვა სტრატეგია და გაანალიზოთ ეს რეალური ფაქტი.
  6. ეცადეთ დეტალურად გაანალიზოთ რომელიმე ცნობილი თოქშოუ. რა ხარისხით გადმოსცემს იგი სიმართლეს? მიკერძოებულია, თუ არა ინფორმაციის მთელი სისავსით წარმოჩენაში, შეგნებულად ცილს სწამებს, აყალბებს, ან ტოვებს ფაქტებს?

# ნაცილი მეცნიერებების პოლიტიკური ფილოსოფია

## თავი I

### პოლიტიკურის სფეროს განსაზღვრა

#### §1. პოლიტიკის ადამიანური განზომილება- Zoon politicon

პოლიტიკის არსის ფილოსოფიური გააზრება დღესაც ისევე აქტუალურია და ისეთივე როლს თამაშობს, როგორც ეს იყო მისი წარმოშობისას – ძველ საბერძნეთში.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში არისტოტელემ განაცხადა, რომ ადამიანი არის „Zoon politicon“. ეს შეიძლება ითარგმნოს როგორც „ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი“, ან როგორც „ადამიანი არის სოციალური ცხოველი“.

სიტყვები „სოციალური“ და „პოლიტიკური“ წარმოადგენენ ერთგვარ სინონიმებს. სიტყვა „social“ (სოციალური) არის ბერძნული politice-ს ეკვივალენტი.

არისტოტელეს განსაზღვრებით, ადამიანი არის პოლიტიკური არსება. ყველა სხვა არსებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანი ეწევა ცხოვრების პოლისურ, სახელმწიფოებრივ წესს. ვინაიდან მხოლოდ მას შეუძლია იცხოვროს სამოქალაქო ან პოლიტიკურ საზოგადოებაში.

ადამიანები მრავალგვარ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან. მნიშვნელოვანი ამ ურთიერთობაში პოლიტიკური ურთიერთობებია. არისტოტელეს მიხედვით, სახელმწიფო, პოლიტიკურ ურთიერთობათა ერთიანობას წარმოადგენს. სახელმწიფოებრივი ცხოვრებისკენ მისწრაფება, მხოლოდ ადამიანშია „ჩადებული“.

პოლიტიკა ეს არის ადამიანური საქმიანობის უმაღლესი ფორმა, რამდენადაც მისი მეშვეობით ადამიანურ ურთიერთობებში ყალიბდება სამართლიანობა და საერთო სიკეთე. არისტოტელეს აზრით: „ყოველი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადგენს. ყოველი კავშირი კი რაიმე სიკეთეს ისახავს მიზნად, რადგან ყველა, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რაც სიკეთე ჰგონია. ამრიგად, ცხადია, რომ ყველა მისწრაფვის რაიმე სიკეთისაკენ. უმთავრესი სიკეთისაკენ მისწრაფის ყველაზე უკეთესი კავშირი, რომელიც მოიცავს ყველივეს და ეს არის ე. წ. სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი კავშირი“.

ადამიანს „ღირსეული ცხოვრება“ შეუძლია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც პოლიტიკაა. პოლიტიკა არისტოტელესთან წარმოდგება უპირატესად ეთიკური ასპექტით: პოლიტიკა ისაა, რაც უკავშირდება „სამართლიან საზოგადოებას“

ამდენად, პოლიტიკა არის საერთო სიკეთის მოსაპოვებლად საქმიანობა. ადამიანის გარდა არსებობენ ცხოველები, რომლებიც აგრეთვე არიან სოციალურნი, მაგრამ მათ შორის არ მოიძებნება ისეთი, რომელიც ცხოვრობდეს პოლიტიკური ცხოვრებით. პოლიტიკური ცხოვრება არ არსებობს არსად, გარდა ადამიანის სახეობისა.

მართალია ცხოველები ცხოვრობენ ჯგუფებად, ფარებად, გუნდებად. მათთან შეინიშნება სოციალური ცხოვრების ნიშნებიც, მაგრამ ისინი ვერ შექმნიან ქალაქებს, ვერ განსჯიან სიკეთეს, სამართლიანობას.

სოციალურობა ადამიანის ბუნებაშია, როგორც მისი შეგნებული, გაცნობიერებული მოღვაწეობის უნარი. ადამიანის სოციალურობა განსხვავებით ცხოველისაგან, უნდა გაგებული იქნეს, როგორც პოლიტიკური სოციალურობა.

საზოგადოება შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალური, ან პოლიტიკური ან სამოქალაქო საზოგადოება. ადამიანებმა შეიძლება იცხოვრონ წინაპოლიტიკურ საზოგადოებაში ან ორგანიზებული პოლიტიკური საზოგადოების სახით.

ლაპარაკია ადამიანებს შორის განსხვავებაზე, რომლებიც ცხოვრობენ „ხალხის“, ეთნოსის სახით, ან ვინც ცხოვრობს პოლისში, პოლიტიკური საზოგადოების სახით. ამგვარად, ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი იმ აზრით, რომ ის არის სოციალური ცხოველი, აგრეთვე იმ აზრითაც, რომ მარტო ადამიანს შეუძლია „სამოქალაქო საზოგადოებაში“ ცხოვრება.

რა არის სამოქალაქო საზოგადოება? ცნებას სვადასხვანაირად განსაზღვრავენ; თავიდან იგი „პოლიტიკურ საზოგადოებად“ მოიაზრებოდა, რომელსაც კანონი მართავს.

ჩვევლებრივ სამოქალაქო საზოგადოებას სახელმწიფოსაგან მიჯნავენ. ავტონომიური ჯგუფებისა და გაერთიანებების ერთობლიობაა რომლებიც კერძო ინსტიტუტების სახით არსებობენ. ისინი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია და ცალკეული პირების მიერ თავიანთი მიზნების მისალწევადაა ორგანიზებული.

სოციალურობა არის საერთო თვისება, დამახასიათებელი ზოგიერთი ცხოველისათვის და ამასთან ის ახასიათებს ყველა ადამიანს. მაგრამ ადამიანებთან მას აქვს განსხვავებული მნიშვნელობა, რადგანაც საზოგადოება შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალური ან, პოლიტიკური ან სამოქალაქო საზოგადოება, რამდენადაც ადამიანთა ბუნებაშია ცხოვრება ერთობლიობათა სახით, სადაც ხდება შეფასება სამართლიანობის ან უსამართლოდბის მიხედვით. უფრო ზუსტად, ადამიანებმა შეიძლება იცხოვრონ ან ორგანიზებულ საზოგადოებაში პოლიტიკური საზოგადოების სახით სადაც მეტი შანსია სამართლიანობის დამკვიდრების ვიდრე წინაპოლიტიკურ საზოგადოებაში.

ადამიანის პოლიტიკური სოციალურობის აშკარა ნიშანს წარმოადგენს ადამიანის მეტყველების უნარი. ეს უნარი ახასიათებს მარტოოდენ ადა-

მიანებს, რადგანაც მათ არა მარტო კომუნიკაციის, პირობითი ნიშნებით მანიპულირების უნარი აქვთ, არამედ ისინი მეტყველებენ და აზროვნებენ სამართლიანობის და უსამართლობის თაობაზე. ქალაქი, სამოქალაქო საზოგადოება არის ადგილი, სადაც ხდება სამართლიანის გამიჯვნა უსამართლოსაგან.

ლაპარაკია იმაზე, რომ ასოციაციას ან საზოგადოებას უწოდებენ დაჯგუფებას, რომელიც ეფუძნება გარკვეულ შეთანხმებას. მაშინაც კი, თუ განსაზღვრული ურთიერთობები, შეთანხმებები მოქალაქეებს შორის არის რთული, არათანაბარი, არასიმეტრიული, ეს ურთიერთობები ყოველთვის ვიღაცის სასარგებლოდ ხორციელდება. პოლიტიკური ძალაუფლება ეხება თავისუფალ და თანასწორ ადამიანებს და ეს ხდება თითოეული მათგანის სასარგებლოდ.

ქალაქი-სახელმწიფო, ადამიანის ბუნების შესაბამისიც კი, არ ნიშნავს, რომ ყველა ასოციაცია თუნდაც პოლიტიკური ხელმძღვანელებით ან მმართველებით სათავეში იქნება სავსებით პოლიტიკური ქალაქი, საჭიროა კიდევ, რომ მან მოახერხოს მიაღწიოს საყოველთაო კეთილდღეობას, მოუტანოს ბედნიერება თავის მოქალაქეებს. ამგვარად სამოქალაქო საზოგადოება არ მიიღწევა ავტომატურად: ბუნებრივი ყოველთვის ვერ ჰპოვებს თავის განხორციელებას, ის შეიძლება იყოს შეჩერებული თავის განვითარებაში ან დამახინჯებული.

ადამიანის ბუნება, მისი არსი, რომელიც იქნება მარტო განსაზღვრულ პირობებში: ასე მაგალითად, პოლიტიკური ასოციაცია არის, როგორც ქრონოლოგიურად, ისე ექსისტენციალურად ოჯახის და სოფლის შემდგომი და შეიძლება არ მოხდეს მისი ინსტიტუციონალიზაცია, მაგრამ ამავე დროს თავისი არსით ოჯახი არის პირველადი სოფელთან მიმართებაში. ადამიანის ბუნებრივ სოციალურობას ის ბუნებრივად მიჰყავს პოლიტიკურ საზოგადოებამდე.

უან-უაკ რუსო (1712–1778) უარყოფს ჰიპოთეზას, ადამიანის ბუნებრივ სოციალურობაზე. არისტოტელე როგორც აღვნიშნეთ ადამიანის სოციალურ ცხოვრებას და პოლიტიკურ ცხოვრებას ბუნებრივად მიიჩნევს. არისტოტელესაგან განსხვავებით თომას პობსი (1588-1679) არ თვლის ადამიანს პოლიტიკური ცხოველად, მაგრამ ის მიიჩნევს, რომ პოლიტიკა გარდაქმნის ცხოველს ადამიანად.

## §2. რა არის პოლიტიკა?

ჩვენ მუდმივად გვესმის სიტყვა პოლიტიკა. ვინც მასზე უარს ამბობს, ყოველდღიური ცხოვრების სფეროს განეკუთვნება. ის იმ სამყაროს ნაწილია, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

ფენომენი, რომლის გარკვევასაც ვცდილობთ, მოუხელთებელი ჩანს. პოლიტიკა არის რაღაც, ეს არის მრავალხაზოვანი და არამდგრადი პრაქტი-

კა. ეს არის თვისება, რომელსაც სხვადასხვა რამეს მიაწერენ.

ადამიანები ყველაზე ხშირად პოლიტიკაზე საუბრობენ, კამათობენ, დაობენ. ჩვენ ხომ ადამიანებს ყველაფერზე დავა გვიყვარს. ვადგენთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ, ვის რამდენი ეკუთვნის, ზემდგომებს ვაკრიტიკებთ, ჩვენ თითქოს უკეთ მართვა შეგვეძლოს, ძალაუფლება რომ გვქონდეს. ვაკრიტიკებთ ხელისუფლების მიერ ნარმოებულ საქმიანობას, რომელსაც ჩვენ პოლიტიკას ვუწოდებთ.

ჩვენ აღშფოთებული ვსაუბრობთ უსამართლობაზე, ხელისუფლების ძალაუფლებაზე, თითქმის ყველაფერზე, მაგრამ სოკრატისეულად რომ დაგვისვან კითხვა: რა არის პოლიტიკა? რა არის სამართლიანობა? რა არის ძალაუფლება? რა არის ხელისუფლება? რა არის სახელმწიფო? გავსცემთ მართებულ ან სადაო პასუხს, მაგრამ აუცილებლად ვიტყვით რაღაცას. მაგრამ თვითონ ცნებებს ვერ გავაანილიზებთ, ვერ განვსაზღვრავთ. მაშინ რაზე ვსაუბრობთ, რაზე ვკამათობთ რაზე ვდაობთ? თანაც ყველაზე დიდი აზარტით?

ადამიანებსს აქვთ ამ კითხვებზე პასუხები. მაგრამ თუ დავაკვირდებით პოლიტიკის ფენომენს, ვნახავთ რომ ის ძალზე ძნელი განსამარტავია. იგი მოღვაწეობის მრავალ სფეროს მოიცავს.

არისტოტელეს მეცნიერებათა კლასიფიკაციაში „პოლიტიკით“ აღინიშნება ცოდნის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი სფერო, რომელიც იქვემდებარებს სხვა მეცნიერებებს და პირველი ფილოსოფიის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან ცოდნად არის მიჩნეული, რომლის შესწავლის ობიექტი სათნოებაა.

თუ გვსურს ვუპასუხოთ კითხვას რა არის პოლიტიკა? – ჯერ ადამიანი უნდა შევისწავლოთ, რადგან არისტოტელეს განსაზღვრებით სწორედ ადამიანი არის პოლიტიკური არსება.

მასთან პოლიტიკურობა ადამიანის არსობრივ განსაზღვრებადაა მიჩნეული. ის არ ვრცელდება ყველა ადამიანზე, რადგან ყველა ადამიანის მსგავსი არსება (იგივე ჯოგურად მცხოვრები ბრბო) ადამიანი არ არის.

მაქს ვებერის (1864-1920) სიტყვებით, პოლიტიკა „მოღვაწეობის ყველა ნაირსახეობას მოიცავს“. პოლიტიკა თანამედროვე სამყაროს ყველაზე აქტუალური, პრობლემური და მნიშვნელოვანი სფეროა. პოლიტიკა რაღაცისკენ მიმართული ქმედებაა. ხშირად გვესმის: ბანკის პოლიტიკა, ჭკვიანი ქალის პოლიტიკა, მაგრამ იმაშიც დარწმუნებულია ნებისმიერი ადამიანი, რომ პოლიტიკის ცნება ყოველივე ამას სცილდება.

### მაშ რა არის პოლიტიკა?

პოლიტიკა ძველი ბერძნული სიტყვაა და „პოლისის“ ან სახელმწიფოს მართვას ნიშნავს. ოსვალდ შპენგლერი (1880-1936) აღნიშნავს, რომ „ყველაზე უფრო ზოგადად, რომ ვთქვათ პოლიტიკა – ეს არის პროცესი, რომლის შიგნითაც ადამიანები ქმნიან, ხვეწენ და ინარჩუნებენ ერთად ცხოვრების ნორმებს“.

გავიხსენოთ რობიზონ კრუზო, რომელიც მოწყვეტილია საზოგადოებას, მარტოა, მან მარტობაში შესძლო მარტივი სამეურნეო საქმიანობა, მისი გაძლოლა, მაგრამ ის პოლიტიკაში არ არის ჩართული. ეული ადამიანი პოლიტიკაში ვერ ჩაერთვება, ამისათვის საჭიროა მეორე ადამიანი. პოლიტიკა იწყება პარასკევას, მეორე ადამიანის გამოჩენით. სადაც საზოგადოებაა, იქაა პოლიტიკა.

პლატონისათვის პოლიტიკა არის ადამიანის მიერ ადამიანის მართვის სფერო. მისი საფუძველი ერთდროულად არის, როგორც სამეფო ცოდნა, ისე ხელოვნება. პოლიტიკა თავისი ბუნებით რაციონალური და ინდივიდუალური ელემენტების ერთობლიობაა. არისტოტელე აღნიშნავს, რადგან ყოველი მეცნიერებისა და ხელოვნების მიზანი არის სიკეთე, მაშინ მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელოვანი სფეროს მიზანიც იგივე იქნება. ასეთი სფერო კი არის პოლიტიკა, პოლიტიკაში კი სიკეთე სამართლიანობაა, ხოლო სამართლიანობა სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის.

როგორც ვხედავთ ანტიკურობაში პოლიტიკის საშუალებით შეიძლება ცხოვრების გაუმჯობესება და ღირსეული საზოგადოების შექმნა.

პოლიტიკის ცნების გამოყენება ძალიან მრავალფეროვანია. მარტივი პასუხებისათვის დამახასიათებელია უფრო შეფასებითი მსჯელობა, ვიდრე პრობლემის განმარტება. იგივე შეიძლება ითქვას კარგად ცნობილ ლაპიდარულ ფორმულირებაზე. მაგალითად, „პოლიტიკა არის ის, რასაც ხმამალლა ამბობენ? ანუ პოლიტიკა ეს არის ხალხისათვის ხელის შეშლის ხელოვნება, ჩაერთოს იმაში, რაც მას ეხება“ (პოლ ვალერი 1871-1945). პოლიტიკა არის საზოგადოებრივი ინტერესების ერთობლიობა.

ოსვალდ შპენგლერი კითხვას სვამს თავის ცნობილ ნაშრომში, „პოლიტიკის ფილოსოფია“ – „როგორ აკეთებენ პოლიტიკას? და პასუხობს: „სახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის დაბადებული კაცი უპირველეს ყოვლისა მცოდნეა, მცოდნე-ადამიანის მდგომარეობის მცოდნე; -საგნის მას აქვს ხედვა, რომელიც სჭვრეტს ყოველ შესაძლებლობას უცდუნებლად, დაუგვიანებლად...“

კი მაგრამ რა არის პოლიტიკა? შესაძლებლობის ხელოვნება. ამ ძველი სიტყვებით თითქმის ყოველივე თქმულია... პოლიტიკა ის ფორმაა, რომელშიც ერთი ხალხის ისტორია მრავალ სხვა ხალხთა შორის მიმდინარეობს. დიდი ხელობაა ის, რომ საკუთარ პოლიტიკას შინაგან ფორმებში შეინახავ და მზად იქნები გარედან მომავალი შემთხვევისათვის“

კლასიკური გაგებით, პოლიტიკა ნიშნავს იმას, „რაც ეხება პოლისს“, „რაც ეხება სახელმწიფოს“, რაც ეხება საზოგადოებრივ ინტერესებთა ერთობლიობას.

„პოლიტიკა“ არსებითად არის საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობა და მისგან გამომდინარე მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოების, ხალხების, ერების, სოციალურ ჯგუფების შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობის ჩამოყალიბებასთან.

მაქს ვებერისათვის პოლიტიკა „სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისაკენ. სულერთია, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის თუ რომელიმე ერთი სახელმწიფოს შიგნით, ადამიანის სხვადასხვა ჯგუფებს შორის“.

პოლიტიკის ცნება ორი რადიკალურად განსხვავებული რეპუტაციითაც სარგებლობს: ერთი მიდგომის თანახმად პოლიტიკა „ბინძური საქმეა“, მეორე მიდგომით კი აუცილებელი, მნიშვნელოვანი და საპატიო საქმიანობაა. უფრო რთული პრობლემა კი ისაა, რომ მეცნიერები დღემდე ვერ თანხმდებიან, თუ რა არის პოლიტიკა, რაც განპირობებულია მისი ცნების მრავალმიშვნელობით.

ჰანა არენდტისთვის (1906–1975) პოლიტიკა ადამიანთა მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ფორმაა, ვინაიდან თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს გულისხმობს-ცხოვრების აზრს ანიჭებს და ყოველ ინდივიდის უნიკალურობას ადასტურებს.

შეიძლება გამოიყოს ხუთი შეხედულება პოლიტიკაზე.

1. **პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს მართვის ხელოვნება –სახელმწიფოს კონტროლის განხორციელება** საზოგადოებით, როგორც ეს ხდება კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულების დროს. არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც პოლიტიკის შესწავლა ნიშნავს მთავრობის ხელისუფლების ფუნქციონირების შესწავლას და რომ პოლიტიკა წარმოდგება, როგორც ოფიციალური გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომ ლითაც ხელისუფლების ორგანო საზოგადოებას განუსაზღვრავს საქმიანობის ამა თუ იმ პროგრამას ან მიმართულებას.

2. **პოლიტიკა, როგორც საჯარო პროცესი –ამ მიდგომით ხდება გარკვევა თუ სად გადის ზღვარი „საჯარო“ ცხოვრებას შორის. მიიჩნევენ რომ ის ემთხვევა სახელმწიფო და საჯარო საზოგადოებად გაყოფას.**

სახელმწიფო ორგანოები (სასამართლო, პოლიცია, არმია და ა. შ.) განიხილება საჯაროდ, რადგანაც ის პასუხს აგებს საზოგადოების კოლექტიური ცხოვრების ორგანოებზე და ფინანსდება საზოგადოების ხარჯზე. სამოქალაქო საზოგადოება კი შედგება ინსტიტუტებისაგან, როგორიცაა ოჯახი, კერძო საწარმოები, პროფესიულები, გაერთიანებები...

ისინი კერძოა, რადგან მათ ქმნიან კერძო მოქალაქეები თავიანთი ინტერესების შესაბამისად. რუსო და მილი პოლიტიკური ცხოვრებაში მონაწილეობას მიიჩნევენ ადამიანის ღირსებად და სიკეთედ.

3. **პოლიტიკა, როგორც კომპრომისი და კონსენსუსი – პოლიტიკა განიხილება კონფლიქტების გადაწყვეტის ხერხად, კომპრომისების, მოლაპარაკებების და სხვა შეთანხმებული ზომების გამოყენებით, რაც უპირისპირდება ძალის ან ხელისუფლების უხეშ გამოყენებას.**

4. **პოლიტიკა, როგორც ხელისუფლებისა და რესურსების განაწილება – ამ მიდგომის მიხედვით პოლიტიკა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა**

სფეროშია: იქნება ეს ოჯახი, ერი თუ გლობალური საზოგადოება. პოლიტიკა არის ყველაფერი, რაც დაკავშირებულია რესურსების წარმოებასთან განაწილებასთან და გამოყენებასთან საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

**5. პოლიტიკა, როგორც ძალაუფლება-** ამ შემთხვევაში პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების „ყველა კუნჭულში“ აღნიერს. ეს იქნება სახელისუფლებო, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი. როგორც ანდრიან ლეფტვიჩი თავის ნაშრომში რა არის პოლიტიკა ამტკიცებს: „პოლიტიკა ნებისმიერ კოლექტურ საჯარო საქმიანობას უდევს საფუძვლად, ოფიციალურსა და არაფორმალურს, საზოგადოებრივსა და კერძოს, ყოველ დაჯგუფებას, ინსტიტუტსა და გაერთიანებას“.

კარლ შმიტი (1888-1985) თავის გახმაურებულ ნაშრომში „პოლიტიკურის ცნება“ -ში აღნიშნავს; ... პოლიტიკურის ზუსტი განსაზღვრება იოლი აღმოსაჩენი როდია. ტერმინის მნიშვნელობა, როგორც წესი გამოიკვეთება სხვა ტერმინებთან შეპირისპირებით. როდესაც მაგალითად ლაპარაკობენ პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და სამართალზე, პოლიტიკასა და მორალზე და ა. შ. ეს ვითარება მნიშვნელოვანნილად ცვლის ტერმინ პოლიტიკურის საზრისს და მას კონსტიტუციურად ადგენს. თუმცა როგორც არ უნდა იყოს საქმე, პოლიტიკური ყოველთვის შეხებაშია სახელმწიფოსთან და მის გარეშე არ მოიაზრება.

### §3. რა არის პოლიტიკური ფილოსოფია?

როგორც აღინიშნა პოლიტიკის ფილოსოფიის ფუძემდებლებად ითვლებიან პლატონი და არისტოტელე.

არისტოტელეს განსაზღვრით ადამიანი თავისი არსით პოლიტიკური არსებაა-ადამიანს „ღირსეული ცხოვრება“ შეუძლია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც პოლიტიკა წარმოდგება ეთიკური ასპექტით. პოლიტიკა ისაა, რაც უკავშირდება „სამართლიან საზოგადოებას“.

სწორედ საპერძეოთში ჩაისახა ის, რასაც დღეს პოლიტიკურ ფილოსოფიას უწოდებენ. მას ყოველთვის აინტერესებდა არა მარტო არსებული, არამედ ის, რაც უნდა იყოს, ამიტომ ის ნორმატიულ ხასიათს ატარებს.

ნორმატივი: ფასეულობაა და ქცევის წესების განმსაზღვრელი: „ის რაც სასურველია იყოს და არა ის რაც არის“.

როგორც გავლილი მასალიდან გამოჩნდა ანტიკურობიდან თანამედროვე ეპოქამდე ადამიანის, როგორც ბუნებით პოლიტიკური არსების შესახებ მოძღვრების მთავარ არგუმენტად გვევლინება იმაზე მითითება, რომ ადამიანს მხოლოდ „სამოქალაქო საზოგადოებაში“ შეუძლია ცხოვრება. ადამიანის მთელი ყოფიერება, ყველა თავისი ასპექტითა და გამოხატულებებით არის პოლიტიკური ყოფიერება. სწორედ მაშინ ჩნდება პოლი-

ტიკური ფილოსოფია, როდესაც ადამიანებს გამოკვეთილ მიზნად ექცევა კარგი ცხოვრებისა და კარგი საზოგადოების შესახებ ცოდნის შეძენა.

სიტყვა „ფილოსოფიური“ მიანიშნებს ერთდროულად საგანზედაც და ფუნქციაზეც. პოლიტიკური ფილოსოფიის საგანი უნდა ემთხვეოდეს პოლიტიკური მოქმედების მიზანს. ეს მიზნებია თავისუფლება და მართვა.

პოლიტიკური ფილოსოფიის ცნობილი წარმომადგენელი ლეო შტრაუსი (1899–1973) აღნიშნავს: „პოლიტიკური ფილოსოფიის საგანს კაცობრიობის დიადი მიზნები წარმოადგენს: თავისუფლება, მმართველობის ფორმა ან ბატონობა-ეს სწორედ ...ის მიზნებია, რომლებსაც ძალუდთ, ადამიანი მის უბადრუკ მეზე აამაღლონ“.

პოლიტიკური ფილოსოფია იკვლევს სახელმწიფოს, მმართველობის, მოქალაქის და სახელმწიფოს ურთიერთობათა პრობლემებს და ცდილობს, პასუხი გასცეს ზოგად კითხვებს: რატომ უნდა დავემორჩილოთ სახელმწიფოს? როგორ უნდა განანილდეს კეთილდღეობა საზოგადოებაში? როგორია პირადი თავისუფლების ფარგლები საზოგადოებაში? გვჭირდება თუ არა სახელმწიფო? რატომ უნდა დაემორჩილოს ადამიანი იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომელშიც მას ცხოვრება უხდება, და არის თუ არა შიშის გარდა დამორჩილების სხვა საშუალება? რა არის თავისუფლება? რა არის სამართლიანობა? რა არის თანასწორობა? რა არის ძალაუფლება და სასურველია თუ არა მისი არსებობა?

პოლიტიკური ფილოსოფია ნორმატიული დისციპლინაა. ის პოლიტიკურ საგანთა ბუნების გაგების მცდელობას წარმოადგენს. ფილოსოფიას ყოველთვის აინტერესებდა „არა არსებული“, არამედ ის, რაც „უნდა იყოს“ და რაც უნდა გაკეთდეს. ამიტომ უმეტესად პოლიტიკის ფილოსოფიური გააზრება ატარებდა უპირატესად ეთიკურ, მავალდებულებელ ნორმატიულ ხასიათს.

პოლიტიკური ფილოსოფიის ძირითადი კითხვებია:

**პირველი-** რომელი ინსტიტუციონალური წესრიგია მართებული?

**მეორე-** რომელი საზომებით უნდა შეფასდეს სოციალური ინსტიტუტები?

**მესამე-** როგორ ხდება ამ შეფასების საზომებით ინსტიტუციონალური წესრიგის შერჩევა და დამკვიდრება?

ამ კითხვებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ პოლიტიკური ფილოსოფია ზნეობის ფილოსოფიასთან მჭიდრო კავშირშია. იგი ეძებს ჭეშმარიტების და სიკეთის პრინციპებს, რათა ადამიანები უფრო ბედნიერები იყვნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზნეობის ფილოსოფიისაგან განსხვავებით პოლიტიკური ფილოსოფია ამ პრინციპებს პიროვნების ქცევაზე კი არ ავრცელებს, არამედ ზეპიროვნულ ინსტიტუტებზე. რომელი ინსტიტუტი უნდა მივიღოთ, რათა ჩვენი ქცევისა და ცხოვრების კოორდინაცია შევძლოთ?

პოლიტიკური ფილოსოფიის კლასიკური მემკვიდრეობის გააზრება და

ანალიზი უნდა მოხდეს ანტიკურობიდან დღევანდელობამდე. პოლიტიკური აზრის ისტორიის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლების შესწავლით.

პლატონმა პოლიტიკურ ფილოსოფიას ორი თხზულება მიუძღვნა: „სახელმწიფო“ და „კანონები“, არისტოტელემ – სპეციალური ტრაქტატი „პოლიტიკა“, ავგუსტინემ „ღვთის ქალაქი“, მაკიაველიმ „მთავარი“, პობსმა „ღვიათანი“, მონტესკიემ – „კანონთა გონი“, უან-ჟაკ რუსომ „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“. პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებს იკვლევდნენ კანტი, ჰეგელი, მარქსი, ბენტამი, ჯონ სტიუარტ მილი, და ა. შ. მე-20 საუკუნის პოლიტიკურ ფილოსოფიაში მუშაობდნენ ჯონ როულსი „სამართლიანობის თეორია“, რობერტ ნოზიკი „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“, ისაია ბერლინი „თავისუფლების ორი თვალსაზრისი“, ჯონ ნერვენსონი „თანასწორობის და თავისუფლების შეპირისპირება, თავისუფლების უპირატესობა“, ჯ. რაცი „ლიბერალიზმი, ავტონომია და ნეიტრალური დამოკიდებულობის პოლიტიკა“ ჰაიეკი „თავისუფლების კონსტიტუცია“ და სხვები.

გერმანელი ფილოსოფოსის ედმუნდ ჰესურლის (1839-1938) სიტყვებით, პოლიტიკური ფილოსოფია, ეს არის პოლიტიკის „მორფოლოგიური არსი“ -ს გაგება, რომელიც შეადგენს პოლიტიკის ფენომენალურ მხარეს კონკრეტული გამოვლინებებით, ფორმებითა და ფაქტებით.

ამდენად, პოლიტიკური ფილოსოფიის ამოცანაა – სახელმწიფოს არსისა და ძალაუფლების, მისი მიზნებისა და დანიშნულების, ადამიანის ბუნებასთან მისი ურთიერთობის კვლევა.

ედმუნდ ბერკი (1729-1797) აღნიშნავს, თეორეტიკოსი ფილოსოფოსის საქმეა მიუთითოს სახელმწიფოს ჭეშმარიტ მიზნებზე, პრაქტიკოსი პოლიტიკოსის საქმე კი იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა იპოვოს საჭირო საშუალებები ამ მიზნების მისაღწევად და შესძლოს კიდევაც წარამატებით გამოიყენოს იგი.

საწყის ეტაპზე პოლიტიკური ფილოსოფია პოლიტიკურ მეცნიერებასთან ერთად ადამიანთა საქმეების ყოვლისმომცველ შემსწავლელად გვევლინებოდა. მხატვრულად თუ ვიტყვით, დღეს იგი „დაჭრილია ნაჭრებად“, რაც ადრე მოცემული იყო პოლიტიკური ფილოსოფიის და პოლიტიკური მეცნიერებების სახით, დღეს ის გვევლინება სოციოლოგიის, ეკონომიკის, სოციალური ფსიქოლოგიის, პოლიტიკური თეოლოგიისა და ა. შ. სახელით.

პოლიტიკურ ფილოსოფიას, ემპირიული მეცნიერებებისაგან განსხვავებით ორიენტირებულია არსების კვლევაზე, ხოლო თანამედროვე მოდიფიკაციაში კი ხდომილებათა ანალიზზე. მისი ძირითადი კითხვაა: რა არის პოლიტიკური, რა ვლინდება, რა აჩვენებს თავის პოლიტიკურ ხასიათს ხდომილებაში, როგორც არსობრივი დიფერენცია. ეს არის სიღრმისეული კვლევა – ის ორიენტირებულია საზრისების, ადამიანის ღირებულებით ორიენტაციების შესწავლაზე.

პოლიტიკური ფილოსოფია არის ცოდნა პოლიტიკის არსა და დან-

იშნულების შესახებ. ის შეიმუშავებს პოლიტიკური თეორიას, იდეალებს, ნორმატიულ პრინციპებს, პარადიგმებს, მოდელებს და სხვ. იკვლევს პოლიტიკური მოვლენების მიზეზებსა და ადგენს პერსპექტიულ პროგნოზებს. ის იძლევა ემპირიული პოლიტიკური პროცესების შემეცნების მეთოდებს, ფორმებსა და საშუალებებს.

## §4. პოლიტიკური ფილოსოფია გუშინ და დღეს

XX საუკუნის პირველ ნახევარში თითქოსდა დაიკარგა ინტერესი პოლიტიკურ ფილოსოფიის პრობლემებზე. რაც გამოწვეული იყო გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ლოგიკური პოზიტივიზმისა და ენის ფილოსოფიის აღმავლობით.

პოლიტიკური ფილოსოფიის, როგორც არამეცნიერული მოვლენების უარყოფა-თანამედროვე პოზიტივიზმისათვის არის დამახასიათებელი. XIX საუკუნის ბოლოს სოციალურ მეცნიერებათა პოზიტივიზმი საბოლოოდ ჩამოყალიბდა. მან გააცნობიერა რომ ფაქტებსა და ლირებულებებს შორის არსებობს ფუნდამენტური განსხვავება. მეცნიერება ეყრდნობა ფაქტებზე დაფუძნებულ დასკვნებს.

პოზიტივისტურად ორიენტირებული მიმდინარეობების მიხედვით ნორმატიული ხასიათის მსჯელობები არც ერთ კატეგორიას არ უნდა მიეკუთვნებოდეს. მათი დასაბუთება ფაქტების მეშვეობით შეუძლებელია და არც ანალიტიკურ ჭეშმარიტებას შეიცავენ. ამდენად, პოლიტიკური ფილოსოფია ფსევდო – ცოდნის მატარებლად მოინათლა.

თანამედროვე პოზიტივიზმი უარს ამბობს პოლიტიკურ ფილოსოფიაზე, რამდენადაც მას არამეცნიერულად თვლის. პოზიტივიზმი ახლაც ეთანხმება იმ პრინციპს, რასაც მისი ფუძემდებელი ოგიუსტ კონტი ამტკიცებდა, რომ თანამედროვე მეცნიერება არის ცოდნის უმაღლესი ფორმა. პოლიტიკური ფილოსოფია კი თეოლოგიისა და მეტაფიზიკისაგან განსხვავებით აბსოლუტური ცოდნის მაგივრად შეფასებით ცოდნას აღიარებს.

პოზიტივიზმი, რომელმაც მეცნიერებაში მიიღო თავისი საბოლოო ფორმა, გააცნობიერა განსხვავება ფაქტებსა და ლირებულებებს შორის. მეცნიერების კომპეტენციაში შედის მხოლოდ ფაქტიური მსჯელობები. პოზიტივისტური სოციალური მეცნიერება „თავისუფალია ლირებულებებისაგან“ ან „ეთიკურად ნეიტრალურია“.

როგორც პოლიტიკური ფილოსოფიის თანამედროვე მკვლევარი ლეოშტრაუსი აღნიშნავს: დღეს პოლიტიკური ფილოსოფიაში ადგილი აქვს მხოლოდ უთანხმოებას მის საგანთან, მეთოდებთან და ფუნქციებთან მიმართებაში. კითხვის ქვეშ დადგა მისი არსებობის შესაძლებლობა რაიმე ფორმით. ერთადერთი, რაშიც თანხმდებიან პოლიტიკური მეცნიერების სწავლულები, არის ის, რომ პოლიტიკური ფილოსოფიის ისტორიის შეს-

წავლას შეუძლია სარგებლის მოტანა.

1970 წლის დასაწყისში პოლიტიკური ფილოსოფია აღორძინების გზას დაადგა. ზოგიერთი მკვლევარი პოლიტიკური ფილოსოფიის აღორძინების, ანუ შემოტრიალების თარიღად 1971 წელს ასახელებს, რაც დაკავშირებულია ჯონ როულსის (1921-2002) ფუნდამენტური შრომის „სამართლიანობის თეორიის“ გამოსვლასთან, რომლითაც ფაქტიურად ახალი ეტაპი დაიწყო.

### **მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ**

რას გვეუპნება არისტოტელეს ცნობილი დეფინიცია „ადამიანი არის პოლიტიკური არსება“.

- თუ პოლიტიკა არსებითად საზოგადოებრივი საქმიანობაა, რატომ არ ითვლება ნებისმიერი საზოგადოებრივი საქმიანობა პოლიტიკად?

გავიხსენოთ პოლიტიკაზე ხუთი შეხედულება:

- პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს მართვის ხელოვნება;
- პოლიტიკა, როგორც საჯარო პროცესი;
- პოლიტიკა, როგორც კომპრომისი და კონსენსუსი;
- პოლიტიკა, როგორც ხელისუფლებისა და რესურსების განაწილება;
- პოლიტიკა, როგორც ძალაუფლება;

ვიმსჯელოთ თითოეულზე ცალცალკე.

გ) პოლიტიკური ფილოსოფია ნორმატიული დისციპლინაა-განვასხვავოთ ერთმანეთისაგან:

- ნორმატიული და
- მეცნიერული

## თავი II

# სახელმწიფო: ბუნებრივი მდგომარეობიდან საზოგადოებრივი ხელშეკრულებისაკენ

„სახელმწიფოს მიზანი მუდამ ერთია: მოათვინიეროს,  
დაიმორჩილოს და დათრგუნოს პიროვნება“  
მაქს შტირნერი, „მე და ჩემი“

### ჭ1. რა არის სახელმწიფო? საჭიროა თუ არა მისი არსებობა?

სიტყვა სახელმწიფო ჩვენთვის თითქოსდა ძალზედ ნაცნობია და მრავალჯერ გამოგვიყენებია კიდეც, მაგრამ მისი განსაზღვრება იოლი საქმე არაა. ყოველდღიურ სასაუბრო ენაში და მეცნიერებაში ცნება „სახელმწიფო“, ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება

პირველი – სახელმწიფოში იგულისხმება ადამიანთა დიდი ჯგუფების გაერთიანება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო იდენტურია ცნებისა „ხალხი“, „საზოგადოება“, „ქვეყანა“.

მეორე – სახელმწიფოში გულისხმობენ გარკვეულ ორგანოებს და ინსტიტუტებს, ასევე მათი საქმიანობის წესს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს იგივეობრივი ცნებაა „მთავრობა“ და „ადმინისტრაცია“.

სახელმწიფო: პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში სუვერენული ძალაუფლება გააჩნია და, ასევე „კანონიერ ძალადობაზე“ მონიპოლიით ხასიათდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკა ბერძნული სიტყვაა და „პოლისის“ ანუ სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას ნიშნავს. ბერძნებს პატარა ქალაქ-სახელმწიფოები ჰქონდათ და ის მიაჩნდათ სახელმწიფოებრივი მოწყობის საუკეთესო ფორმად.

ბერძნები სახელმწიფოს სტაბილურობას უპირველეს ყოვლისა, აკავშირებდნენ კანონების არსებობასთან. ქალაქი შეიძლება დახასიათდეს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო, იმდენად, რამდენადაც politeai – მოქალაქეთა ერთობლიობა შედგენილია საყოველთაოდ დაწერილი კანონებით.

სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობას თავისი სახელმწიფოებრივი წყობა მიაჩდათ საუკეთესოდ, ანდა იპრძოდნენ მის შესაცვლელად.

პლატონი „სახელმწიფოში“ ბძანებს: „მე მგონია, სახელმწიფოს მაშინ ეძლევა დასაბამი, როცა არცერთ ადამიანს აღარ შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი თავი, რადგანაც ათასი რამ სჭირდება... – ამიტომ ყოველი კაცი ხან ვის მიმართავს და ხან ვის თავისი მოთხოვნილების დასაკმაყო-

ფილებლად. ათასნაირ გაჭირვებას რომ განიცდის, ათასობით კაცი ერთი-ანდება, რათა ერთად იცხოვროს და შეეწიონ კიდევ ერთმანეთს. სწორედ ამ თანაცხოვრებას ვუწოდებთ ჩვენ სახელმწიფოს“

სახელმწიფო-პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც დამოუკიდებელ იურისდიქციას ავრცელებს გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში და ხელისუფლებას მუდმივმოქმედი ინსტიტუტების მეშვეობით.

სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშანები:

– ტერიტორია, როგორც განუყოფელი და ხელშეუხებელია. სახელმწიფო, რომელიც კარგავს ტერიტორიას, აღარ არსებობს, როგორც სახელმწიფო.

– მოსახლეობა (ხალხი) ადამიანები, რომლებიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ემორჩილებიან მას.

– სუვერენული ხელისუფლება, რომლის მოხელეების მეშვეობით ხორციელდება მართვა. ის სახელმწიფოს განმსაზღვრელი ელემენტია. სუვერენულობა ნიშნავს, რომ თავის ტერიტორიაზე სახელმწიფოს ხელისუფლება არის უნივერსალური, ვრცელდება მთელ მოსახლეობაზე და ყველა ორგანიზაციაზე.

სახელმწიფო ხელისუფლება ფლობს მონოპოლიას იძულების საშუალებების (არმია, პოლიცია, ციხეები) და სახელმწიფოს მიერ ძალადობის გამოყენების ფორმები, საშუალებები, და პირობები მკვეთრადაა განსაზღვრული კანონით.

ამდენად, სახელმწიფო არის მმართველთა და მართულთა ურთიერთობის კანონიერად მოწესრიგებული სამყარო.

პოლიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები პლატონიდან და არისტოტელედან მოყოლებული დღემდე ქმნიდნენ სახელმწიფოებრივი მმართველობის სხვადასხვა მოდელებს. ანუ ადამიანები მუდმივად ძიებაში იყვნენ უკანონობა კანონით დაერეგულირებინათ, უსამართლობა – სამართლიანობით და ა. შ.

ადამიანები ხშირად ფიქრობენ, რომ არსებული მმართველობის სახელმწიფოებრივი ფორმები ცუდია. შეიძლება თუ არა თავი დავალნიოთ მათ? მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გავიქცეთ სახელმწიფოდან, ვინაიდან დედამიწაზე არ დარჩა ადგილი, სადაც მას დაემალები.

სახელმწიფოს მომხრეც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეც. მომხრეებისათვის სახელმწიფო ნამდვილი „მიწიერი ღმერთია“, მხოლოდ მასში შეუძლია იცხოვროს ადამიანთა მოდგმამ. მის გარეშე ჩვენი ცხოვრება დაემსგავსებოდა მტაცებელ ცხოველთა სამყაროში ცხოვრებას.

არიან ადამიანთა ჯგუფები, რომელთაც ანარქიზმის წარმომადგენლებს უწოდებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანთა მოდგმა უკეთესად იცხოვრებდა, სახელმწიფოები რომ არ ყოფილიყო.

ანარქია სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მმართველობის გარეშე; ცნება „ანარქია“ ხშირად გამოიყენება უარყოფით კონტექსტში, დესტაბილიზაციის

და ქაოსის აღსანიშნავად.

მოწინააღმდეგები მასში ურჩხულს ხედავენ, რადგან თავისუფლებას ზღუდავს და ხელს უშლის ნებაყოფლობით ურთიერთობებს. ისინი თვ-ლიან, რომ სახელმწიფო უნდა გაუქმდეს. მათ ანარქისტებს უწოდებენ.

ანარქისტების მტკიცებით არსებობს საზოგადოებრივი მოწყობის მარტივი და უფრო სრულყოფილი მეთოდები. ანარქიზმის ერთ-ერთი მამამთავრის პიერ უოზეფ პრუდონის (1809–1865) მიხედვით, სოციალური უნესრიგობის, ძალმომრეობის, უსამართლობის, თავისუფლების შეზღუდვის მიზეზები სახელმწიფოში უნდა ვეძებოთ.

სახელმწიფოს მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის დავადლესაც გრძელდება, რადგან არავინ იცის როგორი პოლიტიკური მომავალი გველის.

თეოლოგი და ფილოსოფოსი ნეტარი ავგუსტინე (354-430) „ღვთის ქალაქში“ აღნიშნავს; „ცოდვით დაცემული და სამოთხიდან გაძევებული ადამიანი მიდრეკილია ძალადობისაკენ. სახელმწიფოს ამ მიდრეკილების ალაგმვა აკისრია. ამდენად, ცუდი სახელმწიფო უფრო ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე სახელმწიფოს სრული არარსებობა“..

სახელმწიფოს, თუკი მას განვიხილავთ ოფიციალური საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, წარმოადგენს პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას, რომელიც ფლობს საშუალებებს, რათა განახორციელოს კონტროლი განსაზღვრულ ტერიტორიაზე და მოცემულ ხალხზე და ამასთან დაამყაროს ურთიერთობები სხვა ერთეულთან, რომელთაც აგრეთვე გააჩნიათ სუვერენიტეტი.

იმისათვის, რომ სახელმწიფო არსებობდეს, საჭიროა ორგანიზაციის ხანგრძლივი ერთგვაროვანი არსებობა და უნარიანობა. მაგალითად, ფისკალური რესურსები, რათა შენარჩუნებულ იქნას იძულების აპარატი.

სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა სამოქალაქო საზოგადოების გარეშე, რომელიც ხელს უშლის „ბუნებრივ მდგომარეობაში „ დაბრუნებას. სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება დიდხანს იყო სინონიმური ცნებები, დაწყებული არისტოტელედან და დამთავრებული რუსოთი, სანამ მოხდებოდა ამ კონცეპტების ცალცალკე განხილვა.

სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობას თავისი სახელმწიფოებრივი წყობა მიაჩდათ საუკეთესოდ, ანდა იპრძოდნენ მის შესაცვლელად.

ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) „მთავარში“ აღნიშნავს, „ყველა სახელმწიფო, ყველა ძლიერი ხელისუფლება, რომელსაც გააჩნია ძალაუფლება ხალხზე, არის რესპუბლიკა ან სამეფო.“ სახელმწიფო მაკიაველთან უფრო ფართო რეალობას აღნიშნავს, ვიდრე მართლმსაჯულების ფორმებს.

## § 2. წინარესასახელმწიფობრივი ანუ ბუნებრივი მდგომარეობა

თანამედროვე ადამიანს სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, მაგრამ კაცობრიობამ თავისი ისტორის დიდი ნაწილი სახელმწიფოს გარეშე გაატარა. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია დაახლოებით ხუთიათასი წლის ისტორიას ითვლის.

ხშირად ისმება კითხვა: ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ, ანუ ბუნებრივია ადამიანის ცხოვრება სახელმწიფოში, თუ უფრო ბუნებრივი მდგომარეობაა, ადამიანები თავისუფლად რომ დაეხეტებოდნენ ტყეებსა და ველებში. ძნელი საფიქრებელია, რა არის მისთვის ბუნებრივი და რა არაბუნებრივი.

ბუნებრივი მდგომარეობა ესაა-საზოგადოების ყოფა-ცხოვრება, რომლისთვისაც უცხოა პოლიტიკური ხელისუფლება და პიროვნების შეზღუდვა ნებისმიერი იურიდიული კანონებით. ფაქტიურად მხოლოდ თეორიული მოცემულობაა.

ჯონ ლოკი აღნიშნავს, რომ ადამიანის ბუნებითი თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ემორჩილება არანაირ ამქვეყნიურ უპირატეს ძალას ან ადამიანის ნებასა თუ საკანონმდებლო ხელისუფლებას და მხოლოდ ბუნებით კანონს აღიარებს სახელმძღვანელოდ. ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში ისაა, რომ არ დაემორჩილოს სხვა საკანონმდებლო ხელისუფლებას, გარდა იმისა, რაც სახელმწიფოში თანხმობით მიიღება; არ დაემორჩილოს რაიმე ნებას ან შეიზღუდოს რაიმე კანონით, გარდა იმისა, რასაც კანონმდებელი მიიღებს მისდამი გამოცხადებული ნდობის ფარგლებში.

მაშასადამე, ხელისუფლების პირობებში მცხოვრები ადამიანების თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ არსებობდეს მოქმედი სახელმძღვანელო წესები, რაც საზოგადოების ყველა წევრზე თანაბრად გავრცელდება და რასაც მასში შექმნილი საკანონმდებლო ორგანო შემოიღებს. თავისუფლება, ვიმოქმედო ჩემი საკუთარი ნებით ყოველთვის, როცა ეს წესები ამას არ მიკრძალავს, არ დავექვემდებარო მეორე ადამიანის ცვალებად, გაურკვეველ, უცნობ, თვითნებურ სურვილებს, – ისევე, როგორც ბუნებითი თავისუფლება ნიშნავს, არაფრით იყო შეზღუდული, გარდა ბუნების კანონისა.

ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას შეიძლება ვუწოდოთ წინასახელმწიფობრივი პერიოდი. თომას ჰობსის მიხედვით, (არისტოტელესაგან განსხვავებით) ადამიანთა პოლიტიკურ ყოფას წინ უსწრებს ბუნებრივი მდგომარეობა. ის წერს: ბუნებამ ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მიხედვით თანასწორნი შექმნა, რადგან მართალია, ზოგჯერ ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი ადამიანი მეორეზე უფრო ღონიერი და ჭკვიანია, მაგრამ თუ მათ ყველას ერთიანობაში განვიხილავთ, აღმოჩენდება, რომ განსხვავება მათ შორის არც ისე დიდია, რომ რომელიმე ადამიანს ამის საფუძველზე

შესძლებოდა მოეთხოვა თავისთვის რაიმე სასიკეთო იმგვარად, რომ სხვა ადამიანს არ ჰქონდეს იგივეს მოთხოვნის ანალოგიური უფლება.

ჰოპსთან ბუნებრივი მდგომარეობა ხასიათდება თანასწორობით, რომელიც იქ სუფევს: ყველა ადამიანი იქ თანასწორია. ვინაიდან ყველაზე სუსტსაც კი აქვს იმდენი ძალა, მოკლას უფრო ძლიერი ადამიანი (ეშ-მაკობით, სხვა ადამიანის დახმარებით). მისი აზრით, ადამიანებს შორის უნარების ერთგვარობა არის ურთიერთუნდობლობის და კონფლიქტის წყარო. ბუნებრივ მდგომარეობაში იქმნება ტოტალური კონფლიქტის ვითარება.

ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა შორის მტრობის სამი მიზეზი არსებობს: მეტოქეობა, უნდობლობა და პატივმოყვარეობა, ანუ დიდების წყურვილი.

მეტოქეობა, რადგანაც ის ადამიანები ხდებიან ერთმანეთის მტრები, რომელთაც სურთ ერთი და იგივე რამ.

უნდობლობა გამომდინარეობს მეტოქეობიდან, რადგან საფრთხე კარნახობს წინასწარგანჭვრეტასა და მოქმედების აუცილებლობას. რათა ძალის გამოყენებით ადამიანი თავში მოექცეს სხვა ადამიანთა საკმაოდ დიდ ჯგუფს და ამიერიდან არ ეშინოდეს მტრული ძალების.

პატივმოყვარეობა, რადგან „ჯგუფურად“ ცხოვრებისას თითოეული ცდილობს, რომ სხვამ პატივი სცეს მას ისე, როგორც ის მიიჩნევს. ეს სურვილი იმდენად ძლიერია, რომ ის მზადაა ავნოს სხვებს, ოღონდაც მიაღწიოს საწადელს.

ამდენად, ჰოპსის მიხედვით, ადამიანები იბრძვიან უსაფრთხოებისათვის, ნადავლის ხელში ჩასაგდებად და ღირსების განსამტკიცებლად. ადამიანები შეპყრობილი არიან ვნებებით. სწორედ იმიტომ, რომ ადამიანები არ ემორჩილებიან ერთობლივ ძალაუფლებას, მათ ბუნებრივად აქვთ უფლებები, მაგრამ ეს უფლებები მრავალ წინააღმდეგობას აწყდება, რამაც შეიძლება ისინი შეუსრულებადი გახადოს: თითოეულს შეუძლია მიიღოს, რაც მას სურს, მაგრამ არც ერთის ქონება არ არის გარანტირებული. ამდენად არ არსებობს ინსტიტუტი, რომელიც აიძულებს ადამიანებს პატივი სცენ ერთმანეთს, ისინი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რომელშიაც, როგორც ჰოპსი იტყვის, მიმდინარეობს: „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“ და ამოქმედდება პრინციპი „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. ასეთი იყო ადამიანის ხიფათით აღსავსე ცხოვრება, როდესაც ის ველურ ან „ბუნებრივ მდგომარეობაში“ ცხოვრობდა, ანუ არ ჰქონდა სახელმწიფო.

### **§3. ბუნებრივი მდგომარეობიდან საზოგადოებრივი ხელშეკრულებისაკენ**

„სახელმწიფოში“ პლატონი გლავეონს ათქმევინებს „მას შემდეგ, რაც ადამიანებმა გამოსცადეს ერთიც და მეორეც, ანუ მოიქცნენ სამართლი-ანადაც და არასამართლიანადაც და დაზარალდნენ არასამართლიანობისა-გან, მაშინ მათ მიზანშეწონილად ჩათვალეს მოლაპარაკება, რათა სამომავ-ლოდ არც უსამართლობა ჩაედინათ და არც დაზარალებულიყვნენ მისგან. აქედან დაიწყო კანონმდებლობა და ხელშეკრულება“.

ბუნებრივი მდგომარეობის პირობებში ადამიანთა შორის ურთიერთობა ემყარება პრინციპს – „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“, რაც უფრო ვე-ლურთა ყოფისათვის არის დამახასიათებელი, რაკი ამ ვითარებიდან ყველა ზარალდებოდა, ადამიანებს შორის დაიდო საზოგადოებრივი ხელშეკრულე-ბა, რომლის მიხედვითაც დაცული უნდა ყოფილიყო თითოეული მათგანის ბუნებრივი უფლება სიცოცხლეზე და ბედნიერებაზე.

კონვენციის დადების შემდეგ, ადამიანები პოლიტიკურ მდგომარეობა-ზე გადადიან და კონვენციით არსებული წესებით ცხოვრობენ. მისი აზრით პირველი სახელმწიფო შეიქმნა ხელშეკრულების შედეგად. რათა თავიდან აეცილებინათ ცხოვრების ბუნებრივი წესის საშინელებანი.

თომას ჰობსი მიუთითებს, „სახელმწიფო დაწესებულად ითვლება, თუკი მრავალი ადამიანი თანხმდება და თითოეული მათგანი ხელშეკრულებას დებს თითოეულ სხვასთან იმაზე, რომ ვისაც არ უნდა მიანიჭოს მათმა უმ-რავლესობამ ყველა მათგანი პიროვნების წარმოდგენის უფლება (ადამიანს თუ საკრებულოს) – ანუ ვინც არ უნდა გახადონ თავის წარმომადგენლად – ყველამ, იმისდა მიუხედავად, ამ წარმომადგენელს მისცა ხმა თუ მისი წინააღმდეგი იყო, უნდა მოახდინოს ამ კაცის, თუ საკრებულოს ყველა ქმედებისა თუ გადაწყვეტილების ავტორიზაცია ისე, თითქოს ის თავად მათი ყოფილიყოს [ანუ თავად მათ ემოქმედოთ] ერთმანეთში მშვიდობის შენარჩუნებისა და სხვა ადამიანთაგან თავდაცვის მიზნით“.

ამდენად, როგორც ჩანს, სახელმწიფო შეიქმნა ხელშეკრულების საფუძველზე. ინდივიდები შეთანხმდნენ, დაეწესებინათ მეფის წოდება, რომელსაც ექნებოდა ძალაუფლება მათზე, მათზე ვისაც უნდოდა მშვიდო-ბის შენარჩუნება.

ჰობსი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მუდმივი და ძირითადი ფუნქცია სწორედ მშვიდობის შენარჩუნებაა. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მეფეს ან სხვა მმართველს ექნება აბსოლიტური ძალაუფლება. მთელი ძალაუფლების ერთი ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის ხელში თავმოყრა იქნებოდა მთელი ხალხის წარმომადგენელი და დამცველი. საზოგადოე-ბრივი ხელშეკრულებით დაფუძნებული თანამდებობა, პოსტი უმაღლესი ხელისუფლების მატარებელი ხდება.

ჰობსის შეხედულებანი სახელმწიფოსა და ბუნებრივი მდგომარეობაზე

გააკრიტიკეს, მათ შორის ჯონ ლოკმა, რომელიც ამბობს, რომ ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ მშვიდობიანად ბუნებრივ მდგომარეობაშიც კი; რომ ადამიანებს აქვთ გარკვეული ბუნებრივი უფლებები: სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების უფლებები.

სახელმწიფო არსებობს არა მარტო მშვიდობის შენარჩუნებისათვის, არამედ იმისათვის, რომ დაიცვას ბუნებრივი უფლებები და უზრუნველყოს მათი შესრულება.

ჰობსის შეხედულება „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ შესახებ, რომელიც ჩამოყალიბა ნაშრომში „ლევიათანი“, მხოლოდ სწავლულთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი. სანამ ჟან-ჟაკ რუსომ არ გამოქვეყნა თავისი წიგნი სათაურით „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“. წიგნის გამოსვლის შემდეგ ხელშეკრულების იდეა მასობრივი ინტერესისა და მსჯელობის საგანი გახდა.

საზოგადოებრივი ხელშეკრულება გულისხმობს საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში ცალკეულ პიროვნებათა ნებაყოფლობით ურთიერთშე-თანხმებას, რომელიც ჰობსის, ლოკის და რუსოს სახელებთანაა დაკავ-შირებული.

რუსო უარყოფს ინგლისელი ფილოსოფოსის თეორიას „ბუნებრივი მდგომარეობის“ შესახებ. მისი აზრით, ჰობსი ლოგიკურ შეცდომას უშვებს. ეს შეცდომა მდგომარეობს იმის დაშვებაში, რომ პრეისტორიულ ადამიანს ახასიათებს ისეთი ქცევა და აზროვნება, რომელიც მარტოოდენ საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად გაჩნდა. მისი აზრით, ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანი არ ცხოვრობს საზოგადოებაში. ამიტომ პიპოთეზა ყველას ომზე ყველას წინააღმდეგ ბუნებრივ მდგომარეობაში არ არის მართებული.

ამასთან, ადამიანებს ჰორის არსებობს ორი სახის უთანასწორობა. ერთია ბუნებრივი ანუ ფიზიკური უთანასწორობა, მეორე – პირობითი, ანუ პოლიტიკური უთანასწორობა. ის მყარდება ადამიანთა შორის გარკვეული კონვენციის საფუძველზე. სამოქალაქო საზოგადოება შექმნა მან, ვინც პირველმა შემოლობა მინის ნაკვეთი. და თქვა „ეს ჩემია“. ვინმე ღვთისნიერი, აღნიშნავს თავის ნაშრომში რუსო, რომ გამოჩენილიყო, რომელიც ღობეს მოარცვევდა და იტყოდა, რომ მიწა ყველასათვის საერთოა, ის გადაარჩენდა კაცობრიობას.

რუსოს მიხედვით, საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში ხალხია დამქირავებელი, შემკვეთი მხარე, ხოლო დაქირავებული მხარეა მთავრობა. თუ დაქირავებული მხარე დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მაშინ შემკვეთს უფლება აქვს დაითხოვოს იგი და დასაჯოს კიდეც.

რუსოს თხზულება სამაგიდო წიგნად იქცა საფრანგეთის რევოლუციის ლიდერებისათვის. მაქსიმილიან რობერსპიერი მას „რევოლუციის ბიბლიად“ აღიქვამდა და საკუთარ თავს მასში დასაბუთებული იდეების აღმასრულებელ იარაღად მიიჩნევდა.

ამ იდეებზე დამყარებით დაამხეს მონარქია. საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის შემდეგ დამყარდა რესპუბლიკური მმართველობა პრინციპით: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“. ამ იდეალების სახელით შემდეგ სხვა ქვეყნებშიც განხორციელდა რევოლუციები.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით აუცილებელია არსებობდეს ერთგვარი განსხვავება სახელმწიფოსა და ნებაყოფლობით ასოციაციას შორის. მთავარი განსხვავება ნებაყოფლობით ასოციაციასა და სახელმწიფოს შორის ის არის, რომ ასოციაციიდან შეიძლება გამოსვლა, მაშინ როდესაც სახელმწიფოდან გამოსვლა შეუძლებელია.

ნებისმიერი ადამიანი ეკუთვნის ამა თუ იმ სახელმწიფოს, სადაც ადამიანს შეუძლია თავი აარიდოს ნებაყოფლობით ორგანიზაციაში მონაწილეობას. მთავარი, რაც სახელმწიფოს გააჩნია ეს არის ძალაუფლება.

ძალაუფლება განისაზღვრება, როგორც იმის უფლება, რომ მიიღოს გადაწყვეტილებანი და მოითხოვო მორჩილება, როცა ეს აუცილებელია. როგორც კი ადამიანები იწყებენ ერთად, ჯგუფურად ცხოვრებას, წარმოიშობა სახელმწიფო ძალაუფლება, კანონშემოქმედება, დანაშაულთა თავიდან აცილების, დამნაშავეთა დასჯის და სხვა უფლებები. ასეთი ცხოვრების წესი წარმოშობს აუცილებელ ამოცანებს:

პირველი, ადამიანების ერთმანეთისაგან დაცვა,

მეორე, ადამიანების ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულების დაცვა,

მესამე, ყველა ჩვეულებრივი უფლებების დადასტურება და დაცვა, რომელიც სასურველია და სასარგებლოდ გვესახება.

მეოთხე, თემის საკეთილდღეო საქმეების ორგანიზები.

#### ჭ4. სახელმწიფოს წარმოშობა

სახელმწიფოს წარმოშობა საზოგადოების ბუნებრივი განვითარების, გვაროვნული თემური წყობილების რღვევის შედეგია. პოლიტიკური ურთიერთობის, პოლიტიკური ინსტიტუტების და საბოლოო ჯამში სახელმწიფოს წარმოშობას პოლიტოგენეზი ეწოდება.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბება სტიქიურად მიმდინარეობდა და ისინი თავიანთ საქმიანობაში ემყარებოდნენ ჩვეულებებს და ტრადიციებს.

მიუხედავად ფორმათა მრავალფეროვნებისა, სახელმწიფოებრიობის განვითარებაში მსოფლიოს მასშტაბით გამოიყოფა ორი ტიპი: ტრადიციული და კონსტიტუციური. მეორენაირად მონარქია და რესპუბლიკა.

მთავრობა, (ხელისუფლება) ქმნის სავალდებულო წესებს, რომელთა საშუალებით მართავს საზოგადოებას.

როგორ შეიძლება მსოფლიოში მმართველობის მრავალგვარი ფორმების კატეგორიებად დაყოფა?

ტრადიციულად, სახელმწიფოები იყოფა: რესპუბლიკებად (სადაც სუ-ვერენიტეტი საბოლოოდ ხალხის ხელშია) და სახელმწიფოებად, სადაც სუ-ვერენიტეტი მმართველთა ხელშია – მონარქიად ან ტირანიად.

დღეისათვის, თითქმის ყველა რესპუბლიკა დემოკრატიული (ანუ წარ-მომადგენლობითი) რესპუბლიკაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალაუფლება არჩეული წარმომადგენლების ხელშია, რომლებიც ხალხის წინაშე არიან პასუსისმგებელნი.

ტრადიციული სახელმწიფოები როგორც წესი, პიროვნებას არ განიხილავდნენ სახელმწიფო ორგანიზაციის არსებობის მიზნად. მათთვის ადა-მიანი სახელმწიფოს პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის საშუალება იყო. ხელისუფალთა ძალაუფლება ქვეშევრდომებზე არ იყო შეზღუდული. ასეთი იყო მრავალრიცხოვანი მონარქიები, სადაც საკანონმდებლო და სო-ციალური ღონისძიებები მიზანშეწონილად ემორჩილებოდა მონარქიის ნე-ბას.

კოსტიტუციური სახელმწიფოები კი გაცილებით გვიან წარმოშვა. ტრადიციული სახელმწიფოსაგან განსხვავებით, მათ აქვთ მკვეთრად განსაზღვრული მიზნები, რომლებიც გამომდინარეობს გარკვეული სო-ციალური ფენების და კლასების, მთლიანად საზოგადოების და ცალკეული პიროვნებების ინტერესებისაგან. მისთვის დამახასიათებელია კონსიტუცი-ის ანუ წერილობითი კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მართვის ორგა-ნოების შეზღუდვა. სასამართლო სისტემა აქ არეგულირებს სახელმწიფოს საქმიანობის ყველა ძირითად სფეროს.

სხვადასხვა ხალხებში პოლიტოგენეზის პროცესები თავისებურად მიმ-დინარებდა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოვყოთ პოლიტოგენე-ზის სამი მოდელი იმისდა მიხედვით, თუ ვინ ექცეოდა საზოგადოების სა-თავეში.

1. სამხედრო მოდელი – პოლიტიკურ ხელისუფლებას ითვისებენ სამხ-ედრო ლიდერები, სამხედრო ორგანიზაციის, სამხედრო რაზმების მხარდაჭერით.
2. არისტოკრატიულ მოდელი – ტომთა ბელადები თავიანთ ხელში აქცევდნენ საზოგადოების ხელმძღვანელობას და თანდათან ზღუ-დავდნენ, თანატომელთა მონანილეობას რესურსების მართვაში.
3. პლუტოკრატიული მოდელი – საზოგადოების სათავეში ექცეოდნენ ცალკეული მდიდარი ინდივიდები, რომლებიც თანდათანობით თავი-ანთ ავტორიოტეტს პოლიტიკურ ხელისუფლებად გარდაქმნიდნენ.

ხელისუფლება, რომლის მიზანია ძალაუფლების განხორციელება სახ-ელმწიფოში, იმისდამიხედვით, თუ რა მეთოდით ახორციელებს ამ ძა-ლაუფლებას, ქვეყანაში მყარდება შესაბამისი პოლიტიკური რეჟიმი. ანუ შეიძლება იყოს დემოკრატიული, დიქტატორული ან ტოტალიტარული. პოლიტიკური რეჟიმი არაა დამოკიდებული მმართველობის ფორმაზე; მონარქიაა თუ რესპუბლიკა.

ერთმანეთისგან განასხვავებენ: დემოკრატიულ, დიქტატორულ და ტო-

ტალიტარულ რეჟიმებს.

**დემოკრატია** წარმოდგება ბექნული სიტყვისგან და ნიშნავს ხალხის მმართველობას. ეს არის ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა, თანამე-დროვე გაგებით დემოკრატიას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

ხელისუფლების ლეგიტიმურობა, ხელისუფლების შეზღუდვა კანონით, ძალაუფლების განაწილება და ოპოზიციის ლეგიტიმურობა. ანუ ხელისუ-ფლების არჩევა უნდა მოხდეს შესაბამისი კანონების დაცვით. ხელისუ-ფლებისთვის არ უნდა იყოს ყველაფერი ნებადართული, უნდა მოქმედებ-დეს კანონის ფარგლებში. ხელისუფლება არ უნდა იყოს ერთი პირის ხელში, ძალაუფლება უნდა იყოს განაწილებული ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამ ორგანოს შორის: საკანონმდებლო-პარლამენტი, აღმასრულებელი-მთავრობა, სასამართლო.

ძველი ბერძნები „დემოსის“ ქვეშ გულისხმობდნენ ღარიბ, საკუთრებას მოკლებულ მასას. სიტყვა „დემოკრატია“ ძველ საბერძნეთში გამოხატავდა არა პოლიტიკურ თანასწორობას, არამედ პოლიტიკური ბალანსის დარღვე-ვას ღარიბთა სასარგებლოდ. ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში პოლიტი-კური მოღვაწეობა შეზღუდული იყო. პოლიტიკური საქმიანობის უფლება ჰქონდათ 20 წელზე უფროს მამაკაცებს, გამოირიცხებოდა ქალები, მონები და უცხოელები.

დასავლეთის ქვეყნებშიც არსებობდა მკაცრი შეზღუდვები. დიდ ბრი-ტანეთში საყოველთაო საარჩევნო უფლება ქალებისათვის 1928 წელს დაუშვეს, ა.შ.ში 1960-იან წლებში, როდესაც აფრო ამერიკელებს მისცეს ხმის უფლება. ხოლო შვეიცარიაში ქალებმა ხმის უფლება მხოლოდ 1971 წელს მიიღეს. ყოველ დემოკრატიულ სისტემაში შენარჩუნებულია ასაკო-ბრივი შეზღუდვა, ასევე შეზღუდვა იმ პირთა მიმართ, ვინც აღიარებულია სულიერად ავადმყოფებად ან იმყოფებიან პატიმრობაში.

არსებობს ისეთი დემოკრატიული მოდელები, რომლებიც გარეგნულად გამოხატავენ ხალხის ნებას, მაგრამ სწორედ ხალხს პოლიტიკური მოღვაწე-ობისათვის უტოვებენ ძალზე მცირე შესაძლებლობას. ამის მაგალითებია ტოტალიტარული დემოკრატიები, რომლებიც ჩამოყალიბდა ფაშისტური დიქტატორების-მუსოლინისა და ჰიტლერის დროს. ეს რეჟიმები ემყარე-ბიან იდეას, რომლის მიხედვით მხოლოდ ლიდერს შეუძლია გამოხატოს ხალხის ჭეშმარიტი ინტერესები. ხალხის თავისუფლება კი გამოიხატება ყოვლისშემძლე ლიდერებისადმი თაყვანისცემის რიტუალებში: დემონ-სტრაციები, ყრილობები და ა. შ.

საჭიროა იმის გარკვევა, რამდენად ფართოდ უნდა გავრცელდეს ხალხ-ის ხელისუფლება.

დემოკრატიის მოდელი, აგებული ლიბერალური ინდივიდუალიზმის საფუძველზე მიზნად ისახავს პოლიტიკური მონაწილეობის ცნობილი მექა-ნიზმების მეშვეობით დაამკვიდროს ზოგადი კანონები, რომლის ფარგლებ-შიც ინდივიდებს ექნებათ მაქსიმალური თავისუფლება საკუთარი საქმი-

ანობის წარმართვაში და საკუთარი ინტერესების რეალიზებაში. მაგრამ არსებობს რაღაც საზღვარი რომლის იქით დემოკრატიამ შეიძლება ხელყოს ინდივიდის თავისუფლება.

არსებობს რადიკალური დემოკრატია რომელიც აძლევს უფლებას ინდივიდს მიიღოს ნებისმიერი დაგაწყვეტილება, რომელიც მათ ცხოვრებას შეეხება. ამ შემთხვევაში დემოკრატია გაგებულია როგორც მეგობრული ძალა ადამიანის თავისუფლებისთვის.

ზოგადად გამოყოფენთ დემოკრატიის ოთხ განსხვავებულ მოდელს: კლასიკური, მფარველობითი, განვითარების და სახალხო დემოკრატია.

განვითარების დემოკრატიაში გაჩნდა ახალი ასპექტი: ადამიანისა და საზოგადოების განვითარება. ამ სფეროში თავისი დროისთვის გაპედული მიღვომა წამოაყენა უან უაკ რუსომ, რომლისთვისაც დემოკრატია იყო საშუალება ადამიანს მიეღო თავისუფლება. რუსოს თეორიაში ადამიანები თავისუფალნი არიან მხოლოდ მაშინ, როდესაც პირდაპირ და მუდმივად მონაწილეობენ საზოგადოების საქმეებში. ამრიგად რუსოს დემოკრატია დაყავდა მხოლოდ არჩევნებზე და აყენებდა პირდაპირი დემოკრატიის იდეალს. იგი მიიჩნევდა, რომ ადამიანის თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი ის ემორჩინება საერთო ნებას. ამით ადამიანები მიყვებიან, თავიანთ საკუთარ „ჭეშმარიტ ნებას“. საერთო ნება გამორიცხავს ადამიანების ანგარებიან მოქმედებას.

პლატონი მიიჩნევს, რომ დემოკრატიის ძირითადი პრინციპის- თავისუფლების სიჭარბე საზოგადოებაში ანარქიას და თვითნებობას იწვევს. აბსოლუტურმა თავისუფლებამ შეიძლება მიგვიყვანოს აბსოლუტურ მონობამდე. არისტოტელეს მიხედვით დემოკრატიის დროს ყველა სარგებლობს ერთნაირი პირობებით. უმრავლესობას ხალხი წარმოადგენს და მართავს სახელმწიფოს. იგი აღიარებს კანონის უზენაესობას და თვლის, რომ სახელმწიფოზე კანონი უნდა ბატონობდეს. სადაც არ არის კანონის ძალაუფლება იქ არც სახელმწიფო.

შეა საუკუნეებში დემოკრატია განდევნილი იქნა მმართველობის ფორმებიდან. ამის მიზეზი იყო ის, რომ ევროპაში დამკვიდრდა ფეოდალური საზოგადოება, რომელიც ემყარებოდა კლასობრივ და წოდებრივ შეზღუდვას, ეკლესიის ურყევ ავტორიტეტს. ამ შემთხვევაში ყველაზე მისაღებ ფორმად მონარქია მიიჩნეოდა. ამ ეპოქის მოაზროვნები ამართლებდნენ მეფის ხელისუფლებას და მას ღვთაებრივ წარმომავლობად თვლიდნენ.

დემოკრატიისკენ პოზიტიური შემობრუნება იწყება ახალ დროში. ჰობსმა, ლოკმა, მონტესკიემ, რუსომ და სხვებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მათ დემოკრატია მაინც არ მიაჩნდათ საზოგადოების მისაღებ ფორმად. ამის მთავარ მიზეზად ასახელებდნენ ადამიანისათვის დამახასიათებელ მანკიერებებს, რის გამოც მათთვის შეუფერებელია ისეთი სრულყოფილი მმართველობა, როგორიცაა დემოკრატია.

ახალი დროის ფილოსოფოსების მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები საფუძვლად დაედო დემოკრატიის ახლებურ გაგებას. ისინი აღიარებდნენ ადამიანთა თანასწორობას, უფლებებს, ხალხის ნების უზენაესობას, ხალხის ნებისა და კანონის უზენაესობას. ასევე მოითხოვდნენ ძლაუფლების განაწილებას. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ყოფილიყო გამიჯნული. ამ განაწილების სრული დაფუძნება როგორც ზემოთ განვიხილეთ მოგვცა მონტესკიემ, რომელიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიიჩნევდა სასამართლო, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას.

დემოკრატია შეიძლება მივიჩნიოთ მმართველობის უკეთეს ფორმად, რადგან უკეთესი ფორმა ჯერ საზოგადოებას არ აღმოუჩენია. საინტერესოა ჩერჩილის გამონათქვამი: დემოკრატია მმართველობის ყველაზე ცუდი ფორმაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ სხვა ფორმები უარესია.

**დიქტატორული** რეჟიმი დემოკრატიის საწინააღმდეგოა, ძალაუფლება თავმოყრილია ერთი პირის, დიქტატორის ხელში. მას ეკუთვნის ყველა სახელმწიფო ორგანო, სარგებლობს განუსაზღვრელი ძალაუფლებით. ამ რეჟიმის საპირისპირო თვალსაზრისი ითვლება არაკანონიერად და ისჯება მთელი სიმკაცრით. დიქტატურა თრგუნავს ხალხის ნებას, არ აძლევს მას საშუალებას თავისუფლად გამოავლინოს იგი ხელყოფილია პიროვნების თავისუფლება, ღირსება და ხელაშეუხებლობა.

დიქტატურის მრავალი შეემთხვევა იცის ისტორიამ: ფაშისტური დიქტატურა გერმანიაში და ბოლშევიკური ყოფილ საბჭოთა კავშირში.

**ტოტალიტარიზმი** არის თეორია, რომელიც ამართლებს მთელი ძალაუფლების სახელმწიფოს ხელში თავმოყრას. ტოტალიტარული რეჟიმის დროს სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს. როდესაც სახელმწიფო თავისი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ აქცევს ეკონომიკას, განათლებას, კულტურას, რელიგიას ოჯახურ ყოფას და ა. შ. რომელიც დაფუძნებულია მუდმივი ძალადობისა და დაშინების პოლიტიკაზე.

პოლიტიკა, სოციალური ურთიერთობები, სულიერი სფერო ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ კონტროლს. არსებობს ოფიციალური ცენზურა, რომლის ნებართვის გარეშე არ სრულდება არანაირი მნიშვნელოვანი ქმედება. სახელმწიფო საიდუმლო ორგანიზაციებისა და აგენტების საშუალებით თვალყურს ადევნებს მოქალაქეთა საქმიანობას.

ტერმინი „ტოტალიტარიზმი“ პირველად შემოიტანა იტალიელმა ფილოსოფოსმა ჯოვანი ჯენტილემ, რომლის იდეებმა დიდი როლი შეასრულა იტალიური ფაშიზმის ჩამოყალიბებაში.

## §5. იდეალური სახელმწიფოს მოდელი

მოქალაქეები, ხშირად მხარს ცუჭერთ ისეთ პოლიტიკას და ლიდერებს, თუ გვჯერა, რომ ისინი დაგვეხმარებიან, რომ საზოგადოება უკეთესი, ან უფრო სამართლიანი გახდეს. არჩევანის უკან გარკვეულწილად იმაღება საჯარო სიკეთისა და კარგი საზოგადოების იდეა.

იდეები უტოპის შესახებ, რომლებიც მოცემულია ამა თუ იმ ფილოსოფოსის შრომებში შეიძლება დაგვეხმაროს პოლიტიკის შესაძლებლობებისა და შეზღუდვების უკეთესად გაგებაში. როგორი იქნებოდა საუკეთესო პოლიტიკური წყობა?

სიტყვა უტოპია სათავეს იღებს თომას მორის (1478-1535) წიგნის სა-თაურიდან „უტოპია“. ტერმინი ოუ ტოპოს ბერძნულად „არარსებულ ადგილს“ აღნიშნავს, ხოლო „ეუტოპოს“ ადგილს, სადაც ყველაფერი კარგად არის. ყოველდღიურ ხმარებაში, უტოპია, როგორც წესი, ორივე მნიშვნელობას ერთად მოიცავს.

უტოპია არის არარსებული ადგილი, სადაც ხალხი ცხოვრობს სრულიად ჯანმრთელად, ჰარმონიულად და ბედნიერად.

სრულყოფილი საზოგადოების აბსტრაქტული მოდელები ხანდახან პოლიტიკური ქმედების პრაქტიკული სახელმძღვანელო როლსაც ასრულებდა. ამგვარად, მიუხედავად მისი გარეგნული არაპრაქტიკულობისა, უტოპიური აზრები ემსახურება მნიშვნელოვან მიზნებს და პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს პოლიტიკურ საქმიანობაზე. ასეთ ცნობილ უტოპიურ კვლევებს წარმოადგენს პლატონის „სახელმწიფო“, თომას მორის „უტოპია“. ტომაზო კამპანელას (1568-1639) „მზის ქალაქი“, ფრანგი უტოპისტ-სოციალისტების – ჩარლს ფურიეს (1772-1837), სენ-სიმონის (1760-1825) ნაწერები, ფრენსის ბეკონის (1561-1626) „ახალ ატლანტიდა“ და კარლ მარქსის ნაშრომები, რომელშიც იგი უკლასო საზოგადოების პროექტს წარმოადგენდა. მკვლევარები როცა აანალიზებენ იდეალურ (უტოპიური) სახელმწიფოს მოდელებს, აღნიშნავენ, რომ მომავლის იდეალური (უტოპიური) პროექტებზე პლატონი პასუხს ფილოსოფიის სფეროში პოულობს, ბეკონი – მეცნიერებაში, მარქსი კი – ეკონომიკაში.

ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის დიალოგი „სახელმწიფო“ ითვლება ყველა დროის პოლიტიკური ფილოსოფიის ნიმუშად. მასში გადმოცემულია შეხედულებები იდეალური სახელმწიფოს შესახებ.

პლატონის თეორია ემყარება ადამიანის არსებობის თავისებურ მოდელს. „სახელმწიფოს“ VII წიგნში პლატონი ადამიანის არსებობას ადარებს გამოქვაბულის ბინადრებს, რომელთაც არასოდეს უნახავთ დღის სინათლე. ისინი გამოქვაბულის კედლებზე მხოლოდ აჩრდილებს და ანარეკლებს ხედავენ. გამოქვაბულის ბინადართა შორისაც შეიძლება იყვნენ გამორჩეული ადამიანები, რომლებმაც გამოქვაბულის გარეთ გააღწიეს და იხილეს სამართლიანობის, სიკეთისა და ჭეშამრიტების სინათლე. ისინი არიან ფი-

ლოსოფოსები, სიბრძნისმოყვარენი.

ამიტომაც ამბობს პლატონი „სახელმწიფოს მმართველობა იქნება საუკეთესო, თუ სახელმწიფოს მართვას ფილოსოფოსები დაიწყებენ, ან სახელმწიფოს მმართველნი გაფილოსოფოსდებიან.“ ისინი ჭვრეტენ სამართლიანობის იდეას, მხოლოდ მათი მმართველობის დროს დამყარდება სამართლიანი სახელმწიფო წყობა. სამართლიანობა იქნებოდა უმაღლესი სათნოება. მისი თეორიის მიხედვით, საუკეთესოდ მართული სახელმწიფო არის სახელმწიფო, რომელიც ყველაზე უფრო უახლოვდება ინდივიდის მოდელს. სახელმწიფო უნდა იყოს ორგანული მთელი ისე, როგორც ერთი ადამიანის აგებულება, ყველა ორგანო მთელი ორგანოების სასარგებლოდ უნდა მუშაობდეს. პლატონის იდეალური სახელმწიფო სულის ანალოგიაა. იგი სამ სხვადასხვა წოდებადაა დანაწევრებული. პირველი წოდება, დაბალი კლასი თუ ფენა მოიცავს „ხალხს“, რომელიც „მიწათმოქმედთა და ხელოსანთაგან“ შედგება. მათვე ემატებიან ვაჭრებიც. მეორე წოდებას მიეკუთვნებიან მეომარი „მცველები“ და სახელმწიფო საქმეთა გამრიგე „მოხელენი“ და ბოლოს მესამე მმართველ ფილოსოფოსთა კლასი.

მმართველ კლასს შეესაბამება სულის გონივრული საწყისი, მეომართა კლასს სულის აფექტური, ბობოქარი საწყისი, ხოლო უმდაბლეს კლასს სულის ის საწყისი, რომელიც ქვენა გრძნობებს თუ მდაბალ ინსტიქტებს განასახიერებს.

სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს თავის მსახურთა აღზრდა და მეომრები უნდა ცხოვრობდნენ საერთო საცხოვრებელში მკაცრი რეზიმის პირობებში, მათ არ უნდა გააჩნდეთ საკუთრება და ოჯახები. ისინი სახელმწიფოს საერთო საკუთრების ხარჯზე უნდა არსებობდნენ. იდეალური სახელმწიფოს სამი კლასი ისევე შეწყობილად უნდა მოქმედებდეს, როგორც ორგანოების თავი, გულ-მკერდი და მუცელი. ან როგორც მეცხვარე, ძალლი და ფარა. ისინი ხარისხობრივად ისე უნდა განსხვავდებოდნენ, როგორც ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო და რკინა.

პლატონის სახელმწიფოს იდეალურს უწოდებენ. „იდეალური“ ნიშნავს საუკეთესოს. ამ პროექტს ვერც ერთი ეპოქის სწავლულებმა ვერ აუარეს გვერდი.

### **მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ**

ა) სახელმწიფოსათვის დამაასიათებელია:

- ტერიტორია
- მოსახლეობა
- სუვერენული ხელისუფლება

დავასაბუთოთ თითოეულის საჭიროება;

ბ) სახელმწიფო სიკეთის წყაროა თუ ბოროტების- საინტერესოა ადა-  
მიანი რატომ ტოვებს „ბუნებრივ მდგომარეობას“, სადაც მათთვის უცხოა  
პოლიტიკური ხელისუფლება და პიროვნება არ არის შეზღუდული იურიდ-  
იული კანონებით?

გ) განვასხვავოთ მმართველობის ფორმები და რეჟიმები: რით დაიმ-  
სახურა დემოკრატიამ საყოველთაო აღიარება. რა ნაკლი და ხიფათები  
ახლავს დანარჩენს.

დ) რას ვუწოდეთ სრულყოფილი საზოგადოების აბსტრაქტულ მოდ-  
ელს?

რა არის იდეალური სახელმწიფო?

### თავი III.

## პოლიტიკურის მორფოლოგია, პოლიტიკურის კატეგორიები

### §1. ძალაუფლება და მასთან დაკავშირებული ცნებები

პოლიტიკის სისტემურ შესწავლას – აქვს საკუთარი ტერმინები და ენა. პოლიტიკის სფეროში ვიყენებთ ცნებებს, ყველაზე ზოგად ცნებებს, რომელსაც როგორც ადრე აღვნიშნეთ, კატეგორიებს ვუწოდებთ. როგორიცაა; ძალაუფლება, მმართველობა, ლეგიტიმურობა, წესრიგი, თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა და აშ.

არსებობს რამოდენიმე დონის წესრიგი. პოლიტიკური გაგებით, წესრიგი აღნიშნავს იმ სტრუქტურებს, წესებს, რიტუალებს, პროცედურებსა და ჩვეულებებს, რომლებიც პოლიტიკურ სისტემას შეადგენენ. იგი დაფუძნებულია საზოგადოებრივი წყობილების (ან მარტივად რომ ვთქვათ „საზოგადოების“) საძირკველზე.

მთავრობებისა და მათი ლიდერების უნარი მიიღონ და ცხოვრებაში გაატარონ წესები, წახალისებისა ან სასჯელის მეშვეობით, გავლენა იქნიონ ინდივიდებისა თუ ჯგუფების ქცევაზე, შეადგენს ძალაუფლებას. მის გარეშე ხელისუფლება ვერ შეინარჩუნებს მშვიდობას, ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, ვერ მისცემს სტიმულს ეკონომიკურ ზრდას და ვერ გაატარებს ეფექტიან პოლიტიკას. თუმცა, პოლიტიკური ძალაუფლების შედეგიანი გამოყენება გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ფიზიკური ძალის გამოყენების უნარს.

ნებისმიერ საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში შეუძლებელია ძალაუფლების თანაბრად გადანაწილება. მაგრამ, რამდენიმე ადამიანის ხელში ძალაუფლების კონცენტრირების საჭიროება მოქალაქეთა უმრავლესობაში კითხვებს და ეჭვებს ბადებს. ვის ხელშია ძალაუფლება და გამოიყენებენ თუ არა ძალაუფლებას ეფექტიანად?

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთმანეთს დავუკავშიროთ ორი ცნება: ძალაუფლება და ავტორიტეტი. ინგლისურ ენაში შესაბამისი ტერმინები (power და authority) ხანდახან სინონიმურადაც კი იხმარება, ანუ სიტყვა authority ზოგ კონტექსტში შეიძლება ვთარგმნოთ როგორ „ხელისუფლება“, ზოგან კი – როგორც „ავტორიტეტი“. ძალაუფლება და ავტორიტეტი პოლიტიკური ხელისუფლების ორ სხვადასხვა განზომილებას აღნიშნავს.

მათ ძედუნმა (1893–1976), ერთხელ თქვა, რომ ძალაუფლება თოვის ლულიდან მომდინარეობს. პოლიტიკური ძალაუფლება ნაწილობრივ მართლაც გამომდინარეობს იძულების ინსტრუმენტების (პოლიცია, უშიშროების სამსახური, შეიარაღებული დაჯგუფებები, ჯარი) ფლობიდან, მაგრამ არა მხოლოდ აქედან. ხელისუფლების რეალური განზორციელებისთვის თოვის

ლულა არ კმარა. მას სჭირდება ნორმები, რომლებიც საზოგადოების დიდ უმრავლესობას აღიარებული და გათავისებული აქვს.

ეს ნორმები სხვადასხვა ზომით ფესვგადგმულია ქცევის ზნეობრივ, რელიგიურ და სამართლებრივ კოდექსებში. ხელისუფლება, როგორც ავტორიტეტით აღჭურვილი ძალაუფლება გულისხმობს ლეგიტიმურ მდგომარეობას, როცა ძალაუფლების გამოყენება მისდევს გარკვეულ ინსტიტუტებს და წესებს, ხოლო ადამიანები მათ იძულების გარეშე ემორჩილებიან და სამართლიანად და სწორად მიიჩნევენ.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ძალაუფლება და ხელისუფლება. შეიძლება ითქვას, რომ ძალაუფლების საიდუმლო დღემდე ამოუხსნილია. სად არის ხელისუფლება – ძალაუფლება?

ვებერი, აღნიშნავს ძალაუფლება „ამორფული“ ცნებაა, ანუ ის არის ბუნდოვანი და განურჩეველი: ის ნიშნავს ვინმეს უნარს იზეიმოს თავის ნების აღსრულება, რომელიც შეიძლება (ხშირად) შეეჯახოს სხვათა ნებას.

**ძალაუფლება** არსებობისათვის საყოველთაო ბრძოლაში მოპოვებული ჯილდოა; ძალისა და ძალისმიერი წესებით დამკვიდრებული უპირატესობით ტკბობა, ხოლო ხელისუფლება, ანუ მმართველობა ურთიერთობათა ორგანიზაციაა, რომელშიც ყველას განსაზღვრული როლი აქვს დაკისრებული. ძალაუფლება ხელისუფლების გარეშე ნიშნავს ერთი ადამიანის მიერ მეორეს მორჩილებაში ყოლას. ხელისუფლება კი მმართველთა და მართულთა ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ურთიერთმორჩილებას თავისუფლების შენარჩუნებით.

ძალაუფლება სოციალური თანაცხოვრების ერთ-ერთი ფუნდამენტური საწყისია. იგი არსებობს ყველგან, ოჯახში, ორგანიზაციებში, შრომით კოლექტივებში, სახელმწიფოში.

პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისათვის, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისათვის. სულერთია, იქნება ეს ძალაუფლების განაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებს, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიგნით- ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ფრიდრიხ ნიცშე (1844–1900) ძალაუფლებას, მისადმი წყურვილს, მთელი სამყაროს საწყისად აცხადებს. ადამიანურ მისწრაფებათა საპოლოო მიზანია არა სარგებლიანობა, არა სიკეთე, არამედ სიცოცხლის ზრდა, გაძლიერება, ბრძანებლობა, ყოველივე ამის შედეგი არის ბრძოლა. ბრძოლა და „ძალაუფლების ნება“ მთელი სამყაროს საფუძველთა-საფუძველია. მისი აზრით „ძალაუფლების ნება“ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი მოვლენის მნიშვნელობის კრიტერიუმია.

იგი ძალაუფლების მისწრაფებას, არა მარტო სოციუმის, არამედ მთელი სამყაროს საწყისად აცხადებს. იგი მიიჩნევს, რომ ყოველი არსებულის ყოფიერება სიცოცხლეა. ეს სიცოცხლე კი წარმოადგენს ძალაუფლების ნების გამოვლინებას. სწორედ ძალაუფლების ნება განსაზღვრავს საზოგა-

დოებრივი ცხოვრების ნებისმიერი მოვლენის მნიშვნელობას.

ძალაუფლების ნება სიცოცხლის ყოველ გამოვლინებას ახასიათებს. მისთვის ძალაუფლების გამოხატვა, როგორც მმართველისა და მართულს შორის ცნობიერი, ნებაყოფლობითი ურთიერთობის ფორმა მიუღებელია. ძალაუფლება ინდივიდებს შორის, ნებელობითი დამოკიდებულება კი არაა, რომელიც ორმხრივ აღიარებას მოითხოვს, არამედ ამ აღიარების გარეშე მბრძანებლობისკენ სწრაფვაა.

უზოგადესი გაგებით ძალაუფლება ესაა ერთი ინდივიდის უნარი გააკონტროლოს მეორე ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფის ქმედებები. საინტერესოა როგორ ხორციელდება ეს ძალაუფლებრივი ურთიერთობა? ძალაუფლების რაობის შესახებ გამოყოფენ ვებერიანულ და სისტემურ მიღებებს.

პირველი მიღგომა გამოხატულია მაქს ვებერის შემდეგ განსაზღვრებაში: ძალაუფლება ნიშნავს სოციალურ ურთიერთობათა განმტკიცებულ ნებისმიერ შესაძლებლობას დაიუინო და გაიტარო საკუთარი, თვით წინააღმდეგობის არსებობისაც კი, დამოუკიდებლად იმისა, რაშიც ეს შესაძლებლობა გამოიხატება. ძალაუფლებას ადამიანი ესწრაფვის, არა მარტო გამდიდრების მიზნით, ამბობს ვებერი, არამედ მისი სწრაფვა შეიძლება შეფასდეს „ძალაუფლება ძალაუფლებისათვის. „ასევე ძალაუფლებისაკენ ლტოლვას შეიძლება განაპირობებდეს სოციალური პატივის სურვილი. ძალაუფლება შეიძლება გავიგოთ, როგორც ინდივიდთა შორის ან ჯგუფთაშორის ურთიერთობის ნაწილი, რომლის მეშვეობით გადაილახება სხვა სოციალურ ჯგუფთა წინააღმდეგობა. ამგვარი გაგება ძალაუფლებისა ეყყარება პიროვნულ უნართა არსებობას, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სხვების კონტროლი და ამ კონტროლისადმი მათი მხრიდან მომდინარე წინააღმდეგობის გადალახვა.

ძალაუფლების თეორია ნიკოლო მაკიაველთან დებულობს პარადოქსალურ ხასიათს. მისი „მთავარი“ არ არის ნაშრომი პოლიტიკური ოსტატობის თაობაზე. პოლიტიკა აქ აღარ არის მთლიანობაში ისეთი, როგორიც არის ტოტელესთან, ქალაქის კარგად მართვის ხელოვნება, არამედ აქ ის არის ხელისუფლების შენარჩუნების ხელოვნება, რომელსაც მუდმივად ემუქრება გადატრიალება, ხელისუფლების გადაყენება, რაც მოითხოვს მოხერხებულობას, სტრატეგიებს და სამხედრო ეშმაკობას.

მაკიაველი „მთავარში“ წერს: „უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე, ძალის მეშვეობით. პირველი ნიშნულია ადამიანებისათვის, მეორე – მხეცებისათვის. მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად უნდა მივმართოთ ხოლმე მეორეს. ამიტომ მთავრისათვის აუცილებელია, რომ თანაბარი წარმატებით იბრძოდეს, როგორც მხეცი და როგორც კაცი. სწორედ ამნაირი, თუმცალა შეფარვით გამოთქმული შეგონებით მიმართავდნენ მთავრობას ძველი მწერლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ აქილევსს და ძველი

დღოის ბევრ სხვა მთავარსაც აღსაზრდელად აბარებდნენ კენტავრ ქირონს, რათა მისი მეთვალყურეობით დავაუკაცებულიყვნენ. ან ნახევრად მხეცისა და ნახევრად კაცის ზედამხედველობას აქ მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ მთავარი უნდა ითვისებდეს და ისისხლხორცებდეს ორივე ბუნებას, რომ ერთი მეორის გარეშე უდღეურია~.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები განუწყვეტლივ იმყოფებიან ძალაუფლების მოქმედების ქვეშ და ამავე დროს თვითონაც ახორციელებენ მას.

ძალაუფლება, როგორც შედარებით სტაბილური უთანასწორო დამოკიდებულება, შეიძლება დახასიათდეს ხუთი ნიშნით:

1. ძალაუფლება არ წარმოადგენს „ისეთ რამეს“, რომელიც შეიძლება შეიძინო ან დაკარგო, არამედ ის ხორციელდება მრავალი მომენტის გათვალისწინებით და უთანასწორო და მობილური ურთიერთობების“ გათამაშებით.

2. ძალაუფლებრივი ურთიერთობები არსებობენ არა ცალკე ან გარეთ, ან კი (როგორც სუპერსტრუქტურები), სხვა ურთიერთობებთან მიმართებაში. ისინი ასრულებენ არა აკრძალვის ან რეპროდუქციის მარტივ როლს, არამედ „უშუალოდ მნარმოებლურ“ როლს.

3. არსებობს ჯგუფები, ინსტიტუტები, სადაც ძალაუფლებრივი ურთიერთობები არსებობს. საზოგადოების საფუძველში (ოჯახი, წარმოება და ა.შ.) შეიძლება ეს დანაყოფები ერთმანეთს დაუკავშირდეს და შექმნას მებატონები/ დამორჩილებულები, რომელიც გავლენას ახდენს ყველა უთანასწორო დამოკიდებულებაზე. ძალისმიერი ურთიერთობების ძალიან დიდი რაოდენობა შეიძლება შეიქმნას, რაც შეადგენს ძალაუფლების მიკროფიზიკას.

4. ძალაუფლებრივი ურთიერთობები არ არის გამოწვეული ინდივიდუალური პირის, ან ერთგვარი სოციალური შტაბის ძალაუფლების სურვილით, ისინი წარმოიქმნებიან გარკვეული პროგრამის, რომელიც ტაქტიკური სვლების შედეგად და ფუნქციონირება შეუძლიათ თავისთავად. იქმნება ფართო სტრატეგიები, რომლებიც ვერავინ პოულობს თავის გამოსახატავად.

5. იქ, სადაც არსებობს ძალაუფლება, არის წინააღმდეგობაც. ეს უკანასკნელი წარმოადგენს არა მეტნაკლებად მოქნილ პასიურ ქცევას, არამედ კონტრ-ტაქტიკას ან კონტრ-სტრატეგიას, უფრო სწორად არსებობს მრავალი სახის წინააღმდეგობები, რომელიც არ წარმოადგენს მარტივ კონტრდარტყმას, ბატონობის მარტივ გადაყვანას მის საწინააღმდეგო ფორმაში, წინააღმდეგობა „არასოდეს არ არის გარე პოზიციაში ძალაუფლების მიმართ“.

ადამიანის მოქმედება ყოველთვის ორგანიზებულია იმ თვალსაზრისით, რომ მასში არის ლოგიკა, მოწესრიგებულობა. ის ექვემდებარება აუცილებლობას, ისახავს მიზნებს და ამიტომაც მან შეიძლება წარმოქმნას ორგანიზაცია და პირიქით, ორგანიზაცია, მისი აპარატი წარმოშობს, ან მოითხოვს მოქმედების საზღვრების დადგენას და მმართველობის სპეციფიკურ მოდალობებს.

## §2 ლეგიტიმურობა და პოლიტიკური მდგრადობა; ვინ მართავს – ადამიანი თუ კანონი?

საზოგადოების პოლიტიკური მართვა და მის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია ლეგიტიმურობის გარეშე. „ლეგიტიმურობა „ნიშნავს პოლიტიკური წესრიგის აღიარებას. ძალაუფლების ლეგიტიმურობა კი ასახავს მმართველსა და მართულს შორის თანხმობის ხარისხს. ძალაუფლება ლეგიტიმურია, თუკი მართულები აღიარებენ მმართველთა უფლებებს, მართონ ზოგადად და კერძოდ, ისე როგორც მართავენ.

ლეგიტიმურობა არის აუცილებელი პირობა ძალაუფლების სტაბილურობისა და ეფექტურობისათვის. ანუ ვერანაირი საბუთები, დოკუმენტები და ტრადიციები ვერ გახდიან ძალაუფლებას ლეგიტიმურს, სანამ ეს არგუმენტები არ იქნება დამაჯერებელი საზოგადოების უმრავლესობისთვის.

ინდივიდი ან ინსტიტუტი ფლობს ლეგიტიმურ ძალაუფლებას იმ შემთხვევაში, თუკი ისინი, ვინც უნდა დაექვემდებაროს ამ ძალაუფლებას, აღიარებენ მათ უფლებებს გასცენ ბრძანებები. როცა ძალაუფლების მატარებელი პიროვნება კარგავს ლეგიტიმურობას, ის ადრე თუ გვიან დაკარგავს ძალაუფლებასაც.

აღსანიშნავია, რომ ლეგიტიმურობა თავდაპირველად იკარგება მართულებისთვის. ისინი აღარ აღიარებენ მმართველობის უფლებას ძალაუფლების განხორციელებაზე. თავიდან ძალაუფლების მატარებელი ვერ ამჩნევენ სიტუაციის ცვლილებებს და კვლავაც მოელიან ხალხთა მორჩილებას. ხოლო ძალაუფლების დაკარგვის შემთხვევაში ცდილობენ ამის ინტერპრეტირებას იმ ჩარჩოებში, რომლებიც მათვის მისაღებია.

არსებობს ლეგიტიმურობის რამდენიმე ფაქტორი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი. დროთა განმავლობაში ადამიანები ეჩვევიან ძალაუფლების განსაზღვრულ ტიპს. ლეგიტიმურობის მიღწევისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატება. თუკი ძალაუფლება აღიარებულია წარმატებულად და ეფექტურად, ის მალე გახდება ლეგიტიმურიც.

ლეგიტიმურობა შეიძლება მიღწეული იქნეს პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირების ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომ ლების მოქალაქეებისთვის მისაღებია. თანამედროვე და განვითარებული ქვეყნებისათვის ასეთი საშუალებაა არჩევნები. იქ სადაც მოსახლეობა ირჩევს ხელისუფლებას და ანჭებს მას გარკვეულ უფლებებს, შემდეგ ემორჩილება კიდევ ამ ხელისუფლებას და მის მიერ შედგენილ კანონებს. დემოკრატიულ ქვეყნებში მოქალაქეები ემორჩილებიან, არა პიროვნებებს, არამედ თანამდებობებსა და ინსტიტუტებს.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის შეიძლება დამაჯერებელი იყოს ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობა. ეს წარმოშობს ნდობას, ნდობა კი ლეგიტიმიზირებულობის გარანტიაა.

ლეგიტიმურობა და სუვერენიტეტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ლეგიტიმურობის დაკარგვა აუცილებლად გამოიწვევს მთავრობის სუვერენიტეტის უარყოფას მოცემულ ტერიტორიაზე.

ხელისუფალნი ყოველთვის ცდილობდნენ შეექმნათ საკუთარი ძალაუფლების მიმართ სამართლიანობისა და მმართველობის კანონიერების შთაბეჭდილება. ვერც ერთი პოლიტიკური სისტემა თუ პოლიტიკური რეჟიმი ვერ შეძლებს დაეყრდნოს მხოლოდ ფიზიკურ ძალას და იძულებას, როგორც მისი ძალაუფლებისადმი თანხმობისა და მორჩილების გარანტს.

პოლიტიკური ლიდერის გავლენა, თუ იგი არ არის განმტკიცებული ლეგიტიმურობით, ვერ იქცევა ავტორიტეტად. ავტორიტეტი კანონიერი გავლენის განსაკუთრებული სახეა. პოლიტიკური ლიდერი ისწრაფვის და ცდილობს, რომ ნებისმიერი ხელისუფალი ცდილობს თავისი გავლენა ავტორიტეტული გახადოს, რამეთუ ავტორიტეტი ზემოქმედების ყველაზე ეფექტური ფორმაა.

ნებისმიერ საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში შეუძლებელია ძალაუფლების თანაბრად გადანაწილება. მაგრამ, რამდენიმე ადამიანის ხელში ძალაუფლების კონცენტრირების საჭიროება მოქალაქეთა უმრავლესობაში კითხვებს და ეჭვებს ბადებს. ვის ხელშია ძალაუფლება და გამოიყენებენ თუ არა ძალაუფლებას ეფექტიანად?

ეს საერთო კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი საკითხებია. ამიტომ, კითხვა „ვინ მართავს?“ შეიძლება ძალზე საკამათო პოლიტიკური საკითხი იყოს. ხანდახან პასუხი ძალზე მარტივია, საკმარისია ჩაიხედო ქვეყნის კონსტიტუციაში და გაეცნო მისი ხელისუფლების ქმედებებს. მაგრამ, თუკი ხელისუფლება საიდუმლო ბურუსშია გახვეული ან, როგორც ეს ხშირად ხდება, ძალაუფლების არაფორმალური მოდელი მკვეთრად განსხვავდება ქვეყნის მთავარ კანონში განერილი ფორმალური სტრუქტურებისაგან, შესაძლოა რთული იყოს იმის გამოვლენა, რეალურად ვინ მართავს. ნებისმიერ სახელმწიფოში, პოლიტიკური თანამდებობებისა და ძალაუფლების მქონე პირთა რიცხვი ძალზე მცირეა მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით. „ვინ მართავს“ და „რამდენად ეფექტიანად“ – ამ კითხვებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია კითხვა: უპყრია თუ არა მმართველს პოლიტიკური ძალაუფლება კანონიერად.

ეს კითხვა არ უნდა აგვერიოს იმაში, თუ რომელი მმართველობა ჯობია. მონარქიული, არისტოკრატიული, დემოკრატიული თუ შერეული მმართველობა.

არისტოკრატებმ „პოლიტიკაში“ მოგვცა მმართველობის სამივე ფორმის ანალიზი: აღსანიშნავია, რომ სამივე ფორმიდან თითოეულს თავისი ნეგატიური მეწყვილე ჰყავს. ე. ი. შეიძლება ესა თუ ის ფორმა გადაგვარდეს თავისივე დამახინჯებულ ორეულში.

**მონარქია არის ერთმმართველობა.** იგი შეიძლება გადაიზარდოს ერთი ადამიანის თვითნებურ მართვაში. მაშინ მივიღებთ ტირანიას.

**არისტოკრატია არის „უკეთესთა“ მმართველობა.** იგი შეიძლება გადა-იზარდოს უმცირესობის მმართველობაში უმრავლესობის საზიანოდ. მაშინ მივიღებთ ოლიგარქიას.

**დემოკრატია არის ხალხის მმართველობა.** იგი შეიძლება გადაიზარდოს უარესთა ანუ ბრბოს მმართველობაში, ანუ ოქლოკრატიაში. უარესი უმ-რავლესობა იბატონებს უკეთეს უმცირესობაზე.

მმართველობის შესახებ მსჯელობა, მხოლოდ იმას კი არ უნდა ითვალისწინებდეს, თუ ვინ ან რამდენი მართავს, არამედ იმას, თუ როგორ მართავს. საკითხი ასე დგას „ადამიანთა მიერ მართვა თუ კანონის მიერ მართვა?“ ეს კითხვა მმართველობის ფორმებს კი არ ეხება, არამედ იმას, თუ როგორ ხორციელდება მმართველობა. ამდენად საკითხი განხილვის სხვა სიბრტყეზე ინაცვლებს. ეს არის კარგი ან ცუდი მმართველობის გამიჯვნა. მთავარი კრიტერიუმები, რითაც ტრადიციულად განასხვავებენ კარგ და ცუდ მმართველობას, ორმაგი ბუნებისაა: პირველი, საერთო კეთილდღეობაზეა ორიენტირებული, ხოლო მეორე პერსონალურზე.

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვყოთ მმართველობის ორი ტიპი: ტირანია – რომელიც ბოროტად იყენებს ძალაუფლებას, რათა თავისი უკანონო სურვილები დაიკმაყოფილოს და მეორე ავტოკრატია, რომელიც ავტორიტარულად, თვითონ ქმნის კანონებს და ამით მართავს.

არისტოტელეს მიხედვით, ყველაზე საუკეთესო მმართველობაა „პოლიტეა“, ანუ საშუალო კლასის ძალაუფლება. თვითონ არისტოტელე ცდილობდა შეეჯერებინა მმართველობის თითოეული ფორმის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ყველაზე უარყოფითი მახინჯ მმართველობად მას ტირანია მიაჩნდა, რადგან მას მოქალაქენი მონობის დონემდე მიჰყავდა. ცუდი მმართველობის პირობებში ერთი ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან ხალხის მასები მბრძანებლობენ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ და სხვა ადამიანების საზიანოდ. ხოლო კარგი მმართველობის პირობებში, ერთი ადამიანი, ჯგუფი, ან საზოგადოების ფართო ფენები მართავდნენ ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

კანონთა უზენაესობის პრინციპებზე მსჯელობა ჯერ კიდევ ანტიკურობის ორი დიდი მოაზროვნის ნაშრომებშია მოცემული. პირველი ეკუთვნის პლატონს, ხოლო მეორე არისტოტელეს.

პლატონი „სახელმწიფოში“ წერს; „მე, რომ მათ „კანონთა მსახურები“ ვუწოდე, ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ რაღაც ახალი ფრაზის გამოგონება მინდოდა. მე უბრალოდ მჯერა, რომ სახელმწიფოს წარმატებაც და წარუმატებლობაც ყველაზე მეტად ამაზეა დამოკიდებული. როცა კანონი რაღაც სხვა ძალაუფლებას ექვემდებარება და თვითონ არავითარი ძალა არ გააჩნია, სახელმწიფოს დაცემას წინ აღარაფერი უდგას. მაგრამ, თუ კანონი ბატონია და მთავრობა მისი მონაა, ასეთი მდგომარეობა ბევრ სიკეთეს გვპირდება. ღმერთები, კაცთა გასახარად, ამ სახელმწიფოსათვის

წყალობასა და ლოცვა-კურთხევას არ დაიშურებენ“.

ხოლო არისტოტელე „პოლიტიკაში“ აღნიშნავს: „თავიდან იმას ვკითხულობდი, თუ რა უფრო მიზანშეწონილია. საუკეთესო კაცმა გვმართოს თუ საუკეთესო კანონებმა. ვისაც მეფის მმართველობის მიზანშეწონილობისა სჯერა, ფიქრობს, რომ კანონები მხოლოდ ზოგად პრინციპებს მოიცავენ. და კანკრეტულ მითითებებს არ იძლევიან ყოველდღიურად წამოჭრილი საკითხების შესახებ. ამგვარად, ცდილობენ დაასაბუთონ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სისულელე იქნება, თუ მუდამ დაწერილი კანონებით ვიხელმძღვანელებთ. მეორე მხრივ, ვერც მმართველები იმოქმედებენ ზოგადი პრინციპების გარეშე. პრინციპი თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გრძნობებისაგან თავისუფალია. ყოველ ადამიანს გრძნობები სძლევს: კანონები ამისაგან თავისუფალი არიან“.

რაც შეეხება დესპოტიას, ეს მმართველობის ყველაზე უარესი ფორმაა, ესაა მართველობა ყოველგვარი კანონის გარეშე. დესპოტია დაფუძნებულია შიშიზე. დესპოტიაში მმართველი პირის გარდა, ყველა მონაა და შიში უნდა ამყოფო, რათა ის მოძრაობაში მოიყვანო. დესპოტიაში შიში რეალურია და ის მონასთვის გულისხმობს მმართველის მუდამ შემართულ ხელს. როგორც კი მმართველი მოდუნდება, დესპოტიას ნიადაგი ეცლება, დესპოტიის დროს საჭიროა რამდენიმე მარტივი წესი, რომელიც უყოყმანოდ აღსრულდება, რადგან ამ დროს ყველაფერი ძალადობაზეა დაფუძნებული.

არსებობს ერთი პრობლემური კითხვა-როდისაა მმართველობა უკეთესი: როდესაც მართავენ კანონები თუ ადამიანები? ამ კითხვაზე პასუხი იცვლებოდა პოლიტიკური ფილოსოფიის ევოლუციის პროცესში.

მაგალითად შეუა საუკუნეების პოლიტიკურ აზროვნებას, მიაჩნია, რომ კარგი მმართველი არიან ისინი, ვინც ქვეყანას კანონის შესაბამისად მართავს. არავის ძალუძს კანონების სურვილისამებრ შეცვლა, რადგან კანონი პიროვნების წადილს არ ემორჩილება. კანონს ან ღმერთი ადგენს ან თვით საგნის ბუნება, ან კიდევ სახლმწიფოს კონსტიტუციის საფუძველია.

მართალია, კანონი მიჩნეულია უზენაესად, მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი პრობლემა: არსებობს მმართველობა კანონს დაქვემდებარებული და მმართველობა კანონების მეშვეობით. ეს ორი განსხვავებული მოვლენაა. კანონს დაქვემდებარებული მმართველობის უპირატესობა ისაა, რომ იგი აღკვეთს, ან ყოველ შემთხვევაში ხელს უშლის ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. მთავრობა ძალაუფლებას წინასწარ დადგენილი სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად იყენებს, ხოლო მეორე შემთხვევაში ძალაუფლება ზოგადი კანონმდებლობით არის გაშუალებული. მიზეზთა უმრავლესობა, რის გამოც ადამიანთა უზენაესობასთან შედარებით კანონის უზენაესობას არჩევენ დაკავშირებულია ძალაუფლების გამოყენებასთან ზოგადი და განყენებული ნორმების მეშვეობით. თანასწორობის, თავისუფლების და უსაფრთხოების დამკვიდრების გარანტიას კანონის შინაგანი ბუნება იძლევა, თუ მას ზოგად ნორმად ჩათვლიან, ვიდრე ძალაუფლების

მართებულად გამოყენებას.

კანონი, როგორც ზოგადი ნორმა მიესადაგება ინდივიდების მთელ კლასს, მის დადგენაში სოციალური ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობაა შესაძლებელი. კანონი ზოგად მიმართებებს ასახავს, რის გამოც ის მიუკერძოებელია, არ ანიჭებს კონკრეტულ პიროვნებას უპირატესობას.

კანონის უზენაესობის პრინციპის აღიარება და მისი ცხოვრებაში გატარება სამართლებრივი სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანია, მაგრამ ეს განმსაზღვრელი არ არის. სახელმწიფო რომ კანონებს უნდა ემყარებოდეს, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში წამოაყენეს, მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა საბოლოო სახით ციცერონს (ძვ. წ. 106-43) ეკუთვნის. იგი თვლის, რომ სახელმწიფო უბრალოდ ხალხის საქმე არ არის, ის სამართლებრივი წარმონაქმნია. იგი არის თავისუფალი მოქალაქეთა იურიდიულად და სამართლებრივად გაფორმებულ ურთიერთობათა ერთობლიობა.

სამართებლივ სახელმწიფოში სამართალი პოლიტიკისგან დამოუკიდებელია. პოლიტიკა სამართალზეა დამოუკიდებული. პოლიტიკით მხოლოდ იმის განხორციელება შეიძლება, რაც სამართლებრივად გამართლებულია. სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალი თვითმიზანია.

დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლება დანარჩენი ორგანოებისგან დამოუკიდებელია. სასამართლოს ემორჩილება ქვეყნის მმართველი და ასევე სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად სცნოს.

კანონი ყველასთვის ერთია და ყველა სიტუაციაში აუცილებლად სრულდება. კანონის უზენაესობის პრინციპს კარგად გამოხატავს ძველი რომ აელის შეგონება: „თუნდაც იცოდე, რომ ხვალ სამყარო დაინგრევა, დღეს დამნაშავე მაინც უნდა დაისაჯოს“. კანონი ყველაზე და ყველაფერზე მაღალია.

დიქტატურის პირობებში სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება გამორიცხულია, რადგან კანონის ნაცვლად გაბატონებულია ადამიანის და ადამიანთა ჯგუფის ნება-სურვილი. არც დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფოა იგივეობრივი. დემოკრატია სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ქმნის პირობებს.

### §3. ძალაუფლების ლეგიტიმაცია და მმართველობის ტიპები

ლეგიტიმური ბატონობა არის ძალაუფლების ისეთი ტიპი, რომლის კანონიერება მომდინარეობს იმ პირთა თავისუფალი ნებიდან, რომელთა მიმართაც ეს ბატონობა ხორციელდება. რას ემყარება ძალაუფლების ლეგიტიმურობა ანუ მისი უფლებამოსილება, რომ მორჩილებაში იყოლიოს

## თავისი მოქალაქენი?

მაქს ვებერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელისუფლების განკარგულებისადმი მორჩილება არ ემყარება მხოლოდ იძულების წესების გამოყენებას. იგი შეიძლება ემყარებოდეს მეტად განსხვავებულ მოტივებს, დაწყებული ჩვეულებებით, სარგებლის ინტერესით და დამთავრებული წინაპართა ნაანდერძევისადმი პატივისცემით.

ვებერი გამოყოფს ლეგიტიმურობის სამ ფორმას: ტრადიციული, ქარიზმატული და ბიუროკრატიული. აქ დაპარაკია სამ „იდეა-ტიპზე“. იდეა – ტიპი წარმოადგენს ვებერის ძირითად წვლილს პოლიტიკური მეცნიერებების ეპისტემიოლოგიაში.

**ტრადიციული მმართველობა:** პირველ შემთხვევაში ძალაუფლების საფუძველში დევს ტრადიციები, ძალაუფლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ტრადიციულად ჩამოყალიბებული წესებით. ტრადიციული მმართველობის დროს ტიპიურ ფიგურას წარმოადგენს მემკვიდრე მონარქი, ტიპიურ რეჟიმს კი – მონარქია. მონარქი ემორჩილება ტრადიციას, როგორც მემკვიდრე, იმდენად, რამდენადაც პრეტენზიას აცხადებენ ტრადიციის დაცვაზე. ტრადიციამ შეიძლება დაამკვიდროს არაპერსონალ-იზირებული ხელისუფლების განხორციელებაც.

ნათლად ჩანს, რომ ნამდვილი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანობას კოლექტივში და რომელიც აიძულებს ყველას იშრომოს, არის ჩვეულებისა და ტრადიციების დაცვა. ყველამ იცის თავისი ადგილი, როგორ უნდა მოიქცეს. ეს ტრადიცია კანონის, წესების, ჩვეულებების ფორმით წარმოადგენს საყოველთაო თანხმობის ობიექტს.

ტრადიციული მმართველობა წარმოადგენს ნორმას ისეთ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს გამოკვეთილი ადმინისტრაციული სტრუქტურები. ტრადიციული ბატონობის ყველაზე გავრცელებული სახეობაა „პატრიარქალური ბატონობა“. ესაა რლიგიურად ხელდასმული ხელისუფლება. ეს ეფუძნება იმ ტრადიციების სიწმინდის ყოფით რწმენას, რომელიც ყველა დროში ქმედითია. მის ტიპიურ ფიგურას წარმოადგენს მემკვიდრე მონარქი, მისი მსახურები და ქვეშევრდომები. ტიპიურ რეჟიმს მონარქია. მონარქი ემორჩილება ტრადიციას როგორც მემკვიდრე.

**ქარიზმატული ძალაუფლება:** ქარიზმატული ძალაუფლება ეფუძნება წარმოდგენას, რომ მოცემული კანონი, ან ადამიანთა მოცემული ჯგუფი ფლობს განსაკუთრებულ უფლებას მართოს ადამიანები. როგორც ვებერი აღნიშნავს „ხარიზმად“ უნდა ჩაითვალოს პიროვნების უჩვეულოდ მიჩნეული თვისებები, რომლის წყალობითაც იგი ფასდება ზებუნებრივი, ზეადამიანური, სხვა ადამიანებისათვის მიუღწეველი, განსაკუთრებული ძალებითა და თავისებურებებით დაჯილდოებულად. საკითხს ხარიზმის მნიშვნელობის შესახებ წყვეტს ხელქვეითთა აღიარება – თავდაპირველად ყოველთვის სასწაულის მეშვეობით.

ქარიზმატული ძალაუფლება არ გადაეცემა მემკვიდრეობით, მაშინაც

კი, როდესაც სამეფო ტახტზე ადის სამართალმემკვიდრე. მან ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ის ღირსეული მემკვიდრეა. თუკი ის ამას ვერ შეძლებს, მართალია, მას ექნება კანონიერი ძალაუფლება, მაგრამ ნაკლები ვიდრე მის წინამორბედს.

ქარიზმა მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ჯარისა და ნიშნავს „არაჩვეულებივ მონაცემებს“. „წყალობას“ „ნიჭს“, „მადლს“. ის ეფუძნება გამორჩეულისადმი დაქვემდებარებას. ნორბერტო ბობიო აღნიშნავს ვებერის ქარიზმატული ლიდერი ადამიანთა უზენაესობის ყველა იმ ფორმის სინთეზია, რომელიც ისტორიულად არსებობდა. მასში ის თვისებებია გაერთიანებული, რაც ახასიათებდა დიდ დემაგოგებსაც, მაკიაველისა და პეგელის გმირებსაც და დიდ სამხედრო ლიდერსაც. ქარიზმატული ლიდერი ახდენს ზემოქმედებას მის ადეპტებზე, მიმდევრებზე, მისით მოხიბლულნი მისი გავლენის ქვეშ ექცევიან არა მუქარის შიშით, ან რაღაც მოგების იმედით, არამედ გრძნობენ მიზიდულობას, ის მათ ატყვევებს დაუოკებელი ძალით.

**რაციონალური მმართველობა:** რაციონალური მმართველობა ეფუძნება იმის რწმენას, რომ ადამიანები, რომლებიც მოწოდებულნი არიან მოახდინონ მმართველობა მათთვის მისაწვდომი საშუალებებით, ფლობენ წესების დადგენისა და დირექტივების გაცემის უფლებას. ასეთი მმართველობის ტიპიურ ფიგურას წარმოადგენს ფუნქციონერი, რომელიც ასრულებს წესებს, რამდენადაც ეს არის კანონიერი წესები და აგენტი იღწვის იმისათვის, რომ ეს წესები სრულდებოდეს.

კანონზე დაფუძნებული მმართველობა ეყრდნობა სამართლის არსებობას, აბსტრაქტული წესების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია ყველასათვის, მათ შორის ხელმძღვანელობისთვისაც.

კანონიერი მმართველობის განხორციელების ძირითადი პროცედურა გულისხმობს „კონსტიტუციურ ხელისუფლებას“ ადმინისტრაციულ ორგანოებს ანუ საჯარო ფუნქციას, რომელიც უნდა გაგრძელდეს და დაექვემდებაროს წესებს. კონტროლისა და ზედამხედველობის სისტემა აყალიბებს ადმინისტრაციულ იერარქიას. რომლის შემთხვევაში მმართველები ემორჩილებიან იმ კანონთა სისტემას, რომლის პირობებით მოვიდნენ ხელისუფლებაში და ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ე. წ. ლეგალური ბატონობა“, რომელშიც მთავარია არა პიროვნული, არამედ ფორმალურ – სამართლებრივი საწყისი. ე. ი. კანონი. იგი გულისხმობს ადამიანებს შორის ბატონობითი ურთიერთობის კალკულაციას. მისი შესაფერისი ფორმა მოხელეთა აპარატის მმართველობაა. კანონზე დაფუძნებული მმართველობა წარმოიქმნა სოციალური დიფერენციაციის ჩამოყალიბებით, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლება ხორციელდება სპეციალიზირებული ინსტიტუტების მიერ, რომლებიც, როგორც წესი, ხასიათდებიან როგორც ბიოუროკრატიული. ეს ფორმა დამახასიათებელია თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოსათვის.

ვებერმა სიცოცხლის ბოლო წლებში შერეული მმართველობის იდეა განავითარა. მმართველობის ამ ფორმაში შერწყმული უნდა ყოფილიყო დამოკრატიის ლეგიტიმურობა და აქტიური ლიდერი. ასეთ მოდელს ვებერი „პლებისციტურ დემოკრატიას“ უწოდებდა.

#### §4. პოლიტიკური თავისუფლების გამოვლენის თავისებურება

„თავისუფლებაა ყველაზ აქეთოს ის, რაც მოესურვება, იცხოვროს, როგორც ესიამოვნება და არ შეიზღუდოს რაიმე კანონებით“.

სერ რობერტ ფილმერი

თავისუფლება ყოველი ადამიანის არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული ინტერესის საგანია. სწორედ თავისუფლებას უკავშირებს ადამიანი, თავისი სანუკვარი ოცნებების, მისწრაფებების და ზრახვების რეალიზაციას. თავისუფლება არის ადამიანური ყოფიერების ღირსების და სიძლიერის მაჩვენებელი.

გარდა ადამიანისა სხვას არავის ახასიათებს ამგვარი ქცევა. ეს განპირობებულია იმით, რომ მარტოოდენ ადამიანს აქვს ნება, რომელიც განსაზღვრავს სპეციფიკურ, ე. წ ნებელობით ქცევას. არჩევანის წინაშე ყოველ დღე დგას ადამიანი, სწორედ ეს არჩევანია, ადამიანის თავისუფალი ნების გამოვლინება, რადგან მის ყოველ მოქმედებას აქვს თავისი ალტერნატივა. ადამიანი ყოველთვის ან-ან წინაშეა. ადამიანი დგას შესაძლებლობათა გზაჯვარედინზე. მან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. ნება ადამიანის ისეთი უნარია, რომელიც მას საშუალებას აძლევს მოიქცეს ისე, როგორც ის სწორად მიიჩნევს, საკუთარი სურვილის მიხედვით.

ჯონ სტიუარტ მილი (1773–1836) წიგნში „თავისუფლების შესახებ“ აღნიშნავს, რომ თავისი წიგნის თემა არ არის ეგრეთწოდებული ნების თავისუფლების განხილვა, არამედ მისი მსჯელობის საგანია სამოქალაქო ანუ საზოგადოებრივი თავისუფლება: იმ ძალაუფლების ბუნება და საზღვრები, რომელიც შეიძლება საზოგადოებამ კანონიერად განახორციელოს ინდივიდზე.

თავისუფლება მილის აზრით გაცილებით მეტს წიშნავს, ვიდრე უბრალოდ გარეშე შეზღუდვებისაგან თავისუფლებას. ის გულისხმობს ადამიანის უნარს განავითაროს და ბოლომდე გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები.

მილი დასაშვებად თვლის ინდივიდის თავისუფლების მხოლოდ უმცირეს შეზღუდვებს და ისიც „სხვათათვის ზიანის მიყენების“ თავიდან აცილების მიზნით. იგი მკვთრად განასხვავებს საკუთარი თავისადმი მიმართულ ქმედებებს, როცა ინდივიდი აპსოლუტურად თავისუფალია სხვებისადმი

მიმართული ქმედებებისაგან, რომელთაც სხვათა თავისუფლების შეზღუდვა ან სხვათათვის ზიანის მიყენება შეუძლია.

კანონისა და თავისუფლების ურთიერთობა, პრობლემატურ საკითხთა წრეს განეკუთვნება. ციცერონი ბრძანებს: „ადამიანი არის კანონის მონა, და ის თავისუფალია სწორედ ამ მონობის წყალობით“.

სახელმწიფოს არსებობა არის ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა, მაგრამ ამავე დროს ადამიანი გვევლინება ამ თავისუფლების დამცველად. როდესაც ადამიანი რაიმე უფლებას სხვას გადასცემს, ან მასზე ხელს აიღებს, ამას აკეთებს იმის გამო, რომ თავად იღებს ტოლფას უფლებებს ან რაიმე სხვა ხეირს ელის. რადგან ეს ნებაყოფლობითი ქმედებაა. ადამიანი იმისთვის გასცემს თავისუფლების წილს, რომ მოიპოვოს უსაფრთხოდ ყოფნა და თავისუფლება.

მოქალაქე, ვალდებულია დაემორჩილოს სახელმწიფოს. შეიძლება იგი ამას აკეთებდეს მოვალეობის შეგნებით. მოვალეობის გრძნობა იმდენად ღრმადა ფესვებგადგმული მასში, რომ იგი შეგნებულად ემორჩილება მის მოთხოვნას, მაგრამ შეიძლება მოქალაქე, სახელმწიფოს ემორჩილებოდეს შიშის გამო. მას დასჯის ეშინია და ამიტომ იძულებულია შეასრულოს არა ის, რაც მას უნდა, არამედ ის, რაც სახელმწიფოს უნდა ე. ი მისი ქცევა თავსმოხვეულია გარედან. ამგვარ სიტუაციაში მისი ქცევა არ არის თავისუფალი, იგი ხორციელდება სოციალური გარემოს დაწოლით.

ასევე პასუხისმგებლობა თავისუფლების სტრუქტურის შემადგენელი ელემენტია. იგი მას ემყარება. პასუხისმგებლობა არსებობს იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც არსებობს თავისუფლება.

თავისუფლებას განსაზღვრავენ, როგორც ადამიანის – საკუთარი ნებასურვილის მიხედვით აზროვნებისა და მოქმედების შესაძლებლობა; თავისუფლება გაგებულია, როგორც გარედან ჩაურევლობა (ნეგატიური თავისუფლება) ან როგორც პიროვნების თვითრეალიზაცია (პოზიტიური თავისუფლება).

უფრო თუ დავკონკრეტდებით: **პოზიტიური** თავისუფლება, არის თავისუფლება რაღაცისათვის. პოზიტიური თავისუფლება არის ადამიანის შინაგანი თავისუფლება საჭირო პიროვნული თვითდამკვიდრებისთვის.

**ნეგატიური** თავისუფლება ნიშნავს თავისუფლება რაღაცისაგან. ნეგატიური თავისუფლება არის ადამიანის თავისუფლება გარეშე ძალებისაგან.

ისაია ბერლინმა (1909-1997) 1958 წელს წაკითხულ საინუგურაციო ლექციაში „თავისუფლების ორი თვალსაზრისი“ მოგვცა ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლების ცნების ანალიზი.

ადამიანის ნინაალმდეგ მიმართო იძულება ნიშნავს იმას, რომ მას წაართვა თავისუფლება. მაგრამ ისმება კითხვა, თავისუფლება რისგან? ბერლინი აღნიშნავს, რომ „სიტყვა თავისუფლების პოლიტიკურ მნიშვნელობიდან, პირველს ვუწოდებთ „ნეგატიურ თავისუფლებას, რომელშიც იგულისხმება პასუხი კითხვაზე „რა არის ის, რაც ადამიანს ან ადამიანთა

ჯგუფს დარჩენია სამოქმედოდ, ან რაც მან ან მათ უნდა მოიმოქმედონ. ან რაც მათ ძალუბთ მოიმოქმედონ სხვა ადამიანების ჩაურევლად? მეორე მნიშვნელობა, რომელსაც პოზიტიურს ვუწოდებთ, იგულისხმება პასუხი კითხვაზე: რა ან ვინ არის კონკრეტული წყარო, ან გარედან ჩარევის სუბიექტი, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს თუ ვინ რა უნდა გააკეთოს ან საერთოდ რისი გაკეთებაა საჭირო?“

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ნეგატიური თავისუფლება, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ნეგატიურად, რადგანაც თავისუფლების ბერლინისეული ფორმულირება ძალიან კარგად ხსნის ამ ცნების არს, როგორც ის ლიბერალებს ესმით.

სიტყვა „თავისუფლების“ „პოზიტიური“ მნიშვნელობა გამომდინარებს, ინდივიდის სურვილისაგან, იყოს თავისი თავის უფალი. „მე მსურს ვიყო სუბიექტი და არა ობიექტი, ვმოქმედებდე ჩემი გონების შესაბამისად, შეგნებულად, მიზნდასახულად, ჩემივე გადაწყვეტილებებისამებრ და არა გარეშე პირთა სურვილის შესაბამისად, მე მსურს წარმოვადგენდე რაღაცას და არ მსურს ვიყო „არავინ“, რაღაცამ გადაწყვიტოს ჩემ მაგივრად. მე მსურს თვითონ ვიმოქმედო და მსურს ვიღაცამ ან რაღაცამ იმოქმედოს ჩემზე, როგორც საგანზე, ცხოველზე ან მონაზე, რომელსაც არ ძალუბს შეასრულოს პიროვნების როლი, არ ძალუბს თვითონ დასახოს საკუთარი მიზნები და თვითონვე აღასრულოს ისინი, ეს არის სულ მცირე ნაწილი იმისა, რასაც მე ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ მე რაციონალური არსება ვარ, და ეს არის ჩემი გონება, რომელიც განმასხვავებს მე, როგორც ადამიანს, დანარჩენი სამყაროსაგან. და მე მსურს ანგარიშს ვუწევდე ჩემს თავს, როგორც მოაზროვნე, საკუთარი ნების მქონე აქტიურ არსებას, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა საკუთარი არჩევანის გამო და აქვს უნარი განმარტოს საკუთარი არჩევანი, საკუთარი იდეებისა და მიზნების მოშველებით, მე თავისუფლედ ვგრძნობ თავს, იმდენად, რამდენადაც ვთვლი, რომ ეს ჭეშმარიტებაა და დამონებულად იმდენად, რამდენადაც იძულებული ვარ სხვის მიერ ვალიარო, რომ ეს არის ჭეშმარიტება“.

საინტერესოა რუსოსეული ინტერპრეტაცია პოზიტიურ თავისუფლებაზე, სადაც კარგად ჩანს მისი არსი: „ყოველთვის თავისუფლალი ხარ, თუ კანონებს ემორჩილები და არა ადამიანს; როცა მე ადამიანს ვემორჩილები, იძულებული ვარ ვიღაც სხვის ნებას დავყვე, ხოლო თუ კანონს ვემორჩილები, მხოლოდ საზოგადოების ნებას ვასრულებ; ეს ჩემი ნებაც არის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვისია“. კანონში რუსო მხოლოდ საერთო ნების საფუძველზე დადგენილ ნორმას გულისხმობს.

თავისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი იდეალია. ბუნებრივია ისმება კითხვა: **რა არის პოლიტიკურ თავისუფლება?**

მოქალაქის და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულების აზრით, როცა თავისუფლებაზე მსჯელობენ, ხშირად მოჰყავთ პრეზიდენტ რუზველტის (1882–1945) წერილი კონგრესისადმი, სადაც იგი საუბრობს

ოთხი თავისუფლების შესახებ: „ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ მსოფლიოში, რომელიც ემყარება ოთხ არსებით თავისუფლებას. პირველი -სიტყვისა და გამოთქმის თავისუფლება, ყველგან მსოფლიოში, მეორე – თავისუფლება თითოეული ადამიანისა – თაყვანი სცეს ღმერთს, როგორც მას საჭიროდ მიაჩნია – ყველგან მსოფლიოში, მესამე – თავისუფლება გაჭირვებისა-გან მთელს მსოფლიოში; მეოთხე თავისუფლება – შიშისაგან... მთელს მსოფლიოში, ლაპარაკია იმ შიშზე, რომელსაც იწვევს ტირანული რეჟიმი.

მართვის, როგორი ფორმა უზრუნველყოფს ყველაზე მეტ თავისუფლებას. წებისმიერ ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებს ყოველთვის ანუხებდათ ეს პრობლემა. ყოველგვარი მთავრობა თავის ქვეშევრდომებს მეტნაკლებად ზღუდავს, ამიტომ ხალხის წარმომადგენლობის გადიდება ნიშნავს სუ-ვერენული ძალაუფლების შემცირებას. როდესაც ადამიანები თავიანთ თავს მართავენ, მეტად უზრუნველყოფენ თავისუფლების მაქსიმუმს, ანუ ცხოვრების სხვა უკეთეს პირობებს.

არსებობს პოლიტიკური თავისუფლების ოთხი სახეობა: ეროვნული თავისუფლება (კოლონიალიზმის საპირისპირო), პოლიტიკური თავისუფლება, როგორც წარმომადგენლობითი მმართველობა (ავტოკრატიის საპირისპირო), ეკონომიკური თავისუფლება და ინდივიდუალური თავისუფლება.

ყოველგვარი მთავრობა ზღუდავს – მეტნაკლებად – თავის ქვეშევრდომებს. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ადამიანები, რომლებიც მართავენ თავის თავს, უზრუნველყოფენ საკუთარი თავისუფლების მაქსიმუმს, ანუ ცხოვრების სხვა უკეთესს პირობებს, სამოქალაქო მშვიდობას.

რაც შეეხება ეკონომიკურ თავისუფლებას, აქ ჩვეულებრივ იგულისხმება თავისუფლება – ფლობდე კერძო საკუთრებას, იყიდო და გაყიდო საქონელი, გაყიდო საკუთარი შრომ ა. მაგრამ სახელმწიფო მმართველობის გარეშე შეუძლებელია კერძო საკუთრებაც, ხელშეკრულებებიც გაყიდვისა და დაქირავების შესახებ. ეკონომიკური თავისუფლებაც და მისი საპირისპირო მდგომარეობაც, არსებითად, პოლიტიკური მოვლენაა, რამდენადაც გულისხმობს სახელმწიფო მმართველობის არსებობას.

ამერიკელი ფილოსოფოსი რობერტ ნოზიკი (1938–2002), ეკონომიკურ თავისუფლებას კაპიტალიზმთან აიგივებდა, განიხილავდა, როგორც უპირატეს თავისუფლებას. რადგან მისთვის ეკონომიკური თავისუფლება, თავისუფლების უმნიშვნელოვანესი სახეობაა, ამასთან როგორც ასეთი და როგორც თავისუფლების ყველა სახეობის საფუძველი.

## გ5 სამართლიანობის ძირითადი პრინციპები: – რა არის სამართლიანობა?

პლატონს „სახელმწიფოში“ აინტერესებდა პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა: რა არის სამართლიანობა და ვინ არის სამართლიანი კაცი? სამართლიანობა, პლატონის მოძღვრებით, გულისხმობს „საჭირო ზომიერებას“ გარკვეულ თანასწორობას.

მასთან სამართლიანობა განხორციელებადი და არსებულია, მხოლოდ სახელმწიფოს საშუალებით. სახელმწიფოში არსებობა ყოველი ცალკეული მოქალაქისათვის არის უმაღლესი სიკეთე, რომელიც ამქვეყნიურ, გრძნობად სამყაროში შეიძლება არსებობდეს. თავის მხრივ, სიკეთის ცოდნა არის უმაღლესი ცოდნა, რაც ადამიანმა შეიძლება ამ სამყაროში შეიძინოს. მხოლოდ ამ ცოდნის წყალობით ხდება გამოსადევე თვით სამართლიანობა და სხვა ყოველივე, ხოლო თავის მხრივ ეს ცოდნა, როგორც თავად სიკეთე არის უმაღლესი წანამძღვარი თავად ცოდნისა.

სამართლიანობა წარმოადგენს ღირებულობას, ერთ-ერთს იმ მიზნებიდან, რომელსაც ადამიანი ისახავს უკეთესი ცხოვრების მისაღწევად. სამართლიანობას განიხილავენ როგორც „დიდი კეთილი“ საქმეს.

ეს „დიდი“ და „კეთილი საქმე“ შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც საშუალებას ისე თვითმიზანსაც. მაგალითად, ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება, რომლის მიღწევაც, ყველა ნორმალური ადამიანის მიზანია და ჩვეულებრივი ადამიანური თავისუფლება, რომელიც გარკვეულწილად წამოადგენს მისი მიღწევის საშუალებას. სამართლიანობა, როგორც ღირებულებით ფასეულობათა სისტემა, იცვლება დროისა და მდგომარეობის მიხედვით.

არსებობს სამართლიანობის ანალიტიკური, ემპირიული და ნორმატიული თეორიები.

სამართლიანობის ანალიტიკური თეორია აანალიზებს სამართლიანობის ცნების ლოგიკურ სტრუქტურასა და ლინგვისტიკურ (ენობრივ) შინაარსს.

სამართლიანობის დესკრიფიული თეორია (ემპირიული თეორია) აანალიზებს სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს, არკვევს ამ შეხედულებების როლს საზოგადოების განვითარების პროცესში.

სამართლიანობის ნორმატიული თეორია არა მარტი აღწერს ადამიანთა ფაქტობრივ წარმოდგენებს, არამედ აფასებს კიდეც. ნორმატიულ თეორიაში გამოიყოფა სამართლიანობის პროცედურული და მატერიალური თეორიები. სამართლიანობის მატერიალური თეორია ცდილობს კონკრეტულად განსაზღვროს თუ რა არის სამართლიანი და უსამართლო. სამართლიანობის მატერიალური თეორია ეძებს იმ მასშტაბებს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დასაბუთდეს გადაწყვეტილების სისწორე ან მცდარობა.

განასხვავებენ სამართლიანობის ორ ძირითად სახეს: განაწილებითი სამართლიანობა – iustitia distributiva და გათანაბრებითი სამართლიანობა

– iustitia commutativa.

განაწილებითი სამართლიანობა მოიცავს ამა თუ იმ სიკეთის განაწილების პროცესს. განაწილების პროცესში სახელმწიფო ხელმძღვანელობს სხვადასხვა მასშტაბით. სამართლიანობა წარმოადგენს განაწილების სწორედ ერთ-ერთ მასშტაბს.

განაწილების მასშტაბი შეიძლება იყოს თანასწორობა, შეტანილი წვლილი ან მოთხოვნილება. თანასწორობის პრინციპის მიხედვით თითოეულს უნდა მიეკუთვნოს თანაბარი წილი. შეტანილი წვლილის მიხედვით განაწილებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გასანაწილებელი სიკეთის შექმნაში ინდივიდის მონაწილეობის ხარისხი. მოთხოვნილების პრინციპის თანახმად, თითოეულს ეკუთვნის თავისი მოთხოვნილების შესაბამისად.

ჩვენ უნდა გავარკვიოთ პოლიტიკური ფილოსოფიის ინტერესი ამ ცნების მიმართ. სამართლიანობა თითოეულ ადამიანს განუსაზღვრავს რა არის მისთვის „ჯეროვანი“. სამართლიანობა, როგორც სულის შეძენილი თვისება, არისტოტელეს მიხედვით, არის ზნეობრიობის სფერო და მიეკუთვნება ეთიკის საგანს. მაგრამ მას აქვს სხვა ასპექტიც, მიმართება „სხვებთან“. ამ მოსაზრებით სამართლიანობა წარმოადგენს ადამიანური ურთიერთობების გარკვევას და მიეკუთვნება პოლიტიკის სფეროს.

არსებობს მოსაზრება, რომ ნებისმიერ საზოგადოებას გააჩნია ღირეულებათა იერარქია, თანაც ზოგიერთი მათგანი ხშირად საშუალებაა მეორის – უფრო მაღალი ღირებულების მისაღწევად. მიიჩნევა, რომ საბოლოოდ სწორედ ეს მიიყვანს ადამიანს ე. წ. „აბსოლუტურ სიკეთემდე“. „აბსოლუტური სიკეთე“ იმდენად აბსტრაქტული ცნებაა, რომ მისი მნიშვნელობის არა თუ გაგება, წარმოდგენაც კი სცილდება ადამიანური, ცნობიერების საზღვრებს. თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „აბსოლუტური სიკეთის“ მნვერვალი სამართლიანობაა.

სამართლის იდეა ანუ საზრისი არის ის ნორმა, რომელიც პერმანენტულად იბადება სამართლისა და მართლწესრიგის მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად. სამართლის საზრისში ჩადებულია კაცობრიობის პროგრესული განვითარების იდეა. მისი შემეცნების საგანი არის სამართლის საზრისი ანუ სამართლის იდეა.

სამართლიანობის ცნების ჩამოყალიბება, პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნავენ მხოლოდ ერთს, რომ სამართლიანობას არ შეიძლება ჰქონდეს ზოგადი, უნივერსალური ცნების პრეტენზია.

ძალაუფლება სამართლიანად, მართულთა ინტერესების დაცვით ხორციელდება თუ მხოლოდ მმართველთა სასარგებლოდ გამოიყენება?

2000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, პოლიტიკის დამკვირვებლები განასხვავებენ პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენებას, ერთი მხრივ საჯარო, ხოლო, მეორე მხრივ, პირადი ინტერესებისათვის.

ეს ადასტურებს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლიანობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სამართლიანობას ხშირად იმის მიხედვით განსაზღვრავენ, რამდენად იცავს მთავრობა ინდივიდის უფლებებს (ესაა, ბუნებითი, ადამიანისა და სამოქალაქო უფლებები). ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ის უფლებებია, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეს, ეჭვი შეიტანოს მთავრობის ქმედების სამართლიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია საზოგადო სიკეთის საკითხების მიჩუმათება, მათი საბოლოოდ ჩახშობა შეუძლებელია.

ეს, როგორც ჩანს, ადამიანის ბუნებაში ძევს. არისტოტელე შენიშნავდა, რომ ცხოველებისაგან განსხვავებით, რომელსაც მხოლოდ სიამოვნების და ტკივილის გამომხატველი ხმების გამოცემა შეუძლიათ, ადამიანი გამოიყენებს გონებას და ენას „რათა გამოხატოს, რა არის სასარგებლო და რა არის სამართლიანი და უსამართლო“. ამიტომ, განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, „მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობის და უსამართლობის განცდა...“ აქედან გამომდინარე, ადამიანის უნარი განაპირობებს ზნეობრივი განსჯის შესაძლებლობის და პოლიტიკური დისკუსიის აუცილებლობასაც.

იმის გამო, რომ მართულები ყოველთვის მმართველებზე მეტნი არიან, წარმოიქმნება განსხვავებული, არცთუ იშვიათად დაპირისპირებული მოსაზრებები ხელისუფლების პოლიტიკის და პროგრამების სამართლიანობის შესახებ. ხშირად ამტკიცებენ, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილის დანარჩენ ნაწილზე ბატონობა (მმართველობა) მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ხელსაყრელია. აქედან გამომდინარე, ძალაუფლების განხორციელება სამართლიანობის საკითხის მეშვეობით უნდა იქნას განწყნასწორებული:

სამართლიანობა და სამართალი ერთმანეთთან ასოცირდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანობა ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სამართალი. სამართლიანობასა და სამართალს შორის საკმაოდ განსხვავებაა.

სამართალი უნდა „განასახიერებდეს“ სამართლიანობას, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არსებობენ უსამართლო ნორმები, ნორმა რომელიც არ არის სამართლიანი თავისივე თავის უარყოფაა, იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებაში მისი რეალიზების ობიექტი ძალიან დაბალია.

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვაში მდგომარეობს. ამ თვალსაზრისით სამართალი არის სახელმწიფოს მოხელეთა, მთლიანად სახელმწიფოს მეთვალყურე.

გამოჩენილმა ფრანგმა მოაზროვნემ მონტესკიემ რაციონალიზმის ფარგლებში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა დაასაბუთა. მონტესკიე სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების საფუძვლად მიიჩნევს ხელისუფლების დაყოფას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, დამყარებულს ურთიერთშეზღუდვის პრინციპზე.

სამართალი არ ცვლის სახელმწიფოს მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, საერთოდ პოლიტიკას, არამედ ათავსებს მას გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში, შეაქვს მასში სამართლიანობის იდეა. ამ თვალ-საზრისით სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია მიმართულია სახელმწიფოს მოდიფიკაციისა, შეკავებისა და დაბალანსებისაკენ.

სამართლებრივი სახელმწიფო ახდენს სახელმწიფოს დებიუროკრატიზაციას, უფრო ზუსტად, აღკვეთავს ბიურაკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უშლის ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებას.

თანამედროვე ამერიკელი ფილოსოფოსის ჯონ როულსის (1921-2002) მიხედვით „სამართლიანობის თეორია“ პოლიტიკური თეორიის ერთი ცალკეული ნაწილი კი არ არის, არამედ, იგი თვით პოლიტიკური ფილოსოფიაა. ერთის მხრივ, კარგად ორგანიზენულ საზოგადოებაში ნების-მიერი მიზანი, რომლისკენაც სწრაფვა ნებადართულია, სამართლიანობის ფარგლებში უნდა იქნეს მოქცეული. მეორე მხრივ, თუ ადამიანები მუდამ სამართლიანობის შესაბამისად მოქმედებენ, მათი უფლებაა გადაწყვიტონ პიროვნული განვითარების რომელიც გზა აირჩიონ, ან რა მიმართულებით წაიყვანონ თავისი ცხოვრება. სამართლიანობა საზოგადოების საერთო საქმეა, ხოლო სიკეთე თითოეული ცალკეული ინდივიდის სამფლობელო.

რას წარმოადგენს საკუთრივ სამართლიანობის პრობლემა? როულსი ჩამოყალიბებს სამართლიანობის ორ პრინციპს:

თითოეული ადამიანის თავისუფლება უნდა თავსდებოდეს ყოველი ადამიანის თავისუფლებასთან.

სოციალური უთანასწორობის არსებობის გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საზოგადოების უღატაკესი ნაწილის სასარგებლოდ იმუშავებს.

ისმება კითხვა: განაწილების (დისტრიბუციის) რომელი სქემაა სამართლიანი? მაგალითად, თითოეულს თანაბრად; თითოეულს მოთხოვნის შესაბამისად; თითოეულს – შრომის შესაბამისად; თუ თითოეულს იმდენი, რომ ყველამ თანაბრად ისიამოვნოს საერთო კეთილდღეობით.

გამანაწილებელი სამართლიანობა, როგორც პრინციპი ნიშნავს საყოველთაო კეთილდღეობის განაწილებას ღირსების მიხევდით, საზოგადოების წევრის წვლილის და შენატანის პროპორციულად. აქ შესაძლებელია, როგორც თანაბრა, ისე არათანაბარი პრინციპების გამოყოფა, შესაბამისი კეთილდღეობის გამოვლენით.

გამთანაბრებელი სამართლიანობის კრიტერიუმია არითმეტიკული თანასწორობა. ამ პრინციპის განხორციელება ხორციელდება სამოქალაქო და სამართლებრივი გარიგების საფუძველზე.

როულსი სამართლიანობის თეორიას წარმოგვიდგენს, როგორც რაციონალური არჩევანის თეორიის ნაწილს. მაგრამ იგი ერთ მნიშვნელოვან პირობას ითვალისწინებს; შეთანხმება მაქსიმალური სარგებლობის ირგვლივ,

აუცილებლად მორიგეობის შედეგი უნდა იყოს.

მას აინტერესებს თუ ზოგადად რას წარმოადგენს სამართლიანობის პრობლემა, მისთვის მთავარია, რომ არავინ იგრძნოს თავი უსამართლობის მსხვერპლად, ის ცდილობს ჩამოაყალიბოს ისეთი პრინციპები, რომელიც დაიცავს ადამიანს ყოველგვარი უსამართლობისაგან.

როულსი აცხადებს, რომ არსებობს ე. წ. „პირველადი სიკეთეები“, რომელთა არსებობაც ნებისმიერი ინდივიდისთვის, ძირითადი პირობაა იმ-ისთვის, რომ მან საზოგადოებაში არსებობა შეძლოს. ამგვარი სიკეთეების რიგს მიეკუთვნება: ჯანმრთელობა და ენერგია, ძალაუფლება, ჭკუა და წარმოახვის უნარი და ა. შ. აქედან გამომდინარე, შეთანხმების მხარეებმა უნდა ეცადონ ამ პირველადი სიკეთეების მაქსიმალიზაცია.

შედეგად ვიღებთ შემდეგ ლირებულებებს, სამართლიანობის ორ პრინციპს:

1. ისინი თანამდებობებზე და საზოგადოებრივ მდგომარეობებზე უნდა იყოს დამოკიდებული, რომლებიც ყველასთვის ღიაა;
2. ისინი ლარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა იყოს ორიენტირებული;

პირველი პრინციპი ასე შეგვიძლია განვითაროთ, ყველა ინდივიდი უნდა განიხილებოდეს, როგორც თავისუფალი და თანასწორი. აქედან გამომდინარე, უმაღლეს ფასეულობად მიიჩნევა ადამიანი, როგორც ავტონომიური არსება. ინდივიდის პირველადი საზრუნვავიც ხომ სწორედ ისაა, რომ იყოს გარანტირებულად დაცული, მის პირად საქმეში, სახელმწიფოს ჩაგვრისა-გან. მეორე, ის გამოყენებულ უნდა იქნას საზოგადოების ყველაზე უფრო სუსტი წევრების საკეთილდღეოდ.

მხოლოდ სამართლიანობის ორი პრინციპით არის შესაძლებელი ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა, ისინი ყველაზე ეფექტური საშუალებებია, მოქალაქეებში, როგორც საზოგადოების თანასწორ წევრებში ღირსების გრძნობების გაღვიძებისათვის.

„სამართლიანობის თეორიის“ გამოქვეყნების შემდეგ მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურ ფილოსოფიაში ფილოსოფოსების დიდი ნაწილი ცდილობდა როულსის მიერ შემოთავაზებული იდეების, მეთოდების დამუშავებას და განვითარებას. როგორც აღვნიშნეთ ამ დროიდან იწყება პოლიტიკური ფილოსოფიის აღმავლობა.

ჯონ როულსის იდეების საპირისპიროდ რობერტ ნოზიკმა უფლებებზე დამყარებული ლიბერალიზმის (ლიბერალისტები ისწრაფვიან, მაქსიმალურად გაიფართოვონ ინდივიდების თავისუფლების არეალი და მინიმუმამდე დაიყვანონ საზოგადოებრივი ძალაუფლების საზღვრები; სახელმწიფო მათ-თვის თავისუფლების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს) ერთგვარი ფორმა განავითარა. ის თვლიდა, რომ საკუთრების უფლებების მკაფრი დაცვა სჭირდება, თუ რა თქმა უნდა საკუთრება სამართლიანადაა შეძენილი.

## **გ6. თანასწორობის არსი: – რა არის თანასწორობა?**

ადამიანებისათვის თანასწორობის რწმენა ყოველთვის არსებობდა. ეს რწმენა თეორიულადაა ასახული სხვადასხვა ტრადიციის მქონე კონკრეტულ რელიგიურ-ფილოსოფიურ სქემებში. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ადამიანები მუდმივად აწყდებიან თანასწორობის პრინციპების დარღვევას-უთანასწორობას. ადამიანს ახასიათებს მისწრაფება – იყოს თანასწორი სხვა ადამიანთან მიმართებაში, უთანასწორობა განცდადია და ადამიანი მუდმივად იბრძვის თანასწორობის დასამკვიდრებლად.

თანასწორობა, როგორც პოლიტიკური მოთხოვნა, XVIII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. ამერიკის ვირჯინიის შტატის უფლებათა ქარტია აცხადებდა, რომ ყველა ხალხი თავისი ბუნებით ფლობს თანასწორ თავისუფლებებს, დამოუკიდებლობის უფლებას და რიგ თანდაყოლილ უფლებებს. საფრანგეთის 1793 წლის კონსტიტუციამ გამოაცხადა: ხელისუფლება იმისთვის ყალიბდება, რომ ადამიანს შეეძლოს ისარგებლოს საკუთარი ბუნებრივი და განუყოფელი უფლებებით -თანასწორობით, თავისუფლებით, უსაფრთხოებით და საკუთრების უფლებით.

საინტერესო ფაქტია ის, რომ საფრანგეთში გილიოტინის შემოღების აუცილებლობას სხვა მიზეზებთან ერთად თანასწორობის იდეის დაფუძნება ედო საფუძვლად (იგულისხმებოდა თანასწორობა სიკვდილით დასჯის დროს; გილიოტინის შემოღებამდე არისტოკრატთა დასჯა ხდებოდა ხმლით თავის მოკვეთით, მაშინ როცა უბრალო ადამიანებს სჯიდნენ ჩამოხრიბით, ცეცხლზე დაწვით და ა.შ. საფრანგეთის რევოლუციამ გილიოტინის მეშვეობით ამ მხრივ თითქოს ყველა ადამიანი „გაათანაბრა“).

თანასწორობა კანონის წინაშე ჩემი თავისუფლების გარანტიაა. ეს ნიშნავს, რომ თითოეული ინდივიდი თანასწორია მისი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამიტომ ყველას აქვს თანაბარი შესაძლებლობა აირჩის ცხოვრების თავისი წესი, თუ ეს სხვების უფლებებსა და თავისუფლებებს არ შელახავს.

თანასწორობაზე მსჯელობისას მხედველობაში გვექნება, როგორ არის შესაძლებელი პოლიტიკური თანასწორობა და შესაძლებელია თუ არა თანასწორობა მატერიალური დოვლათისა და შემოსავლის განაწილების მხრივ.

რა შეიძლება ითქვას ეკონომიკურ თანასწორობაზე? როცა მისი მიღწევა ვერ შეძლო ვერც ერთმა მთავრობამ, მაგრამ ზოგიერთი მოაზროვნე ფიქრობს, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ იყვნენ თანასწორნი მატერიალური დოვლათისა და შემოსავლის კუთხით.

დასავლეტში, ბევრი ფილოსოფოსი აღიარებს, რომ პოლიტიკური თანასწორობა არის პოლიტიკური თავისუფლების პირობა. ყველაზე სა-დავოა ეკონომიკური თანასწორობა, თვით ამ ცნების სირთულის გამო.

ეკონომიკური თანასწორობის ცნების სირთულე განპირობებულია მისი

კავშირით ცნებებთან, როგორიცაა; მოთხოვნილებანი, დამსახურებული კეთილდღეობა და სურვილები. ეს ცხადი ხდება მაშინვე, როგორც კი ვს-ვამთ შემდეგ კითხვებს, რომ ლებზეც ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელი პასუხები არ არსებობს:

უნდა გავხადოთ ეკონომიკურად თანასწორნი ის ადამიანები, რომლებიც არ არიან თანასწორნი სილამაზის, ჭკუის, საქმის ცოდნის თვალსაზრისით?

მაგალითად, იმსახურებენ თუ არა ლამაზი, ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანები უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე დანარჩენი მოქალაქენი? ანდა ნაკლებად ლამაზი, ნაკლებად უნარიანი და ნაკლებად ჭკვიანი ადამიანები საჭიროებენ თუ არა უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე დანარჩენნი?

თანასწორობის დამცველი, ალბათ, უპასუხებს, რომ ის გულისხმობს, მხოლოდ ნორმალური ადამიანების კეთილდღეობას, რომლებიც არც დას-ნეულებული ხეიბრები არიან და არც გაუწონასწორებელი, ფსიქიკურად ავადმყოფნი.

არცერთ ძლიერ მთავრობას, არ ძალუძს გაათანაბრონ, თავიანთი ქვე-შევრდომები ისე, რომ მთავრობისადმი იყვნენ თანაბრად დამჯერნი, სი-მაღლით ტოლნი, ჰერონდეთ ერთნაირი სილამაზე და ალპინისტობის ერთ-ნაირი ხერხები და გონებრივი უნარები.

მთავრობებს შეუძლიათ ადამიანები აქციონ თანასწორად, როგორც ღირსეული ასევე არალირსეული ქმედებებით. კონკრეტულად მათ შეუ-ძლიათ მოქალაქეს მისცენ ერთნაირი ხმის უფლება, თანასწორი უფლება, არჩეულ იქნან პარლამენტში. მოისმინონ საქმეები მსაჯულთა სასამართლოში და ა. შ. უარეს შემთხვევაში მთავრობას შეუძლია პრაქტიკულად გაათანაბროს მოქალაქენი უვიცობაში, გონებრივ ან ფიზიკურ მონობაში, წართვას თავისუფლება და ა. შ

ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც იქნება ეკონომიკური თანასწორობა, ჩვენს წინაშე აყენებს ფუნდამენტალური მნიშვნელობის პრობლემას, რადგანაც იგულისხმება, რომ ეკონომიკური თანასწორობის მიღწევის ერთადერთი გზა გადის უკიდურესი თანასწორობის ეტაპის გავლით.

როგორც აღინიშნა, თანასწორობაში იგულისხმება უფლებებისა და კანონის წინაშე თანასწორობა. იგი თავისი მნიშვნელობით ძალიან ახლოს დგას, დისკრიმინაციის აკრძალვასთან, დისკრიმინაცია კი რაციონალურ დასაბუთებას მოკლებული, ფიზიკურ და ბიოლოგიურ ნიშნებზე აგებულ უფლებათა და უფლებამოსილებათა, დიფერენციაციაა. მაგალითად ბრმებისთვის ავტომობილის მართვის უფლების აკრძალვა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად. რადგან ასეთ აკრძალვას რაციონალური დასაბუთება აქვს. არ ყოფილა ჯერ ისეთი საზოგადოება, რომელშიც სრული თანასწორობა ყოფილიყო მიღწეული. როგორც აღინიშნა ადამიანები განს-ვავდებიან ერთმანეთისაგან: არიან მდიდრები და ლარიბები, ნიჭიერები და უნიჭოები, მაღლები და დაბლები, მათ განსხვავებული ინტერესები და

მისწრაფები აქვთ და ა. შ.

თანასწორობის ანალიზისას უნდა გაირკვეს ორი თვალსაზრისი: **ეგალიტიკული და ანტიეგალიტიკული:**

**ეგალეტიკარიზმი** თეორია ან პრაქტიკა, რომელსაც საფუძვლად თანასწორობისადმი სწრაფვა უდევს: რწმენა იმისა, რომ თანასწორობა ძირითადად პოლიტიკური პრინციპია. ისინი ამტკიცებენ, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და უმატებენ, რომ ყველა ადამიანი თანასწორი უნდა იყოს.

**ანტიეგალიტიკარისტები** ამტკიცებენ, რომ ადამიანები არ არიან თანასწორნი და იმის მტკიცება, რომ თანასწორნი უნდა იყვნენ, ძნელად მისაღწევია.

ზოგადად ლიბერალები თანასწორობაზე როდესაც მსჯელობენ, ისინი თითოეული ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობას გულისხმობენ. ყველას თანაბარი შანსი უნდა ჰქონდეს კანონის წინაშე. კანონის წინაშე თანასწორობა ნიშნავს: მე მაქვს თანაბარი უფლებრივი დაცვა. ე.ი. არავის არავითარი პრივილეგია არა აქვს და კანონი ისევე მეხება მე, როგორც ყველა მოქალაქეს. რასაც კანონის მოქმედების უნივერსალურობასაც უწოდებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თანასწორობის ეს პრინციპი რეალურ ცხოვრებაში ნაკლებად ხორციელდება, ამიტომ თანასწორობის პრობლემა ყოველთვის ყველა რევოლუციის ლოზუნგი იყო. საუბედუროდ რევოლუციის შემდეგ მას მუდამ ივინწყებდნენ.

ყველა ეპოქაში, კანონი ზოგიერთების მიმართ უფრო შემწყნარებლურად და კეთილმოსურნედ გამოიყენებოდა და საუბედუროდ დღესაც გამოიყენება. განსხვავებების გასათანაბრებლად არაერთი სამართლებრივი სისტემა შეიქმნა, მაგრამ სრული წარმატების მიღწევა, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

პრობლემის უკეთ წარმოჩენისათვის შეიძლება განვიხილოთ ამერიკული ლიბერალიზმის წარმომადგენელის რობერტ ნოზიკის შეხედულება, რომელიც მოცემულია 1974 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში: „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“. სადაც მან სცადა ჩამოეყალიბებინა უკიდურესი ლიბერალიზმის თეორია.

მისი შეხედულების მთავარი იდეა იყო საკუთრების უფლების მკაფრი დაცვა სახელმწიფოსაგან. ნოზიკის აზრით, ყველა ინდივიდს აქვს ბუნებითი უფლებები, ქონების შეძენისა და გამოყენების ჩათვლით. ეს არის მოსაზრება მორალური თანასწორობის შესახებ. იგი ამტკიცებს, რომ ნებისმიერი, საკუთრება შეძენილია პატიოსნური გზით, თუ იგი არ არის წართმეული (არ არის მოპარული) ვინმესთვის ძალით, მოტყუებით ან შანტაჟით. თუ ახლანდელმა მესაკუთრებმა და მათმა წინაპრებმა არ ჩაიდინეს ასეთი ქურდობა, მაშინ ყოველგვარი ცდა, ჩამოვართვათ მათ თავიანთი საკუთრება, არის ჩარევა მათი თავისუფლების უფლებაში. მაგალითად, შემოსავალზე გადასახადი არ განსხავადება იძულებითი შრომის-

გან. მაშასადამე, მთავრობა, რომელიც ბეგრავს მდიდარ ადამიანებს, რათა დაქმაროს ღარიბებს, არღვევს ბევრი მოქალაქის უფლებებს. სახელმწიფოს ფუნქციები მინიმალური უნდა იყოს და დაიყვანებოდეს დანაშაულის თავიდან აცილებასა და გარეშე მტრებისაგან დაცვაზე.

ნოზიკი ხსნის იმას, თუ რას ნიშნავს პატიოსანი და არაპატიოსანი გზით მოპოვებული, შეძენილი ქონება:

1. თუ საკუთრება მიღებული გაქვთ მემკვიდრეობით წინაპრებისგან, რომლებმაც იგი მოიპარეს, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში ეს საკუთრება უნდა დაუბრუნდეს ყოფილ მფლობელებს, ან მათ მემკვიდრეებს.

2. თუ საკუთრება არ არის მოპარული, მაგრამ მაინც შეიძლება დამტკიცდეს, რომ მიწა განაწილების დაწყების მომენტში არ ეკუთვნოდა, არავის და ქონება გათვალისწინებლი იყო სხვა ადამიანებისათვის, მაშინ სახელმწიფომ უნდა ხელახლა გადაანაწილოს ეს საკუთრება;

ეგალიტარისტები იცავენ თეორიას, რომლის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს წარმატების შანსი. ამის უზრუნველყოფა კი უნდა ეკისრებოდეს მთავრობას.

თანასწორობაში ლიბერალები ყველასთვის თანაბარ შესაძლებლობებს გულისხმობენ. საზოგადოების ნებისმიერ წევრს აღზევების თუ დაცემის ერთნაირი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ცხოვრება ყველასათვის ერთნაირ სათამაშო მოედანზე უნდა გათამაშდეს.

სახელმწიფოს ფუნქცია სწორედ ასეთი გარემოს შექმნა უნდა იყოს, სადაც ნებისმიერი მოქალაქე შესაძლებების თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას. ბუნებრივია, შედეგი, ყველასთვის ერთი ვერ იქნება. ვერ მიიღებენ ერთნაირ ჯილდოს, ვერც ცხოვრებისა და სოციალური გარემო-პირობები იქნება ერთნაირი. მათ თანასწორობა ასე ესმით: განსვავებული უნარისა და ნიჭის განვითარებისათვის ინდივიდებს თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

ანტიეგალიტარისტები ამტკიცებენ, რომ მკაცრი და მყარი განსხვავება თანასწორობის შესაძლებლობასა და ნამდვილ თანასწორობას შორის, არ არსებობს. ისინი ვარაუდობენ, რომ შესაძლებლობათა თანასწორობის თეორიის მოხსრეობა, გულისხმობს საყოველთაო წარმატების სურვილს, ასეთი წარმატების სურვილმა შეიძლება მხოლოდ თავისუფლების მუდმივ კორექტირებასა და შეზღუდვასთან მიგვიყვანოს.

ჯერ ერთი, ეგალიტარისტები იცავენ არა მარტო თანასწორობას კანონების წინაშე. ისინი დაუინებით მოითხოვენ აგრეთვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ თანასწორობასაც.

მეორე, თანასწორობა კანონის წინაშე, რომელიც გამომდინარეობს მხოლოდ წესების ლოგიკიდან, უზრუნველყოფს გაცილებით ნაკლებ თანასწორობას, ვიდრე ეგალიტარისტებს სურთ. თუმცა ყველა ის, ვინც დაარღვევს კონკრეტულ კანონს, ერთნაირად უნდა ისჯებოდეს, მაინც ზოგჯერ

თვით კანონი ითვალისწინებს განსხვავებას საზოგადოების ზოგიერთ ჯგუფს შორის.

ნოზიკისათვის საუკეთესოა ისეთი სახელმწიფო, რომელიც იქნება მინიმალისტური, ანუ ექნება ცოტაოდენი ფუნქციები. სწორედ ასეთმა სახელმწიფომ, უნდა უზრუნველყოს, ქვეყნის დაცვა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მინიმალური სახელმწიფოც ხომ სახელმწიფოა და სწორედ სახელმწიფოში ცხოვრების თვით ფაქტი მოითხოვს, ზოგიერთი თავისუფლების მსხვერპლად გაღებას. ჩვენ ვექვემდებარებით კანონს, რომელიც კრძალავს მკვლელობას, რამდენადაც ვიცით რომ არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება, თავისუფლად მოკლას უახლოესი მეზობლები. ეს შეზღუდვაა, მაგრამ ამ სახის შეზღუდვები ჩვეულებრივ არ გვაშფოთებს, როგორც მოქალაქეები, ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებლად მიგვაჩნია, და შეზღუდვებს, რომლებსაც ზედმეტად ვთვლით.

ნინააღმდეგობა, ეგალიტარისტულ და ანტიეგალიტარისტულ თვალ-საზრისებს შორის სინამდვილეში გამოხატავს უთანხმოებას სახელმწიფო ძალაუფლების საზღვრების თაობაზე. მინიმალური სახელმწიფო სამართლიანიცაა და მომხიბლავიც. სახელმწიფოს არ შეუძლია გამოიყენოს, იძულების აპარატი იმ ქმედებების აღსაკვეთად, რომელიც ადამიანებმა საკუთარი ინტერესებისა და საკუთარი თავის დასაცავად განახორციელეს.

ნოზიკის პოზიცია ინდივიდუალისტირია, რადგან ინდივიდს სურს იყოს გარანტირებულად დაცული, მის პირად საქმეებში, სახელმწიფოს ჩარევისაგან. გამომდინარე ამ პოზიციიდან ისმის კითხვა, ეგებ საერთოდაც არ არის საჭირო სახელმწიფოს არსებობა?

სახელმწიფო მაინც უნდა არსებობდეს, რადგანაც არსებობს გარკვეული მიზეზები, რომლის გამოც არ იქნება გამართლებული სახელმწიფოს არარსებობა, და რომ ის უნდა არსებობდეს ამა თუ იმ სახით.

ამიტომ ამტკიცებენ ანტილეგალიტარისტები, რომ მკაცრი და მყარი განსხვავება თანასწორობის შესაძლებლობასა და ნამდვილად თანასწორობის შორის არ არსებობს.

ხელისუფლებამ უნდა შექმნას ისეთი გარემო, და პირობები სადაც მოქალაქეებს ექნებათ საშუალება გამოავლინონ ყოველმხრივ თავიანთი შესაძლებლობები. თანასწორობა ვლინდება თითოეული მოქალაქის კანონის დაქვემდებარებულობაში, რომელიც არ გამოიწვევს თავისუფლების „შეზღუდვას“, რის საფუძველზედაც სამართლიანობა გამოვლინდება. სახელმწიფოს არსებობის საფუძველს უნდა შეადგენდეს ის ძირეული ღირებულებები, როგორიცაა პიროვნების თავისუფლების იდეა, დემოკრატიული მიმართება და სამართლიანობა, ეკონომიკური კეთილდღეობა და თანასწორობა.

ლიბერალიზმი ცდილობს, ისეთი პირობები შექმნას, როდესაც ადამიანები თვითონ განსაზღვრავენ რა არის კარგი ცხოვრება და შეძლებენ


იცხოვრონ სწორედ ასეთი ცხოვრებით. მათთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ინდივიდი, თავისუფლება, გონება, სამართლიანობა, შემწყანებლობა და მრავალფეროვნება.

როგორც როულსი აღნიშნავს: ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს მაქსიმალური თავისუფლება, რომელიც არ შეზღუდვს სხვა დანარჩენთა ასეთ-სავე უფლებას, იყვნენ თავისუფალნი.

### მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ

ა) რა არის ძალაუფლება და რატომ ცდილობს ნებისმიერი მმართველი ლეგიტიმურობის მოპოვებას?

ბ) გავიხსენოთ ლეგიტუმური მმართველობის ტიპები



რა განსხვავებაა მათ შორის?

გ) ჩამოთვლილი პოლიტიკური თავისუფლების სახებიდან სად ვლინდება ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლება და განვსაზღვროთ თოთოეული;

- ეროვნული თავისუფლება
- პოლიტიკური თავისუფლება
- ეკონომიკური თავისუფლება
- ინდივიდუალური თავისუფლება

დ) უპასუხეთ კითხვას: რა არის სამართლიანობა და განვასხვავოთ ერთმანეთისაგან-განაწილებითი სამართლიანობა და გათანაბრებითი სამართლიანობა

ე) შესაძლებელია თუ არა თანასწორობა?

რას ფიქრობენ:

- ეგალიტარისტები
- ანტიეგალიტარისტები

# ნაცილი გევაზე ესთეტიკა

## რა არის ესთეტიკა?

„ნეტავ საიდან მოდის მშვენიერება ან სად მიდის იგი, სად იკარგება?“ ამ სიყტვებით თავდება გ.ლეონიძის ნოველა „მარიტა“. ეს ერთ-ერთი ყველაზე ძირეული ფილოსოფიური შეკითხვაა. პლატონი ამბობდა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა „არის ძნელი“. ესთეტიკა არის ფილოსოფიის დარგი, რომელიც იკვლევს მშვენიერებას ფართო აზრით, როგორც სამყაროს ერთ-ერთ არსებით განზომილებას. ტერმინი „ესთეტიკა“ წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან „აისთეზის“, რაც გრძნობადობას ნიშნავს. პირველად იგი გერმანელმა ფილოსოფოსმა ალექსანდრ გოტლიბ ბაუმგარტენმა გამოიყენა 1750 წელს გამოცემულ წიგნში, რომელიც წარმოადგენდა ესთეტიკის პირველ სისტემატურ კურსს. ბაუმგარტენი ფიქრობდა, რომ ესთეტიკა არის გრძნობადი შემეცნების ჭეშმარიტება. მოგვიანებით ეს ტერმინი დამკვიდრდა და ფილოსოფიის ერთ-ერთი სისტემატური ელემენტის და დისციპლინის აღმნიშვნელი გახდა.

### ესთეტიკურის წვდომის პარადიგმები

ფილოსოფიის ამ სფეროში არსებობს მრავალი თვალსაზრისი. ისინი მოკლედ შეიძლება ასეთი სახით ჩამოვაყალიბოთ:

- ესთეტიკური არის ღმერთის ან აბსოლუტური იდეის განხორციელება, ანაბეჭდი კონკრეტულ გრძნობად მოვლენებში (პლატონი, ნეტარი ავგუსტინე, ჰეგელი).
- სინამდვილე ესთეტიკურად ნეიტრალურია. მშვენიერების წყარო ადამიანის სულშია. მშვენიერება სინამდვილეზე ადამიანის სულიერი სამყაროს პროეცირების, შთაგრძნობის შედეგია (თ. ლიპსი, ბ. კროჩე).
- მშვენიერება არის ესტეტიკური სუბიექტის და ესტეტიკური ობიექტის ურთიერთმიმართების შედეგი, (ნ. ჰარტმანი, რ. ინგარდენი).
- ხელოვნების ნაწარმოები არის სიმბოლო, რომელიც ღირებულების სტრუქტურას აღნიშნავს (ე. კასირერი, ჩ. მორისი, ს. ლანგერი).
- ესთეტიკური არის ნებისა და წარმოდგენის, ან ძალაფულებისადმი ნების ობიექტივაცია (ა. შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე).
- ესთეტიკური არის საგნის, ან მოვლენის ისეთივე თვისება, როგორიცაა ფერი, ზომა, წონა და ა.შ.
- ხელოვნება და ესთეტიკური გემოვნება არის საზოგადოების ეკონომიკური ბაზისით განსაზღვრული ზედნაშენი (კ. მარქსი), დაუკმაყოფილებელი არაცნობიერი ლტოლვების სუბლიმაცია (ზ. ფრონდი).

ესთეტიკურის გამოვლენის განვითარებული ფორმაა ხელოვნება. ის

ისევე, როგორც ესთეტიკურის გამოვლენის ნებისმიერი სხვა ფორმა არის ადამიანის მიერ სამყაროსა და საკუთარი თავის გაცნობიერების ერთ-ერთი ძირითადი წესი. ხელოვნების ძირითადი ნიშანია გრძნობად-სახეობრივი გამომსახველობა (ექსპრესიულობა). ხელოვნება არის ადამიანური ყოფიერების არსებითი სტრუქტურების (მისი საზრისისა და ხასიათის) სახვით-სახეობრივი გამომჯდავნება, გამომეტყველებითი გამოვლენა-გამონათება. ეს „გამონათება“ არის მხატვრული სიმართლე, მხატვრულობის შინაგანი კრიტერიუმი. იგი განაპირობებს ესთეტიკური ღირებულების თავისებურებას.

ესთეტიკურის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ თუ კულტურის სხვა ფორმები-ზნეობა, რელიგია, მეცნიერება, წარმოადგენენ ზეგრძნობადი ვითარებების, პრინციპებისა და ღირებულებების განხორციელებას გრძნობად-აღქმად სინამდვილეში, (მაგალითად, ცოტნე დადიანმა თავისი გმირული საქციელით თვალსაჩინო გახადა ზნეობის იდეალური კანონი – გიყვარდეს მოყვასი; ნიუტონმა ფორმულაში მოაქცია მიზიდულობის კანონი; ნათლისლების საიდუმლო აღესრულება წყალში სამგზის შთაფვლის ხილული ქმედების გზით) ხელოვნებაში ამის საპირისპიროდ გრძნობად-აღქმადი, გრძნობადად განჭვრეტილი ვითარება (მაგალითად, ვენერა მილოსელის ქანდაკება, ან ბუნების პეიზაჟი, მელოდია, თეატრალური წარმოდგენა) თავად შიგნიდან გამოასხივებს ზეგრძნობადს. თუ შემეცნებით, ზნეობრივ ან რელიგიურ ცდაში, შეიძლება ითქვას, ზეცა მიწაზე ჩამოდის, უხილავი ხდება ხილული, სხეული სულიერდება, ესთეტიკურში აქცენტი შებრუნებულია, პირიქით ხდება – მიწა ადის ზეცაში, ხილულს გავყევართ უხილავში, სხეულებრივი გვაზიარებს სულიერს.

ხელოვნების ქმნილების (ესთეტიკური საგნის) კიდევ ერთი თავისებურება იმაშია, რომ იგი დისტანცირებული და ამორთულია სინამდვილის კონტექსტიდან (მისი გამომსახველია და არა თვითონ ის), მთლიანად შეთხზული, დახატული, გათამაშებული და ირეალურია. ამდენად, დამოუკიდებელი „სხვა სამყაროს“. უნიკალური ავტონომიური უნივერსუმის სახე აქვა. იგი გამჭვირვალეა ადამიანური ყოფიერების ყველა ასპექტის მიმართ. მასში გათამაშებულია (მიბაძულია) ეთიკური, შემეცნებითი, რელიგიური და სასიცოცხლო მიმართებების მთლიანი სპექტრი, პანორამა, ხედი). ამდენად, ესთეტიკურ ცდაში ადამიანური ყოფიერება იღებს სრულყოფილების იმგვარ ნიშანს, რომელსაც იგი ვერასოდეს აღწევს რეალურ სამყაროში. „ეს მშვენიერია“ ნიშანავს „ეს სრულყოფილია“. ეს ისაა, სადაც უზენაესი და უკანასკნელი მიზანი მიღწეულია; სრული და უნაკლო ყოფილის წესია გამუდავნებული.

ამ ვითარების გამო ხელოვნება ზოგიერთ ეპოქაში კულტურის წარმართველი ხდება, ხოლო ხელოვანი იღებს ბიბლიური წინასწარმეტყველის მისიას. „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, – ამბობენ ასეთი ეპოქის პოეტები. ეს მოხდა რენესანსის ეპოქაში, XVIII საუკუნის გერმანიაში. XIX საუკუნის საქართველოში ასეთი პოეტი იყო ილია

ჭავჭავაძე. XIX საუკუნის რუსეთში ასეთი მისია იტვირთეს ლევ ტოლსტოი და ფედორ დოსტოევსკიმ.

ზოგი ფილოსოფოსი სწორედ ამ ნიშანშივე ხედავს ხელოვნების ნაკლს. პლატონმა თავისი იდეალური სახელმწიფოდან გააძევა ხელოვანი, რადგან ხელოვნება ახდენს გრძნობების ზედმეტ გაფაქიზებას. ეს კი ხელს შეუშლის სახელმწიფოში ერთგული მეომრებისა და მსახურების აღზრდას. სიცოცხლის ბოლოს ხელოვნების რადიკალური კრიტიკოსები და უარმყოფელი გახდნენ ლევ ტოლსტოი, ვინსენტ ვან-გოგი, ფრანც კაფკა. ესენი იყვნენ მხატვრული შემოქმედების ვირტუოზული ოსტატები და აბსოლუტურული მხატვრული ღირებულების შედევრები შექმნეს. სიკვდილის წინ მათ სცადეს საკუთარი ნაწარმოების დაწვა, განადგურება. რატომ? ადამიანი მიისწრავვის რეალურად მიაღწიოს სრულყოფილებას (მოკვდავი რეალურად ეზიაროს უკვდავებას) და არა შეთხზულ-გათამაშებულ „სურათში“. მაგრამ ადამიანური ყოფიერების წესის შინაგანი ორმაგობა, კოლიზიურობა და ტრაგიზმი დაუძლეველია. ეს მხოლოდ ნაწილობრივაა შესაძლებელი ესთეტიკურ ცდაში. ნიცშე ამბობდა: ჩვენ გვაქვს ხელოვნება, რათა რეალობის სიმძიმემ არ გაგვსრისოს.

ესთეტიკური ფენომენის შინაგანი სისრულე გულსხმობს მის შინაგან უსასრულობას ანუ პრინციპულ დაუმთავრებლობას. ამას ნონ-ფინიტოს პრინციპი ეწოდება. ცნობილია მიქელანჯელოს, დოსტოევსკის და სხვა ხელოვანთა ნაწარმოებები, რომლებშიაც კომპოზიციური „დაუმთავრებლობა“ განსაკუთრებულ მხატვრულ სიძლიერეს განაპირობებს, რადგან აღმქმედში აძლიერებს ფანტაზიას. ბერძნული სიტყვა „ფანტაზია“ ქართულად ნიშნავს წარმოსახვას. წარმოსახვა არა მარტო ესთეტიკური ცნობიერების საფუძველია, არამედ ადამიანის თავისუფალი და ცნობიერი მოღვაწეობის ძირეული უნარია. წარმოსახვა არის ხატის მთხზველი უნარი, რომელიც ერთი და იმავე დროს ქმნის და სახავს. ეს არის ამთვისებელი (რეცეპტული) და მქმნელი (სპონტანური) სახვა. ამ უნარის საფუძველზე ხორციელდება მონაცემთა შეკავშირება ანუ სინთეზი. წარმოსახვა არის სინთეზის უნარი, რაც მას შემოქმედების უნივერსალურ უნარად აქცევს. ადამიანის ცნობიერება წარმოსახვის მეშვეობით ხსნის, სახავს და ქმნის ახალ რეალობას. ამ უნარს ზოგჯერ განმარტავენ როგორც ზეპუნებრივ შთაგონებას (ინსპირაცია), ან მხატვრულ ინტუიციას (გონებით მიუწვდომელი ვითარების უშუალო ხედვა).

არსებობს მხატვრული ფანტაზიის ორი ტიპი:

- პროდუქტიული ფანტაზია. ეს არის პრინციპულად ახალი ესთეტიკური ფენომენის შექმნის უნარი
- რეპროდუქციული ფანტაზია. ეს არის თანაშემოქმედების უნარი; არსებული ესთეტიკური ფენომენის ინტერპრეტაციის ახალი შესაძლებლობების გამოვლენისა და რეალიზაციის უნარი.

# თავი I

## მშვენიერების მეტაფიზიკა

### §1. მშვენიერების იდეა

ხელოვნება ანტიკური გაგებით არის ღვთაებრივი, მეტაფიზიკური საწყისის გამოვლენის წესი.

რაში მდგომარეობს მისი თავისებურება? რითი განსხვავდება იგი მეტაფიზიკური საწყისის გამოვლენის სხვა ფორმებისა და წესებისაგან?

პლატონის „ნადიმში“ აღწერილია ანტიკური სიმპოზიუმი. თითოეული მონაწილე თავის სადლეგრძელოში წარმოადგენს საკუთარ კონცეფციას მშვენიერებისა და ხელოვნების არსების შესახებ. შემდეგ კი იმართება კა-მათი, დისპუტი, დიალოგი. სიმპოზიუმის ბოლოს, პლატონი გადმოგვცემს სოკრატეს საუბარს ტრაგიკოს პოეტ აგათონთან და კომიდიოგრაფ არის-ტოფანესთან. მონაწილენი მიდიან დასკვნამდე, რომ ტრაგედიაც და კო-მედიაც არის ვარიაცია აბსოლუტური მშვენიერების იდეის გამოვლენისა.

სოკრატე ეკითხება თანამოსაუბრეს: „რა არის მშვენიერება?“ იგი პა-სუხობს: „მშვენიერი ქალი“. სოკრატე აუხსნის, რომ ის ცდება. ყველაზე „მშვენიერი ქალი“, ყველაზე მახინჯ ანგელოზთან შედარებით ხომ მახინ-ჯად გამოჩნდება. ისევე როგორც ყველაზე ლამაზი მაიმუნი ყველაზე მახ-ინჯ ქალთან შედარებითაც კი მახინჯი იქნება და არა ლამაზი.

მაშასადამე ჩვენ უფრო ღრმად უნდა გავიაზროთ მშვენიერების ფენო-მენი. რა არის ის საერთო წყარო, რისი მეოხებითაც რაიმეს ვუწოდებთ „მშვენიერს?“

მოკამათენი მივლენ დასკვნამდე, რომელიც არის პლატონის ფილოსო-ფიის ღერძი: მშვენიერების არსება არის ცალკეულ მშვენიერ საგანთა მიღმა – მშვენიერება თავისთავად, მშვენიერის იდეა; მშვენიერების პირვე-ლადი, იდეალური, მარადიული სახე, ხოლო ხელოვნება არის მშვენიერების იდეის უკუფენა და განფენა მის გრძნობად მისაწვდომობაში.

დიალოგ „ნადიმში“ მშვენიერების იდეის წვდომა უზენაესის წვდომის რანგში განიხილება, ესთეტიკური სიამოვნების ადგილს იჭერს სიყვარუ-ლი – „პლატონური ეროტიკა“. მშვენიერების იდეის მედიტაცია გრძნო-ბას აესთეტიკურებს, გრძნობას განწმენდს ორგანული ფუნქციისგან, შეზ-ღუდულობისა და პირობითობებისაგან. მშვენიერების ჭვრეტაში განცდა ამორთულია ორგანული სიამოვნება-უსიამოვნების კონტექსტიდან. ამის შემდეგ პლატონის ესთეტიკაში იწყება ეროსის მისტერია – რომლის ამოც-ნობა დღესაც ამოცანად რჩება.

არისტოტელეს „პოეტიკაში“ ხელოვნების არსი გააზრებულია „მიბა-ძვის“ (ბერძ. Μίμησις -მიმეზისი) და განწმენდის (ბერძ. Κάθαρσις – კათარზი-სის) ცნებებით. „რას ბაძავს ხელოვნება?“ „საგანთა არსებას!“ პასუხობს

არისტოტელე. რას განწმენდს? – ადამიანთა აფექტებს. ტრაგედიას აფექტები მაქსიმალური ინტენსივობის იმ მიჯნამდე მიჰყავს, რომ ხორციელდება ნახტომი ორგანული შეზღუდულობის მიღმა. მეტაფიზიკურ რანგში გადასვლა, მხატვრული კათარზისი, ემოციური პროცესის კალაპოტს ცვლის, სული კვლავ განიცდის შიშისა და თანაგრძნობის აფექტებს, მაგრამ ისინი აღარ არიან დამანგრეველი, ქაოტური იმპულსები. მხატვრულ სახე-თა თანაგრძნობის მეშვეობით ემოციები გარდაიქმნენ მხატვრული წესრიგის, სილამაზისა და ჰარმონიური სიმშვიდის პრინციპების მიხედვით.

## § 2. ხელოვნების იდეალი

ჰეგელის ხელოვნების ფილოსოფიის ამოსავალიც მშვენიერების იდეაა. მაგრამ ჰეგელმა პრინციპულად გააფართოვა თვით იდეის გაგება. ჰეგელი ასე მსჯელობს: თუ მშვენიერება მისი არსებისა და ცნების მიხედვით უნდა იქნეს შემეცნებული, მაშინ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მოაზროვნე, თავის თავის მცოდნე ცნების საშუალებით. ე.ი. ისეთი ცნებით, რომელიც თვითრეფლექსის, თვითცნობიერების პრინციპის გავლის გზით ხდება აბსოლუტური მშვენიერება ანუ მშვენიერების იდეა თავის ისტორიულ სინამდვილეში. მშვენიერების იდეის განხილვა პლატონთან უშინაარსო აბსტრაქტულ მეტაფიზიკად დარჩა. ის ჰეგელს აღარ აკმაყოფილებს. ფილოსოფიური რეფლექსია უფრო ღრმად და უფრო კონკრეტულად უნდა ჩავწერდეს ამ იდეას. მშვენიერების იდეიდან უნდა ამოვიდეთ, მაგრამ უნდა გავიაზროთ მისი შინაარსეული კონკრეტულობა. იდეას აქვს თვითრეალიზებადი ბუნება. მშვენიერების იდეის შინაგანი განფენის პროცესი ქმნის ხელოვნების ისტორიას და ამდენად არის ხელოვნების იდეალი, „ხელოვნების სუბსტანციური პრინციპი“. ხელოვნება, როგორც მშვენიერების იდეის შემეცნების ისტორიული პროცესი, თავის თავში ერთიანი ორგანული მთლიანობაა. იგი შინაგანი ლოგიკური აუცილებლობით ვითარდება თავისივე ცნებიდან, გაივლის თვითგამოვლენის სამსაფეხურიან გზას – სიმბოლურ, კლასიკურ და რომანტიკულ ფორმებს და კვლავ უბრუნდება თავის თავს. იგი „თავის თავში უკუმბრუნავი წრეა.“ როდესაც აბსოლუტური გონი, ხელოვნების იდეალის სახით, მესამე და უკანასკნელ რომანტიკულ წრეს შემოივლის, საერთოდ ტოვებს ხელოვნების ფორმას და გადადის აბსოლუტური გონის უფრო მაღალ ფორმაში – რელიგიაში.

ქრისტეს გამოცხადების შემდეგ, რელიგიის უმაღლეს და უკანასკნელ საფეხურზე, გონი რელიგიის ფორმასაც უკან მოიტოვებს და გადადის ფილოსოფიაზე, რაშიც იგი თავის თავს შეიცნობს და სისტემა ჩაიკეტება თავის თავში.

მაშასადამე ხელოვნება არის აბსოლუტის გამოვლენის საფეხური, რომელშიც ზეგრძნობადი, ღვთაებრივი იდეალი ვლინდება გრძნობად ფორმაში. ხელოვნება არის ჭეშმარიტების გამოვლენისა და გამოხატვის

გარკვეული წესი. ჰეგელის მიხედვით, ხელოვნებაც გონის აბსოლუტურ სფეროს ეკუთვნის და რელიგიასა და ფილოსოფიასთან ერთად ერთი საერთო საგანი აქვს – ესაა აბსოლუტი, ღმერთი. ამდენად, ხელოვნებაც, რელიგიაც და ფილოსოფიაც არსებითად ღვთისშემეცნებისა და ღვთისწვდომის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენენ.

მშვენიერების იდეა არ არის მშვენიერი საგნების, ხელოვნების ნაწარმოებების მიღმური, აბსტრაქტული არსი, არამედ ის არის მშვენიერების არსების მეხსიერებაში აღდგენა, წვდომა და ცნობიერებაში განვითარება. ამგვარი აღდგენის და „წვდომის პირველი ფორმა არის უშუალო და ამიტომ გრძნობადი, გამოხატული ხელოვნების ფორმასა და სახეში“. მასში აბსოლუტი იქცევა მჭვრეტელობისა და შეგრძნების საგნად. მეორე ფორმა არის წარმომდგენი ცნობიერება – რელიგია, ბოლოს, აბსოლუტური გონის თავისუფალი აზროვნება – ფილოსოფია.

ჰეგელმა გამოთქვა გადამწყვეტი მნიშვნელობის პრინციპი- მშვენიერების არსება ხორციელდება მისი გაცნობიერების ისტორიულ ნაკადში, ანუ ხელოვნების ისტორიაში. მაგრამ ჰეგელთან ხელოვნება ჩაკეტილი სისტემის ერთ-ერთი პარაგრაფია. ხელოვნება თავისი უზენაესი დანიშნულების მხრივ ჩვენთვის წარსულია, ხელოვნების ფორმით აღარ ხდება მსოფლიო ისტორიის არსებითი მოვლენები. მართალია კვლავაც იქმნება ხელოვნების ახალი ნაწარმოებები, მაგრამ ეს მხოლოდ ძველი ინერაციით ხდება. ხელოვნება აბსოლუტის მიერ მიტოვებული ფენომენია.

### § 3. ხელოვნების აპოლონური და დიონისური საწყისები

ხელოვნების კვდომის ჰეგელისეული კონცეფციის წინააღმდეგ გაილაშერა XIX საუკუნის გერმანელმა ფილოსოფოსმა ნიცშემ. მან ჰეგელის ჩაკეტილ სისტემაში დაინახა ყველა ღირებულებათა გაუფასურების, ნიპილიზმის გამოვლენა. ნიპილიზმი, ნიცშეს აზრით, არის აბსტრაქტული ცნებების ჩაკეტილი სისტემის გაღმერთების შედეგი. ხელოვნების არსება, ხელოვნების ლოგიკურ ცნებაში კი არ არის, არამედ სიცოცხლის სტიქიონშია. სიცოცხლის არსება მარადიული მოძრაობა და ქმნადობაა. ის ისეთი სტიქიონია, რომლის ჩაკეტვა არ შეიძლება ლოგიკურ სისტემაში. ამიტომ შეუძლებელია ხელოვნების კვდომა. კვდება მხოლოდ ხელოვნების ის სახეობა, რომელიც რაციონალური საწყისის გამოვლენაა. ხელოვნების ამ სახეობას ნიცშემ უწოდა აპოლონური. აპოლონი ძველ ბერძნულ რელიგიურ პანთეონში ითვლებოდა უძრავი, უცვლელი, აუმღვრეველი ფორმებისა და ჰარმონიის ღვთაებად.

ნაშრომში „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ (1872წ.) ნიცშე შეეცადა მოეძია ანტიკური ტრაგედიის მძღავრი წყარო. „ტრაგედია“ (ბერძ. ტრაγῳδία „თხის სიმღერას“), თრობისა და ლხინის ღვთაებისადმი –

დიონისესადმი მიძღვნილ დითირამბს ნიშნავს. თხის ჩლიქებიან სატირებად გადაცმული პროცესია მართავდა დიონისესადმი მიძღვნილ მისტერიებს. „დიონისური ხელოვნების“ არსია შემოქმედების თავაწყვეტილი გახელება, ექსტაზი, უძრავი ფორმების მსხვრეველი ძალა, ნგრევა-შენების, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული კვლავდაბრუნება.

ანტიკური ცივილიზაციის ბედი განსაზღვრა დიონისური და აპოლონური საწყისების დაპირისპირებამ. აპოლონური საწყისის, პლატონური მეტაფიზიკის და ქრისტიანული მორალის გაბატონებამ, ნიცშეს აზრით, ევროპული კაცობრიობა მიიყვანა ტექნიკურ ცივილიზაციამდე. მანქანური ცხოვრების წესამდე, სადაც მართლაც კვდება ხელოვნება.

ნიცშე უპირისპირდება დასავლურ მეტაფიზიკურ ტრადიციას პლატონიდან ჰეგელამდე. მათ მიერ ღვთაებრივად მიწნეული მარადუცვლელი იდეების სამყარო ილუზიაა, ნიღბებია, რომლის უკან არარა იმალება. ნიცშეს სწამს, რომ დიონისურ ხელოვნებას შეუძლია შეაჩეროს ევროპული კულტურის დეკადანსი (დაცემა).

### **მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ**

- მშვენიერება როგორც იდეა (პლატონი)
- მშვენიერება როგორც იდეალი (ჰეგელი)
- შეადარეთ ერთმანეთს იდეა და იდეალი. გამოყავით საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

### **განიხილეთ:**

- ხელოვნების აპოლონური საწყისი
- ხელოვნების დიონისური საწყისი
- შეადარეთ ერთმანეთს, გამოყავით საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

## თავი II

# ესთეტიკური გემოვნება და ესთეტიკური ლირებულება

### § 1. ესთეტიკური მსჯელობის საყოველთაობა

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი იმანუელ კანტი (1720-1804) აფუძნებს ესთეტიკას, როგორც ფილოსოფიურ დისციპლინას. ამ დაფუძნებას იგი ახდენს მეტაფიზიკური ტრადიციის კრიტიკის საფუძველზე.

კანტის გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ „წმინდა გონების კრიტიკა“, „კოპერნიკისებურ გადატრიალებას“ მოასწავებდა შემეცნების თეორიაში. მანამდე ეგონათ, რომ გონება იმეცნებს მისგან დამოუკიდებელ და მის გარეთ მყოფ საგანს (ბუნებას). აღმოჩნდა, რომ გონება არის აქტიური საწყისი და ის მონაწილეობს შემეცნების საგნის შექმნაში. ესაა „გონება წმინდა სახით“, ის რაც საერთოა ყველა სუბიექტისათვის. კანტმა მას უწოდა „ტრანსცენდენტალური სუბიექტი“. საგანი თავისთავად(ნოუმენი), ისე როგორც ის არის გონების სტრუქტურებისაგან დამოუკიდებელი სახით, მიუწვდომელია ადამიანური შემეცნებისათვის. ჩვენ შეგვიძლია შევიმეცნოთ სინამდვილე იმ სახით, რა სახესაც იგი იღებს გონების ყალიბებში მოქცევის შედეგად.

ადამიანის გონება არ არის მხოლოდ თეორიული, არამედ არის პრაქტიკული ანუ ეთიკური საწყისიც – „წმინდა ნება“, რომელიც თავისუფლად ახორციელებს ზნეობის ნორმატიულ პრინციპებს. სახელმძღვანელოს წინა თავებიდან ნაწილიდან უკვე ვიცით კანტის ეთიკური თეორიის შესახებ. გავიხსენოთ, რომ ღმერთი, სულის უკვდავება და სამყარო სწორედ ზნეობრივი ცნობიერების პოსტულატებია.

ამის შემდეგ, კანტმა შენიშნა, რომ თავის შრომებში მიიღო ორი ერთ-მანეთისაგან გათიშული სამყაროს – ბუნების და მორალის – სურათი. მის წინაშე დაისვა ამოცანა გამოეკვლია მათი ჰარმონიული მთლიანობის სფერო. ასეთი აღმოჩნდა ესთეტიკური საწყისი და ბუნების მიზანშეწონილება. მათ გამოკვლევას კანტმა მიუძღვნა თავისი მესამე დიდი თხზულება: „მსჯელობის უნარის კრიტიკა“ (1791წ.)

ერთიანობა, რომელიც კანტმა აღმოაჩინა ბუნების მიზანშეწონილებასა და თავისუფალი მხატვრული შემოქმედების სფეროებს შორის, მოითხოვს გემოვნების ფენომენის განხილვას. გემოვნება, რომელიც აწესრიგებს სიამოვნებისა და უსიამოვნების გრძნობას არის შემაერთებელი რგოლი მიზანშეწონილების ბუნებრივ და ესთეტიკურ სახეობას შორის. ის ემყარება მსჯელობის უნარს და გამოიხატება შეფასებით მსჯელობებში.

მშვენიერია „მიზანშეწონილება (განსაზღვრული) მიზნების გარეშე.“ აქ

იგულისხმება არა გარედან მაკონსტიტუირებელი მიზანი, არამედ შინაგანი ანუ რეგულატური მიზანშეწონილება, რაც არის აუცილებელი, აპრიორული (ცდამდე მოცემული) პრინციპი გემოვნების მსჯელობისათვის. ამ საფუძველზე ყველამ ერთნაირად უნდა შეაფასოს ესთეტიკური საგანი.

ყოველგვარ ნატიფ ხელოვნებაში მთავარია ფორმა. მისი უანგაროჭვრეტითი სიამოვნება, რომელიც საყოველთაო და აუცილებელ აღიარებას (გაზიარებას) იმსახურებს არის მშვენიერება.

ესთეტიკური გემოვნება არსებითად არის ზნეობრივ იდეათა გრძნობადი ხორციელების შესახებ მსჯელობის უნარი. „მშვენიერება არის ზნეობრივი სიკეთის სიმბოლო“. ზნეობრივ საწყისთა ჭვრეტის მეოხებით ვეზიარებით მეტაფიზიკურ „თავის თავად ნივთთა“ სამყაროს.

კანტმა უარყო მიპაძვის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ხელოვნება ბაძავს, ასახავს სინამდვილეს და წინ წამოსწია ღირებულებითი პრინციპი. ესთეტიკური არის ღირებულება ყოველგვარი რეალური ინტერესის გარეშე.

კანტი ერთმანეთისაგან განასხვავებს მშვენიერების ორ სახეობას: მშვენიერი წმინდა სახით, რაც წმინდა ფორმათა თავისუფალი თამაშის შედეგია, და ამაღლებული. ამაღლებულთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ჩვენი სული განიცდის საკუთარ შეზღუდულობას ბუნების სიდიადის წინაშე და ამით ახდენს მასთან ზიარებას, ამაღლებას. ამაღლებულის ანალიტიკა კანტთან იღებს ადამიანური ყოფიერების მეტაფიზიკური საწყისების ანალიზის სახეს.

ამაღლებულისა და მშვენიერების კატეგორიების ერთიანობა ესთეტიკის ფორმალური და შინაარსული პრინციპების ერთიანობის საფუძველი ხდება.

გემოვნება არის მხოლოდ მსჯელობის უნარი, და არა პროდუქტიული უნარი, რომელსაც ეწოდება „გენია.“ კანტის მოძღვრება „გენიის“ შესახებ ამოდის იმ განსხვავებიდან, რომელიც არსებობს თეორიული მოღვაწეობასა და მხატვრული შემოქმედების უნარს შორის. გენიის ქმნილება მიუწვდომელია რაციონალური ახსნისათვის. ის არ მისდევს ბუნების წესებს, არამედ თვითონ ქმნის წესებს, რომლებიც ხდებიან ესთეტიკური ნორმები.

ხელოვანმა უნდა მიპაძოს არა ბუნებას, არამედ ხელოვნების ნიმუშებს, რომელიც შექმნა „გენიამ“, ხოლო გენიოსი ქმნის „კანონზომიერებას, კანონების გარეშე.“ ამიტომ ხელოვნების ქმნილება იმდენად უნიკალურია, რომ შეუძლებელია მისი მიბაძვა. „გენიის“ ქმნილება მისაბაძი ნიმუში კი არ არის, არამედ მხოლოდ იმპულსია სხვა „გენიის“ სხვაგვარი ორიგინალობისათვის. რამდენადაც გენია ბუნებრივი ნიჭია, ამდენად იგი, დაკავშირებულია ბუნების კანონებთან; ხოლო რამდენადაც გამოვლენილია განუმეორებელი მხატვრულ შემოქმედებაში – თავისუფლებაა.

## § 2. ფენომენოლოგიური ესთეტიკა

კანტმა სათავე დაუდო ესთეტიკურის ღირებულებით გაგებას. ესთეტიკის ამოცანა ხდება ღირებულებათა ესთეტიკური სფეროს ანალიზი. აზრი ეძიებს ესთეტიკური ღირებულების სათავეს, წყაროს. ამ საკითხზე დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ზოგ მკვლევარს, ხელოვნება მიაჩნია პიროვნების შინაგანი პოტენციების გაშლად. ღირებულების წყაროდ ცხადდება გენიოსი და მისი წარმოსახვის ძალის თავისუფალი თამაშით შექმნილი შედევრი.

ზოგი იმ აზრისაა, რომ პიროვნება თვითონ კი არ არის ესთეტიკური ღირებულების წყარო, არამედ ის, რისი მიხედვითაც იზომება ნაწარმოებიცა და ესთეტიკური გემოვნებაც. ესთეტიკური ღირებულებების იდეალური სამყარო ვლინდება მხატვრულ ნაწარმოებებში, ხოლო ხელოვანი და ესთეტიკური გემოვნების მქონე ადამიანი არის შუამავალი ღირებულებათა იდეალურ სამყაროსა და ამქეუყნიურ რეალურ სამყარის შორის.

ღირებულება არ არსებობს, მაგრამ მნიშვნელობს – ასეთი ფორმულა ჩამოაყალიბეს ჰერმან ლოტცემ და ჰაინრიხ რიკერტმა. ესთეტიკური ღირებულება არის მავალდებულებელი აბსოლუტური მნიშვნელობა. ის რაც უნდა იყოს – ჯერარსი (გერმ. Sollen).

მაქს შელერი ღირებულების გაგების ორ შესაძლებლობას განიხილავს. ერთია იდეის ყოვლადძლიერების თეორია, რომელიც უზენაეს ღირებულებებს მიაწერს საკუთარი თავის რეალიზაციის უნარს. რაც უფრო მაღალია ღირებულებითი ფორმა, მით უფრო ძლევამოსილია. ღირებულებათა წყაროა ძლევამოსილი ღმერთი. კლასიკური სახით ეს თვალსაზრისი გადმოცემულია ჰეგელის სისტემაში.

მეორე თვალსაზრისა შელერი ღირებულებათა „უარყოფით თეორიას“ უწოდებს. ამ თეორიის მიხედვით, ესთეტიკური ღირებულება, ესთეტიკური გემოვნება და ხელოვნების ქმნილება სიცოცხლის ლტოლვების შეკავების, მათი აკრძალვის, „ტაპუს“, ასკეზის შედეგად წარმოიშობა. ხელოვნების ქმნილებები არიან არაცნობიერი ლტოლვების გარდაქმნილი და სახეცვლილი პროდუქტები. ფანტაზია და წარმოსახვის ძალა იმიტომ ქმნის ესთეტიკურ სამყაროს, რომ აკრძალულ ლტოლვებს მისცეს გასაქანი. ამ თეორიის ნიმუშია ზიგმუნდ ფროიდის თეორია არაცნობიერი ფსიქიკური ენერგიების შესახებ.

თვით შელერი ამ თეორიებს არ იზიარებს. შელერის მიხედვით ღირებულებას არ შეიძლება ჰქონდეს თავისი განხორციელების ძალა, რადგან ღირებულება იმდენად არის ღირებულება რამდენადაც სხვისთვის არის მავალდებულებელი. ასეთი „სხვა“ არის ადამიანი. ადამიანის მიერ ხორც-შესხმული ღირებულება ხდება კულტურის საუნჯე. ხელოვნება სწორედ ასეთი საუნჯეა. ესთეტიკური ღირებულების სპეციფიკა არის ზეგრძნობა-დის გრძნობადში გამოცხადება, გამოხატულება, გამომეტყველება.

მაგალითად, ვენერას ქანდაკებები შექმნილნი ანტიკური ეპოქის, რენე-სანსისა თუ თანამედროვე ოსტატების მიერ, წარმოადგენენ ქალის გრძნობად-სხეულებრივ ფორმებში გამოვლენილ-გამოსახულ აბსოლუტურ ესთეტიკურ ღირებულებებს.

ამგვარი „გამოვლენის“, როგორც ესთეტიკური ღირებულების, თავისებურება ფენომენოლოგიური მეთოდის გამოყენებით გამოიკვლიეს ნიკოლა ჰარტმანმა და რომან ინგარდენმა. ფენომენოლოგის ძირითადი იდეაა ინტენციონალობა, ანუ ცნობიერებისა და საგნის არსის შინაგანი შემოქმედებითი მიმართება. ესთეტიკური მიმართება მყარდება ესთეტიკური საგნისა და ესთეტიკური ცნობიერების შინაგანი სტრუქტურული თანხვედრის საფუძველზე.

მხატვრული ნაწარმოები აგებულია შრიულ სტრუქტურაზე. ძირითადად იგი ორი შრის, ორი პლანისგან შესდგება. „წინა პლანი“ გარკვეული სახით გაფორმებული გრძნობად-რეალური საგანია, მასში გამოვლენილია „მეორე პლანი“ – ირეალურ-ნარმოსახვითი შინაარსი.

ჰარტმანმა და ინგარდენმა მხატვრული სახის სტრუქტურაში გამოყვეს გრძნობად და ზეგრძნობად შრეებს შორის გარდამავალი, შუალედური შრეები და პლასტიკები. ინდივიდუალური, ერთეული, ტიპური – ყველაფერი ის, რაც ნაწარმოებში არც უშუალოდ გრძნობადია და არც წმინდა იდეის-მიერი. ეს არსებითი შუალედური ფენები გამორჩენილია ჰეგელის ესთეტიკაში.

ესთეტიკურ საგანს აქვს იდეალურ-რეალური, ორმაგი ყოფიერება. პირველადი, გრძნობადი პლანი აღიქმება გრძნობადი ჭვრეტით. მეორადი, შინაგანი ჭვრეტა კი მიმართულია იმაზე, რაც მხოლოდ სუბიექტისათვის არსებობს და რაც ვლინდება მხოლოდ გრძნობად პლანში და მხოლოდ მისი მეშვეობით. ამგვარი გამოვლენის დინამიკა ესთეტიკური ინტენციონალობის. ესთეტიკური ცნობიერების ინტენციური სიცოცხლის შინაგანი წყაროა. მისი მეშვეობით ესთეტიკური ჭვრეტის ეს ორი საფეხური მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

ესთეტიკურ მიმართებაში ხორციელდება ესთეტიკური ღირებულების ობიექტივაცია, განხორციელება ხელოვნების ისტორიულ რეალობაში. ნაწარმოების და მისი მჭვრეტელი ცნობიერების წინა და უკანა პლანებს შორის კავშირი არც პირობითია და არც გარეგანპირობებული. ამ კავშირის მამოძრავებელია წმინდა შინაგანი მიზანშეწონილება. ყოველი ესთეტიკური აქტი ავტონომიური მიკროკოსმოსია. მას არ სჭირდება გარეგანი მიმართებების კონტექსტში ჩართვა. მისი შინაარსი უშუალოდ იხსნება ჭვრეტის ინტენციონალურ აქტში.

როგორც კი მჭვრეტელი ცნობიერების სინათლე დააშუქებს ნაწარმოების წინა-გრძნობად პლანს, ხდება ესთეტიკური აქტის კრეაცია (ქმნადობა) – ამოძრავდებიან „უკანა პლანის“ ფენები და მათი წვდომის აქტშივე აღესრულება ესთეტიკური ღირებულების საიდუმლო.

### § 3. ხელოვნების სემიოტიკა

ადამიანური ცხოვრება გამოთქვამს საკუთარ თავს არა მარტო ადამიანის ქცევაში და შემოქმედებაში, არამედ ამ შემოქმედების პროდუქტებშიც, ე.წ. კულტურის საგნებში.

ადამიანური ცხოვრების გამოთქმის განსაკუთრებული შემთხვევაა ენა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანი უნებურად კი არ გვაძლევს ცნობას საკუთარი თავის შესახებ გარკვეული ქცევითა თუ შენაქმნით, არამედ მას სურს მიზანმიმართულად გამოხატოს საკუთარი აზრები, გრძნობები, განწყობები. ხელოვანის ნაწარმოებიც ენის სრულიად სპეციფიკურ, თავისებურ სახეს წარმოადგენს. იგი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, თავისებური ფორმით გამოხატავს, გამოთქვამს რაღაცას სინამდვილის შესახებ. ამიტომ ნაწარმოების გაგება ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რას ლაპარაკობს, რას გვეუბნება იგი.

ხელოვნება არა მარტო სინამდვილის ასახვა და შეფასებაა, არამედ ადამიანთა ურთიერთობის, კომუნიკაციის საშუალებაცაა – აზრებისა და გრძნობების გამოთქმა-გამოსახვის, ექსპრესიის თავისებური ფორმაა. იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც თავისებური ენა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებსა და გრძნობებს, ცოდნასა და ლირებულებებს. ხელოვნებაში ეს აზრები, გრძნობები და ლირებულებები მხატვრულ სახეთა და მათ სისტემათა მეშვეობით არის გამოთქმული. ხელოვნების გამომსახველი საშუალებანი გარკვეულ მნიშვნელობათა მატარებლად, ნიშნებად გვევლინებიან. ამიტომ შეიძლება ხელოვნება განვიხილოთ, როგორც თავისებური ნიშანთა სისტემა.

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში სემიოტიკური კვლევის მეთოდები ფართოდაა დანერგილი. პრობლემების სემიოტიკურ ჭრილში დანახვისა და გადაჭრის ტენდენციებმა მყარად დაიმკვიდრა ერთ-ერთი წამყვანი ადგილი როგორც ესთეტიკურ, ისე ხელოვნებათმცოდნეობით მეცნიერებებშიც.

რას გულისხმობს ზოგადად სემიოტიკური მიღვომა ხელოვნებისადმი? ამის შესახებ სემიოტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჩარლზ ოგდენი ფიქრობს, რომ ხელოვნებაზე მეცნიერული მსჯელობის საუკეთესო საშუალებაა იმ ტერმინებისა და მეტაფორების გამოყენება, რომელსაც ენის კვლევისას ვიყენებთ.

თანამედროვე სემიოტიკის უმრავლეს წარმომადგენელთათვის ხელოვნება ერთი რომელიმე ასპექტით კი არ არის ენობრივი სისტემა, არამედ იგი მთელი თავისი არსებით წარმოადგენს ენას, ნიშნობრივ სისტემას. სწორედ ამის გამოა, მათი აზრით, ხელოვნება ნიშანთა თეორიის კვლევის ობიექტი.

ემოტივისტურ სემიოტიკაში ხელოვნების ძირითადად ორგვარი ინტერპრეტაცია გვხვდება: კოგნიტივისტური და ემოტივისტური. კოგნი-

ტივისტები (პირსი, მორისი, კაპლანი) ნიშნის კვლევისას მის შემეცნებით მხარეს წარმოსწევენ წინა პლანზე. კოგნიტივისტების ძირითადი დებულებაა – ნიშნობრივი პროცესი არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს მიმართება ნიშანსა და აღნიშნულ ობიექტებს შორის.

ჩარლზ პირსის კონცეპციის ამოსავალია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელოვნების ნაწარმოები ნიშანია. ყოველი მხატვრული სახე წარმოადგენს ნიშანს, რომელიც ხელოვანის იდეებს გვამცნობს. ხელოვნების უნივერსალური ნიშანი, პირსის აზრით, გამოსახულებაა, ხატია (icon). იგი შესაძლოა იყოს, როგორც გრძნობად-აღქმადი სახე (image), ასევე აზრობრივი, იდეალურიც (mental icon). ხატი ახდენს აღსანიშნი ობიექტის ფორმის რეპრეზენტაციას. რადგანადაც პირსისათვის იდეების კომუნიკაცია, მხოლოდ ხატების ლოგიკურად ურთიერთშეთანხმებულ გამოყენებაზე დაფუძნებული და ყოველი მოვლენის არსი მათემატიკურ ფორმაზე დაიყვანება, ცხადია, ხელოვნების საფუძველშიც მათემატიკური ფორმა უნდა იყოს, რომელიც ლოგიკურ ფორმაში ვლინდება. ხელოვნების ნაწარმოები პირსისათვის ლოგიკური სისტემაა. მასში თავიდანვეა მოცემული წანამძღვრები და დასკვნების გამოყვანის წესები. ოღონდ ეს ლოგიკური სისტემა გამოვლენილი და გამოსახულია მხატვრული სახეებით, ხატებით, რომელთა სპეციფიკას პირსი ხედავს მათ ექსპრესიულობაში. ნიშან-ხატის (ფილოსოფოსი ხმარობს ტერმინს „icon“) განმასხვავებელი ისაა, რომ „მისი უშაულო ჭვრეტისას შეიძლება წარმოჩნდეს, გაიხსნას მისი ობიექტისათვის დამახასიათებელი სხვა ჭეშმარიტებებიც, რომელიც მანამდე არ ჩანდნენ, დაფარულნი იყვნენ.“

ამდენად პირსისათვის ხატი ახალი ჭეშმარიტების აღმოჩენის საშუალებაა, შემეცნების იარაღია. ხატოვანი ნიშანი, პირსის მიხედვით, შეიძლება გამოსახავდეს არა მარტო ჭეშმარიტებას, არამედ მორალურ ღირებულებებსაც, მაგალითად, სიმართლეს, მაგრამ მორალური ღირებულების მიმართაც ხატი მისი შემეცნების, გაგების საშუალება იქნება და არა მისი უშაულო გამოვლენა-განხორციელება. ხატს შეიძლება ჰქონდეს მორალური ღირებულებების შემეცნების, გაგების ღირებულება – და არა საკუთრივ მორალური ღირებულება. ხატის ექსპრესიულობაც, პირსის აზრით, ღირებულია არა თავისთავად, არამედ იმდენად, რამდენადაც ეს ექსპრესიულობა, როგორც უკვე ითქვა, საშუალებაა დაფარულ ჭეშმარიტებათა წვდომისა, შემეცნებისა. ამაშია პირსის თვალსაზრისის კოგნიტივიზმი.

კოგნიტივიზმის ძირითადი დებულებები ასახვას პოულობენ ცნობილი ამერიკელი ესთეტიკოსის ჩარლზ მორისის ნაშრომებში. მორისისათვის მთელი ადამიანური ცივილიზაცია, გონება და ა.შ. განუყრელადაა დაკავშირებული ნიშანთა ხმარებასთან. და რადგანაც ხელოვნება ადამიანური საქმიანობის ერთ-ერთი სახეა, მისი შესწავლა უნდა მოხდეს გამონათქვამთა ნიშნობრივი გამოსახულებების ფორმების შესწავლის გზით.

მორისი ასხვავებს სამგვარ ნიშანს: დესიგნატორულს, პრესკრიპტულს

და შეფასებითს. ნიშნის პირველი სახის ფუნქციაა აღსანიშნი ობიექტის რეპრეზენტაცია, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, მის შესახებ გარკვეული ცოდნის ფიქსირება ნიშნის მომხმარებელი სუბიექტის ცნობირებაში, მეორისა – სუბიექტის მიმართვა გარკვეული მოქმედებისაკენ. მესამისა – აღსანიშნის ღირებულების გამოთქმა. ამისდა შესაბამისად, მორისი გამოყოფს ნიშანთა ხმარების სამ პირველად ფორმას: მეცნიერულს, ტექნოლოგიურსა და ესთეტიკურს. მეცნიერული გამონათქვამი საშუალებას აძლევს ადამიანს, ზუსტად გაერკვეს უშუალო ცდაში მოცემულ მოვლენებში. ნიშანთა ტექნოლოგიურ გამონათქვამში იგულისხმება გეგმის დასახვა მოქმედებისათვის, თუმცა სიტუაციაში გარკვევისა და მოქმედების მოთხოვნილებებიც არსებობს. „როგორც გარკვეული მოთხოვნილებებისა და მათთან დაკავშირებული ღირებულებების მქონე არსებები, ისინი დაინტერესებული არან იმით, რომ ასახონ ის, რაც მათვის ღირებულია. გადმოცემის ესთეტიკური ფორმა ამ მოთხოვნას შეესაბამება“.

გამონათქვამთა ესთეტიკური ფორმის ქვეშ მორისი გულისხმობს განსაკუთრებულ, სპეციალიზებულ ენას ხელოვნების ნაწარმოებისა, რომლის მეშვეობითაც ხდება ღირებულებების როგორც უშუალო, ისე გაშუალებული შემეცნება და გამოსახვა. მხატვრული სახე, მორისის აზრით, შეფასებითი, ღირებულების გამომთქმელი ნიშანია. მისი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მას გადააქვს შეფასება ცდაში ერთხელ უკვე მოცემული ობიექტიდან სრულიად უცნობ ობიექტებზე. ხელოვნებაში ჭარბობს მნიშვნელობის შეფასებითი მოდუსი, მართალია, აქ სხვა ტიპის მოდუსებიც მონაწილეობენ, მაგრამ მათი წილი მეტად უმნიშვნელოა.

მორისი, მართალია, განასხვავებს დესიგნატურ და შეფასებით ნიშნებს, აგრეთვე ნიშათა ხმარების მეცნიერულსა და ესთეტიკურ ფორმებს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ხელოვნებაში წამყვანი ადგილი მნიშვნელობის შეფასებით მოდუსს უკავია.

მორისს მხატვრული სახის ფუნქცია მისი ღირებულების შემეცნებაზე და უცნობ ობიექტზე ნაცნობი ობიექტის შეფასების გადატანაზე დაჰყავს, მისი თვალსაზრისი კოგნიტივიზმის ფარგლებს ვერ სცდება.

ძნელი დასანახი არ არის, რომ კოგნიტივისტები არსებითად უგულებელყოფენ ემოციათა როლს მხატვრული სახის შექმნაში. მათგან განსხვავებით, ემოტივისტები უყურადღებოდ ტოვებენ ნიშნის დესიგნატურ მხარეს და ამით მეორე უკიდურესობაში ვარდებიან.

ესთეტიკაში სემიოტიკური მეთოდების მიყენება ნაყოფიერი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ მკაცრად შემოიფარგლება ამ მიყენების სფერო, თუ ამ მეთოდებით ჩვენ შევეცდებით იმ მხარის, იმ ასპექტის აღწერას და დახასიათებას, რომელიც მას ენასთან აახლოვებს.

### **მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ**

- განიხილეთ თეზისი: “გემოვნებაზე არ დავობენ“. რა განსხვავებაა კულინარიულ გემოვნებასა და ესთეტიკურ გემოვნებას შორის?
- შეადარეთ ორი მსჯელობა:
  1. ვარდი ლამაზია.
  2.  $2 \times 2 = 4$

## თავი 3

# მხატვრული ტექსტის ჰერმენევტიკა

### §1. მხატვრული ტექსტის რეკონსტრუქცია და ინტეგრაცია

ფილოსოფიის მეთოდებიდან ვიცით, რომ ტექსტების გაგების ხელოვნება (მეთოდი და ტექნიკა), არის ჰერმენევტიკა. ტერმინი უკავშირდება „ჰერმესს“, რომელიც ბრძნული მითის მიხედვით იყო ღმერთთა და ადამიანთა შორის ამბების მაცნე, შუამავალი, მედიუმი. ჰერმესს რთული ამოცანა ჰქონდა დაკისრებული. ოლიმპოს მთაზე მცხოვრები ღმერთები მას „უკვდავთა ენაზე“ აუწყებდნენ თავიანთ ნებას, ჰერმესს „მოკვდავთა ენაზე“ უნდა ეთარგმნა იგი და ისე ჩამოეტანა ბარში მცხოვრები ადამიანებისათვის. ტექსტი არის საზრისული ფენომენი. ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგანი ტენდენციის ძალით, საჭიროებს საზრისის რეალიზაციის სხვაში – ანუ მის გაგებას. ჰერმენევტიკის ამოცანაა ერთმანეთისაგან გაუცხოებული ეპოქების, პიროვნებების, ქმნილებების, ერთმანეთთან დაკავშირება ანუ გაგება. ამდენად, ის ერთდროულად არის გაგების მეთოდიც და გამოცდილებაც.

XIX საუკუნემდე ჰერმენევტიკას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიური, იურიდიული და მხატვრული ტექსტების განმარტებისა და ინტერპრეტაციისათვის. ჰერმენევტიკოსებმა გამოიმუშავეს მრავალი ხერხი, რომლითაც ხდებოდა ტექსტების სპეციალური ენობრივი კოდების დაშივრა – ამოცნობა. ანტიკურ ხანაში მას იყენებდნენ პოეზიის და სამისნოების ენის განსამარტავად. შუა საუკუნეების და ალორძინების თეოლოგიაში ბიბლიის ენისა და სიმბოლოების განმარტებისათვის. ახალი ეპოქიდან იურისპრუდენციაში კონსტიტუციებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების განსამარტავად.

XIX საუკუნეში ჰერმანევტიკა ჰუმანიტარული და გონისმეცნიერებათა (გერ. Geistwissenschaft) საფუძვლად მოგვევლინა. არა მარტო ხელოვნება, არამედ სამართალი, რელიგია, ფილოსოფია, კულტურის ყველა სფერო – ჰერმენევტული მეთოდის გამოყენების არენად გადაიქცა.

როგორ განვსაზღვროთ ჰერმენევტიკის ამოცანა ხელოვნებასთან მიმართებაში? ჰერმენევტიკული მეთოდის ამოცანა იმის განმარტებაა, რომ ხელოვნების ნაწარმოები არასოდეს არ ხდება წარსული, მას გააჩნია თავისი საზრისული აწმყო და შეუძლია გადალახოს დროითი დისტანცია. ის არ შეიძლება იყოს ისტორიული შემეცნების საგანი.

ჰეგელისა და შლაიერმახერის (1768-1834) თეორიების სახით, ჰანს გეორგ გადამერმა (1900-1904) განიხილა ამ კითხვაზე პასუხის გაცემის

ორი შესაძლო ექსტრემალური ვარიანტი.

პირველი ვარიანტის მიხედვით, ესთეტიკაში ჰერმენევტიკის გამოყენება მიზნად ისახავს მხატვრული სინამდვილის რესტავრაციას. ხოლო მეორე ვარიანტის მიხედვით – ინტეგრაციას.

შლაიერმახერის მიხედვით, მთავარია ხელოვნების ქმნილების აღდგენა, რესტავრაცია მის პირველად მიმართებებსა და დანიშნულებაში. ხელოვნების ნაწარმოები, არის არა ესთეტიკური განცდის ზედაპირული, დროის გარეშე მყოფი საგანი, არამედ იმ სამყაროს კუთვნილება, რომელშიც ის წარმოიშვა. ის სამყარო სრულიად განსაზღვრავს მის ნამდვილ მნიშვნელობას. ხელოვნების ქმნილების გაგებაში უნდა ამოვიდეთ იმ სამყაროს კონტექსტიდან. სპეციალური ჰერმენევტიკული ოპერაციების საშუალებით უნდა მოხდეს აღდგენა (რესტავრაცია) იმ სამყაროსი, რომლის კუთვნილებაცაა ქმნილება. ამით აღდგება ქმნილების შინაგანი საზრისი, მოხდება პირველადი ესთეტიკური მიმართებების კვლავდაბრუნება. ეს დაიცავს ხელოვნების ქმნილებას ყალბი გაგებისაგან და თვითნებური განმარტებისაგან. ასეთია შლაიერმახერის ესთეტიკის ძირითადი იდეა და მთელი მისი ჰერმენევტიკული კონცეფციის დედააზრი.

ესთეტიკური გაგების მეორე კონცეფცია, ხელოვნების ქმნილების არსებითი რესტავრაციის შეუძლებლობის მკაფიო ცნობიერებაზეა აგებული. როგორც გვახსოვს, ჰეგელმა მიუთითა ანტიკური სამყაროს და მისი „ესთეტიკური რელიგიის“ სიკვდილზე. ანტიკური ხელოვნების ქმნილებები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, შეიძლება შევადაროთ ოდესლაც აყვავებული და ან უკვე გამხმარი ხიდან მოწყვეტილ ნაყოფს, რომელიც გამოდგება არა იმისათვის, რომ იგემო და განიცადო, არამედ იმისათვის, რომ მოიგონო და წარმოიდგინო სამუდამოდ დაკარგული მშვენიერება.

ჰეგელის მიხედვით, ხელოვნების ისტორიული განვითარება, მისი სიმბოლური, კლასიკური და რომანტიკული საფეხურები არიან მშვენიერების იდეის თვითცნობიერებამდე ამაღლების საფეხურები. მშვენიერების იდეის სრულყოფა ხდება მისი უკანასკნელი საფეხურის მიღმა, აბსოლუტური გონის მხოლოდ ფილოსოფიურ საფეხურზე, „ხელოვნების ჭეშმარიტი საზრისის, „ხელოვნების სისტემის“ თვითცნობიერება ხორციელდება არა თვით ხელოვნებაში, არამედ ხელოვნების ფილოსოფიაში.

ჰეგელმა ერთმანეთს არსებითად დაუკავშირა ისტორიული და ესთეტიკური ცნობიერება, ოღონდ ხელოვნების ისტორიული არსება მდგომარეობს, არა წარსულის აღდგენაში, არამედ აზრობრივი გაშუალების გზით, თვითცნობიერების აქტით, მის ჩართვაში, ასიმილაციაში, ინტეგრაციაში, სრულიად სხვა ცოცხალ რეალობაში.

ამით ჰეგელმა დაადგინა თვითცნობიერების სტრუქტურული კავშირი სიცოცხლის ცნებასთან. ამ ფუნდამენტურ ფაქტზე იქნა აგებული ხელოვნების ჰერმენევტიკა და ფენომენოლოგია.

## § 2. ესთეტიკური როგორც ჰერმენევტიკული წრე

თითოეული ესთეტიკური ტექსტი არის თავისებური ენა. მისი გაგება არის ამ ენის ხელახალი კონსტრუირება, ანუ ალაპარაკება ამ ენაზე. ამიტომ გაგება არის წრეში მოძრაობა. ჰერმენევტიკა არის წრეში მოძრაობის ხელოვნება. ქმნილება შეიცავს გაგების უსასრულო შესაძლებლობებს. გაგების წრეც უსასრულოა. ამგვარად უნდა იქნეს გაგებული ის, რასაც ფ. ნიცშემ „მარადიული კვლავდაპრუნება“ უწოდა. თითოეული გაგება არის კონგენიალობა – სრულყოფილი თანაშემოქმედება. ამ აზრით, „ხელოვნების ქმნილების გაგება ნიშნავს მის შექმნას“. თვით ამ გაგების აქტებში პირველად გამოაშუქებენ უზენაესი ესთეტიკური ლირებულებები. ამდენად, ჰერმენევტიკული წრე არის ესთეტიკურის ყოფიერებითი სტრუქტურა.

ესთეტიკურ გაგებაში გამგები და გასაგები ურთიერთმიკუთვნილები არიან იმ სახით, რომ წარმოშობენ მესამე ფენომენს – მხატვრული საზრისის სიცოცხლეს. ამიტომ, გადამერის მიხედვით, არ შეიძლება არსებობდეს მხატვრული ტექსტის რაიმე „პირველადი გაგება“, რომლის რესტავრაცია მიზნად უნდა გაიხადოს „სხვა გაგებამ“. ისეთივე აბსურდია ქმნილების რეპროდუქციის ნებისმიერი ცდა მისი ასლის მიხედვით. აღდგენილი, დაბრუნებული, გამეორებული სიცოცხლე, არ არის პირველადი სიცოცხლის იგივეობრივი. მუზეუმებიდან და გამოფენებიდანაც რომ დავაბრუნოთ ექსპონატები ეგვიპტეში, საბერძნეთში და კვლავ იქ დავდგათ, საიდანაც იქნენ მუზეუმებში და გამოფენებში გადატანილი, მანიც ვერ აღვადგენთ მათ პირველად მხატვრულ სამყაროებს. ის, რაც ისტორიულად წარსული სამყაროს სახით მოსცილდა ხელოვნების ქმნილებას გაუუცხოვდა კიდეც მას. ამდენად, მისი ხელახალი შობა დამოკიდებულია „შუამავალ გონზე“ – მის გამგებ მედიუმზე, თვით ტექსტის თვითცნობიერებაზე მისი გამგების ცნობიერებაში. ჰერმენევტიკა არის არა ხელოვნების ქმნილების რეპროდუქცია ესთეტიკურ ცნობიერებაში, არამედ მისი ინტეგრაცია. თვით ქმნილების საზრისის გაუცხოების მოხსნა, მისი დაბრუნება ახალ მშობლიურ სავანეში. „ტექსტის საზრისი ყოველთვის მეტია ტექსტის ავტორზე“. ამის საფუძვლზე იგი ღია „სხვა გაგების“ შესაძლებლობისათვის.

„გაგება – ამბობს გადამერი – სხვა არა ფერია, თუ არა ერთი შეხედვით თავის თავში ჩაკეტილი ისტორიული ჰორიზონტების ურთიერთშერწყმის პროცესი ხელოვნების ისტორიაში. ამგვარი „შერწყმის აქტები“ ქმნის ერთ, შინაგანად მოძრავ უნივერსალურ ჰორიზონტს. „სინამდვილეში არსებობს ერთადერთი ჰორიზონტი, რომელიც მოიცავს ჩვენი ცნობიერების მთელ სილრმეს“. ამდენად, გაგების გზით მხატვრული ტექსტი შედის „გადმოცემის მთელში... რომელშიც იგი თვითგაგებას ეძიებს“.

### § 3. ესთეტიკური კატეგორიები

უხსოვარი დროიდან არის ცნობილი, რომ ესთეტიკური საგნები ერთ-მანეთისაგან განსხვავდებიან. შემოდგომის მშვიდი პეიზაჟი სხვა შთაბეჭ-დილებას ახდენს, ვიდრე აბობოქრებული ზღვის პეიზაჟი; სხვა განცდებს აღძრავს ტრაგიკული სერიოზულობა და კომედიის მსუბუქი მხიარულება. მათი სხვადასხვაობა საფუძვლად უდევს ესთეტიკურის გამოვლენის ძირითად სახეებს. მათ ესთეტიკურ კატეგორიებს უწოდებენ. ისინი ერთიანდებიან „ესთეტიკურის“ ცნებაში. ეს არის მშვენიერება ფართო აზრით. მშვენიერება უმაღლესი ესთეტიკური ღირებულებაა. მშვენიერებას უპირისპირდება მახიჯი. მშვენიერების ობიექტურ საფუძვლად ითვლება ჰარმონია, სიმეტრია და პროპორცია. მათ მშვენიერების ფორმალურ კანონებსაც უწოდებენ.

ესთეტიკურის გამოვლენის მოდიფიკაციებია: მშვენიერი, ამაღლებული, ტრაგიკული, კომიკური. მათ ორ ძირითად ჯგუფად ყოფილია: 1. ესთეტიკურის უკონფლიქტო მოდიფიკაცია, როდესაც გამოსახული შინაარსი პირდაპირ შეესაბამება ფორმის პრინციპებს. აქ ესთეტიკური ერთიანობა უშუალოდ სახეზეა შინაგანი ბრძოლისა და კოლიზის გარეშე. ეს არის ის, რასაც ეწოდება „მშვენიერება ვიწრო აზრით“. 2. ესთეტიკურის კონფლიქტურ მოდიფიკაციაში ადგილი აქვს შინაგან კოლიზიას, ბრძოლას. აქ ერთიანობა მიიღწევა შინაგანი კოლიზის, კონფლიქტის გადალახვით.

მშვენიერების შემთხვევაში ფორმა სრულად ავლენს შინაგანი სიცოცხლის თავისთავად სრულყოფილებას. მშვენიერებაში სიცოცხლე ჰარმონიულია და ჰარმონია არის სიცოცხლე. მაგალითად, ე. ჰემინგუეიმ მოთხობაში „მოხუცი და ზღვა“ გამოხატა ადამიანი, რომელიც თავისი წმინდა და უბრალო ბუნების გამო ჰარმონიაშია სიცოცხლის პირველად რიტმთან. ხელოვნების ამ ქმნილებაში ვლინდება სამყაროს შინაგანი ერთიანობა და მშვენიერება, რამდენადაც იგი მისაწვდომია ადამიანისათვის. ადამიანური ყოფიერების არსებითი სტრუქტურები მასში სწორედ ამ სახით ვლინდებიან.

ესთეტიკური კატეგორიები ამჟღავნებენ საპირისპირო მისწრაფებათა ისეთივე კონფლიქტს, როგორც ადამიანის არსებაა. ეს არ არის მხოლოდ გარეგანი მსგავსება. კონფლიქტის საფუძველია ერთი და იგივე ძირებითი მოცემულობა – ადამიანის ყოფიერების ორმაგი სტრუქტურა. ადამიანი არის მოკვდავი, დროული არსება, რომელიც თავის თავში შეიცავს უკვდავებაში გამავალ ტენდენციას. ამდენად ადამიანის ყოფნის წესი შეიცავს დრამატულ კოლიზიას, მისი ბედი გამუდმებით მერყეობს ამ ორ პოლუსს შორის. ესთეტიკურ კატეგორიებში ეს სტრუქტურული ელემენტები მთლიან დრამას ქმნიან. დრამა, არისტოტელეს მიხედვით, ერთი მთლიანი სამოქმედო პროცესია. ერთერთი ელემენტის მარცხის გზით გაშლილი დრამატული კოლიზია ამაღლებულის, ტრაგიკულის ან კომიკურის ფენომენებით

ვლინდება. კოლიზიის დისპარმონიული ფორმით გაშლა გვაძლევს ამაღლებულს. ბუნების გრანდიოზული სტიქიის წინაშე ადამიანური წარმოსახვის ძალა დაინახავს თავის უძლურებას. ეს არის საკუთარი თავის ტოტალურ უსასრულობში გაშლის შეუძლებლობა. წარუმატებლობის, მარცხის მიუხედავად, ადამიანს შეუძლია ეზიაროს შინაგანი წინააღმდეგობების გარეშე მოცემულ უსასრულობას. ამაღლებულის გრძნობა პირველ სტადიაში უსიამოვნო, შიშის გრძნობის სახით გვეძლევა. მაგრამ შემდეგ გადადის სასიამოვნოში. ძალთა არათანაზომიერება, რომელშიც დისპარმონია განიცდებოდა, ჰარმონიად იქცა და ესთეტიკური ტკბობის საფუძველი გახდა. ამაღლებულის დინამიკა წანამძღვრების სახით გულისხმობს გრანდიოზული ძალის მხრივ საფრთხესაც და მისგან უსაფრთხოების გარანტიასაც. წმინდა ჭვრეტამ უნდა მოახდინოს საფრთხის წამდვილობისგან დისტანცირება. მაგრამ საფრთხის მოჩვენებითობა ამაღლებულის, როგორც ესთეტიკური ფენომენის რეალობას უწყობს ხელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამაღლებული, ბუნების მოვლენების თვისება კი არ არის, არამედ ეს კატეგორია, პირდაპირი მნიშვნელობით, შეიძლება მხოლოდ ჩვენი სულიერი ძალების მიმართ იქნეს გამოყენებული.

ტრაგიკულის კატეგორიის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი წინა პარაგრაფში. ტრაგედიას არისტოტელე ხელოვნების უმაღლეს გამოვლინებად თვლიდა. არისტოტელეს „პოეტიკაში“ ტრაგედიის არსი გააზრებულია „მიბაძვის“ (ბერძ. Μίμησις -მიმეზისი) და განწმენდის (ბერძ. Κάθαρσις -კათარზისის) ცნებებით. დაპირისპირებულ ტენდენციათა კონფლიქტში ერთერთის მარცხი ტრაგიკული და კომიკური ფენომენების წარმოშობის საფუძველი ხდება. ტრაგიკულთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ანტაგონისტურად დაპირისპირდებულ დროითობისა და მარადისობის კონფლიქტში, მარადისობა მარცხდება. ეს ტრაგიკული გმირის (პერსონაჟის) დაღუპვაში ვლინდება. ჰეგელმა აჩვენა, რომ ტრაგიკული კონფლიქტის განვითარება შინაგანი კანონზომიერების, ლოგიკური აუცილებლობის საფუძველზე ხდება. ტრაგიკული გმირის ტრაგიკული ფინალი არის შეცნობილი აუცილებლობა. შოპენჰაუერი, იასპერსი და სხვანი ტრაგიკულ სიტუაციას ადამიანის მეტაფიზიკურ სტრუქტურად მიიჩნევენ.

მარადისობისა და დროითობის კონფლიქტში, დროითის უეცარი მარცხი, რომელიც დამარცხებულის ტანჯვას ან განადგურებას არ შეიცავს არის კომედიის არსებითი ნიშანი. კომედია არის დაძაბული მოლოდინის უეცარი განმუხტვით გამოწვეული აფექტი, რაც სიცილში გამოიხატება. არისტოტელეს კომიკური ესმოდა როგორც იმგვარი კონფლიქტი მშვენიერსა და მახინჯს შორის, რომელშიც ხდება სიმახინჯის მხილება და მარცხი. კომიკური წარმოადგენს გამუღავნებულ შეცდომას, ან სამარცხვინოს მხილებას, რომელსაც არ მოსდევს ტანჯვა და დაღუპვა. კომიკური კოლიზია იმაშია, რომ შემთხვევითი ინდივიდუმი იჩემებს უნივერსალურ იდეას, დგება კაცობრიობის განმათავისუფლებელის პოზაში. მაგრამ უეცრად ხდება მისი პოზის არაადექვატურობისა და სიყალბის გამოაშვარა-

ვება. მაგალითად, ასე ხდება პ.კაკაბაძის კომედიაში „ყვარყვარე თუთა-ბერი“. კომედია ისეთივე ესთეტიკური ღირებულებაა, როგორც ტრაგედია. ტრაგიკული და კომიკური ნიღბები ერთი მედლის ორ მხარედ უნდა წარმოვიდგინოთ.

### **მოირგეთ ფილოსოფოსის როლი, იმსჯელეთ**

- მხატვრული ტექსტის რეკონსტრუქცია
- მხატვრული ტექსტის ინტეგრაცია
- შეადარეთ ერთმანეთს ეს ორი ოპერაცია. ალნიშნეთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

### **შეადარეთ ერთმანეთს ესთეტიკური კატეგორიები**

- მშვენიერი
  - ამაღლებული
  - ტრაგიკული
  - კომიკური
- ალნიშნეთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

## ქრესტომათია

ქრესტომათია (Хրისτომატე) ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს გამოჩენილი მოაზროვნების მცირე ნაწარმოებების ან მათი ნაშრომებიდან ნაწყვეტების კრებულს. ქრესტომათია დალაგებულია სახელმძღვანელოს ძირითადი თავების მიხედვით.

## ნაწილი პირველი – რა არის ფილოსოფია?

### პლატონი

პლატონი (ბერძ: Πλάτων. ძვ.წ. 427 – 347) – ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოსწავლე, არისტოტელეს მასწავლებელი, ფილოსოფიური დიალოგების ავტორი, ათენის აკადემიის დამფუძნებელი. მისი ძირითადი დიალოგებია: ფედონი, ნადიმი, სახელმწიფო, ტიმაიოსი, პარმენიდე, სოფისტე.

### ფ ე ლ ო ნ ი

#### IX

როგორც ჩანს, კაცთათვის შეუმჩნეველი რჩება, რომ მთელი მისი სიცოცხლე, ვინც უანგაროდ ემსახურება ფილოსოფიას, სხვა არა არის რა, თუ არა სამზადისი კვდომისა და სიკვდილისათვის. და თუ ეს მართალია, რას იტყვი, განა უცნაური არ იქნებოდა ასეთი რამ: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიკვდილის მეტს არა ნატრობდეს კაცი და მერე, როცა სიკვდილი თვითონ მიადგება კარზე, დრტვინვით ხვდებოდეს მას, რასაც ამდენხანს ნატრობდა და ესწრაფვოდა?

სიმიამ გაიცინა და თქვა: – ღმერთმანი, გამაცინე, სოკრატე, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მეცინება? მე მგონია, ბრბოს რომ ესმინა შენი სიტყვები, დაასკვნიდა – მშვენივრად მსჯელობს ფილოსოფოსებზეო. ხოლო რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ ფილოსოფოსნი ესწრაფვიან სიკვდილს, ჩემი თანამოქალაქენი პირდაპირ დაგიკრავდნენ კვერს: ჩვენ ხომ ვიცითო, იტყოდნენ, რომ ისინი ღირსნი არიან სიკვდილისა.

– და მართალსაც იტყოდნენ, ჩემი სიმია, თუ გამოვრიცხავთ იმას, რომ მათ იციან ეს: არა, მათ არ იციან, რატომ ესწრაფვიან ან რატომ იმსახურებენ ჭეშმარიტი ფილოსოფოსნი სიკვდილს. მაგრამ, – დასძინა მან, – თავი ვანებოთ შენს თებელებს და ჩვენი საუბარი განვაგრძოთ ისევ. რას იტყვით, არის თუ არა რამე სიკვდილი?

– რა თქმა უნდა, – მიუგო სიმიამ.

– მაგრამ რა არის იგი, თუ არა სულის გაყრა სხეულისაგან? რას ნიშ-

ნავს იგი, თუ არა ცალ-ცალკე არსებობას ერთიურთს გაყრილი სულის და სხეულის? განა ეს არაა სწორედ სიკვდილი?

– ესაა სწორედ, – თქვა სიმიამ.

– კარგად დაფიქრდი, ჩემო კეთილო, მართლა მეთანხმები თუ არა? რადგან ვფიქრობ, აქედან გამომდინარე უფრო მაღლე მივწვდებით ჩვენი მსჯელობის საგანს. რას იტყვი, განა ფილოსოფოსი ზრუნავს შვებისა და განცხრომისათვის, ვთქვათ, ჭამისათვის, სმისთვის?

– ყველაზე ნაკლებ, ჩემო სოკრატე, – მიუგო მან.

– ვნებათა დაცხრომისათვის?

– არა.

– სხვა ხორციელი სიხარულისთვის? რა ფასი აქვს მის თვალში ასეთ სიხარულს, რა ფასი აქვს ლამაზ ტანსაცმელს, ლამაზ ფეხსაცმელს ან სხვა ძვირფას ტანსამკაულს? როგორ გგონია, ფილოსოფოსი რაიმე მნიშვნელობას ანიჭებს ყოველივე ამას, თუ არად აგდებს და არ იკარებს, ვიდრე აუცილებლობა არ აიძულებს თავისი წილი აიღოს მათგან?

– მე მგონია, ჭეშმარიტი ფილოსოფოსი არად აგდებს ყოველივე ამას,

– მიუგო სიმიამ.

– მაშინ შენ, ალბათ ისიც გგონია, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფოსი სხეულისათვის კი არ იღწვის, პირიქით, შესძლებისამებრ, თავს არიდებს მას და სულისათვის იღწვის მხოლოდ.

– დიახ.

– და, უპირველეს ყოვლისა, სხვებისგანაც ხომ იმით განირჩევა ფილოსოფოსი, რომ სხეულთაგან ურთიერთობისგან ათავისუფლებს სულ?

– როგორც ჩანს.

– უმრავლესობას კი ჰერონია, ჩემო სიმია, რას ვაქნევთო სიცოცხლეს განცხრომისა და შვების გარეშე. ამიტომაა, რომ კაცს, რომელიც არად აგდებს ხორციელ სიხარულს, მათის აზრით, ცალი ფეხი სამარეში უდგას უკვე.

– მართალს ბრძანებ.

## X

– ხოლო ცოდნის მოხვეჭისათვის რაღას იტყვი? გვიშლის თუ არა ხელს სხეული, როცა მას მწედ მოვუხმობთ ცოდნის ძებნისას? აი რა მინდა ვთქვა: ჭეშმარიტია ის, რასაც ჩვენი მზერა გვაწვდის და ჩვენი სმენა, თუ მართალი არიან პოეტები, რომლებიც გამუდმებით ჩაგვჩიჩინებენ: დანამდვილებით ვერას ვხედავთ, ვერას ვისმენთო? ხოლო თუ ამ ორი გრძნობით ვერას ვწვდებით სანდოს და ჭეშმარიტს, ძალზე საეჭვოა სხვა გრძნობებით მივწვდეთ მას, რადგან ისინი პირველ ორზე გაცილებით სუსტნი არიან. თუ შენ არ მეთანხმები?

– გეთანხმები, – მიუგო სიმიამ.

– კი, მაგრამ, როდის სწვდება სული ჭეშმარიტებას? – იკითხა სოკრა-

ტემ, – რადგან, ცხადია, როცა სხეულთან ერთად ეძებს მას, ამ უკანასკნელს შეცდომაში შეჰყავს ყოველთვის.

- მართალს ბრძანებ.
- მაშასადამე, ჭეშმარიტს უპირატესად მაშინ წვდება სული, როცა აზ-როვნებს, არა?
- დიახ.

– ხოლო სული ყველაზე უკეთ აზროვნებს მაშინ, როცა არაფერი ამ-ღვრევს მას, არც სმენა, არც მზერა, არც ტკივილი, არც სიხარული, როცა განიძარცვის და, შეძლებისამებრ, თავისუფლდება სხეულისაგან და თავის თავში ოდენ შთენილი მიიქცევა არსებულის ჭვრეტად.

- აგრეა.
- ამრიგად, აქაც ვხედავთ, რომ ფილოსოფოსის სული არად აგდებს საკუთარ სხეულს, გაურბის მას და ცდილობს საკუთარ თავში მარტო დარჩენას.
- როგორც ჩანს.
- ამის შემდეგ რას ვიტყვით, სიმია? როგორ გგონია, სამართლიანობა წარმოადგენს რამეს თუ არა?
- წარმოადგენს, ვიფიცავ ზევსს.
- მშვენიერებაც, სიკეთეც?
- რა თქმა უნდა.
- კი მაგრამ, საკუთარი თვალით თუ გინახავს ოდესმე რომელიმე მათ-განი?

- არასოდეს, – მიუგო სიმიამ.
- ან გრძნობის სხვა ორგანოთი თუ მისწვდომიხარ მათ? მე ვგულისხ-მობ ყველაფერს – ჯანმრთელობას, სიდიდეს, ძალას, ერთის სიტყვით ყველაფრის არსს, ყველა თავის თავში არსებულ საგანს. განა შეგვიძლია სხეულის შემწეობით მივწვდეთ მათ? მე მონია, პირიქით, თუ ვინმეს შეუ-ძლია მათი მიწვდომა, მიეახლება და მისწვდება ისევ ის, ვინც ყველაზე დიდხანს და დაუინებით ფიქრობს მასზე, რასაც სურს მისწვდეს.

- რა თქმა უნდა.
- ან ვინ მისხვდება მასზე წმინდად და სრულყოფილად, ვინც მხოლოდ გონებით სწვდება თვითეულ საგანს, ისე რომ მზერას ან სხვა გრძნობას არ იშველიებს აზროვნებისას, ვინც მხოლოდ წმინდა აზრით, აზრით თავის თავში, ნადირობს თავის თავში არსებული ყოველი საგნის წმინდა არსზე, რადგან ფუჭ იარაღად მიაჩნია თვალი, ყური, ერთის სიტყვით, მთელი სხეული, რომელიც პირველი შეხებისთანავე ამღვრევს სულს და დაბ-რკოლებად ელობება წინ სიბრძნისა და სიმართლისაკენ მიმავალ გზაზე. და, ვიმეორებ, თუ ერთი ვინმე მაინც მიუახლოვდება ჭეშმარიტებას, ჩემო სიმია, მიუახლოვდება ისიც.

- სრული სიმართლეა, ჩემო სოკრატე, – თქვა მან.

ძვ. ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. 1966 წ. თბილისი.

## **არისტოტელე**

არისტოტელე (პერძ. ორისტოტელიς ძვ.წ. 384-322). დაბადების ადგილის მიხედვით მოიხსენიებენ სტაგირიტის სახელითაც. ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფოსი, ენციკლოპედისტი. პლატონის მოსწავლე, ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი. ათენში პერიპატეტიკური სკოლის-ლიცეუმის (ლიკეიონი) დამაარსებელი. ფილოსოფიური ცოდნის პირველი სისტემატიზატორი. ფორმალური ლოგიკის, მეტაფიზიკის, ეთიკის შემქმნელი.

ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომებია: „მეტაფიზიკა“, „პოლიტიკა“, „პოეტიკა“, „ნიკომაქეს ეთიკა.“

## **მეტაფიზიკა**

### **თავი პირველი**

ბუნებით ყველა ადამიანი შემეცნებისაკენ ისწრაფვის. ამას მოწმობს სიყვარული შეგრძნებებისადმი. ადამიანები ეტანებიან შეგრძნებებს და განსაკუთრებით მხედველობითს შეგრძნებას, მათგან გამომდინარე სარგებლობისაგან დამოუკიდებლად. სხვა შეგრძნებებთან შედარებით მხედველობას ვაძლევთ უპირატესობას არა მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე მოვიმოქმედოთ, არამედ მაშინაც? როდესაც არაფრის გაკეთებას არ ვაპირებთ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ის სხვა შეგრძნებებზე უფრო მეტ ცოდნას გვაძლევს და საგანთა მრავალ თვისებას ცხადყოფს.

ცხოველებს აქვთ ბუნებრივად თანდაყოლილი შეგრძნების უნარი, საიდანაც ზოგს უჩნდება მეხსიერება, ზოგს კი არა. ამიტომ პირველნი უფრო მეტად გონიერნი და ცოდნის უკეთ შემთვისებელნი არიან, ვიდრე მეხსიერების უნარის არმქონენი. გონიერ არსებათ, რომელთაც სმენის შეგრძნება არა აქვთ, არც შესწავლის უნარი აქვთ. მაგალითად, ფუტკრებს და სხვა ამდაგვართ, თუკი ისინი არსებობენ. ხოლო ცოდნის ათვისების უნარი იმათ აქვთ, რომელთაც მეხსიერების გარდა, სმენიც უნარიც აქვთ.

ყველა სხვა ცხოველი ფანტაზიებითა და მოგონებებით ცხოვრობს, გამოცდილებას კი მცირედ ზიარებულია, ადამიანთა მოდგმა კი იყენებს, როგორც დახელოვნებას, ისე განსჯას. ადამიანებს გამოცდილება მეხსიერებიდან ექმნებათ, რადგან ერთსა და იმავე მოვლენაზე მრავალ მოგონებას ერთი ცდის ძალა აქვს. როგორც ჩანს, ცდა თითქმის თანეტოლება ცოდნასა და დახელოვნებას. ცოდნას და დახელოვნებას კი ადამიანები ცდის მეოხებით აღწევენ და როგორც პოლოსი ამბობს, გამოცდილებამ დახელოვნება შეჰქმნა, გამოუცდელობამ კი შემთხვევა.

დახელოვნება მაშინ წარმოიშვა, როდესაც ცდიდან მიღებულ მრავალ მითითებათაგან მსგავს მოვლენათა შესახებ ერთი ზოგადი შეხედულება გამოგვიმუშავდება. მაგალითად, თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ამა თუ

იმ დაავადებისას კალიასს, სოკრატეს და ასევე სხვა მრავალს ამა და ამ საშუალებამ უშველა, გამოცდილებაა, ხოლო თვალსაზრისი იმის შესხებ, რომ იგი შველის ყველა ამდაგვარ დაავადებას, იქნება ეს ანთება, ღვიძლის დაავადება თუ ციებ-ცხელება, – დახელოვნებაა. პრაქტიკული თვალსაზრისით კი, როგორც ჩანს, გამოცდილება დახელოვნებისაგან პრაქტიკულად არაფრით არ განსხვავდება, პირიქით გამოცდილნი უფრო მეტ წარმატებებსაც კი აღწევენ ხოლმე, ვიდრე გამოუცდელი თეორეტიკოსები. ამის მიზეზი კი ისაა, რომ გამოცდილება ერთეული ფაქტების ცოდნაა, დახელოვნება კი ზოგადისა. ყოველი მოქმედება და წარმოშობა კი ერთეულს ეხება. მაგალითად, ექიმი კურნავს არა ადამიანს, ან თუ კურნავს, კურნავს შემთხვევით, არა კალიასს, ან სოკრატს, ან სხვა ვინმეს, რომელიც ამავე დროს ადამიანიც არის. ამიტომ თუ ვინმეს აქვს რაიმე ცოდნა გამოცდილების გარეშე და იცის ზოგადი, მაგრამ ამ ზოგადში შემავალი ინდივიდები კი არ იცის, ის მკურნალობის დროს ხშირად შეცდება, რადგან განსაკურნავია ინდივიდი.

მაგრამ, ჩვენი აზრით ცოდნა და გაგების უნარი უფრო მეტად დახელოვნებულს აქვს, ვიდრე გამოუცდილს და დახელოვნებულთ, როგორც უფრო ბრძენთ, გამოცდილებზე მაღლა ვაყენებთ, რადგან ცოდნა ყველაზე მეტ სიბრძნეს ახლავს თან. ეს კი იმიტომ, რომ პირველ მიზეზები იციან, მეორეებმა კი არა. ესე იგი გამოცდილთ იციან „რა? მაგრამ „რატომ?“ არ იციან. დახელოვნებულებმა კი იციან „რატომ?“ და მიზეზი. ამიტომ მშენებლობის ხელმძღვანელთ ხელოსნებთან შედარებით ყოველთვის უფრო პატივსაცემად და ბრძენებად ვთვლით, რადგან მათ იციან რა მიზეზები იმისა, რაც კეთდება, უფრო მეტად მცოდნენი არიან. ხელოსნები კი, როგორც ზოგიერთი უსულო არსებები, მოქმედებენ, მაგრამ ისე, რომ არ იციან რას აკეთებენ, მაგალითად, როგორც ცეცხლი, რომელიც სწვავს. უსულო საგნები მოქმედებენ თავისი ბუნებისადა შესატყვისად, ხელოვნები კი – ჩვეულებით. ამრიგად, სიბრძნეს პრაქტიკა კი არ იძლევა, არამედ განსჯა და მიზეზების ცოდნა.

საერთოდ, მცოდნის არმცოდნისაგან განმასხვავებელი ნიშანია სწავლების უნარი. დახელოვნებასაც გამოცდილებთან შედარებით მეტ ცოდნად ვთვლით. რადგან პირველით შესაძლებელია ცოდნის გადაცემა, მეორეთი – არა,

გარდა ამისა, არც ერთი შეგრძნება არ მიგვაჩნია სიბრძნედ – რადგან ისინი თუმცა ინდივიდუალური მოვლენების შემეცნების უმთავრეს საშუალებას წარმოადგენენ, მაგრამ არას გვეუბნებიან მათ მიზეზებზე. მაგალითად, კითხვაზე იმის შესახებ, თუ რატომაა ცეცხლი ცხელი? არამედ, გვეუბნებიან მხოლოდ იმას, რომ ცეცხლი ცხელია.

მართლაც აღმომჩენმა პირველი ნებისმიერი ხელოვნებისა, რომელიც სცილდებოდა საერთო შეგრძნებების ფარგლებს, ადამიანების გაკვირვება გამოიწვია, არა მარტო იმიტომ, რომ მის რომელიმე აღმოჩენას სარგე-

ბლობა მოჰქონდა, არამედ როგორც ბრძენმა და სხვებისაგან განსხვავებულმა. აღმოჩენილ ხელოვნებათა ნაწილი აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება, ნაწილი კი დროსტარებას. დროსტარებისათვის განკუთვნილი ხელოვნებანი, პირველთან შედარებით უფრო დიდ სიბრძნედ მიგვაჩნია, რადგან ის ცოდნა, რომელსაც ისინი შეიცავენ, სარგებლობას არ ემსახურება. როდესაც ყველა ამდაგვარი ხელოვნება შეიქმნა, უპირველეს ყოვლისა ისეთ ქვეყნებში, სადაც ადამიანებს თავისუფალი დრო ჰქონდათ, აღმოჩენილ იქნა ისეთი მეცნიერებანიც, რომელნიც არც სიამოვნებასა და არც აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას არ ემსახურებოდნენ. ამიტომ მათემატიკური მეცნიერებანი ყველაზე ადრე ეგვიპტეში ჩამოყალიბდა, სადაც ქურუმთა წოდებას ყველაზე მეტი თავისუფალი დრო ჰქონდათ.

„ეთიკაში“ ჩვენ უკვე ნათქვამი გვქონდა, თუ რა განსხვავებაა ხელოვნებასა და სხვა ანალოგიურ დარგებს შორის. მაგრამ მიზეზი იმისა, რის გამოც ჩვენ მათ შესახებ ვმსჯელობთ, არის ის, რომ ეგრეთ წოდებული სიბრძნე, ყველას აზრით, პირველ მიზეზებსა და საწყისებს ეხება.

ამრიგად, როგორც თავდაპირველად იყო ნათქვამი, ჩანს, რომ გამოცდილი ნებისმიერი შეგრძნების მქონეზე უფრო ბრძენია, დახელოვნებული – გამოცდილებზე, მშენებლობის ხელმძღვანელი – ხელოსანზე, თეორეტიკოსი – პრაქტიკოსზე,,.

ამრიგად, ცხადია, რომ სიბრძნე რაღაც საწყისებისა და მიზეზების ცოდნაა.

## თავი მეორე

რადგან მეცნიერებას ვეხებით, ამიტომ ისიც უნდა განვიხილოთ, თუ რომელი საწყისების და მიზეზების ცოდნას წარმოადგენს სიბრძნე, რაც იმისთვის უფრო ჩქარა გახდება ნათელი, ვინც გამოიყენებს ჩვენს მიერ გამოთქმულ შეხედულებას ბრძენის შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრძენია უპირველეს ყოვლისა ის, ვინც იცის ყველაფერი, რამდენადაც ეს მისთვის მისაწვდომია, ისე რომ, არ იცის მასში შემავალი ერთეულები. შემდეგ, ბრძენია ის, ვინც იცის ძნელად მისაწვდომი რამ, ე.ი. რისი შეცნობაც ადამიანებისათვის ადვილი არაა (მაგალითად, შეგრძნება ყველასათვის საერთოა, რადგან ადვილია, მაგრამ ის არავითარი სიბრძნე არაა). შემდეგ, ყველაზე ბრძენია ის, რომელსაც ყოველივეს მიზეზების შესახებ უზუსტესი ცოდნა გააჩნია და ყველაზე უკეთ შეუძლია მათი სწავლება. მეცნიერებათა შორის კი ის მეცნიერება, რომელსაც უპირატესობას აძლევენ მისივე გულისთვის და შემეცნების მიზნით უფრო მეტად წარმოადგენს სიბრძნეს, ვიდრე ის, რომელსაც უპირატესობას აძლევენ მისგან გამომდინარე სარგებლობის გამო. ასევე ხელმძღვანელი მეცნიერება უფრო მეტად არის სიბრძნე, ვიდრე დაქვემდებარებული, რადგან ბრძენს კი არ უნდა უბრძანებდნენ, არამედ ის უნდა

მბრძანებლობდეს, და ბრძენი კი არ უნდა მორჩილებდეს სხვებს, არამედ მას უნდა მორჩილებდნენ მასზე ნაკლებ ბრძენი.

ასეთი და ამდაგვარი შეხედულება გვაქვს ჩვენ სიბრძნისა და ბრძენთა შესახებ, რომელთაგან ყველაფრის ცოდნა სხვებზე უფრო მეტად აუცილებლად ზოგადის მცოდნეს გააჩნია, რადგან მან ასე თუ ისე იცის ყველა სუბსტრატი. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებისათვის ყველაზე უფრო ძნელია უზოგადესის შეცნობა, რადგან ის ყველაზე მეტადაა დაშორებული შეგრძნებებიდან. ხოლო უზუსტესია ცოდნა უპირველეს გვართა შესახებ, რადგან ცოდნა, რომელიც ნაკლები ნიშნების შემცველ გვარს ეხება, უფრო ზუსტია იმასთან შედარებით, რომელსაც დამატებით ნიშნებიც აინტერესებს, როგორც არითმეტიკა გეომეტრიასთან შედარებით. ასევე, უფრო მეტი ცოდნის მოცემა შეუძლია მეცნიერებას, რომელიც მიზეზებს სწავლობს, რადგან საერთოდ, ასწავლიან ისინი, რომლებიც ცალკეულ საგანთა მიზეზებზე მსჯელობენ. ცოდნა და შეცნობა იმ მეცნიერებათა თვითმიზანია, რომლებსაც ყველაზე მეტად შეცნობადი ობიექტი აქვთ, რადგან, ვისთვისაც თვით ცოდნის შეძენაა მიზანი, პირველ რიგში ირჩევს ყველაზე უკეთეს ცოდნას. ასეთი კი არის ცოდნა ყველაზე მეტად შეცნობადი ობიექტის შესახებ. ყველაზე მეტად შეცნობადი კი პირველი გვარები და მიზეზებია, რადგან მათი მეშვეობით და მათგან შეიცნობა ყველა დანარჩენი და არა პირიქით. მეცნიერებათა შორის უმაღლესი, და დაქვემდებარებულ მეცნიერებათა ყველაზე უკეთ წარმმართველია ის, რომელმაც იცის, თუ რა მიზნით ხდება ყოველივე. ეს კი თვითოეული საგნის სიკეთეა და საერთოდ, საუკეთესოა მთელს ბუნებაში. ყოველივე ზემოთთქმულის მიხედვით, საძიებელი მეცნიერების სახელი ხვდა წილად იმავე მეცნიერებას, რომელიც პირველ საწყისებსა და მიზეზებს სწავლობს. ხოლო სიკეთეცა და მიზანიც ერთ-ერთი მიზეზთაგანია.

რომ ეს მეცნიერება არ არის პრაქტიკული ხასიათის, ამას ცხადყოფს იმათი მოძღვრება, რომლებმაც პირველად დაიწყეს ფილოსოფოსობა. ადამიანები კი, როგორც თავდაპირველად, ისე ახლაც გაკვირვების შედეგად იწყებენ ფილოსოფოსობას. დასაწყისში მათ აკვირვებთ უშუალო დაბრკოლებები. შემდეგ თანდათანობით უფრო შორს მიდიოდნენ და უფრო მნიშვნელოვან პრობლემებს აყენებდნენ. მაგალითად, პრობლემას მთვარეზე, მზეზე, ვარსკვლავებზე მიმდინარე პროცესებისა და ყოველივეს წარმოშობის მიზეზების შესახებ. ხოლო ვინც გრძნობდა სიძნელეებს და უკვირდა, იმან ისიც იცოდა, რაც არ იცოდა. ამიტომაც, ვისაც მითები უყვარდა, ასე თუ ისე ფილოსოფოსიც იყო, რადგან მითები საკვირველი მოვლენებისაგან წარმოიშობა. ამრიგად, ფილოსოფოსობა დაიწყეს უცოდინარობის თავიდან ასაცილებლად და ცხადია, რომ ცოდნას ეტანებოდნენ შემეცნების და არა რაიმე სარგებლობის მიზნით. ამას ადასტურებენ ფაქტები, ჩემის აზრით, როცა მოპოვებული იყო ყოველივე აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, თვით ცხოვრების შემსუბ-

უქების და დროსტარებისათვის, მაშინ იწყებოდა ასეთი ცოდნის ძიება. ცხადია, რომ მას არ ეძებდნენ რაიმე სხვა სარგებლობის მიზნით. როგორც თავისუფალს ვუწოდებთ ადამიანს, რომელიც არსებობს თავის თავისთვის და არა სხვისთვის, ასევე ცოდნათა შორის ერთადერთ თავისუფალ ცოდნად ვთვლით მხოლოდ იმას, რომელიც არსებობს თავისთვის. ამიტომაც ითვლება მისი მოპოვება არაადამიანურ საქმედ. ადამიანები კი მეტნილად მონური ბუნებისანი არიან. და როგორც სიმონიდე ამბობს: „მხოლოდ ღმერთსა აქვს ეს უპირატესობა“. ადამიანი ღირსიც კი არაა იმისა, რომ ეძიებდეს თავისთავად ცოდნას. თუ პოეტები მართალს ამბობენ, და ღვთაებაც შურიანია, ეს დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ ყველაზე უკეთესნი ყველაზე უბედურები არიან. მაგრამ ღვთაება არ შეიძლება შურიანი იყოს და როგორც ანდაზა ამბობს: „პოეტები ხშირად ცრუობენ“. არც სხვა რაიმე უნდა მივიჩნიოთ ღვთაებაზე უფრო მეტად უფრო პატივსაცემად. ასეთი კი ორი მოსაზრების გამო ერთი რამ არის: რაც ყველაზე მეტად ღვათაებას ეკუთვნის. ასეთი კი არის ღვთაებრივი მეცნიერება და მეორე, რომელსაც ღვთაებრივი ობიექტი აქვს. ორივე ეს თვალსაზრისი ამ ცოდნას უდევბა. რადგან, ჩვენი აზრი, ღმერთია ყველაფრის მიზეზი და რაღაც საწყისი, ამიტომ ეს მეცნიერება ან მხოლოდ ღმერთს, ან ყველაზე უფრო მეტად ღმერთს შეიძლება ჰქონდეს. ყველა სხვა მეცნიერებანი კი შეიძლება მასზე უფრო აუცილებელნი იყვნენ, მაგრამ მასზე უკეთესი არც ერთი არ შეიძლება იყოს.

მაგრამ ეს ერთგვარ წინააღმდეგობაში გვაგდებს თავდაპირველ დაშვებასთან, რადგან, როგორც ვთქვით, ყველა გაკვირვებით იწყებს როგორც მაგალითად, ადამიანები, რომელებმაც არ იციან მოვლენათა თვითმოძრაობის, ან მზის ბრუნვისა და კვადრატის დიაგონალის არათანაზომიერების მიზეზი. ამრიგად, როგორც ჩანს, გაკვირვებას ინვევდა ყოველივე ის, რის მიზეზიც უცნობი იყო ანდა რაც ვერ იზომებოდა უმცირესი საზომით.

როგორც ანდაზაშია ნათქვამი, ყოველივე უნდა დამთავრდეს საწინააღმდეგო, ან უკეთესი შედევით. ასევე ხდება შემეცნების შემთხვევაშიც. მაგალითად, გეომეტრს ისე არაფერი არ გააკვირვებს, როგორც კვადრატის დიაგონალის თანაზომიერება კვადრატის გვერდებიდან.

ამრიგად, აქ მსჯელობა ეხებოდა იმას, თუ როგორია საძიებელი მეცნიერების ბუნება და მიზანი, რომელმაც უნდა განსაზღვროს ჩვენი კვლევა – ძიების მიმართულება.

თბილისი 1964

## **მარტინ პაიდეგერი**

მარტინ პაიდეგერი (artin eidegger 26 სექტემბერი, 1889, მესკირხი, ბადენი – 26 მაისი, 1976, იქვე), გერმანელი ფილოსოფოსი, XX საუკუნის ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა იეზუიტების სკოლაში, შემდეგ ჰ. რიკერტთან ფრაიბურგის უნივერსიტეტში. 1916 იყო ე. ჰუსერლის ასისტენტი, პროფესორი მარბურგის (1922-1928), ფრაიბურგის (1928-1945) უნივერსიტეტებში. 1933-1934 ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორი. 1945 ნაცისტებთან თანამშრომლობის გამო უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს. სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა სოფელ ტოდტ-ნაუბერგში.

## **რა არის მს ფილოსოფია?**

პირველი, რასაც შევეცდებით, არის საკითხის ნათლად გამართულ გზაზე მიყვანა, რათა ჩვენ ფილოსოფიის შესახებ რაგინდარა და შემთხვევით წარმოდგენებში არ მიმოვიბნეთ. და მაინც როგორ უნდა ვიპოვოთ ის გზა, რომელზედაც ჩვენ სანდო ხერხის მეშვეობით ჩვენს საკითხს განვსაზღვრავთ?

გზა, რომელზედაც ახლა მსურდა მიმეთითებინა, ძევს უშუალოდ ჩვენს წინ. და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ყველაზე ახლომდებარეა, მას ძნელად ვპოულობთ, მაგრამ თუ იგი ვიპოვეთ, ჩვენ მასზე ვმოძრაობთ მაინც ჯერ კიდევ უხერხულად. ჩვენ ვკითხულობთ: რა არის ეს ფილოსოფია? სიტყვა „ფილოსოფია“ უკვე საკმარისად ხშირად წარმოვთქვით. მაგრამ თუ „ფილოსოფიას“ ახლა გამოვიყენებთ არა როგორც გაცვეთილ დასახელებას, თუ მის წაცვლად სიტყვა „ფილოსოფიას“ მისი საწყისიდან მოვუსმენთ, იგი ახმოვანდება ასე: ფილისიფია. სიტყვა „ფილოსოფია“ ლაპარაკობს ახლა ბერძნულად. ბერძნული სიტყვა, როგორც ბერძნული სიტყვა, არის გზა. ის, ერთი მხრივ, ძევს ჩვენს წინ, რადგან სიტყვა უკვე დიდი ხნით ადრე იყო ჩვენამდე წარმოთქმული. მეორე მხრივ, იგი უკვე ძევს ჩვენს უკან. რადგან ეს სიტყვა ჩვენ ყოველთვის გვსმენია და წარმოგვითქვამს. თანახმად ამისა ბერძნული სიტყვა ფილისიფია არის გზა. რომელზედაც ჩვენ ვიმყოფებით. მაგრამ ამ გზას მხოლოდ ბუნდოვნად ვიცნობთ, თუმცა ბევრი ისტორიული ცნობა გვაქვს მოპოვებული ბერძნული ფილოსოფიის შესახებ და მათი გაფართოებაც შეგვიძლია.

სიტყვა ფილისიფია გვეუბნება, რომ ფილოსოფია არის რაღაც, რაც უპირველეს ყოვლისა ელინიზმის ყოფას განსაზღვავს. არა მხოლოდ ამას – ფილისიფია განსაზღვრავს აგრეთვე უმთავრეს შინაგან თვისებას ჩვენი დასავლეთ ევროპული ისტორიისას. ხშირად გაგონილი აზრის „დასავლეთ ევროპული ფილოსოფიის“ შესახებ სინამდვილეში არის ტავტალოგია. რატომ? იმიტომ, რომ ფილოსოფია თავის არსში არის ბერძნული, ბერძნული

აქ ნიშნავს – ფილოსოფია თავისი არსის საწყისში არის იმ სახისა, რომ ის თავდაპირველად ელინიზმს, და მხოლოდ მას ეყრდნობა თავისი განვითარებისათვის. მაგრამ თავდაპირველი ბერძნული არსი ფილოსოფიისა თავისი მოღვაწეობის ახალდროინდელ – ევროპულ ეპოქაში ხდება ქრისტიანობის წარმოდგენათაგან დაუფლებული და მათ მიერ წარმართული. ამ წარმოდგენათა გაბატონებას შუა საუკუნეებმა შეუწყვეს ხელი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ფილოსოფია ამის შედეგად ქრისტიანული ხდება, რომ ის გადაიქცევა რწმენად გამოცხადებისა და ეკლესის ავტორიტეტისადმი. დებულება: ფილოსოფია თავის არსში არის ბერძნული, აღნიშნავს შემდეგს: დასავლეთი და ევროპა, და მხოლოდ ისინი, თავიანთ უძირითადეს ისტორიულ მსვლელობაში არიან ძირეულად „ფილოსოფიურნი“. ეს დასტურდება მეცნიერებათა აღმოცენებით და მათი გაბატონებით. რადგანაც ისინი უმთავრესი მდინარებისაგან დასავლურ ევროპული ისტორიისა, სახელდობრ ფილოსოფიურისაგან წარმოიქმნებიან, ამიტომაც შეუძლიათ დღეს მათ, ადამიანთა ისტორიას მთელ დედამიწაზე სპეციფიკური სახე მისცენ.

ერთ წუთს გავიზაროთ, თუ რას ნიშნავს ეს, როდესაც ადამიანთა ისტორიის საუკუნოვან პერიოდს „ატომის ხანად“ აღნიშნავენ. მეცნიერებათა მეოხებით აღმოჩენილი და განთავისუფლებული ატომური ენერგია წარმოიდგინება იმ ძალად, რომელმაც ისტორიის მსვლელობა უნდა განსაზღვროს. მეცნიერებანი, რასაკვირველია, არასოდეს არ აღმოცენდებოდნენ, რომ მანამდე და მათ წინ ფილოსოფიას არ ევლო. მაგრამ ფილოსოფია არის ή ფილისიფია. ეს ბერძნული სიტყვა ჩვენს შორის საუბარს აკავშირებს ისტორიულ გადმოცემასთან. რადგან ეს გადმოცემა თავისთავად განუმეორებელია და ასეთად რჩება, სწორედ ამიტომ არის ის აგრეთვე ნათელი. ბერძნული სახელით ფილისიფია-თი წოდებული გადმოცემა, რომელიც ისტორიული სიტყვა „ფილისიფია-ს გვისახელებს, გზას გვიხსნის იმ მიმართულებით, რომელზედაც ჩვენ ვკითხულობთ: რა არის ეს ფილოსოფია? ეს გადმოცემა არ მოგვაქცევს წარსულის უცილობელი ზეგავლენის და იძულების ქვეშ. გადმოცემა, délivrer, არის განთავისუფლება, სახელდობრ საუბრის თავისუფლებაში ყოფილთან<sup>1</sup>. სახელი „ფილოსოფია“ ჩვენ მოგვიწოდებს ბერძნული წარმოშობის ფილოსოფიის ისტორიისაკენ. თუ ჩვენ სიტყვა ნამდვილად გვესმის და მოსმენილს გავიაზრებთ, სიტყვა ფილისიფია თითქოს ჩვენი საკუთარი ისტორიის დაბადების მოწმობას აწერია, ჩვენ შეგვიძლია კიდეც დავამატოთ: დაბადების მოწმობას თანამედროვე, მსოფლიო ისტორიული ეპოქისას, რომელიც ატომის ხანად იწოდება. ამიტომ შეგვიძლია კითხვა: რა არის ეს ფილოსოფია? მხოლოდ მაშინ დავსვათ, თუ ჩვენ ელინიზმის აზროვნებასთან საუბარში ჩავებმებით.

მაგრამ არა მხოლოდ ის, რასაც ჩვენ განვიკითხავთ, ფილოსოფია,

<sup>1</sup> e.i. délivrer არის საუბრის თავისუფალი დამოკიდებულება ყოფილთა და არა ყოფილის ანუ წარსულის ზეგავლენის ქვეშ მოქცევა (მთარგმნელის შენიშვნა)/

ბერძნულია თავისი წარმოშობით, არამედ აგრეთვე წესიც, თუ როგორ ვიკითხავთ; შეკითხვის წესი, რომელსაც დღესაც ვიყენებთ, არის ბერძნული.

ჩვენ ვკითხულობთ: რა არის ეს...? ეს ბერძნულად ასე უდერს: ტ' ესთიყ. კითხვა, თუ რა არის რაიმე, მაინც მრავალმნიშვნელობის მქონედ რჩება. ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ: რა არის ის იქ შორს? ჩვენ ვღებულობთ პასუხს: ხე. პასუხი მდგომარეობს შემდგომში, რომ საგანს, რომელსაც ზუსტად ვერ შევიცნობთ, მის სახელს ვარქმევთ.

მიუხედავად ამისა, შეგვიძლია შემდგომაც ვიკითხოთ: რა არის ეს, რასაც ჩვენ „ხეს“ ვეძახით? ახლახან დასმული კითხვით უკვე ახლოს ვიმყოფებით ბერძნულ ტ' ესთიყ – თან. ეს არის შეკითხვის ის ფორმა, რომელიც სოკრატემ, პლატონმა და არსიტოტელემ განავითარეს. ისინი კითხულობდნენ რა არის ეს – მშვენიერება? რა არის ეს – შემეცნება? რა არის ეს – ბუნება? რა არის ეს – მოძრაობა?

მაგრამ ახლა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ზემოთ დასმულ კითხვებში ესწრაფვიან არა მხოლოდ ზუსტ შემოსაზღვრას იმისას, რასაც ბუნება, მოძრაობა და მშვენიერება წარმოადგენს, არამედ: ამავე დროს ხდება აგრეთვე იმის განმარტება, თუ რას ნიშნავს „რა“, რა აზრით უნდა იყოს ტ' გაგებული. მას, რაც რას ნიშნავს, უწოდებენ, რაც *quid est*, თო *quid: quidditas* რაობას. ამასობაში *quidditas*-ი ფილოსოფიის სხვადასხვა ეპოქებში სხვადასხვანაირად განისაზღვება. ასე მაგ., პლატონის ფილოსოფია არის თავისებური ინტერპრეტაცია იმისა, რასაც ტ' გულისხმობს. ის გულისხმობს სახელდობრ იძეა-ს. თუ ჩვენ ტ'-ს მიმართ, *quid* -ის მიმართ შეკითხვას დავსვამთ და ამასთანავე (მათში) „იდეას“ ვიგულისხმებთ, ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნება თავისთავად ცხადი. არისტოტელე იძლევა ტ'-ს სხვა განმარტებას, ვიდრე პლატონი. სულ სხვაგვარ განმარტებას ტ'-ს იძლევა კანტი, სულ სხვას ჰეგელი. როდესაც კითხვა დაისმება იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს ტ'-ს, *quid* -ის, რას გზის მაჩვენებელი, ეს კითხვა ყოველთვის ხელახლად განსასაზღვრავი რჩება. ყოველი შემთხვევისათვის ძალაშია შემდეგი: თუ ჩვენ ფილოსოფიის მიმართ ვიკითხავთ: რა არის ეს? მაშინ ჩვენი შეკითხვა იქნება პირველყოფილ ბერძნული.

კარგად მივაქციოთ ამას ყურადღება: როგორც ჩვენი საკითხის თემას; „ფილოსოფია“, ისე აგრეთვე წესი, რომლითაც ვკითხულობთ: „რა არის ეს“ – ორივე თავისი წარმოშობის მიხედვით ბერძნულია. ჩვენ თვითონ ამ წარმოშობას ვეკუთვნით. აგრეთვე მაშინაც, თუ სიტყვა „ფილოსოფია“ ერთხელაც არ გვიხსენებია. ჩვენ სპეციალურად ამ წარმოშობისაკენ ვართ მიხმობილი, მისთვის და მისით რე-კლამირებული (*re-klamiert*), როგორც კი კითხვას, რა არის ეს – ფილოსოფია? არა მხოლოდ სიტყვასიტყვით გავიმეორებთ, არამედ მის აზრს ჩავუფიქრდებით<sup>2</sup>. [კითხვა: რა არის ფილოსოფია? – არ წარმოადგენს ისეთ კითხვას, რომელსაც შემეცნების რომელიმე სახე თავის თავისებური მიმართავს (ფილოსოფიისა).

<sup>2</sup> შდრ. მოხსენებანი და თხზულებანი. 1954. გვ. 207-229 (ავტორის შენიშვნა)

იგი არ არის აგრეთვე ისტორიული (historische) კითხვა, რომელსაც აინტერესებს იმის გარკვევა, თუ ის, რასაც „ფილოსოფიას“ ეძახიან, როგორ დაიწყო და განვითარდა. კითხვა წარმოადგენს ისტორიულს (geschichtliche), ე.ი. გამოგზავნილ (geschick-liche) კითხვას. უფრო მეტიც: ის არა „რომელიმე“, არამედ სწორედ ის (უმთავრესი ვ.რ.) ისტორიული (die geschichtliche) კითხვაა ჩვენი დასავლეთევროპული ყოფისა (Dasein).]

თუ ჩვენ მთლიან და თავდაპირველ აზრს კითხვისას: რა არის ეს – ფილოსოფია? ჩავყვებით, მაშინ ჩვენმა კითხვამ თავისი ისტორიული წარმოშობით მიმართულება პოვა ისტორიულ მომავალში. ჩვენ ვიპოვეთ გზა. თვითონ კითხვა წარმოადგენს გზას. ის მომდინარეობს ელინიზმის ყოფი-ერებიდან ჩვენკენ და მიემართება ჩვენს ზემოთ, შესაძლოა ჩვენს იქითაც კი. ჩვენ ვიმყოფებით, – თუ საკითხს მოთმინებით განვიხილავთ – ნათლად მიმართულ გზაზე. და მაინც ამის გამო არ ვართ დაზღვეული იმისაგან, რომ უშუალოდ შეგვიძლია ამ გზის სწორი ხერხით დაძლევა. ჩვენ ისიც კი არ შეგვიძლია უცებ გადავწყვიტოთ, თუ დღეს ამ გზის რომელ ადგილას ვიმყოფებით. დიდი ხანია რაც ჩვეულებად იქცა, რომ საკითხი, თუ რა არის რაიმე, ალნიშნონ როგორც საკითხი არსის შესახებ? საკითხი არსის შესახებ, შესაბამისად, მაშინ გამოცოცხლდება, თუ ის, რისი არსის მიმართაც კითხვა დაისმის, ბუნდოვანი და დახლართული გახდა, თუ ამავე დროს ადამიანთა დამოკიდებულებითაც საკითხისადმი მერყევი გახდა ან სულაც შეირყა.

საკითხი ჩვენი საუბრისა შეეხება ფილოსოფიის არსს. თუ ეს საკითხი გარკვეული საჭიროებიდან გამომდინარეობს და არა მოჩვენებით კითხვად მხოლოდ საუბრის (წარმართვის) მიზანისათვის უნდა დარჩეს, მაშინ ჩვენ ფილოსოფია როგორც ფილოსოფია საეჭვოდ უნდა მოგვეჩვენოს. მართლ-დება ეს? და თუ ეს მართლდება, რამდენად არის ფილოსოფია ჩვენთვის საეჭვოდ გამხდარი? ამაზე პასუხის გაცემა ალბათ შეგვეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე გავეცნობით ფილოსოფიას. ამისათვის კი საჭიროა, თავიდანვე ვიცოდეთ, თუ რა არის ეს – ფილოსოფია. ამრიგად, მოვექცე-ვით უცნაურ რკალში. ჩანს, თვითონ ფილოსოფია წარმოადგენს ამ რკალს. დავუშვათ, რომ უშუალოდ ვერ შევძლებთ ამ წრიდან განთავისუფლებას, მაშინ ჩვენთვის ნებადართული მაინც იქნება, ამ რკალს მზერა რომ მივაპყროთ. საით უნდა წარმართოს ჩვენი მზერა? ბერძნული სიტყვა ფილისიფია გვიჩვენებს ამ მიმართულებას.

აქ საჭიროა პრინციპული ხასიათის შენიშვნა. თუ ჩვენ ამჟამად და მერეც ბერძნული ენის სიტყვებს მოვუსმენთ, მაშინ ჩვენ მოვხვდებით გან-სხვავებულ სამყაროში. თანადათან ცხადდება ჩვენი გონებისათვის, რომ ბერძნული ენა არ წარმოადგენს მხოლოდ ენას ჩვენთვის ცნობილი ევ-როპული ენების გაგებით. ბერძნული ენა, და მხოლოდ ბერძნული, არის ლიგის-ი. ჩვენს საუბრებში ზემონათქვამი უფრო დაწვრილებით უნდა გან-ვიხილოთ. დასაწყისისთვის საკმარისია იმაზე მითითება, რომ ბერძნულ ენაში წარმოთქმული გამორჩეული ხერხის წყალობით იმავე დროს არის

ის, რასაც წარმოთქმული ასახელებს. თუ ჩვენ ბერძნული სიტყვა მოგვეს-მის ბერძნულად, მაშინ მივყვებით მის ლეგინ-ს მის უშუალო გადმოცემას (Darlegen). ხოლო რასაც ის გადმოსცემს (darlegt) (არის მოცემული) ჩვენს წინამდებარე (Vorliegende). ჩვენ ბერძნულად მოსმენილი სიტყვის წყალო-ბით პირველ ყოვლისა ვიმყოფებით უშუალოდ თვით ჩვენს წინაშე მდებარე საქმესთან და არა მარტო დენ სიტყვის მნიშვნელობასთან.

ბერძნული სიტყვა ფილისიფია გამომდინარეობს სიტყვიდან ფილისიფიც-იდან. ეს სიტყვა საწყისში არის ზედსართავი სახელი, როგორიცაა ილარიოს, ვერცხლის მოყვარული, ფილოტიკ, პატივმოყვარე. სიტყვა ფილისიფია, ალბათ ჰერაკლიტემ ჩამოაყალიბა. ეს ნიშნავს: ჰერაკლიტესათ-ვის ჯერ არ არსებობს ფილისიფია. ანήρ ფილისიფია არ არის „ფილოსოფიური ადამიანი“. ბერძნული ზედსართავი ფილისიფია აღნიშნავს სრულიად სხვა რამეს, ვიდრე ზედსართავი ფილოსოფიური, philosophique. ანήრ ფილისიფია არის ის, ნაც ფილე თი სიფრონ, რომელსაც სიფრონ უყვარს; აქ ფილე ის, უყვარს, ჰერაკლიტეს გაგებით ნიშნავს, ნაილიერი, ისე მეტყველებას, როგორადაც ლიგის-ი მეტყველებს. ე.ი. ლიგის-ისადმი შესაბამისობას. ეს შესაბამისობა თანხმოვანებაში იმყოფება სიფონ-თან. თანხმოვანება არის არმონია. ის, რომ ერთი არსება მეორეს ურთიერთშეეთანხმება, რომ ორივენი საწყისში ერთმანეთს მოერგება, რადგანაც ისინი ერთმანეთისათვის არიან დაწესე-ბულნი, ეს არმონია არის განმასხვავებელი (ნიშანი) ჰერაკლიტესნაირად გაგებული ფილე-ისა, სიყვარულისა.

ანήრ ფილისიფიც-ს უყვარს სიფიც-ი. თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა ჰერაკ-ლიტესათვის, ძნელი სათარგმნია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ეს ჰერაკლიტეს საკუთარი ახსნა – განმარტების მიხედვით განვმარტოთ. თანახმად ამისა, თი სიფონ ნიშნავს ამას: „ν Πάντα, „ερτι (არის) ყველაფერი“. „ყველაფერი“ გულისხმობს აქ: Πάντα τα δηντα, მთლიანი, ყველაფერი არსებულია. „ν, ერთი გულისხმობს: ერთი, ერთადერთი, ყველაფრის გამაერთიანებელი. მაგრამ ერთიანი არის ყველაფერი არსებული ყოფიერებაში. სიფიც-ი ნიშ-ნავს: ყველაფერი არსებული არის ყოფიერებაში. მკვეთრად რომ ვთქვათ: ყოფიერება არის არსებული. აქ „არის“ მიგვანიშნებს თავის გარდამავ-ლობაზე და ნიშნავს იმასვე, რასაც „შეკრებილი. ყოფიერება კრებს არსე-ბულს იმით, რომ ის არსებულია. ყოფიერება არის შეკრებულიბა ლიგიც-ი<sup>3</sup>.

ყველაფერი არსებული არის ყოფიერებაში. ამნაირის მოსმენა ჩვენთ-ვის ტრივიალურად უღერს, შეიძლება შეურაცხმყოფელადაც. ვინაიდან ის, რომ არსებული ყოფიერებას განეკუთვნება, არავის აწუხებს. მთელმა ქვეყანამ იცის: არსებული არის ისეთი, რაც არის. რა აქვს არსებულს ნებადართული თუ არ ეს: რომ იყოს? და მაინც: სწორედ ეს, რომ ყოფი-ერების გამოჩენაში არსებული გვევლინება პირველ ყოვლისა და მხოლოდ ეს ინვევდა ბერძნებში გაკვირვებას. არსებული ყოფიერებაში: ეს გახდა

<sup>3</sup> შდრ. მოხსენებანი და თხზულებანი. 1954. გვ. 207-229 (ავტორის შენიშვნა)

## ბერძნებისათვის გასაოცარი.

მაგრამ ბერძნებსაც კი უნდა ეხსნათ და და დაეცვათ ეს გაოცება ამ გასაოცარისა – სოფისტური განსჯის ჩარევისაგან, რომელსაც ყოველისთვის იმწამსვე გასაგები ახსნა-განმარტება ჰქონდა მზად ყველაფერზე და ის (ეს ახნა-განმარტება, ვ.რ.) ბაზარზე გამოჰქონდა. ხსნა გასაოცარისა – არსებულისა ყოფიერებაში – მოხდა იმით, რომ რამდენიმე მიჟყვა გზას ამ გასაოცარის მიმართულებით. ე.ი. სიფრი-ისაკენ. ისინი ამით გახდნენ იმნაირნი, რომელიც სიფრი-ისაკენ ილტვოდნენ და მათი საკუთარი ლტოლვით სხვა ადამიანებშიც აღძრავდნენ და მხარს უმაგრებდნენ სიფრი-ისაკენ მისწრაფებას. ფილეი ტო სიფრი, ის უკვე დასახელებული თანხმოვანება სიფრი – თან, არმონია, გახდა შრეჩი -დ, ლტოლვად, სიფრი-ისაკენ. სიფრი-ი არსებულ ყოფიერებაში – ახლა უკვე სპეციალურად იძებნება. რადგან ფილეი აღარ წარმოადგენს თავდაპირველ თანხმოვანებას სიფრი-თან, არამედ განსაკუთრებული ლტოლვაა სიფრი-ისაკენ, ფილეი ტო სიფრი იქცევა „ფილისიფრია“-დ. მისი ლტოლვა განსაზღვრული ხდება ეროსით.

ეს მისწრაფებით აღსავსე ძებნა სიფრი-ისა, ν Πάντα-სი, არსებულისა ყოფიერებაში, წარმოდგვიდგება ახლა კითხვად: რა არის არსებული, რამდენადაც ის არის? აზროვნება მხოლოდ ახლა გახდება „ფილოსოფია“. ჰერაკლიტე და პარმენიდე ჯერ კიდევ არ იყვნენ „ფილოსოფოსები“. რატომ? იმიტომ, რომ ისინი უფრო დიდი მოაზროვნენ გახლდნენ. „უფრო დიდი“ არ გულისხმობს აქ მიღწევათა შეჯამებას. არამედ მიუთითებს აზროვნების სხვა განზომილებაზე. ჰერაკლიტე და პარმენიდე იყვნენ „უფრო დიდი“ იმ აზრით, რომ ისინი ჯერ კიდევ თანხმოვანებაში იდგნენ ლიკის-თან, ე.ი. ν Πάντα-სთან. ნაბიჯი „ფილოსოფიისაკენ“, რომელიც მომზადებული იყო სოფისტიკის მიერ, პირველად სოკრატემ და პლატონმა გადადგა. ჰერაკლიტეს შემდგომ თითქმის ორი საუკუნით გვიან ეს ნაბიჯი არისტოტელემ შემდეგნაირად დაახასიათა: ხაί δή ხαί τόπαλαι τε ხαί νῦν ხαί ἀεί ζητούμενον ხαί ἀεί ἀπορούμενον, τι το σν; (მეტ. 1, 1928 ბ2 შემდგ.) თარგმანში ეს ნიშნავს: „და ის, საითაც იუσίა უკვე ოდესღაც და ახლაც და ყოველთვის (ფილოსოფია) წარემართება და საითაც ის მარადუამს მისადგომს ვერ პოულობს (ის, რამაც პასუხი უნდა გასცეს ამ კითხვაზე). რა არის არსებული? (τι το σν)“<sup>4</sup>.

ფილოსოფია ეძებს იმას, თუ რა არის არსებული, რამდენადაც ის არის, ფილოსოფია გზად იმყოფება არსებულის ყოფიერებისაკენ, ე.ი. ყოფი-

<sup>4</sup> შდრ. «И то, что издревле, и ныне, и всегда составляло предметисканий и всегда рождало затруднения, – вопрос о том, что такое сущее, – этого вопрос сводится к вопросу – что представляет собой сущность». Аристотель, етафизика, пер. А.В. Кубицкого, Ш.Л. – 1984 г. ქართულად: „როგორც უნინ, ახლაც და ყოველთვის საკვლევია და სადაცო, თუ რა არის არსებული, ე.ი. სუბსტანცია“. არისტოტელე, მეტაფიზიკა, თარგმანი თ. კუკავასი, თბ., 1964(მთარგმნელის შენიშვნა)

ერების მიმართ არსებულისაკენ. არისტოტელე ამას განამარტავს იმით, რომ მოყვანილ წინადადებაში კითხვაზე თი თი ძნ, რა არის არსებული? შემდგომ განმარტებას დასძენს: თიუთო ესთი თის ჩი იუსტა: თარგმანში: „ეს (სახელ-დობრ თი თი ძნ) ნიშნავს: რა არის არსებულობა არსებულისა?“ ყოფიერება არსებულისა მოთავსებულია არსებულობაში. მაგრამ ეს – იუსტა – პლატონის მიერ განისაზღვრება როგორც იძეა, არისტოტელე კი მას განსაზღვრავს, როგორც ენერგეია-თი და რამდენადაც შეიძლება აუსტა ენერგეია-თი განსაზღვრა. მნიშვნელოვანია ახლა მხოლოდ ის, რომ ჩვენ მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ როგორ შემოსაზღვრავს არისტოტელე ფილოსოფიას თავის არსში. ის „მეტაფიზიკის“ პირველ წიგნში (მეტ. 1. 982 ბ9 შემდეგ.) ამბობს შემდეგს: ფილოსოფია არის ეპისტემური თან პრატო არქონ ხა ასტრო თეორეტიკური ეპისტემური სახლისით თარგმნიან „მეცნიერებით“. ამას კი შეცდომაში შევყავართ, რადგან ჩვენ ძალიან ადვილად ვათავსებთ მასში „მეცნიერების თანამედროვე წარმოდგენას. ეპისტემური-ს თარგმნა „მეცნიერებით“ აგრეთვე მაშინაც მცდარია, თუ ჩვენ „მეცნიერებას“ ფილოსოფიური აზრით გავიგებთ, რომელსაც ფიხტე, შელინგი და ჰეგელი გულისხმობენ. სიტყვა ეპისტემური გამომდინარეობს ეპისტამენის მიმღეობიდან. ასე ჰქვია ადამიანს, რამდენადაც ის რაიმეს მიმართ კომპეტენტურია და დახელოვნებულია (კომპეტენტურობა appartenence-ს გაგებით). ფილოსოფია არის ეპისტემური თის, სახე კომპეტენტურობისა, თეორეტიკური, რომელსაც თეორენ შეუძლია, ე.ი. გამონახვა რაიმესი, რისკენაც მზერა აქვს მიპყრობილი, მისი ხედვის არეში შემოყვანა და მისი ამ არეში შენარჩუნება. ამიტომ არის ფილოსოფია ეპისტემური თეორეტიკური. მაგრამ რა არის ეს, რასაც იგი თავის ხედვის არეში შემოიყვანს?

მიმომხილველი 6-9 ოსუ 1972 წ.

## ლუდვიგ ვიტგენშტეინი

ლუდვიგ ვიტგენშტაინი (Wittgenstein Ludwig Josef Johann 1889-1951) – ანალიზური ფილოსოფიის ერთ-ერთი შემქმნელი. 1921 წელს გამოქვეყნდა „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“, რომლის იდეებმა გამოხმაურება ჰქოვა ლოგიკურ პოზიტივიზმში. 1953 წელს გამოქვეყნდა მისი შემაჯამებელი ნაშრომი „ფილოსოფიური გამოკვლევები“, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ლინგვისტურ ფილოსოფიაზე.

## ფილოსოფიური გამოკვლევები

24. ვისაც ენობრივ თამაშთა მრავალფეროვნება არ უდგას თვალწინ, ის ალბათ განწყობილი იქნება ისეთი შეკითხვებისათვის, როგორიცაა: რა არის შეკითხვა? – არის თუ არა ის იმის კონსტატაცია, რომ მე ესა და ეს არ ვიცი? თუ იმის კონსტატაციაა, რომ მინდა, სხვამ მითხრას ...? თუ ის დაურწმუნებლობის ჩემი სულიერი მდგომარეობის აღწერაა? – და არის თუ არა ძახილი „მიშველეთ!“ ასეთი აღწერა?

დაფიქრდი, რამდენი განსხვავებული სახეობის რამეს ვუწოდებთ „აღწერას“: სხეულის მდებარეობის აღწერა მისი კორდინატების მიხედვით; სახის გამომეტყველების აღწერა; შეხების შეგრძნების აღწერა; განწყობის აღწერა.

ასეთი ტრანსფორმაციების შესაძლებლობების მნიშვნელოვნება, მაგალითად – ყოველი მტკიცებითი წინადადების გადაქცევისა წინადადებად, რომლებიც გამოთქმებით „ვფიქრობ“, ან „მიმაჩნია“ ინყება (ანუ, ასე ვთქვათ, ჩემი შინაგანი ცხოვრების აღწერად), უფრო ცხადად სხვა ადგილას გამოჩენდება. (სოლიფსიზმი).

26. ითვლება, რომ ენის შესწავლა საგნების სახელდებაში მდგომარეობს. სახელდობრ, ადამიანების, ფორმების. ფერების, ტკივილების, განწყობილებების, რიცხვებისა და ა.შ. სახელდებაში. როგორც უკვე ითქვა – სახელდება ნივთისათვის იარღიყის მიწებების მსგავსია. შეიძლება ამას სიტყვის გამოყენებისათვის მზადება ვუწოდოთ. მაგრამ რისკენაა მიმართული ეს მზადება?

47. მაგრამ რომელია ის მარტივი შემადგენელი ნაწილები, რომელთა-განაც აგებულია რეალობა? – რომელია სავარძლის მარტივი შემადგენელი ნაწილები? – ხის ნაჭრები, რომლებისგანაც ის არის შეკრული? თუ მოლეკულები, ანდა ატომები? – „მარტივი“ ნიშნავს „არაშედგენილს“. აქ კი დგება საკითხი: რა აზრითაა ის შედგენილი? უაზრობაა უბრალოდ სავარძლის მარტივ შემადგენილ ნაწილებზე ლაპარაკი.

ანდა: შედგება თუ არა ამ ხის, ამ სავარძლის ვიზუალური ხატი ნაწილებისაგან? და რომელია მათი მარტივი შემადგენელი ნაწილები? მრავალფერიანობა შედგენილობის ერთი სახეა; მეორეა, მაგალითად სწორი

მონაკვეთებისაგან შედგენილი ტეხილი კონტური. მრუდზე კი შეიძლება ითქვას, რომ ის შედგენილია აღმავალი და დაღმავალი ტოტებისაგან.

როდესაც შემდგომი განმარტების გარეშე ვინმეს ვეუბნები: „რასაც ახლა ჩემს წინაშე ვხედავ, შედგენილია“, მას უფლება აქვს, შემეკითხოს: „რას გულისხმობ შედგენილში?“ ის შეიძლება ნებისმიერ რაიმეს ნიშნავდეს!“ – შეკითხვას „არის თუ არა ის, რასაც შენ ხედავ, შედგენილი? მართლაც აქვს საზრისი, როდესაც უკვე დადგენილია, შედგენილია, შედგენილად ყოფნის რომელ სახეს – ანუ, ამ სიტყვის რომელ განსაკუთრებულ გამოყენებას – ეხება საქმე. თუ დადგინდა, რომ ხის ვიზუალურ ხატს უნდა ერქვას „შედგენილი“, თუ არა მარტო ხის ტანი ჩანს, არამედ ტოტებიც, მაშინ შეკითხვას: „მარტივია თუ შედგენილი ამ ხის ვიზუალური ხატი? და შეკითხვას „რომელია მისი მარტივი შემადგენელი ნაწილები?“ ნათელი საზრისი ექნებოდათ. და მეორე შეკითხვაზე პასუხი, ბუნებრივია, არის არა „ტოტები“ (ეს იქნებოდა პასუხი გრამატიკულ შეკითხვაზე: „რას ეწოდება აქ მარტივი შემადგენელი ნაწილები?“) არამედ ცალკეული ტოტების აღნერა.

კითხვის დასმა: „არის თუ არა ეს საგანი შედგენილი?“ იმის მსგავსია, რაც ერთხელ პატარა ბიჭმა გააკეთა – მას უნდა ეჩვენებინა, ზმნები გარკვეულ წინადადებებში მოქმედებითი გვარისა იყო თუ ვნებითი, და იმაზე იმტვრევდა თავს, მოქმედებითია თუ ვნებითი, მაგალითად, სახელზმა „ძილი“.

ფილოსოფიურ შეკითხვაზე: არის თუ არა ამ ხის ვიზუალური ხატი შედგენილი, და რომელია მისი შემადგენილი ნაწილები?“ სწორი პასუხი შემდეგია: „ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რას გულისხმობ „შედგენილში“. (ეს კი, ბუნებრივია, არის არა შეკითხვაზე პასუხი, არამედ – შეკითხვის უკუგდება).

50. რას ნიშნავს, როდესაც ელემენტებზე ვამბობთ, რომ მათ არც ყოფნა და არც არყოფნა არ შეგვიძლია მივაწეროთ? – შეიძლება ითქვას: თუ ყოველივე, რასაც ჩვენ „ყოფნას“ ან „არყოფნას“ უწოდებთ, ელემენტებს შორის კავშირების არსებობასა და არარსებობაში მდგომარეობს, მაშინ არა აქვს აზრი ელემენტების ყოფნაზე (არყოფნაზე) ლაპარაკს; ისევე როგორც, თუ ყოველივე, რასაც ჩვენ „განადგურებას“ უწოდებთ, ელემენტების განცალკევებას ნიშნავს, აზრი არა აქვს ელემენტების განადგურებაზე ლაპარაკს.

მაგრამ უნდათ, რომ თქვათ: ელემენტს არ შეგვიძლია ყოფნა მივაწეროთ, რადგან ის რომ არ ყოფილიყო, მას ვერც ვერასოდეს დავასახელებდით და ვერაფერს გამოვთქვამდით მის შესახებ. – განვიხილოთ ანალოგიური შემთხვევა! არსებობს ერთი რამ, რის შესახებაც ვერ ვიტყვით, რომ ის ერთი მეტრია, ან რომ ის ერთი მეტრი არ არის, და ესაა მეტრის ეტალონი პარიზში. – მაგრამ ამით მისთვის, ბუნებრივია, რაიმე ღირსშესანიშნავი თვისება კი არ მიგვიწერია, არამედ მხოლოდ მეტრული საზომით

გაზომვით ენობრივი თამაში მისი თავისებური როლი აღვნიშნეთ. – წარმოვიდგინოთ, რომ მეტრის ეტალონის მსგავსად პარიზში ფერის ნიმუშიც ინახება. ამრიგად, ჩვენ განვმარტავთ: „სეპია“ ჰქვია იქ ჰერმეტულად დაცულ თაურ-სეპიას. მაშინ აზრი არ ექნებოდა, ამ ნიმუშზე გვეთქვა, რომ ის ამ ფერისაა ან ის არ არის ამ ფერის.

ეს შეგვიძლია ასე გამოვთქვათ: ეს ნიმუში ენის ინსტრუმენტია, რომლითაც ვაკეთებთ ფერის შესახებ გამოთქმას. ამ თამაში ის წარმოდგენილი კი არ არის, არამედ წარმოდგენის საშუალებაა. – იგივე ითქმის (48)-ე ენობრივი თამაშის ელემენტზე, როდესაც ჩვენ მის დასასახლებლად სიტყვა „ნ“-ს წარმოვთქვამთ: ამით ჩვენ ამ საგანს ადგილი დავუთმეთ ჩვენს ენობრივ თამაში; ის ახლა წარმოდგენის საშუალებაა. და იმის თქმა, რომ „ის რომ არ ყოფილიყო, არც სახელი ექნებოდა“ – ნიშნავს, არც მეტი და არც წაკლები, იმას, რომ: ეს საგანი რომ არ არსებულიყო, მას ჩვენს ენობრივ თამაში ვერ გამოვიყენებდით. – ის, რა აშკარად უნდა არსებობდეს, ენას ეკუთვნის. ესაა ჩვენი ენობრივი თამაშის პარადიგმა; ის, რასთანაც ხდება შედარება. დაადგინო ეს, ნიშნავს მოახდინო მნიშვნელოვანი დაკვირვება; მაგრამ ეს მაინც დაკვირვებაა, რომელიც ჩვენს ენობრივ თამაშს – წარმოდგენის ჩვენს წესს – ეხება.

51. (48)-ე ენობრივი თამაშის აღწერისას მე ვთქვი, რომ კვადრატის ფერებს შეესაბამებიან სიტყვები „ნ“, „შ“ და ა.შ. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს შეესაბამისობა, რამდენად შეიძლება ითქვას, რომ ამ ნიშნებს კვადრატის გარკვეული ფერები შეესაბამება? განმარტებამ (48)-ში ხომ მხოლოდ გარკვეული კავშირი დაადგინა ამ ნიშნებსა და ჩვენი ენის ზოგიერთ ნიშანს (ფერების სახელებს) შორის. – ოღონდ ივარაუდებოდა, რომ ნიშნების გამოყენება თამაში სხვაგვარად და სახელდობრ, პარადიგმებზე მითითებით შეისწავლებოდა; კარგი, მაგრამ რას ნიშნავს იმის თქმა, რომ ენის პრაქტიკაში ნიშნებს გარკვეული ელემენტები შეესატყვისება? – ნიშნავს ეს თუ არა, რომ ის, ვინც ფერადი კვადრატის კომპლექსებს აღწერს, ყოველთვის „ნ“-ს ამბობს, როცა წითელი კვადრატია სახეზე; „შ“-ს, როცა შავი კვადრატია სახეზე და ა.შ. მაგრამ, თუ ის აღწერისას ცდება და ამბობს „ნ“-ს იქ, სადაც შავ კვადრატს ხედავს – რა არის იმის კრიტერიუმი, რომ ეს შეცდომა იყო? – თუ ის, რომ „ნ“ წითელ კვადრატს აღნიშნავს, იმაში გამოიხატება, რომ ადამიანებს, რომლებიც იყენებენ ენას, მუდან წითელი კვადრატი წარმოუდგებათ გონებაში, როდესაც ისინი ნიშან „ნ“-ს იყენებენ?

უფრო ნათლად რომ დავინახოთ, ჩვენ აქ, ისევე როგორც უთვალავ მსგავს შემთხვევაში, პროცესების დეტალებს უნდა დავაკვირდეთ; ახლოდან შევხედოთ, რა ხდება.

55. „რასაც ენის სახელები აღნიშნავენ, არ უნდა იყოს განადგურებადი: ვინაიდან უნდა შეიძლებოდეს იმ მდგომარეობის აღწერა, რომელშიც ყოველივე განადგურებადი განადგურებულია. ამ აღწერაში კი იქნება სიტყვები:

და რაც მათ შეესაბამება, არ შეიძლება განადგურდეს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტყვებს მნიშვნელობა არ ექნებოდათ.“ არ შეიძლება ის ტოტი მოვჭრა, რომელზედაც ვზივარ.

რა თქმა უნდა, მაშინვე შეიძლება შეგვეპასუხონ, რომ სწორედ თავად აღწერა უნდა გამოაკლდეს განადგურებას. – მაგრამ ის, რაც შეესაბამება აღწერის სიტყვებს და, ამრიგად, არ შეიძლება განადგურებული იქნას, თუ ეს აღწერა ჭეშმარიტია, ისაა, რაც სიტყვებს მნიშვნელობას ანიჭებს. ამის გარეშე მათ არანაირი მნიშვნელობა არ ექნობოდათ. მაგრამ ხომ არის აი, ეს კაცი გარკვეული აზრით ის, რაც მის სახელს შეესაბამება. მაგრამ ის განადგურებადია; მისი სახელი კი არ კარგავს თავის მნიშვნელობას, როდე-საც მისი მატარებელი იღუპება. – ის, რაც შეესაბამება სახელს, და რის გარეშეც მას არ ექნებოდა მნიშვნელობა, არის, მაგალითად, პარადიგმა, რომელიც გამოიყენება ენობრივ თამაშში სახელთან კავშირში.

59. „სახელები მხოლოდ იმას აღნიშნავს, რაც სინამდვილის ელემენტია; იმას, რაც არ ნადგურდება; რაც ყველა ცვლილებისას იგივე რჩება.“ – მაგრამ რა არის ეს? – ხომ გვქონდა წარმოდგენილი, სანამ წინადადებას ვამბობდით! ჩვენ უკვე სრულიად განსაზღვრული წარმოდგენა გამოვთქვით; განსაზღვრული სურათი, რომლის გამოყენებაც გვსურს. ვინაიდან გამოცდილება ამ ელემენტებს არ გვაჩვენებს. ჩვენ ვხედავთ რაიმე შედგენილს (მაგალითად, სავარძელს) შემადგენელ ნაწილებს. ჩვენ ვამბობთ რომ საზურგე სავარძლის შემადგენელი ნაწილია, ოღონდ თავადაც – შედგენილი განსხვავებული ხის ნაჭრებისგან; მაშინ, როდესაც სავარძლის ფეხი მარტივი შემადგენელი ნაწილია. ჩვენ მთელსაც ვხედავთ, რომელიც იცვლება (წადგურდება), მაშინ, როდესაც მისი შემადგენელი ნაწილები უცვლელი რჩება. ესაა მასალები, რომელთაგანაც სინამდვილის ამ სურათს ვამზადებთ.

71. შეიძლება თქვან, რომ თამაშის ცნება ესაა ცნება ბუნდოვანი საზღვრებით. – „მაგრამ არის კი გაბუნდოვანებული ცნება, საზოგადოდ ცნება?“ – არის თუ არა არაცხადი ფოტოგრაფია რომელიმე ადამიანის სურათი საერთოდ? განა არაცხადი სურათი ყოველთვის წარმატებით შეიცვლება ცხადით? განა არაცხადი ხშირად ხსნორედ ის არ არის, რაც გვჭირდება?

ფრეგე ცნებას არეს ადარებს და ამბობს: შეუძლებელია ბუნდოვანად შემოსაზღვრულ არეს საერთოდ დაარქვა არე. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი საშუალებით ვერაფერს გავაკეთებთ. – მაგრამ განა საზრისა მოკლებული, თუ ვიტყვით: „დაახლოებით აქ დადექ!“ წარმოიდგინე, რომ სხვასთან ერთად ვდგავარ მოედანზე და ამას ვამბობ. ამასთან, არ ვავლებ რაიმე საზღვარს, არამედ მხოლოდ ხელით ვაკეთებ მითითებით უესტს – თითქოსდა მე მას განსაზღვრულ წერტილს ვაჩვენებდე. სწორედ ასე განმარტავენ აღბათ იმას, თუ რა არის თამაში. იძლევიან მაგალითებს, და უნდათ, რომ ისინი გარკვეული აზრით იქნას გაგებული. – მაგრამ ამ გამოთქმით მე არ ვგულისხმობ: მან უნდა დაინახოს ამ მაგალითებში რაღაც საერთო, რომელიც მე

– რაღაც მიზეზების გამო – არ შემიძლია გამომეთქვა. არამედ: მან ეს მაგალითები მხოლოდ განსაზღვრული სახით უნდა გამოიყენოს. ეგზემპლიფიკაცია აյ არაა განმარტების არაპირდაპირი საშუალება, – უკეთესის არქონის შემთხვევაში. ვინაიდან ნებისმიერი ზოგადი განმარტებაც ასევე შეიძლება იქნას არასწორედ გაგებული. ასე ვთამაშობთ ჩვენ თამაშს. (სიტყვაში „თამაში“ ენობრივ თამაშს ვგულისხმობ).

79. ეს მაგალითი: როდესაც ამბობენ: „მოსე არ არსებობდა“, ეს შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს. ეს შეიძლება ნიშნავდეს: ებრაელებს არ ჰყოლიათ ერთი ბელადი, რომელმაც ისინი ეგვიპტიდან გამოიყვანა. – ან: მათ ბელადს არ ერქვა მოსე – ან: არ არსებობდა ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა ყოველივე ის, რასაც ბიბლია გვეუბნევა მოსეს შესახებ – და ა.შ. რასელის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ: სახელი „მოსე“ შეიძლება სხვადასხვა აღწერების საშუალებით გაისაზღვროს. მაგალითად, როგორც „კაცი, რომელიც ებრაელებს უდაბნოში მიუძღვებოდა,“ „კაცი, რომელიც ამ დროსა და ამ ადგილას ცხოვრობდა და რომელსაც მაშინ „მოსე“ ერქვა“, კაცი, რომელიც ბავშვობისას ფარაონის ქალიშვილმა ამოიყვანა ნილოსიდან“ და ა.შ. და იმის მიხედვით, მივიღებთ ერთ თუ მეორე განსაზღვრებას, წინადადება „მოსე არსებობდა“ სხვადასხვა საზრისს იღებს. და ასევე – ყველა სხვა წინადადება, რომელიც მოსეს ეხება. – და როცა გვეუბნებიან: „არ არსებობდა“, ჩვენც ვეკითხებით „რას გულისხმობ? იმის თქმა გინდა, რომ..., თუ იმის, რომ..., და ა.შ.?“

მაგრამ როდესაც რაღაცას გამოვთქვამ მოსეს შესახებ, – ვარ კი მზად, ერთით ამ აღწერათაგან „მოსე“ ჩავანაცლო? ვიტყვი, რომ „მოსეში“ მესმის კაცი, რომელმაც გააკეთა ის, რაც მოთხოვნილია ბიბლიაში, ან ბევრი რამ აქედან. მაგრამ რამდენი? მაქვს გადაწყვეტილი, რამდენი უნდა დავამტკიცო როგორვ მცდარი, იმისათვის, რომ უარვყო ჩემი წინადადება როგორც მცდარი? გამოიყენება ყველა შემთხვევაში სახელი „მოსე“ ჩემთვის მყარად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულად? - განა ისე არა არის, რომ მე საყრდენთა მთელი რიგი მაქვს მზადყოფნაში და მზად ვარ, თუ ერთი გამომეცლება, მეორეს დავეყრდნო და პირიქით? – კიდევ ერთ შემთხვევას დააკვირდი: როდესაც ვამბობ: „N-ი მოკვდა“, ამას სახელ „N“ მნიშვნელობასთან შეიძლება შემდეგი კავშირი ჰქონდეს: ვფიქრობ, რომ ცხოვრობდა ადამიანი, რომელიც აქა და იქ მინახავს, რომელიც ასე და ასე გამოიყურებოდე (სურათები), რომელმაც ესა და ეს გააკეთა, და საზოგადოებაში ატარებდა სახელს „N“. – თუ მკითხავენ, რა მესმის „N“-ში, ჩამოვთვლი ყოველივე ამას, ან რაღაცებს აქედან, თანაც სხვადასხვა სიტუაციებში – სხვადასვას. ამგვარად, „N“-ის ჩემეული განსაზღვრება იქნებოდა „ადამიანი, რომლის შესახებაც ყოველივე ეს მართალია“. – მაგრამ თუ აქედან რაიმე მცდარი აღმოჩნდა! – მზად ვიქნები, „N“-ი მოკვდა მცდარად გამოვაცხადო, – მაშინაც კი, როდესაც რაღაც, რაც მე არაარსებითად მეჩვენება, მცდარი აღმოჩნდა? მაგრამ სად გადის არაარსებითის საზღ-

ვარი? – ასეთ შემთხვევაში, სახელის განმარტება რომ მიმეცა, ახლა მზად ვიქეობოდი, ის შემეცვალა.

ეს შეიძლება ასე გამოითქვას: მე სახელ „N“-ს ვიყენებ მყარი მნიშვნელობის გარეშე. (მაგრამ ეს ისევე არ ვნებს მას, როგორც მაგიდას ის, რომ სამი ფეხის მაგივრად ოთხზე დგას და ამის გამო ხანდახან ყანყალებს).

განა ის უნდა თქვან, რომ მე ვიყენებ სიტყვას, რომლის მნიშვნელობაც არ ვიცი, ამიტომ უაზრობას ვლაპარაკობ? – თქვი, რაც გინდა, სანამ ეს ხელს არ გიშლის დაინახო, როგორია ვითარება. (და როცა შენ ამას დაინახავ, ბევრ რამეს არც იტყვი).

(მეცნიერული განსაზღვრებების მერყეობა: იმას, რაც დღეს განიხილება როგორც ფენომენ A-ს გამოცდილების შესაბამისი თანხმლები მოვლენა, ხვალ გამოიყენებენ როგორც „A“-ს განსაზღვრებას.)

116. როდესაც ფილოსოფოსები იყენებენ სიტყვას – „ცოდნა“, „ყოფიერება“, „საგანი“, „მე“, „ნინადადება“, „სახელი“ – და ნივთის არსების წვდომა სურთ, უნდა ვიკითხოთ: ნამდვილად ასე გამოიყენება კი ეს სიტყვა მის მშობლიურ ენაში? – ჩვენ ვაბრუნებთ სიტყვებს მათი მეტაფიზიკური გამოყენებიდან უკან, ისევ ყოველდღიურ გამოყენებაზე.

119. ფილისოფიის შედეგები რაღაც სრული აბსურდისა და კოპების აღმოჩენაა, რომლებიც გონების ენის საზღვართან შეჯახებისას დააჯდა. ეს კოპები გვაძლევს შესაძლებლობას, ამ აღმოჩენის ღირებულებას მივხვდეთ.

ლოგოს პრესი – 2003, გვ. 47

## შალვა ნუცუბიძე

შალვა ნუცუბიძე (14 დეკემბერი, 1888, სოფ. ფარცხანაყანევი – 6 იანვარი, 1969, თბილისი), ქართველი ფილოსოფოსი, ლიტერატურათმციოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

## ფილოსოფია და სიპრემა

ფილოსოფოსობა ადამიანის საქმეა, ე.ი. უფრო მაღალ საფეხურზე იგი აღარ იქნებოდა საჭირო, ხოლო უფრო დაბალ საფეხურზე ჯერ კიდევ არ იქნებოდა აუცილებელი. ამიტომ ფილოსოფოსობა ეხება და ემთხვევა ადამიანურს. ამდენად, საჭიროა ანგარიში გაენიოს ფაქტიურ მდგომარეობას. მართალია, არსებობს ფილოსოფიის შენობის აგების სხვადასხვა სახე, რაც ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ამოცანა ფაქტიურიდან ღირებულისა და მნიშვნელოვანისაკენ ჯაფითა და თანდათანობით წინსვლისა. პრინციპების ფილოსოფია, ე.ი. აქსიომატურ ან აპრიორულ ძირითად დებულებებზე დამყარებული ფილოსოფია უფრო შთამაგონებელია. მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, დავადგინოთ ფილოსოფოსობის საწყისი წერილი და მისი შესაძლო პერსპექტივები.

ადამიანის, მისი ნიჭისა და ამოცანების უგულვებელყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ღმერთების შესაფერ საქმეთა ჩადენას. ამით მხოლოდ მძიმე შრომისა და გარჯის სიძნელეებს უგულვებელყოფენ, რადგან ადამიანი და ადამიანური განსაზღვრულობისა და შეზღუდულობის ტოლმნიშვნელოვანია. სწორედ ეს შეზღუდულობაა ფილოსოფოსობის პრობლემის საწყისი წერტილი, რადგან მასთან ერთად ისმება საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება სერთოდ მიღწეულ იქნას ჭეშმარიტება, როცა ჭეშმარიტების მაძიებელს ამძიმებს ეს ნაკლი. ადამიანსა და ადამიანურს რომ უწინარეს ყოვლისა ისეთი ბედი ეწეროს, რომ უცვლელი ჭეშმარიტების ცოდნის მიღება შეეძლოს, მაშინ კაცობრიობის მთელი ისტორია სხვაგვარად წარიმართებოდა და ეს ისტორია, ალბათ, აზრსა და ინტერესს დაკარგავდა. ადამიანი არის ისე, როგორც არის და შეიმეცნებს და ფილოსოფოსობს მხოლოდ ისე, როგორც ეს შეუძლია მას, ვითარცა ადამიანს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ანთროპოლოგიზმსა“ და „ფსიქოლოგიზმს“ მიღყოთ ხელი და კაცობრიობის განვითარების ვიწრო საზღვრები დავუწესოთ.

ცხადია, ადამიანი არ უნდა შეჩერდეს ადამიანურზე და არც შეუძლია გაჩერდეს ადამიანურზე, რადგან ის სამყაროში მარტო არ არის. ის მცოდნე უნდა იყოს იმისათვის, რომ სამყაროში მოქმედი გახდეს და აქ მის წინაშე

დგას ამოცანა, დაძლიოს ადამიანური. ამრიგად, ცოდნიდან განვითარდება სამყაროს ცოდნა, რათა შემდეგ სამყაროს შეცვლას, ე.ი. სიბრძნეს მიმართოს. ეს გზა არ უნდა დავიწყოთ ადამიანურის დამცირებით, რისი მაგალითებიც უფრო გვიან იქნება მოცემული. ის ნიადაგი, რომელზეც, შემდეგ გამოსაკვლევ დაპირისპირებებსა და მის საფეხურებში, გამოჩნდება ის მიმართულება, დაპირისპირებულობაზე მაღლა მდგომისაკენ რომ მივყავართ.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ სიბრძნე ადამიანის საქმეა, რადგან ადამიანის გარდა არც ერთ არსებას არ სჭირდება იქმნეს რაიმედ. როგორც უკვე ვთქვით, ქვედა საფეხურზე სიბრძნე შესაძლებელი არ არის, ხოლო ზედა საფეხური თავად სიბრძნეს ნიშნავს. მხოლოდ გარდამავალ მდგომარეობას სჭირდება სრულქმნა და სრულქმნილობისათვის შრომა-გარჯა, ხოლო სრულქმნილებისათვის უნარის უქონლობა კი უიმედოს ხდის მთელი სიბრძნის მიზანდასახულობას. ამრიგად, სიბრძნე ადამიანთა სიბრძნეა და არა ადამიანური სიბრძნე ვიწრო აზრით, ე.ი. მას შეუძლია ადამიანთან შეხებაში მოვიდეს, მაგრამ ისე, რომ ამავე დროს ადამიანურში არ გადავიდეს. იმისათვის, რომ მის არსებას მივუახლოვდეთ, უნდა ამოვიდეთ რაიმედან, როგორც ამოსავალი წერტილიდან. ეს ტოლძალოვანია იმისა, რასაც ფილოსოფიის ენაზე „სუბიექტივიზმის“ დაძლევა ჰქვია და რაც „ობიექტურისადმი“ მიახლოებას ნიშნავს, ხოლო „ობიექტური“ სიტყვის ამ მნიშვნელობით ჭეშმარიტებას უდრის. თუ ადამიანი შეიძლება ჭეშმარიტებას დაეუფლოს, ამით თვით ჭეშმარიტება ადამიანური როდი გახდება. ამის დადგენა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ფილოსოფოსებში ადამიანური მიმართებანი მივაკვლიოთ და იგი მის ბუნებრივ ჩარჩოში მოვათავსოთ. ეს ჩარჩოები საკმარისია მხოლოდ მანმადე, სანამ ურყევ ფაქტს ძალა აქვს: ფილოსოფოსობა არსებობს ადამიანებისათვის, მაგრამ არაა ადამიანურით განსაზღვრული.

თხ. ტ. III. თბილისი, 1979 წ.

## ნაცილი მეორე

### მეტაფიზიკა: ყოფიერებისა და ჟამანების ფილოსოფია

#### პლატონი

ფ ე დ ო ნ ი

XX

– ხოლო თუ დაბადებამდე ვეზიარეთ და, ამრიგად, დაბადებითვე თან დაგვყვა იგი, ცხადია, დაბადებამდეც და დაბადებისთანავეც გვეცოდინებოდა არა მარტო ტოლი თავის თავში, ან უფრო დიდი თუ უფრო პატარა, არამედ ყველა სხვა მათი მსგავსიც; რადგან ახლა ლაპარაკი გვაქვს არა მარტო ტოლობაზე თავის თავში, არამედ მშვენიერებაზეც თავის თავშიც, სიკეთეზეც თავის თავში, სამართლიანობისა და სიწმინდეზედაც, ერთის სიტყვით, ყველაფერზე, რაც ჩვენს საუბარში, კითხვებისას თუ პასუხებისას, თავის თავში არსებულის სახელით აღვძეჭდეთ. ამრიგად, ყოველივე ამის ცოდნას დაბადებამდე უნდა ვზიარებოდით უთუოდ.

– აგრეა.

– მაგრამ ამ ცოდნას ერთხელ ზიარებული ყოველი ახალი დაბადების შემდეგ თანდათან რომ არ ვკარგავდეთ მას, არა მარტო დაბადებითვე დაგვყვებოდა იგი, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზეც გაგვყვებოდა თან და, ამრიგად, მიწყივ მცოდნენი ვიქნებოდით კაცნი. რადგან იცისო, მასზე იტყვიან, ვინც ფლობს ერთხელ შეძენილ ცოდნას და არ კარგავს მას. ხოლო რას ვუწოდებთ დავიწყებას, ჩემო სიმია, თუ არა ერთხელ შეძენილი ცოდნის დაკარგვას?

– სხვას არაფერს, ჩემო სოკრატე, – მიუგო მან.

– მაგრამ თუ დაბადებამდე შეძენილ ცოდნას დაბადების შემდეგ ვკარგავთ და მერე გრძნობათა წყალობით უკანვე ვიბრუნებთ მას, რასაც უკვე ვფლობდით ოდესლაც, როგორ გგონია, რა იქნება ეგრეთ წოდებული სწავლა, თუ არა ხელახლი შეძენა ოდესლაც ჩვენი კუთვნილი ცოდნის? და, ალბათ, არ ვცდებით, როდესაც მოგონებას ვუწოდებთ მას.

– რა თქმა უნდა.

– რადგან ხომ ვაღიარეთ შესაძლებლობა იმისა, რომ საგანი, რომელსაც ხედვით, სმენით ან სხვა გრძნობით აღიქვამს კაცი, მასში იწვევს წარმოდგენას მეორე საგნისას, რომელიც ამ კაცს დაავიწყდა და რომელსაც მსგავსებისა თუ არამსგავსების საფუძველზე უახლოვდება აღქმული საგანი.

აქედან გამომდინარე, როგორც უკვე ვთქვით, ორიდან ერთი უნდა გავიღოთ უთუოდ: ან ამ ცოდნას ზიარებულნი მოვედით ქვეყნად ვიზეც ვამბობთ სწავლიბენო, დაბადების შემდეგ არას აკეთებენ, გარდა მოგონებისა და ამ შემთხვევაში სწავლა მოგონება იქნება სწორედ.

– სრული სიმართლეა, ჩემო სოკრატე.

ქვ. ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. 1966 წ. თბილისი.

## არისტოტელე

### ეპთაფიზიკა

#### თავი მესამე

ამრიგად, ნათელია, რომ თავდაპირველად მიზეზები უნდა იქნას შესწავლილი. რადგან მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვიცით თვითოეული საგანი, როდესაც ვფიქრობთ, რომ მისი პირველ მიზეზი შევიცანით. მიზეზი კი ოთხვარია. პირველი მიზეზი ენოდება საგანს, ან მის არსებას, რადგან ყოველი საგნის მიზეზი ლოგიკურად უკიდურესია. მიზეზი და საწყისი პირველია, რის გამოც არსებობს მოვლენა. მისი მეორე მნიშვნელობაა: მატერია და სუბსტრატი, მესამე – მოძრაობის საწყისი, მეოთხე – ამ უკანასკნელის საწინაარმდეგო – მიზანი ანუ სიკეთე, რაც ყოველივეს წარმოშობის და მოძრაობის მიზანია, ამის შესახებ ჩვენ საკმარისად ვიმსჯელეთ წიგნში „ბუნების შესახებ“. მაგრამ გვინდა გავითვალისწინოთ წინამორბედთა შესედულებებიც, რომლებიც არსებულს იკვევდნენ და ჭეშმარიტების შესახებ ფილოსოფოსობდნენ, რადგან ცხადია, რომ ისინი რაღაც საწყისებსა და მიზეზების შესახებ მსჯელობდნენ. ამის განხილვა კი ერთგვარად სასარგებლო იქნება კვლევის ჩვენი მეთოდებისათვის, რადგან ან რაღაც ახალი სახის მიზეზებს აღმოგვაჩინიებს, ანდა ახლახან დასახელებულთა არსებობაში უფრო მეტად დაგვარწმუნებს.

პირველ ფილოსოფოსთა უმრავლესობას ყოველივეს ერთადერთ საწყისად მატერიის სხვადასხვა სახეობა მიაჩნდა, რისგანაც მათი აზრით, შედგება, თავიდანვე წარმოიშობა და რაზედაც დაიშლება საბოლოოდ ყოველივე არსებული. მათ ის მიაჩნდათ არსებულის პირველ ელემენტად და საწყისად, რასაც არსება უცვლელი და თვისებები ცვალებადი აქვს. ამიტომაც ფიქრობენ ისინი, რომ რაიმე არც წარმოიშვება და არც იღუპება, არამედ მუდამ ერთსა და იმავე ბუნებას ინარჩუნებს. როგორც, მაგალითად, სოკრატეს შესახებ არ ვამბობთ, რომ ის კვდება, როცა ამ თვისებებს კარგავს, რადგან სოკრატე, როგორც სუბსტრატი რჩება. ასევე ყველა სხვა შემთხვევაშიც, რადგან არსებობს ან ერთი ან მეტი რაღაც

საწყისი ბუნება, საიდანაც წარმოიშობა ყოველივე ამ საწყისის შეუცველად. ამ საწყისის რაოდენობისა და სახის შესახებ ყველა ერთი აზრის არაა. მაგალითად, ასეთი ფილოსოფიის ფუძემდებელი თალესი საწყისად წყალს ასახელებდა, ამიტომაც ამტკიცებდა, რომ დედამიწა წყალზე ცურავსო. ასეთ შეხედულებამდე შესაძლებელია, ის იმიტომ მივიდა, რომ ხედავდა, რომ ყოველი საკვები სინოტივეს შეიცავდა და თვით სითბოც კი მისგან იყო წარმოიშობილი და მისთვის არსებობდა. ხოლო ის, რისგანაც ყოველივე წარმოიშობა, საწყისია. ის ამ შეხედულებამდე მივიდა, როგორც ზემოთქმულიდან, ისე იქიდან, რომ ხედავდა, რომ ყოველგვარ თესლს ნოტიო ბუნება ჰქონდა, ხოლო სინოტივის საწყისი კი წყალია.

ზოგიერთის აზრით, ბუნების შესახებ ასეთივე შეხედულება ჰქონდათ იმათ, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩვენზე ბევრად უფრო ადრე და რომლებმაც პირველებმა მოჰკიდეს ხელი თეოლოგიას. მათ ოკეანე და ტეთიდა<sup>5</sup> აქციეს წარმოიშობის მამად, ხოლო წყალი, რომელსაც პოეტები სტიქს – უწოდებნენ – ღმერთების ფიცად. რადგან ყველაზე პატივსაცემი, ყველაზე უფროსია, ამიტომ ფიცი ყველაზე უფრო პატივსაცემი უნდა იყოს. არის თუ არა ბუნების შესახებ ეს შეხედულება პირველი და უძველესი, შეიძლება, არ იყოს ცხადი, ის კი ცხადია, რომ პირველი მიზეზის შესახებ თალესი ასე მსჯელობდა, ჰიპონს კი არავინ არ ჩათვლის მათს გვერდით დაყენების ღირსად მისი შეხედულების უმნიშვნელობის გამო.

ანაქსიმენე და დიოგენე კი ჰეროს თვლიდნენ ყველაზე უადრეს და მარტივ სხეულთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საწყისად.

ჰიფასოს მეტაპონტელი და ჰერაკლიტე ეფესელი საწყისად თვლიდნენ ცეცხლს, ემპედოკლე – ოთხ ელემენტს, უმატებდა რა ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტებს მეოთხეს – მინას. მისი აზრით ეს ელემენტები მუდმივად არსებობდნენ და არ წარმოიქმნებიან, არამედ მიმატებითა და დაკლებით ხან ერთიანდებიან და ხან იმლებიან. ანაქსაგორა კლაძომენელი კი, რომელიც მასზე უფროსი იყო, მაგრამ მასზე გვიან გამოვიდა სამოლვანეო ასპარეზზე, რომ საწყისები უსაზღვროდ ბევრნი არიანო. თითქმის ყველა ერთნაირი ელემენტებისაგან შემდგარი ნივთიერებანი, როგორიცაა წყალი, ან ცეცხლი, ამბობდა ის, წარმოიშობიან და ისპობიან შეერთებითა და დაშლით. სხვანაირად ისინი არც წარმოიშობიან და არც ისპობიან, არამედ მარადიულად არსებობენო. აქედან გამომდინარე, ერთადერთ მიზეზად მატერიის რაღაც სახეობას ასახელებდნენ, მაგრამ მიინევდნენ რა წინ, თვით საქმე უჩვენებდა გზას და აიძულებდა კვლევას.

დავუშვათ, რომ ყოველი წარმოიშობა და მოსპობა ყოველთვის ერთი და მრავალი საწყისიდან წარმოებს. მაგრამ რატომ ხდება ეს ასე და რაა ამის მიზეზი? სუბსტრატი ხომ თავის თავს თვითონ ვერ შეცვლის? მე შემდეგს ვგულისხმობ: არც ხე და არც სპილენძი არ არის თავის თავის ცვალებადობის მიზეზი, რადგან არც ხე აკეთებს საწოლს და არც სპილენძი

<sup>5</sup> ტეთიდა – წყლის ღვთაებათა გამგებელი

ქანდაკებას, არამედ რაღაც სხვაა ამ ცვალებადობის მიზეზი. მის მოძებნა კი სხვა საწყისის მოძებნას მოითხოვს, რაც მოძრაობის საწყისია. ისინი, რომლებიც თავიდანვე კვლევის ამ გზას მიჰყვებოდნენ და ამბობდნენ, რომ სუბსტრატი ერთიანია, არავითარ დაბრკოლებებს არ ხვდებოდნენ. მაგრამ ერთი საწყისის მომხრეთაგან ზოგი კვლევა – ძიებით გატაცების შედეგად აცხადებდა, რომ ერთი მთელი თავის ბუნებით უძრავია და არა მარტო წარმოშობისა და მოსპობის თვალსაზრისით, (ამ ძველისძველ შეხედულებას ყველა იზიარებდა), არამედ ყოველგვარი ცვალებადობის თვალსაზრისითაც, რაშიც მდგომარეობს მათი თვალსაზრისის თავისებურება. იმათგან, რომლებიც სამყაროს ერთად თვლიდნენ, პარმენიდეს გარდა ვერავინ ვერ შეძლო ამ მიზეზის დანახვა. იმანაც იმდენად, რამდენადაც როგორლაც უშვებდა არა მხოლოდ ერთი, არამედ ორ მიზეზს. იმათ კი, რომლებიც უფრო მეტ შესაძლებლად თვლიდნენ მრავალი საწყისის არსებობას, როგორიცაა თბილი და ცივი ან ცეცხლი და მიწა, ცეცხლს იყენებდნენ, როგორც მოძრავი ბუნების მქონე წყალს, მიწას და სხვა ამდაგვარს და პირიქით – როგორც უძრავი ბუნებისა.

ამგვარი კვლევისა და საწყისების შემდეგ, რაც არსებული საგნების ბუნების ასახსნელად არ აღმოჩნდა საკმარისი, როგორც უკვე ვთქვით, იმავე ჭეშმარიტებით იძულებული ფილოსოფოსნი სხვა საწყისების ძიებას შეუდგნენ; არსებულ მოვლენათა სიკეთისა და მშვენიერების მიზეზი არ აღმოჩნდა არც ცეცხლი, არც მიწა, არც სხვა რაიმე ამდაგვარი. ამას, ალბათ, არც ისინი ფიქრობდნენ, მაგრამ არც ის იყო კარგი, რომ ასეთი მოვლენები მიენდოთ თვითდინებისა და შემთხვევისათვის.

დაუფიქრებლად მოლაპარაკე წინაპართა შორის გონიერად მოჩანდა ის, ვინც გონება გამოაცხადა როგორც მთელი სამყარო, ისე მისი წესრიგის მიზეზად, როგორც ცხოველებში, ისე მთელს ბუნებაში. ჩვენ გარკვევით ვიცით, რომ ამ შეხედულების მატარებელი ანაქსაგორა იყო. მაგრამ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ ვითიქროთ, რომ ეს შეხედულება უფრო ადრე ჰერმოტიმე კლაძომენელმა გამოთქვა. ამ თვალსაზრისი მომხრენი არსებულის თავდაპირველ მიზეზად ერთსა და იმავე დროს თვლიდნენ, როგორც მშვენიერების, ისე მოძრაობის საწყისს.

### (გვ. 53-55)

ცხადია ისიც, რომ არსებობს რაღაც საწყისი და როგორც ერთი და იმავე გვარის, ისე სხვადასხვა გვარის მოვლენების მიზეზები უსაზღვროდ ბევრი არ შეიძლება იყოს. რადგან ერთი მხრივ, შეუძლებელია მოვლენების დაუსრულებელი წარმოშობა მატერიისაგან, როგორც სხეულისა მიწისაგან, მიწისა ჰერისაგან, ჰერისა ცეცხლისაგან და ასე შემდეგ დაუსრულებლად. მეორე მხრივ – მოძრაობის საწყისიდან, მაგალითად, ადამიანს ამოძრავებს ჰერი, ჰერს მზე, მზეს მტრობა და ამ პროცესს საზღვარი რომ არ ჰქონდეს.

ასევე, არც მიზნის მიმართულებით შეიძლება პროცესი დაუსრულებელი იყოს: მაგალითად, ადამიანი დასეირნობდეს ჯანმრთელობისათვის, ჯანმრთელობა სურდეს ბედნიერებისათვის, ბედნიერება სხვა მიზნებისათვის და ასე მუდმივად ერთი მეორისათვის არსებობდეს.

ასეთივე მდგომარეობაა სუბსტრატშიც. ყოველ შუას აქვს რაიმე მომდევნო და რაიმე წინამორბედი. სადაც წინამორბედი აუცილებლად მომდევნოს მიზეზია. ჩვენ რომ ვინმემ დაგვავალოს, ვთქვათ, რომელიც ამ სამში მიზეზი, ჩვენ პირველს დავასახელებდით, რადგან მიზეზი არ შეიძლება, რომ უკანასკნელი იყოს, რომელიც არაფრის მიზეზი არაა. არც შუა, რომელიც მხოლოდ ერთის მიზეზია. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ერთია ის, თუ ბევრი. განსაზღვრული, თუ განუსაზღვრელი. როგორც ამგვარი, ისე საერთოდ, ყოველგვარი უსასრულობის ყველა ნაწილი ერთნაირად შუაში მდებარეობს პირველ წევრამდე. ისე რომ, პირველი წევრი რომ არ არსებობდეს, არც მიზეზი იარსებებდა.

მაგრამ არც დაბლა სვლა შეიძლება ასე დაუსრულებლად ზემო საწყისიდან. მაგალითად, ცეცხლიდან წარმოიშვას წყალი, წყლიდან მიწა და ასე მუდამ რაღაც სხვა სახეობა. ერთიმეორისაგან წარმოშობა კი ორგვარად ხდება. ერთიმეორის შემდეგ ვამბობთ ან იმ აზრით, რომ ისტმიური თამაშობების შემდეგ ოლიმპიური თამაშობებია, ან ბავშვის მამაკაცად და წყლის ჰაერად გარდაქმნის აზრით. რა აზრითაც ვამბობთ, რომ ბავშვიდან მამაკაცი წარმოიშობა, იმავე აზრით ვამბობთ, რომ ქმნადობის პროცესში მყოფიდან წარმოიქმნება ქმნილი და დასრულების პროცესში მყოფიდან დასრულებული. რადგან შუალედი ყველგანაა, როგორც არსა და არარსა შორის იმყოფება წარმოშობა, ასევე არსებულსა და არარასებულს შორის – წარმოშობის პროცესში მყოფი. მოსწავლე ხომ წარმოშობის პროცესში მყოფი მცოდნეა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლიდან მცოდნე წარმოიშვება. ისეთი წარმოშობის დროს კი, როგორიც ჰაერიდან წყლის წარმოშობაა, მეორე მხარე ისპობა. პირველ შემთხვევაში პროცესის შებრუნება არ შეიძლება, რადგან მამაკაცი ბავშვად არასოდეს არ გარდაქიმნება. წარმოშობილიდან წარმოშობის პროცესში მყოფი კი არ წარმოიქმნება, არამედ ის, რაც წარმოშობის პროცესის დასრულებას მოსდევს შედეგად. როგორც დღე წარმოიშვება დილიდან, რადგან მას მოსდევს, და დილა კი დღიდან არ წარმოიშვება. მეორე შემთხვევაში პროცესი შებრუნებადია. მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში პროცესი დაუსრულებელი არაა. იმათ, რომლებსც შუალედური საფეხური აქვთ, აქვთ დასასრულიც. მეორე შემთხვევაში კი მხარეები ერთიმეორეს ენაცვლებიან და ერთი მხარის სიკვდილი მეორის წარმოშობას ნიშნავს.

ამავე დროს შეუძლებელია, რომ პირველი წყარო, რომელიც მარადიულია მოისპოს. მაგრამ თუ წარმოშობა ზევიდან არაა დაუსრულებელი, აუცილებელია, რომ ის პირველი, რომლის დალუპვით რაიმე წარმოიშვა მარადიული არ იყოს. ამას გარდა, მიზანი, ანუ ის, „რისთვისაც რაიმე

ხდება”, ისეთია, რომელიც სხვისთვის კი არ არსებობს, არამედ რომლისთვისაც სხვა არსებობს. ამგვარად, თუ არსებობს რაღაც ისეთი კიდური წევრი, პროცესი აღარ იქნება დაუსრულებელი. და თუ ისეთი არ არსებობს, არც მიზანი იარსებებს. ისინი კი, რომლებიც ამ პროცესს დაუსრულებელს ხდიან, ივიწყებენ იმას, რომ ამით სიკეთის ბუნებას სპობენ. მაგრამ მიზნის მიღწევის იმედი რომ არ იყოს, არავინ არ მოჰკიდებდა ხელს რაიმე საქმეს და არც არსებობას ექნებოდა აზრი. რადგან გონიერი ყოველთვის რაიმე მიზნისათვის მოქმედებს. რაც საზღვარს წარმოადგენს. მიზანი რომ იგივე საზღვარია. „არსებობის“ ცნების სხვა განსაზღვრებაზე დაყვანით ცნებათა გამრავლება არაა საჭირო. წინამორბედი კი ყოველთვის უფრო მეტად არსებობს, ვიდრე მომდევნო, რადგან ის არსებობს მაშინაც, როცა მომდევნო არაა. მაგრამ თუ წინამორბედი არაა, მაშინ არც მომდევნო იარსებებს.

ცოდნას სპობენ ისინიც, რომლებიც ასე მსჯელობენ ცოდნა შეუძლებელია, სანამ არ მივაღწევთ დაუნაწევრებელ ელემენტებს, მაგრამ რადგან უსასრულოს გააზრება არ შეიძლება, არც შემეცნება იქნება შესაძლებელი.

ასეთი მდგრომარეობა არაა ხაზებში, სადაც დაყოფას საზღვარი არა აქვს. აზროვნება კი შეუძლებელია საზღვართან შეჩერების გარეშე, ამიტომ აუცილებელია მთელი უძრაობის დაშვება და განუსაზღვრელის არსებობის უარყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში განუსაზღვრელს არსება განუსაზღვრელი არ ექნება. მიზეზთა სახეები რიცხვით რომ განუსაზღვრელი ყოფილიყო, შემეცნებას არც ექნებოდა ადგილი. რადგან ჩვენი აზრით, ვიცით მაშინ, როდესაც შევიცნობთ მიზეზებს. განსაზღვრულ დროში კი იმის განხილვა, რასაც წევრთა განუსაზღვრელი რაოდენობა შეიძლება მიემატოს, შეუძლებელია.

### (გვ. 75)

არსებობს რაღაც მეცნიერება, რომელიც განიხილავს არსებულს, როგორც არსებულს და იმას, რაც მას თავისთავად ახასიათებს. ის არაა არც კერძო მეცნიერებანი, რადგან არც ერთი მათგანი არ სწავლობს ზოგადად არსებულს, როგორც არსებულს, არამედ გამოჰყოფს მის რომელიმე ნაწილს და იკვლევს მის შემთხვევით ნიშნებს, როგორც, მაგალითად, მათემატიკური მეცნიერებანი. რადგან საწყისებსა და უკანასკნელ მიზეზებს ვეძებთ, ცხადია, რომ ისინი რაღაც თავისთავად ბუნებას უნდა წარმოადგენდნენ. ამდენად, ვინც არსებულთა ელემენტებს ეძებს, ის აუცილებელ ისეთ საწყისებს ეძებს, რაც არა შემთხვევით, არამედ ჭეშმარიტად არსებული საგნების ელემენტებია. ასევე ვეძებთ ჩვენც არსებულის, როგორც არსებულის პირველ მიზეზებს.

## ჭიბეთი

### თავი პირველი

საწყისის პირველი მნიშვნელობაა საგნის თავდაპირველი მოძრაობის საწყისი. მაგალითად, საიდანაც იწყება საგნის სიგრძე და მიმართულება, იქვეა მისი საწყისიც. მოწინააღმდეგე მხრივ მოძრაობის საწყისი მეორე მხარეს ექნება. საწყისის მეორე მნიშვნელობაა საიდანაც ესა თუ ის საქმე უკეთესად კეთდება. მაგალითად, შემეცნების დროს საწყისია არა ის, საიდანაც შესწავლა იწყება, არამედ ის, საიდანაც ადვილია შესწავლა. მესამე შემთხვევაში საწყისად ითვლება ის, საიდანაც იქმნება საგანი. მაგალითად, გემისათვის ასეთია ფუძე, სახლებისათვის – ქვაკუთხედი, ცხოველებში, ზოგის აზრით, ესაა გული, ზოგის აზრით კი – ტვინი. დანარჩენნი სხვადასხვა საწყისებს ასახელებენ. საწყისის მეოთხე მნიშვნელობა, საიდანაც წარმოიშობა ის, რაც არ არსებობდა და საიდანაც იწყება ბუნებრივი მოძრაობა და ცვალებადობა. მაგალითად – ბავშვებისათვის საწყისია მამა და დედა და ბრძოლაში – ჩხუბი. საწყისის მეხუთე მნიშვნელობაა ის წინასწარი მიმართულება, რომელიც ეძლევა მოძრავ და ცვალებად საგანს, მაგალითად, რა აზრითაც ლაპარაკობენ, როგორც დამწყებზე, ქალაქის ხელმძღვანელზე, მმართველზე და ტირანზე, აგრეთვე ხელოვნებაზე და მათ შორის ყველაზე მეტად მშენებლობაზე. საწყისის მეექვსე მნიშვნელობაა ის, საიდანაც იწყება საგნის შემეცნება. მაგალითად, დასაბუთების საწყისია წინამძღვრები.

დაახლოებით, ამდენივე მნიშვნელობა აქვთ მიზეზებს, რადგან ყველა მიზეზი საწყისია. ყველა საწყისისათვის, უპირველეს ყოვლისა, საერთოა ის, რომ მათგან ან არსებობს, ან წარმოიშვება, ან შეიცნობა საგანი. ამათგან, ზოგი თვით საგანშივე არსებობს, ზოგი – მის გარეთ. მაშასადამე, საწყისია ბუნებაც, ელემენტიც, განსჯაც, გადაწყვეტილებაც, სუბსტანციაც და მიზანიც. ბევრ შემთხვევაში შემეცნებისა და მოძრაობის საწყისია სიკეთე და მშენიერება.

#### (გვ. 139-140)

სუბსტანციაზე ვლაპარაკობთ თუ მრავალი არა, ოთხი ძირითადი მნიშვნელობით მაინც. სუბსტანცია, როგორც ჩანს, ნიშნავს კონკრეტულ საგანს, ზოგადს, გვარს, და მეოთხე, ყველა ამათ სუბსტრატს. სუბსტრატი კი არის ის, რაზედაც ითქმის სხვა, თვითონ კი სხვაზე არასოდეს არ ითქმის. ამიტომაც პირველ რიგში ეს უნდა განისაზღვროს. ყველაზე უფრო მეტად სუბსტანცია უნდა იყოს პირველი სუბსტრატი. პირველი მნიშვნელობით სუბსტრატად შეიძლება მიჩნეული იქნას მატერია, მეორე მნიშვნელობით – ფორმა და მესამით – მათგან წარმოებული.

მატერიაში მე ვგულისხმობ, მაგალითად, სპილენძს, ფორმაში – იდეას, რომელიც ქანდაკებაშია გამოხატული, მათგან კი წარმოდგება მთელი, ამ შემთხვევაში ქანდაკება. ამიტომ, თუ ფორმა წინ უსწრებს მატერიას და მასზე უფრო მეტად არსებობს, მაშინ ამავე მსჯელობით ის ორივესაგან წარმოებულზედაც ადრე იქმნება.

ამრიგად, ჩვენ ზოგადად ვთქვით, თუ რას წარმოადგენს სუბსტანცია: რომ ის არ ითქმის სხვა სუბსტრატზე, არამედ სხვა ითქმის მასზე, მაგრამ მხოლოდ ეს მსჯელობა არაა საკმარისი, რადგან საკითხი არ ხდება ნათელი, გარდა ამისა, მატერია სუბსტანციად იქცევა. მაგრამ, თუ მატერია სუბსტანცია არაა, გადაუწყვეტიელი რჩება, რა არის სუბსტანცია. უარვყავით რა ყოველივე სხვა, არა ჩანს, თუ რა დარჩა სუბსტანციად. ყოველივე სხვა რომ სხეულის მდგომარეობა, თვისება და უნარია. რაც შეეხება სიგრძეს, სიბრტყესა და სიღრმეს, ისინი სხეულის რაღაც რაოდნეობრივი მხარე არიან და არა სუბსტანცია. სუბსტანცია რაოდენობა არაა, რადგან რასაც რაოდენობა ახასიათებს, როგორც პირველს, ისაა სწორედ სუბსტანცია. თუ ჩამოვაცილებთ სიგრძეს, სიბრტყეს, სიღრმეს, ვნახავთ, რომ არაფერი აღარ დაგვრჩა, იმის გარდა, რასაც ესენი განსაზღვრავდნენ. ამ თვალსაზრისით განხილვისას აუცილებლად მხოლოდ მატერია მოსჩანს სუბსტანციად.

მატერიაში თავისთავად მე ვგულისხმობ არა საგანს, არა რაოდენობას, და არა სხვა რაიმეს, რომლითაც არსებული განისაზღვრება, არამედ იმას, რის შესახებაც ითქმის თითოეული ამათგანი და რომელსაც სხვადასხვაგვარი არსებობა აქვს, ვიდრე ყველა ამ კატეგორიას. ყოველივე სხვა ითქმის სუბსტანციაზე, სუბსტანცია კი მატერიაზე. ასე რომ უკანასკნელი თავისთავად არაა არც კონკრეტული საგანი, არც რაოდენობა და არც სხვა რაიმე, არც ამათი უარყოფა, რადგან ისინი შემთხვევითი არიან. ამ მოსაზრებებიდან კი გამომდინარეობს, რომ სუბსტანცია არის მატერია. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან, როგორც ჩანს, დამოუკიდებელი და გარკვეული სახით ყველაზე მეტად სუბსტანცია არსებობს. ამიტომაც ფორმა და ორივესაგან წარმოშობილი უფრო მეტად არის სუბსტანცია, ვიდრე მატერია, ხოლო ორივესაგან წარმოშობილი კი არის კონკრეტული საგანი. მხედველობაში მაქვს ფორმისა და მატერიისაგან წარმოებული საგანი, მაგრამ ამის განხილვა გვერდზე უნდა გადავდოთ, რადგან ის მათ შემდეგაა, და ნათელიცა. ასე თუ ისე, ნათელია მატერიაც, საკვლევია მესამე, რაც ყველაზე მეტად რთულია.

საყოველთაო აღიარებით სუბსტანციები რაღაც შეგრძნებადნი არიან, ასე რომ, სუბსტანციები, უპირველესად ყოვლისა, მათ შორის არიან საძიებელნი.

მიზანშეწონილია კვლევა მიემართებოდეს უფრო მეტად ცნობილისაკენ, რადგან ცოდნას ყოველთვის ასე ვიღებთ: ბუნებრივად ნაკლებ ცნობილიდან მეტად ცნობილისაკენ მსვლელობით. მაგრამ როგორც პრაქტიკაში,

ძნელი საქმეა იმისაგან, რაც ერთისათვის არის სიკეთე, იმის მიღება, რაც საერთო და საყოველთაო სიკეთეა, ასევე ძნელია ერთისათვის ცნობილიდან ბუნებრივად ცნობილისა და ყველასათვის ცნობილისაკენ ძიების წარმართვა. მაგრამ ხშირად თვითონ ისაა ნაკლებად გასაგები, ან უმნიშვნელო, ანდა სრულიად არარსებული, რაც გასაგებია ინდივიუმისათვის და რაც გასაგებია პირველ რიგში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ მეთოდით, რომელზედაც უკვე გვქონდა ნათქვამი, უნდა ვცადოთ თავისთავად ნაკლებად ცნობილიდან საყოველთაოდ ცნობილზე გადასვლა.

თბილისი 1964

## იოანე პეტრიწი

იოანე პეტრიწი, XI-XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი (გადმოცემით იოანე ფილოსოფოსის ჭიმჭიმელსაც უწოდებდნენ). ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, მხოლოდ XVIII საუკუნის მნიგნობარნი იუწყებიან, რომ იოანე პეტრიწი სამცხიდან იყო, დიდგვაროვანი ჩამომავლობისა. ახალგაზრდობაში სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში, სადაც მას ასწავლიდნენ ბიზანტიური რენესანსის წარმომადგენლები: მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალოსი. დავით ალმაშენებლის მოწვევით მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში.

## განმარტება პროგლე ღიაღოსნის «ღვთისმეტყველების საჟუმბლებისა»

ჩვენ გვმართებს დიდი საღვთისმეტყველო თეორიების (ხედვათა) იდეის (გვარის) შეცნობა და წინასწარვე გაგება წინამდებარე წიგნის აზრისა. ამ წიგნის აზრი კი შემდეგს მოიცავს: პირველად – რათა წარმოაჩინოს ერთი, არის თუ არა [იგი] ერთი და სილოგიზმის (თანშესიტყვის) იძულებით დაასაბუთოს (აღმოაჩინოს) ეს მრავალსაქადაგო ერთი, რათა არ იქნას და არ მოხდეს ისე, რომ არაერთს ამბობდნენ და იზიარებდნენ ერთად. რადგანაც მყოფთა შორის მრავალი გვიქადაგის ერთყოფნას, მაგრამ ისინი არ არიან ერთი. ამიტომ ლოგიკის (სიტყვიერების) კანონების საშუალებით ეძიებს და პოვებს უზადო ერთის სიწმინდეს...

ფილოსოფოსი ამბობს, რომ „ყოველი სიმრავლე როგორმე ეზიარებაო ერთს“.


ჩვენ გვმართებს ბრძენთა აზრის განჭვრეტა, რომ ყოველი „სიმრავლე ერთს ეზიარება“, და თუ არა, „ვნახოთო“ – ამბობს იგი, „რაოდენი შეუსაბამობა მოსდევს თან“. ამას იგი მრავალკეცი აზრით გამოსცდის და ყოველმხრივ განხილვის შემდეგ მტკიცებით (აღმოსაჩენთა მიერ) აღჭურ-

ვილ იმავე პირველ თქმულის დანასკვის სახით დაამტკიცეს, რომ „ყოველი სიმრავლე ეზიარება ერთსა“.

დაისწავლე, რომ ამ პირველ გამონათქვამს (სიტყვას) ჰქვია წინ ჩამოსაგდებელი სიტყვა. მაგალითად, როცა იტყვი, მე ამას ვამბობ, შენ კი მოწინააღმდეგვ, ამას არ ამბობს, მაშ გამოაჩინოთ დასაბუთების კანონების საშუალებით: როგორც სილოგიზმის (თანშეიტყვის) იზულებითი კანონი ასაბუთებს, საწინააღმდეგო [დებულება] უკუიგდება უარყოფს (უკურღვევის) გზით.

შემდეგ [ფილოსოფოსი] ისევ იღებს პირველს, წინასწარ დაშვებულ დებულებას (წინჩამოსაგდებელ სიტყვას) და ეუბნება: მაშასადამე ასეა. როგორც ახლა აქ ნახე, პირველიცა და დასასრულიც ერთნაირია. პირველს ეწოდება პროვლიმა, რაც წინჩამოსაგდებელია, საშუალს – კატასკევი, რაც აგებას (დაკაზმვას) ნიშნავს რადგანაც ამ დასაბუთების საშუალებით საბუთება (აღმოიჩინების) ყოველი დასასაბუთებელი (აღმოსაჩენი). ასევე სხვა მაგალითებზეც ნახავ. მაგალითად, თუ მკურნალი თავდაპირველად სენს არ გამოიცნობს, როგორ დაჲკაზმავს წამალს? აი, ეს გამოსაცნობი პრობლემად ჩათვალე, ხოლო კატასკევი – დაკაზმვად, რაც არის დასაბუთებისათვის საჭირო ელემენტების თხზვა და შემუშავება. ხოლო მესამეა – სკმპერაზმა, რაც დანასკვია (თანგასავალი).

აი, ამ მცირედით შემოისაზღვრება არისტოტელეს „ორგანონის“ კანონი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ლოგიკური გზით (სულისა მიერ სიტყვიერისა) რისიმე შემეცნება (გაგონება). აი, სქემაც, ანუ ნაკვეთსაც წარმოვადგენ:



ამ პირველ საზღვარს ეწოდება პროტასი. საშუალოს – კიდეთა შემკვრელი, ხოლო დასასრულს – სკმპერაზმა, რომელიც გამოსავალია (თანგასავალია) ორივე კიდურთაგან.

აი, ასეთია ლოგიკის კანონები, შეისწავლე ისინი. ხედავ, როგორ აღიარა „ცხოველის“ მეშვეობით კაცი არსებად? შეხედე, თუ როგორ ხდება ყველანაირი ცნობა და ძიება საშუალოსაგან! იგი აერთებს და აზიარებს

ორივე კიდურს.

„ყოველი სიმრავლე ერთს ეზიარება“ და ჰგავს კიდეც, რადგანაც ყოველი მაზიარებელი მსგავსების გზით ეზიარება თავის საზიარებელს, ამიტომ ჰგავს სიმრავლე ერთს. ავიღოთ, მაგალითად, რომელიმე სიმრავლე, იყოს თუნდაც ასე. გაიგე, რომ მასში შემავალი ყოველი რიცხვი და მხოლო, სათითაოდ აღებული, ერთია. და თვით გვარის შექმნელი (გჰეარმყოფელი), როგორიცაა ასობა – ერთია, რადგანაც ერთია მეასე რიცხვი, რომელმაც თავისში შემავალი ყოველი ნაწილი თავის გვარეობაში გააერთიანა (თვის გუარყვნა). თვითონ ის მეასე ერთია და ერთისგვარი. ხედავ, თუ როგორ გადასცა ერთმა თავისი თვისება ყველას – ნაწილებსაც და თვით მთელსაც კი? ნაწილად ის რიცხვები გაიაზრე, რომელთაგანც ასობა შედგება, ხოლო მთელად – თვით არსობის მხოლობა.

თბილისი, 1999 წ.

## რენე დეკარტი

რენე დეკარტი (ფრანგ. René Descartes) 1596-1650. ასევე ცნობილი როგორც კარტეზიუსი – ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და მეცნიერი. ახალი დროის ფილოსოფიის ფუძემდებელი და „თანამედროვე მათემატიკის მამა“. დეკარტმა შექმნა ანალიზური გეომეტრიის საფუძვლები. მისი ძირითადი ნაშრომებია: „მეთოდის შესახებ“ და „მეტაფიზიკური მედიტაციები“.

## მეტაფიზიკური განაზრებანი

### განაზრება პირველი

იმ საგანთა შესახებ, რომელნიც შეიძლება ეჭვის ქვეშ იქნენ დაყენებულნი დღეს კი არ მაქვს შენიშნული, რომ ჩემი არსებობის პირველი წლებიდანვე მრავალი ყალბი შეხედულება მე ჭეშმარიტ შეხედულებად ჩამითვლია და რომ ის, რაც მე შემდეგ ასე ცუდად განმტკიცებულ პრინციპებზე დამიმყარებია, არ შეიძლებოდა ძალიან საეჭვო და არასანდო არ ყოფილიყო. მას აქეთ მე გადაწყვეტილი მქონდა, რომ საჭირო იყო რათა ერთხელ ჩემი ცხოვრების განმავლობაში სერიოზულად მეცადა დამეღნია თავი ყველა იმ შეხედულებისაგან, რომელიც უწინ ნდობით მიმიღია, და ყველაფერი ხელახლა, საფუძვლებიდან დამეწყო, თუკი მსურდა ამეშენებინა მეცნიერებაში რაიმე მტკიცე და მყარი. მაგრამ, ვინაიდან ასეთი ცდა ძალზე ძნელ საქმედ მეჩვენებოდა, მე დავუცადე იმ ასაკის მიღწევას, რომელიც საკმაოდ მომწიფებული იქნებოდა იმისათვის, რათა არ მქონებოდა იმედი, რომ მოვესწრებოდი სხვა ასაკს, როდესაც მე უკეთესად შევძლებდი ამ ცდის შესრულებას. ამან მე იმდენი მალოდინა, რომ ან დანაშაულს ჩავი-

დენდი, თუ დროის იმ მანძილს, რომელიც მრჩება მოქმედებისათვის, ისევ ლოდინს მოვანდომებდი. მაშ, დღეს, როდესაც მე ამ მიზნისათვის ძალიან შესაფერისად, გავითვისუფლე გონება ყოველგვარი ზრუნვისაგან, როდე-საც მშვიდობიან განმარტოებაში მოვიპოვე საიმედო მყუდროება, მე სე-რიოზულად და თავისუფლად შევეცდები გავანადგურო ყველა ჩემი ძველი შეხედულება საზოგადოდ. ამის მისრნევად არ იქნება საჭირო ვაჩვენო, რომ ყველა შეხედულება ყალბია, რასაც შეიძლება მე ვერასოდეს ვერ მოვრჩე-ბოდი. მაგრამ, რაკი გონება მარწმუნებს უკვე, რომ საგნების დაჯერებას, რომლებიც არ არიან სავსებით სანდო და უეჭველი, მე ვალდებული ვარ ვუფრთხილდებოდე არა ნაკლებ, ვიდრე ისეთების დაჯერებას, რომლებიც მე აშკარად ყალბად მეჩვენება. ეს გარემოება საკმარისი საფუძველია იმ-ისათვის, რათა მე უარყო ყველა საგანი, თუ შევძლებ თითეულში ეჭვი-სათვის რაიმე საბუთი აღმოვაჩინო. ამიტომაც არ იქნება აგრეთვე საჭირო, რომ თითეული საგანი გავსინჯო ცალ-ცალკე, რასაც უსაზღვრო შრომა დასჭირდებოდა; არამედ მე უნინარესად იერიშს მივიტან იმ პრინციპებზე, რომლებზედაც დამყარებული იყვნენ ყველა ჩემი ძველი შეხედულებანი, ვინაიდან საფუძვლის დანგრევას აუცილებლად მოჰყვება თან შენობის და-ნარჩენი ნაწილის დანგრევაც.

ყოველივე, რაც აქამდე ყველაზე ჭეშმარიტად და სანდოდ მიმაჩნდა, მე გრძნობისაგან ან გრძნობათა საშუალებით შემიცვნია. მაგრამ მე ზოგჯერ გამომიცდია, რომ ეს გრძნობები მატყუერები იყვნენ; და უგუნურება არ იქნება, თუ არასოდეს არ მოვეკიდებით სრული ნდობით იმის, რასაც ჩვენ ერთხელ მოვატყუებივართ.

მაგრამ, თუმცა გრძნობები, შესაძლებელია, ზოგჯერ გვატყუებენ ჩვენ ძალიან სუსტად საგრძნობსა და ძალიან დაშორებულ საგნებში, მიუხედავად ამისა, არის მრავალი სხვა საგანი, რომლებიც ჩვენ გრძნობების საშუალებით გავქვს შეცნობილი და რომლის მიმართ საბუთიანი ეჭვი მაინც არ შეიძლება. მაგალითად, არ შეიძლება დაეჭვება იმაში, რომ მე ვარ აი აქ, ვზივარ ცე-ცხლთან, მაცვია საშინაო ტანისამოსი, ხელიში მიჭირავს აი ეს ქალალდი. ან როგორ შევძლებდი მე იმის უარყოფას, რომ ეს ხელები და ეს ტანი მე მეკუთვნიან, თუ არ დავემსგავესებოდი ალბათ იმ გადარეულებს, რომლების ტვინი იმდენად შერყულია და იმდენად დაბნელებულია ნაღველის პნელი ქარებით. რომ ისინი განუწყვეტლივ გაიძახიან – ხელმწიფენი ვართო (თუმ-ცა ნამდვილად ძალიან ღარიბები არიან), ოქროსა და პორფირის ტანისა-მოსი გვაცვიაო (როდესაც ნამდვილად სრულიად ტიტვლები არიან), ანდა ნარმოდგენი აქვთ, თითქოს ისინი კოკები იყვნენ ან მინის ტანი ჰქონდეთ? მაგრამ ესენი ხომ შეშლილები არიან, და მეც არა ნაკლებ საკვირველი რამ ვიქნებოდი, თუ მათ მაგალითს ჩემთვის წესად ვაქცევდი.

ამავე დროს მე აქ ისიც უნდა გავითვალისწინო, რომ კაცი ვარ და, მაშასადამე, მაქვს ძილის ჩვეულება და ჩემს სიზმრებში ისეთსავე საგნებს ნარმოვიდგენ ხოლმე (ზოგჯერ კი უფრო ნაკლებ სანდო საგნებსაც), რო-

გორიც წარმოუგებათ ამ გადარეულებს სიფხიზლის დროს. რამდენჯერ მქონია შემთხვევა მენახა ღამით, სიზმარში თითქოს მე ამ ადგილზე ვიმყოფებოდი, ჩაცმული ვიყავი და ცეცხლთან ვიჯექი, თუმცა სინამდვილეში ტანისამოს გახდილი ვიწექი ჩემს ლოგინში! მართალია, ამჟამად მეჩვენება, რომ ამ ქალალდს ვუცქერდი არა მძინარე კაცის თვალებით; რომ ეს თავი, რომელსაც მე ვაქნევ, სრულიადაც არ თვლემს; რომ მე ამ ხელს ვმართავ განზრახულად და შეგნებული მსჯელობის საფუძველზე (დე პროპოს დელიბერე), და რომ მე ვგრძნობ ამას. ის რაც ძილში ხდება, სრულიადაც არ ჩანს ისე ნათლად და არც ისე გარკვეულად, როგორც ყველაფერი ეს. მაგრამ, ვუფიქრდები რა საქმეს ბეჭითად, მაგონდება, რომ ხშირად, ძილის დროს, მე მოტყუებული ვყოფილვარ მსგავსი მოჩვენებებით, და, ვაკვირდები ამ აზრს, მე ვხედავ, რომ არ არსებობს არავიათარი სანდო ნიშანი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყოს სიფხიზლის ზუსტი გარჩევა სიზმრისაგან, – ვხედავ ისე აშკარად, რომ პირდაპირ გაოცებული ვრჩები. და ეს ჩემი გაოცება ისეთია, რომ მას თითქმის შეუძლია დამარწმუნოს, რომ მე ახლაც მძინავს

მაში, ვიგულისხმოთ ახლა, რომ ჩვენ გვძინავს და ყველა ეს კერძო მოქმედება, როგორიცაა ის, რომ თვალებს ვახელთ, რომ თავს ვაქნევთ, რომ ხელებს ვმართავთ და სხვა ამისთანები. მხოლოდ ყალბი მოჩვენებაა; და წარმოვიდგინოთ, რომ არც ჩვენი ხელები, არც მთელი ჩვენი ტანი შესაძლებელია არ არიან ისეთები, როგორებსაც ჩვენ მათ ვხედავთ. მაგრამ, ის ხომ მაინც უნდა ვალიაროთ, რომ საგნები, რომლებიც ჩვენ სიზმარში წარმოგვიდგნენ, ისეთებია, როგორიც სურათები და ნახატები, რომლებიც არ შეიძლება შეიქმნან, თუ არა რომელიმე ნამდვილ და ჭეშმარიტ საგანთან მიმსგავსებით. ასე რომ, ეს ზოგადი საგნები მაინც, როგორიცაა თვალები, თავი, ხელები და მთელი ტანი, არიან არა წარმოსახული, არამედ ნამდვილი და არსებული საგნები. ვინაიდან მხატვრები იმ დროსაც კი, როდესაც ისინი უდიდესი ოსტატობით ცდილობენ სირენები და სატირები წარმოადგინონ უცნაური (ბიზარრეს) და უჩვეულო ფიგურებით, მაინც მოკლებული არიან შესაძლებლობას – მისცენ მათ სრულიად ახალი მოყვანილობა და ხასიათი და კმაყოფილდებიან იმით, რომ აკეთებენ სხვადასხვა ცხოველთა ნაწილების ერთგვარ ნარევსა და შეერთებას. ხოლო, თუ ამ მხატვრების წარმოსახვის უნარი საკმაოდ არაჩვეულებრივია იმისათვის, რათა გამოიგონის იმდენად ახლაი რამ, რის მსგავსიარასოდეს უნახავს ვისმე, და ამრიგად მათი ნაწარმოებები წარმოადგენს სრულიად მოგონილსა და აბსოლუტურად ყალბ საგანს, ამ შემთხვევაში ის, ფერები მაინც, რომლებასაც ისინი აძლევენ ამ საგნებს, აუცილებლად ჭეშმარიტი უნდა იყვნენ.

ამავე მოსაზრების ძალით, კიდევაც რომ არანამდვილი იყვნენ ეს ზოგადი საგნები, სახელდობრივ, ტანი, თვალები, თავი, ხელები და სხვა ასეთები, და მაინც აუცილებლად საჭიროა ვალიაროთ, რომ არიან რაღაც სხვა,

უფრო მარტივი და უფრო უნივერსალური საგნები, რომლებიც ჭეშმარიტი და არსებული არიან და რომლების ერთმანეთთან შეერთების საშუალებით შექმნილია ჩვენს აზრში მყოფი ყველა წარმოდგენა, როგორც ჭეშმარიტი-და რეალური, ისე მოგონილი და ფანტასტიკური საგნებისა – აი სწორედ ისე, როგორც შედგენილია ისინი ჭეშმარიტი ფერებისაგან.

საგანთა ამ გვარისაა საზოგადოდ ნივთიერი ბუნება და მისი ვრცეულობა, აგრეთვე განვითარება საგანთა მოყვანილობა, მათი ოდენობა ან სი-დიდე და მათი რიცხვი, ისე როგორც ადგილი, სადაც ისინი იმყოფებიან, დრო, რომელიც ზომავს მათ გრძელებას, და სხვა მსგავსი რამ აი ამიტომ ჩვენ, შეიძლება, არ გავაკეთებთ ცუდ დასკვნას აქედან, თუ ვიტყვით, რომ ფიზიკა, ასტრონომია, მედიცინა და ყველა სხვა მეცნიერება, რომელიც დამოკიდებული არიან რთულ საგანთა განხილვისაგან, ძალიან საეჭვო და არასანდო არიან; მაგრამ არითმეტიკა, გეომეტრია და ამავე ბუნების სხვა მეცნიერებანი, რომელიც მხოლოდ ძალიან მარტივ და ძალიან ზოგად საგანთა შესახებ მსჯელობენ და ამავე დროს დიდად არ იტკენენ თავს საკითხით-არსებობენ ეს საგნები ბუნებაში, თუ არ არსებობენ, შეიცავენ რაღაც სანდოსა და უეჭვოს; ვინაიდან, გინდ ფხიზლად ვიყო, გინდ მეძინოს, ორისა და სამის შეერთება ყოველთვის იქნება რიცხვი ხუთი და კვადრატს არასოდეს არ ექნება ოთხზე მეტი მხარე. მართლაც, შეუძლებლად ჩანს, რომ ასეთი ნათელი და ასეთი ცხადი (apparente) ჭეშმარიტების შესახებ შეიძლებოდეს ეჭვი, რომ ისინი ყალბი და არასანდოა.

მაგრამ დიდი ხანია, რაც მე ჩემს გონებაში მაქვს ერთი რაღაც შეხედულება, რომ არსებობს ღმერთი, რომელსაც ყველაფერი შეუძლია და რომლის მიერ ვარ მე გაკეთებული და შექმნილი ისეთად, როგორიც ვარ. მაშ, რა ვიცი, რომ ღმერთს არ გაეკეთებინოს ისე, რომ არ არსებობდეს არავითარი მინა, არავითარი ცა, არავითარი ვრცელი სხეული, არავითარი მოყვანილობა, არავითარი ადგილი და, მიუხედავად ამისა, მე მაინც მქონდეს ყველა ამ საგანთა განცდა და სწორედ იმნაირად არსებულად მეჩვენებოდნენ ისინი, რანაირებსაც მე მათ ვხედავ. კიდევ მეტი: ვინაიდან მე ზოგჯერ ვამჩნევ, რომ სხვები ცდებიან ისეთ საგნებში რომლებიც მათივე ფიქრით მათ ძალიან კარგად იციან – რა ვიცი, რომ ღმერთს ისე არ გაეკეთებინოს, რომ მე ვცდებოდე ყოველთვის, როდესაც ორს ვა-მატებ სამს, ან ვთვლი კვადრატის მხარეებს, ან ვმსჯელობ ამაზე კიდევ უფრო ადვილ რამეზე, თუ საზოგადოდ შესაძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე, რაც ამაზე უფრო ადვილი იქნება? – შესაძლებელია რომ ღმერთს არ ჰქონოდა სურვილი, რომ მე ასე ვყოფილიყავ მოტყუებული, ვინაიდან მის შესახებ ამბობენ, რომ იგი უაღრესად კეთილია. მაგრამ, თუ ღმერთის სიკეთის საწინააღმდეგო იქნებოდა, იმნაირად გავეკეთებინე მე, რომ ყოველთვის ვტყუვდებოდე, ეს, როგორც ჩანს, მისი საწინააღმდეგო იქნებოდა, იმნაირად გავეკეთებინე მე, რომ ყოველთვის ვტყუვდებოდე, ისიც როგორც ჩანს, მისი საწინააღმდეგო იქნებოდა აგრეთვე, რომ მე მის-

სივე ნებით ვტყუვდებოდე ზოგჯერ; მიუხედავად ამისა, მე არ შემიძლია ვეჭვობდე, რომ ღმერთი ამის ნებას იძლევა. შეიძლება აქ ისეთი პირებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც უმალ ამჯობინებდნენ ასეთი ძლიერი ღმერთის არსებობის უარყოფას, ვიდრე იმის დაჯერებას, რომ ყველა დანარჩენი საგანი არაა სარწმუნო, მაგრამ ამჯამად ნუ გავუწევთ ასეთ პირებს წინააღმდეგობას და დავუშვათ მათ სასარგებლოდ, რომ ყველაფერი, რაც აქ ღმერთის შესახებ ითქვა, ზღაპარი იყოს. მიუხედავად ამისა, რანაირი წარმოდგენაც არ ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ როგორ მივიღე მე ეს მდგომარეობა და ეს არსება, რომლებიც მაქვს, სულერთია, თვლიან ისინი ამის მიზეზად წერას ან ბედს, თუ შემთხვევას, თუ ერთმანეთის მომდევარ საგანთა უწყვეტ კავშირს ან სხვა რასმე, რაკი შეცდომაში ჩავარდნა და მოტყუებულად ყოფნა არის უსრულობა, ამიტომ, რაც უფრო უძლრი იქნება ის შემოქმედი, ვისაც ისინი ჩემს გაჩენას მიაწერენ, მით უფრო დასაჯერებელი იქნება რომ მე იმდენად უსასრულო ვარ, რომ ყოველთვის ვტყუვდები. ამ საბუთების წინააღმდეგ მე არაფერი მაქვს, ცხადია, საპასუხოდ და ბოლოს იძულებული ვარ ვალიარო, რომ ყველა იმაში, რაც მე ოდესმე ჭეშმარიტად მიმაჩინა, არაფერია ისეთი, რაშიც მე არ შემეძლოს ასე თუ ისე ეჭვის შეტანა: ასეც არა ზერელობის ან ქარაფშუტობის გამო, არამედ ძალიან მძიმე და დინჯად აწონ-დაწონილი საბუთების მიხედვით. ასე რომ, მომავალში მე არანაკლები სიფრთხილით უნდა ვერიდებოდე ამის დაჯერებას, ვიდრე იმისა, რაც აშკარად ყალბი იქნება, თუ კი მე მსურსალ-მოვაჩინო მეცნიერებაში რაიმე სანდო და სარწმუნო.

მაგრამ არ კმარა ამ შენიშვნების გაკეთება. საჭიროა კიდევ მივიღო ზომები, რათა მე მახსოვდეს ისინი, ვინაიდან ძველი და ჩვეულებრივი შეხედულებანი ხშირად მომდიან კიდევ აზრში. ხანგრძლივმა ჩვეულებამ მისცა მათ, ჩემი ნების წინააღმდეგ, ჩემს გონებაში ყოფნისა და ჩემს რწმენაში თითქოს სრული ბატონობის უფლება; და მე არასოდეს არ გადავეჩვენი ამ შეხედულებებისადმი ნდობით მოპყრობას, სანამ მე მათ ისე დავაფასებ, როგორიც არიან ისინი ნამდვილად, სახელდობრ, როგორც (თანახმად ზემოთქმულისა) ასე თუ ისე საეჭვოებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იმდენად საალბათობს, რომ გაცილებით უფრო გონიერია მათი მიღება, ვიდრე მათი უარყოფა. აი ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ცუდად არ მოვიქცევი, თუ მე განზრახ საწინააღმდეგოდ მიმართულებისაკენ გადავისრები და მოვატყუებ რა ჩემს თავს, რამდენიმე ხნით განგებ წარმოვიდგენ, რომ ყველა ეს შეხედულება სავსებით ყალბი და ფანტასტიკურია, და ასეთი წარმოდგენა მექნება მანამდე, სანამ ჩემი ძველი და ჩემი ახალი ყალბი შეხედულებები ისეთს წონასწორობაში არ იქნებიან მოყვანილი, რომ მათ აღარ ექნებათ ძალა გადახარონ ჩემი შეხედულება უმალ ერთ მხარეზე, ვიდრე მეორეზე, და ჩემი მსჯელობაც არ იქნება ან დამონებული ცუდი ჩვევებით და არ მოცდება იმ სწორ გზას, რომელსაც შეუძლია იგი ჭეშმარიტების შემეცნებამდე მიიყვანოს. მე ვარ დარწმუნებული, რომ ჯერჯერობით ამ

გზაზე საშიში არ არის არც ხიფათი, არც შეცდომა, და შეუძლებელია, რომ მე ზომაზედ მეტი რამ დავუთმო დღეს ჩემს ეჭვიანობას, ვინაიდან საკითხი დგას ახლა არა მოქმედების, არამედ ფიქრისა და შემეცნების შესახებ.

მაში, მე ვგულისხმობ, რომ არა ღმერთმა, რომელიც არის უაღრესად კეთილი არსება და ჭეშმარიტების უზენაესი წყარო, არამედ რომელიღაც ძლიერმა და არანაკლებ მოხერხებულმა და მატყუარა ავმა სულმა გამოიყენა მთელი თავისი ოსტატობა ჩემს მოსატყუებლად. მე ვფიქრობ, რომ ცა, ჰაერი, მიწა, ფერები, ფიგურები (მოყვანილობანი), ბგერები და ყველა სხვა გარეგნული საგნები მხოლოდ ილუზიებია და ოცნებებია, რომლებიც მან გამოიყენა ჩემი გულუბრყვილობისათვის ხაფანგის დასაგებად; ჩემი თავის შესახებ ვიფიქრებ, რომ მე არ მაქვს არც ხელები, არც თვალები, არც ხორცი, არც სისხლი, რომ არ მაქვს არავითარი გრძნობა, მაგრამ მხოლოდ შეცდომით მჯერა, რომ მაქვს ყველაფერი ეს; მე დაუინებით ჩავეჭიდები ამ აზრს და, თუ ამ საშუალებით ვერ მიაღწევ რაიმე ჭეშმარიტების შემეცნებას, ჩემი მსჯელობის შეჩერება მაინც ჩემს შესაძლებლობაში რჩება. ამიტომ მე ბეჯითად ვეცდები არ მოვეკიდო რწმენით არც ერთ მცდარ შეხედულებას და ისე კარგად მოვამზადებ ჩემს გონებას ამ დიდი მატყუარის ყველა ხერხის წინააღმდეგ, რომ, რაც უნდა ძლიერი და მოხერხებულიც იყოს ეს მატყუარა, იგი ვერასოდეს ვერ შესძლებს რაიმე დამაჯერებინოს.

**თბილისი – 1955, (გვ. 1-9)**

## ბლეზ პასკალი

პასკალი ბლეზ. (ფრანგ. Blaise Pascal 1623-1657) მეცნიერი, ფილოსოფოსი. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ექსისტენციალიზმის, პერსონალიზმის წინამორბედი.

ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომებია: „წერილები“ (1656-1657), „აზრები“ (1660). „აზრები“ ეძღვნება ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობის საკითხების გარკვევას. მისი ზნეობრივი ფილოსოფიის ამოსავალი დებულებაა: უნდა ვისწავლოთ კარგად ფიქრი.

## პუნქტი

220. ჩვენ შევიცნობთ ჭეშმარიტებას არა მარტო გონებით, არამედ გულითაც; სწორედ გულით შევიმეცნებთ ჩვენ პირველსაწყისთ. და სულ ამაოდ ცდილობს გონება, რომელსაც ხელი არა აქვს გულთან, უარყოს ეს პირველსაწყისნი. ამაო პირობისტების ყოველი ცდა, რომლებსაც აზროვნების სხვა საგანი არ გააჩნიათ. ჩვენ ვიცით, რომ ზმანებებში როდი ვართ დანთქმულნი; რაგინდ უძლურნიც უნდა ვიყოთ მარტოოდენ გონების მეშვეობით ჭეშმარიტების დაფუძნებისას, ეს უძლურება მხოლოდ ჩვენი გონების სისუსტეს მოწმობს და არა ჩვენი ცოდნის საეჭვო ხასიათს, რო-

გორც ამტკიცებენ პირონისტები. რადგან პირველსაწყისთა ცოდნა, როგორიცაა, მაგალითად, – სივრცე, დრო, მოძრაობა, რიცხვი და სხვ., უფრო მყარია, ვიდრე ყოველგვარი სხვა ცოდნა, რომელსაც გონების ქმედითობით ვიაზრებთ. სწორედ გულისა და ინსტიქტისმიერ შემეცნებას უნდა ემყარებოდეს გონება. სწორედ ამ შემეცნებაზე უნდა აფუძნებდეს იგი თავის ქმედითობას. (გული გრძნობს, რომ არსებობს სივრცის სამი განზომილება და რომ რიცხვთა რაოდენობა უსასრულოა, გონება კი მხოლოდ ამის შემდეგ ამტკიცებს, რომ არსებობს ერთადერთი რიცხვი, რომლის კვადრატი იგივე გაორმაგებული რიცხვი ტოლია. პირველსაწყისთ შევიგრძნობთ, თეორემები კი გამოგვყავს, როგორც დასკვნები. ორივე შემთხვევაში ერთსა და იმავე უეჭველობამდე მივდივართ, ოღონდ სხვადასხვა გზით). ხომ ფუჭია და სასაცილო, გონების მხრივ, გულს მოსთხოვო ყველა მისი პირველსაწყისის სისწორის დასტური, რათა თვითონ ინამოს ისინი, მაგრამ არანაკლებ სასაცილოა, გულის მხრივ, გონებას მოსთხოვოს ყველა იმ თეორემის შეგრძნება, რომელსაც ის ამტკიცებს, რათა ამ გზით აღიაროს მათი სისწორე.

(გვ. 253)

## იმანუელ კანტი

იმანუელ კანტი (Immanuel Kant 1724-1804) – დაიბადა და ცხოვრობდა ქ. კენინგსბერში (გერმანია). არის კლასიკური გერმანული ფილოსოფიის ფუძემდებელი. კანტის თანახმად ბუნებაში ბატონობს მიზეზობრიობა და აუცილებლობა, ხოლო ადამიანის სამყაროში ზნეობა და თავისუფლება. ძირითადი შრომებია: „წმინდა გონების კრიტიკა“ (1791), „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ (1788), „მსჯელობის უნარის კრიტიკა“ (1790).

## მათლა გრების პრიტიპა

### ნინასიტყვაობა

ადამიანის გონებას განსაკუთრებული ბედი დაჰყოლია მისი ცოდნის ერთგვარობაში. მას აწუხებს ისეთი საკითხები, რომელთა მოცილება არ ძალუქს, რადგან ისინი მისთვის თვით გონების ბუნებას მოუხვევია თავს. მაგრამ არც პასუხის გაცემა შეუძლია, ვინაიდან ისინი აღემატებიან ადამიანის გონების ყველა უნარს. ასეთ ძნელ მდგომარეობაში რომ ვარდება, ეს თვით გონების ბრალი როდია. იგი იწყებს ძირითადი დებულებებით, რომელთა გამოყენება გამოცდილების პროცესში გარდაუვალია და ამავე დროს ამ გამოცდილებით საკმაოდ დასტურდება. მათი საშუალებით იგი მიიჩვენ სულ ზევითა და ზევით (როგორც ამას თვით მისი ბუნებაც მოითხოვს) უფრო შორეული პირობებისაკენ. მაგრამ რაკი დარწმუნდე-

ბა, რომ ამ გზით მისი საქმე მუდამ დაუმთავრებელი დარჩება, რადგან კითხვები არასოდეს არ ამოიწურება, იგი იძულებულია თავშესაფარი ისეთ ძირითად დებულებებში ჰპოვოს, რომლებიც ყოველგვარი შესაძლო გამოყენების ფარგლებს სცილდებიან და ამავე დროს ეჭვმიუტანელი ჩანან, რომ თვით ჩვეულებრივი ადამიანური გონებაც თანხმობაშია მათთან. მაგრამ ამის გამო გონება სიძნელესა და წინააღმდეგობებში ვარდება. საიდანაც, მართალია შეუძლია დაასკვნას, რომ სადღაც საფუძველში უნდა იყოს დაფარული შეცდომები, მაგრამ მათი აღმოჩენა მას არ ძალუდს. რადგან საფუძვლები, ის რომ იყენებს, ყოველგვარი გამოცდილების საზღვრებს სცილდება და გამოცდილების სასინჯ ქვას აღარ სცნობს. ამ დაუსრულებელი დავისა და ბრძოლის ასპარეზს მეტაფიზიკა ეწოდება.

## გ-ვ-ფ ჰეგელი

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (27 აგვისტო, 1770, შტუტგარტი – 14 ნოემბერი, 1831, ბერლინი), გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი. 1801 ჰეგელი აქვეყნებს შრომას „განსხვავება ფიზტესა და შელინგის სესტემებს შორის“, 1807 გამოცემულ „გონის ფენომენოლოგიაში“ კი უკვე აშკარად უპირისპირდება მას. 1807-1808 ჰეგელი „ბამბერგის გაზეთის“ რედაქტორი იყო, 1808-1816 ნიურნბერგის გიმნაზიას ედგა სათავეში. 1812 გამოაქვეყნა თავისი „ლოგიკის მეცნიერების“ I ტომი, 1816 – II ტომი. ამავე წელს იწყებს მოღვაწეობას ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. ერთი წლის შემდეგ გამოდის მისი „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია“. 1818 ჰეგელი მიიწვიეს ბერლინის უნივერსიტეტში. 1820 გამოაქვეყნა „სამართლის ფილოსოფია“. 1829-1830 ჰეგელი იყო ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი.

## ლოგიკის ენციკლოპედია

ერთადერთი, რისკვენაც საერთოდ მივისწრაფვოდი და მივისწრაფვი ჩემს ფილოსოფიურ შრომებში – ჭეშმარიტების მეცნიერული შემცნებაა. იგი უძნელესი გზაა, მაგრამ მხოლოდ ამ გზას აქვს გონისათვის ინტერესი და ღირებულება; რაკი გონი ერთხელაც არის აზრის გზას დაადგა, ამაოების გრძნობას კი არ შეუყპრია, არამედ ჭეშმარიტების ნება და სითამა-მე შეუნარჩუნებია; ის მალე აღმოაჩენს, რომ მხოლოდ მეთოდს შეუძლია აზრის დაოკება, მისი საგანთან მიყვანა და მასში შენარჩუნება. ამგვარი მეთოდური წინსვლა ამჟღავნებს, რომ თვითონ იგი სხვა არა არის რა, თუ არა აღდგენა იმ აბსოლუტური შინაარსისა, რომლის ფარგლებიდან გამოსვლას აზრი თავდანვე ისწრაფვოდა და გამოდიოდა კიდევაც, მაგრამ იგი არის აღდგენა გონის უსაკუთრეს, თავისუფალ სტიქიაში.

(გვ. 11)

## შესავალი

### §1

ფილოსოფია მოკლებულია იმ უპირატესობას, რაც სხვა მეცნიერებებს აქვთ. ფილოსოფიას არ შეუძლია წინასწარ იგულისხმოს, რომ მისი საგნები წარმოდგენის მიერ უშუალოდ აღიარებულია და შემეცნების მეთოდიც როგორც დასაწყისისთვის, ისე შემდგომი განვითარებისათვის უკვე მიღებულია. მართალია, ფილოსოფიას და რელიგიას ერთი და იგივე საგნები აქვთ. ორივეს საგანი ჭეშმარიტებაა და სახელდობრ, ჭეშმარიტება უმაღლესი აზრით – იმ აზრით, რომ ეს ჭეშმარიტება ღმერთია და ღმერთია მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტება. შემდეგ, ორივე განიხილავს სასრულის სფეროს, ბუნებასა და ადამიანის გონის, მათს ურთიერთობას ერთმანეთისადმი და ღმერთისადმი, აგრეთვე მათი ჭეშმარიტებისადმი. ამიტომ ფილოსოფიას შეუძლია წინასწარ იგულისხმოს მისი საგნების ნაცნობობა, არათუ შეუძლია, მან უნდა იგულისხმოს ასეთი ნაცნობობა, ასევე წინასწარ უნდა დაუშვას მან ინტერესი მისი საგნების მიმართ: – თუნდაც მარტო იმის გამო, რომ ცნობიერება დროის მიხედვით წარმოდგენების საგნების შესახებ უფრო ადრე იდგენს, ვიდრე მათს ცნებებს, და მოაზროვნე გონი მხოლოდ წარმოდგენის გავლით და მასზე თავისი მოქმედების მიმართვით მიდის აზროვნებით შემეცნებამდე და ცნების საშუალებით წვდომამდე.

მაგრამ მოაზროვნებითი განხილვის დროს მალე აღმოჩნდება, რომ იგი თავის თავში შეიცავს მოთხოვნას, თავისი შინაარსის აუცილებლობა გვიჩვენოს და დაგვისაბუთოს როგორც არსი, ასევე თავისი საგნების განსაზღვრანი. ამრიგად, ის პირველი ნაცნობობა საგნებისა არასაკმარისი აღმოჩნდება და წანამძღვრების და რწმუნებების გაკეთება თუ დაშვება დაუშვებელია. მაგრამ, ამასთან დასაწყისის მიღების დროს სიძნელე წარმოიშობა, რადგან ყოველგვარი დასაწყისი, როგორც უშუალო, რაღაც წინამძღვარს გულისხმობს, ანუ უფრო სწორედ რომ ვთქვათ, თვითონ ასეთი წინამძღვარია.

### §2

ფილოსოფია წინასწარ შეიძლება განისაზღვროს ზოგადად როგორც საგანთა აზროვნებითი განხილვა. მაგრმ თუ მართალია (რასაკვირველია, მართალია), რომ ადამიანი ცხოველისაგან აზროვნებით განსხვავდება, მაშინ ყოველგვარი ადამიანური მხოლოდ და მხოლოდ იმით არის ადამიანური, რომ აზროვნების მიერ არის ნაწარმოები. ხოლო რადგანაც ფილოსოფია აზროვნების განსაკუთრებული სახეა, ისეთი სახე, რომლის წყალობითაც ის შემეცნებად და ცნებითი შემეცნებად იქცევა, ამდენად, ფილოსოფიური აზროვნება განსხვავდება აგრეთვე იმ აზროვნებისაგანაც, რომელიც ყველა ადამიანურში მოქმედებს და ყოველგვარ ადამიანურს ადამიანურო-

ბას ანიჭებს. თუმცა ფილოსოფიური აზროვნება ამ უკანასკნელი სახის აზროვნების იგივეურიც არის, რადგანაც თავისთავად მხოლოდ ერთი აზროვნება არსებობს. ეს განსხვავება იმასთან არის დაკავშირებული, რომ ცნობიერების ადამიანური შინაარსი, აზროვნებაზე დაფუძნებული, პირველად ვლინდება არა აზრის ფორმაში, არამედ ვლინდება როგორც გრძნობა, მტვრეტელობა, წარმოდგენა, ისეთ ფორმებში, რომლებიც როგორც ფორმები, აზროვნებისაგან უნდა განსხვავებულ იქნენ.

(გვ. 42-43)

ფილოსოფიური შემეცნების წესის ეს აზროვნება თვითსაჭიროებს იმას, რომ გაგებულ იქნას მისი აუცილებლობა და გამართლებულ იქნას მისი უნარი აბსოლუტური საგნების შემეცნებისა. მაგრამ ასეთი გაგება თვით ფილოსოფიური შემეცნებაა და ამიტომ მხოლოდ ფილოსოფიის შიგნით აქვს ადგილი. მაშასადამე, წინასწარი ახსნა-განმარტება არაფილოსოფიური იქნებოდა და მეტი სხვა არაფერი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა ქსელი წინამძღვართ, დამოწმებათა და მსჯელობათა ე.ო. შემთხვევით მტკიცებათა, რომელთაც იმავე უფლებებით და იმავე რწმუნებით შეიძლება საწინააღმდეგო მტკიცებები დაუპირისპირდეს.

შენიშვნა: კრიტიკული ფილოსოფიის მთავარი თვალსაზრისი ისაა, რომ ვიდრე ღმერთის, ნივთთა არსების და სხვათა შემეცნებას შევუდგებოდეთ, ჯერ თვითონ შემეცნების უნარი უნდა იქნას წინასწარ გამოკვლეული, შეუძლია თუ არა მას ამგვარი რამის შესრულება: ჯერ ინსტრუმენტს უნდა გავეცნოთ, ვიდრე იმ სამუშაოს შევუდგებოდეთ, რომელიც ამ ინსტრუმენტის საშუალებით უნდა შესრულდეს. თუ ეს ინსტრუმენტი საკმარისი არაა, მაშინ ყოველი შრომა და გარჯა ტყუილ-უბრალოდ გაიფლანგებოდაო. — ეს აზრი იმდენად დამაჯერებელი ეგონათ, რომ დიდი აღტაცება და მოწინება გამოიწვია, და შემეცნებაც, აქამდე საგნებით დაინტერესებული და მათს საქმიანობაში გართული, მოწყდა მათ და თავის თავს, ფორმალურ მხარეს მიუბრუნდა. ხოლო თუ არ გვინდა სიტყვებით თავი მოვიტყვილოთ, ადვილად შევგიძლია დავინახოთ, რომ მართალია, სხვა ინსტრუმენტები შეიძლება გამოკვლეული და შეფასებული იქნენ სხვა რომელიმე ხერხით, ვიდრე იმ განსაკუთრებულ სამუშაოს წამოწყებით, რისთვისაც ისინი არიან განკუთვნილი. მაგრამ შემეცნების გამოკვლევა სხვანაირად არ შეიძლება, თუ არა ისევ შემეცნებით. ამ ეგრეთონდებულ ინსტრუმენტის, იარაღის გამოკვლევა სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა მის შემეცნებას. მაგრამ მოვინდომოთ შემეცნება მანამადე, სანამ შევიმეცნებდეთ, ისეთივე შეუსაბამობაა, როგორც იმ სქოლასტიკოსის ბრძნული განზრახვა, რომელსაც სურდა ცურვა მანამადე ესწავლა, სანამ წყალში ჩასვლას გაძედავდა.

(გვ. 54-55)

გარეგანი ისტორიის განსაკუთრებულ სახეში ფილოსოფიის წარმოშობა და განვითარება წარმოდგენილია როგორც ამ მეცნიერების ისტორია. ეს სახე იდეის განვითარების საფეხურებს ფილოსოფიურ მოძღვრე-

ბათა შემთხვევითი ურთიერთ-თანმიმდევრობის ფორმას ანიჭებს და მათი პრინციპებისა და ამ პრინციპების გატარების მხოლოდ სხვადასხვანაირობის შესახედაობას აძლევს. მაგრამ ამ მრავალათასუული წლების სამუშაოს შემსრულებელი ოსტატი ერთი ცოცხალი გონია, რომლის მოაზროვნებუნება ის არის, რომ ცნობიერყოფს იმას, რაც თვით არის და როცა ეს უკანასკნელი, ამგრიგად, მისი საგანი გახდება. ამავე დროს ამ საგანზე მაღლა დადგება, მასზე ამაღლდება და თავის თავში უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ფილოსოფიის ისტორია გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა სახით მოვლენილი ფილოსოფიური მოძღვრებანი ნაწილობრივ მხოლოდ ერთი ფილოსოფიაა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ნაწილობრივ კი ის განსაკუთრებული პრინციპები, რომელთაგან თითოეული რომელიმე სისტემას საფუძვლად უდევს, მხოლოდ ერთი და იმავეს მთელი განშტოებები არიან. დროის მიხედვით უკანასკნელი ფილოსოფია ყველა წინამორბედი ფილოსოფიების შედეგია და ამიტომ ყველას პრინციპებს უნდა შეიცავდეს, ამიტომ, თუკი იგი სხვამხრივ ფილოსოფიას წარმოადგენს, ყველაზე უფრო განვითარებულია, ყველაზე უფრო მდიდარია და ყველაზე კონკრეტული.

(გვ. 59)

## ერნსტ კასირერი

კასირერი ერნსტ. (Cassirer Ernst 1874-1945) გერმანელი ფილოსოფოსი, კულტურ ანთროპოლოგი. მარბურგის ნეოკანტიანური სკოლის ერთერთი ფუძემდებელი.

ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომებია: „სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფია“ სამ ტომად, (1923-29) „რა არის ადამიანი?“ (1945) „მითი სახელმწიფოს შესახებ“ (1946). კასირერის კულტურის ფილოსოფიაში ადამიანი განმარტებულია, როგორც „სიმბოლოთა შემომქმედი ცხოველი“.

## რა არის ადამიანი?

ადამიანი ვერ შეაჩერებს თავის განვითარებას. მან უსიტყვოდ უნდა მიიღოს საკუთარი არსებობის პირობები. ადამიანი აღარ ცხოვრობს მხოლოდ ბუნებრივ სამყაროში. იგი სიმბოლური სამყაროს მკვიდრია. ენა, მითოსი, ხელოვნება და რელიგია ამ სამყაროს ნაწილებია. ისნი ჭრელი ძაფებია, რითაც იქსოვება სიმბოლური ბადე, ადამიანიური გამოცდილების მრავალკვანძოვანი ხალიჩა. ამ ბადეს სიფაქიზესა და გამძლეობას მატებს ადამიანის ყოველი წინსვლა აზროვნებასა და გამოცდილებაში. ადამიანი ცხოველის მსგავსად უშაულოდ აღარ ეხება სინამდვილეს. ასე ვთქვათ, მას არ ძალუდს სინამდვილეს პირისპირ შესვდეს. თითქოს, რაც უფრო მწიფდება ადამიანის სიმბოლური აზროვნება და მოქმედება, მით უფრო

მეტად გაურბის მას ხელუხლები სინამდვილე. ნაცვლად თვით საგნებთან ურთიერთობის დამყარებისა, ადამიანი, გარკვეული გაგებით მუდამ თავისი თავით არის გართული. იგი ისეთი ძალითაა ჩაფლული ენობრივ ფორმებში, ხელოვნების ქმნილებებში, მითოსურ სიმბოლოებსა თუ რელიგიურ ჩვევებში, რომ არ ძალუძს რაიმე შეიტყოს ან აღიქვას ამ ხელოვნურ მედიუმთა გარეშე. მისი სიტუაცია ერთგვარია როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში. თვით პრაქტიკულ სფეროშიაც ადამიანი არ ცხოვრობს ჯიუტი ფაქტების, ან თავისი უშუალო სურვილებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. იგი უფრო მეტად ცხოვრობს წარმოსახული ფაქტების, იმედებისა და შიშის, ილუზიებისა და ილუზიათა რღვევის, საკუთარი ფანტაზიისა და ოცნებების სინამდვილეში. ეპიქტეტეს ნათქვამია: „არა საგნები აშფოთებენ ადამიანებს, „არამედ – საკუთარი შეხედულებები საგნებზე“.

ჩვენი ამჟამინდელი პოზიციის მიხედვით შეგვიძლია შევასწოროთ და განვავრცოთ ადამიანის კლასიკური დეფინიცია. ახალი ირაციონალიზმის მცდელობათა მიუხედავად ძალაში რჩება ადამიანის კლასიკური დეფინიცია: *animal rationale*. გონიერება მართლაც ყოველგვარი ადამიანური აქტივობის სპეციფიკური ნიშანია. თვით მითოლოგიაც არ არის ცრურწმენაზე დამყარებული წარმოდგენების, ან უხეში შეცდომების მარტივი ჯამი. იგი სისტემატური, ცნებითი ფორმების მქონეა და სრულიადაც არ არის მოკლებული წესრიგის ელემენტებს. მეორე მხრივ, მითოსის სტრუქტურას ვერ დავახასიათებთ როგორც რაციონალურს. ენას ხშირად უტოლებენ გონებას, ან კიდევ – გონების თავდაპირველ წყაროს, მაგრამ იოლი შესამჩნევია, რომ ენის ასეთი დეფინიცია არ ესადაგება ყოველივე ენობრივს. ეს არის პროტო-დეფინიცია? ვინაიდან იგი მთელის ნაცვლად ნაწილს ითვალისწინებს. ცნებითი ენის გარდა ხომ არსებობს გრძნობის ენაც; ლოგიკისა და მეცნიერების ენის გარდა – პოეზიის ხატოვანი ენაც. ენა, უნინარეს ყოვლისა, აზრებსა და იდეებს კი არ გამოხატავს, არამედ გრძნობებესა და აფექტებს. ასევე რელიგიაც, „წმინდა გონების საზღვრებში“, კანტის გაებით, აბსტრაქტულ ცნებებსა და იდეებს გამოთქვამს. იგი გვამცნობს რელიგიის მხოლოდ იდეალურ ფორმას, რაც ჭეშმარიტი, ცოცხალი რელიგიის, ასე ვთქვათ, მარტოოდენ აჩრდილია. დიდ მოაზროვნებს, ვისაც ადამიანი განუსაზღვრავთ, როგორც *animal rationale*, არ უცდიათ ადამიანის არსი ემპირიულად განესაზღვრათ. ასეთი დეფინიციით მათ უფრო ძირითადი ზნეობრივი მოთხოვნა გამოკვეთეს. ცნება „გონება“ მეტისმეტად ვიწროა, რათა დაიტიოს ადამიანის კულტურული არსებობის ფორმები მთელი თავისი სიმდიდრითა და მოცულობით, მაგრამ ყველა ეს ფორმა სიმბოლური ფორმებია. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანი გავიგოთ, როგორც *animal rationale*, იგი უნდა განვსაზღვროთ, როგორც *animal simbolikum* ამით მის განსაკუთრებულ თავისებურებებსაც გამოკვეთავთ და იმ ახალ გზა-საც მივუთითებთ, რომლითაც მხოლოდ ადამიანს ძალუძს იაროს – გზას ცივილიზაციისაკენ.

## **კარლ პოპერი**

კარლ პოპერი (1902-1994) – ინგლისელი ფილოსოფოსი. იკვლევდა მეცნიერებისა და ცოდნის მეთოდოლოგიის პრობლემებს. მის თეორიას კრიტიკული რაციონალიზმი უწოდეს. ძირითადი შრომებია: „მეცნიერული კვლევის ლოგიკა“ (1935), „ლია საზოგადოება და მისი მტრები“ (1945), „ისტორიის სიღატაკე“ (1957), „ობიექტური ცოდნა“.

## **რაციონალიზმის საზყიუდო**

### **კრიტიკული რაციონალიზმი**

ახლა კი ჩემთვის მთავარ სათქმელს მოგახსენებთ. ჩემი ღრმა რწმენით, რაციონალური ტარდიცია – კრიტიკული დისკუსიის ტრადიცია – ერთადერთი პრაქტიკული გზაა ჩვენი ცოდნის – რა თქმა უნდა, ვარაუდებზე და ჰიპოთეზებზე დამყარებული ცოდნის – გაფართოებისა. სხვა გზა არ არსებობს. მით უმეტეს, არ არსებობს გზა, რომელიც დაკვირვებით, ან ექსპერიმენტით იწყება. მეცნიერების განვითარებაში დაკვირვებები და ექსპერიმენტები მხოლოდ კრიტიკის არგუმენტების როლს თამაშობს, სხვა, არადაკვირვებით მიღებულ არგუმენტებთან ერთად. ეს მნიშვენლოვანად დამოკიდებულია იმაზე, შეიძლება თუ არა მათი გამოყენება თეორიათა კრიტიკისათვის.

აქ გადმოცემული ცოდნის თეორიის თანახმად, ძირითადად არსებობს ორი მიზეზი, რომელთა გამო ესა თუ ის თეორია სხვა თეორიებზე უკეთესია: იგი უფრო მეტს ხსნის და მისი შემოწმება უფრო შესაძლებელია, ანუ შესაძლებელია მისი უფრო სრულად და უფრო კრიტიკულად განხილვა, რომელიც დამყარებული იქნება მთელს ჩვენს ცოდნაზე, ყველა უარყოფითზე, რომელიც შეიძლება მოვიაზროთ, განსაკუთრებით კი იმ დაკვირვებებსა თუ ექსპერიმენტებზე, რომლებიც განხორციელდა ამ თეორიის კრიტიკის მიზნით.

სამყაროს გაგების ჩვენს მცდელობებში არსებობს რაციონალობის მხოლოდ ერთი ელემენტი: ეს გახლავთ ჩვენი თეორიების კრიტიკული შემოწმება. ეს თეორიები თავისითავად ვარაუდს ნარმოადგენს. ჩვენ არ ვიცით, ჩვენ მხოლოდ ვვარაუდობთ. თუ მკითხავთ: „საიდან იცი?“ მე გიპასუხებთ: „არ ვიცი, მხოლოდ ვარაუდს გთავაზობთ. თუკი თქვენ ჩემი პრობლემა გაინტერესებთ, ყველაზე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს ვარაუდს გააკრიტიკებთ, თუ კონტრნინადადებებს შემომთავაზებთ. მე კი, ჩემის მხრივ, მათ გაკრიტიკებას ვეცდები.“

ეს, ჩემი ღრმა რწმენით, არის ცოდნის ჭეშმარიტი თეორია (და მე თქვე-

ნი მხრიდან მის კრიტიკას მოველი): იმ პრაქტიკის ჭეშმარიტი აღწერა, რომელიც შეიქმნა იონიაში და რომელიც თანამედროვე მეცნიერების ნაწილია (თუმცა მრავალ მეცნიერს ჯერ კიდევ ბეკონის მითისა სჯერა ინდუქციის შესახებ): თეორია, რომლის თანახმად, ცოდნა იზრდება ვარაუდებისა და უარყოფის ხარჯზე.

ორი უდიდესი ადამიანი, რომლებიც ცხადად ხედავენ, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორცაა ინდუქციური პროცედურა, და რომელთაც ცხადად ესმოდათ ის, რასაც მე ცოდნის ჭეშმარიტ თეორიას მოვიხსენებ, იყვნენ გალილეო და აინშტაინი. თუმცა, ანტიკური ხანის მეცნიერებიც იცნობდნენ მას. დაუჯერებელია, მაგრამ ამ თეორიის მეტად მკაფიო ფორმულირებას ვხვდებით უშუალოდ მას შემდეგ, რად დაინტერესული დისკუსიის პრაქტიკა. ამის დამადასტურებელი ყველაზე ადრეული ფრაგმენტები ქსენოფანეს ეკუთვნის. მე აქ ხუთ მათგანს მოვიყვან იმ თანმიმდევრობით, რომელიც გვიჩვენებს, რომ სწორედ ქსენოფანეს შეტევათა გაბედულობა და მის პრობლემათა სერიოზულობა გახლდათ ის, რაც დაეხმარება იმის გაგებაში, რომ მთელი ჩვენი ცოდნა ვარაუდობისაგან შედგება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ არ შეგვიძლია „უკეთესი“ ცოდნა ვეძებოთ და ვიპოვოთ დროთა განმავლობაში. აი, ის ხუთი ფრაგმენტიც:

ეთიოპიელები ამბობენ, რომ მათი ღმერთები ბრტყელცხვირიანები და შავები არიან, თორაკიელები ამბობენ, რომ მათ ღმერთებს ცისფერი თვალები და ნითელი თმები აქვთ. ხარებს, ცხენებს და ლომებს ხელები რომ ჰქონდეთ და შეეძლოთ ადამიანთა მსგავსად ძერწვა, მაშინ ცხენები დახატავდნენ თავიანთ ღმერთებს, რომლებიც თავიანთ შემქმნელებს ემგვანებოდნენ.

ღმერთები დასაწყისიდან ყველაფერს არ გვიმუდავნებენ; მაგრამ დროთა განმავლობაში, ძიების საშუალებით, ადამიანი პოულობს იმას, არც უკეთესია...

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ჩვენი ნაპოვნი ჭმარიტებას ჰგავს.

მაგრამ, რაც შეეხება ნამდვილ ჭეშმარიტებას, არავინ იცის ის, და ვერც ვერასოდეს გაიგებს: ვერც იმას, რაც ღმერთებს ეხება, და ვერც იმას, რაზეც მე აქ ვსაუბრობ. და თუ რაიმე შემთხვევის წყალობით ადამიანი საპოლოო ჭეშმარიტებას გამოთქვამს, თვითონაც ვერ ხვდება, ვინაიდან ყველაფერი მხოლოდ მიხვედრათა ქსოვილია.

იმის საჩვენებლად, რომ ქსენოფანე მარტო არ იყო, შემიძლია გავიმეორო ჰერაკლიტეს ორი გამონათქვამი, რომლებიც ზემოთ სხვა კონტექსტში გამოვიყენე. ორივე გამონათქვამი გამოხატავს კაცობრიობის ცოდნის ჰიპოთეტურ ხასიათს, ამასთან, მეორე მიუთითებს გაბედული ვარაუდის საჭიროებას იმის შესახებ, რაც არ ვიცით.

ეს არც ადამიანთა ბუნების ნაწილია და არც მათი ხასიათისა, ფლობდნენ ჭეშმარიტ ცოდნას, არამედ ეს ღვათაებრივი ბუნების თვისებაა... ის, ვინც არ ელის მოულოდნელს, ვერასოდეს აღმოაჩენს მას; მისთ-

ვის იგი შეუმჩნეველი, მიუდგომელი დარჩება.

ბოლო ციტატა ძალიან ცნობილია და დემოკრიტეს ეკუთვნის:

მაგრამ, ფაქტიურად, დანახვის შედეგად ვერაფერს ვგებულობთ; ვინაიდან ჭეშმარიტება ღრმად არის დამალული.

სწორედ ასე შემზადდა სოკრატეს წინამორბედთა კრიტიკული მიდგომის მიერ სოკრატეს ეთიკური რაციონალიზმი – მისი რწმენა, რომ ჭეშმარიტების ძიება კრიტიკული დისკუსიის გამოყენებით არის ცხოვრების გზა – საუკეთესო იმ გზებს შორის, რაც სოკრატემ იცოდა.

რჩეული ნარკვევები

თბილისი, 2000 წ.

# ნაწილი მესამე ეთიკა

## არისტოტელე

### ნიკომაქის ეთიკა

თავი 5. ახლა ვიმსჯელოთ იმაზე, რაზედაც შევჩერდით. მასას და უკულტურო ადამიანებს სიკეთედ და ბედნიერებად მიაჩნიათ სიამოვნებით ცხოვრება, რაც არაა მთლიანად აზრს მოკლებული, რადგან მათ უყვართ ცხოვრება სიამოვნებით.

ძირითადად კი არსებობს ცხოვრების სამი სახე: ზემოთქმული, პოლიტიკური მოღვაწეობა და თეორიული. გაუნთალებელი ადამიანები, რომლებიც უპირატესობას აძლევენ ცხოველურ ცხოვრებას, მთლად მონებს ემსაგავსებიან. უმრავლესობა ასეთ ცხოვრებაში აზრს იმიტომ ხედავს, რომ მრავალი დიდი თანამდებობის ადამიანს ისეთივე განცდები აქვს, როგორც სარდანაპალს. ხოლო განათლებული ადამიანები და პრაქტიკოსები ბედნიერებად დიდებას თვლიან. პოლიტიკური ცხოვრების მიზანი სწორედ ეს უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ჩანს, ბედნიერება ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო უმნიშვნელო აღმოჩდება, ვიდრე ჩვენ გვეგონა. რადგან აქედან გამომდინარეობს, რომ უფრო მეტად ბედნიერები არიან ისინი, ვინც პატივს სცემს, ვიდრე ის, ვისაც პატივსა სცემენ. მაგრამ სიკეთე, როგორც წინასწარ გავჭვრიტავთ, უფრო ადამიანისათვის არის დამახასიათებელი და მათი განუშორებელი თვისებაა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, პატივსა და დიდებას იმიტომ მისდევენ, რომ დაარწმუნონ საკუთარი თავი იმაში, რომ ისინი კარგები არიან. ცხადია, იმ ადამიანებში, რომლებიც ცდილობენ, რომ პატივსა სცემდნენ გონიერი და მცოდნე ადამიანები, სათნოება უფრო მეტი უნდა იყოს. მაგრამ, როგორც ჩანს ბედნიერება უფრო პოლიტიკური ცხოვრების საბოლოო მიზანია, მაგრამ არც ეს უნდა იყოს ბედნიერების საბოლოო გაგება, რადგან აქედან გამომდინარეობს, რომ სიკეთე არის ცხოვრება ძილსა და უმოქმედობაში რის გამოც ადამიანებს შეიძლება დიდი ტანჯვა და უბედურება შეემთხვევათ. ვინც ასეთ ცხოვრებას ეწევა, მას არავინ ჩათვლის ბედნიერად, თუ არა ის ადამიანი, რომელიც ცდილობს დაიცვას თავისი საწყისი თეზისი.

(გვ. 28-29)

თავი 6. საერთოდ, კარგი იქნებოდა, ასევე გვეკვლია და გვედავა, თუ რას ნიშნავს მოძღვრება იდეების შესახებ, რომელიც ჩემმა მეგობრებმა შემოიტანეს. ამის გამო ჩემთვის ამ მოძღვრების კვლევა უსიამოვნო გახდა.

ვფიქრობ, ჭეშმარიტების დაცვის მიზნით, შეიძლება მახლობელი ადამი-ანებიც გაგვეწირა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენ ფილოსოფოსები ვართ. მართალია ჩემთვის ორივე ძვირფასია, მაგრამ უპირატესობას მაინც ჭეშმარიტებას ვანიჭებ. იმათ, ვინც ეს მოძღვრება შემოიტანეს, წინამორბედსა და მომდევნოს არ ასხვავებენ და ამიტომ იდეები არც რიცხვებად უქცევიათ.

სიკეთე იხმარება, როგორც არსების, ისე თვისებისა და მიმართების კატ-ეგორიაში. მაგრამ ის, რაც თავისთავადია და სუბსტანციაა, თავისი ბუნებით უსწრებს მიმართების კატეგორიას. ეს უკანასკნელი კი არსების გვერდით წარმოშობილსა და მის შემთხვევით თვისებასა ჰგავს. ასე რომ, არ უნდა არსებობდეს ყველასათვის რაღაც საერთო იდეა. რადგან სიკეთე ერთნაირად იხმარება ყველა არსებულის შესახებ, ამიტომ არსების კატეგორიაში ის არის ღმერთი და გონება, თვისების კატეგორიაში – სათნოება, რაოდენობაში – ზომა, მიმართებაში – სარგებლობა, სივრცეში – ადგილსამყოფელი, დრო-ში – შესაფერი მომენტი და ა.შ. ამიტომ ცხადია, რომ სიკეთე ვერ იქნება რაღაც ზოგადი და ერთი, რადგან ამ შემთხვევაში ის ითქმებოდა მხოლოდ რომელიმე ერთ კატეგორიაზე და არა ყველაზე. ამის გარდა, ცხადია, რომ ერთი იდეის შესახებ არსებობს ერთი მეცნიერება, ამიტომ ყველა სიკეთის შესახებ უნდა არსებობდეს ერთი მეცნიერება და ისიც ერთ კატეგორიაში.

(გვ. 30)

როგორ ვაღწევთ ბედნიერებას, სწავლით, ჩვევით, რაიმე სახის ვარჯიშით თუ ის ღმერთისაგან ან შემთხვევისაგან არის ბოძებული? თუ ადამიანებს ღმერთისაგან აქვთ რაიმე სხვა საჩუქარი, ლოგიკური იქნებოდა, ბედნიერებაც, რაც საუკეთესო რამაა, ღმერთის საჩუქრად ჩაგვეთვალა. მაგრამ, როგორც ჩანს, აქ კარგი იქნებოდა სხვაგვარი კვლევა, რადგან თუ ბედნიერება ღმერთისაგან კი არ არის ბოძებული, არამედ მიღებულია ან სათნოებით, ან რაიმე ცოდნით და ვარჯიშით, ამ შემთხვევაში ის ყველაზე ღვთაებრივი რამ იქნება, რადგან სათნოების მიზანი და საჩუქარი, როგორც ყველაზე საუკეთესო რამ, ამავე დროს ყველაზე უფრო ღვთაებრივი და ნეტარების მომნიჭებელი იქნება. ის ყველასათვის საერთოა, რადგან ბედნიერება შეიძლება ჰქონდეთ იმათაც ვინც სათნოებისათვის არ მიუღწევია რაიმე ცოდნისა და შრომის მეშვეობით.

ბედნიერება არის სათნოების შესაბამისი ერთგვარი სულიერი აქტივობა. დანარჩენ სიკეთეთაგან ზოგის ქონება აუცილებელია, ზოგი კი წარმოადგენს ბედნიერების მისაღწევ და გამოსაყენებელ საშუალებას.

(გვ. 38)

სათნოებაც განიყოფა ამ განსხვავების მიხედვით. მასში გამოიყოფა დიანოეთიკური და ეთიკური ნაწილი. სიბრძნეს, სინდისსა და გონიერებას ვაკუთვნებთ დიანოეთიკურს, ხოლო თავისუფლებას და ზომიერებას –

ეთიკურს. როცა ვლაპარაკობთ ეთიკურ ნაწილზე, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ადამიანი არის ბრძენი და სინდისიერი, ვამბობთ, რომ ის არის მშვიდი და გონიერი, ხოლო ბრძენს ვაქებთ იმ თვისების გამო, რასაც ჩვენ სათნოებად ვთვლით.

არსებობს ორგვარი სათნოება დიანოეთიკური და ეთიკური. პირველი სახის სათნოება ძირითადად წარმოიშობა და მატულობს სწავლის შედეგად, ამიტომ მას დრო და გამოცდილება სჭირდება. ეთიკური სათნოება კი ჩვეულების საფუძველზე წარმოიშობა და სახელწოდებაც აქედან აქვს მიღებული, სიტყვა „ჩვეულების“ მცირეოდენი ცვლილებით.

(გვ. 45)

მაცნე. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია. №4 1988  
თარგმანი თამარ კუკავასი

## იმანუელ კანტი

### პრაქტიკული გონიერის პრიტიპი

ყველა ესენი ამოდიან ზნეობრიობის პრინციპიდან, რომელიც პოსტულატი კი არ არის, არამედ კანონია, რომლის ძალითაც გონება უშუალოდ განსაზღვრავს ნებას; ეს ნება, სწორედ იმის გამო, რომ იგი ამგვარადაა განსაზღვრული, როგორც წმინდა ნება, მოითხოვს თავისი დანაწესის შესრულების ამ აუცილებელ პირობებს. ეს პოსტულატები თეორიული დოგმები კი არ არის, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისით აუცილებელი დაშვებებია. (Voraussetzungen); მაშასადამე, ისინი თუმცა არ ავრცობენ სპეციულატურ შემეცნებას, მაგრამ საერთოდ სპეციულატური გონების იდეებს (პრაქტიკულ სფეროსთან მათი მიმართების მეშვეობით) ანიჭებენ ობიექტურ რეალობას და ამ გონებას აღჭურავენ ისეთი ცნებების უფლებით, რომელთა შესაძლებლობის მტკიცებასაც კი იგი სხვაფრივ ვერ გაბედავდა.

ესენია უკვდავების (Unsterblichkeit), თავისუფლების (Freiheit) პოსტულატები, თუ მათ პოზიტიურად განვიხილავთ (როგორც პოსტულატებს ამათუ იმ არსების კაუზალობისა, რამდენადაც ეს არსება გონებანვდომით სამყაროს განეკუთვნება) და ღვთის არსებობის (Dasein des Gottes) პოსტულატი. პირველი გამომდინარეობს მორალური კანონის სრულყოფილად შესრულებისათვის იმ პრაქტიკულად აუცილებელი პირობიდან, რომ ამ შესრულებას ხანიერება (Dauer) ქონდეს. მეორე გამომდინარეობს გრძნობადი სამყაროსაგან ჩვენი დამოუკიდებლობისა და იმ უნარის აუცილებელი დაშვებიდან, რომ საკუთარ ნებას განვსაზღვრავდეთ რაღაც გონებანვ-

დომითი სამყაროს კანონის, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, თავისუფლების კანონის შესაბამისად. მესამე წარმოსდგება იმ აუცილებელი პირობიდან, რომ ამგვარ გონიერობით სამყაროში არსებობდეს უმაღლესი სიკეთე უზენაესი დამოუკიდებელი სიკეთის, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთის არსებობის დაშვების მეოხებით.

ორი რამ აღავსებს სულს სულ უფრო მზარდი განცვიფრებითა და მოწინებით, რაც უფრო ხშირად და დიდხანს ვფიქრობთ მათზე: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს თავზე და მორალური კანონები ჩემში. მე არ მიხდება, ისინი ვეძიო წყვდიადში, ან ჩემი გონიერის მიღმა. ისინი ჩემს თვალწინაა და მათ უშუალოდ ვუკავშირებ ჩემი არსებობის ცნობიერებას. პირველი დასაბამს იღებს იმ ადგილიდან, რომელიც მე მიჰირავს გარეგან გრძნობად სამყაროში და უსაზღვროდ აფართოებს ჩემს კავშირს სამყაროთა ზემოთ-მყოფ სამყაროებთან და სისტემათა სისტემებთან. თანაც – უსასრულოდ განფენილ დროში მათი პერიოდული მოძრაობისა, მათი დასაბამისა და ხანიერებისა. მეორე კი სათავეს ჰპოვებს ჩემს უჩინარ თვითობაში, ჩემს პიროვნებაში და იგი ისეთ სამყაროში წარმომაჩენს, რომელიც ჭეშმარიტად უსასრულოა, მაგრამ მხოლოდ განსჯისათვისაა გრძნობადი. მე შევიცნობ, რომ ამ სამყაროსთან (მისი გზით კი, იმავდროულად ყველა ხილულ სამყაროსთანაც) მაკავშირებს არა, პირველის მსგავსად, შემთხვევითი, არამედ საყოველთაო და აუცილებელი კავშირი. სამყაროთა სიმრავლე, ერთი შეხედვით, თითქოს აუქმებს, ჩემი, როგორც ცხოველური არსების მნიშვნელოვნობას: ამ არსებამ, მას შემდეგ რაც იგი მოკლე ხნით (ლმერთმა უწყის, როგორ) სასიცოცხლო ძალით აღჭურვა. პლანეტას (ოდენ წერტილს სამყაროში) უკანვე უნდა მიცეს მატერია, რომლისგანაც გაჩნდა. მეორე, პირუკუ, უსაზღვროდ მაღლა სწევს ჩემი, როგორც გონიერი არსების (Intelligenz), ღირსეულობას ჩემი პიროვნების სახით, რომელშიაც მორალური კანონი გამომიცხადებს სიცოცხლეს, დამოუკიდებელს ყოველივე ცხოველურისაგან და თვით მთელ გრძნობადი სამყაროსგანაც კი, ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებელს იმდენად, რამდენადაც ეს ძალმიძს დავასკვნა ჩემი არსებობის მიზანშეწონილი დანიშნულებიდან, რომელიც ამ კანონის მიერაა განსაზღვრული და რომელიც ამქვეყნიური სიცოცხლის პირობებსა და ჩარჩოებში კი არ არის მოწყვდეული, არამედ უსასრულობაში მიიწევს.

**მაცნე. ფილოსოფიისა და ფიქოლოგიის სერია. №1 1991**

**თარგმანი ლამარა რამიშვილისა**

## იმანუელ კანტი

### ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება

არასოდეს არ უნდა მოვიქცე სხვაგვარად, თუ არა ისე, რომ შემეძლოს ვისურვო კიდევაც, ჩემი მაქსიმა საყოველთაო კანონად იქცეს. ამგვარად, აქ ქმინდა კანონშესაბამისობა საზოგადოდ არის ის, რაც ნებას პრინციპად ემსახურება და არც შეიძლება არ ემსახურებოდეს, თუკი მოვალეობა არ წარმოადგენს სულაც შიშველ ილუზიას და ქიმერულ ცნებას; (გვ.77. 402)

.. მოვალეობას გზა უნდა დაუთმოს ყველა სხვა აღმძვრელმა საფუძველმა, რადგან იგია პირობა თავისთავად კეთილი ნებისა, რომლის ღირებულებაც ყოველივეს აღემატება. (გვ. 83)

საკმარისია ადამიანთა გულისთქმასა თუ ზრახვებს უკეთ დავაკვირდეთ, - და ყველგან წავაწყდებით მათ (აქ კანტის თქმით იგულისხმება ის, „ვინც სასაცილოდ იგდებს ყოველივე ზნეობას“ რედ.) სათაყვანებელ „მე“-ს (Selbst), რომელიც მუდამ თვალში გვეჩირება. მხოლოდ ამ „მე“-ს- და არა მოვალეობის მკაცრ მცნებას (Gebot), რომელიც არაერთხელ მოგვთხოვდა საკუთარი თავის უარყოფას-ემყარება მათი განხრახვა (bsicht). (გვ 97)

ზნეობას ძალიან ცუდ სამსახურს გავუწევთ, თუ მოვინდომებთ, იგი მაგალითებიდან გამოვიყვანოთ. რადგან ყოველი მაგალითი, რომელსაც ზნეობის ნიმუშად დამისახავენ, ჯერ თვით უნდა იქნეს შეფასებული მორალის პრინციპთა მიხედვით, იმის გასარკვევად, ღირსია თუ არ იგი გამოვადგეს, ასევე, პირველად მაგალითად, ანუ ნიმუშად, მაგრამ იგი ვერადა ვერ მოგვცემს ხელთ ზნეობის უმაღლეს ცნებას. თვით მაცხოვარიც კი, რომელზედაც სახარება მოგვითხრობს, ჯერ ჩვენი ზნეობრივი სრულყოფილების იდეალს უნდა შევუდაროთ, სანამ მას ასეთად ვაღიარებდეთ. აკი ის თავის თავზე ამბობს კიდევაც: „რატომ მედახით (ვისაც თქვენ ხედავთ) კეთილს? არავინ არის კეთილი (სიკეთის პირველსახე), თუ არ ერთი ღმერთი (რომელსაც თქვენ ვერ ხედავთ)“. მაგრამ საიდან გვაქვს ღმერთის, როგორც უზენაესი სიკეთის ცნება? მხოლოდ და მხოლოდ იმ იდეიდან, რასაც გონება ზნეობრივი სრულყოფილების შესახებ a priori იქმნის და თავისუფალი ნების ცნებას განუყრელად უკავშირებს. (გვ. 103. 409)

ადამიანი, და საზოგადოდ, ყოველი გონიერი არსება არსებობს (ებისტიურტი) როგორც მიზანი თავისთავად, არა მხოლოდ როგორც საშუალება, რომელიც ამა თუ იმ ნებამ თავისი შურვილისამებრშეიძლება გამოიყენოს, არამედ იგი ყველა მის ქმედებაში, -როგორც თავის თავზე, ისე სხვა გონიერ არსებებზე მიმართულში, აგრეთვე უნდა განიხილებოდეს როგორც მიზანი... გონიერ არსებებს პიროვნებებს (Personen) ვუწოდებთ, ვინაიდან მათი ბუნებავე გამოყოფს მათ დანარჩენთაგან, როგორც მიზნებს თავისთავად, ე.ი. ისეთ რასმეს, რაცარ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარტოოდენ საშუალებად, და ამით ყოველივე თვითნებობას ზღუდავს (და

პატივისცემის საგანს წარმოადგენს) (გვ 179-181)

.. ეს პრინციპი- რომ ადამიანი, და საზოგადოდ, ყოველი გონიერი ბუნება საერთოდ მიზანია თავისთავად, (რაც ყოველი ადამიანის ქმედება- თა თავისუფლების უმაღლესი შემზღვუდველი პირობაა) – ცდიდან არ არის მიღებული: ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი საყოველთაოა, რამდენადაც იგი ეხება ყველა გონიერ არსებას საერთოდ. მეორეც, იმიტომ, რომ მასში ადა- მიანობა წარმოდგენილია არა როგორც ადამიანთა მიზანი(სუბიექტურად), ანუ ისეთი საგანი, რომელსაც მართლა თავისთავად იხდიან მიზნად, არ- ამედ-როგორც ობიექტური მიზანი, რომელსაც, ვითარცა კანონს, რაგ- ინდარა მიზნებიც არ უნდა გვქონდეს ჩვენ, მართებს იყოს ყველა სუბიექ- ტური მიზნოს უმაღლესი შემზღვუდველი პირობა (გვ 189. 431)

ნების ავტონომია ნების ის თვისებაა, რომლის მეშვეობითაც იგი თვი- თონ (ნებების საგანთა ყოველივე რაგვარობისაგან დამოუკიდებლად) არის კანონი თავისი თავისათვის. მაშასადამე ავტონომიის პრინციპია: არჩევანი მოვახდინოთ მხოლოდ იმგვარად, რომ არჩევანის მაქსიმები ამავე ნებე- ბაში მოიაზრებოდეს, აგრეთვე, როგორც საყოველთაო კანონი... მორა- ლის პრინციპი აუცილებლად უნდა იყოს კატეგორიული იმპერატივი. ეს უკანასკენლი კი, არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ ამ ავტონომიას მოითხოვს (გვ. 227-229)

გამ-ბა Carpe diem, თბ.; 2013. თარგმანი ლამარა რამიშვილისა.

## მური ჯორჯ ედვარდი.

(George dward oore. 1873-1958) – ინგლისელი ფილოსოფოსი. კვლევის ძირითადი სფეროები ეთიკა, შემეცნების თეორია, ფილოსოფიური ანალ- იზის მეთოდები. ანგლო-ამერიკული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმო- მადგენელი. მის ფილოსოფიურ ნააზრევში უტილიტარიზმის პრინციპე- ბია გავითარებული. მური ავითარებს ეთიკური ინტუიტივიზმის თეორიას, რომლის მიხედვით სიკეთის წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უშუალო ინ- ტუიციის საშუალებით. ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომებია: „ეთიკის პრინციპები“ (1903), „ფილოსოფიის მთავარი პრობლემები“ (1953)

## ეთიკის საჭურვლები

თავი |  
ეთიკის საგანი

არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს ყოველდღიური ცხოვრებიდან მსჯელობების რამდენიმე მაგალითის მოყვანა, რომელთა ჭეშმარიტება

უდავოდ ეთიკის დასადგენი იქნება. როცა კი ვამბობთ, რომ „მავანი და მავანი კარგი ადამიანია“, ან ვამბობთ, რომ „ეს ახალგაზრდა კაცი არამზადაა“, როდესაც ვსვამთ კითხვას: „როგორ უნდა მოვიქცე?“, ან „მართებულია კი ჩემი ამგვარი ქცევა?“ მაშინ, როცა თავს უფლებას ვაძლევთ შევნიშნოთ, რომ „სმისაგან თავის შეკავება სათნოებაა, ხოლო ლოთობა – მანკიერება“, – ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ ისეთ საკითხებს ვეხებით და ისეთ მოსაზრებებს გამოვთქვამთ, რომელთა შესახებ მსჯელობაც უშუალოდ ეთიკის (როგორც მეცნიერების) საქმეა; ისევე, როგორც კამათი იმაზე, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პასუხი კითხვაზე, როგორ უნდა მოვიქცეთ; ან დასაბუთება იმისა, თუ რის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი შეხედულება ადამიანის ხასიათზე ან ქმედების ამორალურობაზე მცდარად ან მართებულად. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც გამოვთქვამთ მოსაზრებებს, რომლებიც შეიცავენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „სათნოება“, მანკიერება“, „მოვალეობა“, „უფლება“, „ვალდებულება“, „კარგი“, „ცუდი“, ვმსჯელობთ ეთიკის ფარგლებში და თუ მათი ჭეშმარიტების განხილვა გვსურს, ჩვენი მსჯელობა ეთიკას შეეხება.

საკამათო აქ ნამდვილად არაფერია; თუმცა, ეს სრულიად არ არის საკმარისი ეთიკის სფეროს მოსანიშნად. ეს სფერო შეიძლება განისაზღვროს, როგორც სრული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რაც საერთოა ასეთი მსჯელობებისათვის და, იმავდროულად, მათ განსაკუთრებულობასაც ქმნის. მაგრამ ახლა ისმის კითხვა: და მაინც რა არის ის, რაც მათში საერთოცაა და განსაკუთრებულიც? ამ კითხვაზე აღიარებული ფილოსოფოსი ეთიკოსები სრულიად განსხვავებულად პასუხობენ, და არც ერთი პასუხი არ არის, როგორც ჩანს, სავსებით დამაკმაყოფილებელი.

„ლოგოს პრესი“, თბ. 2003

თარგმანი თამარ ბაკურაძისა და მაია გოგოლაძისა

## ჯონ სტიუარტ მილი

### უტილიტარიზმი

ეს ლირშესანიშნავი ადამიანი (იგულისხმება ი. კანტი. რედ.) ვისი აზროვნების სისტემაც დიდ ხანს დარჩება ერთ-ერთ ნიშანსვეტად ფილოსოფიური სპეციულაციის ისტორიაში, აღნიშნულ ტარქტატში, (იგულისხმბა „ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება“. რედ.) ზნეობრივი ვალდებულების წყაროდ და საფუძვლად აყალიბებს უნივერსალურ პირველ პრინციპს; ის შემდეგია: „მოიქეცი ისე, რომ შესაძლო იყოს, შენი ქცევის წარმმართველი წესი კანონად მიიღოს ყველა გონიერმა არსებამ“. მაგრამ როცა ამ მცნებიდან რეალური ზნეობრივი მოვალეობების გამოყვანას ცდილობს, ის თითქმის გროტესკულ მარცხს განიცდის იმის ჩვენებაში, რომ წინააღმდეგობრივი, ლოგიკურად (რომ არ ვთქვათ ფიზიკურად) შეუძლებელი იქნე-

ბოდა ყველა გონიერი არსების მიერ ქცევის ყველაზე ზღვარგადასულად ამორალური წესების მიღება. ის მხოლოდ იმას აჩვენებს, რომ ამ წესების საყოველთაოდ მიღება გამოიწვევდა შედეგებს, რომელთა ატანასაც არა-ვინ ისურვებდა.“ (გვ. 185)

.. თუ შეიძლება დამტკიცდეს, რომ რაღაც სიკეთეა, ეს უნდა მოხდეს იმის ჩვენებით, რომ ის არის საშუალება რაღაც სხვისთვის, რაც დასაბუთების გარეშეა აღიარებული სიკეთედ. (გვ. 186)

მრნამსი, რომელიც ზნეობის საფუძვლად სარგებლობას, უდიდესი ბედნიერების პრინციპს აღიარებს, გვასწავლის, რომ ქმედებები კარგია იმის პროპორციულად, თუ რამდენად უწყობს ხელს ისინი ბედნიერებას, და ცუდია იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ ბედნიერების საწინააღმდეგოს გამოწვევის მიღრეკილება. ბედნიერებაში იგულისხმება სიამოვნება და ტკივილის არარსებობა, უბედურებაში-ტკივილი და სიამოვნების ნაკლებობა..... მხოლოდ სიამოვნება და ტკივილისაგან თავისუფლებაა ის, რაც სასურველია, როგორც მიზანი; და რომ ყველაფერი რაც სასურველი (ასეთი საგნები უტილიტარისტულ სქემაშიც ისევე მრავალრიცხოვანია, როგორც ნებისმიერ სხვაში), სასურველია ან იმიტომ, რომ თავისთავად არის სასიამოვნო, ან კიდევ-როგორც სიამოვნების ხელშეწყობისა და ტკივილის აღკვეთის საშუალება.

.. თუ ადამიანისა და ღორის სიამოვნების წყაროები ზუსტად ერთი და იგივეა, ცხოვრების წესი, რომელიც კარგია ერთისათვის, კარგი უნდა იყოს მეორესათვის. ეპიკურული ცხოვრების პირუტყვების ცხოვრებას-თან შედარება ზუსტად იმიტომ განიცდება დამამცირებლად, რომ პირუტყვების სიამოვნებები არ აკმაყოფილებს ბედნიერების შესახებ ადამიანის წარმოდგენებს. ადამიანებს ცხოველურ ლტოლვებზე უფრო ამაღლებული მოთხოვნილებები აქვთ დამ ას შემდეგ, რაც ერთხელ გააცნობიერებენ ამას, არაფერს მიიჩნევენ ბედნიერებად, რაც მათ დაკმაყოფილებას არ მოიცავს. (გვ 188-189)...

..სარგებლობის პრინციპთან სავსებით შეთავსებადია იმ ფაქტის აღიარება, რომ ზოგიერთი სახის სიამოვნება სხვებზე უფრო სასურველი და უფრო ღირებულია...

კითხვაზე, რას ვგულისხმობ სიამოვნებებს შორის თვისებრივ განსხვავებაში, ან რა აქცევს ერთ სიამოვნებას, უბრალოდ როგორც სიამოვნებას, მეორეზე მეტად ღირებულად, იმის გარდა, რომ ის რაოდენობრივად უფრო მეტია, მხოლოდ ერთი შესაძლო პასუხი არსებობს. თუ ორი სიამოვნებიდან ერთი ისეთია, რომ ყველა ან თითქმის ყველა, ვისაც ორივე განუცდია, გადაჭრით მას მიანიჭებს უპირატესობას, ოღონდ მიანიჭებს არა რაიმე მორალური ვალდებულების გამო, მაშინ ეს არის უფრო სასურველი სიამოვნება.

.. არც ერთი გონიერი ადამიანი არ დათანხმდებოდა სულელად ყოფნას, არც ერთი განათლებული ადამიანი არ მოინდომებდა უმეცრებას, არც

ერთი მგრძნობიარე და სინდისიერ ადამიანს არ ესურვებოდა ეგოისტობა და ნაძირლობა. (გვ. 190-191)

უდიდესი ბედნიერების პრინციპის თანახმად, როგორც ზემოთ განვმარტეთ, საბოლოო მიზანი, რომელთან მიმართებაში და რომლის გულისთვისაც არის სხვა ყველაფერი სასურველი (სულ ერთია, ჩვენს საკუთარ სიკეთეს განვიხილავთ თუ სხვა ადამიანებისას), არის რამდენადაც შესაძლებელია ტკივილისგან თავისუფალი და რამდენადაც შესაძლებელია სიამოვნებით მდიდარი არსებობა, როგორც რაოდენობის, ისე თვისებრიობის თვალსაზრისით. თვისებრიობის საზომი და რაოდენობასთან მისი შეთანადების წესია მათი პრეფერენცია, ვინც საუკეთესოდ არის შედარების საშუალებებით აღჭურვილი გამოცდილებისა და ასევე თვითგააზრებისა და თვითდაკვირვების ჩვევების წყალობით. რადგან ეს არის, უტილიტარისტული შეხედულების თანახმად, ადამიანის ქმედების მიზანი, იგივეა აუცილებლად ზნეობრიობის სტანდარტიც, რომელიც შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანის ქცევის ისეთი წესები და მცნებები, რომელთა დაცვაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მთელი კაცობრიობისთვის ზემოთ აღნერილი სახის არსებობას; და არა მხოლოდ კაცობრიობის, არამედ, რამდენადაც ამას საგანთა ბუნება უშვებს, ყველა მგრძნობელი ქმნილებისათვის.(გვ 192)

.. ადამიანთა საქმეების დახლართული ბუნების შედეგია ის, რომ შეუძლებელია ქცევის ისეთი წესების ჩამოყალიბება, რომლებიც არავითარ გამონაკლისებს არ მოითხოვს, და რომ თითქმის არ არსებობს ისეთი სახის ქმედება, რომელის ყოველთვის სავალდებულოდ ან ყოველთ ვის დასაგმობად მიჩნევა უსაფრთხოდ იქნება შესაძლებელი... ეს ნამდვილი სიძნელეებია, დახლართული მომენტებია, როგორც ეთიკის თეორიისთვის, ისე პირადი ქცევის კეთილსინდისიერად წარმართვისათვის.. თუ სარგებლობა ზნეობრივ ვალდებულებათა საბოლოო წყაროა, სარგებლობას შეიძლება მოვუხმოთ მათ შორის დავის გადასაწყვეტად იქ სადაც მათი მოთხოვნები ერთმანეთთან შეუთავსებელია. (გვ. 210)

რადგან ყველა ზნეობრიობის ქმედითობის საბოლოო წყარო (გარეგანი მოტივების გარდა)ჩვენს საკუთარ ცნობიერებაში არსებული სუბიექტური გრძნობაა, ვეარფერს ვხედავ შემანუსებელს მათთვის, ვისი სტანდარტიც სარგებლობაა, შემდეგ საკითხში: რა არის ამ კონკრეტული სტანდარტის ქმედითობის წყარო? შეგვიძლია ვუპასუხოთ: იგივე, რაც ყველა სხვა ზნეობრივი სტანდარტისა-ადამიანის სინდისის გრძნობა. (გვ. 216)

მიზნების შესახებ კითხვები, სხვა სიტყვებით, არის კითხვები იმის შესახებ, თუ რომელი საგნებია სასურველი. უტილიტარიზმის თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერებაა სასურველი, როგორც მიზანი; სხვა ყველაფერი სასურველია მხოლოდ როგორც ამ მიზნის მიღწევის საშუალება. (გვ. 221)

გამ-ბა „დიოგენე“ თბ.; 2010. თარგმანი თამარ ცხადაძისა

## ნორმან გეიზლერი

### ქრისტიანული ეთიკა

სიკეთე ის არის, რასაც ღმერთი თვლის, რომ სიკეთეა. რომელ ქმედებასაც ღმერთი მიიჩნევს, რომ კეთილია, ის არის კეთილი ქმედება, და პირიქით- თუ ღმერთს სურს, რომ ქმედება ბოროტი იყოს, ის ბოროტია. ამგვარად, მორალურად სიკეთე ორგვარია პირველადიც და განსაზღვრებადიც. ის არის პირველადი იმიტომ, რომ მოდის ღვთისაგან და ის არის განსაზღვრებადი, ვინაიდან მისი პოვნა შეიძლება ღვთის გამოცხადებაში კაცობრიობისადმი.

...თუ აბსოლუტური, მორალურად სრულყოფილი ღმერთი არსებობს, მაშინ მისი ჭეშმარიტი ბუნებით ის არის პირველადი ავტორიტეტი(ან სტანდარტი) იმისა, თუ რა არის კეთილი, და რა-არა.

...ვოლუნტარისტს სწამს, რომ კეთილი უბრალოდ იმიტომ არის კეთილი, რომ ღმერთს ასე სურს, ესენციალისტს(არსობრივის მომხრეს) მეორეს მხრივ კი სჯერა, რომ ღმერთს სურს რაღაც იმიტომ, რომ ის არის კეთილი საკუთარი ბუნების შესაბამისად.

... ქრისტიანული ეთიკა ღვთაებრივ ბრძანებათა პოზიციაა. ეთიკური მოვალეობა არის რაღაც ისეთი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ეს არის ღვთაებრივი მითითება. ცხადია, ღმერთისაგან მოცემული ეთიკური იმპერატივები შეესაბამება მის უცვლელ მორალურ ხასიათს. ეს არის ის, რაც ღმერთს სურს, ის, რაც სწორია მისი საკუთარი მორალური ატრიბუტების შესაბამისად... ქრისტიანული ეთიკა დაფუძნებულია ღმერთის ნებაზე, მაგრამ ღმერთს არასოდეს არ სურს რაიმე, მისი უცვლელი მორალური ხასიათის საწინააღმდეგოდ.

ვინაიდან ღმერთს მორალური ხასიათი არ ეცვლება (მალ. 3:6, იაკ. 1:17), ცხადი ხდება, რომ მისი ბუნებიდან გამომდინარე მორალური ვალდებულებები აბსოლუტურია. ე.ი. ისინი ყველასათვის აუცილებელია ყველან და ყოველთვის... ღმერთის ყველა ნება-სურვილი არ გამომდინარეობს აუცილებლად მისი უცვლელი ბუნებიდან. ზოგიერთი რამ შეესაბამება მის ბუნებას, მაგრამ გამომდინარეობს დამოუკიდებლად მისი ნებიდან. მაგალითად, ღმერთმა გადაწყვიტა გამოეცადა ადამისა და ევას მორალური მორჩილება მათვის საგანგებო ხის ნაყოფის შექმის აკრძალვით..ეს ბრძანება დაფუძნებული იყო ღმერთის ნებაზე და სრულებით არ გამომდინარეობდა მისი ბუნებიდან. მეორეს მხრივ, ღმერთის ბრძანება- არა კაც კლა (დაბ. 9:6) გამოცხადებული გახლდათ მოსეს რჯულამდე, მოსეს რჯულის დროს (გამოს. 20:13) და აგრეთვე მოსეს რჯულის შემდეგაც (რომ .13:9) მოკლედ კლვა არასწორია ყველა დროისათვის, ყველა ადგილისა და ხალხისათვის, .. რაც შესაბამისია ღმერთის უცვლელი მორალური ხასიათისა, ისინი მორალური აბსოლუტებია. ისინი შეიცავენ ისეთ მორალურ

ვალდებულებებს, როგორიცაა სინმინდე, სამართლიანობა, სიყვარული, ერთჩულება, მოწყალება. სხვა ბრძანებები კი, რომლებიც მოედინებიან ღმერთის ნებისაგან, მაგრამ არა აუცილებლად მისი ბუნებიდან, აყენებენ მორნმუნებს ვალდებულებების წინაშე, მაგრამ ეს ვალდებულებებანი არ არიან აპსოლუტები.

.. ქრისტიანული ეთიკა დაფუძნებულია ლვთის ბრძანებებზე, რომლის გამოცხადებაც ორივენაირია: საერთო (რომ. 1:19-20) და საგანგებო (რომ. 2:18). ღმერთმა თავისი თავი გამოგვიცხადა ბუნებაში (ფს. 18: 1-6) და წმინდა წერილში (ფს. 18:8-14). საერთო გამოცხადება შეიცავს ლვთის ბრძანებებს ყველა ხალხისათვის. საგანგებო გამოცხადება კი წარმოაჩენს მის ნებას მორნმუნებისათვის. თუმცა ყოველ შემთხვევაში საფუძველი ადამიანის ეთიკური პასუხისმგებლობისა ლვთიური გამოცხადებაა... მართალია, ურნმუნოებს მორალური კანონი არა აქვთ გონებაში, მაგრამ აქვთ გულში, და თუმცა მათ არ იციან ეს კანონი შემეცნების გზით, ისინი აჩვენებენ, რომ იციან ის ინტუიციის გზით.

.. ქრისტიანები თავიანთ ეთიკურ მოვალეობებს იპოვნიან არა ქრისტიანების სტანდარტში, არამედ ქრისტიანებისათვის განკუთვნილ სტანდარტში-ბიბლიაში.

.. ქრისტიანული ეთიკა დეონტოლოგიურია და ამტკიცებს, რომ ის ქმედებებიც კი, რომლებიც წარუმატებლად დამთავრდა, კარგია...მორალური ქმედედები, რომლებიც ასახავენ ღმერთის ბუნებას, კეთილია დამოუკიდებლად იმისა წარმატებულია ისინი თუ არა. ქრისტიანისათვის კეთილი არ განისაზღვრება ლატარეით....თუმცა, ქრისტიანული ეთიკა არ უგულვებელყოფს შედეგებს. მხოლოდ ის, რომ შედეგები არ განსაზღვრავენ თუ რა არის სწორი, არ ნიშნავს იმას, რომ მართებულია შედეგების არად ჩაგდება...ქრისტიანულ ეთიკაში შედეგი გათვლილია პრინციპებისა და ნორმების ფარგლებში.. მიზანმა შესაძლოა გაამართლოს კეთილი საშუალებების გამოყენება, მაგრამ ის არ ამართლებს ყოველგვარი საშუალებების გამოყენებას და რასაკვირველია ბოროტისას მითუმეტეს. (გვ. 13-18)

ქრისტიანული ეთიკა: პოზიციები და საკითხები; თბ. 2003,  
თარგმანი ლეხუმ მაისურაძისა

## აინ რენდი

### ეგო ეგოიზმის გარეშე

ადამიანი უნდა ექვემდებარებოდეს იდეებს და პრინციპებს თავისი „პიროვნული ინტერესების მიხედვით“, რა არის პიროვნული ინტერესები და როგორ შეიძლება მათი განსაზღვრა? წარმოიდგინეთ თუ როგორი გამოიყურება გრძობებიდან დაცლილი, მე-ს გარეთ მდგომი ადამიანი; წარმოიდგინეთ რა უმძიმეს განაჩენს გამოუტანს პოლიტიკოსი საკუთარ თავს, თუ სამართლიანობა მის პერსონულ ინტერესებში არ იქნება მოქცეული, ან შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მწერალი, რომლის მიერ გადმოცემული ობიექტური ლირებულებები მის პიროვნულ ინტერესების არ გამოხატავს? მაგრამ შემმეცნებელ გონებას არ შეუძლია შექმნას ლირებულებები და მიზნები, იგი მათ უკვე მზად იღებს, შემდეგ კი სავარაუდო სვლებს აკეთებს. (ყველა ამგვარი ადამიანი არ არის ტომის მარტოსული მგელი-ზოგიერთი კეთილსინდისიერი, მაგრამ დაბნეულია ფსიქო-ეპისტემეოლოგიური სიღრმის მიღმა მდგომია, – თუმცა ყველა მათგანი ანტი-კონცეპტუალური აზროვნების მატარებელია).

ყველა შემმეცნებითი გონებისთვის საკუთარი თვითობის გამოფიტვა და უარყოფაა დამახასიათებელი; ყველას ეშინია საკუთარ მე-ზე დაყრდნობა, პასუხისმგებლობის ტვირთვა, ეს მხოლოდ თავად თვითობამ შეიძლება იყისროს. ისინი ყოველთვის გაურბიან იმ ორ აქტივობას, რომელიც მუდმივად თანმდევია ჭეშმარიტი ეგოისტისა- ესაა მსჯელობა და არჩევანი. მათ ეშინიათ მიზეზის (რომელიც ნებაყოფლობითია), ენდობიან ემოციებს (რომელიც ავტომატურია); მათ ურჩევნიათ ნათესავები (სისხლის შემთხვევა) მეგობრებს (არჩევანს) მათ ურჩევნიათ ტომი (მოცემულობა) გარეთ მდგომებს(ახალს) მათ ურჩევნიათ მცნებები(დამახსოვრებული) პრინციპებს (წვდომა). ისინი დეტერმინისტულად გამართული თეორიებიდან მოდიან, ყველა იმ ცნებიდან, რომელიც ნებას რთავს მათ იყვირონ „არ შემეძლო!!!“

ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი № 4/2014; თბ.; თსუ გამ-ბა.  
თარგმანი ნინო ტარტარაშვილისა

# საზოგადო მეორხე. პატიმრების ფილოსოფია

## პლატონი

### სახელმწიფო

შემდგომ ამისა, – ვთქვი მე, – აი, რას შეგიძლია შეადარო ჩვენი ბუნება განათლებისა თუ გაუნათლებლობის მხრივ: წარმოიდგინე ადამიანები, რომლებიც თითქოს მღვიმის მსგავს მიწისქვეშა დილეგში არიან გამომწყვდეულნი. პატიმრებს კისერსა და ხელ-ფეხზე სიყრმიდანვე ბორკილები ადევთ, ასე რომ, არც განძრევა შეუძლიათ და არც უკან მიხედვა. ამიტომაც მხოლოდ წინ იყურებიან და მარტომდენ იმას ხედავენ, რაც თვალწინ უდევთ. ბორკილდადებულნი ზურგშექცევით სხედან კედლისკენ, საიდანაც შემოდის სინათლე, რომელსაც შორს, მაღლა, მოგიზგიზე ცეცხლი ასხივებს. ცეცხლსა და პატიმრებს შორის მაღლობზე გადის გზა. ამ გზას პატიმრებისაგან დაბალი კედელი ჰყოფს, იმ ფარდის მსგავსად, რომლის მიღმაც თვალთმაქცები თავიანთ თანაშემწებებს მაღვენ, მაღლა აწეული თოჯინებით რომ ართობენ ხალხს.

– წარმოვიდგინე.

– ახლა ისიც წარმოიდგინე, რომ კედლის გასწვრივ მიღიან-მოდიან მგზავრები, რომლებსაც ხელში ნაირ-ნაირი საგნები უჭირავთ, მათ შორის, ხისა თუ ქვისაგან გამოთლილი ადამიანებისა და ცხოველების გამოსახულებანი, რომლებიც იმ სიმაღლეზე აუწევიათ, რომ კედლის მიღმაც ჩანან. მგზავრებიდან, ჩვეულებრივ, ზოგი ლაპარაკობს, ზოგი კი ჩუმადაა.

– ეს რა უცნაურ სურათსა და უცნაურ პატიმრებს გვიხატავ?

– ისინი ჩვენ გვგვანან. ერთი ეს მითხარი, როგორ გგონია, განა ამ დღეში მყოფი ხალხი შეიძლება სხვა რამეს ხედავდეს, გინდა თავისას და გინდა სხვისას, მის წინ – მღვიმის კედელზე მოშრიალე ლანდების გარდა?

– რას უნდა ხედავდნენ, თუკი გაჩენის დღიდან თავის უკან მიბრუნებაც კი არ შეუძლიათ?

– კი, მაგრამ განა იგივე არ ითქმის იმ საგნებზედაც, კედლის მიღმა რომ მიმოაქვთ?

– მაინც რა?

– რა და, პატიმრებს რომ ერთმანეთში ლაპარაკი შეეძლოთ, შენი აზრით იტყოდნენ თუ არა, რომ ნამდვილი საგნების სახელს არქმევენ კედელზე მორიალე მათ ლანდებს?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო მათი მღვიმე ექოსავით რომ იმეორებდეს გზად მიმავალი მგზავრების სიტყვებს, განა არ ეგონებოდათ, რომ კედელზე მორიალე ლანდები ლაპარაკობენ?

– ცხადია, ვფიცავ ზევსს.  
– მაშასადამე, ეჭვს გარეშეა, რომ ისინი ნამდვილ საგნებად აღიქვამდენენ ამ ხელთქმნილი საგნების ლანდებს?

– აუცილებლად.  
– ახლა კი დაუფიქრდი, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა შედეგად იმას, რომ მათთვის ბორკილები აეყარათ და უმეცრებისაგან დაეხსნათ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა მოხდებოდა მათში, ბუნებრივი გზით რაღაც ამგვარი რომ შემთხვეოდათ? ვთქვათ, ერთ-ერთი მათგანისათვის ბორკილები გაეხსნათ და ებრძანებინათ რომ შემობრუნებულიყო, ორი-ოდე ნაბიჯი გადაედგა და სინათლის მხარეს გაეხედა. განა ეს ნამდვილი ტანჯვა არ იქნებოდა მათთვის? თვალისმომჭრელი სინათლე ამ საგნების გარჩევის საშუალებასაც არ მისცემდა, რომელთა ლანდებსაც მღვიმის კე-დელზე ხედავდა. როგორ გვონია, რას იტყოდა, ვინმეს რომ ეთქვა – აქა-მდე მხოლოდ უბადრუკ ლანდებს ხედავდი, ახლა კი ჭეშმარიტ არსებობას ხედავო? მერე ერთ-ერთი საგანი ეჩვენებინათ, თანაც ეკითხათ, რა არის ესო და ძალატანებით მოეთხოვათ, პასუხი გაეცა მათთვის. განა ეს, შენი აზრით, საგონებელში არ ჩააგდებდა? საბრალოს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ გაცილებით უფრო ნამდვილი იყო ის, რასაც მანამდე ხედავდა, ვიდრე ის, რასაც ახლა უჩვენებდნენ.

– რასაკვირველია, ამას იფიქრებდა.  
– ანდა, თუ აიძულებდნენ, ცეცხლის შუქისათვის ემზირა, განა თვალს არ მოსჭრიდა მათი ციმციმი? ასე რომ, შეძრნუნებული, სირბილით რომ დაუბრუნდებოდა იმას, რასაც აქამდე ასე თავისუფლად უსწორებდა თვალს და რაც, მისი აზრით, გაცილებით უფრო ნამდვილი იყო, ვიდრე ის, რაც ახლახან უჩვენეს.

– მართალს ბრძანებ.  
– ხოლო თუ ძალით გამოათრევდნენ გარეთ, რათა ციცაბო ფერდობზე გამავალი გზით მაღლა აეყვანათ და მზის სინათლე ეჩვენებინათ, განა ტკიცილით გატანჯულს არ აღაშფოთებდა ამნაირი ძალმომრეობა? მზის სიკაშირით თვალდავსილი ერთსაც ვერ გაარჩევდა იმ საგნებს შორის, რომლებზედაც დაუინებით ჩასჩიჩინებდნენ, ნამდვილი საგნები თუ გნებავს, სწორედ ესენი არიანო.

– ერთბაშად მართლაც ვერ გაარჩევდა.  
– აქ საჭიროა მიჩვევა, რაკიდა ყველაფრის დანახვა მართებს, რაც მაღლაა. ამიტომ უნინარეს ყოვლისა, ლანდებისაკენ უნდა მიმართოს მზერა, შემდეგ წყლის სიღრმეში არეკლილი ადამიანებისა თუ სხვადასხვა საგანთა გამოსახულებებისაკენ, ბოლო კი ყოველივე ზეციურის ჭვრეტა ღამით, მთვარისა და ვარსკვლავების შუქზე უფრო გაუადვილდება, ვიდრე დღისით – მზის სინათლეზე.

– რა თქმა უნდა.  
– ბოლო და ბოლოს, ეს კაცი, ჩემი აზრით, იმასაც შეძლებს, რომ

თვალი გაუსწოროს თვით მზესაც და წყალში კი აღარ უცქიროს მის ან-არეკლს, არამედ ცის თაღზე დაუკვირდეს მის თვისებებს.

– უცილობლად.

– რის შემდეგად ის დაასკვნის, რომ სწორედ მზე განსაზღვრავს ამ ხილულ სამყაროში მზე წარმართავს ყველაფერს და, გარკვეული აზრით, იგივე მზეა ყოველივე იმის მიზეზიც, რაც მღვიმეში ჩანდა.

– ცხადია, თავისი დაკვირვების შედეგად სწორედ ამ დასკვნამდე მივა.

– მერედა, თავისი უწინდელი სამყოფლის, იქაური სიბრძნითა და თავისი მეგობარი პატიმრების გახსენებისას განა ნეტარებად არ მიიჩნევს თავის ახლანდელ ყოფასა და სიბრალული არ აღეძვრის დილეგში მყოფთა მიმართ?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ ისინი თავიანთ მღვიმეში პატივსა და დიდებას მიაგებდნენ ერთმანეთს და ჯილდოს არ იშურებდნენ იმისთვის, ვის გამჭრიას მზერა-საც არ გამოეპარებოდა არც ერთი საგანი, კედლის იქით რომ მიჰქონდათ, და ყველაზე უკეთ იმასსოვრებდა, რა გამოჩნდებოდა პირველად, რა – შემ-დეგ და რა – ერთდროულად, რის საფუძვლებზეც წინასწარმეტყველებდა მომავალს – როგორ გგონია, ბორკილებიდან თავდაღწეული კვლავინდებუ-რად ინატრებდა ყოველივე იმას, ან შური აღძვროდა იმის მიმართ, ვისაც თაყვანს სცემდნენ მღვიმეში, როგორც ყველაზე საჩინო და სახელოვან კაცს? თუ იმავე განცდით გულშეძრულს, რასაც გვაუწყებს ჰომეროსი, მხ-ოლოდ ერთი რამე ექნებოდა სანატრელი: დღიურ მუშად ემუშავა ღარიბი გლეხის ყანაში და ოფლის ღვრით ეშოვნა ლუკმა პური, ან აეტანა ათას-ნაირი გაჭირება, ოღონდაც აღარასოდეს მიბრუნდებოდა თავის უწინდელ ყოფას და იმდროინდელ სიბრმავეს.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა მან, – მართლაც ყველაფერს აიტანდა იმის გულისთვის, რომ ძველებურად აღარ ეცხოვრა.

– ერთსაც დაუფიქრდი: ეს კაცი რომ კვლავ მღვიმეს დაბრუნებოდა და თავის ძველ ადგილას დამჯდარიყო, განა მზის ნათელს ასე ანაზდად განშორებულს იმავე წამს თვალს არ დაუვსებდა ბნელი?

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ მღვიმეში სამუდამოდ გამომწყვდეულ პატიმრებთან კვ-ლავ მოუწევდა პაექრობა ამა თუ იმ ლანდისა და მისი მნიშვნელობის გამო, ვიდრე თვალს შეაჩვევდა სიბრძლეს, აღბათ, საკმაო დრო დასჭირდებოდა, შენი აზრით, განა მასხრად არ აიგდებდნენ ამ სიტყვებით: რას მიეხეტე-ბოდა იმ სიმაღლეზე, სულ ტყუილად დაკარგა თვალის ჩინიო? ასე რომ, თუ ვინმე შეეცდებოდა ტყვეობიდან დაეხსნა და მაღლა აეყვანა ისინი, განა იმწამსვე სულს არ გააფრთხობინებდნენ, ხელში რომ ჩავარდნოდათ?

– უეჭველად.

– ჰოდა, ჩემო ძვირფასო გლავკონ, სწორედ ესაა კაცთა ყოფის ზუსტი ხატება. მღვიმე ხილული სამყაროა, ხოლო სინათლე, რომელსაც ცეცხლი

ასხივებს, მზის ნათელს ედარება. მაღლა ასვლა და ნამდვილი საგნების ჭვრეტა სხვა არა არის რა, თუ არა სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ. აი, როგორია ჩემი აზრი, თუკი გსურს მას მისდომ; პირადად მე ასე მგონია, ცოდნით კი ღმერთმა იცის, მართალია თუ არა იგი. გონით საწვდომი სამყაროს ზღვარი სიკეთის იდეა, რომელსაც ძნელად თუ გაარჩევს გონების თვალი, მაგრამ საკმარისია ბუნდოვნად მაინც აღვიქვათ, რომ აქედან უშუალოდ გამოგვაქვს დასკვნა: სწორედ სიკეთის იდეაა ყოველივე ჭეშმარიტისა და მშვენიერების მიზეზი, ხილულ სამყაროში ის ბადებს ნათელს და მის მეუფეს, გონით საწვდომ სამყაროში კი თვითონვეა მეუფეც და მბრძანებელიც, რომლისაგანაც დასაბამს იღებს ჭეშმარიტება და გონიერება; ამიტომ სწორედ მის ჭვრეტას უნდა ცდილობდეს ყველა, ვისაც სურს გონივრულად იქცეოდეს, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

– გეთანხმები, – თქვა მან, – რამდენადაც შემიძლია შენს აზრს მივსდომ.

– მაშინ ამაშიც დამეთანხმე, ვინც ამ სიმაღლეს მიაღწია, უკვე აღარ შეუძლია ხელი მიჰყოს კაცთა ჩვეულ საქმიანობას, რადგანაც მისი სული გამუდმებით მიელტვის მხოლოდ სიმაღლეს. და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ზედმინევნით შეესაბამება ჩვენს მიერ დახატულ ალეგორიულ სურათს.

– მართლაც.

– მერედა, ნუთუ შენი აზრით, უნდა გვიკვირდეს, რომ როდესაც ამ ღვთაებრივი ჭვრეტიდან ადამიანი კვლავ უბრუნდება ამქვეყნიურ უბადრუკობას, შემცბარი და დაბნეული, სასაცილო ჩანს? დაბინდული მზერა ჯერ კიდევ ვერ შესჩვევია გარემომცველ სიბნელეს, მაგრამ, ვიდრე შეეჩვეოდეს, მანამდე აიძულებენ სამსჯავროში თუ სხვაგან სადმე გამოვიდეს და სამართლიანობის ლანდებისა და ამ ლანდების ანარეკლთა გამო იდავოს, ესე იგი, იმ ხალხისათვის დაიწყოს ბრძოლა მათი განმარტებისათვის, ვისაც თვალითაც არ უნახავს სამართლიანობა თავისთავად.

– არა, ამაში არაფერია საკვირველი.

– ჭკვიანი კაცი გაიხსენებდა, რომ მზერას ორი სხვადასხვა მიზეზი ამლვრებს: როცა სინათლიდან სიბნელეში გავდივართ, ანდა, პირიქით, სიბნელიდან – სინათლეში. იგივე ითქმის სულზედაც: დავუკვირდეთ შემცბარსა და დაბნეულ სულს, საგანთა გარჩევის უნარი რომ დაჰკარგვია, მაგრამ ბრიყვულად ნუკი დავუწყებთ დაცინვას, არამედ დავუფიქრდეთ – უფრო ნათელი ყოფიდან მოვიდა და მისთვის უჩვევმა სიბნელემ დაუუსო თვალი, თუ პირიქით, სრული უმეცრებიდან ამაღლებულს თვალი მოსჭრა სინათლის ასეთმა უჩვეულო ბრწყინვალებამ? ამ შემთხვევაში შეიძლება ნეტარებად დავსახოთ მისი ყოფა, პირველ შემთხვევაში კი, მისდამი თანაგრძნობა გვმართებს. მაგრამ თუ ვინმე მაინც ვერ იკავებს სიცილს, ეს დაცინვა ნაკლებად ბრიყვული იქნება, თუკი მისი საგანია სული, რომელ-

მაც სინათლის საუფლოდან სიბნელეში ამოყო თავი.

– მართალს ბრძანებ.

– თუ მართალია, – ვთქვი მე, – აი, რა დასკვნის გამოტანა გვმართებს: განათლება სულაც არ არის ის, რაც ზოგ-ზოგიერთს ჰგონია, ვისი მტკიცებითაც გაუნათლებელ სულს თითქოს ისე უნდა ჩავუნერგოთ განათლება, როგორც უსინათლო თვალს ხედვის უნარი.

– დიახ, ასე ამტკიცებს ბევრი.

– ეს ჩვენი მსჯელობა კი მოწმობს, რომ ყველა სულს აქვს ამის უნარი და სათანადო იარაღიც მოეძებნება. მაგრამ როგორც კი თვალი მხოლოდ მთელ სხეულთან ერთად თუ მიბრუნდება სიბნელიდან სინათლისაკენ, სულიც ასევე მთლიანად თუ განუდგება ყოველივე ქმნადს, იმ ზომამდე, რომ არა მარტო არსს, თვით იმასაც კი გაუსწოროს თვალი, რაც ყველაზე ნათელია არსში, ხოლო ეს, ჩვენი მტკიცებით, სიკეთეა, არა?

– დიახ.

– სწორედ აქ ვლინდება მოქცევის ხელოვნება, – ვუთხარი მე, – რა გზით შეიძლება უფრო ადვილად და ქმედითად მოვაქციოთ კაცი? მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხედვის უნარი ჩავუნერგოთ მას, ვისაც უკვე აქვს ეს უნარი. თუმცა ის არასწორადაა მიმართული და იქით როდი იყურება, საითაც ჯერ არს. სწორედ აქ გვმართებს ძალისხმევა, რომ მისი მზერა სწორად მივმართოთ.

– როგორც ჩანს.

– სულის ზოგიერთი უნარი ძალზე ახლოს დგას სხეულის ამა თუ იმ უნართან, რამდენადაც ადამიანს თავიდანვე შეიძლება არც ჰქონდეს როგორც ერთი, ისე მეორე, მაგრამ შემდეგ თვითწრთვნის წყალობით შეიძინოს. ხოლო რაც შეეხება ცოდნის უნარს, ეს, ეტყობა, რაღაც უფრო ღვთაებრივია, რაკიდა არასოდეს კარგავს თავის ძალას და იმის მიხედვით, თუ რისკენაა მიმართული, ხან სასარგებლოა და სასიკეთო, ხანაც უსარგებლო და უკეთური. ნუთუ არ შეგიმჩნევია, რა გამჭრიახია იმ ხალხის ბნელი სული, ვისაც არამზადებად, თუმცა კი ჭკვიანებად კი თვლიან, ან რატომ ვერაფერს ვერ გამოაპარებ მათ თვალს, რასაც თვითონვე მიელტვიან? ასე რომ, მათ მშვენიერი მხედველობა აქვთ, მაგრამ რაკი ის მათსავე ავკაცობას ემსახურება, ამიტომ რაც უფრო გამჭრიახია, მით უფრო მეტ ბოროტებას ჩადის.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ თუ ამნაირ ბუნებას ერთბაშად, ბავშვობიდანვე მოვკვეთდით უკეთურ მიდრეკილებებს, ტყვიის საძირავით რომ ეწევიან მას ღორმუცელობის, ღრეობისა თუ სხვა ხორციელი განცხრომისაკენ და ქვემოთ მიმართავენ მის მზერას, მაშინ ყოველივე ამისაგან თავდახსნილი სული ჭეშმარიტებას მიუბრუნდებოდა და იგივე ავკაცნი არანაკლებ თვალნათლივ გაარჩევდნენ ყოველივე ჭეშმარიტს, ვიდრე იმ საგნებს, რომლებისკენაც ამჟამად მიმართულია მათი მზერა.

– კი, მაგრამ განა ზემოთქმულიდან ბუნებრივად და გარდუვალად არ გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო მმართველობისათვის არც გაუნათლებელი და ჭეშმარიტების არმცოდნენი გამოდგებიან და არც ისინი, ვინც თავისი დღე და მოსწრება ცოდნასა და განათლებას იძენდა? პირველნი იმიტომ, რომ მტკიცედ დასახული მიზანი არ გააჩნიათ, რომლისკენაც სწრაფვას შეალევდნენ თავიანთ პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, მეორენი კი იმიტომ, რომ არასდიდებით არ დათანხმდებოდნენ სახელმწიფოს მართვისათის მიეყოთ ხელი, რადგანაც მათი აზრით, სიცოცხლეშივე დაიმკვიდრეს ნეტართა კუნძული.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, ჩვენი აზრით, როგორც სახელმწიფოს დამაარსებლების, ვალი ისაა, რომ ვაიძულოთ ყველაზე ღირსეულნი სწორედ იმის შესწავლას მიუბრუნდნენ, რაც უზენაესად დავსახეთ: მე ვგულისხმობ სიკეთის წვდომას და მისკენ სწრაფვას. მაგრამ როცა ამ სიმაღლეს მიაღწევენ და გულს იჯერებენ მისი ჭვრეტით, იმის ნებას კი აღარ მივცემთ, რაც დღეს ნებადართულია მათვის.

– მაინც რის ნებას?

– იმ სიმაღლეზე დარჩენისას, თუკი აღარ ისურვებენ კვლავ დაუბრუნდნენ ჩვენს პატიმრებს, რათა, ავად თუ კარგად, მათი ჭირი და ლხინი გაიზიარონ.

– კი მაგრამ, მაშინ ხომ უსამართლონი ვიქნებით მათ მიმართ, რაკიდა ჩვენს გამო შავ დღეში ჩაცვივდნენ, თუმცა კი შეეძლოთ გაცილებით უკეთ ეცხოვრათ.

– შენ კვლავ გავიწყდება ჩემო კეთილო, რომ კანონი მოსახლეობის ერთი რომელიმე ფენის კეთილდღეობას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მთელი საზოგადოებისას. შეგონებით თუ იძულებით, ის უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის ერთიანობას, რათა ისინი ერთმანეთისათვის სასარგებლონი იყვნენ იმდენად, რამდენადაც შეუძლიათ ამით არგონ მთელ სახელმწიფოს. მოქალაქეთა რიცხვში იმიტომ როდი რთავს ღირსეულ ადამიანებს, რათა საშუალება მისცეს მათ, ვისაც რა მოეპრიანება, ის აკეთოს, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს განსამტკიცებლად გამოიყენოს ისინი.

– მართლაც დამავიწყდა.

– იმასაც დაუფიქრდი, გლავკონ, რომ ჩვენ უსამართლონი კი არ ვიქნებით ჩვენშივე აღზრდილ ფილოსოფოსთა მიმართ, არამედ სამართლიან მოთხოვნებს წავუყენებთ და ვაიძულებთ მათ, როგორც მცველებს, სხვებზე იზრუნონ. „ყველა სხვა სახელმწიფოში – ამ სიტყვებით მივმართავდი მათ, – ვინც ფილოსოფოსი ხდება, უფლება აქვს მონაწილეობა არ მიიღოს სახელმწიფოს მართვის საქმეში, რადგანაც ყველა, სახელმწიფო წყობისაგან დამოუკიდებლად, თვითონვე გახდა ფილოსოფოსი, ხოლო ის, რაც თავისით იზრდება, არავის არ უმაღლის თავის საზრდოს და, ცხადია, არც იმის სურვილი აქვს, რომ ვინმეს აუნაზღაუროს მისი გუ-

ლისათვის განეული ხარჯი. თქვენ კი ჩვენ აღგზარდეთ, როგორც თქვენდა სასიკეთოდ, ისე სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, რათა იგივენი ყოფილი-ყავით, რანიც არიან მეფეები და ბელადები ფუტკრების სკაში. ჩვენი წყალობით შეიძინეთ საუცხოო და უცხოელ ფილოსოფოსებზე გაცილებით უფრო სრულყოფილი განათლება და ჩვენვე გიბოძეთ იმის უნარიც, რომ ერთმანეთისათვის შეგეთავსებინათ ფილოსოფია და პოლიტიკა. ამიტომ თვითონეული თქვენგანი ერთმანეთის მიყოლებით უნდა დაეშვას დანარჩენ მოქალაქეთა საერთო საცხოვრისამდე; შეაჩვიოთ თვალი იქ გამეფებულ წყვდიადს, და როცა შეაჩვევთ, ათასჯერ უკეთ გაარჩევთ ყველაფერს, ვიდრე ბნელეთის მკვიდრნი, და უკეთვე გამოიცნობთ, რას წარმოადგენს თვითონეული ლანდი ან რისი ხატია იგი, რადგანაც ადრე გიხილავთ ყოველივე მშვენიერის, სამართლიანისა და კეთილის პირველნიმუშნი. მაშინ ჩვენი სახელმწიფო წყლობილება ჩვენცა და თქვენც სიცხადეში წარმოგვიდგება და არა სიზმარში, როგორც სხვა დღევანდელი წყობილებანი, სადაც მიმდინარეობს ძმათამკვლელი ომები და ლანდების გააფთრებული ბრძოლები ძალაუფლებისათვის, თითქოს ეს იყოს ყველაზე დიდი სიკეთე. სიმართლე კი, თუ გნებავთ, ისაა, რომ სანაც ძალაუფლებას ყველაზე ნაკლებ მიელტვიან ისინი, ვინც უნდა მართავდეს ქვეყანას, სახელმწიფოც სწორედ იქ იმართება ყველაზე უკეთ და შინააშლილობისთვისაც ყველაზე ნაკლები საბაბი რჩება; მაშინ, როდესაც სულ სხვაგვარადაა საქმე იმ სახელმწიფოში, რომელთა მმართველნიც საპირისპიროდ არიან განწყობილნი.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ თბ. 2003 გვ. 252-260

## არისტოტელე

### პოლიტიკა. ნატილი I

ყოველი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადგენს. ყოველი კავშირი კი რაიმე სიკეთეს ისახავს მიზნად, რადგან ყველა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რაც სიკეთე ჰგონია. ამრიგად, ცხადია, რომ ყველა მიისწრაფვის რაიმე სიკეთისაკენ. უმთავრესი სიკეთისაკენ მიისწრაფვის ყველაზე უკეთესი კავშირი, რომელიც მოიცავს ყოველივეს და ეს არის ე.წ. სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი კავშირი...

### თავი I

... რამოდენიმე დასახალებამ შექმნა დასრულებული სახელმწიფო, რომელთაგან თითონეულს აქვს სრული დამოუკიდებლობა, როგორც ეპოს-

შიც არის ნათქვამი. ამათგან სახელმწიფოების ნაწილის მიზანია მხოლოდ არსებობის შენარჩუნება, ნაწილისა კი ბედნიერი არსებობა. მაშასადამე, ყოველი ქალაქი – სახელმწიფო ბუნებრივად არის წარმოშობილი, როგორც ადრე არსებული კავშირები. ქალაქი – სახელმწიფოები წარმოადგენენ წინამორბედი კავშირების დასრულებას, რადგან მათი ბუნება ვლინდება მათსავე განვითარების დასრულებაში. და სწორედ ეს შეადგენს ყოველი მოვლენის არსებას, მაგალითად, ადამიანის, ცხენისა და სახლისა. გარდა ამისა, მიზანი და დასასრული არის საუკეთესო რამ, ხოლო მიზანი და ყველაზე უკეთესი რამ არის დამოუკიდებლობა.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ სახელმწიფო – ქალაქი ბუნებრივი მოვლენაა და რომ ადამიანი არის პოლიტიკური არსება. ხოლო ვინც სახელმწიფოს გარეთ იმყოფება თავისი სურვილით და არა შემთხვევით, ის ან ცუდი ადამიანია, ან ადამიანზე მაღლა მდგომი. როგორც ჰომეროსი ამბობს გაკიცხვით: „ის იყო ბოგანო, კანონგარეშე და უსახლკარო“. ასეთი ადამიანი ომის მოყვარეც არის და ისე არსებობს, როგორც განმარტოებული პაიკი სათამაშო დაფაზე.

ცხადია, რომ ადამიანი არის პოლიტიკური არსება უფრო მეტად, ვიდრე ფუტკრები ან ჯოგურად მცხოვრები ცხოველები, როგორც უკვე ვთქვით, ბუნება ტყუილ-უბრალოდ არაფერს არ აკეთებს. ცხოველთა შორის მხოლოდ ადამიანს აქვს მეტყველების უნარი. ხმა ტანჯვისა და სიამოვნების ნიშანია, რაც სხვა ცხოველებსაც ახასიათებთ. მათი ბუნების განვითარებამ მიაღწია იმ დონეს, რომ მათ აქვთ ტანჯვისა და სიამოვნების შეგრძნების უნარი, რასაც ისინი ერთმანეთს მიანიშნებენ. სიტყვა კი ნათელყოფს სასარგებლოსა და საზიანოს, სამართლიანსა და უსამართლოს. განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან, ეს ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ მას აქვს შეგრძნება სიკეთისა და ბოროტებისა, სამართლიანობის და უსამართლობის სხვა შეგრძნებები, ყოველივე ეს მთლიანობაში წარმოადგენს ოჯახისა და სახელმწიფოს საფუძველს.

## ნიკოლო მაკიაველი

(Niccolò Machiavelli 1469-1527). იტალიელი მოაზროვნე, მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე. 15 წელი ეკავა ფლორენციის კანცლერის პოსტი. პოლიტიკის ფილოსოფობის პრაქტიკული ფილოსოფიის პრობლემების მკვლევარი. ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომებია: „მთავარი“ (1532), „განაზრებანი ტიტუს ლივიუს დეკადაზე“. ტერმინით „მაკიაველიზმი“ აღინიშნება ძალისმიერ მეთოდებზე, მორალურ ნორმათა უგულვებელყოფაზე დაფუძნებული პოლიტიკა.

## მთავარი

უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე – ძალის მეშვეობით, პირველი ნიშნეულია ადამიანებისათვის, მეორე კი – მხეცებისათვის. მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად უნდა მივმართოთ ხოლმე მეორეს. ამიტომ მთავრისათვის აუცილებელია, რომ თანაბარი წარმატებით იბრძოდეს როგორც მხეცი და როგორც კაცი. სწორედ ამნაირი, თუმცა შეფარვით გამოთქმული შეგონებით მიმართავდნენ მთავრებს ძველი მწერლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ აქილევსს და ძველი დროის ბევრ სხვა მთავარსაც აღსაზრდელად აბარებდნენ კენტავრ ქირონს, რათა მისი მეთვალყურეობით დავაუკაცებულიყვნენ. ამ ნახევრად მხეცი და ნეხევრად კაცის ზედამხედველობას აქ მხოლოდ ის აზრის აქვს, რომ მთავარი უნდა ითვისებდეს და ისისხლხორცებდეს ორივე ბუნებას, და რომ ერთი მეორის გარეშე უდღეურია. ამრიგად, თუ მთავარი იძულებული იქნება იბრძოდეს, როგორც მხეცი, ცხოველთა მთელი სიმრავლიდან ლომსა და მელას უნდა ირჩევდეს, ვინაიდან ლომს არ შეუძლია თავი დაიცვას გველისაგან, მელას – მგლებისაგან. მაშასადამე, მელა უნდა იყო, რომ შენიშნო გველი, და ლომი, რომ დაიფრინო მგლები. იმას, ვინც მხოლოდ ლომობას იჩემებს, ბევრი რამ არ ესმის.

(გვ. 186-187)

სიძულვილის საგნად, მას უწინარეს ყოვლისა, აქცევს მგლური სიხარბე და თავის ქვეშევრდომთა საკუთრებისა და მათი ცოლების პატივის ხელყოფა, რისგანაც თავის შეკავება მართებს. და თუ ხალხს, საერთოდ, არც საკუთრებას წარსტაცებ და არც პატივს აყრი, ის კმაყოფილია, და ბრძოლა მოგიწევს მხოლოდ ცალკეულ პირთა პატივმოყვარეობის დასათრვუნავად, რაც ადვილი საქმე გახლავთ. მთავარი ზიზღს იწვევს მაშინ, როცა მას მერყევ, მხდალ და გაუბედავ კაცად თვლიან, რასაც ის ჭირის დღესავით უნდა უფრთხოდეს და არაფერს უნდა ზოგავდეს საამისოდ, რომ ყოველი მისი მოქმედება სიდიადის, დიდსულოვნებისა და სიმტკიცის ნიშნით იყოს აღბეჭდილი, ხოლო მისი თითოეული გადაწყვეტილება ქვეშევრდომთა თვალში ურყევი ნების გამოვლენად ჩანდეს, რათა ვერავინ გაბედოს მისი მოტყუება და გაცურება. მთავარი, რომელიც ამნაირ სახელს მოიხვეჭს, დიდი გავლენით სარგებლობს ხალხში.

(გვ. 215)

## **თომას ჰობსი**

(Hobbes Thomas 1588-1679) – ინგლისელი პოლიტიკური ფილოსოფოსი. ჰობსის კლასიკური ნაშრომია „ლევიათანი“ (1651). მან განავითარა ბუნებითი უფლებების თეორია. ხოლო სოციალური კონტრაქტის თეორიის სახით ადრეული ლიბერალიზმის პირველსახე შექმნა.

## **ლევიათანი**

### **თავი XIII**

#### **კაცთა მოდგმის ბუნებით მდგრადირებაზე მის გეზიერებასა და უბედურებასთან გამშირში**

ბუნებამ იმდენად თანასწორნი შექმნა ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მხრივ, რომ, თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება სხვაზე აშკარად ღონიერი ან გონებაგახსნილი იყოს, საბოლოოდ ინდივიდები მაინც იმდენად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ვინმემ თქვას, მე რაღაც ისეთი სიკეთე მეკუთვნის, რაზეც სხვას ასეთივე პრეტენზია ვერ ექნებაო. სხეულის ძალა რომ ავილოთ, ის ყველაზე სუსტსაც საკმარისი აქვს საიმისოდ, რომ ყველაზე ღონიერი მოკლას, თუკი რაიმე ფარულ ხრის მიმართავს ან იმას შეეკვრება, ვისაც ეს ღონიერი ადამიანი აგრეთვე საფრთხეს უქმნის.

რაც შეეხება გონებრივ შესაძლებლობებს, თუ გამოვრიცხავთა სიტყვის ხელოვნებას, განსაკუთრებით კი ზოგადი და უეჭველი წესებით ხელმძღვანელობის უნარს, მეცნიერებას რომ უწოდებენ – ეს უკანასკნელი ძალიან ცოტა ადამიანს აქვს და ისიც მხოლოდ ვიწრო სფეროში, თანაც ის ადამიანს თანდაყოლილად არ ეძლევა და არც სხვა საგნებზე დაკვირვებით უვითარდება, როგორც, მაგალითად – კეთილგონიერება, – მე ადამიანთა შორის კიდევ უფრო მეტად ვხედავ თანასწორობას, ვიდრე ფიზიკური ღონის მხრივ. კეთილგონიერება სხვა არაფერია, თუ არა გამოცდილება, რასაც ადამიანები თანაბარ დროში თანაბრად მოიპოვებენ, თუ ერთი და იმავე საქმიანობას ეწევიან. ასეთი თანასწორობის დანახვას ხელს უშლის მხოლოდ გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ სიბრძნეზე, რაც თითქმის ყველა ადამიანს აფიქრებინებს, ვიღაც მდაბიობზე უფრო ბრძენი ვარო – ამ მდაბიოებში კი ყველა შეგვყავს, გარდა საკუთარი თავისა და იმ რამდენიმე ადამიანისა, ვისაც სახელისა თუ ხშირი ურთიერთობის გამო უფრო მეტად ვაფასებთ. კაცის ბუნება ისეთია, რომ შეუძლია მრავალი სხვა მასზე გონებამახვილად, მჭევრმეტყველად ან ნასწავლად აღიაროს, მაგრამ უჭირს იმის დაჯერება, რომ ბევრი სხვა მასავით გონიერია. ამის მიზეზი ისაა, რომ საკუთარ ჭკუას უშუალოდ აღვიქვამთ, სხვებისას კი

შორიდან. ეს ადასტურებს, რომ ადამიანები ამ ნიშნით უფრო თანასწორნი არიან, ვიდრე არათანასწორნი. რა უნდა იყოს უკეთესი მოწმობა რაიმე სიკეთის თანაბრად განაწილებისა, თუ არა ის, რომ თავისი წილი ყველას აკმაყოფილებს.

უნარების თანასწორობიდან მიზნების მიღწევის თანაბარი იმედიც გამომდინარეობს. ხოლო ამის გამო, თუ ორი კაცი მოინდომებს ერთი და იმავე საგანს, რომელსაც ორივე ერთად ვერ ფლობს, ისინი ერთმანეთს სამტროდ გადაეკიდებიან. ამგვარად, როცა ადამიანები მიზნის მიღწევას ესწრაფვიან, რაც უპირატესად თვითგადარჩენა, ხანდახან კი მხოლოდ სიამოვნებაა, ისინი ამავე დროს ერთამნეთის განადგურებას ან დამორჩილებას ცდილობენ. ამასთან თავდამსხმელს შეუძლია ივარაუდოს, რომ მხოლოდ ადამიანის წინააღმდეგობა იქნება დასაძლევი, ხოლო ის, ვინც რაიმეს დათესავს, მოიმკის, ააშენებს ან სასურველ ნაკვეთს დაეპატრონება, უნდა დაელოდოს, რომ სხვები მოემზადებიან და ერთად თავს დაესხმებიან, რათა გაძარცვონ და არა მხოლოდ მისი შრომის ნაყოფი, არამედ სიცოცხლე და თავისუფლება წაართვან. მაგრამ თავდამსხმელიც, თავის მხრივ, ასეთივე საფრთხეს მოელის.

ასეთი ურთიერთ შიშის პირობებში საღად მოაზროვნე კაცს დაცულობის განცდა ვერ ექნება, თუ არ შეეცდება ძალით ან ხერხით რაც შეიძლება მეტი სხვა ადამიანი დაიმორჩილოს, სანამ დამმუქრებელი არავინ დარჩება. ასეთი ქცევა საკუთარი თავის დაცვის აუცილებლობას არ ცდება და საზოგადოდ დასაშვებია. მაგრამ გარდა ამისა, ყოველთვის იქნებიან ისეთნიც, ვისაც სხვებზე გაბატონება საკუთარი ძალის დემონსტრირების გამო სიამოვნებს, ამიტომ ისინი უფრო შორს მიდიან ამ მხრივ, ვიდრე მათი უსაფრთხოება მოითხოვს. ამის გამო, ის ხალხიც, ვინც მზადაა მშვიდად იცხოვროს გარკვეული საზღვრების შიგნით და არ სურს, სხვისი დამორჩილებით გაიფართოოს ძალაუფლება, დიდხანს ვერ გაიტანს თავს, თუ მხოლოდ თავდაცვას დასჯერდება. ამიტომ, რაკი სხვებზე ბატონობის სფეროს გაფართოება აუცილებელია ადამიანის თავდაცვისათვის, მას ამის უფლება უნდა ჰქონდეს.

კიდევ ერთხელ ვიტყვით: კაცთავის სულაც არ არის სასიამოვნო, პირიქით, უამრავი ვაების მომტანია, ერთად იცხოვრონ ისეთი ძალის გარეშე, რომლის რიდიც ყველას ექნება. ყველა მოელის თანამოქალაქეთაგან ისეთ დაფასებას, როგორიც თავისი აზრით, ეკუთვნით; ხოლო ვინც სხვათაგან აბუჩად აგდებას და უპატივცემულობას დაინახავს, ბუნებრივად შეეცდება, თუ ამას გაბედავს (ხოლო იქ, სადაც არ არსებობს კაცთა დამაოკებელი საერთო ძალაუფლება, ერთმანეთის განადგურებას არაფერი უშლით), აიძულოს სხვები, მეტი პატივისცემით მოეპყრან: ზოგს დასჯის, სხვებს კი ამით მაგალითს აჩვენებს.

ასე რომ, ადამიანის ბუნებაში კონფლიქტის სამ ძირითად წყაროს ვპოულობთ: პირველია შეჯიბრი, მეორე – შიში, მესამე კი – პატივმოყვარეობა.

პირველი უბიძგებს ადამიანის მოხვეჭისათვის, მეორე – უსაფრთხოებისათვის, მესამე კი – სახელისათვის დაესხას თავს სხვას. პირველ შემთხვევაში კაცი ძალადობას იყენებს იმისათვის, რომ სხვა ადამიანებს, მათ ცოლ-შვილსა და ნახირს დაეპატრონოს, მეორე შემთხვევაში – თავის დასაცავად; მესამეში, ისეთი წვრილმანებისათვის, როგორიცაა სიტყვა, ღიმილი, განსხვავებული აზრი, ან უპატივცემულობის ნებისმიერი გამოხატულება, რომელიც ან უშუალოდ მისი პიროვნებისადმია მიმართული, ან გაშუალებულად ეხება მის ახლობლებს, მეგობრებს, ერს, ამქარს ან გვარს.

აქედან ცხადია, რომ, სანამ ადამიანებს არა აქვთ საერთო ძალაუფლება, რომელიც ყველას მოწინების მდგომარეობაში ამყოფებს, ისინი ომად წოდებულ ვითარებაში არიან და ეს არის ომი ყველა კაცისა ყველა სხვა კაცის წინააღმდეგ. რამეთუ ომი არ არის მხოლოდ ბრძოლის ან შერკინების მომენტი, ომი ჰქვია დროის იმ მონაკვეთს, როდესაც საკმარისად ცხადია ბრძოლის გზით დაპირისპირების ნება. მაშასადამე, დროს ცნება ისევე უნდა მივიჩნიოთ ომის ბუნების ნაწილად, როგორც ამას ამინდის შემთხვევაში ვაკეთებთ. როგორც ავდარს არ ვეძახით მხოლოდ ცალკეულ უინულს ან თქორს, არამედ რამდენიმე დღის განმავლობაში წვიმიან ამინდს, ასევე ომის არსია არა მხოლოდ ბრძოლა, არამედ გამოხატული მზაობა ბრძოლისათვის მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც მისგან დაცული არა ვართ. ყველა სხვა დროს კი მშვიდობა ჰქვია.

## ჯონ ლოკი

(Locke John 1632-1704) – ინგლისელი ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი. ბრიტანული ემპირიზმის ფუძემდებელი. მისი პოლიტიკური შეხედულებები ინგლისის რევოლუციის ფონზე ჩამოყალიბდა. ლოკი ადრეული ლიბერალიზმის ერთ-ერთ მთავარ მოაზროვნედ ითვლება. ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური შრომებია: „მმართველობის ორი ტრაქტატი“ (1690) და „ნერილი ტოლერანტობის თაობაზე“ (1689).

## ორი ტრაქტატი სამრეჩალაქო მმართველობაზე

### თავი I

2. მე მგონი, ზედმეტი არ იქნება, ამ მიზნით ჩამოვაყალიბო, რას ვგულისხმობ პოლიტიკურ ძალაუფლებაში, რათა შევძლოთ, ქვეშევრდომზე ხელისუფლების ძალაუფლება განვასხვავოთ მამის ძალაუფლებისაგან შვილების მიმართ, პატრონისა – მოსამსახურების, ქმრისა – ცოლის და ბატონის – მისი მონების მიმართ. ძალაუფლების ყველა ეს განსხვავებული

სახე ხანდახან შეიძლება ერთსა და იმავე ადამიანში იყო თავმოყრილი. მაგრამ თუ მას ამ სხვადასხვა მიმართებაში შევხედავთ, ეს შეიძლება დაგვეხმაროს კიდეც გავმიჯნოთ ძალაუფლების ეს სახეები და დავინახოთ, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან სახლმწიფოს მმართველი, ოჯახის მამა და გემის კაპიტანი.

3. პოლიტიკურ ძალაუფლებად კი ვთვლი კანონების შექმნის უფლებას, რაც მოიცავს სიკვდილით დასჯას და, მასთან ერთად, ყველა უფრო ნაკლებ სასჯელს, რაც ემსახურება საკუთრების მოწესრიგებას და დაცვას, და საზოგადოების ძალის გამოყენებას ამ კანონების აღსასრულებლად და სახელმწიფოს გარე თავდასხმისაგან დასაცავად. ყოველივე ამის [გამოყენება] მხოლოდ საზოგადო სიკეთისათვის [უნდა ხდებოდეს].

## მაქს ვებერი

(ax Weber 1884-1920) – გამოჩენილი გერმანელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი. მისმა შრომებმა ეპოქა შექმნეს სოციალურ მეცნიერებაში და ჰუმანიტარული ცოდნის სფეროში. ძირითადი ნაშრომებია: „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“, მსოფლიო რელიგიათა სამეურნეო ეთიკა.

## ხარიზმული გატონბა

„ხარიზმად“ უნდა ჩაითვალოს პიროვნების უჩვეულოდ მიჩნეული თვისება, რომლის წყალობითაც იგი ფასდება ზებუნებრივი, ზეადამიანური, სხვა ადამიანებისათვის მიუღწეველი, განსაკუთრებული ძალებითა და თავისებურებებით დაჯილდოებული. „ხარიზმი“ განიხილება როგორც ღმერთის მიერ ბოძებული, ანდა, როგორც ნიმუში (თავდაპირველად ეს თვისება განპირობებულია მაგიურად და ახასიათებს როგორც წინასწარმატყველებს, ისე ბრძენ – მკურნალებს, კანონების განმმარტებლებს, მონადირეთა წინამძღვრებს, სამხედრო გმირებს). რაც უნდა „ობიექტურად“ სწორად იყოს შეფასებული შესაბამისი თვისება ეთიკური, ესთეტიკური ანდა სხვა თვალსაზრისით, აბსტრაქტულად სრულიად უმნიშვნელოა. საყურადღებო ერთია, როგორ ფასდება იგი ფაქტიურად „ხარიზმის“ ხელქვეთების – „მიმდევრების“ მიერ.

ფასეული მსჯელობებისაგან თავისუფალ სოციოლოგიაში სრულიად ერთნაირად განიხილება „დიადთა“ (გმირების, წინასწარმეტყველების, მხსნელების), ასევე „berserkeris“<sup>6</sup> ხარიზმა. ამ უკანასკნელის მანიაკალურ გვემულობას, ალბათ უსამართლოდ, მიაწერდნენ გარკვეული შხამების გამოყ

<sup>6</sup> berserkeri (ნორვეგიულიდან- berserkr) – ძველსკანდინავიური რაინგი „შმაგი მეომარი“, ბორგნეული ადამიანი.

ენებას. შუა საუკუნეების ბიზანტიაში ჰყავდათ რამდენიმე შამანი (მაგები, რომელთაც ექსტაზის წინაპირობად წმინდა სახით ითვლება ეპილეპტონ-დური შეტევების შესაძლებლობა), დაჯილდოვებული სამხედრო მძვინვა-რების ფორმით გამოხატული ხარიზმით, რომელიც სამხედრო იარაღის ნაირსახეობად ითვლება. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ მორმონთა სექტის დამფუძნებელი (რომელიც, როგორც ეტყობა, სინამდვილეში იყო რაფინირებული), თაღლითი და საკუთარ დემაგოგიურ წარმატებათა ტყ-ვეობაში მყოფი ლიტერატორი, მსგავსად კურტ აისნერისა.

1. საკითხის ხარიზმის მნიშვნელობის შესახებ წყვეტს ხელქვეითთა აღიარება – თავდაპირველად ყოველთვის სასწაულის მეშვეობით. ეს მტ-კიცებითი დასაბუთებადი თავისუფალი აღიარება წარმოშობილია ზეშთ-აგონებისაკენ მიდრეკილებით, გმირების თაყვანისცემით, ბელადებისადმი სასოებით. მაგრამ ეს აღიარება არ არის ლეგიტიმურობის საფუძველი. იგი იმ პირთა მოვალეობაა, ვინც იძულებულია აღიაროს, ეს თვისება თა-ვისი ადგილიდან და მოტანილი მტკიცებიდან გამომდინარე ფსიქოლოგიუ-რად ასეთი აღიარება წარმოადგენს რწმენაზე დაფუძნებულ, მთლიანად პიროვნულ მიდრეკილებას, წარმოშობილს აღფრთოვანებით ანდა გას-აჭირით თუ იმედით.

არც ერთი წინასწარმეტყველი თავის თვისებას არ მიიჩნევს მის შეს-ახებ მასალები შეხედულებისაგნ დამოუკიდებლად, არც ერთი გვირგვი-ნოსანი მეფე ან ხარიზმული ჰერცოგი არ განიხილავდა უკუქმედებას ან პასიურობას სხვაგვარად, თუ არა, როგორც მოვალეობის საწინააღმდე-გოს: ბელადის მიერ ფორმალურ – ვოლუნტარისტულად ორგანიზებულ ლაშქრობაში არ მონაწილეობა გაქილიკებულია მთელს მსოფლიოში.

2. თუ დასაბუთება დიდხანს არ ჩანს, ეს მოწმობს იმას, რომ ხარიზმული წყალობით დაჯილდოვებული პიროვნება მიტოვებულია თავის ღმერთის მიერ ან დაკარგა თავისი მაგიური თუ გმირული ძალა. თუ მას ხანგრძლივი დროით ღალატობს წარმატება და, უპირველეს ყოვლისა, თუ მის ხელმძ-ღვანელობას არ მოაქვს ხელქვეითათვის კეთილსასურველი შედეგი, მა-შინ მისი ხარიზმული ავტორიტეტი შეიძლება გაქრეს. ამაში მდგომარეობს ხარიზმული „ღვთაებრივი მადლის“ ნამდვილი საზრისი.

ძველგერმანელ მეფეთა შორისაც კი ცნობილია „განკიხცული“. მეტნილად ასეთი მდგომარეობაა პრიმიტიულ ხალხებშიც. ჩინეთში მონარ-ქის ხარიზმულ კლასიფიკაციას იმდენად აბსოლუტურად იცავდნენ, რომ ნებისმიერი წარუმატებლობა (არა მარტო ომში დამარცხება, არამედ აგრეთვე გვალვა, წყალდიდობა, არასასიამოვნო ასტრონომიული მოვლე-ნები და ა.შ) საფუძველი ხდებოდა მისი საჯაროდ დასჯისა, ზოგიერთ შემ-თხვევაში კი ტახტიდან გადადგომისა; მას არ გააჩნია ზეციურის ბოძე-ბული „სათნოების“ ხარიზმა (კლასიკურად განსაზღვრული) და ამიტომ არ იყო „ზეცის“ ლეგიტიმური „ძე“.

3. გაბატონებული კავშირი – ემოციური ერთობაა. ხარიზმული ლი-

დერების მმართველი შტაბი – ეს არ არის სპეციალურად განსწავლული „ჩინოვნიკობა“. შტაბი შეირჩევა არა წოდებრივი კუთვნილების გათვალისწინებით, არა წარმოშობის ან პირადი დაქვემდებარების თვალსაზრისით, იგი შეირჩევა ხარიზმული ნიშნებით „წინასწარმეტყველს“ შეესაბამებიან „მონაფეები“ „მეომარ თავადს“ – ამალა, საერთოდ „ბელადის“ – ნდობით აღჭურვილი ადამიანები. არ არსებობს არც „კარიერა“, არც „წინსვლა“, არამედ მხოლოდ ხარიზმული თვისებების საფუძველზე მონიჭებული ბელადი ინტუიციის შესაბამისი ნიჭი. არ არსებობს არავითარი „იერარქია“. არის მხოლოდ ბელადის შემწეობა იმ შემთხვევაში, თუ გამომჟღავნდება მმართველი შტაბის ხარიზმული ნაკლოვანება იმ ამოცანისათვის, რომლის გადასაწყვეტადაც იგი არის მონიდებული. არ არსებობს არა მარტო „სამსახურებრივი ეპარქია“ და „კომპეტენცია“, არამედ არც თანამდებობრივი ძალაუფლების აპროპრიაცია „პრივილეგიების“ მეშვეობით. არის (შეძლებისდაგვარად) ხარიზმის ადგილობრივი ან საგნობრივი საზღვრები და „გამოცხადება“. არ არის არავითარი „შინაარსი“ და არავითარი „შემოსავალი“. მაგრამ მონაფეები ან მიმდევრები ცხოვრობენ (თავდაპირველად) მეცენატების ხარჯზე, ბატონთან ერთად სიყვარულით ან ამხანაგური კომუნის წესით. არ არსებობს არავითარი მიმაგრებული „უწყებები“, მხოლოდ ბატონის დავალების მნიშვნელობის შესაბამისი და საკუთარი ხარიზმის შესატყვისი ხარიზმული ნდობის აღჭურვილი შიკრიკები არ არსებობს არავითარი რეგლამენტი, არ არის არანაირი სამართლებრივი ფორმები, ტრადიციულ პრეცენდენტებზე ორიენტირებული არანაირი სამართლებრივი სიბრძნე და სასამართლო გადაწყვეტილებები. თავისი ფორმით სამართალი აქტუალურად იქმნება შემთხვევიდან შემთხვევამდე, თავდაპირველად ღვთაებრივ გამონათქვამთა და ზეშთაგონების შესაბამისად. მაგრამ ხარიზმული ბატონობის ყველა ფორმისათვის არსებითად მნიშვნელობა აქვს: აქ დაწერილია – მაგრამ მე თქვენ გეუბნებით“. ნამდვილი წინასწრამეტყველი, აგრეთვე ჭეშმარიტი სამხედრო წინამძღოლი, ისევე როგორც ჭეშმარიტი ბელადი საზოგადოდ, აუწყებს, ქმნის, თხოულობს ახალ მცნებებს – ხარიზმის საწყისი აზრით: ზეშთაგონების წინასწარმეტყველების, შთაგონების ძალით ანდა განახლების კონკრეტული ძალით ანდა განახლების კონკრეტული ნების ძალით, რომელიც რწმენის, იარაღის, პარტიული თუ სხვა ერთობის თანამოაზრეთა მიერ აღიარებულია ან ნების მიზეზიდან გამომდინარედ. აღიარება მოვალეობის თანაზომიერია. რამდენადაც ერთ მითითებას არ უპირისპირდება ხარიზმული მნიშვნელობის მქონე მითითება, არსებობს მხოლოდ გადამწყვეტი ბრძოლა ბელადისათვის მაგიურ საშუალებათა შემწეობით ან (აუცილებელი როგორც მოვლეობა) თემის აღიარებით. ამ ბრძოლაში ერთ მხარეს გარდაუვალად გამოდის მხოლოდ სიმართლე, მეორე მხარეს – მხოლოდ უცილობლად ცოდვიანი სიცრუე.

ხარიზმული ბატონობა, არის რა ყოველდღიური, მკვეთრად უპირისპ-

ირდება როგორც რაციონალურს, განსაკუთრებით ბიუროკრატიულს, ასევე ტრადიციულად, განსაკუთრებით პატრიარქალურსა და პატრიომონიალურს ან წოდებრივს. ორი უკანასკნელი – ყოველდღიურობის სპეციფიკური ფორმებია ბატონობაში, ჭეშმარიტად ხარიზმული წარმოადგენს სპეციფიკურად საპირისპიროს. ბიუროკრატიული ბატონობა სპეციფიკურად რაციონალურია დისკუსიურად ანალიზებადი წესების შეკავშირებადობის თვალსაზრისით, ხარიზმული – სპეციალურად ირაციონალურია წესებისაგან გაუცხოებულობის თვალსაზრისით, ტრადიციული ბატონობა შეკრულია წარსულის პრეცენდენტით, და ამდენად წესებზეა ორიენტირებული. ხარიზმული ბატონობა ანგრევს წარსულს (თავისი არეს შიგნით), და ამ აზრით იგი სპეციფიკურად რევოლუციურია. მან არ იცის ძალაუფლების აპროპრიაცია არც საქონლის მესაკუთრეების, არც წოდებრივი ძალების ფლობის ნიმუში, მაგრამ ლეგიტიმურია იგი მხოლოდ იმდენად და მანამდე, ვიდრე პირადი ხარიზმა „მნიშვნელოვანი“ მტკიცების ძალით, ე.ი. პოულობს აღიარებას და გამოიყენება ნდობით აღჭურვილი პირების, მოწაფეების, მიმდევრების მიერ მხოლოდ ხარიზმული დამტკიცებადობის დროით.

საეჭვოა ნათქვამი განმარტებას საჭიროებდეს. მნიშვნელობა აქვს წმინდა „პლებისციტური“ ხარიზმული ლიდერებისთვის (ნაპოლეონის „გენიის ბატონობა“, რომელიც პლებებს მეფეებად და გენერლებად ხდიდა), ზუსტად ისევე როგორც წინასწარმეტყველთა გმირებისათვის.

(გვ. 47-52)

თბილისი, 1995

## ჯონ როულსი

(John Rawls 1921-2002) – ამერიკელი პოლიტიკური ფილოსოფოსი. მისი მთავარი წაშრომია „სამართლიანობის თეორია“ (1970), რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პოლიტიკური ფილოსოფიის დარგში ინგლისურ ენაზე დაწერილ შრომათაგან ყველაზე მნიშვნელოვან შრომადაა მიჩნეული. ადრეულ წაშრომში ჩამოყალიბებულმა უნივერსალისტურმა ვარაუდებმა ასახვა ჰქონდა მის წაშრომში „პოლიტიკური ლიბერალიზმი“ (1993).

## მირითადი თავისუფლებები და მათი პრინციპები

### ჭ1 სამართლიანობის თავდაპირველი მიზანი

მე მსურს ჩამოყალიბო რამდენიმე წინასწარი პირობა, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობის ორი პრინციპი ახლა ასე იყიდთხება:

ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება, ჰქონდეს ძირითადი თავისუფლებების სრული პაკეტი, რომელიც შეუთავსებელია სხვების თავისუფლების ასეთივე პაკეტთან;

სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა უნდა აკმაყოფილებდეს

ორ პირობას;

პირველი, ის მისადაგებული უნდა იქნას თანამდებობისა და მდგო-  
მარეობებისათვის, რომლებიც, სრული თანასწორობის პირობებში, ღია  
უნდა იყოს ყველასათვის; მეორე, ის გამოყენებულ უნდა იქნას საზოგა-  
დოების ყველაზე უფრო სუსტი წევრების საკეთილდღეოდ.

შემდეგი წინასწარი პირობა ის არის, რომ ძირითადი თავისუფლებე-  
ბი, სამართლიანობის პირველი პრინციპების შესაბამისად, შემდეგი კატ-  
ეგორიებისაგან შედგება: სინდისისა და აზროვნების თავისუფლება, პოლი-  
ტიკური თავისუფლებები და ასოციაციის (გაერთიანების) თავისუფლება,  
პიროვნების თავისუფლება და ხელშეუხებლობა და, ბოლოს, უფლებები  
და თავისუფლება, რომლებიც გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმ-  
წიფოს პრინციპებისაგან. ამ შემთხვევაში, არავითარი პრიორიტეტი არა  
აქვს მინიჭებული თავისუფლებას, როგორც ასეთს, რადგან არავითარი  
უპირატესი ღირებულება არ გააჩნია იმ მოვლენის განხორციელებას, რა-  
საც თავისუფლება ჰქვია მით უმეტეს, რომ იგი არ არის პოლიტიკური და  
სოციალური სამართლიანობის მთავარი და ერთადერთი მიზანი. რასაკ-  
ვირველია, არსებობს ზოგადი მოსაზრება, რომელიც კრძალავს ადამია-  
ნის ქცევაზე, საკმარისი მიზეზის გარეშე, სამართლებრივი თუ სხვა სახის  
შეზღუდვების დაწესებას, მაგრამ ეს მოსაზრება არ ითვალისწინებს რაიმე  
განსაკუთრებულ პრიორიტეტს თავისუფლების ერთი, რომელიმე სახეო-  
ბისათვის. ამისდა მიუხედავად ჰარტი აცხადებს, თითქოს მე „თეორიაში“  
ვამტკიცებდე, რომ საჭიროა პრიორიტეტი მივაკუთვნოთ თავისუფლებას,  
როგორც ასეთს. მაგრამ როგორც იგი დარწმუნდა, მისი ინტერპრეტაცია  
მთლად ზუსტი არ არის. დემოკრატიული აზროვნების მთელი ისტორიის  
განმავლობაში აქცენტი მუდამ იყო გადატანილი სწორედ, რაღაც კონკრე-  
ტულ თავისუფლებებისა და კონსტიტუციური გარანტიების მოპოვებაზე,  
როგორც ამას ვხედავთ, მაგალითად, სხვადასხვა უფლებათა კანონპრო-  
ექტში თუ ადამიანის უფლებათა დეკლარაციებში. ძირითადი თავისუფლე-  
ბების ცნება სწორედ ამ ტრადიციას მისდევს.

ძირითადი თავისუფლებების სია ორი გზით შეიძლება დადგინდეს, პირველი მათგანი ისტორიულია: დემოკრატიული სახელმწიფოების კონ-  
სტიტუციებზე დაყრდნობით, რომლებსაც გულდასმით შევისწავლით,  
ჩვენ შევადგენთ იმ ძირითადი თავისუფლებების სიას, რომელსაც, ჩვეუ-  
ლებრივ, იცავენ ხოლმე მოქალაქეები და, რომლების წყალობითაც ხდება  
შესაძლებელი ამ კონსტრუქციების ნორმალური მუშაობა. ამგვარ ინფორ-  
მაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენთვის, – ანუ, თქვენთვისაც და  
ჩემთვისაც, ვინც ვადგენთ სამართლიანობას, მოკლებულნი არიან საწყის  
პოზიციაში მყოფი მხარეები, ამდენად ამ ისტორიულმა გამოცდილებამ,  
შეიძლება, დიდი გავლენა იქნიოს სამართლიანობის პრინციპების ში-  
ნაარსზე, რომელსაც მხარეებს, ალტერნატივების სახით, ვაწვდით. მეორე  
გზაა დავადგინოთ, თუ, კერძოდ, რომელი თავისუფლებები წარმოადგენს

აუცილებელ სოციალურ პირობას ზნეობივი პირობების განვითარებისა და  
მისი ორი ძირითადი თვისების, სრული მასშტაბით განხორციელებისათვის.  
ამით, ჩვენ ერთმანეთთან ვაკავშირებთ ძირითადი თავისუფლებებისა და  
პიროვნების კონცეფციებს, გააზრებულს სამართლიანობის კონტექსტში.

(გვ. 241-243)

თანამედროვე პოლიტიკური  
ფილოსოფიის ანთოლოგია  
თბილისი 1997 წ.

# ნაწილი მესუთი. ესთეტიკა

## პლატონი

### ნადიმი

ვინც ეროტიულ მისტერიათა ამ სტადიამდე ამაღლდება, ვინც თანმიმდევრობით განსჭვრეტს მშვენიერების ყველა საფეხურს, ზიარების ზღვარს მიღწეული ანაზდეულად იხილავს გასაოცარ მშვენიერებას, სწორედ მას, სოკრატე, რისთვისაც ადრე იღწვოდა იგი – მშვენიერებას მარადიულს, ხელთუქმნელსა და წარუდგინებელს, თავისუფალს ავსებისა და განლევისაგან, სახიერს თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში, ყოველი ადგილისა და ყოველი სულდგმულისათვის. მშვენიერება არ წარსდგება მის წინაშე ამა თუ იმ ხატის, ხელის, თუ სხეულის სხვა რომელიმე ნაწილის, ანდა სიტყვისა თუ ცოდნის სახით, რაც მითვლება მის მიერ როგორც ცალკე რამ ფენომენი, მეორეში – ვთქვათ, რომელიმე სულდგმულში, მიწაზე, ცაში თუ სხვა რამები – გამოვლენილი; არა ეგ იქნება მშვენიერება თავისთავთან მიწყივ ერთსახოვანი, თავისთავში არსებული და თავისთავადი, რომელთანაც წილნაყარი ყველა სხვა კონკრეტული მშვენიერება იძადება და კვდება, მაშინ როდესაც ის არც ივსება და არც ილევა, არც სხვა სახის ცვლილებას განიცდის რასმე. რადგან ჭეშმარიტი გზა სიყვარულისა, რომელზეც თვითონ მიდის ან მოძღვარს მისდევს, ესაა გზა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლისა და, თითქოს საფეხურებს მიჰყვებაო კიბისას, ერთი მშვენიერი სხეულიდან ორზე, ორიდან კი ყველა მშვენიერ სხეულზე უნდა გადადიოდეს კაცი, მშვენიერ სხეულთაგან – მშვენიერ საქმეებზე, მშვენიერ სამქეთაგან კი მშვენიერ მოძღვრებებზე, რათა ამრიგად ეზიაროს იმ მოძღვრებას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა მოძღვრება აბსოლუტური მშვენიერების შესახებ და, ბოლოს და ბოლოს, შეიცნოს თვით მშვენიერებაც. და თუ სიცოცხლეს რამე აზრი აქვს, ჩემო ძვირფასო სოკრატე, ამ აზრს აბსოლუტური მშვენიერების ჭვრეტა იძლევა მხოლოდ. და თუ ოდესმე იხილავ მას, რა იქნება მაშინ შენთვის ოქრო, ძვირფასი სამოსელი, ყმანვილკაცთა თუ ყრმათა მშვენება, რომელთა ხილვისას ახლა ასე იმღვრევი შენ, და არა მარტო შენ, და მზადა ხარ, რომ შეგეძლოს, ხელი აიღო ჭამაზეც, სმაზეც, ოღონდ კი გამუდმებით უჭვრეტდე შენს სათაყვანებელ არსებას და გვერდიდან არ იშორებდე მას.

რას ვიფიქრებდით ჩვენ, თუ ვინმე შესძლებდა ეხილა ეგ მშვენიერება, ნათელი, წმინდა, შეურყვნელი და შეურევნელი, კაცის ხორცით, ფერებითა და სხვა ხრნნადი გარსით შებდალული კი არა, ერთსახოვანი, ღვთაებრივი მშვენიერება; როგორ გგონია ფუჭია განა სიცოცხლე კაცისა, რომელიც ცისკენ მიმართული თავისი მზერით გამუდმებით უჭვრეტს მაგ

მშვენიერებას და წამითაც არ სწყდება მას? გჯერა თუ არა შენ, რომ ის, ვინც მშვენიერებას იმ ორგანოთი უჭვრეტს, რომელსაც ერთადერთს ძალუძს მისი აღქმა, მხოლოდ აქ შესძლებს მოჩვენებითს კი არა, ჭეშმარიტ სათნოებით მიანიჭოს სიცოცხლე, რადგან ჭეშმარიტებასთან აქვს საქმე და არა მოჩვენებებთან. ჭეშმარიტ სათნოებებს რომ შობს და ზრდის, იგი უფლის კეთილგანწყობასაც იხვეჭს და თუ ერთი ვინმე მაინც ეზიარება უკვდავებას, ეზიარებას ისიც.

**ძვ. ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. 1964 წ. თბილისი.**

## არისტოტელი «პოეტიკა»

### §1

ეპოპეა და ტრაგედია, აგრეთვე კომედია, დითირამბული<sup>7</sup> პოეზია და ავლეტიკისა<sup>8</sup> და კითარისტიკის<sup>9</sup> მომეტებული ნაწილი – ყველა ესენი, საზოგადოდ მიბაძვები (მაყთესი) არიან. განირჩევიან კი ისინი ერთმანეთისაგან სამი რამით: სხვადასხვა საშუალებით ბაძავენ, სხვადასხვა საგანს ბაძავენ და სხვადასხვანაირად ბაძავენ. როგორც ზოგიერთნი<sup>10</sup> ასახავენ მრავალს რასმე, ჰქმნიან რა ფერებისა და ფიგურების საშუალებით მსგავს სახეებს და ოსტატობის (სეჯო), ან ჩვევის (სუნერი), ან ბუნებრივი ნიჭის (ფისი) მეოხებით, სწორედ ასევე არის ხელოვნების ხსენებულ დარგებშიც<sup>11</sup>. ყველანი ესენი ბაძავენ რიტმით, სიტყვით და ჰარმონიით – ან ცალკე რომელიმეთი, ან ერთად. მხოლოდ ჰარმონიით და რიტმით სარგებლობენ ავლეტიკა, კითარისტიკა და შეიძლება სალამურზე დაკვრის ხელოვნება. მხოლოდ რიტმითა და ჰარმონიის დაუხმარებლად ბაძავს მოცეკვავეთა ხელოვნება<sup>12</sup>, ვინაიდან ისინი (მიმსგავსებულ) რიტმულ მოძრაობათა საშუალებით ასახავენ ხასიათსაც (ήθη) განცდასაც (πάθη), და

<sup>7</sup> დითირამბი (ბითიამბი) ენოდებოდა სახოტბო ლექსს, რომელსაც გალობდა ხორო, კითარი ან ფლეიტის აკომპანიმენტით. მის შემოღებას ბერძნები მიაწერენ VII საუკუნის კორინთელ პოეტს არიონს.

<sup>8</sup> ავლეტიკა – ფლეიტაზე (სასულე ინსტრუმენტზე) დაკვრის ხელოვნება.

<sup>9</sup> კითარისტიკა – კითარაზე (ე.ი. სიმბიან ინსტრუმენტზე დაკვრის ხელოვნება).

<sup>10</sup> აქ ნაგულისხმევი არიან მხატვრები და მოქანდაკეები, რომლეიც ასახავენ საგნებს ფერებისა და ფორმების საშუალებით.

<sup>11</sup> ეს წინადადება, ზოგიერთების აზრით, (Difour, Новосадский), ინტერპოლაციას უნდა წარმოადგენდეს, რადგან იგი: 1) არღვევს აზრთა თანმიმდევრობას, 2) შეიცავს არისტოტელესათვის უჩვეულო დაპირისპირებას ოსტატობასა და ჩვევას შორის, 3) არღვევს ბერძნული გამოთქმის წესებს. მაგრამ ვილპელმს კრისტი არ ხედავს აქ ინტერპოლაციას, და ჩვენს მას ვემყარებით.

<sup>12</sup> ნაგულისხმევია ორხესტრი ან საღმრთო ცეკვათა ხელოვნება.

ქცევასაც (πράξεις). სიტყვიერი ხელოვნება (έποποιά) ბაძავს მხოლოდ ან პროზაული მეტყველებით, ან ლექსით, ხოლო ამ უკანასკნელით სარგებლობს ისე, რომ ერთ ზომას აერთებს მეორე ზომასთან, ან ზომათა მარტო ერთ სახეს ხმარობს. 140-141

### §6

ტრაგედია არის ასახვა დიადი (σπουδαίας) და დასრულებული (τελείας) მოქმედებისა, რომელსაც გარკვეული სიდიდე აქვს, – ასახვა შემკობილი ენით (ήδυსმენი ლόγῳ) სხვადასხვა სახეებით ცალკ-ცალკე სხვადასხვა ნაწილში<sup>13</sup>, ასახვა მოქმედებით და არა მოთხრობით, ასახვა, რომელიც შეცოდებისა (ελεος) და შიშის (φόβος) აღძვრის საშუალებით ამგვარ ვნებათაგან (παθήματα) განწმენდას (κάθαρσις) აღწევს<sup>14</sup>. „შემკობილ“ ენას მე ვეძახი ისეთ ენას, რომელსაც აქვს რიტმი, ჰარმონია და მეტრი, ხოლო „მისი სხვადასხვა სახეების“ ქვეშ ვგულისხმობ იმას, რომ ტრაგედიის ზოგიერთი ნაწილი სრულდება მხოლოდ მეტრებით, სხვა ნაწილი კი აგრეთვე გალობით. (გვ.152-153)

აუცილებელია, მთელი ტრაგედიის ნაწილები იყოს ექვსი, რის მიხედვითაც ტრაგედიას აქვს რაიმე გარკვეული ბუნება. ეს ნაწილებია ამბავი, ხასიათი, განსჯა, სამზერი<sup>15</sup>, სათქმელი და საგალობელი. რითაც ბაძავენ<sup>16</sup>, ის ორი ნაწილია; როგორ ბაძავენ<sup>17</sup>, ის ერთი ნაწილია; რასაც ბაძავენ<sup>18</sup>, ის სამი ნაწილია. ამაზე მეტი კი არავითარი ნაწილი, არ არის. ტრაგედიის პოეტთა შორის ამ სახეებით<sup>19</sup> სარგებლობენ არა ზოგიერთი, არამედ, შეიძლება ითქვას, ყველანი. და ამიტომ, ყველა ტრაგედიას აქვს სამზერიც,

<sup>13</sup> აქ ძნელ ადგილს ცელერი (II, II, 783,3) ასე განმარტავს: შემკობილი ენის “სახეებია” „სათქმელი“ (λεξίς) და „საგალობელი“ (μελօς), რომლებიც წესიერად განაწილებული არიან მსახიობებსა და ხოროს შორის: მსახიობთა დიალოგი არის „სათქმელი“, ხოროს კი რჩება „საგალობელი“

<sup>14</sup> ტრაგედიის ზემოთმოყვანილმა განსაზღვრებამ მრავალი უთანებმოება წარმოშვა მეცნიერთა შორის. განსაკუთრებით ალსანიშნავია ხანგრძლივი დავა იმის გამო, თუ როგორ უნდა გავიგოთ ამ განსაზღვრების ბოლო ნაწილი: ბი ელეოს χάι ფიროს περάνουσα την τავი თითოეული მატერიალური სიტყვები ჩვენ ასე გადავთარგმნეთ: „რომელიც შეცოდებისა და შიში აღძვრის საშუალებით ამგვარ ვნებათაგან განწმენდას იწვევს“. მაგრამ იგივე ნინადადება შეიძლება სხვაგვარად გადაითარგმნოს, ვინაიდან გამოთქმას თავი მატერიალური სიტყვები არ არის, როგორც ამაზე მიუთითებენ ცელერი (II, 774,4) და იბერვეგი (I, 423), შეიძლება ჰქონდეს ორი სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა: ა) „ვნებათაგან განწმენდა“ და ბ) „ვნებათა განწმენდა“. ჩვენის აზრით, პირველი ვარიანტი უკეთესად შეეფერება არისტოტელეს პოეტიკის დედა-აზრს.

<sup>15</sup> სამზერის იყვის ქვეშ არისტოტელე, როგორც ჩანს გულისხმობს ყველაფერს, რაც ტრაგედიის დროს თვალით დაინახება. მაშასადამე აქ მხოლოდ სცენის მორთულობა კი არ უნდა ვიგულისხმოთ. ცელერი (II, 785,3) განმარტავს იყვის სიტყვას ასე: „äussere Darstellung“, ხოლო ბარტელემი თარგმნის მას ასე: „le Spectacle“

<sup>16</sup> ე.ი. მიბაძვის, ან ასახვის საშუალებები.

<sup>17</sup> ე.ი. მიბაძვის ან ასახვის ხერხი.

<sup>18</sup> ე.ი. მიბაძვის, ან ასახვის საგანი.

<sup>19</sup> ე.ი. ამ ექვსი ზემოთჩამოთვლილი ნაწილით.

ხასიათებიც, ამბავიც, სათქმელიც, საგალობელიც (μέλος) და განსჯაც. ამათ შორის ყველაზე უმნიშვნელოვანესია მოქმედებათა სისტემა. ტრაგედია ხომ არის ასახვა არა ადამიანთა, არამედ მოქმედებისა და ცხოვრებისა ბედნიერებაში და უბედურებაში (χαρიδαιμოνιა), ხოლო ბედნიერება და უბედურება მოქმედებაშია მოცემული, და ჩვენი მიზანიც არის რაიმე მოქმედება და არა უქმი თვისება (ποιωτης). ადამიანები, ამა თუ იმ თვისების მქონენი არიან თავიანთი ხასიათის გამო; მოქმედებათა გამო კი ისინი ან ბედნიერნი არიან, ან ამის საწინააღმდეგო. ამიტომ, პოეტები ცდილობენ არა ხასიათების ასახვას, არამედ ისინი მოქმედებათა ასახვის საშუალები თან ხასიათსაც იჭერენ ხოლმე<sup>20</sup>. ასე რომ, მოქმედებები და ამბავი – აი, რა არის მიზანი ტრაგედიისა, მიზანი კი ყველაფერზე უფრო დიდია. გარდა ამისა, მოქმედების გარეშე ტრაგედია ვერ შეიქმნებოდა, ხასიათების გარეშე კი შეიქმნებოდა. (გვ.54-155)

## §9

პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის ალბათობისა და აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განირჩევიან არა იმით, რომ ლაპარაკობენ ლექსით და პროზით. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი (τά χαθόλου), ისტორიას კი უფრო მეტად მხედველობაში აქვს ცალკეული (χαθέχαστον).

ზოგადი, რომელიც პოეზიას თავისი გმირებისათვის სახელების მიცემის დროსაც კი უკვე მიზნად აქვს, ის არის, რომ წარმოადგინოს, თუ რომელ კაცს როგორი სიტყვა ან ქცევა შეეფერება ალბათობისა ან აუცილებლობის კანონის მიხედვით. ცალკეული კი, რომელიც ისტორიის საგანს შეადგენს, ისაა, თუ რა ქნა ან რა განიცადა (მაგალითად) ალკიბიადემ. (გვ.161-162)

## §15

რაც შეეხება ხასიათებს, არის ოთხი რამ, რასაც უნდა ვესწრაფვოდეთ.

<sup>20</sup> ე.ი. ხასიათის ასასახვად პოეტების საშუალება არის მოქმედებათა ასახვა. თუ მოქმედება ასახულია, მაშინ ხასიათიც ასახულია: პეგელი ამბობს, რომ დействие есть «наиболее ясное разоблачение индивидума как в отношении его образа мыслей, так и к его целей; то, что человек есть в глубочайшей основе своего быта осуществляется в действительности лишь через его действие» (Шир. Енц. 8. кн. 808)

პირველი და მთავარია, რომ ხასიათები იყვნენ პატიოსანი (χρηστა), კაცს ექნება ხასიათი, როგორც ითქვა მაშინ, თუ მისი სიტყვა ან საქციელი ცხადყოფს, რომ იგი რაღაცას ირჩევს. ხოლო პატიოსანი ხასიათი ექნება მაშინ, თუ მისი სიტყვა და საქციელი ცხადყოფენ, რომ იგი ირჩევს პატიოსანს. უკანასკნელი შესაძლებელია ყოველ მდგომარეობაში: თვით დედა-კაციც და მონაც კი შესაძლებელია იყვნენ პატიოსანი, თუმცა პირველი მათ მორის უარესია (ვიდრე მამაკაცი) და მეორე სრულად გლახა არის.

მეორეა, რომ ხასიათები იყვნენ შესაფერისი: ატლანტის<sup>21</sup> ხასიათი არის ვაჟუკაცური, მაგრამ დედაკაცისათვის შეუფერებელია, რომ იგი იყოს ვა-ჟუკაცური, ან საშინელი.

მესამეა, რომ ხასიათი იყოს მსგავსი: ეს სხვა არის, ვიდრე პატიოსანი და შესაფერისი ხასიათის შექმნა, როგორც ეს ნათქვამი იყო.

მეოთხეა, რომ ხასიათი იყოს სწორი (όμαλόν). ამ შემთხვევაშიც, რომ ის კაცი, რომელიც ასახვის საგანს წარმოადგენს, იყოს უსწორმასწორო (άνώμαλος) და ხასიათიც მას ასეთი ჰქონდეს, იგი მაინც სწორად უნდა იყოს უსწორმასწორო. (გვ.174-175)

## არისტოტელეს პოეტიკის ღიასი ტეორია.

### თარგმანი და კომენტარები პროფ. ს. დანელიასი (გვ. 53-54)

არისტოტელეს პოეტიკის შინაარსი მოკლედ ასე შეიძლება იქნას წარმოდგენილი: ხელოვნება არ არის ფილოსოფიის ანტაგონური, როგორც ამას პლატონი ასწავლიდა. პირიქით, თავისი ბუნებით ხელოვნება ენათესავება ფილოსოფიას, ვინაიდან იგი, წინააღმდეგ პლატონის შეხედულებისა, არც ცნებებს აბნელებს და არც ზნეობას რყვნის. ხელოვნების ასეთ გაგებას არისტოტელემ ორი ბურჯი მოუნახა: ერთი იყო ბაძვის ცნება (μίμησις), ხოლო მეორე „განწმენდის“ ცნება (χάθαρσις). ეს ორი ცნება შეადგენს არისტოტელეს „პოეტიკის“ დედაბოძს. პირველი ცნება გამოყენებული ჰქონდა პლატონს, როგორც ხელოვნების არსებითი ნიშანი. მაგრამ არისტოტელემ გადაამუშავა ეს ცნება და აღმოაჩინა, რომ ბაძვა, რომელსაც ეწევა ყოველი ხელოვნება, არის ტიპიზაცია. რაც შეეხება „განწმენდის“ ან კათარზისის ცნებას, პლატონის ესთეტიკური თეორია ამ ცნებას სრულიად არ იცნობდა: პლატონი ხმარობდა ტერმინს „კათარზის“, რომელიც მას, აღბათ, ან მედიცინიდან, ან რელიგიური მისტერიებიდან ჰქონდა გადმოღებული, არა ესთეტიკური, არამედ ეთიკური მნიშვნელობით. კათარზისი იყო პლატონისათვის სულის ზნეობრივი განწმენდა, და ამ ფუნქციას ასრულებდა ფილოსოფია და არა ხელოვნება, რომელიც პლა-

<sup>21</sup> atalante არის მითოლოგიური დედაკაცი, რომელიც მამაკაცთა მსგავსად, წალირობასა და ომებში ატარებდა დროს.

ტონის მოძღვრებაში არამცთუ ემსახურებოდა კათარზის, არამედ ეწინააღმდეგებოდა მას და აძევებდა თავისი ასპარეზიდან. პლატონის მიერ ხელოვნების გარეშე დატოვებული კათარზისი არისტოტელემ შეიტანა ხელოვნების წრეში, მისცა მას ესთეტიკური მნიშვნელობა და მტკიცედ დაუკავშირა ბაძვის ცნებას, რათა ეთქვა, რომ კათარზისი, რომელიც ხორციელდება ხელოვნებაში, შედეგია ხელოვნების იმავე ბუნებისა, რომელიც მუდავნდება ბაძვაში, და როგორც (ბაძვა), ისე (კათარზისი) ამტკიცებს ხელოვნების ნათესაობას ფილოსოფიასთან. როგორც ვხედავთ, ბაძვისა და კათარზისის ცნება არისტეტოლეს პოეტიკაში ერთი და იმავე დებულების ფუნქციას წრამოადგენენ, სახელდობრ იმ დებულებისა, რომ ხელოვნება ენათესავება ფილოსოფიას და არ არის მისი ანტაგონიური, როგორც ამას პლატონი ასწავლიდა. ამრიგად, პლატონის მიერ ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებული ფილოსოფია და ხელოვნება არისტოტელემ სცადა ერთმანეთთან შეერიგებინა, როგორც ეს საზოგადოდ შეეფერებოდა მისი მოძღვრების სისტემტურსა და დიალექტიკურ ხასიათს.

### (გვ. 67)

მხატვრული ბაძვა არის სუბიექტურ მოჩვენებაში ჩაძირვა, როგორც ეს პლატონის შეხედულებით ამოდიოდა. პირიქით, მხატვრული ბაძვა არის ობიექტური ცოდნისაკენ მისწრაფების ერთ-ერთი სახეობა, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ხელოვნების იმ დარგში, რომელსაც პოეზია შეადგენს.

„პოეზის შექმნა, – წერს არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ – ორმა მიზეზმა განაპირობა, ჯერ ერთი, მიბაძვა თანდაყოლილი აქვს კაცს ბავშვობიდანვე: და კაციც ამით განსხვავდება სხვა ცხოველებისაგან, რომ იგი ყველაზე უფრო წამბაძვია და თავის პირველ სწავლას მიბაძვის საშუალებით იძენს. გარდა ამისა, მიბაძვა ყოველ კაცს ახარებს. ამის საბუთია ის, რასაც ჩვენ განვიცდით ხოლმე ხელოვნების ქმნილებათა წინაშე. რასაც სინამდვილეში უსიამოვნოდ შეეხედავდით, იმის ზუსტად გაკეთებულ სურათს (ეიჯ) სიამოვნებით ვუქცერთ, – მაგალითად, უსაძაგლესი ცხოველებისა და მკვდრების სურათებს. ამის მიზეზია ის, რომ სწავლის მიღება ძალიან საამოა არა მხოლოდ ფილოსოფოსისათვის, არამედ სხვებისთვისაც ოღონდ სხვები ამას ცოტა დროს ანდომებენ. ამიტომ კაცს უხარია, როდესაც იგი ხედავს სურათებს, ვინაიდან, როდესაც კაცი უქცერის სურათებს, მას უხდება სწავლის შექენა და დასკვნების გაკეთება იმაზე, თუ რა არის თითოეული საგანი, მაგალითად: „აი, ეს არის ის“.

### (გვ. 133-134)

არისტოტელეს თეორიის თანახმად, ტრაგედია იმით აღწევს კათარზის, რომ ხატავს ტიპებს და ამ ტიპების საშუალებით ავიწყებინებს მაყურებელს მის ემპირიას. ოიდიპოსები, ორესტები და ეგისთები, იოკასტები,

ანტიგონები და იფიგენიები იმიტომ ავსებენ მაყურებლის გულს სიბრალუ-ლითა და შიშით და იმიტომ იწვევენ მაყურებლის კათარზის, რომ ისინი არიან ტიპები ან ზოგადი მხატვრული სახეები (მიბაძვები) და მათი ტან-ჯვაც არის ადამიანური ტანჯვასი განზოგადებული სახე ან წარმოდგენა. ოიდიპოსის წარმოდგენილ ტანჯვაში ადამიანს შეუძლია იცნოს თავისი ტანჯვა და იფიქროს გულში: ოიდიპოსი არის ჩემი ძმა. კიდევ მეტი – მე თვითონ იოდიპოსი ვარ, ვინაიდან ოიდიპოსი არის ადამიანი, და მეც ხომ ადამიანი ვარ, და ყველაფერი, რაც ადამიანურია, ჩემთვის არ არის უცხო“. ამრიგად ოიდიპოსის ცქერით მაყურებელი მაღლდება თავის თავზე, თავის ემპირიულ, ან კერძო „მეობაზე“ და ერთვის ზოგად ადამიანობას ან კაცობრიობას. ოიდიპოსის ცქერის დროს მაყურებელი გრძნობს თავს არა იზოლირებულ და ჩაკეტილ ველურ და უბედურ ქმნილებად, არამედ კაცობრიობის წევრად, ზოგადი ადამიანობის მოვლენად, და ეს ახარებს მას.

## გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი

### «ესთეტიკა». ტომი I

#### ესთეტიკის შესავალი

„ესთეტიკა“, უფრო ზუსტად, ალნიშნავს გრძნობის, მგრძნობელობის მეცნიერებას; და ამ აზრით ის, როგორც ახალი მეცნიერება, ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ისეთი რამ, რაც პირველად მხოლოდ ახლა უნდა ქცეულიყო ფილოსოფიურ დისციპლინად, ვოლფის სკოლიდან წარმოიშვა მაშინ, როცა გერმანიაში ხელოვნების ნაწარმოებებს განიხილავდნენ იმ გრძნობათა მიხედვით, რომელნიც მათ უნდა გამოეწვიათ, მაგალითად, სასიამოვნოს, გაკვირვების, აღტაცების, შიშის, თანაგრძნობის, და ა.შ. ამ შეუფერხებელი ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ზერელე სახელწოდების გამო, ზოგიერთმა სცადა ალნიშნული მეცნიერება სხვა სახელით, მაგალითად, კალისტიკით მოენათლა. მაგრამ ეს უკანასკნელი სახელწოდებაც არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება, რადგან მასში ნაგულისხმევი მეცნიერება განიხილავს არა მშვენიერს საერთოდ, არამედ მხოლოდ ხელოვნების მშვენიერს. ამის გამო ჩვენ გვსურს სახელწოდება „ესთეტიკა“ დავტოვოთ, რადგან იგი, როგორც მარტო სახელწოდება, ჩვენთვის სულერთია და, გარდა ამისა, ჯერჯერობით ჩვეულებრივ საერთო ენაში გადასულია ისე, რომ სახელის სახით შეიძლება შევინარჩუნოთ. ხოლო განსაკუთრებით ზუსტი გამოთქმა ჩვენი მეცნიერებისათვის „ხელოვნების ფილოსოფიაა“, უფრო გარკვევით კი „კაზმული ხელოვნების ფილოსოფია“.

(გვ. 7)

## სელოვნების ჭაშმარიტი ცხების ისტორიული ღეღუქცია

ხელოვნების ცნებას მისი შინაგანი აუცილებლობით რომ ჩავწედეთ, უნდა გამოვიდეთ იმ თვალსაზრისიდან, რომელშიც გადაწყვეტილებას ჰქოვებს ხელოვნების რეფლექსით განხილვა. სწორედ ამ თვალსაზრისიდან ამოვიდა ისტორიულად ხელოვნების ჭეშმარიტი პატივისცემა და შემეცნება. რადგან აღნიშნული დაპირისპირება თავს იჩენდა არა მარტო საყოველთაო, რეფლექსიაზე დამყარებულ კულტურაში, არამედ თვით ფილოსოფიაშიც, როგორც ასეთში, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფილოსოფიაში შეძლო ამ დაპირისპირებულობის დაძლევა, ამის შემდეგ ჩასწოდა იგი თავის საკუთარ ცნებას და სწორედ ამის საშუალებით – აგრეთვე თვით ბუნებისა და ხელოვნების ცნებასაც.

ამრიგად, ეს თვალსაზრისი კვლავ აღორძინებაა როგორც ფილოსოფიისა საზოგადოდ, ისე ხელოვნების მეცნიერებისა. სწორედ ამ აღორძინებას უნდა უმადლოდეს ესთეტიკა, როგორც მეცნიერება, მისი ნამდვილი წარმოშობისათვის, ხელოვნება კი – თავისი მაღალი დაფასებისა და აღიარებისათვის.

**არტურ შოპენჰაუერი** გერმანელი ფილოსოფოსი. დაიბადა 22 თებერვალს დანციგში, გარდაიცვალა 1860 წელს მაინის ფრანკფურტში. ითვლება ირაცონალური ფილოსოფიის ერთერთ მნიშვნელოვან წარმომადგენელად. ძირითადი შრომაა: „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“

### მშვენიერის მეტაფიზიკის ცნების შესახებ

#### მშვენიერის მეტაფიზიკის ცნების შესახებ

ზოგადგასაგები სახელით „მშვენიერის მეტაფიზიკა“ სინამდვილეში ვგულისხმობ მოძღვრებას წარმოდგენის შესახებ, რამდენადაც იგი არ მიჰყება საკმარისი საფუძვლის პრინციპს (შატზ ვომ ჩრუნდ) და მისგან დამოუკიდებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვგულისხმობთ მოძღვრებას იდეების წვდომის შესახებ (uffassung der Ideen), რომლებიც სწორედ ხელოვნების ობიექტი არიან.

ის, რასაც აქ განვიხილავ, არის არა ესთეტიკა, არამედ მშვენიერის მეტაფიზიკა. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, ნუ ელით ჩემგან, ვთქვათ, ხელოვნების ცალკეული დარგების ტექნიკის ნორმების გადმოცემას. აქაც, ისევე, როგორც ლოგიკაში, ან, კიდევ შემდგომ, ეთიკაში, ჩვენი თვალთახედვა არ არის მიმართული პრაქტიკულისკენ რაღაცის ქმნის ან რაღაცა დახელოვნების გამოყენების სახით, არამედ ჩვენ აქაც და იქაც ვფილოსოფოსობთ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვმოქმედებთ წმინდა

თეორიულად. ესთეტიკა ისეთივე მიმართებაშია მშვენიერის მეტაფიზიკას-თან, როგორშიც ფიზიკა ბუნების მეტაფიზიკასთან. ესთეტიკა გვასწავლის იმ გზებს, რომლებზეც მიიღწევა მშვენიერის ზემოქმედება, იგი აძლევს ხელოვნების დარგებს ნორმებს, რომელთა მიხედვითაც მათ (ხელოვნების დარგებმა, მთგ.) უნდა შექმნან მშვენიერი. მშვენიერის მეტაფიზიკა კი იყვლევს მშვენიერის შინაგან არსებას (Wesen), როგორც სუბიექტთან დამოკიდებულებაში, რომელიც მშვენიერს შეიგრძნობს, ასევე ობიექტთან დამოკიდებულებაში, რომელიც მშვენიერის ამ შეგრძნებას აღძრავს. ამიდა შესაბამისად, ჩვენ აქ გამოვიყვლევთ იმას, თუ რას წარმოადგენს მშვენიერი თავისთავად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ რა ხდება ჩვენში, როცა მშვენიერი გვაღელვებს და გვახარებს. კიდევ, ვინაიდან ამ განცდის ალტვრა იმ ზემოქმედებას წარმოადგენს, რომელიც მიზნად აქვს გათვალისწინებული ხელოვნების ყველა დარგს, ჩვენ ვაპირებთ იმის გამოკვლევას, თუ რა არის ხელოვნების ყველა დარგის საერთო მიზანი, საერთოდ ხელოვნების დანიშნულება (Zweck), და ბოლოს იმის გამოკვლევასაც ვაპირებთ, თუ როგორ აღწევს ხელოვნების ყოველი ცალკეული დარგი ზემოთ აღნიშნულ მიზანს თავის საკუთარ გზაზე.

## მარტინ ჰაიდეგერი

### დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა

ხელოვნებაა დასაბამი ხელოვნების ქმნილების და ხელოვანისა, დასაბამი არსების ის წარმომავლობაა, რაშიც მყოფობს ყოფიერება ყოფიერისა. რა არის ხელოვნება? ხელოვნების არსებას ჩვენ ვეძებთ ნამდვილ ქმნილებაში. ქმნილების სინამდვილე იქიდან განისაზღვრა, რაიც ქმნილებაში ქმნილა, ჭეშმარიტების ხდომილებიდან. ამ ხდომილებას ჩვენ გავიაზრებთ, ვითარცა სამყაროსა და მიწას შორის დავის გადავებას. ამ გადავების შეგუბებულ dრაობაში სიმშვიდე მყოფობს. მას ეფუძნება ქმნილების დავანება თავის თავში.

ხელოვნება ესაა, ქმნილება-ში დადგინება ჭეშმარიტებისა. ეს დებულება ფარულად შეიცავს ორაზროვნებას, რომლის კვალადაც ჭეშმარიტება არის წინადადების სუბიექტიცა და ობიექტიც. მაგრამ სუბიექტი და ობიექტი შეუსაბამო სახელწოდებანია. ისინი აფერხებენ თვით ამ ორაზროვნების გააზრებას, შესრულებას იმ ამოცანისას, რისი შემდგომი განხილვის ადგილიც იქ აღარ არის. ხელოვნება არის წილხვედრი და ვითარცა წილხვედრილი, იგია მქმნელი შენახვა ჭეშმარიტებისა ქმნილებაში. ხელოვნება ხდება ვითარდა თხზვა. თხზვა დამკვიდრებაა მიძღვნის, დაფუძნების და დასაწყისის სამკეცი მნიშვნელობით.

ხელოვნება, ვითარცა დამკვიდრება არსობრივად წილხვედრილია. ეს

არ ნიშნავს მხოლოდიმას, რომ ხელოვნება ხვედრის მქონეა ზედაპირული მნიშვნელობით, რომ დროთა ცვალებაში იგი მრავალი სხვა მოვლენის გვერდით არსებობს, იცვლება, იღუპება და ისტორიას ნაირფრად ევლინება; არამედ ხელოვნება თავადა ხვედრი იმ აზრით, რომ იგი აფუძნებს მას სწორედ იმ გაგებით, რომელზეც უკვე მივუთითეთ.

ხელოვნება დაწყებაა ჭეშმარიტებისა. იგი, ვითარცა დამამკვიდრებელი შენახვა, ქმნილებაში ამოიყვანს ჭეშმარიტებსა ყოფიერისას. სიტყვა და-საბამი სწორედ რაღაცის დაწყებას, არსობრივი წარმომავლობიდან დამა-მკვიდრებელი „ზეშთაშესვლით“ მისთვის ყოფნის მინიჭებას მოასწავებს.

ხელოვნებაა დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა, მასთან ერთად კი შემოქმედისა და შემნახველის, აგრეთვე ხალხის წილხვედრილი არსებობისა და ეს ასეა, რადგან თავისი არსებით ხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა პირველქმნილი ანუ გამორჩეული სახეობა იმისა, როგორაც ჭეშმარიტება ყოფიერი, გინა წილხვედრილი ხდება.

ჩვენ დავაყენეთ შეკითხვა ხელოვნების არსებაზე. მაგრამ რად დავაყენეთ ეს საკითხი? იმად, რათა შევიძლოთ დასმა უფრო თავდაპირველი შეკითხვისა, არის თუ არა ხელოვნება დასაბამი ჩვენს წილხვედრილ არსებობაში, ძალუძს თუ არა მას დღეს, იყოს დასაბამი, თუკი ძალუძს და ჯერ არს კიდეც, რათა იგი იყოს ასეთი, მაშინ რა და რა პირობებია საჭირო საამისოდ.

ამგვარ დაფიქრებას არ ძალუძს, ერთი ხელის დაკვრით მოიპოვოს ხელოვნება და მისი ქმნადობა. მაგრამ ეს ფიქრიანი ცოდნა არის წინდანინითი და ამიტომ აუცილებელი სამზადისი ხელოვნების ქმნადობისათვის. მხოლოდდამხოლოდ ასეთი ცოდნა უმზადებს ქმნილებას ასპარეზს, შემოქმედს გზას, ხოლო შემნახველს – ადგილისმყოფელს.

**თარგმანი გიორგი ბარამიძისა**

ირაკლი პრაშული, ანასტასია ზაქარიაძე, ვალერიან რამიშვილი,  
დემურ ჯალაღონია

## ფილოსოფიის შესავალი

გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2010

გარეკანის დიზაინი დავით კუტუბიძე ტექ. რედაქტორი დავით გოგლიძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფა თეა თათეშვილი

გამომცემლობა „მერიდიანი“, ალ. ყაზბეგის გამზ. №47  
\_ mail: info@meridianpub.com ☎ 39-15-22